


909  
2

პატარა ბეჭედი



ტომი 2

9(47.922)(001

# ქართლის ცხოვრება

დასაბამითგან მეთუხრამეფე საუკუნემდის

წიგნი მეორე

ტომი პირველი

წიგნი პირველი

მეორე გამოცემა

წ. ჭიჭინაძისა



ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და აბხანაგობისა, ნიკ. ქ. № 21.

1897

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 го Юля 1897 г.

ლდ. მეოცდაათოთხმეტე მეფე, დაჩი, ძე ვახტანგ გორგასალისა, ხოსროიანი.

და ჰერობით დაჯდა საუდარსა მისსა ძე მისი დაჩი: ხოლო ცოლი და ორნი ძენა ვახტანგისნი წარმოიუწყანნეს სამთა-მათ ერისთავთა და დაიხურეს დასავლით ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრით იუვიან ოძრკევს, და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იუვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა, დაჩი მეფისსა: ხოლო ამან დაჩა მეფე-მან, შემდგომად სიკუდილისა ვახტანგ მეფისა. იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოკრებულ იუვნეს ყოველნი კეკელი ქართლისანი, თხნიერ კახეთისა და კლარჯეთისა, და ეგრისისა, და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ.

და მოკუდა ჰეტრე კათალიკოზი და დაჯდა სამოელ. და მეფე-მან მას მიუთვალა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს: ამანვე მეფე-მან დაჩი დაიხატოჯა<sup>1)</sup> მთეულთა კახეთისთა, რათა აღიარონ ქრისტი. ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოზატატელები: ხოლო ორთავე მათ-გან ძეთა ვახტანგისთა, ნაშობთა ბერძნისა ცოლისთა, მოკუდა, რომელსა ერქვა ლეონ, და დაჩის მირდატ ოდენ: ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი, დაჩი მეფე, გაუტვალა ქვეყანა, და აღიღო მირდატისა-გან ეგრის-წყალსა და კლი-

<sup>1)</sup> Ou დიპლომა.



სურსა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მის-  
ცა ჯავახეთი ფანჯრით-გან მტკუნამდე. და დაიხურა მირდატ, ძე-  
მან ვახტანგისა-მან ფარავნით და ტასის-კარით-გან ვიდრე ზღვამდე  
სპერისა. და ერისთავობდა მუნ, და იყო მორჩილი დანი მეფისა,  
ძმისა თჳსისა: ამან აღაშენა ჯავახეთისა ეკკლესიაჲ წყაროს-თავისა:  
იმეფა დანი თორმეტ წელ, და მოკუნდა დანი მეფე.

ლუ. მეოცდსათხუთმეტე მეფე, მეორე ბაკურ, ძე დანი  
მეფისა, ხოსროიანი.

დაჟდა მეფედ ძე მისი ბაკურ, და იმეფა ათცამეტ წელ და  
მოკუნდა ბაკურ მეფე.

ლუ. მეოცდსათექუსმეტე მეფე, მეხუთე ფარსმან, ძე ბა-  
კურ მეფისა, ხოსროიანი.

დაჟდა ძე მისი მეფედ, ფარსმან: მოკუნდა კათალიკოზი სა-  
მეფედ და დაჟდა კათალიკოზად მესამე კათალიკოზი თავფეჩაკ. და  
მოკუნდა თავფეჩაკ, და დაჟდა კათალიკოზად მეოთხე კათალიკოზი  
ჩირმაკ.

და ვახტანგისით-გან <sup>1)</sup> მოაქამომდე ესე მეფენი მშვიდობით  
იუვნეს, და შვილნი მირდატისნი ჰმონებდეს შვილთა დანისთა: ამის  
ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, და მოახრეს ქართლი, ხო-  
ლო ფარსმან მეფე-მან ქართველთა-მან, ითხოვა სპარსთა მეფისა-  
გან, რათა არა მოახრეს ეკკლესიანი, და იხურას ქართლი ჰსჯულ-  
სა ზედა ქრისტესსა. რამეთუ მას უამსა ბერძენნი უცალო იუვნეს,  
დასავალით მტერნი აღდგომილ იუვნენ <sup>2)</sup>, და ვერ შემძლებულ

<sup>2)</sup> Mon M-it aj. ვიდრე.

<sup>3)</sup> იყვნეს, comme ci-dessus, est plus antique et préférable.

იუჟნეს შველად ქართლთა<sup>1)</sup>, წინა-ადღგომად სპარსთა: მასშინ სპარს-  
თა მეფე-მან ისმინა ვედრებაჲ მისი, და დაიცვნა ეკკლესიანი. ხო-  
ლო ფარსმან დაუწერა მას მორჩილებაჲ და მსახურებაჲ, და წარვი-  
და სპარსთა მეფე: მიერთ-გან განიუვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფე-  
სანი. რამეთუ შვილნი დაჩისნი მორჩილობდეს<sup>2)</sup> სპარსთა, ხოლო  
შვილნი შირდატისნი დადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა: იმეფა ფარს-  
მან თოთხმეტ წელ, და მოკჳდა ფარსმან, და დაჟდა ძმის-წული  
მისი მეფედ, რამელსა ერქვა ფარსმანვე.

---

ლზ. მეოცდაათშვიდმეტე მეფე, მეექვსე ფარსმან, ძმის-  
წული ფარსმან მეფისა, ხოსროიანი.

და იყო იგი მორწმუნე ვითარცა მამის ძმაჲ მისი, და მატა  
უოველთა ეკკლესიათა შემკობაჲ: და მოკჳდა კათალიკოზი ჩირმაგ,  
და მანვე მეფემ დასვა კათალიკოზად მეხუთე კათალიკოზი<sup>3)</sup> საბა:  
აქათ-გან ადა-რს მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით. რამედ  
ქართუზნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი<sup>4)</sup>: და მოკჳდა  
კათალიკოზი საბა, და მანვე მეფე-მან დასვა კათალიკოზი მეექვსე

---

1) Pour ქართველთა.

2) Mon M-it ჰმონებდეს.

3) Cette indication de numéro est en marge, dans la plupart des manuscrits, et me paraît avoir été reportée à tort dans le texte, car elle y produit une redondance désagréable. Mais je m'efforce de suivre autant que possible la rédaction du M-it T.

4) ხოლო ითხოვს იუსტინიანეს-გან ქართუპლთა, რათა დასხდებო-  
დენ კათალიკოზად ნათესავნი ქართუპლთანი, რამეთუ მოვიდოდნენ კათა-  
ლიკოზნი საბერძნეთით: ხოლო იუსტინიანე დაწერა წიგნი და დაბეჭდა  
თვსითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი  
ქართუპლთანი და აქუნდეს უაღრესობა ყოველთა ეკკლესიათა და მღუ-  
დელთ-მთავართა ზელა: Note de mon M-it.

კათალიკოზი ევლანოზ<sup>1)</sup>: და ამისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოანე შუამდინარელი, რომელსა ეწოდა იოანე ზედა-ზადენელი, განმანათლებელი ქართლისაჲ, და განმწმედელი სჯულისაჲ, მასშენებელი ეკლესიათა, რომელ-მან ჰქმნა სასწაულები, და ნიჭები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკვირვნეს უფელნი ქართველნი, და დაიწერა ცხოვრებაჲ და სასწაულები მათნი: დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა, რომელთა სახელები ესე არს: იოანე ზედა-ზადენელი, დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იუალთოელი, ანტონი მარტო-მეოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, ჰიროს ბრეთელი და ელია დიაკონი<sup>2)</sup>: და აწ ვიწყოთ<sup>3)</sup> შემოკლებით ცხოვრება მათი.

ა. იოანე იყო ქრისტესანით შუა მდინარით, რომლისა მშობელნი არა უწეით, არამედ მხოლოდ მამა ზე-ცისა მშობელად მისსა: აღიზარდა და სრულ იქმნა უფლითა სწავლითა, და შეიმკო სრულითა სათნოებითა ამის-თჳს მიენიჭნეს მას ღვთისა მიერ სენთა კურნება, და ეშმაკთა ოტება, რომლისა მიერ მრავალნი სასწაულები აღესრულებოდეს: ვინათ გან მრავალნი წყინებანი ჰქონდა<sup>4)</sup>, ამის-თჳს მეოტ იქმნა უდაბნოდ, და მუნ დაადგრა ხოლო მუნ ბრძანება მიიღო ანგელისისა მიერ, რათა ათ-ორ-მეტით მოწაფითურთ თჳსით წარვიდეს ქართლად, და მოვიდა მცხეთას, და ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოზისათა, ადვიდა მთასა ზედა ზადენსა, და მუნ დაემკვიდრა დაუდებით: მუნ მთასა ზედა ჰირველით-გან კერზნი აღმართებულ იუჴნეს, და მით დამკვიდრებულ იუჴნეს ეშმაკთა სიმრავლე. ხოლო ღოცვითა წმიდისა მამისა იოანესითა, უფველივე განიდევნა მთისა მის-გან: ხოლო მოწაფენი მისნი წარგზავნა, წინა-

<sup>1)</sup> Mon M-it ევლანოზ.

<sup>2)</sup> მირიანიდამ გარდაკლა წელნი ორ ასნი და მეფენი იბ. N. de mon M-it.

<sup>3)</sup> V. la note p. 133.

<sup>4)</sup> Mon M-it მრავალი წყინება.

ძღმითა სულისა წმიდისათა, რომელიმე ქართლს და რომელიმე კახეთს, და რომელიმე უდაბნოდ გარესჯად: მაშინ მუნ დადგრა იოანე, დირსი მამა ჩვენი, ერთისა ოდენ მონაწიეთა, და მრავალნი წინააღმდეგობობა და განსაცდელნი მითმინნეს ეშმაკისა მიერ, და მძლედ გამჩნდეს მათ უფუელთა ზედა: ამისსა შემდგომად მთასა-მას ურწუელსა <sup>1)</sup> წყარო გემრიელი გამოადინნა ღმერთ-მან, ლოცვითა მისითა, რომლისა სმითა და ცხებითა მდაბიურთა-გან მრავალნი სნეულნი განიკურნებოდეს: ამისა შემდგომად დათვი წყაროსა-მას-ზედა მდგომელი მშვიდითა მოძღვრებითა განიოტა, და მიერთ-გან არდა-რს-ვის ავნებენ <sup>2)</sup> დათვნი მის მთისანი კაცთა ვისმე, ვიდრე დღე ინდელად დღემდე: ესრეთ განისწავლნეს დათვნი უმწესნი: მოგვარეს მას განრღვეული მრავალ ჟამისა, და ლოცვითა წმიდისა მამისა იოანესითა მუის განიკურნა; ხოლო ხსენა მოიუვანეს კაცი, რომლისა თანა იყო ეშმაკი უტყუებისა, და ილოცა მის-თჳს იოანე-მ, და მუის დაუტყვა ეშმაკ-მან, და იფლტოდა მის-გან. და განიკურნა კაცი-იგი და აღიღებდა <sup>3)</sup> ღმერთის: მრავალთა მისთა სასწაულთა-გან მცირედნი ესე <sup>4)</sup> წარმოვთქვენ: ხოლო ოდეს მოიწია განხილვა მისი კორცთა-გან, მოუწოდა ელია დიაკონსა, და სხუათა ვიეთთმე მონაწიეთა თჳსთა ასწავა და განამტკიცნა, და იხილნა ზე-ცისა მკედრობანი მოსულნი მის-ზედა, და შეგედრა სული თჳსი კელთა შინა მათთა, და დაიძინა მშვიდობით: შემურეს წმიდა გუამი მისი, და მიიღეს საყოფელსავე-მას თჳსსა, სადა იღუაწა, მთასა-მასვე მუნ: ხოლო შემდგომად მიცნალებისა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, რომელთა სრული ცხოვრება წმიდისა იოანესი მოგვითხრობს.

ბ, იყო წმიდა მამა დავით ქვეყანით შუა-მდინარით, რომლისა მშობელთა არა შეცნიერ ვართ: ესე დამონაწიებულნი იოანეს თანა

1) T უწინარეს.

2) T უზილეს.

3) Mon M-it აღიღებდეს.

4) T წარმოთქმანი სასწაულნი წმიდისა იოანესნი, რომელსა სრულინი სასწაულნი სრულსა ცხოვრებასა შინა მისსა წერილ არს.



მოვიდა, და განვიდა გარესჯის უდაბნოსა, ერთისა ოდენ მოწათი-  
თა, რომლისა სახელი ლუკიანე. რომელთა სიტყვნი მზისანი და  
ნეტყვანი ზამთრისანი ფრად მრავალნი მოითმინეს: ამისსა შემ-  
დგომად, ვითარცა მამა დიდის ვასილისა, ირემთა მიერ გამოიზარ-  
დნეს. რამეთუ სამნი ირემნი ნუკრისანნი მოვიდინ და მოწვეუდნენ,  
და ხაჭოს მისსა სჭამდინ: კარხა ოთხ-შაბათს, ჰარასკევეს, არ მო-  
ვიდინ: შემდგომად მტირედისა ყამისა, ერთი ნუკრთაგანი შთანთქ-  
ვეშაშ-მან მძვინვარე-მან, რომელი მკვდრ იყო ლუკესა, რომლის-  
მე <sup>1)</sup> ნახვალსა კლდისსა, რომელი სიტყვითა დავითისითა განიდევ-  
ნა, და ველსა უარაიისსა მების-ტუხითა შეიწვა: და ბუბაქარ დიდ-  
ბული, კაკაბთა ნადირობასა შინა, შეემთხვია წმიდასა და ენება მხ-  
ვილითა მოკლვა. რომელსა კელი განმარტებული <sup>2)</sup> შეაკმო და ვედ-  
რებითა მისვე წმიდასათა კვალად ეგო <sup>3)</sup>, ვითარცა უვნებელი: და  
ძენი ბუბაქარისნი, სხვაგან, წამსა შინა, ლოცვითა მისითა, გაწ-  
ვურნა: ხოლო ამის გამო განისმა ხმა მისი ფრადნი <sup>4)</sup> და დაემო-  
წათნეს, და მრავალნი ჯურღმულნი აღმოჰკვეთეს.

და მოვიდა ღირსი დოდოცა, და დაადგრა მის-თანა <sup>5)</sup>: ამისა  
შემდგომად წმიდამან წყალნი მწარენი დაატკბნა, რომელნი დინ  
ვიდრე დღეინდელად დღედმდე, კარემოს ბერთ-უბნისა მონასტრი-  
სასა, და სხვანი მრავალნი სასწაულნი აღასრულნა: და შემდგომად  
წარვიდა წმიდა ქალაქად იერუსალიმად, ქვეითად. და სადა იხილვე-  
ბის ბორცვებთა-გან არა თავს-იდგა შთასლვა მუნ. არამედ მუნით  
მოდრკა და <sup>6)</sup> თაყვანის-სცა, და აღიღო სამნი ღოდნი, და შთაისხნა  
ჩაკვთა რასამე და წარმოემართა <sup>7)</sup>: ამის-თჳს ჰატრიაქ-მან იხილა  
ჩვენებაჲ, და მალე მსრბოლნი კაცნი მოსწივეს წმიდა, და ორნი-იგი

1) T რომელსა; il faut რომელსამე.

2) T კელნი განმარტებულნი.

3) T აგო.

4) Mon M-it მრავალნი ერნი.

5) Ce membre de phrase manque à T.

6) Ce mot et le précédent manquent à T.

7) Au lieu de ces cinq mots dans T: წარმოიღო,

ლოდნი მოუხვნეს, და ერთი მიანიჭნეს, რომელი მოვიდა და მოი-  
ლო ლოდი-იგი, რომლისა სასწაულნი ითქვნეს <sup>1)</sup> ანგელოზისა მიერ  
ხატრიაქის, მიმართ, არა მიტემად სამთა ქვათა, არამედ შესამედისა,  
მადლისა წმიდისა-მის <sup>2)</sup> ქალაქისა, მოღებად აქა უდაბნოდ, ვინათ-  
გან სამ-გზის აქა ლოცუა მიესწორების <sup>3)</sup> ერთ-გზის იერუსალემსა  
მისლვასა: ამისსა შემდგომად სული თვისი ღმერთსა შევედრა, და  
დაიხსნა წმიდა გუამი მისი სამყოფსა <sup>4)</sup> თვისსა, გარესჯის მონას-  
ტრისა. <sup>5)</sup>

გ. იყო წმიდა მამა შიო ქალაქით ანტიოქიით, სიხნოთ-გან  
დამტეგებელი სოფლისა და დამწაფებელი მამისა იოანესი: ვინათ-  
გან წარმოვიდა ქართლად წმიდა იოანე, წინა-ძღვითა საღმერთთა  
სულისათა, არა უგულებელს-ჰყო სულიერი მამა-თვისი, და მის-თანავე  
წარმოვიდა ღირსი შიო: მოსრულ-მან ქართლს, ქალაქსა მცხეთას <sup>6)</sup>,  
მეურნოებისა და მარტო-მყოფობისა მოსურნე იყო: ითხოვა შენ-  
დობა კათალიკოზისა-გან და მამისა იოანეს-გან, და წარვიდა წმიდა  
შიო დასავალით კერძო მცხეთისა, მარჯვენით, მდინარეს მტკჳარსა,  
რომელსა ჰქვია მღვიმე. ღრმათა კევთა, ფრიალთა მზის სიცხეთა  
და ზამთრისა უინჯათა განიბძარვოდეს კარცსი მისნი: ზოგა ქვაბი  
კლდისა გამოკვეთილი და სიცივისა და სიცხისა ნუგეშინის-იტა მას  
შინა: ხოლო ვინათ-გან სახიერ-მან ღმერთ-მან არა უგულებელს-ყო

<sup>1)</sup> T ითქვა.

<sup>2)</sup> Subaud. თვს.

<sup>3)</sup> T შეისწორების.

<sup>4)</sup> T საყოფელსა.

<sup>5)</sup> T aj. რომლისა სასწაულნი და ღვაწლნი მისნი სრულიად სრულ-  
სა ცხოვრებასა მისსა შინა აღწერილ არიან: ხოლო ამას წმინდისა მამის  
დავითის სიცოცხლესავე შინა, მოვიდა მამა წმიდაჲ დოდო კახეთით და  
მისვე მამის წმიდისა განვიდა მიერ უდაბნოდ და დაემკვდრა მუნ, და აღა-  
შენა მონასტერი ფრიალ დიდი, რომელსა შინა მრავალნი ღვაწლნი და  
შრომანი აღასრულნა. რომლისა სასწაულსა და ცხოვრებასა და ღვაწლსა  
მოგვთხრობს ცხოვრება მისი, და ამისა შემოგომად სული თვისი ღმერთსა  
შევედრნა და დაიხსნა წმიდა გვამი მისი საყოფელსა თვისსავე.

<sup>6)</sup> Mon M-it მცხეთისასა.

მრავალი ღვაწლი <sup>1)</sup>), აწამედ ვითარცა ელია უფროსის შიერ გამ-  
ზარდნა, ეგრეთვე აქაცა დღითი-დღე ტრედის მიერ საზრდელი მ-  
ელებოდა: ამისსა შემოგომად, დღესა ერთსა, ფრინველითა: ნადირ-  
ბად გამოვიდა, კაცი <sup>2)</sup>) მდიდარი და სხინო, სახელით ევაგრე <sup>3)</sup>):  
მხოლოდ მდგომი კლდისა თავსა ზედა, ნახა ტრედი მიმქონი სა-  
ზრდელისა, თვალ-აგნა და განცვიფრა გონებსა თვისსა, და კვალად  
დღესა შეორესა ეგრეთვე ნახა ვითარცა პირველ, და შეუდგა კვალსა  
ტრედისასა, ნახა ბერი ვინმე მოღვაწე, შეიშურვს მოთმინება ბერი-  
სა-მის და არა უგულებელ-ჰყო განშორება მისი: ჰქაჩეს ევაგრემ  
ბერსა-მას: „მამო, დიხს შეაგ შენ-თანა დამკვიდრებად, რათა შეუდ-  
რებასსა შინა ადვასრულო დღენი ჩემნი:“ ჰქაჩეს მას წმიდა-მან შიო.  
„აღიდე კვერთხი ესე ჩემი, უკეთუ იმიერ და აშიერ მდინარემან გზა  
გცეს <sup>4)</sup>), განიპოს წყალი <sup>5)</sup>). ნება უფლისა არს, და მოვედ აქა. და  
უკეთუ არა გზა გექმნას; იყავ სახლად და სარწმუნოდ მნებებელად:“  
წარვიდა განმგე <sup>6)</sup>) სახლისა-გან მოსეს მსგავსად, ორ-გზის მტკავ-  
რი განაპო კვერთხ-მან ამან: ადვიდა მამისა შიოსა ევაგრე, არა უკუნ-  
მხედველი, ვითარცა ლოთ, სოდომისა, შიშითა არა იქმნეს ძეგლ  
მარილისა <sup>7)</sup>): ასწავა მოთმინება, ლოცვა, უძილობა და ღვაწლი <sup>8)</sup>):  
მონაზონებისა: ამისა შემდგომად ჰქაჩეს წმიდა მან შიომ: „შჯლო  
ევაგრე, გვიდირს ეკკლესიასა, სადაცა უფალსა უნებს <sup>9)</sup>). შეკდრებელი  
დუთისა ადვიდნენ, თავსა კლდისა წვერისასა <sup>10)</sup>) მარცხენასა კელსა

1) T აქ. მისი რამეთუ.

2) T მონადირე ვინმე.

3) T აქ. გამოვიდა სახლით თვისით ციხე-დიდით, ნადირობდა მფრი-  
ნველთა ოდენ: მაშინ.

4) T ორ-გზის გცეს გზა წყალ-მან მან.

5) T განიპოს წყალი.

6) Mon M-it porte განმგებ, qui ne vaut guère mieux.

7) Ces quatre mots manquent à T.

8) T, au lieu de ces most, depuis მოთმინება: ყოველივე სახე.

9) T, უნდეს უფალსა.

10) Manque à T.



საკმეველი და <sup>1)</sup> ცეცხლი დაიყარა <sup>2)</sup>, მარჯვენით ჯუჭარი გამოს-  
ხა <sup>3)</sup>, საკმლის კუამლით წვერ-ჩამობრუნვით იზოფა ადგილი, სადაცა  
ეკკლესია უნებს უფალსა, და აღაშენა საუდარი უფლად წმიდისა  
ღვთისა დედისა: იქმნა მონაზონ ევაგრე, კანითქუა ამბავი მათი, და  
უფელსა გარემოს სოფლებსა მფვიდენ სხუანი ურიცხუნი სუენი.  
და იქმენ მონაზონ <sup>4)</sup>: უფველი საზღო, წყალიცა საზიდი იყო.  
სატვირთავად ჭევანდათ კარაულები: უბრძანა მგელსა, დადგა მგელი  
მწყემსად კარაულთა <sup>5)</sup>: ვითა ერთსა დღეს ბერისა ვისმე კონონი-  
სა კარაული კლდით <sup>6)</sup> კარდაჭრილი მიუსვლელ იქმნა სადგომსა,  
ჭრქუა ბერ-მან მან წმიდასა შიოს: „რა-ესე ჭეავ, ვითარ მგელი  
მწყემსად კარაულთა განაჩინე, ამას შეუჭამიეს:“ ჩვეულ იყო მგე-  
ლი, რა კარაულთა მიიუვანის, ბერთა ჰური დაუნეტვიან, ჭამის, და-  
ტუქსვილი თრთის, და ეჭიდების ზიდვად კალთასა ბერისასა: წა-  
უკლილ-მა ნახს თავსა კლდისასა ნაპრალოთა <sup>7)</sup>, დაგორებული <sup>8)</sup> კა-  
რაული, უსულოდ მგლებარე ჰოვა: თავის-უფალ-ჭეო მგელი, უბრძა-  
ნა <sup>9)</sup>. „ნულა-რა იყოფები სავნებელად ადგილსა ამას: სასწაულნი  
ესე დღეინდელად დღეიმდე ჭვიან, რამეთუ ვერას ავნის ზირ-უტუფ-  
თა ნადირნი ველისანი: სხუანიცა მრავალნი სასწაულნი <sup>10)</sup> აღას-  
რულნა: ამისა შემდგომად მამად ბერთა ევაგრე განაჩინა, თჯთ შთა-  
ვიდა ლაკვასა, მღვიმესა ბნელსა, კაცთა-გან მიუვალსა: ვითარ გა-

1) Ce mot et le précédent manquent á T.

2) T. aj. და მას-ზედა სარკმეველი დაიყარა.

3) T დასწერა.

4) Mon M-it მონაზონებად.

5) Mon M-it უბრძანა მგელთა და მწყესად იდგნეს მგელნი.

6) Mon M-it კლდესა.

7) T ნაპრალოთა კლდისასა.

8) დაგორვეული.

9) T და ჰსთქვა.

10) T aj. რომელნი კნინოდენ აღიწერა წიგნსა ამას. შინა, რომლი-

ნა. სასწაული მისი სრულ ცხოვრებასა შინა მისსა წერილ. არს.

მოთქვას სიმკნე და მოთმინება მისი, ლოცუა <sup>1)</sup>, ეშმაკთა-გან გან-  
საცდელთა შეწყინარება, ცრემლი და ვედრება უფლისა: მას შინა კე-  
თილად აღასრულა ცხოვრება მისი: ითხოვა მღვდლისა მიერ სიწმი-  
დე და წარვიდა <sup>2)</sup> წინაშე უფლისა, და მუნვე მიმღებელ იქმნა <sup>3)</sup>  
სადა ღვაწლი აღასრულა და ჩანან საფლავი დღესით, სასო ქარ-  
ლქსლთა: წლითი-წლად ნაწილნი აღმოცენების, მოწმუნეთა-გან-  
მამკნობელად, და ურწმუნთა განმამკვირვებელად <sup>4)</sup>: ვიდრე სუ-  
ლიერდა იყო, მრავალი სასწაული აღასრულა: დიდსაცა არაგუთა მდი-  
ნარე განაზო, მკელობელი ავლინა, განრისხებული მეფე მშვიდ ჭყო,  
ვნებული არა-წმინდათა-გან განკურნა, უშვილკას შჯლი მიანიჭა, და  
ძე-იგი კათალიკოს ჭყო. და იღვა წმიდა გუამი მისი სამყოფსა და  
საღვაწოსა შინა მღვიმისსა.

დ. იყო მამა წმიდა ისე წილგნელი, მოწაფე წმიდისა მამისა  
იოანესი, რომლისა არა უწყით მშობელნი, არცა ადგილსა: სადაუ-  
რბისა, თხნიერ ესეც კაცით, თანა მოჭყვა იოანესა და მრავლისა  
იძულებითა ქართლისა კათალიკოზ-მან აკურთხა მღვდელთ-მთავრად,  
საყდარსა წმიდისა დგთის-მშობლისსა, ქვეყანასა მუხრანისსა, და  
სოფელსა წილგანისსა: ფრიადნი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა,  
მოძღვრება და ქადაგება განჭვირნა სამწყოსა თვისსა: დაბასა-მას <sup>5)</sup>  
უწყობითა სასო-წარკვეთილ იუენეს, ამის-თვს რამეთუ შორს იყო  
ქსანი. შუა ტყე და მადალი გორა ჭქონდა: ადიდო კვერთხი თვისი,  
დღესა ერთსა, შესრულ-მან, ვედრებისა წარმოქმელ-მან, წინაშე ხატ-

1) T: ცრემლით მოღვაწება, ეშმაკთ ოტებანი, მკელობელნი ავლი-  
ნა, განრისხებული მეფე მშვიდ ყო, ვნებულნი არა-წმინდათაგანნი განკურ-  
ნა, უშვილოთა მიანიჭა და ძე მისი კათალიკოზ... ხოლო ყოველი ცხოვ-  
რება მისი კეთილად აღასრულნა, და შემდგომად ამისა მიიღო სიწმიდე.

2) T აღვიდა.

3) T: სამყოფსა და საღვაწლოსა შინა მიმღებელ.

4) T: რომლისა ნაწილნი წლითი-წლად იხილვების კეთილთა კაც-  
თა-გან, ანგელოზისა მიერ მოტანითა.

5) T ჭქონდა წყალი, რომელსა ჭქვიან ქსანი, შუა ტყე.

სა დედისა ღვთისასა: მიიწია ქნის<sup>1)</sup> ჰიკსა, უბრძანა წყაღსა-მას: „ძლიერებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, და ღვთის-მშობლისა მარიამისათა, გობრძანებ, მდინარეო, გამოვიდ და შემოვიდ კვაღსა ჩემსა<sup>2)</sup>, და მოხდევდი წვეკსა კვერთხისასა:“ უფაღსა და უგზაურსა ალაგსა შემოუდგა, ჰქვეებოდა ვითარცა მონა: წარმოიღო კიდრე წილენის ჩადმა, რომელი დღეინდელად დღედმდე მდინარეობს წყალი იგი: ამისა შემდგომად დუაწლი მრავალი განფინა უფლისა მიერ<sup>3)</sup>, წარვიდა სიხარულითა, მღუღელთ-მოძღუერებისა ჰატოვი ადასრულა, დირსი წმიდა სული შევედრა ღმერთსა; და მიიღო ყოფაღად ჰატოვოსანი გუამი მისი მონასტერსა-მასვე წილენისასა, რომელი აქამომდე ჩანს, სასოღ და შესავედრებულად ქართულთა.

ე. იყო წმიდა მამა ანტონი შუა-მდინარელი და მოწათე მამისა იოანესი: იყო წმიდა ესე განშორებულთა შორის ფრიად სათნოდა წარჩინებულთა: ამან ყოფაღად სასატრელ-მან წმიდა-იგი ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი სახედ ჰირსა თჳსსა ტილასა ზედან გამოხასა, და ავგაროზს სასოება აღუსრულა, და შემდგომად ამაღლებასა, თადეოხისმიერითა კელითა მიუგლინა და განჰქურნა კეთრისა-მის-გან ქვემდებარისა<sup>4)</sup>, და ყოფლითა სახლეულით-მისით ნათელ იღო, თადეოზისმიერითა კელითა, და შემდგომად მისსა ძე კაცისა<sup>5)</sup> ავგაროზისა, და კვაღად შულის შვილისა ძისა-მისისა ენაცვაღნეს მათ მეფობათა ოდენ, და არა ღვთის-მსახურებითა: რამეთუ განდგომილ იქმნეს ღვთის-მსახურებასა, და დამო-

1) T კნისა.

2) T შემომიდეგ, et le reste de la phrase, jusqu'à მონა, manque.

3) T finit ainsi: რომლისა სრულსა დუაწლსა და სასწაულსა სრულცხოვრება მისი მოგვთხრობს. და ამისა შემდგომად თვთ წინაშე უფლისა აღვიდა, და წმიდა გვამი მისი დაიდვა მონასტერსა მასვე წილენისასა, რომელი აწამომდე ჩანს საფლავი მისი, სასოღ და შესავედრებულად ყოველთა ქართველთა.

4) Il faut le nominatif, ქვე-მდებ. რე.

5) Ce mot est tout à-fait parasite.



ნებულ ეშმაკთა საოცრებასა <sup>1)</sup>). რამეთუ რა-იგი ავგაროზს ეყო ეშ-  
მაკთა, და ვითარ შემუსრნა და განუდგა მისი, ენება შურის-გება  
რათა მოუზღოს ეშმაკთა, სახე ძველისა-მის საზოროველისა <sup>2)</sup> დამ-  
კობისა, და მკობათა ხატისა-მის საუფლესათა, რომელი აღმართა  
ავგაროზ ბჭეთა ზედა ქალაქისათა, სადა-იგი ემართა კერზი ბილწი:  
რამეთუ მუნ დაუსვენა ხატი-იგი ტილასი, ფიცართა ზედა გარდა-  
რთხმული, რათა ეოველნი შემავალნი მუნ შინა ხილვით თაყვანის-  
ცემდენ: მაშინ ბილწ-მან წვილის-წულ-მან ავგაროზის-მან აღირჩია  
დღე-კეთილობისა-წილ უსახურება, და ხატი-იგი უარ-ჭყო, და ეშ-  
მაკთა შეუდგა, და იგონა ხატისა-მის ქრისტესისა, რათა წარწედი-  
დოს იგი.

მაშინ ებისკოპოს-მან მის ქალაქისამან გულის-ხმა ჭყო განზ-  
რახვა ბოროტისა-მის, და ჭყო განგება დირსი, და მუმსგავსებული  
მის ჟამისა. რამეთუ სადა-იგი ხატი ესვენა, კამარედად ქმნილ იყო,  
და წმიდა-მან ებისკოპოს-მან დადგა კანდელი აღთებული, საფარვე-  
ლად ტაძრისა-მის, აღმართა კეცი წინა-პირსა ხატისასა, და აღმო-  
ყო-რა <sup>3)</sup> კარი-იგი კამარისა, და შეათარია, რომელ ეოვლად არა  
ეტეობოდა, თუ ერთი რომელ უახლეს არს: და შემდგომად უკანას-  
კნელთა დღეთა და ჟამთა, ხვასრო, სპარსთა მეფე, მოადგა ედესია  
ქალაქსა, და უწყო თხრა ქვეშე ზღუდესა, და ეგრეთ შევიდეს რა-  
მელ ვერა აგრძნან თუ ჰბრძავსო: მაშინ ღმერთ-მან არა დაიდუმა  
უტყუელი აღთქმა, რომელ აღუთქმს, ვითარმედ „ზღუდე ვარ მე  
ედესიისა“, და მშობელისა თვისა მოხეობითა, ევლავიოზს, ების-  
კოპოსსა მის ქალაქისასა, გამოეცხადა დედა ღვთისა და ჰრქმს, ვი-  
თარმედ „მას რომელსამე ბჭესა ზედა არს ხატი-იგი კელით უქმნე-  
ლი და დაფარული:“ და ვითარცა განიდვიდა ებისკოპოს-მან, გუ-  
ლის-ხმა ჭყო ჭეშმარიტით ძილსა შინა ჩვენებულსა-მას, და განთი-

<sup>1)</sup> T საცთურებასა.

<sup>2)</sup> T საზოროელსა; ce mot dérive de l'arméuien, ვ"ჯ, victime, et le h final s'est changé en რ. r.

<sup>3)</sup> Mon M-it აღმოყარა.

ზდ წარვიდა, ლიტანიით, ადგილსა-მას; და ზოგა წმიდა ხატო-იგი უოფლად განურეგნელი, და კანდელი-იგი წინაშე მასსა აღნთებული ეგო, ეგუ-ადენსა ჟამთა სიმრავლესა შინა, და გარდააწვეტეს ზეთი მის კანდელისა მბრძოლთა მათსა ზედან მის ქალაქისათა; და მეუფესუელად, ვითარცა მიახლდა, მიედვა და დაიწვნეს, და ვითარცა მტვერი განიბნივნეს; და უჩინო იქმნეს: ხოლო რომელი იგი კეცი საფარველად მის ხატისა აღმართებულ იყო, მას-ზედა გამოსახულ იყო სხვა ხატი და მსგავსება წმიდისა-მის საუფლოსა ხატისა, რომელი-იგი სწორებით ჰატო-იტეშობოდეს, და ნესტო-რიანთა ეკკლესიასა შინა დაესვენნეს.

მაშინ წმიდა-მან ამან ანტონი-მ იძია მოძღუერისა თვისისა გზა, და ისწავა ჭეშმარიტი, და ცნა რამეთუ წარვიდა სომხითს, ჩრდილოეთით კერძა: სხუათა თანა მოწაფეთა, რომელთა აწ მოვიხსენებთ, და ვით, და დოდო, და შიო ანტიოქიელი, და რვანი სხუანი მოწაფენი იოანესნი, ერთისა საზღუერისანი: ესე ცნა წმიდა-მან ანტონი, აღიძრა ტრფიალებითა მოძღუერისა თვისისათა და ესეცა ეძვინებოდა გულისა თვისისა, რომელ ნესტო-რიანთა ეკკლესიასა შინა იუწუნეს საუფლონი-იგი ხატნი, და აღიუწანა კეცი რომელ საფარველად მის ხატისა უოფილ იყო, და ხატი ქმნულ იყო: ესე უჩინრად წარმოიუწანა <sup>1)</sup>, წინა-ძღობითა ანგელოზისათა და უწიებითა ზე-ცირითა, ჩრდილოეთს, და მიიწია მტკუნარსა ზედა, განვლო იგი და დაემკვიდრა აღმოსავალით, ვითარ ოთხ მილიონ ნახრალსა კლდისასა, შინა-გან მათთა აკრიანთა: იოანეს იხილვიდა ვითარ ხუთ მილიონ, და შიოს ვითარ ცხრა მილიონ, და ვით-დოდოს ათ-სამეტ <sup>2)</sup> მილიონ: ხოლო მუნ-თქვესვე რომელ წმიდისა ამის ანტონის ედგნეს საზრდელად გუამისა თვისისა ირემნი, და იყო მთა უდადი და სერტუიანი და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ, მცირე: და ესე ირემნი წარვიდიან ველსა, და ვითარ ჟამი მოვიდის, შინა მოვიდიან,

1) T წარმოილო,

2) T ათსამე.

წველის <sup>1)</sup>). ვითარ მწეემსნი მოვიდოდეს ესეუელად: ხოლო ერთსა ოდენ ესმის მიიწივნეს უყამოდ და ფრთხინ, და უკან ნუკრი მოსდევდა, კორც-შეკვეთილი, და ესე დაუკვირდა წმიდასა-მას, და თქუა გულისა შინა თვისსა: თუ „სადა ვინ შეემთხვია?“ რამეთუ არა უწყოდა სიახლე <sup>2)</sup> მის ქალაქისა, და მუის ვითარცა კაცთა თვალ-მმრუმედ <sup>3)</sup> ხედვასა თანა ჭრქვა, რა არს ეგე: „და მათ ვითარცა ჰირმეტუქსელთა თავ-მიზიდვით ჭრქვეს. „შემომიდექ და გიჩვენოთ:“ და შეუდგა კუჩასა მათსა, და მიიწია მას ადგილსა სადა-იგი შემთხვეულ იყო მათდა, და აჭა მთავარი მის დაბისა მოვიდოდა ნადირობად და წინა-შემთხვია, და ჭრქუა. „ვინ ხარ:“ ხოლო წმიდა-იგი კელითა უჩვენებდა სადა-იგი იყოფოდა და ყოველსავე საქმესა, რამეთუ ენა არა ესმოდა: მაშინ მთავარ-მან ჭრქუა: „მე შენი არა მესმის, და რამელ-ეგე კელითა მეუბნები ეგეცა მოგვეთხო:“ და ჭრქუა: „წარიუწანეთ მტკედლისა თანა:“ და ვითარცა მიიუწანეს, მტკედელ-მან შანთი გაახურვა, და გამოიღო, რათა კელი მოჭკვეთოს, და დავარდა ქვე, და კელი ვითარცა შეშანი შეექმნეს: მაშინ წმიდა-მან მიჰყო ხელი და ვითარცა ნაკვერცხალი კელითა აღებულ იმუშურა და ჭრქუა: „ჭყავ ადრე ბრძანებული შენდა:“ და იგი განკრთა საშინელსა-მას-ზედა ხილვასა: და მსწრათელ მიუმცნეს მთავარსა, და ჭრქვეს ყოველი ხილული, და მან ბრძანა, რათა წინაშე მისსა მიიუვანონ: და ვითარცა მიიუწანეს, ჭრქუა მას. „რა ჭგნებავს სთქუ, და ყოველი მიგცე:“ ხოლო მცირელი ქვა უჩვენა მან, ვითარ სამეული, და ილოკდა: და ცნეს რამეთუ მარილი უნდა, და მოართვეს ორი ოდენ ქუა განუტეხელი. და მან მოხდინა ერთი ლიტრა და წარვიდა, და ალოკა ფურთა თვისთა: და იყოფოდა ხატსა-მას წინაშე ვიდრე აღსასრულამდე ცნოვრებისა მისისა: და წმიდა-იგი წმიდათა შინა მიიცუა, და ჩვენ დაგვიტევა ხატი-იგი საუფლო, და არს ვიდრე დღეინდელად დღემდე უჩინრად, და სასწაულთა მოქმედებს

1) T წველს.

2) T სახე.

3) T მბრომე.



განცხადებულად, რომელ უადვილეს არს აღრიცხვა ზღვის ქვიშათა ვიდრე საკვირველებათა საუფლეს-მის ხატისათა: გარნა ვინათგან ღმერთ, მხლელ არს მომქმედი სასწაულთა, მანვე მხლელ-მან. უწყის სიმრავლე სასწაულთა მისთა და უკეთუ სოლომონცა იყო, ვერცა მან შეუძლთს აღრიცხვად, თვნიერ ღვთისა მხლელმას. <sup>1)</sup>

ყამსა-მას ოდეს თვთ-მზურობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ჭბრძლდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიანსა, ნათესავსა ხასკუნთასა რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუნა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართულთა მეფესა, და ევედრა რათა შეეწიოს მკედრობასა მისსა, უფლითა ძალითა თვითთა, და ბრძლას უფოს ხასკუნთა. ისმინა უკულ ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა, და დაუტევა ევაგრე, მცველ სამეუფოსა თვსისა. ხლელ თვთ უკულ წარვიდა, და შეწევნითა ღვთისათა დაიმორჩილა ნათესავი-იგი ხასკუნთა. და მთავარნი მათნი უფულები შეზურობილნი წარავლინა წინაშე იუსტინიანესსა. მერე მოქცა თვსადვე სა-მეფოდ.

ოცდამეექვსესა წელსა იუსტინიანეს მეფობისსა, იქმნა კრება მესხეთე, ას სამე-ოც და ხუთთა წმიდათა მამათა-გან, ქრისტეს აქეთ, თვთ, კოსტანტინეზოლის, ვიგილიოს წმიდისა ჭრამთა ზაზისა-ზე, რომლისა წინა-მძღუარ იუზნეს ევტიქიოს კოსტანტინეზოლელი, აზოლინარი ალექსანდრიელი, დომნოს ანტიოქიელი, და ადგილისა აღმავსებელი იერუსალიმელთანი სტეფანოს, გიორგი, და დამიანოს ეპისკოპოსნი. ხლელ შემოკრბეს ორთგვანთა და მის-თანა მიმდგომთა-თვს, დიდიმოს და ევაგრეს-თვს, რომელნიცა შეაჩვენეს ღმ და-ამიგონეს.

<sup>1)</sup> L'écrivain des sept pages précédentes. dans le M-it T, est un certain Giorgi, comme le prouve cette note marginale, d'abord en khoutzouri, puis en grec et en armenien: ღმ მე ფდ ღმ გიორგი აღწერა ესე ფურცელი. *ΓΙΟΡΓΙ*; plus bas *გეორგი* sic. *ამენ* ΑΗΘΣ „Seigneur, aie pitié du très grand pécheur Giorgi, qui a écrit cette feuille; amen.“ Je ne me rends pas compte des quatre dernières lettres.



მათვე უამთა შინა იუსტიანიანეს მეფობისათა, აფხაზნიცა შე-  
იცვალნეს უმჯობესად, და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ქადაგება. რა-  
მეთუ ჰალატსა შინა იუსტიანიანე მეფისსა იყო ვინმე საჭურისი-  
აფხაზი ნათესავით, და ეურატა სახელის-დებით, რომელი წარივლი-  
ნა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა, და აღთქმად, ვითარმედ ამიერი-  
თა ანცა ერთიდა-ვინ ნათესავისა მათისაგანი განკვეთულ იქმნებო-  
დის მამა-კაცობისა-გან, რკინისა მიერ. რამეთუ მრავალნი იუჟნეს  
მათგანნი მსახურ სამეფოსა საწოლისა, რომელთა საჭურის იცის  
წოდება ჩვეულება-მან. ვინცა იუსტიანიანე ტაძარი წმიდისა ღვთის-  
მშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას, მღუღელნი დაად-  
გინნა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ სჯულსა ქრის-  
ტიანობისსა. <sup>1)</sup>

ხოლო ჩვენ ჰირველსავე სიტუვასა მოვიდეთ <sup>2)</sup>: და მეფობით-  
გან მივიან მეფისათა, ვიდრე მეორისა ფარსმანისა, კარდაკდეს წელ-  
ნი ორასი <sup>3)</sup>, და მეფენი კარდაიცვალნეს თოთხმეტი, და ვახტან-  
გისით-გან კათალიკოზნი კარდაიცვალნეს ექუსნი: და მოკჳდა ფარს-  
მან, და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ.

ლწ. მოცდათურამეტე მეფე, ბაკურ, ძე ფარსმან  
მეფისა, ხოსროიანი.

ესე ბაკურ იყო მორწმუნე, და მასშენებელი ეკკლესიათა. ამან  
განმრავლნა ეკკლესიანი და მღუღელნი სამეფოსა შინა თჳსსა, და  
განწმიდა ქართლი ეოვლისა უსჯულთებისა-გან <sup>4)</sup>: და მოკჳდა კათა-  
ლიკოზი ევლავიოზ, და მანვე მეფე-მან დასვა კათალიკოზად მეშჳ-

<sup>1)</sup> Les trois §§ précédents manquent aux M-its T, R.

<sup>2)</sup> Ce commencement ne se trouve que dans le M-it T.

<sup>3)</sup> Mon M-it ორ-ას ორ-მოც და ათი; v. la Traduction.

<sup>4)</sup> T უშჯულოებისაგან.

დე კათალიკოზი, მაკარი: ამისვე უამს მეუობდა სხარსეთს, რომელსა ერქვა ურმიზდ.

და მასვე უამს იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ, და ესვა მას ცოლი მთავართა შვილი, რომელსა ერქვა შუშანიკ, ასული ვარდანისი: ხოლო ამას ვასქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიტევება ცეცხლის-მსახურებად, წარვიდა წინაშე სხარსთა მეფისა, და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის-მსახურ. ხოლო სხარსთა მეფე-მან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა, ერის-თავად რანისა: ვითარ მოვიდა და სცნა ცოლ-მან მის-მან შუშანიკ ქმრისა მისისა-გან დატეგება სჯულისა ქრისტესისა, არღარა ერხდა იგი ცოლად და დაივიწყა სიუწარული ქმრისა თვისისა, და უოფლითა გულთა შეუდგა იგი ქრისტესა, აღსრულებად მცნებათა მისთა: მაშინ ვასქენ შეუდგა მრავალ ღონედ, ზირველ ლიქნითა და ვედრებითა, და ნიჭისა მიტემითა, შემდგომად შეაგდო სატანჯველსა დიდსა, რომელი სიგრიძისა-გან ვერ დაგწერენ ღვაწლნი წმიდისა შუშანიკისანი, და მოკლა იგი ქმარ-მან მისმან ვასქენ, ერის-თავ-მან რანისა-მან.

მაშინ ბაკურ, მეფე-მან ქართუჭლთა-მან, მოუწოდა უოველთა ერის-თავთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვასქენს ზედა, ზარვით<sup>1)</sup>: ხოლო ვასქენ ველსა გარე დგა, კიდესა მტკურისასა; სადა შეერთვის მდინარე ანაკერტისა მტკვარსა, დაესხა და შეიპურა ვასქენ, და დაჭრეს წვრილად ასონი მისნი, და მოკიდეს ხესა: ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიდეს დიდითა ზატივითა, და დათუეს ცოცრტავს: ამან ბაკურ მეფე-მან წარგზავნა მოციქული წინაშე სხარსთა მეფისა, აუწყა ესე უოველი, და ითხრავა მის-გან შენდობა: მაშინ მეფე-მან განიზრახა კონებას, და თქვა: „უკეთუ შევრისხდეთ ქართუჭლთა, განერთნენ იგინი ბერძენთა“: შენდობა აღიძრია. გამოგზავნა მოციქული ბაკურისსა, ზასუხითა კეთილითა, და უოველი გმობა და ბრალობა ვასქენ მოკლეულისა უბრძანა, და ამართლა ბაკურ სიკუდილისა მისისა-თვს და წარ-

1) T პარვით, რამეთუ.

მოგზავნა რწნსა და მოვაკანს სხუა ერის-თავი, რომელსა ერქუა დარეკლ, და უბრძანა რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა.

და მოკუდა კათალიკოზი მაკარი, და მანვე მეფე-მან დასვა მეგრე კათალიკოზი სუმონ კათალიკოზად. და მოკუდა მეფე ბაკურ, და დარჩეს შჯლნი მისნი წყრილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა.

მაშინ მეფე-მან სპარსთა-მან ურმიზდ მისცა ძესა თჳსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარგეზ, და მოვიდა და დაჟდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერის-თავთა ქართლისათა, აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთავთა მათთა მამულეები შვილითი-შვილად და ესრეთ წარბიერნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი თჳს-თჳსად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარგეზს<sup>1)</sup>. და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთოულეთს კახეთისასა. და ნათესავნი მირდატიანი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სამხიითი და ასფურაგანი, დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა.

შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა, იქმნეს შოთონი დითნი სპარსთა შინა, შემოვიდა თურქთა მეფე სპარსეთსა შინა. მოვიდას ბერძენნი, ეწყვნეს სპარსთა, შუა-მდინარესა, იოტნეს<sup>2)</sup>, შევიდას სპარსეთს, დაიწყეს ტეგენვად სპარსეთისა: მაშინ ქასრე ამბარგეზ-მან დაუტევა ქართლი და რანი, წარვიდა შველად მამისსა თჳსისა: ესრეთ-რს უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქულნი წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე ნათესავთა-გან მეფეთა ქართლისათა: რათა იუწუნენ ერის-თავნი-იგინთჳს-თჳსსა საერისთავოსა, შეუტყავლებლად: მაშინ კეისარ-მან აღასრულა თხოვად მათი, და მისცა მეფედ დისწული მირდატიანი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისა, რომელსა ერქუა გვარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს.

1) T აბარგეზსა

2) Lis. აოტნეს.

ლთ. ოცდამეათცხრამეტე მეფე, ქართლისა კურატპალა-  
ტი, გურამ ბაგრატიონი. ხოლო ესე გურამ იყო, დე-  
დით ხოსროიანი, და ძაბით ჰაგრატიონი, და ესე ბა-  
გრატიონიანი შულის შულნი და ნათესავნი არიან ამა  
გურამისნი. და ვიწყოთ ყოველივე ამბაეი ბაგრატიონ-  
თა, თუ ვითარ არიან ნათესავნი დავით წინასწარ-  
მეტყულებისანი და სოლომონისნი, ანუ ვითარ მოიწივნ-  
ნეს ქუჭყანასა ჩუჭნსა: ვიწყოთ აღმით-გან, და წარ-  
მოვითქვათ ყოველი ნათესაობა მათი.<sup>1)</sup>

აღამ შუა სეით, სეით შუა ენოს, ენოს შუა კაინან, კაინან  
შუა მაღეაეღ, მაღაღეღ შუა იარედ, იარედ შუა ენუქ, ენუქ შუა  
მათუსაღა, მათუსაღა შუა ლამეკ, ლამეკ შუა ნოე, ნოე-მ შუა ხემ,  
ხემ შუა არფაქსად, არფაქსად შუა კაინან, კაინან შუა საღა, საღა  
შუა ებერ, ებერ შუა ფაღეგ, ფაღეგ შუა რაგავ, რაგავ შუა სერუქ,  
სერუქ შუა ნაქორ, ნაქორ შუა თარა, თარა შუა აბრამ, აბრამ შუა  
ისაკ, ისაკ შუა იაკობ, იაკობ შუა იუდა, იუდა შუა ფარეზ, ფარეზ  
შუა ესრამ, ესრამ შუა არამ; არამ შუა ამინადაბ, ამინადაბ შუა  
ნასონ, ნასონ შუა სალმონ, სალმონ შუა ბოოს, ბოოს შუა იობედ,  
იობედ შუა იესე, იესე შუა დავით მეფე, დავით მეფე-მან შუა სოლო-  
მონ, სოლომონ შუა რობოამ, რობოამ შუა აბია, აბია შუა ასა, ასა  
შუა იოსაფატ, იოსაფატ შუა იორამ, იორამ შუა რზია, რზია შუა  
იოათამ, იოათამ შუა აქაზ, აქაზ შუა ეზეკია, ეზეკია შუა მანასე,

<sup>1)</sup> Note du M-it T: ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონთა, ჩვენ  
ქართველთა მეფეთასა. თუ სადით მიეწივნეს ამას ქვეყანასა იგინი, ანუ  
რომელით წამით-გან უპყრეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმ-  
ბატ, ძე-მან დავითის-მან, cf. p. 190 cette note remplace ici la rub-  
rique ლთ.



მანასე შუა ამონ, ამონ შუა იოსია, იოსია შუა იეჰეკია, იეჰეკია შუა სალათიელ, სალათიელ შუა ზორაბაბელ, ზორაბაბელ შუა აბიუდ, აბიუდ შუა ელიაკიმ, ელიაკიმ შუა აზორ, აზორ შუა სადუკ, სადუკ შუა აქიმ, აქიმ შუა ელიუდ, ელიუდ შუა ელიაზარ, ელიაზარ შუა მატთან, მატთან შუა იაკობ, იაკობ შუა იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმაჲ კლეოპასი, კლეოპა შუა ნამ, ნამ შუა სალა, სალა შუა რობამ, რობამ შუა მუხთარ, მუხთარ შუა ელიაკიმ, ელიაკიმ შუა ბენიამენ, ბენიამენ შუა იერობემ, იერობემ შუა მოსე, მოსე შუა იუდა, იუდა შუა ელიაზარ, ელიაზარ შუა ლევი, ლევი შუა იოზამ, იოზამ შუა მანასე, მანასე შუა იაკობ. იაკობ შუა მიქია, მიქია შუა იოაკიმ, იოაკიმ შუა იერუბემ <sup>1)</sup>, იერუბემ შუა აბრაამ, აბრაამ შუა იობ, იობ შუა აქაბ, აქაბ შუა სვიმონ, სვიმონ შუა იზაქარ, იზაქარ შუა აბია, აბია შუა გად, გად შუა ასერ, ასერ შუა ისაკ, ისაკ შუა დან, დან შუა სოლომონ, სოლომონ შუა შვიდნი ძმანი. რამელები-იგი მოსცნა ღმერთ-მან ტუჟებდასა შინა.

და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქვეყანით ფილისტიმით, ტუვეობით წარმოსრულნი ჰურიანი <sup>2)</sup>, და მოიწივნეს კელეტს, წინაშე რაქაელ დედოფლისა <sup>3)</sup>, და ნათელიდეს <sup>4)</sup> კელითა რაქაელ დედოფლისათა: ერთი მათგანი შემოიყვანა

1) T იურობემ.

2) Manque à T, depuis წარმოვიდეს.

3) T aj. მის-გან.

4) T aj. დაშთეს იგინი ქვეყანასა სომხითისასა, და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხეთს: და ოთხნი მათნი ძმანი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელით გურამ, განაჩინეს ერის-თავად, და ესე არს ერის-თავი ქართლისა და მამაჲ ბაგრატიონთა: და ესე ბაგრატიონიანი, შკლის შკლნი და ნათესავნი არიან გურამისნი. ხოლო ძმაჲ მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზანა იგი ნერსეს, და სხვანი ორნი-იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარზავარდ, წარვიდეს კამბეჩიანს და, მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი, და დაიპყრეს კამბეჩიანი. და დასხდეს მუნ იგინი, ცხოვრებად ხორნაბუჯს: და ამა ყამამდე შკლნი მათნი მთავრობენ მას შინა;

ხოლო ვინათ-გან მოაკლდა მეფობაჲ შკლთა გორგასლისათა, მით

სიძედ, და ორნი მათგანნი ამზახნა სომეხთა მეფეთა. ხოლო ოთხნი ესე ძმანი გურამ, სანჯაკ, ასამ, და ვარზაფარდ წარმოემართნეს ქართლს: მაშინ ვინათ-გან მოაკლდა მეფობა შჯლთა გორგასლისათა, მით ჟამით-გან უფლება ეპყრა ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე, არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა, ბორცოტთა საქმეთა მათთა-გან: მას ჟამსა მცხეთა აღთხელდებოდა, და ტფილისი აღშენდებოდა. არმაზი შემცირდებოდა, და კალა განდიდდებოდა, და სზარსთა დაეპყრა სომხითი, ქართლი და ასფურკაცანი: ხოლო მაშინ, ვითარ უცალო იქმნნეს სზარსნი, ითხრავს ქართუჭლთა ბერძენთ მეფისა-გან მეფე ქართლისად: მაშინ კეისარ-მან მოსცა ესე გუარამ კურატპალატი, რამეთუ მანვე კეისარ-მან მოსცა ჰატივად

ჟამით-გან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა, ბორცოტთა საქმეთა-მათთაგან: მას ჟამსა მცხეთას კათალიკოზი იყო სვმონ, პეტრე. და მცხეთა აღთხელდებოდა, და ტფილისი აღშენდებოდა. არმაზი შემცირდებოდა, და კალა განდიდდებოდა. და სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხეთს, სივნიეთს. ასპურაგანს.

მოკჳდა კათალიკოზი სვმონ, და დაჯდა კათალიკოზად სამოქლო.

მას ჟამსა იყო კათალიკოზი მცხეთას სამოქლო, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გურამ, დავითის ნათესავისა-გან, მოწვევნიული ძმათა მისთა თანა. ასამს და ვარზაფარდს, რომელნი-იგი ზემო ვახსენენით: ესენი წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი მონათლნა რაქაელ დედოფალმან, ძმანი შვილნი ჰურიანი, ტყვეობით მოსრულნი, ქვეყანით ფილისტიმით, და ნათელ-იდეს ეკლესს, კელითა რაქაელ დედოფლისათა, რომელ-მან სამთა მათგანთა უცვალა სახელი. რამეთუ ერთსა სახელი ედვა მუშელ, და ერთსა ბაგრატი, რომელ არს მამა ბაგრატიონთა. ერთსა აბგავარ ერთი შემოიყვანა სიძედ, და ორი მათგანნი ამზახნა სომეხთ მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვახსენეთ, და გურამ განაჩინეს ერისთავად.

მეოცდაათცხრამეტე მეფე. გურამ კურატპალატი ქართლისა, ბაგრატიონი: ხოლო ესე გურამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატიონიანი შჯლისა შჯლნი და ნათესავნი არიან მამა გურამ კურატპალატისა. ხოლო ამას გურამს მისცა კეისარ-მან ჰატივად კურატპალატობად, და წარმოგზავნა მცხეთას. ხოლო შვილნი ბაკურ მეფისანი, suiv. p. 137.

კურატვალატობა, და წარმოგზავნა მცხეთად. ხოლო სამნი-იგი ძმანი ამის გუარამისნი წარვიდეს კახეთს. და სჯაკ დაემზახლა ბაკურს, ძესა ნერსესსა. ხოლო ასამ და ვარზავარდ წარვიდეს კამბეჩიანს, და კარდაუქციეს ერი ვეზანს, ერის-თავსა ბაჰარ-ჩუბინისსა სპარსთასა, და მოკლეს ვეზან; და დაიპყრეს მათ კამბეჩიანი. და დასხდებოდეს მუნ და ცხონდებოდეს ხონნაბუჯს, და ამა უამაძლე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა: ხოლო ამის გუარამის-ზე მოკჳდა კათალიკოზი სუმონ, და დღესჯდა კათალიკოზად სამოელ.

და შჯლნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დანისნი, ვახტანგის ძასანი, რომელისა-თჳს მიეცა მეფობაჲ ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთსა, და დაიპყრეს კახეთი და ჭყრეთი, იორით-გან, და დასხდეს უჯარმისა, და იუჳნეს მორჩილებასა გუარამ კურატვალატისსა: მაშინ კეისარ-მან წარმოსცა განძი დიდ-ძალი გუარამ კურატვალატის თანა, და უბრძანა რათა მით განკითხა გამოიუჳანეს ჩრდილს ჯაშქარნი და შეაერთეს მათ-თანა სპანი ქართველისანი, და შეგზავნეს სპარსეთს: ხოლო გუარამ ჰყო ეგრეთ. გამოიუჳანსა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუნა წინა ერის-თავნი ქართველისანი: შევიდეს ადარბადაგანს და დაუწყეს ტუგენვად, და ესე-ვითარნი ჭირნი და უცალოებანა მოიწივნეს სპარსთა ზედა. მაშინ გამოჩნდა კაცი ერთი სპარსეთს, რომელსა ერქჳა ბარამ ჩუბინი <sup>1)</sup>, ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შესრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლა თურქთა მეფე და იოტა ბანაკი მათი: ხოლო სპანი-იგი ბერძენთანი; რომელნი შესრულ იუვნეს სპარსეთს, შეიქცეს და წარვიდეს შინა, და დარჩომილნი-იგი, გუარამ კურატვალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა. რამეთუ ვინათ-გან მოიცაღეს სპარსთ თურქთა-გან, შეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთა-გან: მაშინ იწყო <sup>2)</sup>. გუარამ კურატვალატ-მან ციხეთა და ქალაქთა მაგრებად: და კვალად წყალობა ყო დმერთ--მან ქრისტეანეთა ზედა. და სხჳა შუღლი და-

<sup>1)</sup> T ჩუბანი.

<sup>2)</sup> T ამ ნ. გვარამ... იწყო.



ვარდა სპარსეთს, რამეთუ იგივე ბარამ ჩუბინი, გადგა სპარსთა მეფესა და დასწევს თჳსნი ურმიზდს მეფესა და ცოლის ძმათა მისთა, და იწევს ბრძოლად ჩუბინ-მან და ქასრე-მ ამბარვეზ-მან <sup>1)</sup>): იოტა ქასრე ჩუბინისა-გან, და წარვიდა საბერძნეთს. მაშინ კეისარ-მან მავრიკ მისცა ასული თჳსი ცოლად ქასრე ამბარვეზსა, და მისცა სპაჲ თჳსი, და წარმოგზავნა ჩუბინსა ზედა: იოტა ჩუბინი სპარსეთით, და ქასრე-მ ამბარვეზ-მან დაიპყრა ყოველი სპარსეთი: მაშინ მავრიკ კეისარ-მან, იურვა ქართლელთა-თჳს ქასრეს თანა, და ჰქრქვა: „ვინათ-გან დაუტყობიათ <sup>2)</sup> ქართლელთა კერპთ-მსახურებაჲ, მუნით-გან მორჩილნი არიან ბერძენთა. რამეთუ ჟამსა შინა მძლავრებისა-გან თქმულებისა იქმნეს განრყენილ ქართლი, და თუ არა სხჳა <sup>3)</sup> სამართალი თქმულები არა-რაჲ არს ქართლსა ზედა: აწ ბრძანებიათ ღვთისათა, ვინათ-გან სრულსა სიუწარულსა ზედა ვართ მე და შენ, იყოს ქართლი ჩვენ შორის თავის-უთაჲ, მშვიდობით, რამეთუ <sup>4)</sup> მე ვარ მორჩილი და მწე ყოველთა ქართლელთა და ყოველთა ქრისტიანეთა.“

მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა, და განთავისუფლდეს ქართლელი, და ესე გუარამ კურატპალატი დაადგრა ბერძენთა მორჩილობასა ზედა: იყო ესე გუარამ <sup>5)</sup> კაცი მორწმუნე და მამულებელი ეკლესიასათა. ამან იწყო ეკლესიასა ჟჳარისა პატრიარქისისა, და აქამომდე ჟვარი ველსა ზედა იყო, და უქმნა ეკლესიასა წელთამდის ოდენ: და კვლად ამანვე კურატპალატ-მან განახლდა საფუძველი ტფილისის სიონისა, რომელ შემდგომად ამის გუარამისა, განასრულეს აღშენებაჲ ტფილისის სიონისა, ნახევარი ერთ-მან ვინმე ქვრივ-მან დედა-კაც-მან, და ნახევარი ყოველ-მან ერთ-მან, ჟამსა პირველისა ადარნასე მთავრისისა, და იგი ადარნასეცა შეეწია აღშენებასა მისისა:

---

1) Manque à T, ici et plus bas, plusieurs fois.

2) T დაუტყვობიათ.

3) Manque à T.

4) Manque à T.

5) Deux mots manquent à T.

რამეთუ ნათესავნი მორწმუნისა მირიან მეფისანი ყოველნივე ეკკლე-  
სიათა მასწებებელნი იუწენეს. <sup>1)</sup>

და მეფობდა ესე გუარამ კურატპალატი კეთილად და უშფოთ-  
ველად. არამედ ქართლისა ერის-თავნი ვერ სტვალნა საერისთავთა-  
გან მათთა. რამეთუ სპარსთა მეფისა-გან და ბერძენთა მეფისა-გან  
ჰქონდათ სიგეელნი მკვიდრობისანი საერისთოთა მათთა, არამედ იუწენეს  
მორჩილებასა გუარამ კურატპალატისასა.

ხოლო ამას გუარამ კურატპალატსა ესხნეს ძენი, რომელთა  
ეწოდებოდა სახეჲად, ერთსა სტეფანოზ, და მეორესა დემეტრე: და <sup>2)</sup>  
მასვე-ზე მოკუდა კათალიკოზი სამოელ, და ამანვე კურატპალატ-მან  
დასვა კათალიკოზად სამოელვე მეთე კათალიკოზი. და ამისსა შემ-  
დგომად მოკუდა გუარამ კურატპალატი, და მის-წილ მეფე იქმნა <sup>3)</sup>  
ქვე მისი სტეფანოზ.

---

<sup>1)</sup> Manque à T. depuis კვალად ამანვე, Note: ამ გუარამ პანკ-  
რატიონისა და დიდათ სახელოვანმა ყოველსა შინა, აღაშენა ჯვარის ეკ-  
ლესია და საფუძველი ტფილისისა განაახლაო.

<sup>2)</sup> და მოკუდა კათალიკოზი სამოელ, და ამან გუარამ კურატპალატ-  
მან დასვა მეთე კათალიკოზად სამოელვე, ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყ-  
ყვასა ზედა მოვიდეთ:

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს, და საჰაკ დაემზახა ბაკურს,  
ძესა ნერსესისა, ხოლო ასამ და ვარზავარდ წარვიდეს კამბეჩიანს, და გარ-  
დაუქციეს ერი ვეზანს, ერის-თავს ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოჰკლეს, და  
დაიპყრეს მათ კამბეჩიანი: და იყო მას ჟამსა მცხეთას კათალიკოზი სამო-  
ელ. და ამის-ზედა ტფილისის მკვდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლის  
ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი: და  
ამანვე კურატპალატ-მანცა განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა. რა-  
მეთუ ნათესავნი მირიან მეფისა მორწმუნისანი ყოველნივე ეკლესიათა მა-  
შენებელნი იყვნეს: Telle est la rédaction du M-it T; v. la Traduc-  
tion.

<sup>3)</sup> T დაჯდა ძე მისი.

მ. მეორმოცე ერის-თავთა მთავარი ქართლისა, სტეფანოზ, ძე გუარამ კურატზალატისა<sup>1)</sup>.

ხოლო ამან სტეფანოზ მეფობისა სასელი ვერ იკადრა, სზარს-თა და ბერძენთა შიშისა-გან, არამედ ერის-თავთ მთავრად ხადოდეს. და მის-ზე მოჴდა კათალიკოზი სამოელ, და ამან სტეფანოზ დასვა მეთერთმეტე კათალიკოზი ბართლომე კათალიკოზად: ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღვთისა, არა მსახურა ღმერთსა, არცა ჭმატა ჭსჯუღსა და ეკკლესიათა.

და ამის-ზე იქმნა შოგთი დიდი საბერძენთს, რამეთუ მავრიკ კეისარსა განუღვა ფოკას მკედარი, და მოკლა მავრიკ კეისარი და შჯლნი მისნი, და იზურა საბერძენთი ფოკას მკედარმან: მაშინ სიძემან კეისარისა-მან ქასრე, სზარსთა მეფე-მან, იწყო ძებნად სისხლთა ცოლის ძმათა და სიმამრისა მისისათა, შესჯგად და ტევენვად<sup>2)</sup> საბერძენთს: განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინა-აღუღვა ფოკა კეისარი. ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სზარსთასა, განუღვა ბერძენთა და მიექცა სზარსთა: მას ჟამსა მანვე ქასრე მეფე-მან წარმოსტევენა იერუსალიმი და წარმოიღო ძელი ცსოვრებისა: და შემდგომად ამისსა აღიღო ღმერთ-მან კელი წყალბობისა ქასრესა-გან, შეიზურა ძე-მან მის-მან, შესვა იგი საზურობილესა ბნელსა<sup>3)</sup> და მოკჴდა სენითა ბოროტითა.

ხოლო ამის სტეფანოზის ძე მცხეთას მოაკლებოდა და კალა აღშენდებოდა. ტოფილისი განძლიერდებოდა, და არმაზი აღთხელდებოდა: ძმა სტეფანოზისი სახელით დემეტრე, აშენებდა ეკლესიასა ჯჴარისა ჰატიფოსნისსა. რამეთუ სენიცა იყო მის-თანა ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკკლესიისსა: და სტეფანო-

<sup>1)</sup> Cette rubrique manque ici à T, mais on l'a vue plus haut dans une note.

<sup>2)</sup> T ტყვევად.

<sup>3)</sup> Manque à T.

ნოზ მთავრობდა უოგელს ქართლსა, და დაჯდა თფილისს, და მორ-  
ჩილობდა იგი სპარსთა: ხოლო ამისსა შემდგომად რა-ოდენთამე წე-  
ლიწადთა გამოჩნდა საბერძნეთ კაცი ერთი, თჳსი მავრიკ კეისრისა,  
სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფოკა კეისარი, და დაიპყრა საბერძნე-  
თი: განძლიერდა იგი და მიიუქნა დასავლეთით თურქნი, და შეკ-  
რიბნა სპანი ურიცხნი, და წარმოემართა სპარსეთად, ძებნად ძელისა  
ცხოვრებისასა: და მოვიდა ზირველად ზემო-ქართლს<sup>1)</sup>, სამცხეს, და  
ესმა სასწაულთ-მოქმედება ხატისა-მის, რომელი წმიდასა ღვთის-  
მშობელსა გამოესახა, და მიეცა ზირველ-წოდებულისა ანდრიას-თჳს,  
და მას მოესვენა და დაესვენებინა. მცირეს ეკვდერსა შინა, აწვეურს:  
მოვიდა კეისარი ერაკლე, ხილვად და თაუქანის-ცემად ხატისა-მის:  
მაშინ იწუო ერაკლე აწვეურს დიდისა საყდრისა საძირკველისა ჩაგდე-  
ბად და შენებად, ვიდრემდის მიერთ-გან განსრულდა, მორწმუნეთა  
ვაცთა მიერ, და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ.

მაშინ ამან სტეფანოზ არა ინება განდგომას სპარსთა, განამაგრ-  
ნა ციხენი და ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა: მოვიდა  
ერეკლე კეისარი, და მოადგა ტფილისსა: ხოლო სტეფანოზ იყო  
ქველი მკედარი, და შემმართებელი. დღეთა უოგელთა გამოვიდის  
კართა ქალაქისათა. და ებრძოდის ბერძენთა, მაშინ უკუწ მას წუო-  
ბასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ, და მოკლეს, და დაიპყრა კეისარ-  
მან ტფილისი: ხოლო ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი, და არა მო-  
ერთნეს მეფესა, და ციხის გამოღმართ<sup>2)</sup> ციხის თავ-მან კმა ჭუო<sup>3)</sup>  
და ჭრქუა მეფესა ესრეთ. „კაცისა წვერნი გასხენ<sup>4)</sup> და კაც-ბორო-  
ტისა კისერ გაქუს:“ მაშინ ვითარცა<sup>5)</sup> ესმა სიტუქა ესე ერეკლე  
მეფესა, განრისხნა მის-თჳს და ბრძანა: „დადაცათუ კაც-მან ამან ბას-

1) T ქართლს; et ce mot remplace toute la phrase jusqu'à მაშინ  
ამან სტეფანოზ, 4 lignes plus bas.

2) T და დადგა გამართებოთა ციხესა კალისასა, და.

3) T აქ. ციხის გადმოღმართ აგინა ერეკლე მეფესა.

4) T როსელსა გასხენ წვერნი კაცისანი.

5) Manque à T.



რბრთ მრქჳა მე ვაცბოტობა, აჩამედ აჩა აჩს სიტუჳაჲ მისი ტუდ:“ და მოიღო წიგნი დანიელ წინასწარმეტუჳეელისა, და ჰოვა მას შინა წერილი ესრეთ: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა, და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი:“ მაშინ განიხარა კეისარ-მან და დაიდარსტურა, რამეთუ უოველივე განემარჯუებოდა: მაშინ მოუწოდა კეისარ-მან ძეს ბაკურისასა, ქართუშლთ მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რამელი ერისთობდა კახეთს, რომელსა ეწოდებოდა სახელად ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობაჲ ქართლისა, და დაუტევა მისთანა ერის-თავი, რომელსა ერქჳა ჯიბლა, ბრძოლად კალისა. <sup>1)</sup>

მა. მეორმოცდაერთი მთავარი ქართლინა, ადარნასე, მე მესამე ბაკურ მეფისა <sup>2)</sup>, ხოსროიანი.

ხოლო <sup>3)</sup> ამან ადარნასე-მ, მთავარ-მან ქართლის-მან, და ერის-თავ-მან ჯიბლუ-მ <sup>4)</sup> უწუეს ბრძოლად ციხეს კალისისასა. და კეისარ-

<sup>1)</sup> Manque à T. depuis და დაუტევა; mais cela se retrouve plus bas, au commencement d'Adarnasé: à tort.

<sup>2)</sup> T ბაკურისი.

<sup>3)</sup> და ჰრქვა მეფე-მან მბასრობელსა თვისსა: „უკეთუ იყო ჩემდა სიტუჳა-იგი. კადრებისათვის ჩემისა მისაგებელი ორ-კეც დაგიტეო შენ: და დეუტევა ტფილის მის-თანა ერის-თავი, რომელსა ერქვა ჯიბლუ, და უბრძანა ბოძოლად კალისა, და თვთ წარემართა... Cette phrase est incohérente; et ce qui grouve que le M-it T a dû être arrangé ici, c'est qu'un feuillet a été déchiré, dont il ne reste qu'un ouglet, sans que l'écriture soit changée ni le sens interrompu, entre les mots აღმოსავლისნი. et მაშინ განიხარა; v. suprà, 4 lignes plus haut.

<sup>4)</sup> Cette leçon, dans le M-it R, remplace ჯიბულ, du mien, et toute la phrase, depuis le commencement, jussqu'au mot კეისარი, manque à T.

რი წარემართა ბაღდადს: ზირველად <sup>1)</sup> მივიდა კარდაბანს, ხარაზ გაგელისა, და დაილაშქრა ადგილსა-მას, რომელსა ჭრქვან სუზაშენი, და ნათელ-სტა ერაკლე-მ ერის-თავსა ვარაზს კაკელსა და ყოველსა ერსა მისსა: და იწყო შენებად ეკკლესიისა, რომელი-იგი უბრწუნ-ვალეს არს ყოველთა ეკკლესიათა, და მუნით <sup>2)</sup> წარვიდა ბერდუჯს, და დადგა გულისა სოფლისსა, და აღმართა ჯუარი ქვისა, და დადგა საფუძველი წმიდისა ღვთის-მშობლისა ეკკლესიად, და აღსრულა გუმბათი მისი: და მუნით მივიდა ჯალს, და უწოდა მეწიკევეხელთა მთავარსა და ნათელ-სტა, და წარვიდა მუნით ბაღდადს. <sup>3)</sup>

ხოლო მან ერის-თავ-მან ჯიბღუ-მ და ადარხანს, ქართლის მთავარ-მან, გამოიდეს ციხე კალისა და შეიპყრეს ციხის თავი-იგი. ხოლო <sup>4)</sup> ამან ერის-თავ-მან ჯიბღუ <sup>5)</sup> ზირველად ზირი დრახტკნით აღუვსო, რომელ სიტუვითა მისითა კეისარ-მან განიხარა, რომელი თქვა სადიდებელი მეფისა ერაკლესი. ხოლო კადრებისა-მის-თვს მეფისა უყო ესე ყოველი <sup>6)</sup>. ტყავი განკადა და მეფესა <sup>7)</sup> მისწია კარდაბანს, ვარაზ გაგელისსა <sup>8)</sup> და ესე-ვითარითა სიკუდილითა წარკეცნეს სტეფანოზ და მისნი მსახურნი. ამის-თვს უყო ღმერთ-მან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღვთისათა ცხონდებოდა, არამედ მოწმუნეთა ემტერებოდა, და ურწმუნოთა ჭმყოფრობდა.

<sup>1)</sup> T და.

<sup>2)</sup> Manque à T.

<sup>3)</sup> Manque T, depuis და მუნით.

<sup>4)</sup> Depuis, ხოლო მან jusqu'ici, on lit M-it T: ხოლო მან ერის-თავ-მან ჯიბღუ-მ მცირეთა დღეთა წარიღო კალა და ციხე-იგი ტფილისისა გამოიღო და ციხის თავი-იგი შეიპყრა ამან ერის-თავ-მან. „Cependant l'érisshaw Djibghou prit, en peu de jours, la citadelle de Cala, s'empara de celle de Tphilis et de la personne du commandant.“

<sup>5)</sup> Manque à T.

<sup>6)</sup> Au lieu de cette phrase, les autres M-its portent: „et après cela...“

<sup>7)</sup> M-its კეისარს უკან.

<sup>8)</sup> Aulieu de ce mot et de ce qui suit, les M-ist portent კადრებისა-თვს უყო ყოველი ესე მან.

ხელთ მამინ კვალად წარიდეს ბერძენთა სსზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს ზირი, და შუღნი სტეფანობისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, და სხუა უოველი ქართლი დაიხურა აღნარსე, ბაკურის-ძემან, მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა, და ერის-თავნი იუჟნეს თვს თვსსა საერისთოსა: მამინ მკვდრობდეს და მორჩილობდეს აღნარსე მთავარსა: და მოკუდა კათალიკოზი ბართლომე, და ამან აღნარსე-მ დასვა კათალიკოზად იოანე <sup>1)</sup>. და წარგზავნეს ანტიოქიას, და მის-თანა მონაზონი ერთი მოციქულათადა და საგურთხეველათადა. რამეთუ განწესებულ იყო გურთხევა ანტიოქიით კათალიკოზისა, და ვერ-ღარავის კელ-ეწიოებოდა ხელად გზასა ანტიოქისსა: ამის-თვს დიდობრუნვა აქვინდა ქართულთა: ხოლო დღეთა თეოფილასკტე, ანტიოქელ ზატრიასისა, წარავლინეს მოციქულნი და მივიდენ წინაშე თეოფილასკტე, ანტიოქელ ზატრიასისა, და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილასკტეს ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვდრნი ქართულთა სოფლებისანი, რამეთუ დღით-გან ნეტარისა ანასტასი მღჳდელ-მოწამისათა არა გურთხეულ არს, სიძნელისა-თვს გზათსა: ხოლო მან ჭყო საზოგადო კრება, და განაჩინა, ბჭობითა კრებისათა, მთავარ-ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვსთა თანა, რათა შეკრებოდენ ეპისკოპოსნი სამრეკლესა მისისანი, და აგურთხედენ კათალიკოზსა, ჟამითი-ჟამად, რომელიცა სამღმერთთ-მან მადლ-მან უჩვენოს მათ, და რომელი გამოიჩინონ და სთნდეს მეფესა და ეპისკოპოსთა, და ერსა და მოუჟსთა მის ეკკლესიისათა და შეუქმნა მათ აღწერილი მოსახსენებელი თავისა თვსისა-თვს და მუნ შემოკრებულისა კრებისა-თვს, და კელთა-დასხმულ ჭყო ერთობრთა-მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე, მის ჟამისა კათალიკოზად მათდა: ხოლო ამან ანტიოქიის კრებასა შინა გაპატრონდა და განთავისუფლდა მათ-გან კათალიკოზი: რამე-

<sup>1)</sup> Cette phrase manque au M-it. T, et ce qui suit, aux M-it R, T, mais se trouve avec beaucoup de variantes, dans ce dernier, à la p. 143; v. la Traduction.



მეთუ კელ ქვეით აღარ არის ზატრიაჩხთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თჳსნი ეპისკოპოსნი აკურთხებენ, და მიერით-გან განეფინა ქვეყანასა ზედა ვითარმედ განთავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქიისასა: მაშინ უკუჩ<sup>1</sup> იოანე გუთელ ეპისკოპოსი თჳსისა სამწყოსსა და ერისა მიერ მოიფლინა ქართლად, და ქართლისა კათალიკოზისა იოანეს მიერ მიიღო კელთ-დასხმა, მცხეთას. რამეთუ მას უამსა საბერძენთისა კერძონი ხატოა ბრძოლისა წვაღებასა დაეპურნეს: მოკუდა კვალად კათალიკოზი იოანე, და ამანვე აღარხასე-მ დასვა ბაბილას კათალიკოზად. <sup>1</sup>)

ხოლო ერეკლე კეისარი შევიდა <sup>2</sup>) ბაღდადს, შეიპყრა ხვასრო, და მოაღებინა ძელი ცხოვრებისა, და მოკლა ხვასრო, და იწყო შენებად იერუსალიმისა. და დასვა მოდისტოს ზატრიაქად: და წარუღო ბაღდადი და უკ-მოიარა გზა ქართლისავე, წელსა შეშვიდესა, რადგან ჩაეგლო. და ეკვლესია ჯუარისა ზატეფოსნისა და სიონი ტფილისისა განესრულნეს აღარხასე, ქართლისა მთავარსა: მაშინ <sup>3</sup>) ერეკლე შეფე-მან ტფილისს, მცხეთას და უჯარმოს, ქადაგნი განავლინა, რათა უფელნი ქრისტეანენი ეკვლესიას შევიდნენ, და უფელნი მოკუნი და ცეცხლის-მსახურნი, რომელნიცა არა მოინათლნენ; მოისრნენ: ხოლო მათ ნათლის-ღება არა ინებეს, არამედ ზაკვით აღერინნეს ქრისტეანეთა თანა, და მიაწიეს უფელთა მათ-ზედა მსხვილი: და ეკვლესიათა შინა მდინარენი სისხლთანა დიოდეს, და განწმიდა სჯული ქრისტეს ღვთისა ჩვენისა: მაშინ წარმოვიდა ერეკლე

<sup>1</sup>) Fin de ce qui manque aux M-its R. T.

<sup>2</sup>) T აქ. სპარსეთს და გამოიღო.

<sup>3</sup>) Rédaction du M-it T: და წარმოემართა აქათვე უკმოიარა, რათა გან ჩავლო გზა ქართლისავე და ვიდრე მოხლვადმდე მისსა ტფილისის ეკლესია სიონი განესრულათ. ხოლო ჯუარისა ეკლესიას აკლდა: და ამან ერეკლე... „Parti de-là, il revint sur ses pas et reprit la route du Karthli. Avant son entrée à Tiflis, l'église de Sion était achevée, mais il manquait quelque chose à celle de la Croix.“ V. la Traduction et les variantes qui en résultent.

მეფე სამეფოდვე თვსად<sup>1)</sup> და წარიტანა თანა, მანგლისით და ერუ-  
შეთით, ფერკთა ფიტარნი, და სამსჭუალნი უფლისა ჩვენისა იესო-  
ქრისტესი, რომელი მოცემულ იუენეს კონსტანტინესა-გან მირიან მე-  
ფისადა. მაშინ<sup>2)</sup> შეწუხდა ადარნასე, ქართლისა მთავარი, ვეკდრე-  
ბოდა რათა არა წარხიზნეს კეისარ-მან<sup>3)</sup> ნიჭნი იგი ღვთისამიერნი,  
არამედ არა ისინი კეისარ-მან ვეკდრებაჲ მისი, და წარხიზნა თანა.

ხოლო ამა ადარნასე-ზე გარდაიცვალა კათალიკოზი ბაბილა,  
მანვე ადარნასე დასვა კათალიკოზად თაბორ<sup>4)</sup>: და შემდგომად ამის-  
სა<sup>5)</sup> მოკრდა ადარნასე მთავარი, და<sup>6)</sup> მის-წილ დაჯდა ძე მისი  
სტეფანოზ.

---

მბ. ორმოცდაშვიტე<sup>7)</sup> მთავარი ქართლისა, მეორე  
სტეფანოზ, ძე ადარნასე მთავრისა, სოსროიანი.

ხოლო ესე სტეფანოზ იყო, უმეტეს უოველთა ქართლის მე-  
ფეთა და მთავართა, მორწმუნე და განმწმუნდელი სჯულისა, მაშე-  
ნებელი ეკკლესიათა, და მან მოადგნა ზღუდენი ეკკლესიასა ჯვარისა.  
პატიოსნისასა, და ადაშენა დარბაზნი, და დაუწერა კრება უოველთა:  
პარასკევთა, და მან შეკრიბნა უოველნი ებისკოპოზნი და მღჳდელ-  
ნი მის კარისანი კათალიკოზსა თანა, წინაჲე პატიოსნისა ჯვარისა,  
და ადიდინ პარასკევ, ვითარცა დიდი პარასკევი: ხოლო სკათალი-

---

1) M its წარვიდა, sans rien de plus.

2) Omis, T.

3) Omis T.

4) T: გარდაიცვალნეს სამნი კათალიკოზნი, მეათოთხმეტე კათალი-  
კოზი იოანე, ბაბილა, დაბორ.

5) Ce mot et le précédent manquent à T.

6) T და დადგა ძე მ. ხ.

7) T ორი.

კოზო არნ კრება უფუელთა ხუთ-შაბათთა, და ადიდიან წმიდაჲ სიონი, და ვითარცა დიდსა ხუთ-შაბათსა, საიდუმლოსს თან კარცითა და სისხლითა <sup>1)</sup>). ქრისტესითა: ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსსა არნ კრებაჲ უფუელთა შაბათთა, და კსენებაჲ ჰირველ-მოწამის სტეფანესი და უფუელთა მოწამეთა, და დიდისა-მის განძლიერების სპარსთასსა, რომელი წამებულ იყო <sup>2)</sup>) აბიბოს, ნეკრესელი ეპისკოპოსი, რომელ-მან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგვსა აღმოსავლითა: ხოლო ჰატიოსანი გუამი მისი, დადგეს მცხეთას, საეპისკოპოსოსსა, სამარხისა ეპისკოპოსოსსა. და დღე-სასწაულსა მისსა უფროს უფუელთა დღე-სასწაულდა შეკრბიან და ადიდიან ღმერთი.

სტეფანოზ დაჯდა ტფილისს ცხავრებად, და კათალიკოზი იყო სამოქალ და ენონ, და მის-ზე ქიჭუნას ქართლის აღწერეს, და წარიდეს საბერძნეთს: ხოლო მოიწია ამბავი ვითარმედ ბაღდადს დაიბურეს აგარიანთა. <sup>3)</sup>)

მათ უამთა უკვე გამჩინებულ იყო მსჭმელ, ნათესავი ისმაილისი, მოძღვარი სარკინოზთა სჯულისა, და უფული არაბია და იამანეთი დაიბურა, და მოკუდა იგი, და დადგა მის-წილ აბუბექირ, და შევიდა სპარსეთს: რამეთუ ვინათ-გან შესრულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს, განერყუნა სპარსეთი და აღარა-ვინ იყო წინა-აღმდგომი მისი სპარსეთს შინა: ამან აბუბექირ აგარიან-მან დაიბურა სპარსეთი, შევიდა ბაღდადს და უმრავლესთა მძლავრებით დაატეობინა ცეცხლის-მსახურებაჲ, და მოაქცივნა ცეცხლის-მსახურნი-იგი სარკინოზად: და მოკუდა იგი, და დადგა მის-წილ რმარ, და უმეტეს განძლიერდა იგი: მაშინ უთხრეს მეფეს ერაკლეს, ვითარმედ შემოვლენ აგარიანნი შამად და ჯაზირეთად, რომელ არს შუა-მდინარე, და გამოვიდა ერაკლე ფილისტიმედ, რათამცა ეწეო მუნ: ხოლო იყო მუნ მონაზონი, კაცი ღვთისა, და მან ჰქაქა მეფესა ესრეთ: ვითარმედ „იულტოდეთ სარას განძებულთა ანუ-თუ განკერძოებულთა, რამეთუ

1) Il me semble qu'il faubrait: კარცითა და სისხლითა ქრისტესთა.

2) T რომელნი . . . იყვნეს.

3) Tout ce § ne se trouve que dans le M-it T.

უფალ-მან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა, რომელ  
არს თარგმანი მისი სარას ძაღლი: “ და მონაზონისა-მის სიტყვითა  
ესე უთხრეს ერეკლე მეფესა ვარსკვლავთა-მრიცხველთა და სრულთა  
მისანთა: აღაშენა ერეკლე მეფე-მან სვეტი და დაწერა მას ზედა:  
„მშვიდობით, შუა-მდინარეო და ფილისტიმო, ვიდრემდის წარკდეს  
შვიდნი შვდუელნი:“ შვდუელისა-თჳს ესრეთ ზოგეს ჟამი განსაზღუ-  
რებულდ ფილასოფოსთა, ჰრიმის-ტრასმან-ჯინტონის წიგნთა შინა,  
რომელ არს სარკინოზთა-თჳს, რომელ არს ორ ას ორ მეოც და ათი  
წელი: ხოლო მოჰმედის გამორჩენებადმდე ალექსანდრესით-გან გარ-  
დასრულ იუწუნეს წელი ცხრა ას ოც და შვიდი: მაშინ უფელნი ნა-  
თესაფნი ბერძენთა წარჩინებულთანი, ჰფელვიდეს ქვეყანათა შინა გან-  
ძთა მათთა, რა-ჟამს გამოვიდეს ზოონ განძი-იგი, და არღა-რა ნა-  
ხონ ჰირი-იგი წარღებასა, და კვალად გამოღებისა.

და აღმოვლო მუნით ჰერაკლე კეისარ-მან გზად რანისა და მე-  
ორედ შემოვიდა ქართლად. და ჰრქჳ ნათესავსა სზარსთასა, რომ-  
მელნი შემოლტოლვილ იუწუნეს სარკინოზთა-გან, უკეთუ „უწვით  
ვითარმედ დასრულდა მეფობაჲ თქჳნი. დაუტევეთ ჩრდილო და შე-  
მოვედით ჩვენ-თანა:“ და მათ დაუტევეს ქვეყანაჲ ესე, და დაფლ-  
ნეს განძი-იგი მათნი: და რომელნიმე წარყვეს, და რომელნიმე და-  
დგეს, და შეიტანნეს უფლისა სავანდურისა გუჯარნი: და რა გუჯარ-  
ნი დაწერნეს, აღწერეს ნათესაფნი თჳსნი და ქვეყანაჲ, და დად-  
ვეს, რათა ოდეს მოვიდნენ ბერძენნი, მით გუჯართ მობიფ-  
ნენ <sup>1)</sup> ნათესაფნი მათნი, და თვთოეულად განუეონ განძი და ქვე-  
ყაჲ. <sup>2)</sup>

1) Ou მოიძიონ.

2) T aj. და მეფე ერეკლე ძლევა-მოსილი სამეფოდ თჳსად. შეიქცა  
ამისა შემდგომად განეთინა მოამედის ქადაგება, და შეუდგეს ერნი ურიც-  
ხენი. ვიდრემდის დაიპყრეს სპარსეთი და უმრავლესი კერძო ქვეყნისა, და  
მიღეთი და სომხითი, ვიდრე კაბადუკიამდე და პონტომდე მოიწივნეს.

და ვითარცა განწესებულ იყო ანტიოქიით კურთხევა ქართლის კზი-  
სა, და წესთა და საეკლესიოთა სწავლა, არღა-რა-ვის კებლ-ეწიფებოდა  
სწლვა გზასა-მას, შიშისა გან აგარიანთასა, ამის-თჳს ზრუნვა ფრიადი აქჳნ-



მოკუდა კათალიკოზი თაბორ, და დასვეს კათალიკოზად სამოელ. ამას შემდგომად გარდაჭედეს რა-ოდენნიმე წელნი: ქრისტეს აქეთ ქნე, იქმნა კრება მეექვსე, რა წმიდათა მამათა, კოსტანტინებლის შინა, მკათსამეტესა წელსა ზოდონატი კოსტანტინეს მეფობისას, რამელი იყო მამა იუსტინიანესი, რამელისა წინა-მძღუარ იუჟნეს თეოდორე და გიორგი კოსტანტინებლელი, თეოფანე ანტიოქელი: ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ, წმიდისა ეკკლესიისა სს-

და ქართველთა. ხოლო დღეთა თეოფილაკტე ანტიოქელ პატრიარქისა, წარვიდეს მოციქულნი საქართველოთ, და მოუთხრეს ამის პირისა-თვის: ხოლო თეოფილაკტე პატრიარქმა ყო კრება ყოველთა მართლ-მადიდებელ-მადიდებელთა მთავარ-ეპისკოპოზთა და მიტროპოლიტთა, ეფისკოპოზთა, და განაჩინა ესრეთ, რათა ეფისკოპოზნი სამრეკლოსა მისისანი შემოკრებოდიან და ზოგადითა გამორჩევითა მათითა და საკათალიკოზოსა-მის ადგილისა მდებელთა და ერისათა და განაჩინონ ყოფად რომელი-იგი ღმერთ-მან გამოუცხადოს, და წესისა-ებრ თვთ მათვე კელნი დაასხნენ. და ამის პირის-თვს მოსახსენებელი წიგნი დასწერა და დაბეჭდა თვისითა ბეჭდითა, და მისცა მას წესისა-ებრ ეკკლესიისა, და ერთსა მოსრულთა მათგანსა, სახელით იოანეს. კელნი დასხნა კზად. ამიერი-თ-გან განთავისუფლდა: რამეთუ კათალიკოზი ქართლისა და კელ-ქვეით არა არს პატრიარქთა და არა იკურთხევიან პატრიარქთა-გან, არამედ თვისისა სამწყსოსა მიტროპოლიტთა და მთავარ-ეპისკოპოზთა და ეფისკოპოზთა-გან იკურთხევიან. რამეთუ თავის-უფალი არს და მოციქულთამაგერი, და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი, და პატრიარქი, თავი ყოველთა ეკლესიათა, წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი ცხოველი, და აქვს უადრესობა და კელ-მწიფება კათალიკოზსა ყოველთა ზედა, და მის-მიერვე მიეცემის ყოველთა მადლი და კურთხევა შეკრვისა და განკნისა, და იკურთხეოდენ მეფენი და მთავარნი, მთავარ-ეფისკოპოზნი, და მიტროპოლიტნი, ეპისკოპოზნი, და არს სამწყსო და კელ-ქვეით ქართლი, რანი და კახეთი, ოვსეთი, სვანეთისა და ჩერქეზის სამძღვრამდე, სამცხე, საათაბაქო, პონტო ზღვდამ დარუბანდის ზღვამდე: cf. sup. p. 140. 141, et la traduction de ce passage dans une note du texte français. Du reste, cette addition, dans le M-it T, est d'une main différente et suivie de quatre pages blanches, au bas desquelles se trouvent des remarques insignifiantes, de l'ancien possesseur du M-it, Tsèrèthel Grigol.

ქართულ-ლესათზნ, რომელ-არს წმიდა მცხეთას, რათა იუოს სწორ ზა-  
ტივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკკლესიანი, სა-  
ზატრიაქანი. და იუო კათალიკოზი ქართლისა სწორი ზატრიაქთა  
თანა, და აკურთხევდეს, მწესიდეს და განაგებდეს სიძარტლით მთა-  
ვარ-ებისკობასთა, მიტროპოლიტთა და ებისკობასთა, და სამწესი-  
სა თხსსა ქართლსა, გამოდმა-გადმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა, და  
მიდგომით წამოვლით მთისა მის ადგილისათა, სვანეთისა და ჩუქუ-  
ზის სამზღღურამდის, სუღიად ოფსეთსა, და ყოველსა ზემო-ქართლ-  
სა, სამცხე-საათაგოსა: „მის-თზნ მიგვითვლია საქართულ-ლეს ეკ-  
კლესიანი, მას ჭმონებდენ, და მის კელ ქვეშე იუწენ, და ჭსჯულ-  
სა მისსა ერჩდენ, და მის-გან იმწესებოდენ: და მიგვიტემა კელ-  
მწიფება შეკრვისა და განკსნისა. რომელი შეკრას, კრულ იუოს იგი  
ცათა შინა, და რომელი განჭკსნას, ქვეყანასა ზედა, კსნილ იუოს იგი  
ცათა შინა: ხოლო ზირველით-გან, ანტიოქიის კრებისა მიერ გან-  
ზატროსნებულ იუო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია ზატრია-  
ქად. რამეთუ ნუ აქმნებიან მიტროპოლიტი, ნუცა ებისკობოზი კა-  
თალიკოზისა შეუნდობრად: ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათალი-  
კოზისა წინა-ადმდგომა, მთავარ-ებისკობოზ-მან გინა მიტროპოლიტ-  
მან, ანუ დაიზურას ხარისხი და ეკკლესია, ძალითა, კათალიკოზისა  
უკითხავად და შეუნდობელად, ანუ იკურთხოს მეფე გინა მთავარი,  
ანუ მთავარ-ებისკობოზნი და მიტროპოლიტ-ებისკობოზნი, განიკვე-  
თენ: ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მიკონისა,  
აკურთხოს თხსსა ეკკლესიასა:“ რამეთუ მრავალნი მრავალ-გზის ამათ  
ზირთა-თხს გვეკითხვიდეს, და დავბრკოლდებოდით ჩვენ უშეცრებით:  
და ესე მცირედნი სიტუწანი, ვითარცა თესლის მკრებელ-მან მიმო-  
განთესულნი წმიდათა წერილთა-გან, ერთად შემოვკრიბენ, ჯერ-ჩი-  
ნებითა შენითა, კაცო ღვთისაო.

ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი. უხუცესსა ეწოდებოდა  
სახელად მირ და შემდეგსა არჩილ<sup>1)</sup>: და განუყო ყოველი ხვასტა-  
გი სამეფოსა მისსა, საგანძური ოქროსა, და ვეცხლისა, და თწალთა

1) T, simplement: არჩილ და მიჰრ, Artchil et Mihr.

ხატისათა. რამეთუ <sup>1)</sup> ნახევარი საქონლის მისის წარდღ <sup>2)</sup> ქვე-  
ყანას ეგრისს <sup>3)</sup>, და წარიტანა თანა ძე თვისი შირ-მშო <sup>4)</sup>. და ნა-  
ხევარი საქონლის მისის მისცა აჩილს, უმრწემესს ძეს თვისს:  
ხოლო აჩილ დათუა საგანძური მისი უფროსი კევის კახეთისას.  
ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი, კევის უჯარმოს-  
სას, და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი, დახსნა მახლობ-  
ლად გორს, რომელი <sup>5)</sup> მანვე ერაკლე განახინა განძთა სამალავად  
მათ-თვს, რომელნი თანა ვერ წაქცნდეს: ხოლო სახელი გორისა-მის  
აჩს ტონთი, რომელ აჩს <sup>6)</sup> თარგმანებით, მთა-ოქროსა: და სხვა  
მას-ზედა ტილისში, რათა ვერა-ვინ შეუძლოს გამოღებად: ხოლო  
საგანძურნი ყოველნი ქართლისა ეკლესიასთან დათუნა აჩილისს  
დიდსა სიონისა მცხეთისას: და შემდგომად მცირედთა დღეთა შე-  
ვიდა აჩილცა ეგრისადვე, შიშისა-თვს ამირა აგარიანისა, რამეთუ  
მოიწია ქართლად, და მუნ ყოფასა შინა მოკუდა სტეფანოზ, მთავარ-  
ი ქართლისა, და მის-წილ მეფე იქმნა ძე მისი შირ და აჩილ.

---

ძე. ორმოცდამესამე მეფე, შირ და ძმა მისი აჩილ,  
მენი სტეფანოზის მთავრისანი, ხოსროიანნი:

ხოლო მუნ ეგრისს ყოფნასა შინა ამის მეფისა შირისა და  
ძმისა მისისა აჩილისა, მოვიდა ამირა აგარიანი ქართლს <sup>7)</sup>, რომ-

1) T და.

2) M-ss წარიტანა.

3) აქა გამოჩნდა კათალიკოზი აფხაზეთისა, ქრისტეს აქედ. შუდან.  
ოც წელ. n. de mon M-it; v. la Traduction.

4) Omis, T.

5) Ou გორსა. T რომელნი

6) T და.

7) Depuis la deruiere phrase du chap. preécédent. jusqu'ici  
omission du M-it T, qui porte: შიშისა-თვს ამირა აგარიანისა. რამეთუ

მელსა ერქვა მურვან-ურუ, დის-წული მომედისი, რომელი წარმოე-  
ვლინა ეშიმს, ამირ მუმლს ბადდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისასა, ნა-  
თესავისა-გან ამათისა. შემდგომად სიკვდილისა მოამედისა, დაეტე-  
ვებინა მთავრობა თვისი<sup>1)</sup>. და ამის-თვს ეწოდა ურუ, რომელ მე-  
ორედ არა მიითვლიდა სიტუქსას განმზრახთასა: ხოლო რა-ყამს აღი-  
ლო მთავრობა სპარსთა და არაბთა, და აღძრა ყოველი თესლ-ტომი  
აგარიანთა, და განილაშქრა ქრისტიანეთა ზედა, და აღაოკრა და მო-  
სრა, და ტუვე ყო ქვეყანა საბერძნეთისა, და სასომხითისა, ვიდრე  
ზღვადმდე, და მოეუინა ვითარცა დრუბელი ბნელისა, სიმრავლითა,  
ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილსათა, და დათარა პირი  
ქვეყანისა: მაშინ<sup>2)</sup> ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავნი  
ერის-თავთა, წარჩინებულნი ქართველთანი, შევიდოდეს კავკასიად, და  
დაიმაღნეს კლდეთა და დრეთა და მოვლო ურუ-მან ყოველი კავკა-  
სია, და დაიხურა კარი დარეილასი<sup>3)</sup> და დარუბანდისა, და შემუსრნა  
ყოველნი, და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღურთა ქართლისა-  
თა და მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრკისათა: რამეთუ  
იყო მაშინ ქალაქი-იგი სახელად ვანი, ძველ ნაქმართა მისთა-თვს: მა-  
შინ უკვე აღიძრა და წარმოვიდა სამცხითა და წარმოემართა ქვეყანად  
არგვეთად და წინა-მბრძოლნი და რჩეულნი წარმოვიდეს: მაშინ იუვნეს  
დიდნი და დიდებულნი ტომებთა მთავარნი, ქართველნი, სახანებო-  
სა-გან ქვეყანისა არგვეთისა, დავით და კოსტანტინე: მაშინ იუვნეს  
შეკრებულ და რჩეულ, და ფრთხილ: ხოლო იხილეს-რა წარმართთა  
დავით და კოსტანტინე, აღიზახნეს ვითარცა მკეტთა, და მოერთნეს  
ხოლო დავით განაძლიერა გუნდი თვისი, და უშიშ უვნა იგინი, აღა-

მოიწია ქართლად, რომელი არა მიითვლიდა, რომელსა ერქვა მურვან ურუ,  
რომელი არა მიითვლიდა სიტყვასა განმზრახთასა. ამის-თვს იწოდა ურუ,  
და იყო დის-წული მოამედისა: შემდგომად სიკვდილისა მოამედისა დაეტე-  
ვებინა მთავრობა თვისი, ყოველნი . . . La rubique manque ici,

1) Cette phrase, dans le M-it T, remplace ici la suivante,  
jusqu'au point.

2) Addition du M-it T. de puis ხოლო რა-ყამს.

3) T დარიელითა.



ზახა ვითარცა ლომ-მან და აოტა, და განაბნივნა იგინი: ურიცხვ მოსრ-  
ნეს, და აღუდგინა ძლევა ქრისტეანეთა: მაშინ მეოტნი უკვე-იქტეს მუ-  
რვან ერუსა. რა-იგი მოწივნულ იყო მათ-ზედა, ვითარმედ წინა-მბრძოლ-  
ნი ლაშქარნი რჩეულნი ყოველნი მოსრნეს შეშის მსახურთა, ხოლო მან  
ზიკსა თვისსა იკრნა კელნი თვისნი და თქვა, ვითარმედ „ვინ არს მკად-  
რე, რომელმანცა წინა-აღუდგა დიდისა მოციქულსა მოამედს. დედისა  
ძმასა ჩემსა:“ ესე თქვა და შეუძახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთა-  
სა, და წარმოემართნეს, ვითარცა ქვიშა სიმრავლითა, და მოვიდა ქვე-  
ყანად არგვეთისა, და შეიწვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცვნი  
და შეეწვიდინეს კელსა წარმართთასა ერნი ქრისტეანეთანი, რამეთუ  
რომელნიმე ტყვეთა დაიმაღნეს და რომელნიმე მოსრნეს დავით და  
კოსტანტინე, და სხვა ვიეთნიმე შემდგომნი მათნი შეზურომილ იქ-  
მნეს: მაშინ, ვითარცა ეუწყა შეზურობა მათი, მაშინ აღიტყვენა კელ-  
ნი და აღიდა დიდად დედის ძმა თვისი მოამედ, და სჯული მისი,  
გამარჯვებისა-მის-თვის: ხოლო ვითარცა დაიბანაკეს, დაჟდა საუდართა  
ზედა, მიიყვანეს დავით და კოსტანტინე წინაშე ერუსა, და წარად-  
გინეს კელ-შეკრული უსჯულთა-მის: ხოლო ქრისტეს აღსარებისა-  
თვნი იწამნეს წმიდანი და ესე მრავალნი სატანჯველნი თავს-ისხნეს,  
და მერმე შთაყარნეს ტბასა-მას, და თვთ ივლტოდეს მტარვალნი,  
შეშინებულნი კმისა მისგან წმიდათა მათვინ (sic) მოწამეთა, რომელ  
ისმოდა ზე-ცით: მაშინ უღმერთთ-მან არა თავს იღვა, და <sup>1)</sup> ვითარ-  
ცა ცნა, რამეთუ მეუენი ქართლისანი და ყოველნივე ნათესავნი მათ-  
ნი წარვიდეს ეგრისად, და მუნით კვალად მიიცქვალნეს აფხაზეთად,  
და უკ-მოიქცა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქვიჯისსა, ქვეყანასა სა-  
მეგრელოსა, სანახებსა ჭყონდიდისსა, რომელ არს მეგრელითა ენი-  
თა მუხა დიდი: და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენის-წყლით-გან  
ვიდრე აფხაზეთადმდე <sup>2)</sup>, შეუდგა კუჩასა მათსა, და შემუსრნა ყო-  
ველნი ქალაქნი, ციხენი და სიმაგრენი, და აღაოკრა და უკაცურყო

<sup>1)</sup> Addition du M-it T, depuis საზღვართა ქართლისათა, ci-des-  
sus, p. 173, l. 14.

<sup>2)</sup> Addition du M-it T, depuis და უკ-მოიქცა.

ქვეყანა ეგრისისა და შერეულთა, და აფხაზთა, და <sup>1)</sup> ციხე-იგი სმ-  
ზღუდე შემუსრა, რომელ არს ციხე-გოჯი. შექმუსრა და შევლ-  
ზღუდე-იგი საზღუდარი კლისურისა: და მოსლფასა მისსა კათალიკო-  
ზი იყო თაბორ <sup>2)</sup>: ვითარცა შევლთა ყრუ-მან კლისურა, რომელი  
იყო მას უამსა საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსი, შემუსრა  
ქალაქი აფშელეთისა ცხუმი, მოადგა ციხესა ანაკოფისსა. <sup>3)</sup>

ხელთ იუჟნეს მაშინ მირ, და ძმა მისი არჩილ, ციხეს-მას  
შინა ანაკოფისსა, რომელსა შინა იყო <sup>4)</sup> ხატო ყოფლად წმი-  
დისა ღთის-მშობლისა, არა კაცობრივითა კელითა დაწერილი,  
არამედ ზე-გარდამო, რომელისათჳს არავინ უწყის თუ ვინაჲ  
იგი მოსრული იზოგა თავსა ზედა მის გორისსა, რომელსა  
მოსდგმიდა სამხრეთიდ ზდაჲ და ჩრდილოთ ჭალაკი მწყურნე-  
ბი: მუნ შინა იუვნეს მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ.  
ხელთ მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრისსა ში-  
ნა <sup>5)</sup>: და ერის-თავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა ხო-  
ლისსა, რომელ არს გარდასავ-ლსა ოვსეთისსა, და კერ-ვინ შემ-  
ლებულ იყო წუბოდ ყრუსა-მის. რამეთუ იუჟნეს სპანი მისნი უფროს-  
და უმრავლეს ჭალაკთა ეგრისისათა: ხელთ ამანვე ყრუ-მ შეიზერა,  
და აწამა წმიდა დავით და კოსტანტინე, რომელთა წამებასა ვრცე-  
ლად მოგვითხრობს ცხოვრებაჲ მათი <sup>6)</sup>.

<sup>1)</sup> Au lieu de ce qui précède, depuis აღაობრა, on lit dans les autres M-ss ეგრისის ქვეყანისანი.

<sup>2)</sup> M-ss თაბორვე.

<sup>3)</sup> Dans le M-it T cette phrase remplace les mots commençant le § suivant.

<sup>4)</sup> T არს.

<sup>5)</sup> Add. du M-it T, depuis მუნ შინა; après quoi on trouve la rubrique: მეორმოცდასამე მეფენი მიჰრ და მეორე არჩილ, ძენი სტეფანოზ მეფისა, ხოსროიანი, „Quarantièmes rois, Mihr et Artchil II, fils du roi Stéphanoz, Khosroides;“ on remarquera le mot rois au pluriel, le № II attribué á Artchil, et le titre royal á Stéphanoz.

<sup>6)</sup> Omis par T, depuis ხელთ ამანვე, jusqu'á მეფეთმ-მათ, deux lignes plus bas.

და ჩვენ ზირველივე სიტუცა ვიწყოთ: მაშინ ვითარ იუენეს ციხეს-მას შინა ანაკოფისსა, მუნ მივიდა მურვან. ყრუ, და დაუწყო ბრძოლაჲ მეფეთა-მათ: მაშინ ჭრქტა არჩილ მიჭრს, ძმასა თვსსა „მიწვევდილ<sup>1)</sup>“ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად. უკეთუ შეგვიპყრნეს კელად, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალეგნი, რომელნი-იგი დაფულენით ქვეყანასა ჩვენსა, მონაგებნი მიჩიან ღვთივ განბრწინებულისანი, და კვალად ვახტანგ ღვთივ განძლიერებულისანი, და ყოველთა შჯლთა მათთანი, რომელთა გუშენეს ჩვენ, და იგიცა ითხოვოს კელთა-გან ჩვენთა, რომელი დამალა ერაკლე მეფე-მან, რომლისა აღწერილი ყოველი ვდევით ერთა-მათ-თანა გვრგვინთა ზურმუხტისა და იაკუნდისა ძაწუელისათა, რომელნი-იგი გამოიტანნა. მამა-მან ჩვენ-მან, დიდ-მან ვახტანგ მეფე-მან, ინდოეთით და სინდეთით, დაფულენით იგი უჯარმოს, მახლობელად შორის ერთა-მათ კომშეთა უმცველთა, და ყოველი-იგი აღწერილ არს გონებასა ჩემსა: და შენ წარხვევ ერთი-იგი გვრგვინი მისვე ვახტანგისანი, აქრასა და ანთაკისანი, ერთი მიჩიან მეფისა, და ერთი ვახტანგისა, რომელი შოუძღუნა სხარსთა მეფე-მან, ყოველსა თანა აქრასა და ვერცხლსა, რომელი ახიდა სატურთავსა ხუთ ასსა, და მკვირცხლსა ორი ათასსა, შენ და მამა-მან ჩემ-მან დასდევით იგი ქუთათის და ციხე-გოჯს: ხოლო მე გვრგვინი იგი ჩემნი, და გუჯარნი-იგი ტყავისანი<sup>2)</sup> მარტოდ დავსხენ: და აწ უკეთუ მოვსწუდეთ, განძი-იგი უცნაურად დარჩეს ყოველივე<sup>3)</sup>. გამოსლვასა ბერძენთასა, ძიებაჲ ყოს კეისარ-მან ნათესავისა ჩვენისა-თვს, და მოსტეს მეფობა და განძიცა იგი: აწ უკვე არა ვიქმნეთ ჩვენ მიზეზ აკრებისა ქართლისა და საბერძნეთისა, არამედ განვიდეთ და ვაწყვებეთ ზღვით კერძოსა, ამას გვერდსა შინა. და თუ ენებოს ღმერთსა, ერთითა იოტოს ათ-ასი და ორითა ბევრი.“

1) T მიწყდეულ.

2) Tous les M-ss ტყვივისანი de plomb?

3) Omis T.

და მივიდეს წინაშე ხატისა-მის უფლად წმიდისა ღვთის-მშობლისასა, შევრდებით. და იტყოდეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისა, და ღვთისა ჩვენისათა, რომელი იშვა შენ-გან, მისა შეწირვას ჩვენ-თჳს, და თანა-მავალ მეუფენ ჩვენ წყალობა შენი:“ და იუც მათ-თანა სიმრავლე მტირედ ტაძრეულისა მათისა, და ნათესავი ერისთავთა, და ჰატიახშთა, ათ-ასი ოდენ. ხოლო სზათა-გან აფხაზთა ორი ათ-ასი, მებრძოლი: და ვიდრე განთენებადმდე მოაგლინა უფალ-მან საკვირთა ზედა რისხვა, ერსა და ბანაკსა, და ეტლებსა მისსა ზედა. რამეთუ აბაშთა ნათესავი იუც დაბანაკებული მდინარეს-მას-ზედა, რომელსა ჰქვიან აბაშა, ხოლო უნები და ეტლები, მდინარისა კიდესა, რომელსა ჰქვიან ცხენის-წყალი: და იქმნეს სასწაულნი ზე-გარდამო, ქუხილნი და ელვანი, და ხარშაკი ბღჳარისა, წჳმანი მრავალნი და სასტიკნი, და გვემანი-იგინი სატლითა სისხლისათა: განაღო პირი ქვეყანა-მან და აღმოაგენა სიმრავლენი ფიყალთანი, და ზღვა იქმნა ქვეყანა გმელი: ხოლო მას <sup>1)</sup> დამესა ეჩვენა ანგელოსი არჩილს, რომელმან ჰრქჳა მას: „წარვედით და ეწევებით აგარანთა-მათ, რამეთუ მოგვიფლენთა მათ-ზედა გვემანი <sup>2)</sup> სასტიკად მომხვრელი, კაცთა-გან მიზირ-უტუვთამდე: და განრახვდეთ <sup>3)</sup> გესმასთ ბანკსა შინა მათსა კმა ვაებისა და ტირილისა: ხოლო თქვენ მკნე იუვენით და განძლიერდით სასოებითა ღვთისათა:“ და ვითარცა განთენდებოდა, ისმა ბანაკით მათით კმა ტირილისა და გოდებისა. მაშინ უგვე განვიდეს, სასოებითა ღვთისათა, წყობად მათთა. და ეწუენეს, და მოსცა უფალ-მან ძლევა მტირეთა ერთა ქრისტეანეთა, და მოსწედა სატლითა საკვირთა-გან ოც და თხუთმეტი ათასი, და მახვილითა სამი ათ-ასი: და იწყლა მირ მარზაკითა, ფერდესა, ხოლო ქრისტეანეთა-გან მას დღესა შინა მოკლეს კაცი სამ-ოცი,

1) Au lieu de ce qui précède, depuis რისხვა, on lit dans les M ss: ხორშაკი ბღვარისა, და გვემანი იგინი ხატლითა სისხლისათა, და ეჩვენა დამესა-მას...

2) T გვემად.

3) M-ss ოდეს განხვდეთ.



და სარკინოზთა ცხენი დაეცა ვითარცა ჭალანი, და ჩაყრიდის უო-  
ველსა-მას ზღვად.

მაშინ იხილა ვინმე ჩვენებაჲ აკარიან-მან, რომელსა ეტყოდა,  
რცა მოციქული მათი, „მოუცემია ღმერთსა ძლევაჲ ჩვენდა ვიდრე  
აღსრულებაღმდე ათთა მეფეთა, ვითარცა ჰქრქუა აბრაამს და აკარს  
ღმერთ-მან. არამედ ეკვლესიათა ღვთისათა, და კაცთა ღვთის-მსახურ-  
თა ეკრძალებოდეთ, ვითარცა-იგი გამცენ უურანსა შინა ჩემსა:“  
მსწრაფელ აღიყარნეს და უკუნ-იქცეს კვალსავე თჯსსა, და <sup>1)</sup> აღვლეს  
ციხე-გოჯი, და დაიბანაკეს წყალთა-მათ-ზედა <sup>2)</sup> ორთა, მზგეფსსა <sup>3)</sup>  
ერთსა, და გარდამოკდა წყალი წვიმისა ფიტხელი, და აღდგეს <sup>4)</sup>  
მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროს-მან წყალ-მან მან სხასა  
აბაშთასა, და წარიდო მათ-გან მკვირცხელი ოც და სამი ათ-ასი, და  
მიმართა უფროს-მან წყალ-მან მან მკუდართა, რომელთა-იგი ბანაკი  
იყო უჭალაკეს, რომელნი-იგი მიიფლტოდეს აღვილთა რომელთა-  
მე <sup>5)</sup>, და რომელნიმე ხეთა ზედა განკლებოდეს. და წარიდო ცხენი  
ოც და ათ-ხუთ-მეტი ათ-ასი: და მიერთგან სახელ-ედვა ორთა-მათ  
მდინარეთა, ერთსა ცხენის-წყალი, და ერთსა აბაშა: და ვით-რცა  
იხილა ესე უოველი მურვან-ურუ-მან, მოწევნილი მის ზედა, ფრიად  
აბრაამს თჯსსა განმზრახთა მისსა, იწროსა და მადლარსა ამას ქვე-  
ყანასა მოსლფისა-თჯნ, და აღიძრა და დაიბანაკა ზიტოტას, ზღჯს  
პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქვიან ცხუმი <sup>6)</sup>: აღიკარა მუნითცა, და  
შეველეს მუნ გზაჲ გურიისა, და განვლეს სპერი, და სიმონავლისა-  
გან არა შეჩენილ იყო დაკლება: ხოლო უწინვე დასჭრეს კუდები  
ცხენთა მათთა, რამეთუ თიკისა-გან ვერ ითრევიდნ.

და ჩაიარა უღმერთო-მან მურვან-ურუ ზღჯს პირი და გამოიხვნა

1) T აჟ. ვითარცა.

2) T შინა.

3) Tous les M-its portent მსგეფსისასა.

4) T დადგეს.

5) Manque à T.

6) Addit. T, depuis ვითარცა იხილა; le M-it porte ცხუ.

ციხენი და ქალაქნი ზღვს ზირისანხ. და ოკერ უო უოველი ქვეყანა ზღვს ზირისა, ვიდრემდის მიიწია ქალაქსა-მას, რომელ არს კოსტანტინეპოლი, დაიბანაჟეს, რომელსა ხალკიდონ ჰქვანს: რამეთუ არს მუნ ზღვა იწროდ წარმდინარე, და არა აქვს ტანი სიფართისა: ამითჲს განიზრახა უგუნურ-მან და უგონებო-მან ერუ-მან რათა ქვთა ჯდავსოს ზღვა და სავალ უოს, რათა ფერხით განიუფანოს ერი თჲსი ზღვასა ზადა, და ესრეთ გამოიღოს ქალაქი კოსტანტინეპოლი: არამედ ღმერთ-მან ცუდ უო განზრახვა მისი. ეწია რისხვა ღმერთისა. რამეთუ დაიწვა მწუხრი მრთელი, და განთიად იზოვა მკვდარი, მოძაგებული და დაწვივებული უოველთა მიერ: და ვითარცა იხილეს ესე სზათა, მისთა, განიბნივნეს, და ლტოლვიდნი წარვიდეს ქვეყანად თჲსად. <sup>1)</sup>

ხოლო იქმნა მას უამსა განრუენილ ქვეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა. რამეთუ არდა-რს იზოვებოდა არცა ნაშენები, არცა საჭმელი კაცთა და ზირ-უტუენთა, უოვლადვე და წარავლინეს მოციქული წინაშე კეისრისა <sup>2)</sup> მიჭრ და არჩილ, და ერის-თავ-მან აფხაზეთისა-მან, და აუწიეს ესე უოველი რცა იქმნა ღვთისა მიერ, კელითა მათითა: მაშინ კეისარ-მან წარმოსცა ორი გვრკვინი, და გუჯარი მიჭრსა და არჩილს, და მოსწერა მათ-თანა ესრეთ: ვითარმედ „თქვენნი იუო მეუობაჲ, სიმკნე და სიბრძნე ქართლსა შინა. აწ, დაღატათუ იდევნებით ჩვენთანა, მსახურებისა-თჲს ჯვარისა, არამედ მოქცევასა ჩვენსა, ვითარცა აღმითქუა ჩვენ ღმერთ-მან, ჩვენ-თანავე იდიდნეთ, ხოლო თქუენ დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარკდენ წელიწადნი მათნი სამ ასნი, რამეთუ ორ ას და მეერკასესა წელსა განეგლოს <sup>3)</sup> მეუობაჲ მათი, და განსრულებასა მესამასისა წელიწადისა, მოეცეს ძალი მეუობასა ჩვენსა, და შეგ-

<sup>1)</sup> Tout ce § est une addition du M-it T.

<sup>2)</sup> T ბერძენთა მეფისა.

<sup>3)</sup> Tous les M-its portent cette leçon. mais à la rigueur il faut du moins განეგლოს.

მუსრნეთ აკარაინნი, და უოგელნი მათნი ამაღლებულნი, დამდაბლ-  
დენ, და ჩვენ-თანა მადიდებულნი <sup>1)</sup> ამაღლდენ.“

და მოწერა ლეონისა <sup>2)</sup> ესრეთ სსხედ, რამეთუ „უოგლადვე სს-  
ზღუართა ქართლისათა ჩვენ-გან ქმნილ არს ვნებაჲ და მეფეთა მათთა-  
გან ჩვენდა მომართ რგებაჲ, და თანადადგრობა <sup>3)</sup>. ხოლო აწ შესამე-  
მსახურება და რგება დადვეს ჩვენ-თანა, საუდარსა ამას სამეფოსა, რა-  
მეთუ ზირველად ნათელ-მიიღეს კელსა ქუჩსუ ჩუჩნსა. და გვალად  
შემუსრვისა გან დაარჩინეს დიდი-იგი ქალაქი ზონტოსი, და შორის  
ჩუჩნსა და შორის სზარსა უგეს მშვიდობა: რამეთუ იგივე დიდი <sup>4)</sup>  
ვანტანგ გურგასლან <sup>5)</sup> შუა-მდგომელ იქმნა, და კრმლითა თჳსითა  
უკ-მოუღო სამეფოსა ამის ზალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთი-  
სა: და აწ თუმცა ღმერთსა არა მაგათ-მიერ დაებრკალა ბრძოტი-  
ეკე მტერი, შემომცასრულ იყო ვიდრე კოსტანტინეპოლედმდე. რა-  
მეთუ <sup>6)</sup> შჯლთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ უგნა ღმერთ-მან  
ეკენი <sup>7)</sup>; რამეთუ არაჲ მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულის-  
ხმის-მყოფელი და მბრძოლი, ვითარცა ესე მოგვითხრობს ჩუჩნ ალ-  
წერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარ-  
ჩინებულნი, ტომებით და სოფლებით მათით: ხოლო შენდა მიბრძ-  
ნებეს ერისთავობა აფხაზეთისა, შენ და შჯლთა: შენდა, და მომა-  
ვალთა სსხლისა შენისათა <sup>8)</sup> მიუკუნისამდა: არამედ კეთილად ზატი-  
ობდი მეფეთა და ერთა-მაგათ ქართლისათა, და მიერით-გან ნულა-

<sup>1)</sup> T მდაბალნი.

<sup>2)</sup> T porte ლეონისა, le o étant effacé; mes autres M-ss ont aussi le génitif; cela prouve l'origine commune des diverses copies.

<sup>3)</sup> T დადგომა.

<sup>4)</sup> Omis, T.

<sup>5)</sup> T მეფე.

<sup>6)</sup> T და.

<sup>7)</sup> M-ss ეგენი მხოლოდ აღიღნა ღმერთ-მან.

<sup>8)</sup> T მომავ. შენთა.

რამცა გელმწიფებთ ვნებად მათდა, და სანდუართა მათთა ეგრისთა, ვიდრემდის იუჩენ მანდა, ანუ განვიდნენ მანდეთ.

მაშინ მეფე მიჭრ <sup>1)</sup> დამძიმდა წყლულებისა-მის-გან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თვისსა არჩილს ესრეთ, რამეთუ „მე ესე-რა წარვალ, ძმაო ჩემო, მამათა ჩვენთა თანა, არამედ წარმეც და დამთელ საფლავსა-მას მამათა ჩუბნთა თანა: ხოლო <sup>2)</sup> შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა-მათ ჩუბნთა ნამალევთა, თუ სადა არს. რამეთუ <sup>3)</sup> არა მის ჩუბნ შუალი წული მკვდრამედ, არამედ მისსენ შვიდნი ქალნი, და აწ შენ ხარ მკვდრი სახლისა-გან მეფობისა ჩუბნისისა, მირიან მეფისა. და შენ თვთ უწი ვითარმედ ქალი შუალი ჩუბნ არაჲ მივსცით ერის-თავთა ჩვენთა ცოლად: ანუ მივსცით მეფესა, ანუ მოვინმევიდის სხარსეთით ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფე-მან ასული თვისი ცოლად: ჩუბნ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. და აწ რად-გან მოიუვანიან მამათა ჩუბნთა ცოლნი <sup>4)</sup> ასულნი ერის-თავთა ჩვენთანი, და მისციან ასულნი თვისნი მათ, და ქუბუნანიცა ქართლისა მისციან მათ, და შენცა მიეც მათ ასულნი ჩემნი, და განუყავ <sup>5)</sup> მათ ქუბუნანი ქართლისანი. ნახევარი შენ, და ნახევარი მათ: ხოლო საუხუცესოდ რომელ მაქუნდა მე უფველივე <sup>6)</sup> შომიცემთა შენდა, და გაქუნდეს საუხუცესოდ ეგრისი, სავანეთი, თავაკერი <sup>7)</sup>, არგვეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა-მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იუჩენ უამთა ამათ ბოროტთა, და რამეთუ მამაცა ჩვენი მოკუდა შოფთსა ამას შინა, რომელი დამარხულ არს ეგრისსა შინა <sup>8)</sup> და ვერ წარვეცით იგი მცხეთას, წარსცენ

1) T ხოლო მიჭრ.

2) Omis T.

3) T და.

4) T აჲ. და.

5) Depuis ჩვენთანი, T porte seulement მისცეს.

6) Omis T, ce mot et le précédent.

7) T თავაკერი.

8) Omis par T depuis დამარხულ.



ძვალნი მისნი და დაჭოფენ საუდარსა ქუთათისსა, რათა იუოს იგი  
საწამებელად სამკვდროსა ჩვენისა, და შენ დაადგერ აქა და დაემ-  
უგრებოდი ბერძენთა, ვიდრემდის განქარდეს ბნელი ესე:“ და შემ-  
დგომად ამისა <sup>1)</sup> მოკრდა მეფე მიჭრ, და წარმოსტეს მტხეთას, და  
დაუფეს ზემოსა ეკკლესიასა, შესავალსა კარისასა. და დაჯდა მის-  
წილ მეფედ ძმა მისივე არჩილ.

მღ მეორმოცდამეოთხე მეფე, არჩილ, მე სტეფანოს  
მეფისა და ძმა მუფისა მირისა, ხოსროიანი <sup>2)</sup>,

მაშინ ამან მეფე-მან <sup>3)</sup> არჩილ მოუწოდა უფუელთა <sup>4)</sup> ერის-  
თავთა ქართლისათა, და მისცნა ძმის-წულნი მისნი. ერთი მისცა მა-  
მის ძმის-წულის შჯლსა <sup>5)</sup> გუარამ კურატპალატისასა, რომელსა ჭქან-  
და კლარჯეთი და ჯავახეთი, და მეორე მისცა ჰატიახშსა, ნათესავ-  
სა ფერაზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბცს.  
მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იყო წარჩინებული ვახ-  
ტანგ მეფისა. მეოთხე მისთა ადარნასეს ადარნასიანსა, და ერთა  
ამათ განუყო ზენა-სოფელი, რომელ არს ქართლი, მეხუთე მისცა  
ვარაზმანს, და მისცა კოტმანით-გან ქურდის-კევადმდე: იყო ესე  
ვარაზმან <sup>6)</sup> ნათესავი სპარსთა ერის-თვისა ბარდაგელისა, რომელი  
იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა <sup>7)</sup>. მეექვსე მისცა ჯუანშერს ჯუ-

1) Trois mots, T.

2) Cette rubrique Manque à T, ce qui n'empêche pas que la  
suivante ne ne soit le 45-e roi: en sorte que le 44e roi est  
omis.

3) T, ხოლო არჩილ. . .

4) Omis, T.

5) R მამის ძმის-წულსა.

6) T porte deux fois ვარაზმან.

7) Mon M-it დედის ძმა-იგი ვახტანგისი. შკლთა-გან ძეთა მიეთასა.

ანშერიანსა, რამელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შჯლთა-გან  
რევის ძეთასა, და მისცა ჯუარნი და ხერკი, და უფველი მთიულეთი.  
მანგლისის კევი და ტფილისი: ხალხი ნაწილი არჩილისი იყო გან-  
ზოგებით გამონაყოფი უფველთა: ამათ კევთა-გან: და ვითარ ინი-  
ლეს რამეთუ ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა, დაუმძიმდათ მცია-  
რედ რამე სხვათა-მათ, და განუტევეს მთავარნი ესე ცოლებითურთ  
თჳს-თჳსად ადგილად: ხალხი არჩილ მთუწოდა ლეონს და ჭრქუა  
ესრეთ: „კურთხეულ იყავნ შენ უფილისა მიერ, რამეთუ კეთილად  
იღუაწიე სტუმრობაჲ ჩუბნი, და დამიცვენ ჩუბნი ადგილთა შინა შენ-  
თა<sup>1)</sup> მშვიდობით: გარნა აწ უწყვი ესე, შენებაჲ ადგილთა<sup>2)</sup> ჩვენ-  
თა კლისურით-გან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხეგოჯს და  
ქუთათის. და აწ ითხოვე თავისა შენისა-თჳს რაჲ გნებაჲს ჩემ-გან,  
ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა:“ ხალხი ლეონ ჭრქუა, „მ-  
მცა მე კეისარ-მან ქუბუჩანაჲ ესე მკვიდრობით, კეთილად: სიმკნითა  
თქუბნითა. ხალხი ამიერი-გან არს ესე მამულაობით სამკვდრებელ  
ჩემდა კლისურით-გან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა  
დასწუდების წვერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა-  
თანა, რამელნი-ესე დღეს ღირს მუვენ შვილად და ძმად შენდა, არა  
მინდა ნაწილი შენ-გან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს უფველი-  
ვე<sup>3)</sup>:“ მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმის-წული მისი გვარანდუხტი,  
და გვარგზნი-იგი, რამელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირიანისა-  
თჳს, და უვეს ალექსანდრე და ფიცი საშინელი; ვითარმედ არა იყოს  
მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს უფველთა  
დღეთა მისთა.

წარმოვიდა არჩილ, და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაზნადმდე.  
და განაგნა უფველნი ციხენი და ქალაქნი, და აღაშენნა საზღუარსა  
ზედა გურიისა და საბერძნეთისასა ციხე: და წარკდა ამათ შინა წე-

1) T ჩვენთა.

2) T უწყვიეს შენებაჲ ადგილთა-ადგილთა ჩვენთა.

3) Omis, T.

ლიწადნი ათ ორ-მეტნი, და იწყო შენებად ქართლ-მან. ხალხ<sup>1)</sup> გარეუნილ იყო სასაფოთელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხასს კიდრისსა<sup>2)</sup>: მაშინ მოვიდა მისა ერთი მთავარი ვინმე, რომელი იყო ნათესავისა-გან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმის-წული ადარნასე ბრმისა, რომლისაჲც მამად მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერის-თავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა-მას ერუსსა შთასრულ იყო იგი შჯლთა თანა გუარამ კურატპალატისსა, კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ-იყო; ხალხ ამან ადარნასე-მ<sup>3)</sup> ითხოვა არჩილისა-გან და ჰქრქვა: „უკეთუ ინებო და მეო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეტ მე ქრქუანაი,“ და მისცა შოლავური და არტანი.

ამისსა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და უფველთა ტადრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ უვნა ივინი, ადაშენსა ეკკლესია საძმორსა, და შეირთო ცოლი ასული გუარამ კურატპალატისა, რომელი იყო შჯლთა-გან. ვახტანგ მეფისათა, ბერძნისა ცოლისა ნაშობთა: და დაჯდა წუქეთს, და ადაშენა კასრი, და კეგსა ლაკვასტისსა ადაშენა ციხე: და ჰოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიუბოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და უფველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხვასრო, და არა ინება მისგან წადებად წუქეთი. და ადაშენა ციხე-ქალაქი ერთი, ნუხპატის<sup>4)</sup> ორთა წყალთა შუა. ხალხ ნუხპატელნი იუჟნეს უწინარეს კაცნი წარმართნი, და მკეცის ბუნებისანი, არამედ ერუსა მოესრა სიმრავლე-იგი მათი და იძულებით მონათლხა არჩილ ივინი.

ხალხ განძლიერებულ იუჟნეს სარკინოზნი ქრქუანასა რანისსა, და დაეპყრათ გაზირი და სომხითი, და ბრძოდა მასლამა ბერ-

1) M-ss რამეთუ.

2) აქ ბაგრატიონთ მოხვლა ქართლსა შინა, T.

3) Trois mots omis T.

4) T ნუხპატის, et plus bas, ნუხპატელნი.

ძენთა: ხოლო ძმის-წულნი აღარსსე ბრმისანი, რომელთა დასწვნეს მამის ძმისა თჳაღნი, წარმოვიდეს ტარებით შაკისად, სამნი ძმანი, და დაემკვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა. რამეთუ უფველი ზირი კავკასიისა, რანით კერძო, უმკვდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი, ჭალაკთა და ტყეთა-გან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს სამნივე-იგი ძმანი ვიდრე გულგულადმდის.

მასვე უამსა ჰატიახშნი ვინმე არა შეეშვნეს კლარჯეთს სხვად, და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპურეს კლდე ერთი ტარს, რომელსა ერქჳა კალმასი. და აღაშენა ციხე: ხოლო რომელნი-იგი მოვიდეს კახეთს, არჩილისა თანა, მისცა ერთსა მათგანსა ცოლად ნათესავისა აბუხაროსსა-გან, რამეთუ დაქვრივებულ იყო იგი, და არა ესვა ქმარი: და მოუბოძა წუქეთი, ციხით და კართურთ, და უამთა-მათ და ეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად <sup>1)</sup> ქართლად, ერუსა წარსლვით-გან წელიწადსა ორმეცდამეთესა <sup>2)</sup>; აქა უამადმდე არდა-რა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერის-თავთა-გან.

ხოლო არჩილს ესხნეს ძენი ორნი, ჯუანშერ და იოანე. ასულნი ოთხნი, გუარანდუხტ, მარიაშ, მირანდუხტ და შუშან <sup>3)</sup>.

---

1) T შემუსრვად.

2) T ათსა.

3) N. du M-it: ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს-გან ქართლის მოქცევა, ლეონტი მროელ-მან აღწერა, და ახლა იოანე დეკანოზ-მან აღწერა: „Ce Martyre du roi Artchil, la vie des rois et la Conversion du Karthli par Se Nino ont été écrits par Léonti Mroel (évêque de Rouis); maintenant c'est le decanoz Ioané qui écrit;“ cf. p. 135 la note du copiste Soumbat.



წამებად წმიდისა და დიდებულისა ბოწამისა არჩილისა,  
რომელი-ესე იყო მეფე ქართლისა. <sup>1)</sup>

და ვითარ გარდასდეს ამას შინა წელიწადნი ორ-მეც ათნი,  
კვალად მოვიდა ჭიჭუმ, ნათესავი მოჭმედისი. მოაბხრნა და შემუსრ-  
ნა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად,  
რათამცა მოაბხრა და ყოვლითურთ უმკვიდრო ჰყო: და იყო შიში  
დიდი მეფეთა და მთავართა, და ყოვლისა ერისა, და არა შემძლე-  
ბელ იუჟნეს წინა-აღდგომად, რამეთუ რაჟთ-გან განერუჟნა ქვეყანად  
ესე ერუსა, დაღაცათუ გარდაულნა უამნი მრავალნი მშვიდობით, არა-  
მედ არა-რავე მოკებულ იყო კვალსავე თუსსა.

მაშინ წმიდა-მან არჩილ განიზრახა გონებასა თუსსა, სიმკნითა,  
გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მის-გან  
მშვიდობად ქრისტეანისა <sup>2)</sup>. და დაცვა შეურყეველად ეკვლევისათა, და არა  
დაზატიყებად დატყვებისა-თვს სჯულისა: მინდობითა ღვთისათა, აღი-  
რჩია თავისა თვისისა და სულისა დიდებად სახსრად ქრისტეანეთა, და  
აღდგა და მივიდა ჭიჭუმის თანა, რომელსა ეწოდა ახიმ: მაშინ ვი-  
თარცა ცნა მისლვა მისი, მიეკება წინა, სიხარულითა, და მოიკით-  
ხა დიდითა დიდებითა, და დაუგეს დღე-იგი ერთობით, და აქო სი-  
კეთე მისი, და შეიყვარ სისრულე ასაკისა მისისა, და უმეტესად  
შვენებრებად ზირისა მისისა: და შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო  
სიტყვად ლიქნითა, და აღუოქმიდა ნიჭთა დიდთა <sup>3)</sup>, და აწვევდა  
დატყვებასა ქრისტეს სჯულისასა, და მიქცევასა სარკინოზად: ხალხ  
წმიდა-მან არჩილ ყოვლადვე არა თავს-იდვა სიცბილი მისი, და მტკი-  
ცითა გონებითა მიუგო, და ჰრქვა ესრეთ: „ნუ იყოფინ, თუმცა  
სიტყვითა შენითა ვისმინე ანუ მცა დაუტყვე ქრისტე ღმერთი ცხ-  
ველი, რომელი-იგი არს ღმერთი ჭეშმარი, რომელ მან ხსნისა-თვს

1) M-ss aj. ხოსროიანი.

2) M-ss aj. თვისისა.

3) Membre de phrase omis, T.

ჩვენის კარცითა სიკუდილი თავს-იღვა<sup>1)</sup>). და უკეთუ ვისმინო შენი, უწყოდე რომელ მოგუქდე სიკუდილითა, რომლითა ვიტანჯებოდე საუკუნოდ: გარნა უკეთუ შენ მომკლა, აღვდგე ვითარცა ღმერთი ჩემი, და მის-თანაცა ვიდიდო.“

ესმა-რამ ესე უსჯულსა-მას, და იხილა სიმტკიცე მისი უქცეველი, დაუკვირდა ფრიად და უბრძანა შეპყრობამ მისი და შეეენება საპყრობილესა, რათა დონის-ძიებითა მიაქციოს იგი. რამეთუ არა სთნდა სიკუდილი მისი, სიშენიერისა-თჳს ხატისა მისისა და სიმაღლისა-თჳს ასაკისა<sup>2)</sup>: და ვითარ შეიფანეს საპყრობილესა, აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა მისიერსა შეწევნასა, რათა მოწყალებითა მისითა დიხსნეს<sup>3)</sup> მიმთხვევად, მკვდრ-ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა<sup>4)</sup>, ყოველთა თანა წმიდათ, რომელთა ღვთისა-თჳს სიკუდილითა უკუდაება მოიგეს.

მამინ უკუწ წარმოდგა წინაშე ასიშისა მთავარი ერთი კარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წინართა, და მკლველი მისნი განერივნეს შშვიდობით ზავსა აჩილისსა, აღარნასე მეფესა. ამის თჳს უკუწ შურ-იგო კარდაბანელ-მან და ჰრქვა ასიმს ესრეთ, რამეთუ „არა უწუი თუ ვინ არს ესე აჩილი: ესე არს ძე სტეფანოსისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვანტანგისი, რომელი იყო ნათესავისა-გან მიქანისა, ძისა ქასრესა: და ესე იყო მამისა თჳსისა თანა, რა-ჟამს-იგი დაჭულვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისსა, და იგიცა იცის, რომელ ჰერაკლე მეფემან დათლას საგანძური თჳსი. რამეთუ ერაკლეცა უჩვენებდა სიდა-იგი ჰულვიდეს:“ ესმა-რამ ესე ყოველი ასიმს, მოუწოდა კვალად აჩილს, და ჰრქვა ესრეთ: „უწინ თვალ-გახვენი ქმნილ-კეთილობისა შენისა-თჳს, რამეთუ ფრიად ქმნილ-კეთილი ხარ შენ: ხოლო აწ მითხრეს შენ-თჳს, რამეთუ შჯლნი ხართ დიდთა მეფეთა ხვასროვანთა, არამედ აწ უფრო-

1) T თავს-იღვა.

2) მისა, M-ss.

3) M-ss აჟ. თავი თჳსი.

4) T, trois mots omis.

სად განსდიდნე წინაშე ჩემსა, უკეთუ ისმინო ჩემი, და იუოს სამე-  
ფო შენი შენდავე, და სკანძურნიცა მამათა შენთანი მიგანიჭნე შენ-  
ვე; ჰირველად მიჩვენენ სკანძურნი მეუეთა ბერძენთანი, და მოიქცე  
სჯულსა ჩემსა ზედა, იქმენ სარკინოზ, და სპასლარ გუო შენ ქრესტე-  
ნასა ზედა ქართლისასა, და მეუე და უთაღ ერსავე შენსა ზედა: “  
მაშინ მიუგო წმიდა-მან არჩილ და ჭრქუა ესრეთ: „უწუოდე მტკიცედ,  
რამეთუ მტირე ვიყავ ჭსაკითა, ოდეს-იგი განვლო ქვეყანა ესე ჭკრაკ-  
ლე მეუე-მან: ხოლო მამა მან ჩემ-მან და ძმა-მან დახსენეს უოველნი  
სკანძურნი მათნი ციხესა-მას სდადთ-იგი შეიქცაა ურუდ ამირ. და აწ  
აქუნ იგი ბერძენთა: ხოლო მე არა დაუტეო უთაღი ღმერთი ჩემი,  
და არცა განვუიღო წარუვალი-იგი დიდებაჲ მსწრათელ წარმავალისა-  
ამის-თჳს: “ მიუგო და ჭრქუა ასიმ. „შენ უკრეს იყავ დაცემასა-მას  
ათხაზეთს შინა სარკინოზთასა: “ ჭრქუა წმიდა მან არჩილ. „მე ვი-  
ყავ მაშინ, რა-ჟამს დასცნა იგინი ღმერთ-მან: “ ჭრქუა ასიმ. „რო-  
მელ-მან ღმერთ-მან დასცნა სარკინოზნი: “ მიუგო არჩილ და ჭრქუა:  
„ღმერთ-მან ცხოველ-მან, რომელი არს შემოქმედი ცათა <sup>1)</sup> და  
ქრესტეანისა, და რომელი-იგი მოვიდა ზე-ცით ქრესტეანად, ხსნიას-  
თჳს ნათესავისა კაცთასა, და სიკუდილითა თჳსითა აღგვადგინნა, და  
უკრქუდავება მოგვანიჭა: მან უკრეს დასცნა და დაამდაბლნა იგინი: “  
მაშინ ჭრქუა არჩილს მთავარ-მან მან ასიმ: „რომლისა უკვე ღმერთი  
მოკრქუდავი არს, და სსოებაჲ ცხოვრებისაჲ მოკრქუდავისა მიმართ აქუნს,  
ჟერ არს მისიცა სიკუდილი: “ და უბრძანა თავისა მოკვეთითა აღ-  
სრულებაჲ წმიდისა არჩილისი, და არა ჭრიდა სიკეთესა მისსა, და  
არცა შეიკდიმა <sup>2)</sup> დიდებისა-გან წარჩინებულებისა მისისა; მაშინ გა-  
ნიუვანეს კარე მტარვალთა-მათ წმიდაჲ მოწამე არჩილ <sup>3)</sup>, და მოჭკვე-  
თეს თავი მისი მახვილითა, თთულსა მირკანისასა, რომელ არს მარ-  
ტი, ოცსა მის თჳსსა <sup>4)</sup>, და შევედრა სული თჳსი კელთა შინა და-

1) T ცისა.

2) T შვირცხვნი.

3) T omet depuis მტარვალთა.

4) T omet deux mots.

შბადებელისათა: აღიარია სიკჳდილი-იგი უკჳდავებისა მამატუგებელი, და შესცვალა მტირედ ესე მეფობაჲ საწუთოს სიხარულად საუკუნოდ, დირს იქმნა განწყობილთა შორის წმიდათსა და აზოვანთა მწამეთასა წარდგომად წინაჲ დუთისა, და მათ-თანა გვრგვინსანი იხარებს წინაჲ სამებისა წმიდისა.

ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდაჲ მოწამე არჩილ, მოვიდეს დაშეს-მას გოდერძიანნი ტბელნი, და მათ თანა სხჳანიცა აზნაურნნი მამიანნი, და მოიხარეს გჳსში წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიდეს და შემუსრეს დიდითა პატრივითა, და დამარხეს ნოტუკრას, მის-მიერ აღშენებულსა კეკელისასა: ხოლო ცოლ-მან მის-მან მიუბოძა სოფლები მათ რამელთა მოიდეს გჳსში წმიდისა მოწამისა არჩილისი, კახეთს შინა, სამკვდრებელად მათდა: ხოლო წიგნი ესე წამებისა მისისა იხოვა ესრეთ, სულ მტირედ აღწერილი, რამელ ჟამთა შლილობითა ჯერისა-ებრ ვერა-ვის აღეწერა.

ხოლო წიგნი ესე ქართულთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე, აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისით-გან ვიდრე აქამომდე, აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიან-მან, ძმის-წულის ქმარ-მან წმიდისა არჩილისა-მან, ნათესავ-მან რევისა-მან, მირიანის ძისა-მან, და ამიერით-გან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინა-მდებარე-მან ჟამ-მან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა, დუთივ. განბრძნობილსა.

---

მე. მეორემოცდამეხუთე მთავარნი ქართლისა, იოანე და ძმაჲ მისი ჯუანშერ, ძენი წმიდისა მოწამისა არჩილ მეფისანი, ხოსროიანნი.

შემდგომად ამისსა რა-ჟამს-იგი აღესრულა წმიდაჲ მოწამე არჩილ მეფე, დარჩნეს შჯლნი მისნი იოანე-და ჯუანშერ. წარვიდა იოანე ეკრისად, და წარიტანა თანა დედაჲ და ორნი დანი თჳსნი: ხოლო



ჯუანშერ და ორნი დანი დაშტეს ქვეყანასა ქართლისასა და კახეთისასა: და უმრწემესი დაჲ მისი იყო სახითა შვენიურ. და მიესმა ქებაჲ მისი ხაზართა მეფესა, ხაკანს. მოგზავნა მოციქული ჯუანშერისად<sup>1)</sup> და ითხოვა ცოლად, რომელსა ერქვა სახელად შუშან<sup>2)</sup>, და უჭადა შველად სარკინოზთა ზედა: რა-ჟამს მოიწია მოციქული საკანისა, მიუმცნო ესე უოფელი ჯუანშერ<sup>3)</sup> ძმასა თჳსსა იოანეს და დედასა თჳსსა. ხოლო მათ არა ინებს მიცემად მისი, და უთხრეს<sup>4)</sup>. უკეთუ უღონო იქმნეს ყოფად ჩვენი, უმჯობეს არს რათა შევიდეთ საბერძნეთად, და მივმართოთ ქრისტეანეთა, ვიდრეღა-რა შეიგინოს შუღლი ჩვენი:“ და შუშანაცა აგინა ხაზართა მეფესა: შემდგომად სამისა წლისა, მოგზავნა საკან-მან სხასაღასრი თჳსი ბღუჩან, გამოფლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად, და მოადგა ციხესა-მას, რომელსა შინა იუწნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო ციხე-იგი<sup>5)</sup>, და ტყვე ყვნა იგინი, და შემუსრა ქალაქი ტფილისისა, წარტყვენა ქართლი და უოფელი ესე ქვეყანა: და ვითარცა წარმართა გზასა დარიალისასა<sup>6)</sup>, დღეს ერთსა ჰქრქვა ძმასა თჳსსა შუშან: „უმჯობეს არს ჩემ-თჳს სიკუდილი, რათა დიხს მუცს მე უფალ-მან ნაწილსა<sup>7)</sup> წმიდათა<sup>8)</sup>. დედათა, ვიდრეღა-რა შევიგინო წარმართთა მიერ:“ და ჰქრცნდა მას ბეჭედი, აღმოუგდო მას თვალი და მოწოა იგი, რამეთუ იყო თვალსა-მას ქუჩსუე წამალი სასიკუდინე; და მუნ-თქვესვე მოკუდა: წარმოვიდა ხავანისა ბღუჩან, მოჰგვარა ჯუანშერ საკანსა<sup>9)</sup>, და მიუთხრა სიკუდილი დი-

1) Omis, T.

2) T და ითხოვა შუშან ცოლად.

3) T, trois mots omis.

4) M-ss არამედ მიუმცნეს ესრეთ.

5) T, deux mots omis.

6) M-ss დარიალისასა.

7) Omis, T,

8) T წმიდათა თანა.

9) Omis, T.

სა მისისა შუშანისა: ხოლო <sup>1)</sup> განუწერა მეფე ხაკან, არა მოტანი-  
სა-თჳს გვამისა შუშანისსა <sup>2)</sup>, რომლისა წადიერ იყო ხილვად; მა-  
შინ შეიპურეს ბლუჩან და მთაბეს უელსა საბელი, და განზიდვად  
სცეს ერთა ცხენოსანთა, იმიერ და ამიერ, და მოსწევიდეს თავი  
მისი ბოროტად.

და ვითარ დაჰყო ჯუანშურ მუნ წელიწადი შვიდი, განუტევა,  
ნიჭითა დიდითა და წარმოგზავნა ქვეყანად თჳსად ხაკან-მან. ხოლო  
ამიერი-გან იწყო შემცირებად მეფობა-მან დიდთა-მათ მეფეთა  
ხვასრანთა-მან. შირველად, უფლებსა სარკინოზთა განდიდნა, და  
მათ-გან მიუცა უფული ესე ქვეყანა უამითი-უამად რბევასა და ცკრე-  
ბასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისსა, და  
შეერთათ ბრძოლა, და იქმნეს მტერ ურთიერთარს: და უკეთუ ვინ-  
მე გამომხდის რომელიმცა ღირს იყო მეფედ შვილთა შორის ვახ-  
ტანგისათა, იქმნის შემცირებულ სარკინოზთა-გან. რამეთუ დაიპურეს  
ქალაქი ტფილისი აგარიანთა, და შექმნეს სახლად სამეოფლად თჳსად,  
და მიიღებდენ ხაკასა ჭეჭყანისა-ამის-გან, რომელსა ჰქვია ხაკა-  
ჯა. რამეთუ განგებთა ღვთისათა, სიმრავლისა-გან ცოდუნთა ჩვენ-  
თასა, განდიდნა ნათესავი აგარიანთა, და განუთინა ქადაგება მამად  
უსჯულთსა, და მრავალი ერი შეუდგა მას. შემდგომად მისსა, გა-  
მოვიდეს სპარსნი და ზონტომდე მოიწივნეს, და უფული კაბადუკია  
დაიპურეს ღვთივ. <sup>3)</sup>

ხოლო ამან ჯუანშურ შეერთა ცოლი ნათესავი ბაკრატონიან-  
თა <sup>1)</sup>, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედა-მან  
მის-მან მოუწანებაჲ მისი ცოლად. არა-თურე კეთილად მეცნიერი  
იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველი-  
სანი, რომელი-იგი ეგრციელად მამად ღვთისა იწოდას: და ვითარ  
იხილას ძის ცოლი, შეუეწარდა იგი, აკურთხა და დალოცა. და ვი-

1) T აქ. იგი.

2) T მისისა.

3) Manque aux M-ss R, T, depuis და განუთინა.

2) Mon M-it ბაკრატონთა.

თარ გარდაკდა ამას შინა წელიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგა-  
რიანი, რომელი ჰმსთავრობდა სომხითს, ქართლსა, ჭერეთს, სასე-  
ლით ხვასროთ ოდეს: ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოკრებული  
ხაზართა-გან.

ხოლო რა-ჟამს მოუძღურდეს ბერძენნი. გაადგა მათ-გან ერის-  
თავი აფხაზთა, სასელით ლეონ, ძმის-წული ლეონ ერის-თავისა,  
რომლისად <sup>1)</sup> მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი: ესე მეორე ლეონ ასუ-  
ლის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერ-  
ძენთა, დაიხურა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხადმდე, და სა-  
ხელ-იდვა მეფე აფხაზთა. რამეთუ მიტყალეულ იყო ირანე ერის-  
თავი, და დაბერებულ იყო ჯუნშერ: და შემდგომად ამისსა ჯუნ-  
შერცა მიიტყალა. არამედ სიცოცხლესავე ჯუნშერისსა ადარნასე  
ბაკრატონიან-მან იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭა-  
რისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქვემო-ტაოსა, და ცი-  
ხეთა-განცა, რომელი ჰქონდეს შჯლის შჯლთა ვახტანგ მეფისათა: და  
შემდგომად მისა წარვიდა კლარჯეთად, და მუნ მოკრდა <sup>2)</sup> ადარნასე:  
რამეთუ მამა მისი ნერს, ძე ვარა-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის  
ვარაზ-ბაკურის მამა, სასელით გურამ კურატპალატი, ძე პირველისა  
სტეფანოზისა და ძმა დემეტრესი, ესენი გარდაცვალებულ იუვნეს,  
და ძმანი ამის ადარნასესნი, სასელით თელიზე, და სტეფანოზ,  
იგინიცა მომკვდარ იუვნეს. და შემდგომად სიკრდილისა ადარნასესა,  
განადიდა უფალ-მან მეფობა აშოტ კურატპალატისა, რომელი იყო  
შვილი ადარნასესი და ძმა გურგენ ერის-თავისა.

<sup>1)</sup> M-ss რომლისა-თვს.

<sup>2)</sup> Immédiatement ici. le M-it T porte la rubrique: აშოტ  
კურატპალატი, et cette phrase: შემდგომად სიკვდილისა ადარნასესა. გა-  
ნადიდნა უფალ-მან მეფობა აშოტ კურატპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს,  
საზღვართა მისთა: suivez რამეთუ მათვე ჟამთა . . . , au chapitre  
suivant; i. e. „Ashot coulatpalate (couropalate). Après la mort  
d'Adarnasè, le Seigneur glorifia la royauté d'Ashot couropalate,  
qui fut maître de la Géorgie et de ses frontières, En effet. . .“  
Tout le reste manque à T.



ბე. ორბეოცდაბეექუსე კურატპალატი ქართლისა, აშოტ,  
ბე აღარნასესი ბაგრატოანი.

ხოლო ესე აშოტ კურატპალატი მთავრობდა ქვეყანასა-მას შინა, და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემოს მისსა: რამეთუ მათვე უამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღურებულნი და გაწილებულნი: მაშინ ბერქენთა მეფე-მან მოუბოძა აშოტს კურატპალატობა<sup>1)</sup>, და მოუძღურებულ იუწუნენ სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურატპალატი: ხოლო ტფილისს არღა-რა-ვინ დარჩა სარკინოზთაგანი, თხნიერ აღი შუაბის ძისსა, და გრიგოლი მთავრობდა კახეთს.

და ესხნეს ძენი აშოტს, აღარნასე და ბაგრატ.

მას უამთა, მეორესა წყლსა, გამოილაშქრა აშოტ კურატპალატ-მან, და უშველა თევდოსი, აფხაზთა მეფე-მან, ბე-მან მეორისა ლეონისა-მან, რომელი-იგი სიძე იყო აშოტ კურატპალატისა: მომოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშველეს მთიულთა და წანართა, და ამირა-მან ტფილისისა-მან: შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ: გაიქცეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიხურეს ქუჭყანა რომელი ჰქონდა ქართლის-გან. და დაიხურა აშოტ კურატპალატ-მან კლარჯეთით-გან ვიდრე კსნადმდე<sup>2)</sup>.

3) T კულატპალატობა.

1) C'est, je crois une fausse orthographe du nom écrit plus haut par un j initial; c'est celle que wakhoucht avait suivie dans sa Géographie, mais que j'ai corrigée d'après l'usage généralement suivi aujourd'hui.

Le M-it T aj. ici: ხოლო აშოტ კურატპალატი მთავრობდა ქვეყანასა-მას შინა, და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ განძლიურდა კელმწიფობა აგარინთა.



და შემდგომად მისსა მოვიდა ხალხი, იზიდის ძე, არაბით, დაიხურა სომხითი, ქართლი, და ჭერეთი <sup>1)</sup>. და იწუეს ძიება აშოტ გურატზალატისა, და ვერ უძლელ წინ-ადდგომად მათდა აშოტ, და იფლტოდა მათ-გან: და წარემართა იგი რათა წარვიდეს საბერძნეთად, და თანა-ჰყუევს მას დედა და ცოლი, და ორნი ძენი ასაკითა ჩხვლნი <sup>2)</sup>, უხუცესი, ადარნასე, და შედეგი <sup>3)</sup> ბაკრატ: ხალხ უმრწემესი ძე, სახელით გურამ, არტანუჯსა შინა დაებადა <sup>4)</sup>: და ერთი თჳსო მცირედ ჰყუა თანა, მკვიდრნი მისნი, დედა-წუელთურთ და შვილით მათით: და მოიწინეს მათსა ჯავახეთისასა, კიდესა დიდსა-მის ტბისა ფარავანისასა, დამაშრვალნი სღვისგან, და გარდაკდეს განსვენებად კიდესა-მის ტბისასა: ჭამეს-რა ზური მცირედ, მიერულათ, და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი: მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ გურატზალატსა კინისა-მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათ-ზედა, და მოსწეს სიმრავლენი ურიცხუნი: წარმოვიდეს მუნით <sup>5)</sup>, და მოიწივნეს კეგსა შავშეთისასა. ხალხ კეგი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა: რამეთუ ჟამთა სზარსთა უფლებისასა აკრდა, რდეს-იგი ყრუ-მან ბაღდადეგ-მან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოფლელ შავშეთიცა, და ჯადონი: <sup>6)</sup> და კვალად შემდგომად მისსა სრვა-მან სატლახობისა-მან მოაკრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლსა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ:

1) Manque à T. depuis და შემდგომად.

2) M-ss მისნი, au lieu de ce mot et du précédent.

3) Omis, T.

4) T, au lieu de ces trois mots: ჯერეთ არა ესეა. „Gouram n'était pas encore né.“

5) Omis, T.

6) Je rapporte ici une note de mon M-it, mise à la p. 162 par erreur.

აქა ეწამა წმიდა აბო, ქალაქსა ტფილისსა; ერდსთობასა გურგენის-სა, კათალიკოზობასა სამოელისსა, ქრისტეს აქეთ რვა (lis შვდ) ას ოთხ-მოც და ათსა, მეფობასა ბერძენთასა კოსტანტინე, ძისა ლეონისსა: V. la Traduction.

ხალხ დაშთობილთა-მათ შკვიდრთა შავშეთისთა შეიწუნარეს იგი სისარულითა და სიყვარულითა, და დაემკვიდრა მუნ, და მისცნა: დმერთ-მან განმარჯვება და აკელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზე და: და რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოიყიდნა საფასითი. და ზოგნი ოკერნი აღაშენნა, და განამრავლნა სოფლები აშოტ კურატზალატ-მან ქრსტუანათა-მათ შინა: და განამტკიცნა დმერთ-მან კელმწიფობა მისი, ნებითა ბერძენთა მეფეთათა: ხალხ ამან აშოტ კურატზალატ-მან ჰოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდეა <sup>1)</sup> ერთი, რომელი ჰირველ ვასტანგ გორგასაღს <sup>2)</sup> ციხედ აღაშენა, სახელით არტანუჯი: აოკრებულ იყო ბაღდადეღისა-მის ყრუობით-გან. იგი განახლა აშოტ, და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა, ქვეშეთ, აღაშენა ქალაქი, და აღაშენა ციხესა-მას შინა ეკკლესია წმიდათა მოციქულთა ჰეტრესი და ჰავლესი და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკვიდრა ციხესა-მას შინა ცხოვრებად: და მერმე კრსტანად ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავისა ქალაქისა: და მრავალ-გზის მოსცა დმერთ-მან აშოტ კურატზალატსა ძლევა და დიდი დიდებაჲ ბრძოლათა შინა.

და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ რათამცა შეიკრიბა ლაშქარი ბრძოლისა-თჳს სარკინოზთასა, მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრისა მავგველები. და ვიდრე არდა შეკრებულნი იყო ლაშქარი-იგი მისი მის-თანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად, და ატყეს იგი: და წარმოემართა, და მოიწია კეგსა ნიგაღისასა, და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი: და წარმოემართნეს მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა: იგინი მოვიდეს კლვად მისსა. მასინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისა, არა უწყოდა აშოტ ზაკვა მათი: და რა-ჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მასინდა აკრძნა, რაჲ-იგი ეგულვებოდა მათ, და არა ჰყუვა მას ერი თჳსი, თჳნიერ მცირედთასა, რომლითა ვერ წინა-აღუდგებოდა მათ იგი <sup>3)</sup>: ამის-თჳს შეიფლ-

1) T ტყე.

2) M-ss გურგასლანსა.

3) და მისსა შემდგომად მოვიდა ხალხი, იზიდის ძე, არაბით, და

ტოდა აშოტ კურატპალატი ეკკლესიად, და მოწულებს იგი მახვილითა<sup>1)</sup>, საკურთხეველსა ზედა, და შეისვარს საკურთხეველი-იგისისხლითა მისითა. რამეთუ დაკლებს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხეველისასა, და სისხლი-იგი მისი; რომელი მას შინა<sup>2)</sup> დათხუელი, დღესაცა სხინოდ სხნილველ არს: ხოლო ესმარად ესე აბავი ერსა მისსა, რომელი-იგი იუჟნეს დოლის-ყანას, ვითარმედ მოიკლა უფალი-იგი მათი აშოტ, კელითა ორგზ-მორგზის ძეთათა, წარვიდეს დოლის-ყანით<sup>3)</sup>, და დევნა უუგეს მკვლელთა-მათ უფლისა თვისითა, და ეწივნეს მათ სავანესა ზედა ჭოროხისსა. მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშათ არცა ერთი მათგანი: და წარმოიღეს აშოტ მკვდარი და დაუღეს მისსა-მას საფლავსა შინა, ციხესა არტანუჯისასა, ეკკლესიასა წმიდათა მოციქულთა ჰეტრესა და ზავლესსა: ხოლო მოიკლა მეგრელთა-გან<sup>4)</sup> ესე აშოტ კურატპალატი, დასაბამათგანთა წელთა ხტლდ<sup>5)</sup>, ქორონიკოსა მუათცამეტედ მოქცეულსა შინა, მე. თთჳსსა იანვარსა კთ: და დაუტევნა სამნი ძენი, უხუცესი ადარნასე, და შედეგი მისი ბაკრატ. ესე ორნი თანა-ჰუგეს მას რა-ყამს-იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო უმრწემესი, გურამ, არტანუჯის მოსლვასადა შინა დაებადა.

და შემდგომად აშოტის სიკუდილისა<sup>6)</sup>, რომელ გარეთ ქვეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისთა, ხოლო კვალადცა დაეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა<sup>7)</sup>, წარუღეს სარკინოზთა, რამეთუ იუჟნეს იგინი უსრულ ჰსაკითა: ხოლო რა-ყამს სრულ-ჰსაკ იქმნნეს იგი, კვალად-

დაპყრა სომხითი, ქართლი და ერეთი, ამის-თვის შევიღტოდა აშოტ კურატპალატი ეკლესიად. . . . Transposition du M-it T; v. la Traduction.

1) T ajoute, très mal-à-propos: გარდაბანს, ეკლესიასა შინა.  
 2) T aj. ici 3 mots.  
 3) M. R, ლოდის-ყანით.  
 4) Ce mot manque à T.  
 5) T ყყზ; R, ხელ; v. la Traduction.  
 6) T aj. მამისა მათისა.  
 7) T aj. ici 4 mots.

ცა მოსცა ღმერთ-მან მათვე უოველივე-იგი ნაქონები მამისა მათისა. რამეთუ იზრდენ სამნივე-იგი ძმანი, ძენი ამის აშოტ კურატპალატისანი <sup>1)</sup> ციხესა შინა არტანუჯისასა, და იუწენეს ხარკისა მიმცემელ სარკინოზთა უოველნივე კეფნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. <sup>2)</sup>

რამეთუ ამირაზბა ტფილისსა შინა აღი, შუაბის ძე, რამელი დაედგინა ხალილს: ხოლო მას უამსა შინა შეითქუნეს გარდაბანელი, და განახინეს ქორეთისკობოზად დანი, ძე იოანე ქუაბულის ძისა, და შემდგომად მისსა დასწეს ქორეთისკობოზად სამოელ დონაური: და კვალად შეორედ მოვიდა იგივე ხალილა არაბი. შეებნეს გარდაბანელი, გაფაზს, და გააქციეს ხალილ, და მოსწედა სიმრავლე ფრიადი: და კვალად დაჯდა ამირად ტფილისს სჰჰაკ, ისმაელის ძე: ხოლო ხალილ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჯავახეთს, და ძე მისი მოჭმედ მოვიდა ქართლს <sup>3)</sup>: მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურატპალატისა, და მისცა მას ქართლი, და წარმართა ღმერთ-მან კელმწიფობა მათი. <sup>4)</sup>

---

1) Il y a ici dans le M-it T, des transpositions de mots, qui n'affectent pas le sens.

2) T: და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად აღი, შუაბის ძე.

3) Le M-it T mit ici la phrase ci-dessus: ხოლო რა-უამს სრულ-ჭასაკ იქმნეს იგინი ძენი აშოტისანი, მოსცა ღმერთ-მან ხოლო (sic) არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათ ნაქონები იგი მამისა მათისა. დასვეს ბაგრატ კურატპალატად, ხოლო. . . ; cette rédaction est très vicieuse.

4) T aj. depuis და.



მზ. მეორმოცდაძეშვიდე <sup>1)</sup> კურატპალატი, ბაგრატ, ძე  
აშოტ კურატპალატისა და ძმა ადარნასესი და გუარა-  
მისა, ბაგრატოანი.

ხოლო ამან ბაგრატ და ძმათა მისთა დაიხურეს არტანუჯით  
გამდმართ მათი ნაქონები-იგი მამულეები მამისა მათისა და მორჩი-  
ლობდეს საკინოზთა: ხოლო ვითარ მოვიდა მოჭმედ ქართლს და  
მიერთო მას ბაგრატ კურატპალატი, მაშინ <sup>2)</sup> გამოვიდა სპაკ, ამი-  
რა ტფილელი, ლაშქრითა, და დადგა რეკს. ხოლო მოჭმედ და ბაგ-  
რატ წარიდეს უფლის-ცხიხე, და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შვე-  
ლად სპაკისა: შეიბნეს რეკს და იბრძოდეს, და იყო ბრძოლა ძლიე-  
რი <sup>3)</sup> მათ შორის: არცა იგინი გაიქცნეს და არც იგინი, ვიდრემ-  
დის გაიყარნეს. და აიყარა მოჭმედ და წარვიდა <sup>4)</sup> ბარდავს.

ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხა-  
ზეთს, ქრისტეს აქეთ, ზღ <sup>5)</sup>: ხოლო აქა უამდმდის გარდასრულ  
იუწნეს წელნი მოჭმედის გამჩინებით-გან რომელ-მან სჯული სა-  
კინოზთა დაუდგა, ორ ას ათ-ცხრა-მეტნი.

მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა, ბადდადით, რომელი გა-  
მოეგზავნა ამირ-მუმელსა, სზითა დიდითა. შემუსრნა უოველი სომ-  
ხითი და ტუვეე ჭეუნა უოველნი მთავარნი მათნი: და მოვიდა მუნით,  
და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდეს <sup>6)</sup>. და  
მოკლა ამირა ტფილისისა სპაკ, და შემუსრა ტფილისი, და და-

<sup>1)</sup> le M-it T porte: მეორმოცე მეფე 40-e roi, tandis que, le  
chiffre de la dernière rubrique, p. 153, est: 45-e roi, Outre cela,  
ce M-it omet depuis და ძმა..., jusqu'à გურამისი, inclusivement.

<sup>2)</sup> Manque à T, depuis ხოლო ამან, jusqu'ici.

<sup>3)</sup> T quatre mots omis.

<sup>4)</sup> T წარვიდეს.

<sup>5)</sup> Ce § manque à R, T; v. la Traduction.

<sup>6)</sup> T aj. ამირა საპაკ მოკლა, შემუსრა.

წვა ცეცხლითა, და მოაკრნა უოველნი არენი მისნი: მაშინ გამოვიდა თევდოსი, მეფე აფხაზთა, წინა-აღდგომად მისსა, და დადგა კვერცხობსა: ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სხასალარი თჳსი, და ბაგრატ <sup>1)</sup> კურატპალატი. და შეებნეს და გააქცივნეს აფხაზნი, და მოსწუდა სიმრავლე ურიცხვი, და თევდოსი მეფე წარვიდა, მეოტი, გზასა დვალეთისსა, კვალად უკუ<sup>ლ</sup> მოქცეულთა დაუდგეს წინა გარდაბანელნი, ჯვარის-გვერდსა, და ავნეს დიდად ლაშქართა. ხოლო ვითარცა ბუღა, აღიუარა მუნით და მოვიდა ჭართალეთს, და დადგა მუნ შინა, აღიუფანნეს მთიულთა-გან მძევალი კაცი სამ ასი <sup>2)</sup>. და ლამობდა <sup>3)</sup> შესლვასა ოვსეთად, და შევიდა ცხავოტამდის: ხოლო აბუღბაზ. სომეხთა ერის-თავ-მან, და გუარამ მამფალი-მ, აშოტის ძე-მან, ძმა-მან ბაგრატ კურატპალატის-მან <sup>4)</sup>, მიუთხრეს მთეულთა; რათა არა შეუშვან: ხოლო მათ განიხარეს და განწირეს მძევალნი მათნი: უშველსა ღმერთ-მან, რამეთუ მოვიდა თოვლი. დაუდგეს წინა და შეებნეს, და მოსცა ღმერთ-მან ძლევა, და მოკრძა სარკიბოზთა-გან ურიცხვ, და ცხენ-მან მათ-მან მოძოვს იელი, დაიკოცა ფრიადი. ხოლო სიმრავლისა-გან ლაშქრისა, არა ჩნდა, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ ას ოცი ათ-ასი.

შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს. და შეიპურა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამოთავრებულ იყო; და შემუსრა გარდაბანი, განადგოვანი დარუბანდისა, და გამოიუჭანნა ხაზარნი, სახლი სამ ასი, და დასხნა იგინი შანქარს, და დარიელით <sup>5)</sup> გამოიუჭანნა ოვსნი, ვითარ სახლად სამი ათ-ასი და დასხნა დმანის, და უნება შესლვა ზათეხელის ოვსეთად; ხოლო ამირ-მუმღ-მან ვითარცა ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს, მოუვლინა ბუღას, რათა დაუ-

<sup>1)</sup> T ძე აშოტ კურატპალატისა.

<sup>2)</sup> Addit. du M-it T, depuis აღიუფანეს.

<sup>3)</sup> M-ss ლამობდა.

<sup>4)</sup> Tous les litres de Gouaram, dans le M-it T, se réduisent à აშოტის ძე-მან, mots qui manquent dans les autres copies.

<sup>5)</sup> T დარიალამნით.

ტეოს ქართლი მოჭმედს, ხალილის ძეს: და წარვიდა ბუდა, და ამირაობდა მოჭმედ<sup>1)</sup>, ხალილის ძე: და გარდაადგინა ამირაბუმან<sup>2)</sup> მან მოჭმედ<sup>3)</sup>, და დაადგინა ისე, შიშის ძე, ხათესავი მოჭმედისივე, და ქორებისკობზი იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორებისკობზისა. და წარვიდა ისე, და მოვიდა სხუა ამირა, რომელსა ერქვა სახელად აბრაჰამ: და კუალად მოვიდა ამირად ხალილის ძე მოჭმედ, და უფროს ნებიერა დაიპურა უოველი ესე ქვეყანა, სომხითი, ქართლი და რანი: და წარვიდა ხალილის ძე, დადგა ამირად კაცი საჭაკის<sup>4)</sup> მონათესავთაგანი, სახელით გაბლუც: ხალაგუარამ, ძემან აშოტ კურატხალატისა-მან და ძმა-მან ბაგრატ კურატხალატისამან<sup>5)</sup>, შეიპურა გაბლუც და წარსცა საბერძნეთად რამეთუ განდიდებულ იყო გაბლუც, და დაემორჩილნეს გარდაბანელნი. და ბრძოდა აშოტ, მამის ძმისწულისა მისსა, ძეს სუმბატ სომეხთა მეფისსა. ძმას გუარამისსა: ხალაგუარამს დაეპურა ჯავახეთი, თრიალეთი და ტაშირი, აბოცრი და არტანი, და ჰბრძოდა სარკინოზთა. ზოგჯერ სძლის გუარამ, და ზოგჯერ სარკინოზთა. ხალაგუარამ განუუგნა ქვეყანანი ძმათა თხსთა, ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცრი განუყო ცოლის ძმას თხსსა, სომეხთა მეფესა. და შემდგომად ამისა გარდაიცვალა ადარნასე, ძმა ამის გუარამის და ძე აშოტ კურატხალატისა. გარდაიცვალა ბაგრატ კურატხალატი, ძმა ამის ადარნასესი, ქორონიკონსა უგ, და დაუტევნა სამნი ძენი, დავით, აშოტ და ადარნასე: გარდაიცვალა ესე ადარნასე, ქორონიკონსა ჟღე გარდაიცვალა აშოტ, ძმა ამის ადარნასესი და ძე ბაგრატ კურატხალატისა, ქორონიკონსა რე.<sup>6)</sup>

1) T ჰუმედ, ici et plus, habituellement.

2) ამირა-მან.

3) ჰუმედ.

4) Ici, et plusieurs fois nos M-ss portent ხაკ, ou საჭკი, საკის ou საჭკის.

5) T omet quatre mots.

6) Manque à T, depuis და შემდგომად.

მას უამს გამოვიდა აფხაზთა მეფე, გიორგი აღწეფელი, ძმა <sup>1)</sup> თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ჯეონისი, დაიპურა ქართლი და დაუტევა ერის-თავად ჩინას, ძე დემეტრესი <sup>2)</sup>, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქვა ბაგრატ. რომელი იცნობების ექსორია ქმნილობით. და ცოლ-მან გიორგი მეფისა-მან მოკლა ტინინე, ძე დემეტრესი, ერის-თავი ჩინას, და ეცრუა იგი იოანე, მთავარსა შავლალიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღვასა: ხოლო დემეტრეს-მან განარინა იგი, და მიიწია კონსტანტინეზოლად: და მოგვარა მეფე-მან იოანე-მ ძესა თვისსა: ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ, აშოტის ძისა: და მოკჳდა იოანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის-წილ ძე მისი ადარნასე: მაშინ ეპურა <sup>3)</sup> ლიპარიტს ქვეყანანი თრიალეთისანი, ადაგო ციხე კლდე-კართა, და იპატრონა დავით, ძე ბაგრატ გურატზალატისა. <sup>4)</sup>

თეოდოსი მეორე გარდაიცვალა ცოლ-შვილიანად, და დაჟდა მეფედ გიორგი, რომელსა საუფლისწულოდ ჰქონდა აღწეფი. ამის-თვის ეწოდა მას გიორგი აღწეფელი: თეოდოსიმ იპატრონა ოც და შვიდი წელი. <sup>5)</sup>

---

1) L'èpithète აღწეფელი s'explique par la dernière ligne de ce §; elle manque aux M-ss T, R, qui ajoutent le mot bien nécessaire, ძმა.

2) Mon M-it aj, მეფობდა ესე შვიდ წელ.

3) T და შეიპურა.

4) Au lieu de ces trois mots, le M-it T porte: ბაგრატის ძე: ხოლო ნახრ. ძე გუარამისი, და გურგენი . . . ; suivez plus bas: იყუნენ აფხაზთა. . .

5) Tout ce § manque, T. R.



მწ. მეორე მოცდაზე მეფე, კურატზალატი დავით, ძე  
ბაგრატ კურატზალატისა, ბაგრატოანი, <sup>1)</sup>

ხოლო ამას დავით კურატზალატის აღუდგა მტრად ნასრა, ძე  
გუარამ მამფალისა, რომელი იყო მამის ძმა ამის დავითისი: ხოლო  
ესრე ნასრა, ბიძის <sup>2)</sup> ძე ამა დავით კურატზალატისა, და გურგენ  
იუჟნენ აფხაზთა კერძ. ხოლო დავით და ლიხარტი უშეკლდეს სო-  
მეხთა, და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა, მას  
ჟამისა მონაზონ იქმნა გუარამ.

ხოლო ამან დავით კურატზალატ-მან აღაშენა ეკკლესია სასუ-  
ლისა <sup>3)</sup>: და ვითარ მოკჳდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონა-  
ური, დაჟდა ქორეპისკოპოსად ფადლა არეგმანელი, კაცი ბრძენი,  
და საქმის მეცნიერი.

მას ჟამისა შინა მოიტეუა ნასრა, ძე-მან გუარამ <sup>4)</sup> მამფალისა-  
მან, დავით კურატზალატი, ძე ბაგრატისი, მამის ძმის-წული მი-  
სი <sup>5)</sup>, და მოკლა იგი ქეს-რს <sup>6)</sup>. დაუტევა ძე, სახელით ადარნასე, რომე-  
ლი მეფე იქმნა შემდგომად მამისა თჳსისა, ხოლო გარდაიცვალა აშოტ,  
კეკელა, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქორთნიკონს ზე, გარ-  
დაიცვალა სუმბატ მამფალი, არტანუჯელი, ძმა აშოტ-კეკელასი და ძე  
ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქორთნიკონს რთ: გარდაიცვალა  
ძე ამის სუმბატისა, დავით მამფალი, მონაზონ ქმნილი, ქორთნი-  
კონს რძგ: გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთ-ერისთავი, ძე მის დავით

1) La rubrique manque à T.

2) Le M-it R et le mien portent la fausse leçon ბიძის.

3) Cette phrase manque, T; cf. p. 169.

4) T გუარამისა-მან.

5) Aj. par T, depuis ძე ბაგრატისი. Tout ce qui suit est omis  
jusqu'à შეუკრბეს, seconde ligne du § suivant, et se retrouvera,  
avec de grandes variantes, dans une note de la p. 161, à la fin du  
49-e règne.

6) La date manque à T.

მამფალ მონაზონისა, ქორთიკონს სჭ, და დაუტევა ძენი ორნი, და ვით და ბაგრატ. გარდაიცვალა ესე ბაგრატ, ძე სუმბატისი, და ძმა და ვითისი, ქორთიკონს სჭ, მასვე წელსა, რომელსა წელსა მოკვდა მამა მისი სუმბატ, და დაუტევა ძენი ორნი, გურგენ და სუმბატ: ხოლო გურგენ დაუტევა ძე ერთი, სახელით დემეტრე. და სუმბატ დაუტევა ძე ერთი, სახელით ბაგრატ. გარდაიცვალა გურგენ კურატზალატი, ძმა სუმბატ მამფალ-არტანუჯელისა, და ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქკს რია: გარდაიცვალა აშოტ კუნი, რომელ-მან ადამენა ტბეთი საეპისკოპოსო, ძე მის გურგენ კურატზალატისა, ქორთიკონს რაჭ: გარდაიცვალა ადარნასე, ერის-თავთ ერის-თავი, ძე გურგენ კურატზალატისა, ძმა აშოტ-კუნისა, ქორთიკონს რიგ. და დაუტევა ორნი ძენი, და ვით, ერის-თავთ ერის-თავი, და გურგენ, ერის-თავთ ერის-თავი. გარდაიცვალა ესე გურგენ, ერის-თავთ ერის-თავი, ძმა და ვით ერის-თავთ ერისთავისა, ქორთიკონს რა: გარდაიცვალა ბაგრატ მამფალ-არტანუჯელი, ძე სუმბატ მამფალ-ანთზატი, არტანუჯელისა, ძისა ადარნასესი, და ძმა მამფალ და ვით მონაზონ ქმნილისა, ქორთიკონს რკთ: გარდაიცვალა ადარნასე ყოფილი, და მონაზონ ქმნილი ვასილი, ძე მის ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორთიკონს რაე, გარდაიცვალა აშოტ, ძმა ადარნასე მონაზონ ქმნილისა, და ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორთიკონს რთ: გარდაიცვალა და ვით, ერის-თავთ ერის-თავი, ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, და ძმა და ადარნასე ყოფილ ბასილისა, ქორთიკონს რკჭ: გარდაიცვალა გურგენ ერის-თავი, ძმა ამის და ვით ერის-თავთ ერის-თავისა, ქორთიკონს რმგ: გარდაიცვალა გურგენ, ძე მის გურგენ ერის-თავისა, ძისა ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, რხჭ.

ხოლო ვიწყეთ ჩვენ ზირველივე ამბავი-იგი და ვით კურატზალატისა, რომელი მოკლა ნასრი-მ მამის ძმის-წულ-მან მის-მან, ძემან გუარამ მამფალისა-მან: ამის-თჳს <sup>1)</sup> შეუკრბეს ნასრის მტრად სომეხნი და ლიხარტ, და ქართუჭლნი, და აშოტ, ძმა და ვითისი,

<sup>1)</sup> T ხოლო ნასრს.

და მათ-თანა სარკინოზნი, და შეეებნეს ნასრს და გააქციეს, და მი-  
უხვინეს ციხენი; და წარვიდა ნასრი მეტტი კოსტანტინოზელდ, წინა-  
შე ბერძენთა მეფისა <sup>1)</sup> და იყოფოდა მუნ მრავალ-ჟამ <sup>2)</sup>. და დასვეს  
ქართულთა მეფედ ადარნასე, ძე დავით კურატზალატისა.

---

ძთ. მეორემოცდამეცხრე მეფე, ადარნასე, ძე დავით  
მეფე-კურატზალატისა, ბაგრატოანი. <sup>3)</sup>

ხოლო ამან ადარნასე-მ მეფობასა შინა მისსა აღაშენა ბანა,  
კელითა კვრიკე ბანელისათა, რომელი-იგი ქმნა შირველი ეპისკო-  
პოსი ბანელი. ხოლო მასვე ჟამსა შესრულ იყო ბაგრატ, ძე დე-  
მეტრე აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად, კოსტანტინეზოზელდ, და მო-  
სცა ბერძენთა მეფე-მან ლაშქარი, და გამოგზავნა ზღვით, და ნა-  
ვით შემოვიდა აფხაზეთად. და მოკლა ადარნასე, ძე იოანესი, და  
დაიპურა აფხაზეთი: ხოლო ამან ბაგრატ მეფე-მან შეერთო ცოლი <sup>4)</sup>  
ადარნასესი ცოლად, ასული გუარამ მამოვალის <sup>5)</sup>. და გამოიყვანა  
ბაგრატ, აფხაზთა მეფე-მან, ნასრ, ცოლის ძმა მისი, საბერძნეთით,

---

1) T porte seulement: წარვიდა საბერძნეთს, et ajoute და მო-  
კუნდა გუარამ, ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას. მეორედ მის-გან აღშე-  
ნებულსა, tout ce qui suit étant omis; T continue: ხოლო ბაგრატ,  
ძე დემეტრე. . . . p. 161.

2) Ici il reste, dans le M-it T, les onglets de deux feuillets,  
qui ont été coupés; mais après huit feuillets entiers on en trouve  
trois qui semblent être de même papier et de la même main que  
le reste, où se lisent les détails généalogiques dont j'ai parlé plus  
haut; v. à la fin du 49e règne, dans le texte et dans la Tra-  
duction.

3) La rubrique manque, T.

4) Ici s'intercale l'Addition signalée n. 3 p. 193.

5) T გუარამისი.

და მისცა ლაშქარი: და მუნით გარდამოვიდა. ნასრი სამცხეს<sup>1)</sup>, და შეიპყრნა სამნი ციხენი, ოძრკე, ჯვარის-ციხე და ლომისიანთა, გურამისვე აღშენებულნი: და მუნცა შეიკრიბნა სხუანი ლაშქარნი ურიცხუნი, და მოძართა ადარნასეს, ქართლისა მეფესა, ასეა დავით გურატზალატისას: ხოლო ადარნასე მეფე, ძე დავით მოკლულისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჭყვა მის-თანა შეწევნად გურგენ გურატზალატი, რომელი უწინარეს ამის ადარნასე მეფისა გურატზალატი იყო, და შვიდნი მისნი, და მათ-თანა სომეხნი, და ჭყუჭუს ბრძოლა და ომი დიდ-ძალი მტკუნარსა ზედა, და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა, და იძლივნეს ნასრი, და აფხაზნი, და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და მეოტ იქმნეს, და შეიპყრეს ნასრ და მოკლეს კეგსა შინა სამცხისასა, სოფელსა, რომელსა ეწოდების ასპინძა, ქორციკონს რს, და არა დაუშთა შჯლი, და აღიხრცა სახსენებელი მისი: გარდაიცვალა გურამ მამფალი, მამა ნასრისი და ძე აშოტ დიდისა, ქორციკონს რბ: გარდაიცვალა აშოტ, ძე გურამ მამფალისა, ძისა აშოტ დიდისა, და ძმა ნასრისი, ქორციკონს ზთ<sup>2)</sup>.

ხოლო ოდეს ჯერეთ არა მომეჭდარ იყო გურგენ გურატზალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, წარმოვიდა ესე გურგენ ტაოთ, კალმანით, მამულთ თვსით, ცხფრებად შავშეთს და არტანს, და მისსა შემდგომად შეიმტკუნეს ურთიერთარს, და შეკრბეს ლაშქარი ერთმანერთსა ზედა: ერთ კერძო გურგენ გურატზალატ-მან და ერთა მისთა, მეორე კერძოსა ადარნასე მეფე-მან და ბაგრატ არტანუჯელ-მან: მოვიდეს ესენი კეგსა არტანისასა, სოფელსა მკლინავს. და ჭბრძოდეს ერთმანერთს, და მეოტ იქმნა გურგენ. წელეს და შეიპყრეს, და მოეჭდა წელულებისა-მის-მის-გან გურგენ გურატზალატი, ქორციკონსა რია. რომლისა სიკუდილი ზემორცა ადგვიწერია.

1) T ხოლო ნასრ შეიპყრნა...

2) M-it T, même récit; depuis აღშენებული: მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი: უშველეს სომეხთა, შეიბნეს მტკუნარსა ზედა-იძლივნეს აფხაზნი, ნასრ და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერის-თავი აფხაზთა ხოლო ფადლა... plus bas.



და ამისსა შემდგომად განძლიერდა ფაღლა ქორებისკობისი, და დაიმორჩილნა კარდაბანელნი, და შემდგომად მისსა დაჯდა კვრიკე ქორებისკობისად. და დაიზურბდეს ქართლსა აზნაურნი.

მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტინე, აფხაზთა მეფე, დაიზურა ქართლი, და დაემტერა სომეხთა მეფე, სუმბატ ტეზერაკლი, და გამოილასქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლის-ციხესა, და მოიღეს ჰალატ-კურტანი. აღმოაკეს ზემო-კერძო, და წარიღეს ციხე კერკითა<sup>1)</sup>: ხოლო კვალად იმზახნეს სუმბატ და კოსტანტინე, და უკმოსცა უფლის-ციხე, და ყოველი ქართლი.

ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა ამირა აკარისანი, სასულითა აბუ-კასიმ, ძე აბუ-საჯისი, არაბელი, რომელი გამოეგზავნა ამურ-მუმლსა, სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქრისტიანსა, და მოვიდა პირველად სომხითს, და მოსრა ყოველი სომხითი, სივნეთი, ვაქოარი და ასფურაკანი. მასინ სუმბატ, სომეხთა მეფე-მან, ვერ დაუდგნა ზარისა-მის-გან და წარმოვიდა მუნით მეტობით, და მიმართა მათთა აფხაზეთისათა, და მუნ იყოფოდა, და მოვიდა აბუ-საჯის ძე ტოფლისს, და მას ჟამსა ამირა იყო ჯათარ, ძე ალისი: მოვიდა და მოადგა უჯარმოს, და შიგან დგეს სამ ასო მდენ კაცნი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა, და ვითარ იხილეს რომელ ვერ დაუდგმიდეს, ამის-თჳს აღდგეს დამით და კარდაიხვეწნეს, რომელნიმე წარვიდეს, და რომელთამე ეწივნეს, და დაკოცნეს. ვითარცა ცნეს ბოჭორმელთა ციხოვანთა წარდებამ უჯარმოსა, დაადგეს ციხე და კარდაიხვეწნეს, ხოლო რა-ჟამს მოვიდეს მუნ, ჰბრძოვეს იგი უკაცური, და თქვეს: „რომელი ბაკი იყო, მას შინა ფიცხელად შეკვებნეს, და რომელი ციხე-ა, იგი უკაცურად დაუგდაით:“ აღიღეს ბოჭორმაცა, და დაიჭირეს ციხედგე, და უჯარმის ზღუდენი დაარღვივნეს.

ხოლო კვრიკე ქორებისკობის-მან ვითარ იხილა რომელ არა იყო მონები მისი, ამის-თჳს<sup>2)</sup> მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა.

1) T მკრათა mot inconnu.

2) Manque, T.

და ჰკითხა მან. „ვინ გაწვია აქა მოსვლა:“ და უთხრა. „მასწვია დედა-მან ჩემ-მან და თქუა: არა ვატკივნო გული ერთისა შემხედ-ვარსა<sup>1)</sup>:“ და შეიფარდა სიკეთისა მისისა-თჳს, და განუტევა, გარ-ნა ბოჭკომა თჳთ დაიჭირა: შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად, და მოაკრა ქართლი. და ვიდრე-იგი შემოვიდოდა, მთარღვივნეს ზღუდენი უფლის-ცხისანი, რომელ არა დაიმჭირებ: შევიდა მუნით სამცხეს, და მოაკრა სამცხე და ჯავახეთი, და<sup>2)</sup> მოადგა ციხესა თმოგვისასა: და ვითარ იხილა სიმანგრე მისი და სიმტკიცე, აღი-ყარა მუნით, და მოვიდა უგელსა, და მოადგა გარე: და უწყო ბრძო-ლად. ხოლო იყო მუნ-შიგა ჭახუკი ერთი, სახელით გობრონი: ებრ-ძოდა შიგნით გამომდართ, დღეთა უფუელთა, მოეწყნათა მისთა თანა, და ვითარ წარიდეს ციხე-იგი, შეიპყრეს წმიდაჲ გობრონი და აწამეს. რომლისა წამება მისი აღწერა ვრცელად<sup>3)</sup> წმიდა-მან მამა-მან ჩუჭნ-მან სტეფანე, მტბევარ-მან ეპისკოპოს-მან.

<sup>4)</sup> აღიყარა მუნით და წარვიდა დვინად ქალაქად. ხოლო მუნ მოვიდეს, და უთხრეს ვითარმედ სუმბატ მეფე შევიდა ციხესა კა-ზბოეტისას, და მსწრაფელ აღიყარა და მიმართა ციხესა-მან, რომელ-სა შინა იყო სუმბატ, მეფე სომეხთა, და ამცნო ლაშქარსა თჳსსა, რათა უფუელი კაცი რომელი ჰყოფნ ცოცხალი მოეყვანონ წინაშე მისსა, და მოვიდა, და მოადგა ციხესა კაზბოეტისას, და ციხეფანთა დედა-წული, რომელი ჰყოფს გარეგნით დაიპყრეს<sup>5)</sup> კელითა: და ამის-თჳს გამოსცეს ციხე-იგი და შეიპყრეს სუმბატ მეფე და წარეყვნეს დვინს, ჩამოჰკიდეს ძელსა, და მოკუდა.

შემდგომად ამისა, ვითარ გარდაკდეს წელნი რა-ოდენნიმე და მოეშენა ქართლი, მაშინ უკმო კვრიკე ქორეპისკოპოს-მან კოსტან-ტინე, აფხაზთა მეფესა, და ჩავიდეს ჭერეთად, და მოადგეს ციხე-

1) Leçon de tous les M-ss; il faut au moins შემხედვარისა.

2) T რამეთუ.

3) Manque, T

4) M-ss და ვითარ აღიეს ციხე-იგი.

5) T პოვა . . . დაიპყრა.

სა ვეუნიხისა: აფხაზთა მეფე მოადგა ზედა-კერძო, და კვირიკე ქვე-  
მით: და ვითარ მისწურეს წარღობად, მაშინ აღარხასე ზატრიკი მო-  
ვიდა, და ზარასკევესა ჯუხარსა. მიუზურა ზავის ზირი, მისცა აფხაზთა  
მეფესა არიში, გავაზნი, და კვრიკეს ორჭობი, და ესრეთ დაიზავ-  
ნეს და შეიქცეს: მაშინ მოვიდა კოსტანტინე, აფხაზთა მეფე, და  
ილოცა აღავერდს, წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი  
ოქროთა: ხოლო ლაშქარი მისი უფროსი წარავლინა გზასა გარესა,  
და ფრად ზატრიკ-სცა კვირიკე ქორეზისკობხარმან, და წარვიდა ქრის-  
ტიანად თვსად: შემდგომად მცირედთა დღეთა კარდაიცვალა კოსტან-  
ტინე, აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქრისტიანთა აფხაზეთისა ყამ რა-  
ოდენმე: რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტინე მეფესა: ერთი  
უხუცესი, და მეორე, რომელი უშვა ცოლ-მან, უმრწემესი: უხუცეს-  
სა ერქვა გიორგი, და უმრწემესსა ბაკრატ: და იყო მათ შორის  
ბრძოლა ფიცხელი, რომელი თვითეულად ჰხლო ცხოვრებასა მათსა.  
ხოლო ესე ბაკრატ სიძე იყო გურგენ ერის-თავთ ერის-თავისა, ძი-  
სა აღარხასე ერის-თავისა, რომელი იყო ტომად ბაკრატოანი, რომ-  
ლისა სიკრძილი ზემო აღგვიწერია: ხოლო <sup>1)</sup> ესე გურგენ უშველდა  
ბაკრატს <sup>2)</sup>, ყოფილთა ძალითა მისითა: ვიდრე არა მიიცრულა ბაკ-  
რატ, არა იყო მშვიდობად შორის მათსა.

და <sup>3)</sup> შემდგომად სიკრძილისა მისისა მიიღო სრულებით მე-  
ფობად აფხაზთა გიორგი მეფე-მან: იყო ესე გიორგი მეფე <sup>4)</sup> სრუ-  
ლი ყოფილთა სიკეთითა, სიმკნითა და ახოვნებითა, დვთის-მოჭარე  
იყო, უმეტეს მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და  
მდაბალი, და ყოფილთა კეთილთა და სათნოებითა სრული: ამან გა-  
ნაგნა და განაწევნა ყოველნი საქმენი კეთილნი მამულისა სამეფოსს  
თვსისა: ამან აღაშენა საუღარი ჭყონ-დიდისა <sup>5)</sup>, და შექმნა საეპის-

1) Omis, T, depuis რომელი.

2) Omis, T.

3) T trois mots omis.

4) T იყო იგი.

5) M-ss ჭყონ-დიდის ეკლესია.

კობოსოდ, და განაშვენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა.

მას უამსა გარდაიცვალა კვირიკე ქორეპისკოპოსი, და დაჯდა მის-წილ ფადლა, ძე კვრიკესი, და ამან ადაგო ციხე ლაწობანთა: ამასვე უამსა მთვინეს სარკინოზნი, რომელთა უკობენ <sup>1)</sup> ხაჯობით და მოტყვევნეს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთა, და შეიქცეს, და წარვიდეს, და წარიტანეს თანა ჯვარი ზატოისანი დაჭრილი: და შემდგომად მისსა <sup>2)</sup> შეედგათ სნება მუცლისა, და გულის-ხმა-უგეს რომელ ჯუარისა-გან ევნათ: ამის-თჳს <sup>3)</sup> შეკრიბნეს ნაწილნი, და წარმოსცნეს ქართლსავე <sup>4)</sup>: ხოლო მათ ჩაკრიბნეს ნაწილნი-იგი ბუდესა შინა, და აღმართეს ადგილსავე თჳსსა.

და ჭერეთსავე, მეუობამდე იშხანიკისსა, ზირველნი უოველნივე იუჳნეს მწვალებელნი. ხოლო იშხანიკი, დის-წული იყო გურგენ ერის-თავთ ერის-თავისა, და დედა-მან მის-მან დინარ დედოფალ-მან მოაქცივნა მართლ-მადიდებელად, და ხალართა დაეპურა მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი.

ხოლო გიორგი, აფხაზთა მეფე-მან, მისცა ქართლი ძესა თჳსსა უხუცესსა კოსტანტინეს <sup>5)</sup>. რამეთუ მაშინ გარდაცვალებულ იყო მეფე ადარნასე, ქორონიკონს რმგ: და გარდაიცვალა ძე ამის ადარნასეს მეფისა, აშოტ კურატზალატი, ქორონიკონს როდ: გარდაიცვალა ძმა ამის აშოტ კურატზალატისა, მეფე დავით, ქორონიკონს რნზ: გარდაიცვალა ძმა ამითი და ძე ადარნასე მეფისა, ბაკრატ მაგისტროსი-კურატზალატი, ქორონიკონს რდე: გარდაიცვალა ძე ამის ბაკრატისა ადარნასე კურატზალატი, ქორონიკონს რზა: გარდაიცვა-

1) T უკობდეს.

2) T, 2 mots omis.

3) T, 2 mots omis.

4) T ჯვარსა.

5) Ici le M-it porte cette rubrique: მეორმოცდართე მეფე ქართლისა კოსტანტინე, ძე აფხაზთა მეფისა. Après quoi, omettant ce qui suit, il continue, p. 165, ვითარ დაყო. . . règne 50e bis; v. la Tradnction.



ლა ბაგრატი, ძე ამის ადარნასე კურატპალატისა, ქორციკონს რძთ: გარდაიცვალა დავით მაგისტერი, ერის-თავთ, ერის-თავი, ძმა ამის ბაგრატიისა, ქორციკონს რძე.

## მომართება.

შთამომავლობა ბაგრატოანთა, T ნამდვლისა-მებრ.

ხელთ ჩვენ ჰიჯელსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ: დმერთ-მან ოდეს წარუმატა ბაგრატი, აშოტ კურატპალატის ძესა, კელმწიფობა მათი, და იუვნეს ძენი უხუცესისა ძმისა მათისა, აშოტის ძისა, ადარნასესი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი, დღეთა სიბერისა მისისათა, კურატპალატად დასვეს, და ძმანი მისნი, აშოტ-კეკელა და სუმბატ არტანუჯელი, რომელი კელმწიფობასა მისსა დასვეს ანთიპატოს-პატრიკად: და ძენი ბაგრატი კურატპალატისნი სამნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა დასვეს კურატპალატად, ადარნასე და აშოტ: და ძენი უმრწემესისა აშოტის ძისა, გვარამისი, ორნი. ნასრა და აშოტ: ხელთ აშოტ-კეკელა, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქორციკონს ჰზ. და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურატპალატად დასვეს, და სუმბატ არტანუჯელი.

გარდაიცვალა აშოტ, ძე მამოვლი გვარამისა, უწინარეს მამისა თვისისა, ქორციკონს ჰთ. არა დაუტევა ძე: გარდაიცვალა ადარნასე, ძე ბაგრატი კურატპალატისა, ქორციკონს ჟდ, სიცოცხლესავე მამისა თვისისა, და არა დაუტევა შვილი: და მამა მისი, ბაგრატი კურატპალატი, ძე აშოტ კურატპალატისა, გარდაიცვალა ქორციკონს ჟვ: და დაუტევა ძენი, დავით, რომელი შემდგომად მისსა კურატპალატად უგეს, და მოიკლა იგი კელითა მის (ის მამის) ძმის-წულისა თვისისა, ნასრა გვარამის ძისათა, სიცოცხლესავე გვარამისსა, ქო-

რწინიკონს რა: ხოლო გვარამ მამოალი, მამის ძმა მისი, მამა ნას-  
რესი, უბრალო იყო სისხლთა-გან დავით გურატზალატისთა. დაუ-  
ტევა ამან დავით მოკლეულ-მან ძე მცირე, ადარნასე, მოუწიფებელი  
ჭასაკითა.

ხოლო ნასრ მკულელი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინებო-  
ლედ, იყო მუნ მრავალ წელ.

და ამისა შემდგომად დასვენ გურგენ ძე ადარნასესი: გურატ-  
ზალატად, დიდისა აშოტ გურატზალატისა ძისა, გარდაიცვალა გუა-  
რამ მამოალი, ძე აშოტ დიდისა, მამაჲ ნასრასი, ქორწინიკონს რბ.

და გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ გურატზალატისა, ქორწი-  
ნიკონს რე. ამისა შემდგომად გამოვიდა ნასრ სამეფოდ და მოვიდა  
აფხაზეთს, და იყო მამინ აფხაზთა მეფე ბაგრატ დის ძე ნასრესი.  
და შესწია მან დიდთა ლაშქართა მეფე-მან აფხაზთა-მან, და მუნით  
გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრბა სხვადა ლაშქარი ურიცხვ. ხო-  
ლო ადარნასე, ძე მოკლეულის გურატზალატისა, განვიდა ბრძოლად  
მისსა, და მიჭყვა მისთანა, შეწევნად ადარნასეს, გურგენ გურატ-  
ზალატი და შჯნი მისნი, და ჭყეს ბრძოლაჲ და ომი დიდი ნას-  
რას ზედა. და შეეწია დმერთი მცირეთა ამით ადარნასეს კერძთა, და  
სძლეს ნასრას, მეოტ იქმნნეს და შეიზურეს ნასრას, და მოკლეს გეგსა  
შინა სამცხისასა, სოფელსა რამელსა ეწოდების ასპინძა, ქორწინი-  
კონს რბ (სწ). და არა დაუშთა შჯლი ნასრას, და აღიკოცა სა-  
კსენებელი მისი.

ადარნასე, ძე დავით გურატზალატისა, დასვენ ქართველთა მე-  
ფედ მის მოკლეულისა (sic). ამან ადარნასე, ძე-მან დავით მოკლეუ-  
ლისა-მან, ადაშენა ბანა კელითა კვრიკე ბანელისთა, რამელი-იგი  
ქმნა ჰირველ ეპისკოპოზ ბანელ, და მამოალი სუმბატ არტანუჯელი,  
ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქორწინიკონს რთ.  
და დაუტევნა ძენი ორნი, ბაგრატ მამოალი და დავით მამოალი. და  
სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისა, ოდეს ნასრი მოიკლა,  
ქვეყანა მისი სხვათა მთავართა შეიზურეს.

ხოლო გურგენ გურატზალატი წარმოვიდა ტაოთ-კალმასით, მა-  
მულით თხსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს. და მისსა შემდგო-

მად შეიმტკუნეს ურთიერთს და შეკრბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა, ერთ-კერძო გურგენ კურატზალატი-მან და ერთა მისთა. მეორე კერძოსა ადარნასე, ქართველთა მეფე-მან, და ბაგრატ არტანუჯელ-მან: მოვიდეს ესენი კევისა არტანისსა, სოფელსა მგლინავს, და ებრძოდეს ერთმანეთს, და მეტ იქმნეს გურგენ კურატზალატი, წყელს და შეიპურეს, და მოკრდა წყლულებისა-მის-გან. გურგენ კურატზალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქორციკოს რია და დაუტევსა ორნი ძენი, ადარნასე და აშოტ, რომელიცა შემდგომად ერის-თავთ ერის-თავად დასვეს, შემდგომად გურგენ მამისა თქისისა, კურატზალატისა, გარდაიცვალა ქორციკოსს რივ. და დაუტევსა ძენი ორნი მცირენი, დავით ერის-თავთ ერის-თავი, და გურგენ, რომელი შემდგომად მერმე დიდი ერის-თავთ ერის-თავი იყო: და გარდაიცვალა ბაგრატ მამოვლი, არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორციკოსს რკთ, თვესა აზრილსა კ, დღესა ადვსებასა, და დაუტევსა ძენი ოთხნი, ადარნასე, რომელი-იგი მონოზონ იქმნა, და ბასილი სახელ იდვა, გურგენ ერის-თავი, აშოტ და დავით: გარდაიცვალა დავით ერის-თავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, მამოვლისა, ადარნასეს ძისა გურგენ კურატზალატისა, ძმაჲ დიდისა გურგენისი, ქორციკოსს რკლ, და არა დაუტევა შვილი: აშოტ ერის-თავთა ერის თავ-მან, ძე-მან გურგენ კურატზალატისა-მან, რომელსა ეწოდა გუნი, ადაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისათა, და გარდაიცვალა ესე აშოტ-გუნი ქორციკოსს რკლ. და არაჲ ესვა შვილი.

და ამისსა შემდგომად გურგენ ძმის-წული მისი, ძე ადარნასესი, დასვეს ერის-თავთ ერისთავად, გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორციკოსს რმბ. და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თქისისსა, რომელსა ეწოდებოდა ბაგრატ, გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქორციკოსს რმგ, და დაუტევსა ძენი ოთხნი, დავით, რომელი შემდგომად სიკრძედილისა მისისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურატზა-



ლათი, და ბაკრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურატპალატად დასვეს.

გარდაიცვალა გურგენ ერის-თავი, ძე ბაკრატ არტანუჯელისა, ქორნიკონს რმგ, მასვე წელსა შინა რომელსა შინა ქართველთა მეფე აღარნასე მიიტვალა, და დაუტევა ამან ძე მუცელსა. შინა ცოლი-სა თჳსისსა, რომელსა ეწოდა გურგენჳკე, სახელი მამისა მისისა.

გარდაიცვალა დავით ქართველთა მეფე, ძე აღარნასე მეფისა, ქორნიკონს რნზ, და არა ესვა ძე, გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაკრატ არტანუჯელისა, ქორნიკონს რნთ, თვესა ივნისსა, და არა ესვა. ძე, გარდაიცვალა გურგენ, დიდი ერის-თავთ ერის-თავი, ძე აღარნასესი, რომელ-მან უმეტესნი სიმკნენი და ბრძოლანი ქმნა უოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა უოველნი გარემოსნი, ქორნიკონს რმა, თვესა თებერვალსა იდ, არაჲ ესვა ძე, გარდაიცვალა მამოვლი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მომარტობასა შინა, ქორნიკონს რმგ, თვესა თებერვალსა კ. დაუტევა ძე თჳსი სუმბატ, რომელიცა-იგი დასვეს ერის-თავთ ერის-თავად, გარდაიცვალა ბაკრატ მაგისტროსი, ძე აღარნასე ქართველთა მეფისა, ქორნიკონს რმე, თვესა მარტსა, და დაუტევა ძე თვისი აღარნასე, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა მაგისტროსი იქმნა, და შემდგომად მამის ძმათა კურატპალატ იქმნა.

მასვე წელსა ბაკრატ მაგისტროზის გარდაცვალებისსა, ბასილი მონაზონ კლარჯი გარდაიცვალა, ძე ბაკრატ მამოვლისი: გარდაიცვალა აშოტ კურატპალატი, ძე აღარნასე ქართველთა მეფისა, ქორნიკონს როდ, და არა ესვა შვილი, და ამასვე წელსა აშოტ, ძე სუმბატისი, გარდაიცვალა, და არა ესვა ძე: და შემდგომად აშოტ კურატპალატისა ძმა მისი დასვეს კურატპალატად, სუმბატ. და ესე სუმბატ კურატპალატი, ძე აღარნასესი ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქორნიკონს როზ, და დაუტევნა ძენი ორნი. ბაკრატ ერის-თავთ ერის-თავი, რომელი ქართველთა მეფედ დასვეს რეგუენი (sic), და აღარნასე კურატპალატი.

გარდაიცვალა ძე ბაკრატ მაგისტროსისა ქორნიკონსა რზა, რომელი-ესე ძეთა შეიზურეს და მონაზონ ქმნეს. მოკჳდა, უნებლი-



ეთ ფიჩვითა მოსილი, და დაუტევნა ძენი ბაგრატ და დავით ერის-  
თავთ ერის-თავი. ესე ბაგრატ ერის-თავთ ერის-თავი, ძე აღარნასე  
კურატზალატისა, გარდაიცვალა ქორნიკონს რზვ. ხოლო ძმა მისი  
დავით კურატზალატი იქმნა დიდად.

გარდაიცვალა გურგენ, ძე გურგენის ძის ბაგრატ მამოვლისა,  
ქორნიკონს რზვ. გარდაიცვალა აღარნასე, ძე სუმბატ კურატზალა-  
ტისა, ძმა ბაგრატ რეგვენისა, ქორნიკონს სვ, და ძე მცირე და-  
ვით დაუტევა: გარდაიცვალა სუმბატ ერის-თავთ ერის-თავი, კაცი  
მართალი, ძე დავით მამოვლისა, არტანუჯელი, ქორნიკონს სვ.  
და დაუტევნა ძენი ორნი, დავით და ბაგრატ. და შემდგომად მიც-  
ვალებისა მისისა, დღესა მეორმაცესა, გარდაიცვალა ძე მისი ბაგ-  
რატ. და დაუტევნა ძენი ორნი, სუმბატ და გურგენ.

გარდაიცვალა სუმბატ, ძე ბაგრატ-რეგვენისა, ქართველთა მე-  
ფისა, ქორნიკონს სიბ. და აჩა ესვა შჯლი. გარდაიცვალა დავით,  
ძე სუმბატ ერის-თავთ ერის-თავისა, კაცი მართალი. და გარდაიცვა-  
ლა ბაგრატ რეგვენი, ქართველთა მეფე, ძე გურთხეულისა სუმბატ  
კურატზალატისა, ქორნიკონს სიდ. და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი  
გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთ მეფე. და ამას გურგენსა ესვა  
ბაგრატ, დედით აფხაზთა მეფისა დის-წული, დემეტრესი და თეფ-  
დოსისი.

ვიდრე გურგენის გამეფობამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხა-  
ზთა, და ამის-თჳს გურგენს მეფეთ მეფობამ ეწოდა.

ხოლო ჩვენ ჰირველსავე სიტუვასა ზედა მოვიდეთ. ხოლო ბა-  
გრატ ძე დემეტრესი აფხაზთა მეფისა, შესრულ იყო საბერძნეთად  
კონსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფე-მან ლაშქარი და გა-  
მოგზავნა ზღვით, და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, მოკლა აღარ-  
ნასეს ძე იოანესი, დაიპყრა აფხაზეთი.

ნ. ორმოცდამეათე მეფე, სუმბატ.

ნა. ორმოცდამეათე მეფე, ბაგრატ (ანუ დავით)-  
რეგენი.

გარდაიცვალა სუმბატ მეფე კურატპალატი, ძე აღანასე მეფისა და ძმა დავით მეფისა, ქორნიკონს რაჭ. და დაუტევნა ძენი ორნი, ბაგრატ (ანუ დავით)<sup>1)</sup>. რეგენი, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა მეფე იქმნა, და აღანასე კურატპალატი. გარდაიცვალა ესე აღანასე კურატპალატი ქორნიკონს სვ. გარდაიცვალა ძე ამის აღანასესი, დავით დიდი, კურატპალატი, აღსავესე სიკეთითა, რომლისა ამბავი ქრისტეობაჲ სიტყუა-მან ცხად ჰყოს, ქორნიკონს სკა. გარდაიცვალა მამის ძმა ამის დავით კურატპალატისა და ძე სუმბატ მეფე-კურატპალატისა, ბაგრატ მეფე რეგენი, ქორნიკონს სიდ. გარდაიცვალა ძე ამის ბაგრატ მეფე რეგენისი, სუმბატ, ქორნიკონს სიბ. და არა დაუშთა შვილი.

ნ-bis. მეორმოცდამეათე (bis) მეფე ქართლისა, კოსტანტინე, ძე აფხაზთა მეფისა.

ზოგად ამან მეფე-მან კოსტანტინე-მ, ძე-მან გიორგი, აფხაზთა მეფისა-მან ვითარ დაყო მეუობასჲ შინა სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა, და ეძიებდა მეუობასა აფხაზთადა<sup>2)</sup>: და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი<sup>3)</sup>, შედგა იგი უფლის-ციხეს, და

<sup>1)</sup> Ces deux mots, si remarquables, manquent, R, T.

<sup>2)</sup> T ძებნად მეუობისა, sans plus.

<sup>3)</sup> M-გს საქმენი მისნი.

შეუდგეს თანა ტბელნი, და სხუნანი მრავალნი აზნაურნი, ხოლო გიორგი მეფე-მან, ვითარ დაიდასტურა განდგომა ძისა თჳსისა, მაშინ გამოილაშქრა უოვლითა ძალითა თჳსითა, და მოიუწანნა ტაყელნი მეუენი, რომელთა გარდაცვალება ზემორე აღგვიწერია, რომელნი მეუობდეს ქრისტეანასა-მას შინა, და მოვიდა ფადლა ქორეზისკობოსიცა კახეთით, შველად გიორგი მეფისა<sup>1)</sup>, და მოადგეს უფლის-ციხესა, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა, და ვერა-რას აზნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით. ზოგსა დღესა შეიბნინა ცხენითა, და ზოგსა დღესა ქვეითნი, მაშინ გიორგი მეფე-მან აბინა აზნაურნი საზვერელნი ესრეთ სახედ: „გამოვედ, ჩვენ წარკეციხნათ აფხაზეთად, და შენ დაჯდე მუნ<sup>2)</sup> მეფედ, და მამა შენი დარჩეს გარეგნით“, ხოლო მან დაიჯერა და მოენდო. გარნა აზნაურნი-იგი, რომელნი უდგეს თანა, უშლიდეს საქმესა ამას, და მან არა ისმინა მათი, და გამოვიდა ღამე ტიფითა მტკვარსა, და ვითარ განეწურა ზიკსა მტკურისასა, ვერდა-რა დაითმინეს, და მიეტევნეს შეპურობად. მაშინ ვითარ აკრძნა ზაკულება მათი, შეაქცივნა ტიფნი გარე, რათამცა შევიდეს ციხესავე, ვერდა-რა დაიმორჩილეს ტიფნი და ჩაჭედეს ადგილსა სადა ტიფნი დადგებოდეს<sup>3)</sup>: შეიქმნა სმაჲ, გამოვიდა მეფე და უოველი ლაშქარი, და დაცვეს ციხის გარეშემო, და რა-ჟამს გათენდა იწუეს ძიებაჲ: ხოლო იგი გამოსრულ იყო წყლით, და შესრულ იყო ნაზრალსა კლდისასა, და მუნ დამალულ იყო, ზოვა იგი კაც-მან ვინმე უნდომან, შეიპურეს და მოჭკვარეს მეფესა გიორგის, და მან გაჭხატიჟა ბოროტად. რამეთუ ზირველად თვალნი დასწვნეს და მერმე გამოუვერეს, და მოკრდა კოსტანტინე მეფე<sup>4)</sup>: ხოლო აზნაურნი რომელნი დგეს ციხესა შინა მინდობით გამოიუვანნეს, და ტბელნი განუტევნა მშვიდობით, და წარვიდეს იგინი ასთურკაგანს.

1) T, depuis რომელთა, ფადლა ქორეზისკობოსი.

2) T დაჯედ.

3) M-ss განდგებოდეს.

4) 2 mots manquent, T.



გარდაიცვალა კახთა ქორებისკობისი ფაღლა, და დაჯდა ქორ-  
ებისკობასდ კვრიკე. და ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარ-  
დაბანელნი, და იწუეს ზრახვად გიორგი მეფესა. მაშინ გამოილასქ-  
რა გიორგი მეფე-მან, ჩავიდა კახეთად, მოსწვა და ასწვიდნა, და  
წარვიდა თვსადვე ქუჭყანად, და კვალად მოვიდა და <sup>1)</sup> და დადგა  
ატენს, და აუწვა უფელსა ლაშქარსა თვსსა კვალად შთასლვად, რა-  
მეთუ იყო მაშინ ძე მისი ლეონ ერის-თავად <sup>2)</sup> ქართლისა: ხოლო  
ვითარ ცნა კვრიკე რომელ ვერ დაუდგმიდა წინა-აღდგომად, ამის-  
თვს <sup>3)</sup> მოვიდა წინაშე მათსა: კვალად ენება გაზარვა ზაკვით: მა-  
შინ <sup>4)</sup> შეიბურა კელთა, და წარვიდა კახეთად, რათამცა დედა-წული  
მისი აკრიბა კელთა, და <sup>5)</sup> აცნობეს აზნაურთა ქართლისათა, და  
გარდაეხვეწნეს, და მოერთო შურტა, ძმა კვრიკე ქორებისკობისისა,  
გიორგი მეფესა, და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმო, და ეუფლ-  
ნეს სხუათადაც ციხეთა კახეთისათა, თხნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევან-  
ისა, ბოჭორმისა და და ლოწობანთისა. ლოწობანნი ჰქონდეს იოან-  
ე არშის <sup>6)</sup> ძესა, და გამაგრდა შიგან, გაწირა ზატრონი. აუგეს  
შურის-ციხე და დაუეგნეს შიგან ლაშქარნი. და ციხე მარანისა  
ჰქონდა მაშინ სახუას არსის ძესა, ძმასავე იოანესსა. ლამოდა მსგავ-  
სად ძმისა თვსისა მკლავითა დამჭირვასა: მაშინ მოვიდა მეფე მუნ,  
და უბრძანა <sup>7)</sup> შებმა ლაშქართა: ხოლო მათ წარიდეს ციხე-იგი კერ-  
კითა და სასხუა მოიუწანეს შეპერობილი წინაშე მეფისა, და მეფე-  
მან წარსცა პერობილად ჯიქეთს.

და ციხე ნახჭევანისა ჰქონდა ფაღლას, ძეს კვრიკესსა, და იგი-  
ცა განმაგრდა შინა-გან, ხოლო ვითარ იხილა კვრიკე ქორებისკო-

1) 2 mots omis, T.

2) T, ce membre de phrase est transposé, après ატენს.

3) T და.

4) omis, T.

5) T რამეთუ.

6) M-its, ici et plus bas, არისის; T არშის.

7) T მოვიდა მეფე, უბრძანა.



ზოს-მან რამეთუ არდა-რა იყო ღონე მისი, ამის-თხსცა ოთხოვა სი-  
მტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაუღოცა კახეთი გიორგი მე-  
ფესა: ხოლო ჯეონ, ძე მეფისა, არა ლამოდა განტყვებასა კვრიკე-  
სსა, რამეთუ არცა პირველ შეხურობასა იყო ნება მისი, გარნა არა  
უსმინა მამა-მან მის-მან, და კვრიკე-მ ესე პირი ითხოვა, რათა მას  
ზამთარსა არა აღიდონ ციხე ბოჭორმისა<sup>1)</sup>, და შემდგომად აღესე-  
ბისა წარვიდეს, და ნება სცეს: ამის თხს აღიღეს მის-გან ციხე ნა-  
ხჭევანისა, და შჯლი ერთი უმრწემესი, სახელით დავით, მძევლად,  
და განუტყვეს დღესა ლამზრობასა, და წარვიდა მეფე აფხაზეთად,  
და კვრიკე შევიდა ბოჭორმას, კვაზმოდა, და ლამოდა. შემდგომად  
აღესებისა წარსვლასა, მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართულებნი, და  
მათ თანა კახნი: გოდერძი, მგდუორძი, მამა უახნიელი, დაჩი კორინ-  
თელი. დაჩი და ილანუ, ძმანი სხვილასელებნი. სარა და გრიგოლი,  
ძმანი ფხველებნი, და მათ-თანა ორ-მეოც და ათი აზნაურნი სხუანი,  
და მიერთნეს კვრიკეს, დაუწიეს ბრძოლად ციხეთა და მცირედთა დღე-  
თა წარბიხნეს ციხენი ყოველნი და დაარღვივნეს შურის-ციხე, ლო-  
წობანთა, და კუალად ეუფლა კვრიკე მამულსავე თხსსა: მაშინ უთხ-  
რეს გიორგი მეფესა წარღება კახეთისა, და დაუძიძიდა დიდად. და-  
აბრალა ყოველთა ვინცა-ვინ აწვია გაშვება კვრიკეს ქორებისკობო-  
ლისა.

და ვითარ გარდაკდა ამას შინა ზამთარი-იგი, კვალად გაგზავ-  
ნა ლაშქარი თხსი გიორგი მეფე-მან და ძე თხსი ჯეონ უჩინა წინა-  
მძღვრად, და მოვიდა, და მოწვა კახეთი, და მასვე ლაშქრობასა ში-  
ნა მოართვეს ამბავი მიცვალებისა დიდისა და ღვთის-მოყუარისა გი-  
ორგი მეფისა, მაშინ მოუწოდა ჯეონ კვრიკე ქორებისკობოსსა, და  
შეკრბეს ბაზაღეთს, ტბისა პირსა, თუთო ცხენოსნითა, და იუბნეს  
დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცუალება მამისა თხსისა, და  
აკიდა სიუჭარული, და უქადა ძისა მისისა სიძობა, და ვითარცა ესმა  
ესე კვრიკეს, გარდაკდა ცხენისა-გან და თაყუანის-ცემით მოიკითხა  
და მისცა მადლი, განიხარა ზავი და სიუჭარული, და უფროსად პი-

1) T ბოქორმა.

რი მზახობისა: შეიქცა ლეონ, და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვისსა, რამეთუ მაშინვე შთაჴიდა აფხაზეთად, და განადიდა ღმერთ-მან მეფობაჲ მისი, მკზავსად მამისა; რამეთუ იყო იგიცა ღვთის-მოყურე და სავსე ყოფლითა კეთილითა, და ამან აღაშენა ეკკლესიაჲ მოქვისა, და შექმნა საუდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოფლითა განგებითა, და ვითარ ეუფლა მამულსა თვისსა, აღასრულა აღთქმა თვისი კვრიკეს ქორებისკობზისა, და მისცა ასული თვისი ცოლად ძესა მისსა. და შემდგომად მცირედისა მოკრდა ასული ლეონისა, და კვალად იწყო მტერობად კვრიკე ქორებისკობზისა და ძებნად კახეთისა, გაილიშქრა სზითა დიდითა, ჩადგა არაგვის ზირსა, ასწყვიდა მუნხარი, ხერკი და ბაზაღეთი, და მასვე ლაშქრობასა შინა დასნეულდა, და შეიქცა გარე და მოკრდა, და შემდგომად მისსა დაჴდა დემეტრე მეფედ, ძმა ლეონისი, და ესე დემეტრე მეფე <sup>1)</sup> ეუფლა ქართლსა, და ჴითარ მოიწყო სამეფო თვისი, გარდაჴდეს ამას შინა ჟამნი რა-ოდენნიმე. <sup>2)</sup>

და იყო ძმა ამის დემეტრესი თევდოსი <sup>3)</sup> საბერძნეთს. უკმეს კაცთა ვიეთმე ამის სამეფოსათა <sup>4)</sup>, რათა გარდამოვიდეს ძმისა თვისისა ზედა. რამეთუ სიცოცხლესავე დიდისა გიორგი, აფხაზთა მეფისისა, გაეგზავნეს ორნი შვილნი საბერძნეთს, თევდოსი და ბაგრატ, რათა მუნ იზრდებოდინ, ამის-თჳს, რათა შემდგომად სიკრდილისა მისისა არა იყოს მათ შორის ბრძოლა და კდომაჲ: მაშინ გამოვიდა თევდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს და დადგა მარგის, და უკმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა და ლამოდა მკლავითა აღებსა მამულისა თვისისა: ხოლო დემეტრე მეფე-მან წარავლინა ლაშქარი თვისი, და დაესხნეს უგრძნეულად, და გააქციეს თევდოსი, და წარვიდა ქართლს, და მიმართა ადარნასეს, ძეჯელსა მთავარსა, და შეეფავნეს იგი ძამის ციხესა, და მუნით, გამოღმართ

<sup>1)</sup> Trois mots omis, T.

<sup>2)</sup> Omis, T.

<sup>3)</sup> T თევდოსი, ძმა მისი.

<sup>4)</sup> T ქვეყნისათა.

ქიებდა სსქმესა თხსს, მასინ დემეტრე მეფე-მან მიგზავნა ლაშქარ-  
რი თხსი, მადგეს ციხესა ძამისსსა, და ჰბრძოდეს სამ თვე ოდენ.  
და ციხით გამომართ ევნებოდათ ფრიად, და ვითარცა მისჭირდათ  
ციხივანთა, ითხოვეს ზავი და ფიცი, და სიმტკიცე, რათა განუ-  
ტეონ თევდოსი, და წარვიდეს მშვიდობით, და მათ მიინდვეს იგი,  
და წარმოგზავნეს მშვიდობით, და წარვიდა წინაშე დავით კურატ-  
პალატისა, და მუნ დაეო წელიწადი ერთი ოდენ <sup>1)</sup>: ხოლო ესე და-  
ვით კურატპალატი იგი არის, რომლისა სიკუდილი ზემორე აღგვი-  
წერია, სკა ქორთიკონს ზე, რომელი იყო ძე აღარნსე კურატპა-  
ლატისა, ძისა სუმბატ მეფე-კურატპალატისა, რომელი იყო ბავრ-  
ტოანი.

და შემდგომად წელიწადისა ერთისა <sup>2)</sup> წარმოვიდა ესე თევდო-  
სი ტაოთ, და მოვიდა კახეთად: მასინ მოუგზავნა მცირეული დე-  
მეტრე მეფე-მან <sup>3)</sup> კვრიკე ქორებისკობსსა და ჰქრქა ესრეთ, რა-  
მეთუ <sup>4)</sup> „რად-გან გამოვიდა ძმა ჩემი საბერძნეთით, არა დაიღვეის  
ჩვენ შორის ბრძოლაჲ, სიტყვითა კაცთათა, და აწ შუა-მდგომელო-  
ბითა შენითა მომანდევ ძმა ჩემი, და ვიუჩნეთ ორნივე სწორად უფალ  
მამულისა ჩუწნისა, ვითარცა ვიუჩნით უწინარეს მე და ლეონ, და  
აღიდე ჩემ-გან სიმტკიცე და შუა-მდგომელნი, და შენ-გან დიდად  
დავიმადლო სსქმე ესა“. ხოლო ვითარცა კვრიკე ქორებისკობს-  
მან სსქმე ესე და სიტყვა მეფისა დემეტრესი, მასინ მოიუჩნა თევ-  
დოსი, და აწვია მინდობაჲ მისი, და ეტყოდა. „მე ვიყო მეძიებე-  
ლი სისხლისა შენისა:“ და თევდოსი მიანდო ძმასა თხსს, და გა-  
გზავნა: მასინ წარუჩანეს თევდოსი, ფიცითა და სიმტკიცითა დი-  
დითა, რომლითა ეფუცნეს სვეტსა-ცხოველსა წინაშე კათალიკოზი;  
მღწეულთ-მოდღუარნი და ყოველნი დიდებულნი, და ვითარცა მოვიდა  
თევდოსი ძმისა თხსისა წინაშე, დაუვნა დღენი მცირედნი: და შემ-

1) Omis, T.

2) T omet depuis ხოლო ესე დ. . . .

3) T aj. თევდოსის და . . .

4) T omet de ux mots.



დგომად მცირედისა ხანისა <sup>1)</sup>), დემეტრე თევდოსის ძმა მისი დემეტრე, და დაივიწყა შუა-მდგომელობა დვთისა, და შემართა ფიცთა გატეხასა, და შეიპყრა თევდოსი, და დასწუნა თქაღნი: და ვითარ იხილეს ესე მეფეთა მამულისა მისისათა, ძიება ევეს ძმის მათისა, რომელსა ერქნა ჩალა-მეფე, არამედ ვერ შეუძლეს ამისი ქმნა. რამეთუ დემეტრე მეფე იყო მკნე და ახფანი: და რა-ჟამს აღესრულა დემეტრე მეფე, იხილეს ყოველთა მკვდრთა, რომელსა არდა-რად არჩა მკვდრი აფხაზეთისა და ქართლისა, და გამოიყენეს თევდოსი, ძმა დემეტრე მეფისა <sup>2)</sup>): და დასვეს მეფედ, მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლის-ცხესა.

და იყო მათ ჟამთა ერის-თავი ქართლისა იოანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერ-მრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურატზალატისა, ტაოს, და აწვიეს <sup>3)</sup> რათა გამოიღას ქრისტიანთა თვისთა, და აღიდეს ქართლი, ანუ დაიმჭირეს თვთ, და ანუ უბოძეს ბაგრატს ძესა გურგენ მეფეთა მეფისასა <sup>4)</sup>), ასულის წულსა გიორგი აფხაზეთა მეფისასა, რომელსა ეწოდა დედლად აფხაზეთი და <sup>5)</sup> ქართლი. ესევე იოანე მარუშის-ძე ეძიებდა მეფედ ბაგრატს, და ვითარცა მოისმინა დავით კურატზალატ-მან სიტყუაჲ იოანე მარუშის-ძისა, წარმოემართა ძალითა თვისითა და მოვიდა ქართლად, და რა-ჟამს ცნეს მოსლვა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეტნი, და დაუტევეს ქართლი: მოვიდა დავით კურატზალატი, ჩამოდგა ქვა-ხურელთა, მოეგება წინა ქართლისა ერის-თავი იოანე მარუშის-ძე, აღიღო მის-გან უფლის-ცხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, მეფეთ მეფესა, ამის-თვისცა ეწოდა გურგენს მეფეთ მეფე, რამეთუ უწინარეს მისსა, ძე მისი ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს.

<sup>1)</sup> T, au lieu de ces 4 mots, porte simplement: ხოლო დემეტრე, et le reste est modifié en conséquence.

<sup>2)</sup> T, trois mots omis.

<sup>3)</sup> T, remplace deux mots, par აწვიონო მამა ძე (ძე)

<sup>4)</sup> T გურგენისა.

<sup>5)</sup> Il faut, je crois suppléer ici მამულად.



ხოლო ამას დავით კურატპალატსა <sup>1)</sup> არა ესეა შჯლი: და ესე ბაგრატი, ძე გურგენ მეფეთ მეფისა <sup>2)</sup> რომელი ეყოდა მამის ძმის-წულის წულად <sup>3)</sup>, გაეზარდა შვილად თვსად <sup>4)</sup>: და განდიდნა ესე დავით კურატპალატი უმეტეს ყოველთა: მეფეთა ტახტთა.

რამეთუ ამით უამთა შინა განუდგა მეფესა ბერძენთასა სკლია-რისი და ყოველი გმელთ კერძი დაიპურა, მეფენი და დედოფალნი. შეწუდებულ ყვნა ქალაქსა შინა, დიდითა ჭირითა, ამას რა შინა იყვნეს, განიზრახნეს კვალად. „ხვენი შემწე დავით კურატპალატის-გან კიდე არა-ვინ არს.“ დაწერეს წიგნები ვედრებისა და წარმო-გზავნეს ქართველი თორნიკე, რომელ მეფე იყო დიდსა ლავრსა. შინა მთა-წმიდისასა, მონასტერსა დიდისა ათანასესასა, დავით კუ-რატპალატისა თანა, რათა შემწე ეყოს მათ. იხილა-რა ესე კურატ-პალატი მან, ფრიად განიხარა და წიგნები ბერძენთა მეფისა მიითვა-ლა, და ყოველივე საქმე თორნიკე გაიცადა, რომლისა-თვსცა განზრახ-ვა ქმნეს, და რათა ლაშქარნი გაგზავნენ საბერძენეთს, და სპასალ-რად თორნიკე განაჩინეს: ხოლო თორნიკე კურატპალატისა და თა-ვისი წიგნები ბერძენთა მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველივე ნება კურატპალატისა აუწია. და მამინ მისცნეს მეფე-მან ბერძენთა-მან ზემონი ქვეყანანი საბერძენეთისანი კურატპალატსა, რათა თავის სი-ცოცხლეში აქვნდეს, და აზნაურთა შჯლი მზევლად ითხოვნა დავით კურატპალატის-გან, და მისცა მზევლად უფლის-წულნი, და კვალად ითხოვნა ცოლის ძმთა მამისა იოანესთა ძე მისი ევთჳმე: მიგვარეს მეფესა ბერძენთასა, ესე რა ცნა იოანე, უნდა თვარა უნებლიეთ, თავი თვსი გამოცხადა, და სამეფოდ ქალაქად აღვიდა, და ვინათ-გან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჭარბისა, რომელ იყო სიმამრი მამი-სა იოანესი, და იოანესდაცა ფრიადი სიყვარული აჩვენეს მის-ზედა.

1) T remplace la phrase, depuis მეფეთ მეფესა, par რამეთუ-

2) T ძე გურგენისი.

3) T omet, depuis მეფეთ მეფისა.

4) Ici le M-it T porte cette rubrique: მეორმოცდარე მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, მეორე ბაგრატი, გურგენ ერის-თავთ ერის-თვსა (sic) ბაგრატიანი.

და კეთილად მოიკითხეს: და ამისა შემდგომად განგრძობილად სრ-  
ტუჯს გება იქნა შორის იანესსა და სიმამრისა მისისა, ევთჳშეს-  
თჳს: რამეთუ არა ენება მოცემა მისი, და ფრიად აბრალ მას იან-  
ნე ვითარმედ „რა არს ესე, ნუ-უგვე შჯლ არა გესხნესა თქვენ?  
გარნა ესე ცხად არს რომელ მათ სწულადით ვითარცა შჯლთა  
თჳსთა, და შჯლი ჩემი ვითარცა ობოლი მზევლად გასწირეთ, გარ-  
ნა უფალ-მან შეგინდვენ თქვენ“. და ესრეთ, განგებითა, საღთთა  
და ბჭობითა შეფეთათა, თჳსი შჯლი მიიყვანა, და კვალად უღუმ-  
ბოდვე მიიქცა. ხოლო თორნიკ მოუწერა კურატჳლათსა: „ვიცით  
რომელ ღმერთი შეგეწევის და ნურა-რას ორგულაობ, და ოდენ ღმერთ-  
მან წარგიმართოს, ყოველნი წინა-აღმდგომნი ჩვენნი დატუგვენენ,  
და ყოველივე ნატუვენავი მათი შენი იყოს:“ რომლისა-თჳსცა მის-  
ცა კურატჳლათ-მან თორმეტი ათასი მკედარი რჩეული, და შეწევ-  
ნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი, და ვიდრე სხარსეთადვე მე-  
ტად წარიქცა, და მერმე შეიქცა. სიტუჯს-ებრ შეფეთასა, და ტუგე-  
ვენა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იანვარ  
ყო, და რომელიმე ლაშქართა განუყო, და რომელიმე თჳთ დაიშვი-  
რა, ნატუვენავი ფრიადი და დიდ-ძალი, ოქრო და ვერცხლი, და  
სტავრა, და სხვა ესე-გათარი. და უკუ-იქცა, და მოიკითხა კურატ-  
ჳლათი და დიდად მოიმაღლა<sup>1)</sup>.

რამეთუ იყო დავით კურატჳლათი შირველად ღვთის-მოყუარე,  
გლახაკთ მოწყალე, დავრდომილთ შემბრალე<sup>2)</sup>; მდაბალი, მშვიდი  
და ძვირ-უხსენებელი, ეკკლესიასა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთ-  
მოყუარე, ფიწვოსანთ მოყუარე, ყოველთა-თჳს კეთილის მოფთველი  
და სავსე ყოვლითა კეთილითა: ამან აღაშენა მონასტერი და საუდა-  
რი ღვთისა, წმიდაჲ ეკკლესია ხახულისა, და ვითარ შეიქცა მუნით-  
გან გარე, დაუტევა ბაკრატ უფლის-ცხიესა და მის-თანა გამგებე-  
ლად დაუტევა მამა მისი გურგენ შეფე, რამეთუ მას უამსა იყო ბა-

1) Ce § est une addition du M-it T.

2) T აღმაშენებელ,

გრატ ჯერეთ ჰსსკს თსსს ზედს უსრულ<sup>1)</sup>: მსშინ ამან დიდ-მან  
დავით კურატხალატ-მან<sup>2)</sup> შემოკრიბნა უოველნი ქართულნი აზნა-  
ურნი<sup>3)</sup> და უბრძანა: „ესე არს მკვიდრი ტაოსს, ქართლისს და აფ-  
ხაზეთისს, შეილი და გაზრდილი ჩემი, და შე ვარ მოურავი მისი,  
და თანა-შემწე: ამას დაემოწმებენით უოველნი:“ და დაუქნა დღენი  
მცირედნი დავით კურატხალატ-მან<sup>4)</sup>, და წარვიდა მამულსს თსს-  
სს<sup>5)</sup> ტაოსსს.

ნბ. ორმოცდამეათორმეტე მეფე, ბაგრატ, ძე გურგენ  
მეფეთ მეფისა, ბაგრატოანი.

ხოლო ვითარ დაჯდა მეფედ ბაგრატ, <sup>6)</sup> და წარკდა ამას შინს  
ყამნი რა-ოდენნიმე: კვალად იწეეს მედგრობით ზაკულება, ვითარცა  
არს ჩუქულება ქართლისს აზნაურთა, შეუბნეს ნაქურდეველთა და სა-  
ბოტარელთა, და მოიუქანნეს ლაშქარნი კახეთით, და გასცეს უფ-  
ლის-ციხე, და შეიბურეს გურგენ, და ძე მისი ბაგრატ, და დედო-  
ფალი გურანდუხტ<sup>7)</sup>, და წარიუქანეს კახეთად, ხოლო რა-ყამს ცნა  
ესე დავით კურატხალატ-მან, დაუმძიმდა ფრიად, და გამოილასქრს  
უოველთა ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს, შთასლვად კახეთად,  
და რა-ყამს სცნეს კახთა, მოუგზავნეს მოციქული და მოუბურეს ზი-  
რი ზავისა, განუტევნეს გურგენ და ბაგრატ, და დედოფალი გვა-  
რანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლის-ციხე, ხოლო წირქვა-

1) T offre ici des transpositions, qui ne changent pas le sens.

2) Ce commencement est omis, T.

3) T გამოკრიბნა ქართველნი მისნი აზნ . . . .

4) T deux mots omis.

5) T deux mots omis.

6) Quatre mots omis, T.

7) Les M-ss écrivent alternativement aiusi, ou გურანდუხტ.



ღის ციხე და გრუი თჯთან დაიჭირეს; მას უამსა შინა ეპურა ქართ-  
ლი და უფლის-ციხე გუარანდუხტ დედოფალსა. ესე გვარანდუხტ დე-  
დოფალი იყო ასულა გიორგი, აფხაზთა მეფისა, და დედა ბაგ-  
რატიასა.

და ვითარ გარდახდა ამას შინა წელიწადი სამი, და მეფობდა  
აფხაზეთს თევდოსი მწუხარე, განირეუნა ქუჭყანა-იგი და შეიცვალა  
უოველი წესი მისი და განგება ზირველთა მეფეთა განწესებული, და  
იუენეს უოველნი წარჩინებულნი მის ქუჭყანისანი მწუხარებასა შინა  
დიდსა. მაშინ <sup>1)</sup> ამანვე იოანე მარუშის ძე-მან იხება რათა მოიუგა-  
ნოს ბაგრატი მეფედ აფხაზეთისა, და მისთანა უოველთა დიდებულ-  
თა, ერის-თავთა და აზნაურთა აფხაზეთისა, და ქართლისათა გამო-  
თხოვეს ბაგრატი მეფედ, დავით კურატპალატის-გან, ხოლო მან დი-  
დისა იძულებითა ძნელად აღუსრულა სათხოველი მათი, და ვითარცა  
ვსთქუ, უშვილო იყო დავით კურატპალატი, და ბაგრატი გაეზარდა  
შვილად, მზერობელად ორისავე კერძისა, ტაოს: გარნა რა-უამს უმ-  
კვიდრო ქმნილ იყო ქუჭყანა აფხაზეთისა, მოსცა მათ სიმტკიცითა  
და მძევლითა, შთაიუვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ, და  
დაემორჩილნეს უოველნი ბრძანებასა მისსა. \* რამეთუ განსრულებულ  
იყო ასაკითა: და ვითარ გარდაკდეს ამას შინა წელიწადი ორი იწყო  
განგებად და საურავად, და განზარტებად უოველსა საქმესა, მგზავ-  
სად ზაზისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა, გინა-თუ უმეტესადრე  
ვსთქუა: რამეთუ უოველითურთ მიემგზავსებოდა ქვეყასა გამოზრდე-  
ლისა თჯისა, დიდისა მეფისა დავით კურატპალატისასა, და იხილ-  
ვებოდა მის-თანა უოველი საქმე კეთილისა. გამოგზავნა თევდოსი  
მეფე, დედის ძმა მისი, ტაოს, წინაშე დავით კურატ-პალატისა, რა-  
მეთუ ესე საქმე გამოჩინა უმჯობესად, რათა უოველთა კაცთა, დიდ-  
თა და მცირედთა, სასკობაჲ კეთილი, გინა-თუ შიში უწესებისა  
თჯს მისა მიმართ ოდენ საქმედეს.

---

1) Ce mot est omis, T. Les M-ss emploient indifféremment  
მაშინ, ხოლო, და, variantes qu'il est inutile d'iudiquer.



შემდგომად ამისა, გარდამოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ<sup>1)</sup>, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგათიდავს. ხოლო მას უამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი. რამეთუ თვთოეულად გააკებდეს საქმეთა ქართლისათა, დადაცათუ იუჟნეს მოჩიილებასა შინა გვარანდუხტ დედოფლისსა, იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად, და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისისა: იხლა-რად ბაგრატ, აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თვსთა. მივიდეს და შეეებნეს, იოტნეს ქართულნი, რომელნიმე დაკოცნეს, რომელნიმე შეიპყრეს, და სხუანი კჳაჳად მეოტნი გარდაისვეწნეს და დაიფანტნეს<sup>2)</sup>: მოვიდა, უფლის-ციხეს, აღიდა ციხე დედისა-გან თვსისა, დაუფნა დღენი მცირენი, განაგნა საქმენი ქართლისანი, წარიუჟანა დედად თვსი, და წარვიდა ქვეუანად აფხაზეთად, და ვითარ კელოვან-მან მენავეთ-მოძღუარ-მან გააკო უფელი საქმე აფხაზეთისა, რამეთუ მცირედ ამხილის უფელთა, ვინ უკჳაჳ ვიფის ურჩი, და მისსა ადგილსა განადიდნის ერთ-გული და მისანდობელი თვსი.

და ამას შინა გარდაკდეს წილნი რა-ოდენნიმე, იყო მას უამთა კლდე-კართა ერის-თავი რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა, და ქართლისა-გან მტკჳარსა სამხრით კერძო უფელივე, თრიალეთი, მანგლის კევი<sup>3)</sup> და სკვრეთი<sup>4)</sup>. და არა მოჩიილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა: მაშინ შეიკრიბა უცნაურად ბაგრატ მეფე-მან სპა თვსი, და გარდამოვიდა ქართლად. ენება მოდგომა და შერევა რატი, ერის-თავთ ერის-თავს, მაშინ უკჳაჳ აუწიეს დავით კურატპალატსა, და უთხრეს ესრეთ სხედ: „არა-სადა წარვალს სხუა-გან, თხნიერ გამზადებულ არს სიკჳდილად შენდა“. და შეკრებულ და შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგრატისი, მისვლად შჯლისა თვსისა თანა. ხოლო დავით კურატპალატი წარმოემართა მსწრაფლ, და მოუწოდა

1) T, 2 mots omis.

2) T დაიფანტნეს.

3) Trois M-ss portent კევისა.

4) T სკვრეთი.

ლასქარსა თჳსსა, და უკმრ უკველთა მეფეთა სომხითისათა: ხოლო მასშინ ჯერეთ ცოცხალი იყო ზაზა ბაკრატ მეფისა, ბაკრატ-რეგვენი <sup>1)</sup>, რომლისა სიკჳდილი ზემორე აღვსწერეთ <sup>2)</sup>. იგიცა მოვიდა დავით კურატპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისა-გან წოდებისა მეფობისასა, მოვიდეს და დადგეს დღივს, სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვი, და კაკზაზნა ლასქარი გურგენს ზედა: მიეკებნეს წინა გურგენს, და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა, კაქციეს გურგენ, და შთაიხვეწა მეოტი, და შევიდა ციხესა წეფეთისასა.

მას ჟამსა მოსრულ იყო ბაკრატ მეფე თრიალეთს, და დადგა კარუშეთს. კაკზაზნა მოციქული, განიცადა ლასქარი და იხილა რამეთუ ძალითა არ ეკებოდა წინა-აღდგომა დავით კურატპალატისა, მასშინ დაუტევნა სპანი თჳსნი ადგილსა ზედა, და თჳთ მარტო მივიდა წინაშე მისსა, ითხოვა შენდობაჲ, და აუწყა, ვითარმედ „სხვისა არა-რის-თჳს მოვედ, გარნა არა-მოჩინებებისათჳს რატისა.“ ხოლო მან <sup>3)</sup> უბრძანა ესრეთ. „შითხრეს, რომელ სიკჳდილად ჩემდა გამოსრულ იყავ. გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ, არამედ მითავისუფლები-ხარ რატის ზედა. დაიმოჩინე ვითარცა სახედ გწადიან.“ მასშინ წარმოვიდა სიხარულითა. სავსე, და წარვიდა მას ჟამსა აფხაზეთადვე. რათა ვერა უგრძნას რატი-მ, და უგრძნეულად მივიდეს, ოდეს არა ჰგონებდეს, ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა უფლითა ძალითა თჳსითა მეფე ბაკრატ და მოადგა კლდე-კართა იხილა-რანა ესე რატი-მ, გამოვიდა გარე, და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ-თანა, შევედრა ბაკრატ მეფესა, და მისცა ციხე თჳსი მეფესა ბაკრატს, და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა, არგვეთს.

ხოლო ამას ჟამსა შინა გარდაცვალებულ იყო დავით დიდი, კურატპალატი, ვითარცა ვსთქმთ ზემორ, და ვითარ მოკჳდა ესე

1) T, au lieu de ce mot, ქართველთა მეფე.

2) Quatre mots Omis, T.

3) T გაზაზნა და უბ . . .

დავით, არა დაშთა<sup>1)</sup> ძე, აკრდა იმიერ ტაო, და გამოვიდა ვასი-  
ლი, ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავი-  
თისათა, და დაიხურა ბასილი მეფე-მან მამული დავით კურატპალა-  
ტისა და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და მამა მი-  
სი გურგენ და მოსცა მათ ბასილი მეფე-მან პატივად<sup>2)</sup>, გურგენს  
მაგისტროსობა და ბაგრატს კურატპალატობა, რათამცა ვითა მტერ-  
ყვნა ერთმანეთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით დონითა იძმატ-  
ვა, ხალხ გურგენ ჭეშმარიტი და წრთელი იყო, და ვერა აღძრა  
გუჯი მისი ზაკვითა, ამით მიზეზითა, და ვერ უძლყო ვერას დონის  
ძიებითა, და შემდგომად ამისს რა-ოდენთამე წელთა, კარდაიცვალა  
ესე გურგენ მეფეთ მეფე, მამა ამის ბაგრატ მეფისა, და ძე ბაგ-  
რატ მეფე რეგუნისა, ქორთიკონს სკლ<sup>3)</sup>.

და შემდგომად, ვითარ წარკდეს ამას შინა ჟამნი რა-ოდენნი-  
მე, და ვითარ ვსთქუ პირველვე, მოიწევნა და განაკნა ყოველნი  
საქმენი აფხაზეთისანი, ურჩნი თჳსნი შესცვალნა დიდების-გან, და  
ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრთედ მოჩხილნი  
ბრძანებათა მისთა, და წარემატა ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა,  
ყოველითა განგებითა, და განიბრავლა ლაშქარი თჳსი უმეტეს ყოვ-  
ლისა ჟამისა, გამოლასქრა ყოველითა სპითა თჳსითა, და კარდამო-  
ვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვა ციხენი ქარ-  
თლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს, მას ჟამსა იყო კახეთს ქორების-  
კობლისი დავით. ხალხ მან არა იხება მოცემა ციხეთა, არამედ მი-  
უმცნო ესრეთ: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იუცს ჩვენ შორის დამჯე-  
რებელ<sup>3)</sup> მკლავი და ომი, ხალხ მე წინა მოგეგებო კსანსა ზედა:“  
ვითარცა ესმა-რა ესე ბაგრატ, მეფესა აფხაზთა და ქართულთასა,  
განუწერა ფრიად, რამეთუ<sup>4)</sup> კურატპალატი იყო მას ჟამსა დღივს,  
და განაკებდა საქმეთა ტაოსსა და ქართლისათა, რომელი მაშინვე

1) T ესვა.

2) T პატივი.

3) T დამჭირებელ.

4) T და.



თვთვე ეპურს ტაო, მიცნალებსა ზედ მამის მათისა, გურგენ მე-  
ფეთ მეფისსა, მამინ წარმოგზავნა მეფე-მან ბაკრატ კაცი მოსწრა-  
ფედ და აწვია სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა, და თვთ წარე-  
მართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლთ კიდი მცხე-  
თისა, და მოკრთეს თანა აფხაზნი და ქართულებნი, და დადგა თი-  
ანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა, და ვერ წინა-აღუდგა დავით,  
რამეთუ იყო ძალი ბაკრატ მეფისა ურიცხვი, და იწყო ბრძოლად  
ციხეთა რამეთუ მას ჟამსა აღიღო ქუჭყანაჲ ჭერეთისა, და განაჩი-  
ნა მთავრად აბულაჲ, და წარმოვიდა შინა: და მათვე ჟამთა, რა-ჟამს  
წარმოვიდა ბაკრატ, აფხაზთა მეფე, კვალად მიიქცეს კაცნი ჭერე-  
თასანი, და მიერთეს დავითს. აღიღო დაყით ჭერეთი, და შემდ-  
გომად მცირედიცა ჟამისა მიიცვალა დავით. <sup>1)</sup>

კვალად გამოვიდა უოვლითა სპითა თვსითა ბაკრატ მეფე, და  
აღიღო ჭერეთი მეორედ: დაიმჭირა დინარ დედოფალი თვსად,  
იწყო ძებნად კახეთისა, ძალითა მისითა მიუწდომელითა წარიხვნა,  
რისა წელიწადსა შინა, უოველნი ციხენი კახეთისანი შეაწუდივა  
კვირიკე ბოჭორმას, და დაუეენა ციხესა გარეშემ მცველნი წლი-  
თი-წლამდის, და წარიღო ბოჭორმაცა, და დაიპურა სულიად ჭერე-  
თი და კახეთი, წარმოიუწანა კვირიკე, და დაიმჭირა თვსს კაცსა  
ზედა.

მას ჟამსა შინა გადიდნა ფადლონი, ამირა განძისა, იწყო კირ-  
თებად ჭერეთისა და კახეთისა ერის-თავთა, ჟამითი-ჟამად შეკობრო-  
ბით და ზარფით რბევად და ტუევენვად ადგილით-ადგილად: ხოლო  
იხილა-რაჲ ესე <sup>2)</sup> დიდ-მან მეფე-მან ბაკრატ კადნიერებაჲ მისი,  
ადივსო შურით, და დიდათ შეუძნდა კადნიერებაჲ მისი: განემზადა  
უოვლითა სპითა თვსითა, წარსვლად განძას, და წარგზავნა მოცი-  
ქული წინაშე გავიკე შაჰნშა, სომეხთა მეფისა, აწვია რათა იძიოს  
შური ფადლონისა-გან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა,

<sup>1)</sup> Ici le M-it T ajoute: დიდი კურატპალატი . . . და; v. sup. p. 72.

<sup>2)</sup> Omis, T.



და მისწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, წარმოებართა და მოვიდა წინაჲ ბაგრატ, აფხაზთა მეფისა, შეკრბეს ორნივე ზორო-კერტს, და მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულეს ქრისტეანეთასა, რომელი-იგი ყოვლითურთ ეძიებდა წარწემედასა ყოველთა ჯჳრის მსახურთასა: და ვითარ იხილას ძალი მათი უძლეველი, შეუშინდა, წარვიდა და მიმართა, სიმაგრეთა შესლვად, მაშინ ამან დიდ-მან და ყოვლითურთ ძლევა-მოსილ-მან მეფე-მან ბაგრატ წარმოსტუჳსნა ქჳსტყანაჲ რანისა, მოადგა ქალაქსა შანქარს, დაუდგნა ფილაკავანი, და მცირედთა დღეთა დალეწეს ზღუდენი შანქარისანი, და ხვალისა-დღე ეკულებოდა შემუსრვად ქალაქისა-მის. მას დამეს მოუვლინა მონაქული ფადლონ-მან, ითხოვა შენდობაჲ, აღუთქჳ დღეთა შინა სიტყვისა თჳსისათა მსახურებაჲ, გაუკეთა ხარაჯა, და დაუწერა თავის-თავით ლაშქრობაჲ ყოველთა მტერთა მისთა ზედა: მაშინ <sup>1)</sup> შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი მისნი წინაჲ მისსა, და უბრძანა მათ რათა <sup>2)</sup> დაიმჭირონ ქალაქი-იგი ძალითა მათითა, ხოლო მათ იხილეს და განიცადეს რომელ ვერა-ვის ძალ-ედგა. ამის-თჳს მოახსენეს და აუწიეს, და უფროსდა ამის-თჳს, რომელ სხუათა ყოველთა სლასქროთა საქმეთა-გან უფრო იქმნებოდეს; კვალად უბრძანა და განიზრახა დაზავებაჲ ფადლონისა, და მათ ყოველთა, სიბრძნითა მათითა, გამოარჩიეს და უმჯობესად აწვივეს ზავი, უბრძანა და გაკზავნა მონაქული და მის-გან აუწია ზავი დასტური, მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღუსრულა ყოველი-იგი სიტყვითა აღთქმული, საქმით უძღვნა ძღვენი დიდად მიუწოდმელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწოდმელითა, და წარმოვიდა მეფე ბაგრატ შინა, გამარჯვებული.

ამის მეფობისა ზე იყო წმიდაჲ მამა ჩჳსნი ევთჳმი, ქართულები, მთარგმნელი წიგნთა ჩჳსნ ქართულთანი შკ <sup>3)</sup>; ხოლო ამანვე

1) T მას ეამსა უბრძანა და.

2) T, au lieu de ces deux mots: პირველად რომელ.

3) Tout ce qui précède manque à T: c'est évidemment un hors-d'oeuvre.

დიდ-მან მეფე-მან ბაგრატ ადაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა სა-  
ეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაუგისა საეპისკოპოსოდ და შეწირნა  
სოფელნი მრავალნი, ყოველთა კევთა და ადგილთა, და განასრულა  
ყოველითა განკებითა, და შეამკო ყოველითა სამკაულითა, აკურთხა და  
დასვა ეპისკოპოსი მუნ შინა: ხოლო უკეთუ ვინმე ენებოს განცდად  
და გულის-ხმის-ყოფად სიმაღლისა-თჳს და დიდებისა მეფობისა  
მისისა, ზირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკკლესიისა, და  
მის-გან გულის-ხმა-ჰქოს, და ცნას რომელ არა-ვინ ყოფილ არს სხუა  
მეფე მსგავსი მისსა ქრისტეანასა ქართლისა და აფხაზეთისასა: და ამან-  
ვე მეფე-მან აკურთხა ეკკლესია ქუთათისა, განკებითა დიდითა და  
მიუწოდებელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელი ყოველნი კელ-  
მწიფენი და კათალიკოზნი, მღვდელთ-მოდღუარნი და ყოველთა მო-  
ნასტერთა წინა-მოდღუარნი, და ყოველნი დიდებულნი, ზემოთნი და  
ქვემოთნი: მამულისა და სამეფოსა მისისა მეოფნი, და სხუთა ყო-  
ველთა სახელმწიფოთანი.

ხოლო ამან ბაგრატ მეფე-მან კურატპალატ-მან დაიხურა ყოველი  
კაკკასია თჳთ-მზრობელობითა, ჯიქეთით-გან ვადრე გურგენადმდე, და  
აღარბადაგანი და შირვანა მოხარევე ჰქო, სომხსთისა კელმწიფობით.  
მეფე სზარსთა მეგობარ და ერთ-გულ ჰქო, სიბრძნითა და ძლიერებითა  
თჳსითა, უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთა მეფესაცა ში-  
შიში აქენდა ამისი ყოვლადვე: ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველ-  
თა მეფე, წარებატა ყოველთავე კელმწიფეთა ყოველითა განკებითა,  
ამისად მოაჯედ და შემზოვნედ შეიქმნეს ყოველნი კელმწიფენი, მა-  
ხლობელი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლასქ-  
რედ ვითირცა თჳსნი დიდებულნი. და მისანდობელი: დაუმოწილ-  
ნა ღმერთ-მან ყოველნი მტერნი და წინა-აღმდგომნი მისნი, და  
მოჰმადლა დღეთა მისთა მშვიდობაჲ და დიდი დაწინაურებაჲ ქრისტეა-  
ნისა მისისა: და უკეთუ ვინმე ინებოს თჳთოეულად წარმოთქმად, და  
იწეოს ყოველთა განკებულებათა მისთა, მოუძღურდეს ძალი მისი,  
რომელთა-გან მტირედნი წარმოვსთქვი, უამთა სიკრძისა-გან არა და-  
ვიწიებისა-თჳს.

და ვსთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა ამის მეფის ვახტანგ გურგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი, დიდებითა და ძაღითა, და ყოფლითა გონებითა. ეკკლესიათა მსუენებელი იყო, გლახაკთა და დაგრდობილთა მოწყალე, და სიმატლისა მართლიად <sup>1)</sup> მოქმედი. ყოველთა კაცთა-თჳს, და ქერივთა და ობოლთა შემწყნარებელ. <sup>2)</sup>

მოკრძა კათალიკოზი სჳმონ, და დასუა ამან მეფე-მან დიდებულთა კაცთა შჳლი, მეუხსი და გაზრდილი თჳსი ძელქისედეკ კათალიკოზ-პატრიარქად. ხოლო ესე წმიდა მეფე წარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე, კონსტანტინეპოლედ, რათა შეეწიოს. რამეთუ იყო დიდი ესე კათალიკე სამოციქულო ეკკლესია სვეტი-ცხოველი, რომელი ვახტანგ გურგასალს აღეშენა, დაძველებულ იყო და უამთა შლილობით გარეშემო სტოვანი და ქცეულ იყო, და აღარავინ იყო მწე აღშენებდა, და არცა-რავის ძალ-ედგა აღშენება მისი: და მივიდა და მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თჳსი. მაშინ მეფე-მან ბასილი მისცა მონასტერი კესტორია, რომელ რე სოფელი აქვს, განძი და შესამკობელნი ეკკლესიათანი, ხატნი და ჳვარნი, და ყოველივე სჳმდვდელო-მთავრო და სჳმდვდელო სამკაული: წარმოვიდა და მოიწია ქვეყანასავე თჳსსა ქართლად და სამეუფოდ ქალაქად მცხეთად, და იწყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა. მოქმნითა, და ზედა დაბურვითა. და ყოველი განასრულა და მიმადლა დმერთ-მან განახლება მცხეთის ქალაქისცა და შეამკო დიდი კათალიკე სამოციქულო ეკკლესია სვეტი-ცხოველი, ყოფლითა სამკაულობითა, ოქროთა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, და შესჭედა სვეტი-ცხოველი ოქროთა და ვერცხლითა, და შესჭედა წმიდა საკურთხეველი ოქროთა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, და მოსჭედა კანკელი და კარნი საკურთხეველისანი ოქროთა და ვერცხლითა, და შექმნა წმიდა სამარტულო ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა და მარგალი-

<sup>1)</sup> Omis, T.

<sup>2)</sup> T omet 5 mots.



ტითა, და შექმნა ძელი ცხოვრებისანი ორნი თვალითა და მარჯვ-  
ლიტიითა, და დასვეგნა ეოველთა წმიდათა ნაწილნი აურაცხელნი. მო-  
ჭედელნი სატნი, თვალითა და მარჯვლიტიითა შემკულნი. რიცხვთ  
ორ-მოდ და თხუთმეტნი, წიგნნი მოჭედელ-მოუჭედელნი, რომელ  
თვითან აღაწერინა და დასდვა, , ჯუმლად ოც და ხუთი, <sup>1)</sup>

ხოლო ესეცა წარმოვსთქნათ ჩვენ, რამეთუ რა-ოდენნი ბაგრა-  
ტოანნი მეფედ და კურატპალატად ზემოთ აღგვიწერია, რომელნიმე  
მეფობდეს ქართლსა, და რომელნიმე სამცხეს, ტაოსსა შინა, ვიდ-  
რე ამა ბაგრატის გამეფებამდე. და ოდეს მეფე იქმნა ესე ბაგრატ,  
რომელნიმე გარდაცვალებულ იუვნეს, და რომელნიმე ამას ჟამ-  
სა გარდაიცვალნეს, და არდა-რა-ვინ იყო ამის ჟამ-ში სხუა ბაგრა-  
ტოანი, თხნიერ სუმბატისა, და ძმისა მისისა გურგენისა, რომელ-  
ნი მეფობდეს კლარჯეთს, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, რომელთა  
სიკუდილნი ზემოთ აღვწერეთ. სუმბატის სიკუდილი, სლას ქარო-  
ნიკონ-ზე, ძმისა მისისა გურგენის სიკუდილი, სლბ ქარონიკონ-ზე.  
ხოლო ესრეთ იყო გარდაცვალებაჲ მათი, რამეთუ მათინ, ოდესმე  
ამან ბაგრატ მეფე-მან კურატპალატ-მან მოიუფანა ესე ორნი ძმანი,  
კლარჯეთა კელმწიფენი. სუმბატ და გურგენ: ძენი ბაგრატ არტანუ-  
ჯელისანი, დარბაზობად მის წინაშე, ციხესა შინა ფანასკერტისასა,  
და მუნ შინა შეიპყრნა იგინი და აღიხვსნა ციხენი და ქალაქნი მათ-  
ნი: რამეთუ იგინი ჰატიმარ ევნა ციხესა შინა თმოგვისასა, და მუნ  
ციხესა შინა გარდაიცვალნეს სუმბატ და გურგენ, ხოლო შჯლნი მათ-  
ნი წარვიდეს კოსტანტინებოლედ, ძე გურგენისი დემეტრე, და ძე  
სუმბატისი ბაგრატ, ვასილი მეფისა წინაშე, და მათნივე შჯლნი  
კლარჯეთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამა ქუჭყანასა, მოისრნეს ეო-  
ველნი სიკუდილითა ჰატიმრობასა შინა.

ამისსა შემდგომად ბაგრატ მეფე-მან მოვლო ეოველი სამეფო  
თვსი, აფხაზეთი, სერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა კეგ-  
თა ტაოსთა, და მორაიწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანას-  
კერტისასა, წელსა მესამესა, და მუნ შინა გარდაიცვალა ბაგრატ მე-

<sup>1)</sup> Tout ce § manque à R.



ფე, მკცითა შვენიერთა შემკული <sup>1)</sup>, ქორნიკონს სლდ, თქსს მისსა ზ, დღესა ზარსკეესა: და მეფობდა ოც და ათ-ექქს-მეტ წელ, და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს <sup>2)</sup>. და წარმოიღო გქამი მისი ზვიად-მან ერისთავთ ერის-თავ-მან, და დამარხა ბედიას: შემდგომად მისსა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი, იგიცა სავსე ყოფილთა სიკეთითა.

ნკ, ორმოცდაშესამეტე მეფე, გიორგი, ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართუჭლთა მეფისა, ბაგრატოანი. <sup>3)</sup>

ხოლო დაჟდა-რა ესე გიორგი მეფედ ყოველსა სამეფოსა და მამუელსა თვსსა, უამსა ოდენ სიურმისა და სიჭაბუკისა მისისა, რამეთუ იყო, რა-ჟამს მეფე იქმნა, წლისა ის <sup>4)</sup>, მას უამსა განდგა ამას ქქსყანა <sup>5)</sup> ჭერეთ-კახეთისა, და ჯადრობითა აზნაურთათა შეზერობილ იქმნეს ერის-თავნი მათ ქქსყანად <sup>6)</sup>: კქსაღვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა შირველ აქქნდა იგი: ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისასა, გამოვიდა ვასილი <sup>7)</sup>, მეფე ბერძენთა, ამა გიორგი მეფესა ზედა, ყოფილთა სზითა, საბერძენითთ, და უცხო-თესლითა ურიცხვითა: ხოლო გიორგი მეფე განვიდა სზითა დიდითა. წინა-აღდგომად მისსა, და დაიბანაკეს ორთავე ქქსყან-

1) T aj. trois mots.

2) Addit. de T, depuis და მეფობდა.

3) T: მეორმოცდასამე (sic) მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, გიორგი, ძე ბაგრატ მეფისა, ბაგრატოანი: v. la Traduction. M-it R: „52-e roi. Mon M-it. „56-e roi.“

4) T offre une rédaction un peu différente dans les mots, mais le sens est identiqun.

5) Tous les M-its: ქვეყანასა.

6) Il faut ქვეყანათა.

7) R écrit partout ბასილი.

ნასა ბასიანისასა, მრავალ დღე, და არა მიმართეს ბრძოლად ერთ-  
მანერთსა ზედა, და მორიდა გიორგი მეფემან, და მოვიდა და და-  
წვა ქალაქი ოლთისი, და მუნით მოვიდა კოლასა და გამოუდგა კვალ-  
სა, და მოუდგა უკანა ბასილი, ბერძენთა მეფე: და შეკრბეს-რა უკა-  
ნა მამდეგარნი გიორგისნი, და წინა-მავალნი ვასილის ლაშქარნი, და  
იქმნა ბრძოლა დიდი, სოფელსა-მას რომელსა ეწოდებოდა შირიშთა,  
და მოისრნეს ორ-კერძოვე მრავლად, და მოიკლნეს მუნ დიდნი ერის-  
თავნი და დიდებულნი გიორგი მეფისანი, რატი, ძე ლიპარიტისი,  
და ხურსი: და გვიანად ეწვია კმა გიორგი მეფესა, ვითარმედ რმ  
არს უკანა-მავალთა ზედა<sup>1)</sup>. და ვითარცა მოესმა კმა რმისა გიორ-  
გი მეფესა, აღბორგნეს და მაშინ უბრძანა სზათა თვსთა, და აღი-  
ჭურნეს მსწრაფლ: განვიდა თვთ გიორგი მეფე. რამეთუ ახლგან  
იყო და უშიშ ყოფლითურთ, ვითარცა უკორცო, და მის-თანა სიმ-  
რავლე სზისა მისისა<sup>2)</sup>: მოვიდეს ადგილსა-მას, სადა იუჟნეს ბრძო-  
ლად, და მუნ<sup>3)</sup> მოვიდა ვასილიცა მეფე, ყოფლითა სზითა მისი-  
თა<sup>4)</sup>. შეკრბეს იგინი იმიერ და ამიერ, და იქმნა მუნ ბრძოლა დი-  
დი, და მოისრნეს მუნ ბერძენნი დიდნი და თურადნი, და წარმო-  
დეს გიორგისთა ავარი, და ეგ-ზომ განდიდნა და განგრძელდა მათ  
შორის ბრძოლაჲ-იგი, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მე-  
ფე<sup>5)</sup>: გარნა ვითარ გიორგისნივე სულ-მოკლე იქმნნეს, ქართუელ-  
ნი<sup>6)</sup> მორიდეს და წარმოვიდეს: ხოლო ვასილი მეფე<sup>7)</sup> წარმოუდ-  
გეს უკანა ბერძენნი, და დაკოცნეს ურიცხვნი ზირითა მახჯლისათა.  
მოუწია ლაშქარ-მან არტანს და დაწვა იგი და მოაოკრეს არტანი, და  
რომელი ზოგა ტევე ეგეს ყოველნივე: ხოლო გიორგი მეფე წარვი-  
და ნიკაღით კერძო სამცხეთ, და მიუდგა მას უკანა ბასილი და

1) Addit. T, depuis გვიანად.

2) Addit. T, depuis და მაშინ.

3) T მუნით.

4) M-ss დიდითა.

5) M-ss სივლტოლად ეგულეზოდა ვასილი მეფესა.

6) M-ss რამეთუ.

7) Ces deux mots sont superflus.

სწუვიდეს ქვეყანა ჯავახეთისა, და მოაკრას ყოველივე: და რა-ყამს წარვიდა გიორგი მეფე, კარდავიდა თრიალეთად, და მოადგა უკანა ვასილიცა თრიალეთადვე კვალადცა, და რა იახლნეს ერთმანერთსა, კვალად განძლიერდა გიორგი მეფე, მოერთო ძალი ჯაშქრითა ვახეთისა და ჰერეთისა: რამეთუ მოიუწანნა წანარნი და შაქნი, გარნა დაუშალეს მას შებმა მეორედ: ხოლო იხილა-რამდ ესე ვასილი მეფე-მან, შეიქცა თრიალეთით, და უკ-მოფლო ჯავახეთი და არტანი, დღეთა შინა სამთრისთა, და კვალად უბოროტესადრე<sup>1)</sup> შურის-გებით მოაკრას ქვეყანანი-იგი, წარვიდა, და დაიზამთრას ქრეყანასა ხაღდასა<sup>2)</sup>, მახლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა: და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ორთავე ამათა მეფეთანი, ზავისა ერთმანერთსა წინაშე, მშჯდობისა და სიუწარულისა-თჳს.

ხოლო იქმნა მას ყამსა შინა განდგომილებაჲ დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეიერთნეს ვასილის მეფის სზასვეტი და წარვიზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფენ, და მიიდგნეს მათ ყოველი აღმოსავლეთისა კერძი ქრესტანაჲ, და დიდად შესძწუნდა ბასილი ამის-თჳს: გარნა ხოლო ღმერთ-მან ვასილის დიდად შეშინებულსავე ზატოვ-სცა. რამეთუ განუდგა ქსიფენს წარვიზი და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი<sup>3)</sup>, და მოკლეს წარვიზი<sup>4)</sup> ქსიფე და გადგეს რომელი მიერთულ იუწენეს: ხოლო ქსიფეს<sup>5)</sup> მიეგო ცრუობა წარვიზისა<sup>6)</sup>. რამეთუ შეიტყუეს ციხესა ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი, შეიტყვეს ციხესა შინა<sup>7)</sup>, დალასანოსთა, სისხლისა-თჳს ფოკასის ძისა, შეიპურეს და წარმოგზავნეს წინაშე

1) T უბოროტესად აღრე, qui est fautif, car la particule emphatique რე s'emploie dans le Nouv.-Test. avec le cas modal, comme je l'ai écrit ici.

2) R, T, ხაღდასა.

3) T omet depuis რამეთუ.

4) M-ss: ce mot est omis.

5) M-ss ქსიფენისა.

6) M-ss წარვიზს.

7) Addit. T, depuis ყოველნი.

და მოგვარეს ვასილი მეფისა, და მან ექსორია უფ იგი კუნძულს  
რასმე, და მიმდგომთა მისთანათა მრავალთა მოჭკვეთა თავი მახვი-  
ლითა, რომელთა თანა იუფ თერის, ძე ჯოჯოვისა, ნათესავით ტა-  
რელი, და სხვანი იუჟნეს ბერძენნი.

და კუალად შემოიქცა ვასილი მეფე და მოვიდა ბასიანსა, და  
ითხოვდა იგი გიორგი მეფისა-გან ქრესტიანთა და ციხეთა, და აღუ-  
თქმიდა ზავსა და მშვიდობასა. სცნა-რა ესე გიორგი მეფე-მან, წა-  
რავლინა ზვიადი ერის-თავი, სზითა მისითა და ლაშქრითა დიდითა,  
უწინარეს თვისსა<sup>1)</sup> და უბრძანა რათა ზავისა მიხურობითა მცირედ  
ხან დამჭირვად ადგილისა. დაილაშქრა ზვიად-მანცა ამიერ კიდესა  
ბასიანისსა, რეცა ზამთრის სახედ, ხოლო თვთ გიორგი მეფე წა-  
რუდგა უკანა, სზითა ძლიერითა, განვიდა ზავად, ლაშქარითა დიდითა  
და ძლიერითა, დაგანაზრახვიდა ესრეთ. „უკეთუ ინებოს ზავი ვასილი  
მეფე-მან, იქმნას ესრეთ. და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ  
მის-თვს“ ხოლო რომელთა არა უნდა უფთად მშვიდობისა იწყეს  
განმზადებად ბრძოლად: გარნა ორ-კერძოვე მზაკვარნი-იგი აზნაურ-  
ნი არა მიეშვნეს გიორგის უფთად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ  
მშვიდობაჲ, და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომ-  
ელსა უწოდან სვიდაქსად<sup>2)</sup>: არამედ აზრახეს მეფესა გიორგის მას  
ბრძოლად, და იწვიეს იგი ვასილი მეფესა ზედა, რომელი-იგი ზა-  
ვად და მშვიდობად ჰგონებდეს მისვლასა მათსა, და მოვლოდა.

ხოლო გიორგისთა იწყეს ბრძოლად, და ატეს ზოგი ვასი-  
ლის ლაშქრისა, მასინ უბრძანა ვასილი მეფე-მან დამოკიდებაჲ წვერსა  
ორთლისსა წერილი მათი, რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი  
მეფესა, სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფე-მან ჰო-  
ლოდის წვერითა ამართნა იგი<sup>3)</sup> და მიუზერა ღმერთსა, და ჰრქვა:  
„იხილე, მეუფეო, წერილი-ესე მათი და საქმე რომელ აწ იქმნა:“  
განუწერა ბასილი მეფე, უბრძანა მოყვანებად ძელი ცხოვრებისა,

<sup>1)</sup> Addit. T, depuis და ლაშქრითა.

<sup>2)</sup> Addit. T, depuis და მივიდეს.

<sup>3)</sup> T იგინი.



და<sup>1)</sup> კჳაღად მოიღო ბასილი მეფე-მან ძელი ცხოვრებისა, მანდი-  
ლითა წმინდითა, და დასცა იგი ქჳსტყანასა ზედა, და თქჳა ესრეთ,  
ვითარმედ „უკეთუ მიმცე მე კელთა მტერთასა, არღა-რა ვიყო თა-  
უჳანის-მცემელ თქვენდა, მე, უკუნისამდე, და არღა-რა თაუვანის  
გცე შენ უკუნისამდე (sic):“ და ვითარ ესე ჰყო და თქჳა, და ვი-  
თარცა განგრძობულ იყო მათ შინა ბრძოლას, ამას სიტყვასა ზედა,  
მეის, მასვე უამსა, იძლივნეს და კვალადცა მეოტ იქმნეს სხანი გი-  
ორგი მეუისანი და ლაშქარნი: საქართველოსანი, რომელნი-იგი ზირ-  
ველად მივიდეს, და გამოვიდეს მიერ-კერძო ტადმანი მეუისა რუს-  
ნი, და არა განერა ერთიცა ზირველ მოსრულთა-მათ, თზნიერ მცი-  
რედისა<sup>2)</sup>. რამეთუ თვთ მეფე გიორგი, და უმრავლესი ლაშქარი  
მისი არღა-რა მოსრულ იუვნეს ჯერეთ ყოვლადვე. და მოკლნეს  
მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა მშვიდობის ყოფა არა ენებათ,  
და მეოტ იქმნეს ყოველნი, და მოისრნეს ურიცხვნი ზირითა მახვ-  
ლისათა. რომელნიმე ტყვე იქმნეს, რომელნიმე მეოტ, და წარიდეს  
ბერძენთა ავარი დიდ-ძალი, და განძი სამეუფო ყოველი სრულიად,  
რა-ოდენი აქუნდათ ქართუშლთა-მათ: და წარმოიძრა მცირედ ბასი-  
ლი, მეფე ბერძენთა, და მოუღკა უკანა მეფესა გიორგის, და კჳა-  
ღად იწყეს ზავად<sup>3)</sup> და მშვიდობად ვითარცა ზირველისა-ებრვე. რა-  
მეთუ შიში აქუნდა დიდი ბერძენთა განდგომისა საბერძნეთით, და  
უგეს მაშინ მშვიდობად და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფე-მან  
მძევლად ძე თვისი ბაგრატ, სამისა წლისა, ჩხვილი, და ციხენი რა-  
მელნიმე<sup>4)</sup> ზირველ გაეცნეს აზნაურთა, და ულცხნა, და მისცნა სხვა-  
ნიცა ციხენი ზირველ მიცემული, და უკანის, ვითარ ათ ოთხ-მეტ-  
ნი, და ქვეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურატზალატსა, ტაოს, ბა-  
სიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს, შავშეთს: ხლოდ რომელნი-

1) Addit. T, depuis განუწერა.

2) Addit. T, depuis და გამოვიდეს. M-ss: და მოისრნეს ურიცხ-  
ნი ზირითა მახვილისათა, და რომელნიმე ტყვე იქმნეს, phrase qui se  
trouve, plus bas, dans le M-it T.

3) M-ss იწყო ზავი:

4) Lis. რომელნი.

მე<sup>1)</sup> ამათ ქრისტესანათა-გან ეკკლესიანი, სოფელნი და ადგილნი, და უფლტნა გიორგი მეფესა, და ესრეთ წარვიდა, და წარიყვანა ბაგრატ უფლის-წული, მძევლად წინაშე<sup>2)</sup>, ძე გიორგი მეფისა ჩვენისა: აღუთქმს ფიციტა ალექსი, ვითარმედ „წელსა მესამესა ძე შენი და სამ-წელ ქალაქსა სამეუფოსა კონსტანტინოპლესა და წელსა მესამესა წარაგზავნა, ქალაქით კონსტანტინოპლით, ვითარცა აღუთქმს.

ხოლო რა-ჟამს მოიწივნეს ტაოს, შემოვიდა მამულსა თხსსა ბანას, და სამეუფოსა თხსსა, მოჭყვავა თანა კატაპანი აღმოსავლისა ვიდრე საზღურთამდე მამულისა თხსისა, და ვითარ შეიქცა გარე, მოვიწია მოსწრაფებით მანდატური, და მოართვა კატაბანსა წიგნი კონსტანტინე მეფისა, რომლისა წერილი იყო ესრე სახედ; ვითარმედ „განგებოთა ღვთისათა მიიცვალა სანატრელი ბასილი მეფე, ძმს ჩემი, და ნაცვლად მისსა ვიქმენ მეფედ უფუელსა საბერძნეთსა, აწ უკვე, სადაცა მიწევნულ იყოს განსაკებელსა ჩვენსა სახელმწიფოსა შინა ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა კელმწიფისა<sup>3)</sup>, გარევე შეაქციეთ, სწრაფითა დიდითა, რომელ მოიწიოს წინაშე ჩვენსა.“ ხოლო მან ვითარცა წარიკითხა ბრძანებამე მეფისა, ენება რათამცა შეაქციეს გარე ბრძანებისა-ებრ მეფისა, შეიქცა სწრაფითა დევნა უფო ბაგრატს უკანა, გარნა ვერ ეწია მას. რამეთუ თხსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ დაშქრითა, რომლისა ბრძანად ვერამე ეძლო კატაბანსა-მას, და რა-ჟამს მიეახლა, ინილა-რამელ სიმრავლე დიდ-ძალი მიგებებული წინა, დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლნი, რომელთა არა იყო რიცხვი სიმრავლისა მათის. შეიქცა გარე და უთხრა მას მანდატურსა, რომელ მიწეულ იყო დასტიდარითა: „უკეთუ ძალ-გიძს, შენ აქციე, ჩემ-გან კულა ესე არა ეგების:“ ჯ დიდი და საკვრველებამე და მოწუალებამე ღვთისა. ვითარ მუის განერა მართალი კელთა-გან შემზურობელთა და მტურთა მათთა, რომელთა ენება ზაკვით შექცვავა მისი, და თუ ვისმე გენებოს განცლად ესე, ვითარითა შე-

1) T რომელნი.

2) Omis, T.

3) M-ss მეფისა.

წევნითა ღვთისმიერთათჳ იხილეთ და განიცადენით ურიცხენი კეღისა ადურობანი ამის დიდისა ბაგრატის, აფხაზთა მეფისა, რომელნი არა-ვის-ზედა შემოწევნულ იყვნეს სხვისა მეფისა, რომლისა-თჳს და უამსა გაუწეოს წინა-მდებარე-მან სიტყუან-მან. ხელთ ვითარ უკვე მოიწია წინაშე მამისა თჳსისა, გიორგი მეფისა, სახლად მათ-და, ქუთათისს, ქალაქსა მათსა, და ესრეთ შეკრბეს მშჯღობით, და მისცეს დიდება და მადლობა ღმერთსა <sup>1)</sup>: იხილეს მშობელთა მისთა შჯღი მათი, მსგავსი განუცდელისა და მიუთხრობელისა სიკეთისა მისისა-თჳს. შეუძლელ არს კაცთა-გან მოთხრობაჲ, იხილეს-რაჲ, განიხარეს სიხარულითა, მიუთხრობელითა, შესწირეს მადლობაჲ ღვთისა მიმართ, იყო ქორონიკონი მას უამსა სმე.

ამისა შემდგომად წარვიდა ხატრიაქი მელქისადეკ კოსტანტინე მეფისა წინაშე, კოსტანტინეზოლელად. შეიწინარა მეფე-მან ბერძენთა-მან კოსტანტინემ და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯვარნი, და უოველნი სამღვდელმთავრო და სამღვდელთ სამკაული, მოვიდა ქვეყანასა და სამწესოსა თჳსსა, და იყიდა სოფლები ტაოს. ზადკარეკი, ხულითა აგარათა. და ძაღლის-კევეს იყიდა სოფელი ოროთა, სამითა აგარათა, ესე ორნივე სოფელი მათითა აგარათა თჳსთა ძმათა განძითა იყიდა, და კლარჯეთს სოფელი ერთი სახლრანი, და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სახლრანი. აგარა მისი ნადვარკევი და ჯავახეთს მოიგო სოფელი ტონთი, და კოლას მოიგო და დაასშენა სოფელი დიდი ოროტანი, აგარათა. და თანავარს დასშენა სოფელი ერთი, მახაროვანი, და საკოათს შეიპურნა და დასშენა სოფელნი ორნი და ნაქალაქევი, და ბერდაძონი, და დაუდგა წმიდასა ამას ქალაქსა მცხეთას, სვეტსა-ცხოველსა. <sup>2)</sup>

შემდგომად ბაგრატის მოსლგვით-გან <sup>3)</sup> ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე უოვლითა სიკეთითა, უამსა ოდენ სიუჟისსა. რომელი არა-ვინ გამოჩინებულ იყო მსგავსი მისი მამათა.

<sup>1)</sup> T aj. depuis ქალაქსა.

<sup>2)</sup> T aj. tout ce §; cf p. 175, sur Melchisédech.

<sup>3)</sup> Deux mots aj. T.



შორის მისთა, ახფენებითა, ჭაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა, და უფოღითურთ სრული განკებითა საკელმწიფოთა, ქორცნიკონს სმზ, თთუჭსა აგვისტოსა ივ, ქუჭყანასა თრიალეთისასა, ადგილსა რამელსა ეწოდების მუინგარნი, გინა იწრონი <sup>1)</sup>, და დაუტევა გლოფა და მწუნარებაჲ უფოღთა მკვდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა: იგლოფდეს უფოღნი, სიკეთისა და სიჭაბუკისა, და ახფენებისა მისისა-თჳს, წარიდეს და დამარხეს საუდარსა ქუთათისსა. ესხნეს შჯლნი ოთხნი <sup>2)</sup>. ძენი ბაგრატ და დემეტრე <sup>3)</sup>, და ასულნი გვარანდუხტ და კატაჲ: მესუთე შვილი მათი, მართა, მიტვალებულ იყო: შემდგომად მიტვალეებისა დიდისა-მის მეფისა, მასვე უამსა მეფე იქმნა ბაგრატ, უფოღლსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა, ზემოსა და ქვემოსა, წელიწადისა თ <sup>4)</sup>.

ნდ. მეორმოცდამეათოთხმეტე <sup>5)</sup> მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, მესამე <sup>6)</sup>. ბაგრატ, მე გიორგი მეფისა, ბაგრატოანი.

ხლოთ რა-უამს დაჟდა მეფედ ბაგრატ, წლისა ცხრისა, მასვე უამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს, ვახე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე, და მათ-თანა სიმრავლე აზნაურთა

1) T ვირონი.

2) T ოთხნი ძენი.

3) N. du M-it R: მის გიორგის ძე და ძმა ბაგრატ მეფისა ესე დემეტრი, რომელი აქ დაუწერიათ, მის ნათესავისა-გან იყო ქმარი თამარ მეფისა, დავა . . . ძელი მეორედ მეფეს თამარს. Note R: les . . . indiquent les lettres qui ont été rognées sur la marge; cf. p. 184, 263, et la Traduction.

4) T წელიწადსა.

5) R, T, 44-e roi.

6) Addit. T.



ტაოელთა, რომელნიმე ცინოვანნი და რომელნიმე უცინონი, განუდგეს ბაგრატს. მიერთნეს კონსტანტის, ძმასა ბასილის ბერძენთ მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო <sup>1)</sup>: ხოლო კონსტანტინე მეფე-მან, მოქცევასა ოდენ წელიწადისასა და წელსა მესამესა <sup>2)</sup>, გამოგზავნა ზარკიმანოზი თვისი, ურიცხვითა განძითა და მიუწოდებელითა ლაშქრითა თვისითა, უოვლად უძლიერესად ბასილი მეფისასა <sup>3)</sup>: მოვიდა და ჩამოდგა, მოვლო და აღაოკრა ქვეყანა-იგი რომელი პირველ მოეხრნეს ქვეყანანი ბასილი მეფესა, და ააოკრნა, და უმეტესტა, რამეთუ მიიწია და მოვიდა ესე <sup>4)</sup>, მოვიდა თრიალეთს, ციხესა ქუჭშე კლდეკართასა: მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტი. ერისთავთ ერის-თავსა, ძესა ლიპარიტისსა, შემოკრიბნა სსრნიცა: აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქვეშე: რაჟამს იხილა ზარკიმანოზ-მან რომელი ვერას ავნებდა, შეიქცა გარე სადა-იგი იფენეს მასინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძოლა უეკეს, გარნა არა დიდად, და განდგეს კვლად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, და ერის-თავ-მან შავშეთისა ჩანჩუხა-მან (sic) მისცა ციხე წიეთისა <sup>5)</sup>: მასვე ჟამსა, წარვიდა ჩანჩუხი ფაღელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარეულობისა, მიერთო ბერძენთა, და აჩვენან, კლოლის ძე-მან, განსცა ბერძენთავე ციხე წიეთისა. ხოლო რა-ჟამს იხილა საბა, მტბევარ-მან ეპისკოპოს-მან, რომელი შავშეთს არდა-რა იყო სსრნი დონე, აღაგო ციხე თავსა ზედა, მახლობლად ტბეთისასა, და ეკკლესიისა სიმაგრე, და სხეელს დგა მას სვეტი <sup>6)</sup>, დაიმკირა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატს, აფხაზთა მეფისა-თვს <sup>7)</sup>: ზატოვ-სცა ღმერთ-მან, და ვერ წარუღეს ქვეყანა მტერთა.

1) Addit. T, depuis რომელნიმე.

2) T aj. deux mots.

3) Addit. T, depuis განძითა.

4) La rédaction ici admise, depuis ქვეყანა-იგი, differe pour les mots de celle des autres copies. qui est plus courte.

5) Addit. T, depuis სადა-იგი.

6) Addit. T, depuis ეკლესიისა.

7) Var. T: და შეკრიბა მასინ ერი თვისი, და შევიდეს მას შინა

რამეთუ მას უამსა გაგზავნა ჰარკიმანოზ ჰრეოდროზი ერის-  
თავ-მან <sup>1)</sup> იოანე ხანელი ხალტულარი, წარიუვანა თანა ვითანგი-  
ლაშქრითა დიდითა, და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბა-  
ტისი, რეცა შესატყვევებლად ქვეყანისა კაცთა-თვს, და ამით მიზე-  
ზითა მიიქცნეს მრავალნი კაცნი მის ქვეყანისანი, წყრილისა ერი-  
სა-გან: შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა არჩელი, და რომელნი  
აზნაურნი გამოსჩნდეს ერთ-გულად შეუდგეს მასვე ციხესა შინა და  
გამაგდრეს. ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოანეს ერის თავსა  
ახესერსა, და მათ უამთა ქვეყანათა ამათ შინა იქმნეს ბრძოლანი,  
შუდლნი და შიდამონი მრავალნი, და ვითარ დიდად იდელებოდა  
ქვეყანა ესე, კვალადცა ჰატევი-სცა დემეტრე-მან ბაგრატი, აფხაზთა და  
ქართულებთა შეუესა, ხოლო ესე-ვითარად-რამე დედად აღტეხილად  
იგვემებოდა აღმოსავლეთი, მსწრაფლ ეწია რისხვა <sup>2)</sup> სენი სსსიკუ-

თვთ საბა, მტბევარი ებისკოპოზი, და ეზრა, ანჩიელ ებისკოპოზი, და შა-  
ვშეთისა აზნაურნი, და განძლიერდნენ მას შინა; ხოლო მოავლინა მუნ პარ-  
კიმანოზ-მან იოანე ხალტულარი, სახელით ვალანგ, ლაშქრითა დიდითა,  
და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყვევებ-  
ლად ქვეყანისა მკვდრთა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ: რამეთუ მიიქცეს ერ-  
ნი სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობათა და გონებითა, და გამოადგინეს  
ლაშქარი სვეტსა-რას ტბეთისასა, და ბრძოდენ ძლიერად მრავალ ღონედ,  
და დემეტრე-მან განძლიერნა მყოფნი-იგი სვეტსა-მას შინა, მადლითა და მე-  
ოხებითა წმიდათა მოციქულთათა, და ლოცვითა წმიდათა ამათ მღვდელთ-  
მოდღუართათა, და ვითარცა ერთ-გულნი და ჰეშმარიტი მარტკლნი თავთა  
თვსთა სიკვდილად განსწირვიდეს, და კორციელთა უფალთა-თვს თავთა  
თვსთა განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევდეს, სიტყვისა-ებრ მოციქულთა-  
სა, და განძლიერდებოდეს: ყოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ „ნუმცა შეგ-  
ვიტყებინ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი. არამედ  
მოვიგოთ მადლი ერთ-გულობისა ღ ზკრგვნი აზოვნებისა:“ რამეთუ მბრძოლ-  
ნი-იგი გარემოდგომილნი მათდა ლიქნიდეს, აღთქმითა და ქადაგებითა კე-  
თილთა და საფასესათა.

<sup>1)</sup> Je crois qu'il faut lire ერის-თავი, car un dignitaire grec comme le chambellan, ne pouvait être aussi éristhaw de Bana.

<sup>2)</sup> Addit. T, depuis ხოლო.

დინე უმჯავროსი მას მეფეს<sup>1)</sup>, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოს, უწყალოების-თჳს ბაგრატ მეფის ჩვენისა და მოკრებისა-თჳს მამულისა მისისა, და მოსწრაფედ<sup>2)</sup> მოუწერა ჰარკიმანოზსა ჰროდროსსა, უხმო შედმართ, რათა მსწრაფელ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ და მივიდეს კონსტანტინეზოლედ: ხოლო იგი წარმოემართა და წარვიდა მსწრაფელ, ესმა-რს ესე<sup>3)</sup>, და ვიდრე მოვიდოდა შიიცვალა კონსტანტინე მეფე: და რა-ჟამს შიიცვალებოდა დასვა სხვა მეფედ, სახელით რომანოზ, მიმდგომელი თჳსი, და შერთო ცოლად ასული თჳსი, ზოია.

წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისადეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა, კონსტანტინეზოლედ: შეიწინარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯვარნი, სამღვდელთმთავრო და სამღვდლო სამკაული, და წარმოვიდა ქვეყანასა და სამწესოსავებოთჳსსა<sup>4)</sup>: შემდგომად პირველ რომანოზ მეფობისა, წელსა, მესამესა, სახატრელ-მან დედოფალ-მან მან მარიაჲ, დედა ბაგრატ აფსაზთა და ქართველთა მეფისა, შეიმოსა სიმკნე და ახოვანებაჲ, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა-მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა, და წარვიდა საბერძნეთად, კონსტანტინეზოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისსა და ძიებად მშჯღობისა და ერთობისა, და უოს (sic) აღმოსავლეთისა-თჳს, და რათა არდა-რს იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწუნარებულ და მუედრო იუზუნენ, და კვალად ძიებად პატრივისა კურატპალატობისა, ძის თჳსისა-თჳს, ვითარცა არს ჩუჭულებოდა და წესი სახლისა მათისა, და მოუვანებისა-თჳს ძის ცოლისა,

1) T aj. trois mots.

2) T aj. depuis მსგავსად.

3) T aj. depuis შეიქცეს; M-ss: იგი წარემართა, და ვიდრე . . .

4) Ce § est une addition du M-it T; la suite est une notable variante du texte des annales, où l'on ne trouve ni l'indication de la descendance de la reine Mariam, ni tant d'élégance dans la phraséologie, mais le simple récit du fait et de ses causes.



ხელე ამის უამს გიორგი მთაწმიდელი, მთარგმნელი, თან  
ახლდა დედოფალს მარიამს. ქრისტეს აქეთ, ჩ.მ. 1).

ხელე ჩუქნ ჰირველსავე სიტყვასა მოვიდეთ. და ვითარცა მი-  
იწია დედოფალი მარიამ წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყო-  
ველი სათხოველი სიხარულითა. მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერ-  
თობისა, სიუვარულისა-თვს, დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მისცა ჰატივი  
კურატჰალატობისა, და მისცა ცოლად ბაგრატისა-თვს ელენე დედო-  
ფალი: ხელე მარიამი მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თვისისა-  
სა, ქვეყანასა ტაოსა, მართვა ჰატივი, აღუსრულა ქორწილი, უკურ-  
თხეს გვრგვნი ბაგრატს. და მიიცვალა ელენე დედოფალი, ქეთათის  
შინა, და შეირთო ბაგრატ მეფე-მან ბორენა დედოფალი, ოვსთა მე-  
ფეთა ასული, დაღ დურდულელისა.

ხელე ამისა შემდგომად, სხვადა ძე დარჩა გიორგი მეფესა,  
ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფეთა ასულსა, მეორესა ცოლსა თანა გი-  
ორგი მეფისასა, და აზნაურთა-გან იყო მათ შუა მიდამო საუბარი და  
ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე: ვერცა გაამეფეს, თუცა ვის  
გულს-ედვა, და ვერცაღა გამობინდვეს ბაგრატ მეფე-მან დედამან მის-  
მან, და არცაღა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ვერცა-რს  
დაიდგნა, და წარვიდა სამეფოსა მის-გან, და მიმართა ბერძენთა მე-  
ფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია, და მიერთ-გან წარუხდა ანა-  
კოფია მოაქაყამადმდე აფხაზთა მეფესა.

შემდგომად ამისა წმიდა-მან მეუფე-მან კათალიკოს-პატრიარქ-  
მან მელქისედეკ მთავრ ქართლის მონასტერი ჰალაფრა, ოთხითა  
სოფლითა, და წუქეთი, შესავლითა მისითა, უინცვისი, შესავლითა  
მისითა, და შინდობის ნახევარი. კურბითს; რაზნაორი, კარგი სო-  
ფელი ერთი, ჩუქეთს, უბანი ერთი, მიწა და გენაკი სასეფეო. ზე-  
განთ სოფელი, შიდარი, და კუხეთს; ახატანს, უბანი ერთი, და  
ნოსორნა, სოფელი ერთი, და ჭერეთს მონასტერი, დიდითა ძალი-  
თა, და ლაგოდეკი. და ჭერეთსვე, კატეხისა ეკლესია, შესავლითა  
მისითა, და კაკს ვაჭარი ჯა-ორ-მეტი, და ზიარი, სოფელი დიდი,

1) Ce § manque, R, T.



ესე უოველი სოფლები, რომელი მან მოიგო, და რომელი სოფელნი ძველად ქონდეს სვეტს-ცხოველსა და კათოლიკე ეკლესიასა, და სხვა შესავალი რაც იუვნეს, მოახსენა ბაგრატ კურატპალატსა და შეუვლად გაკადნეს, და მისცა სიმტკიცე შეუალობისა, და სხვა რომელი შესავალი იუვნეს ამას წმიდისა დედა-ქალაქისა, ცხვარი, ცხენი, ღვინო, ზედაშენი და რაცა იყო, უოველი აღი ამირ-მა ამო-აკდო და აკადა ამას წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა, და უოველი სოფელი რომელი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ააშენ-ნა და დადგა უოველ-გან სახლნი, და ააგო ეკლესიანი უოველი, რიცხვთ უოველივე და შემდგომად სამკრით სადიაკვნოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტუჯოსა შიგან, შექმნა საფლავი თვისი, და დააყენა საფლავსა თვისსა ზედა გაზრდილი მისი იოანე, და უჩინა ამას სა-კურთხეველსა უამის მწირველსა, და მისცა თემს გლეხი სამი ფო-ძითა სრულითა, ვენაკი ერთი, მიწა ერთი, წისქვილი ერთი, ჭალა და ოტათლთანს გლეხი ერთი, ციხე-დიდს გლეხი ერთი, ორივე ფოძითა სრულითა, ვენახი ერთი. მცხეთას, სენაკი ერთი, ბოსელი, უანა, ვენაკი: ესე უოველი კელ-შეუალად, თავის-უფლად მისცა და გაირგა სამკვდრო სასულიერო აღაზნი და მოსაკსენებელი, და კარ-დაიცვალა წმიდა ესე, და აწ წარუმართონ დმერთ-მან ოქრო-პირს მელქიზედეკის-გან შულად გაზრდილსა. დაჟდა კათალიკოზ-პატრიარქად ოქრო-პირი, ამანცა მრავალი შემატნა დიდსა კათოლიკე სამო-ციქულთა ეკლესიასა, და აღაშენა დასავლის კუთხესა, სამკრით, ეკვ-დარი, ქვითა წმიდითა და თეთრად შეენიერად გამოქანდაკებულითა, უოვლად წმიდისა და კათოლიკე ეკლესიისა, და სხვაც შესავალი, რაც იუვნეს, მოახსენა ბაგრატ კურატპალატსა და კვრიკე კანთ მე-ფესა, ძის-წულსა კვირიკე მეფისასა, და შეუვლად გაუხადნეს და მისცა სიმტკიცე შეუალობისა, წმიდა-მან ამან კათალიკოზ-პატრიარქ-მან ოქრო-პირ-მან მრავალი ეკლესიანი აღაშენნა და განაახლნა. <sup>1)</sup>

და შემდგომად ამისსა მოირჩვნა და ეუფლა ზემოსა და ქვე-მოსა თავის მამულსა ზედა ბაგრატ მეფე.

1) Ce § est une addit. du M-it T.

და დიდი ფაღლან ავად იქცევოდა და სწუნობდა უფველთა მითაუღთა ამის სამეფოსათა, და ვიდრე ურმადა იუფ ბაკრატ, შეკრბნეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იბირნეს <sup>1)</sup> ლიხარით და იოანე აბაზაძე, და მოვიდა დიდი კვირიკე, რანთა და კანთა მეფე, და ვით, სომესთა მეფე, და ჯათარ ამირ ტფილედი. ესე უფველნი ჰირობითა კვრიკესითა შეკრებულ იუვნეს: მიუხდეს ესე უფველნი ეკლეცს, ფაღლანს ზედა, გააქციეს ფაღლან და აუწევიდეს ლაშქარნი, აიღეს ავარი და კანძი ურიცხვი, ამიერთ-გან ვიდრე სიკუდილადმდე, შეჭავდა ფაღლან: და სიმცირისავე შინა ბაკრატ მეფისას ლიხარით, ლიხარითის ძე-მან, და იოანე აბაზა ძე-მან, ქართლისა ერის-თავ-მან, მუხათ-გვერდს გამოიტყუეს ტფილედი ამირა ჯათარ, და შეიზურეს, და დიდი ხანი დააყენეს ჰატიმობასა შინა, და წარუღეს ბირთვისი: შეიწყალა აფხაზთა მეფე-მან, და განუტევა ტფილისსა ზედა ამირათ, და მიერთ-გან დაწინა მტერობაჲ ლიხარითეთ და ამირას შუა.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიხარით ბაკრატს წადება ტფილისისა, მოადგეს ტფილისსა მტევარსა იმიერთ-გან <sup>2)</sup>, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და წყალსა იმიერთ, ისანით კერძო, მოადგინნა ლაშქარნი კანნი და ჭერნი. მას ჟამსა მოჰკლულ იუფ დიდი კანთა მეფე კვრიკე, ოვსისა ვისმე მონისა-გან, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კვირიკე, კანთა მეფესა. ამის-თჳს მოეკლა <sup>3)</sup> კვირიკე მეფე, მესისხლობით, ნადირობასა შინა, ფიდარზის გოროთან, ოვსისა მონისა მიერ, მას ჟამსა იუფ მეფე კანეთს გაგიკა, ძე და ვით სომესთა მეფისა სამშვილდარისა და ზორაკერტელისა <sup>4)</sup>, დის-წული კვრიკესი, და ჰბრძოდენ ორ წელ ტფილისს. და მას ჟამსა იუფ ამირად ჯათარ, ძე აღისი:

1) T იპირნეს.

2) T იმიერთ; mon M-it ამიერთ.

3) Il faut მოიკლა.

4) T ზოლაკერტელისა; Zolacert m'est inconnu, Mais ce nom doit venir de ვორა ou ბორა-ქერა.

და ესრეთ შეაჭირვეს ტფილელთა რამელ ლიტრა ვირის კორცი ხუთას ღრამით იეიდდეს, და ვერღა-რა დაუგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა. ტფილელთა განიზრახეს მოცემა ტფილისისა, და ამის ქალაქისა ბრძოლასა შინა წარტყვევნეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა მეფისა ლაშქარ-მან, და ამირა შეეკაზმა თავისა ლაშქრითა, შემზადა ტივები და ნავეები, ღამით წარსვლად განძას, ლაშქარსა თანა ფადლანის შვილისსა, და რამელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიხარიტისა-გან ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი, და ფარულად ლიხარიტისა-გან დაჭვიდეს ზავი ამირასი, გამოაცხადეს და დაამკვიდრეს ამირა ტფილისსავე ზედა: დაიბირნა აფხაზთა მეფე-მ.ნ კახნი, აშოტ მთავარი მარლელი, და სიძე გვირიკე მეფისა, და ხანულა გურთა ჯვარის-ციხითა, და მოეყარა <sup>1)</sup> აფხაზთა მეფე ქალაქსა, და ემტერა კახთა, და მიერთ-გან შეიქმნა ლიხარიტ ქვე-გამხედვარად თავის ზატრანისა-გან.

გაილაშქრა აფხაზთა მეფე-მან კახეთს, შეება და შეუხდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. წუბათა შინა შეიზურნეს სტეფანოზ ვარჯანის ძე, ზარკისისა ერის-თავი, და ვახე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯისა ერის-თავი, დაჯე, დის-წული გოდერძისა, შტორის ერის-თავი და მაჭელისა. და კარდაუდგა თიანეთს, და დაწვა დარბაზი ბოდბეისა, სახლი საკელავანი, დიდისა გვირიკე მეფისა აგებული: და ესე ერის-თავნი ქენებით აძლევედეს ციხეთა მათთა, და ვერღა-რა ჩავიდეს კახეთს.

და შემოიქცა, რამეთუ ლიხარიტ იწუო საურავთა გვერდ-ქცეულთა, შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიხარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატიისი, სამეფოდ, ბერძენთა მეფისა ლაშქრითა, და მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი, მოვლეს ზემო-ქვეყანა, და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწვეს ქართლი. დაჭვეს ლიხარიტს კახნი და ბერძენი, ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატიისსა, თხნიერ ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელისა,

<sup>1)</sup> Mon M-it დამოწყურა.



თუნარი ერის-თავისა, გავიდა მეფე ჯავახეთს, და იწეეს ახალ-ქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას უამსა უზღუდო იყო: და არე ზამთრისა მოწევნულ იყო. ბერძენთა ენება შედმართ წასვლა, დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა, უბოძა ქართლისა ერისთავობა, წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად, და წარიტანეს დემეტრე თანა.

და კვალად განძლიერდა, მოირჭვნა ბაგრატ მეფე თავისა მამულსა ზედა, და დააგდო სვე-მან ბაგრატისა-მან უამი, მოერთო ვესტი, ცხრითა ცხიითა ანისისათა, თუნიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყოდეს სომეხნი, სენაქერემ, სომეხთა: მეფის, ასულთა იყო მარამ დედოფალი, ბაგრატის დედა <sup>1)</sup> იყო უამი გაზაფხულისა, ბაგრატ აფხაზეთს იყო, მოადგა ანაკოფიას, და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის უამისა ზირველ მომკურდარ იყო ტფილელი ამირა ჯათარ. უქადეს ქალაქი, და უკმეს სასწრაფოდ, დააგდო, და მოაყენა ანაკოფიას გარე, ქვაბულელ ჭაჭან ძე თათლად, აფხაზეთისა ლაშქრითა: ამოიარა და მოვიდა ქუთათის, და მოაყენა ქუთათისსა სამოქალაქისა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოაყენა ხოფათის, და დაუდგეს თელავკავანი, და ბრძოდეს, და ამოიარა მეფე-მან, და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხვანი მკობელნი ბერნი ტფილელნი. წარემართა ტფილისად, და მოეკებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის უმანი, ცხენოსანნი, დიდმისა ველსა, და ყოველი ერი ქვეითი დაკაზმული, დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს, და იყო კმობა ბუკთა და დუმბულთა ორ-კერძოვე საშინელი, რომლისა კმითა იძროდა ქვეყანა, და იყო სიხარული ორ-კერძოვე განსაკვირვებელი, შეიყვანეს, მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრატკანსა; და მოართვნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა, და დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად აღიზუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარბაზული, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინა შიგან ერის-თავნი თუხნი: ხოლო იშხნელთა ჩააგდეს კიდი და

<sup>1)</sup> M-ss რამეთუ.



არა მოსცა ისანი, დაუდგეს ფილაკავანი, და ბრძოდეს ისანსა, და ეს-  
როდეს ისართა, და ისანისა ველსა მოვიდეს კანთა მეფე კავკიკ, და  
ერის-თავთ ერას-თავი გოდერძი, და უოველნი დიდებულნი კახეთი-  
სანი, დარბაზობად ბაგრატ მეუისა წინაშე, და მშვიდობისა ძებნად.  
მაშინ ბრძანა და განვიდა მეფე ბაგრატ ველსა ისანისასა, მოიყვანნა  
კახნი და ითაყვანნა, და მისცა მშვიდობა, და განუტყვენა, იყო სი-  
ხარული და საურავი დღითი-დღე შემატებისა.

და ვითარ გარდაკდეს ამას შინა დღენი ზათხულისანი, და კვა-  
ლად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა, და გამოიტყუენა  
ანისით დედოფლისა-გან აბუსერი, ერის-თავი არტანუჯისა, და ხი-  
ხათა, და ციხის-ჯუარისა და აწვეურისა ციხისა ჰატრანი, და ივანე  
ერის-თავი, ივანე დანდანი, და გვარამ გოდერძის ძე, ბექის ციხის  
ჰატრანი, და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა, და დააკდო ტფილისი  
მეფე-მან, და განვიდა ჯავახეთს: ამისა შემდგომად გამოიყუანნა  
მწვეურელ-მან მესხნი, განძითა, ბაგრატისა-თჳს შეკლად, და მეფე  
დგას ხრტილასა. ხალხ ლიპარიტ შეკრიბნა კახნი, და მოადგა ფო-  
კათა. გამოექცა მწვეურელი ბაგრატ მეუისა, და შეეზრახა ლიპა-  
რიტს, ცნა ესე მეფე-მან ბაგრატ, ზამთრისა ბუქთა საშინელოთა, გარ-  
დაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს.

და ლიპარიტ გამოიყუანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, ძმა  
ბაგრატ მეუისა. ბერძენთა ბუთისა განძი და ლაშქარი შემწე იყო,  
და განხეთქნა ამის სამეუფოსა კაცნი, რომელნიმე წაუდგინა დემეტ-  
რეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთ-გულებასა შინა, და ძე  
ლიპარიტისი იოანე და მძევლად დარჩა ბაგრატის კელთა შინა, და  
ითხროფა იგი ბაგრატის-გან, და ნაცვლად გაუშვა აბუსერი, თავისა  
ციხითა, მშვიდობით, და იყუენეს თანა-მდგომნი ლიპარიტისა კახნი,  
ძალითა მათითა, და ღავით სომეხთ მეფე, ძალითა მისითა. და გან-  
ძლიერდებოდეს იგინი, ძალითა მათითა, ამას კერძოსა ქართლისასა,  
და იყო მიდამო საურავი ხელაგუნად.

და მოვიდეს ვარანგნი, სამი ათა-სი კაცი, და დააყენა ბაშს,  
გარდმოიტანა თანა შვიდ ასი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშ-  
ქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ვერღა-რც მოილადინეს, მო-

ვიდეს და შეიბნეს თავსა სსსირეთისა ჭაღისსა, კაიქცა შიდა ლაშქარი, და ომსა ამასვე კჳლას შეიბურეს აბუსერო, და სხჳანიცა დიდებულნი მის-თანა, ვერდა-რჳ უძლეს ბრძოლად ვარანგთა, და მისცნა ლიპარიტ ჰაშტნი, და წინა მათსა ჰურსა უკაზმიდეს, და ეგრეთ ლხინი გარდაჳლეს.

და ამისსა პირველ მამკჳლად იყო ძე ბაგრატისა დემეტრე <sup>1)</sup>. და შემდგომად კაქცევისა შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისისა განხეთქილობასა, და უქმნა მუდარა ლიპარიტს, და მცირედისა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა, ხოფლესა. და რა ცნა ლიპარიტ მოსულა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით, შეიქცა ბაგრატ, და წარვიდა აფხაზეთს.

და შემდგომად მცირედისა ყამისა სულა, ერის-თავ-მან კალმახისა-მან, გრიგოლი, ერის-თავ-მან არტანუჯისა-მან, შეაერთეს სიტუჳა, და შეიწუჳნეს მათ-თანა სხჳანი აზნაურნი მესხნი, და უკმეს შეფესა ბაგრატს. და წარმომართა ლაშქრითა: გარდმოჳლთ გზარკინის-ჯვარისა, და შეკრბეს არუის-ციხესა, სცნა ესე ლიპარიტ, შეკრიბა თავისა ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი, და ბერძენნი თანავე ჰეფეს, და მიუგდა არუის-ციხესა უგრძნეულად, და შეიბნეს. სძლია ლიპარიტვე, და კააქცია მეფე, შეიბურეს სულა, კალმაკისა ერის-თავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასჳმითა, სთხოვეს კალმახი, და არა მისცა: მასვე ომსა შეიბურეს გრიგოლი, ძე აბუსერისი, სთხოვეს არტანუჯი, სიკჳდილისა ქადაგებითა, და მისცა, მოირჳგნა ლიპარიტ და აიხვნა ზემონი ციხენი, და მიირთნა თავადნი კაცნი.

და გარეს-გარე წარვიდა ლიპარიტ, მითვე ლაშქრითა, დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა, დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქვეუანსა, და შემდგომად, წელიწდისა მოქცეჳსა, გამოხნდეს თურქნი სულტნისანი, ბაჳრამ-ლამიანი, ქჳლასანსა ბასიანისსა. გა-

---

1) მიკვრს მეფის თამარის ქმარი ხომ ამ დემეტრეს თესლისა-გან იყო, და რატომ არ დაწერეს ან რა-ხნისა მოკჳდა, და ან ვის ქალ-თან დარჩა შვლი. Note R, de la même main que p. 179, 263.

მოვიდა ბერძენთა მეფისა ლაშქარი, და უხმეს ლიხარიტს, და წარვიდა ლიხარიტ შველად ბერძენთა, ყოვლითა ლაშქრითა ამისა ზემოსა კერძისათა. შეიბნეს ორდროსა, და უკუმისა ქვემოთ, და გააქციეს ყოველი სხადა სხაბერძენთისა და ლიხარიტისა, თურქთა. იქმნა მოსრგადა დიდი, და შეიპყრეს ლიხარიტ, და წარიყვანეს ხვარასანს, სულტანსა თანა, დიდებულთა ამის სამეფოსათა და შჯლთა ლიხარიტისათა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება, და გამოიყვანეს მეფე მეფედ და კჳაჲლად მორჩვენა და შეიპყრნა შჯლნი ლიხარიტისანი, აიღო უფლის-ციხე, და გაუშვა იოანე.

და დადგომილ იუჲნეს განძისა ქჳსტყანასა. თურქნი, და წასაღებლად მიეწურათ განძა, გამოგზავნა თავისა. ნაცვლად ბერძენთა მეფე-მან ლისტური, ყოვლითა ლაშქრითა დიდითა, და აწვიეს ბაგრატს ლაშქრითა მისითა, და წარიყვანა თანა და ემართნეს თურქთა, და მოვიდეს განძას კარსა, და მორიდეს თურქთა, და დაიჩინეს განძის ქჳსტყანა, და შეიქცეს მშვიდობით.

და ამისა შემდგომად კჳაჲლად უკუმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი ბაგრატს, და შეიყვანეს შინა, და იყო სიხარული და მშვიდობადა დიდი: და ამისა შემდგომად დაესხნა ლიხარიტ თურქთა და შემოვიდა ანის, დააგდო ბაგრატ ტფილისი, ლიხარიტის გზით, აღმოვლო ქართლი, და მივიდა ჯავახეთს, განძლიერდა ლიხარიტ, რამეთუ მსახურებისა მისისა-თჳს ტყვე ქმნილ იყო, წარვიდა სხაბერძენთს, და ხანა ბერძენთა მეფე, და მორთო ბერძენთა მეფისა-განძალი, და ვერდა-რა დაუდგა ბაგრატ.

და ამისა პირველ ხჳმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათის მეფედ, სამეფოსა ზედა აფხაზეთისსა, და წარვიდა თჳთ სხაბერძენთს: მას ჟამსა იყო მეფე ბერძენთა კონსტანტინე<sup>1)</sup> მონომახი, და ლიხარიტის სათნოთა სწრაფით ვერდა-რა შეაქცია თავის მამულსა ზედა ბაგრატ. დაყო მუნ სამი წელიწადი, დიდსა დიდებასა და პატივის შინა ბერძენთასა.

მაშინ უკვე წმიდა მამა ჩვენი გიორგი მთაწმიდელი მოვიდა

<sup>1)</sup> Mon M-it მიხაილი.



მთა-წმიდით-გან, ხილვისა-თჳს და სათხროველისა, კოსტანტი მონა-  
მახისა თანა. ხოლო ესე-რს სმენოდა რამეთუ ბაგრატ მეფე და დედა  
მისი დედოფალი მარიაჲ კოსტანტინეზელად მოსრულან, აღმოვიდა  
წინაშე ბაგრატ მეფისა და დედოფლისა მარიაჲს, და უფულოთა  
მთავართა წარჩინებულთა მათთა განიხარეს სიხარულითა დიდითა.  
რამეთუ ხმობდა სამღვთო-იგი მოქალაქობა მისი, და მიიღეს წმიდა  
ლოცვა და მადლი მისი, და სულიერი სარგებელი ფრიადი მიითვა-  
ლეს, და მადლობდეს ღმერთსა, ამისა შემდგომად დემოწათა დე-  
დოფალი მარიაჲ, დედა ბაგრატ მეფისა, და იკურთხა მის-მიერ ცქე-  
მა. ხოლო იუო-რს ქალაქსა კოსტანტინეზელად ნათესავი სამარი-  
ტელთა, ტომისა-გან სჳმონ მოგვისა, და ესენიცა მგობნეულობდენ  
მკეცთა ზედა საკრწველად უცხოდ. და ამან გიორგი ჯვარი გამოსსა,  
აჲუდა შეგობნება მისი: ესე-რს ნახა მეფე-მან სასწაული ბერის-მის,  
და მთავართა, აღივსნენ სიხარულითა და მიუთხრეს მონომახსა კოს-  
ტანტინეს. ამისა შემდგომად, ვითარცა იხილა მეფე-მან ბაგრატ  
ესე-ვითარსი სიწმიდით და ღირსებით მოქალაქობა და უსხეულთა  
მგზავსი ცხროვრება, და სასწაული მისი, დიდათ შეიუვარეს, ვითარ-  
ცა ანგელოზი ღმრთისა, და დონესა ეძიებდა, რათამცა თჳსსა მამულ-  
სა წარმოიყვანა, და მისცა მღვდელთ-მოძღვრობა ჭეონ-დიდისა სა-  
უდრისა, სადა შექმნა ბაგრატ საფლავი თჳსი, და დაუსვენებინა მონა-  
გახნი წმიდათა მარტულნი: ამა წმიდა-მა ბერ-მა არა მიითვალა,  
არცა დაიჭირა, რამეთუ უფლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდე-  
ბასა კაცთასა და შოთისა სოფლისასა, და სიმდაბლესა შეიტკობდა.  
და ესრეთ დაჲო სამეფოსა ქალაქსა რაც-ოდენიმე წელი, ხოლო ჩვენ  
პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ. <sup>1)</sup>

ვიდრე იუო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიხარიტ ძე ბაგრა-  
ტისი გიორგი, მეფედ და მხედ. მოსცეს იგი დედა-მან მის-მან და  
დიდებულთა მის ქრწუნისათა. მოიყვანეს საუდარსა რუისისასა,  
აჲკურთხეს მეფედ, და მოიყვანეს მზრდელად ამისსა ლიხარიტ, და  
პატრონად დაჲ ბაგრატისი, გურანდუხტ დედოფალი, კაცი სრული.

1) Ce § est une addit. de T.



და უნაცვლად სსხითა, სიბრძნითა, სიუხვითა, და ღვთისა მსახურებითა, უფლებითა კეთილითა, და შემდგომად მცირედისა უამისა მოითხოვა გურანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეუღისა-გან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფე-მან, დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწოდებელითა, მიეგება უფველი ღაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა, ხუთას, და იყო სინარული, ღვთის მადლობაჲ დიდი, ბრძანა და შემოვიდა სახლად თვსად ქუთათის.

და ღიზარით მოიჩვენა ზემოსა კერძსა დაუკლებულად, და იყო მოყვარედ მისა ხორცისნს დუღლუბეგ სულტანი, და საბერძნეთს მეფე ბერძენთა, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა, სახელითა მეუფობისათა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ღიზისა ქვემოთ კერძი მიწეობით, და მცირედისა უამისა შემდგომად ამის სამეუფოსა დიდებულთა მოეწიინათ ვატრანობაჲ ღიზარითისი, სულა კალმახელი და უფველი მესხნი გამოეჭკეს ღიზარტს, და შეიპყრეს დღივს ღიზარტ და ძე მისი იოანე, ხოლო ნიანია გარდაიხუეწა, და მიმართა კლდე-კართა, და არა შეუშვეს მამისა მისისა ციხეფანთა, და წარვიდა ანის, ბერძენთა თანა. ხოლო ღიზარტ და იოანე ჰერობილი სულა წარიუვანნა კალმახს. გაგზავნა სულა მეფესა წინაშე, სულთა ზედა მკომბეღნი: ხოლო გურანდუხტ და ძე ბაგრატისი გიორგი დგეს ხრტილსა, და არა<sup>1)</sup> ცნეს შეპყრობაჲ ღიზარტისი, შეიუვანეს სალ-ქალაქსა, და მუნ მოიღოდინეს ბაგრატ სულთა. ზედა, მოვიდა ბაგრატ მეფე, და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფე-მან უბოძა მამულობით ციხის-ჯუჭარი, ოძრკე, ბოდო-კლდითა და სხვადა მრავალი საქონელი, და სამღჳდელთ-მოძღვრანი, და რაჲცა უნდოდა. მოვიდა მეუღისა წინაშე სულა, ჯავახეთს, და მოგვარა ღიზარტ და იოანე ჰერობილნი, და მოახსენნა<sup>2)</sup> კელთა აღიხვნა ღიზარტეთ-გან ციხენი, არტანუჯ და ყველი, უფლის-ციხე და ბირთვისი. ხოლო კლდე-კარნი მტკიცედ ეპყრეს ციხეფანთა, რამეთუ მუნ შიგან დგანანამარი, მწიგნობართ უხუცესი ღიზარტისი. მიიუვანეს თრიალეთს,

<sup>1)</sup> T რაჲ.

<sup>2)</sup> Il faut sous-entendre რომელ, que.

ამით თხრობთ არა მისცნეს ციხეფანთა კლდე-კარნი, აღმართეს ძეგნი და გაასხნეს მას-ზედა ლიხარიტ და იოან, განწირეს სიკუდილად, და შემდგომად დღეთა მრავალთა მომტკიცნეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი ციხეფანთა ლიხარიტისთა, მშვიდობით გაშვებისათჳს ლიხარიტისა, და იოანეს-თჳს მისცნა კლდე-კარნი, გამოიღო თავის ხვასტაგი, და ჩაიცივნა ჩოხანი ლიხარიტ, შევედრა ძე თჳსი იოანე მეფესა, და დარჩა არგვეთის მამული იოანეს, ეფიცა ლიხარიტ მეფესა შეუტოვებულობისა-თჳს, გაუშვეს, და წარვიდა სამეფოსა, შემდგომად მცირედისა ჟამისა, გაიხარა და წარვიდა იოანე საბერძნეთს, და დაუგნა წიგნი რაოდენნიმე, და ნიანია მოკვდა ანისს, ბერძენთა უმობასა შინა. და იოანეს უურჯა თავის მამა-მან ბაგრატს თანა, და თჳთ ბაგრატცა გამოიზიდნა და გამოიფანა ამის სამეფოსა, და უბოძა მამული არგვეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულდობით, და იყო თავადთა თანა ამის სამეფოსათა, და სპასალარ სიკეთითა მისითა, ხალხ ლიხარიტ მიიტყვალა საბერძნეთს, სამეფოსა ქალაქსა კონსტანტინეპოლეს, და წარმოიღეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიტანეს და დამარხეს კაცხს, სამარხსა. მამათა-მათ-თანა.

და მოიჩვენა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა ამის სამეფოსათა, და ამან წარუხვნა ყოველნი ციხენი ჭერეთისა და კახეთისანი, თჳნიერ კუეტარისა, და ნახჭევანისა, და შემდგომად ამისსა აქმნნეს დიდნი საქმენი და აღძრვანი დიდთა მეფეთანი, ამისსა მეფობასა შინა გამოვიდა სულტანი ართასარან, მეფე სპარსთა, დასხმის გვარად. უგრძნეულად მოვიდეს რა შემუსრეს კანგარი და თრიალეთი, და დღეს ერთსა მარბიელ-მან მის-მან მიუწია ვუგლის-უურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, ვიდრე თანასკერტამდე, და მასვე დღესა ჩამოეწია თორს და ღვივის-კეკეს, და თჳთ დადგა თრიალეთს სამ დღე, მას ჟამსა მომავალი იყო მეფე ტაოთ, და თანა ჰუწანდეს დედა, და დაჲ და ძე მისი გიორგი დადგომილ იუწენს ხე-კრებულთა, და აყრისა მისისა ჟამთა მოუკდა ლაშქარი სულტანისა, წამოვიდეს და წამოუდგეს ქედსა ზედა, ხალხ იგინი ჩამოესწრნეს ქართლს. წავიდა ჭავჭავთოს, და მოადგა

ახალ-ქალაქს. რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი, ძლიერად დგეს ახალ-ქალაქს, და ჰბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალ-ქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მეოთხნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეიბნეს ძლიერად, მოსრნეს ზირითა მახვილისათა: შევიდეს თურქნი ქალაქად და ტყვე ვეგს ურიცხვი ერთი ქრისტიანეთა. აღიდეს განძი და ტყვე ძლიერი, შეიღება წყალი ახალ-ქალაქისა სისხლითა, და მოუფლინა ახალ-ქალაქით მოციქული სულტან-მან, დაჰკვიდა მზახობაჲ, სთხოვა დის-წულა: ცოლად ბაგრატ მეფესა, და მიიქცა სულტანი ანისად, შემუსრა და წაუღო ანისი, მოსრნა და ტყვე ვენა ურიცხუნი სულნი, და წარვიდა ქვეყანად თჳსად სზარსეთად, და ანისი წარუღო ბერძენთა, და მისცა მანუჩარს, ძესა აბულახვარისსა.

ხოლო დის-წული ბაგრატიანი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმის-წული სომეხთა მეფისა გვირიკესი, ხოლო სთხოვა ბაგრატ, და არა მოსცა სომეხთა მეფე-მან. მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდ-ძალად ერის-თავი ვარზ-ბაკურ გამრეკელი. აბიჩნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე გვირიკე და ძმაჲ მისი სუმბატ. შეიპყრეს ქვეშის ჭაღასა, და აცნობეს ბაგრატს, და წარვიდა ქვა-გვრელთად მსწრაფლ, და მოგვარნეს ჰერობილნი კლდე-კართა ქვეშე, სთხოვა სამშვილდე, და არა მოსცეს, და ერთი ძმაჲ მათი შესრულ იყო სამშვილდეს, აღარხასე, ხოლო მიიუჭანეს სამშვილდეს, და ამართნეს ძეგნი, და გასვეს სომეხთა მეფე კვრიკე, სამ დღე. ითხოვეს მშვიდობაჲ და მოსცეს სამშვილდე. ხოლო მოსრულ იუენეს ორნი ერის-თავნი სომეხთა მეფისანი, ლუკიის ერის-თავი და კაკვა-ქარისა, აძლევედეს და მოსცემდეს სამთა ციხეთა სუმბატ, ძმაჲ კვრიკესი, ოფრეთს და კომქსა, და ვარზა-ქარს. ხოლო შეეწყაღნეს ბაგრატს მეფესა, და მისცნა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი, თჳნიერ სამშვილდისა, და არცა სხუანი ციხეთა უფალნი დიდებულნი მათნი შემოუშვნა, არამედ სამშვილდე ოდენ იპყრა სახლად თჳსად, და ეგრეთვე ჰმონებდეს სომეხნი.



მას უამისა ოდეს თეოდორსა დედოფალს ეპურა ბერძენთ მეფობაჲ. ითხოვა ბაგრატ მეფისა-გან რათა მოსტეს ასული მისი მართა, შჯლად თჳსად აღზარდოს; ხოლო მეფე-მან ბაგრატ სიზარულითა დიდითა წარმოგზავნა შჯლი თჳსი მართა, კაცთა თანა სკუთართა თჳსთა ხოლო მათ დღეთა შინა, განგებითა სდრმითთა, თეოდორსა დედოფალი აღესრულა, და მსგეე უამისა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო, და წმიდაცა ესე მამა ჩვენი გიორგი მთაწმიდელი, მუნვე იყო, მიზეზითა რამე საქმეთათა, ხოლო ვითარცა ვთქუ, მიწაიცვალა თეოდორსა დედოფალს, მეუწესულად მართა, ასული ბაგრატიანი, სამეუფოდ გამოიყვანეს, და ვითარცა იხილას წმიდა-მან ამან მართა, სსმენლად უოველთა წინასწარმეტყველა, ვითარმედ „დღეს დედოფალი განვიდა, და დედოფალი შემოვიდა“. ხოლო მამინ დაყო მცირელი უამი, და კვალად ზევე წარიყვანეს მართა, ხოლო ოდეს მიიწია უამი, კვალად მოსთხოვა დუკიტ-მან, და სძლად თჳსად სამეფოსსა ქალაქსა შეიყვანა. იხილას-რა აღსრულებულად, უოველთა დაუკრდა და მადლობდეს ღმერთსა, ეგრეთვე, მარიამ დედოფალ-მან თქვა წმიდასა გიორგის, იყო-რა იგი აღმოსავლეთს, ვითარმედ „მამა, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რაიგი ოდეს მეწინასწარმეტყველე მართას-თჳს 1)“. ხოლო დიდ-მან ბაგრატ მეფე-მან გაათხოვა ასული თვისი მართა, და შერთო ბერძენთა მეფესა.

ამისა შემდგომად მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატიანი მეფისა, ქალაქით სამეუფოდ ანტიოქიად წარვიდა და მივიდა. რამეთუ ეგულვებოდა წარსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, ლოცვად და თაყვანის-ცემად წმიდათა-მათ და განმაცხროველებელთა ადგილთა, და აქჳნდა სამეფო ბრძანება თავადსა თანა და ჰატრიაქსა ანტიოქისისა, რათა უოვლითა დიდებითა და ჰატრიაქითა წარგზავნონ, ხოლო ჰატრიაქ-მან და მთავარ-მან განიზრახეს და გაიგონეს, თანა-ზრახუთა მამისა გიორგისათა, რამეთუ არა კეთილ არს აღმოსავლისა მეფეთა დედა, რათა სარკინობეთს წარვიდა, ვინათ-გან ცოდვითა ჩვენთა-გან

1) Ce § est tiré du M-it T.



იგინი უფლებებენ ქვეყანას-მას და ესრეთ, ზირითა თვისის მოძღვრისა გიორგისითა, მოახსენეს დედოფალსა და წარსლვისა-გან დასცხერეს. ხოლო იგი დადაცათუ შეწუხდა, არამედ ნებასა ღვთისასა ვერ წინა-აღუდგა. მაშინ ევედრა წმიდა გიორგი ბერსა მთაწმიდელსა, რათა შეიწყალეს სული მისი, ვითარცა შეუწყალებიაცა, და იღვასწოს ცხორებისა-თუნ მისისა, ვინათ-გან თვთ ვერ ღიწმნა შესლვად წმიდათა-მათ და თაყვანის-საცემელთა ადგილთა, განა რათა საფასუ-იგი რომელი საგზლად აღეკაზმა. წაართოს იგი იერუსალიმად, და გლახაკთა და დაგრდომილთა განუეოს წმიდისა-მის ქალაქისათა და მონასტერთა-მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოს მისი<sup>1)</sup>. ხოლო მითხრებასა მართასა ბერძენთა მეფესა, ამისა შემდგომად გაათხოვა დის-წული თვისი და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა, და შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემოვლო რანი, და უგრძნულად შევიდა ტერეთად, და ამის ქრესტიანისა დიდებულნი იუწენს მართულ და ერთ-გულ ბაგრატისა, და მას ჟამისა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა აღსართან, ძე გაგიკისა, და უოველთა დაჟანეს ციხენი მათნი, და ივლტოდეს კავკასია, და იყო ბაგრატ გალამქრებული კახეთისა აღებად, და ლამქარი მისი წინა კავზაზნილო იყო ვეუნიასა ერის-თავსა თანა წირქვალელსა, შემოიქცეს მშვიდობით, და უანბეს შემოსლვა სულტანისა და დაურა ციხეთა. შემოიქცა სწრაფით, და მოვიდა ქრესტიანად თვისად, ქართლად, ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღვანა ძღვენი დიდი, და დაუტევა სჯული, დაიცვითა-წინა, აღუთქნა ხარაჯა, და მისცნა უოველნი ციხენი დაურაილნი სულტან-მან მასვე. და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეჟანეს, და რომელნი თვთ აღსართანისთა, მისცა უოველი აღსართანს. და შემდგომად სამისა კურისა წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა, და მიერთნეს სომეხთა მეფე კურიკე, და ტფილელი ამირა და აღსართან, შემოკვეეს ქართლს თანა, ჯაჭვით, გაუშვეს მარბიელი ცისკრად, და სამწუხროდ აღივ-

<sup>1)</sup> Ce § est tiré du M-it T.

სა უფუელი ქართლი, თთვესა დეკემბერსა ი, დღესა სამ-შაბათსა, ქარონიკონი იყო სპს.

და იყო ქართლსა შინა ჰური და ღვინო ფრიადი, და დაყო ექნისი კვრა, და იწყო ოკრებად და კოცად კაცისა, და გარდავიდა მარბიელი მისი არგვეთს. მიუწიეს, და არბიეს ვიდრე სვერის ციხედმდე და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყვე იქმნა, და იქმნა საძაგელ ქრესტანთა ქართლისა, სახილველ კაცთა. მოკრდეს უფუელნი ეკკლესიანი, სიმრავლითა მძორისათა არა დაეღვმოდეს ქრესტანთა. თქალნი, და ცოდნათა ჩვენთა მოსაკებელსა რისხვასა ღვთისასა, ზეცით ცაჲ წამებდა, სისხლის მწვიმებელი ღრუბელი აღმოსავალით მოეთინა ქართლსა ზედა, და იქმნა დამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვაჲ მისი საშინელი, და შესამწუნებელი, და არე-არე სისხლი წვიმული ეხილვა კაცთა, და იქმნა ზამთარი სასტიკი, რომელი გარდაესვეწა და მიმართა მათთა, მოსწუვიდნა იგინიცა სიფიცხე-მან ზამთრისა-მან, ხოლო უფუელსა ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თვთ თავადი სულტანი დადგაკარბს, და მეტე ჩამოდგა შერთულთა, და ეჭირვა სიძნელე-მან ზამთრისმან, და ბუქთა ძლიერთა, და მიგზავნა მოციქულად იოანე, ძე ლიხარტიისი, მეფე-მან ბაგრატ, ძიებად მშვიდობისა. ხოლო სულტან-მან შეაქცია იგი აფხაზეთად და ბაგრატს სთხოვა ხარაჯა, და უწადა მშვიდობაჲ. ხოლო სიფიცხისა-გან ზამთრისა ვერღა-რა მოილოდინა, და წარვიდა ქარილით. და ჩამავალ-მან წარუღო ტფილისი, და რუს-თავი, და მისცა თადლონს, განძისა ჰატრონსა, არა-თუ მეფეთა ჩვენთა მტერობისა-თჳს ოდენ, ამოსწუვიდა ტფილისი რუს-თავი ამას სამეფოსა, არცა ამის-თჳს ქმნა, თუმცა იგი ამირანი ორგულად დგომილ იუწნეს მისსა კარსა ზედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა ნაცვლად ბოროტსა ჭყოფდიან უფუელსა კაცსა ზედა. რამეთუ მინდობილ იუწნეს იგინი ძალსა უღთოებისა მათისასა, და იუწნეს იგინი უფუელით გერძო მტბიერი და ამის<sup>1)</sup> ქართლისა ოკრებასა შინა იყო ლაშქრისა მისისა სიმრავლე ხუთ ასი ათ-ასი.

<sup>1)</sup> Je crois qu'il faut ამახ.

და წარვიდა სულტანი ქვეყანად თხსად, და მოიწია არე გაზს-  
თხულისა, შეიქმნა სიდიდე წყალთა ძლიერი, და მტკვარი ვერდა-  
რა ეტია ნადინებსა <sup>1)</sup> თხსსა. მოეფინა ველთა და წარიდო მრავალი  
სული, რამელი დარჩომილ იყო სულტანისა-გან, და ამისსა შემდ-  
გომად იწყო ფადლონ ამხარტავენებსა და უსჯულთებსა, და სიას-  
ლესა ტფილისისსა. სადამე გამოეფანებსა კელისნთასა, და ვითარ  
იქმნა გაზათხული, კარდა მოვიდა მეფე ქართლად, და ჩადგა დიდ-  
გორთა, და ცნა დადგომად მეფისა, რამეთუ საზათხულთა მეფეთა  
სადგომი არს ადგილი იგი. ხოლო ფადლონ არად შერაცხა დიდ-  
გორთა დგომად მეფისა, წარმოემართა ლაშქრითა ოც და ათსამეტი-  
თა ათ-ასითა კაცითა, მოვიდა ტფილისს, და დაიბანაკა ველსა ის-  
ნისსა, ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი, და ამოვლო ღამე უფველ  
მუხნარისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი, ხოლო ცნა ტფილისით  
გადმართა აფხაზთა მეფე-მან ქართლის ვნებად, წარმოსვლა ფადლო-  
ნისი, გამოგზავნა ხილვად იოანე, ძე ლიპარიტისი, ერის-თავი, და  
ნიანია, ძე ქვაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერის-თავი უველისა, და  
თანა სსჭანიცა აზნაურნი მცირედნი, რჩეულითა ლაშქრითა. ხოლო  
ქართლს ვერდა-რა ჩამოეწივნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წი-  
ნა, წილგნის გორთა <sup>2)</sup> თანა. უკან კერძსა შეებნეს, და პირველსავე  
კრძლისა მოკიდებსა გააქციეს ფადლონ, და მოადგა ფადლონის ლაშ-  
ქარი გაქცეული ხრამსა <sup>3)</sup> ხარეკვავისსა, მიჰკოცდეს და იხურობდეს  
აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და აღმოეგო ხრამი-იგი ცხენითა და  
კაცითა, და ზედა ლაშქარ-მან მეოტ-მან გასლვა იწყო შობოს ტყით,  
და უფველთა ტყეთა-გან და ძეძვნართა-გან ვითა ჭიჭვის მართვეთა  
გამოჰკრებდეს <sup>4)</sup> დამალულსა ლაშქარსა ფადლონისსა ბაკრატის ლაშ-  
ქარნი, და შემოუსწრნეს წინა, იწროსა დართისსა, და მცირედნი

<sup>1)</sup> T ნადინობსა.

<sup>2)</sup> I. E. გორათა.

<sup>3)</sup> R, ტრამსა; la même leçon se trouvait en T, mais le  $\pi$  a été gratté et est devenu un  $\mu$ .

<sup>4)</sup> Ou გამოჰკრეფდეს.

ვინმე გაესწრნეს, და სდევნა ლაშქარ-მან ბაკრატისა-მან. ვიდრე მთადმდე ხერკისა. მოსრნეს და ტუვე უვეს ლაშქარი ფადლონისი, და დაკოტეს. ხოლო ფადლონ, ათ ხუთ-მეტითა, ოდენ ცხენოსნითა, წარულო გზაჲ წილკნისა, და მიეხვია პირსა არაგვისსა, და გაჰკდა ნარღვევთა გზითა ერწოს, და თქვა თავი თჳსი მოციქულად, ვითარ-მედ „ფადლონის მოციქული ვარ, და მახარობულად მივალ აღსარ-თანის თანა. აფხაზთა მეფისა ლაშქარი გაჴაქციეთ“. დახვდა კაცი ვინმე მეცნიერი <sup>1)</sup> რომელი იცნობდა ფადლონს, და რქჳს: „არა ხარ შენ მოციქული. არამედ ხარ შენ ამირათა ამირა ფადლონ“, ჰრქჳს კაცსა-მას ფადლონ: „მიიღე ჩემ-გან ოქრო და ვეცხლი დიდ-ძალი, და სკაკრავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ, გარდამიუწახე მინდობრად, და წარმომეუგ <sup>2)</sup> თანა“. ჰრქჳს კაც-მან: „ვერ ვიქმ საქ-მესა მაგას. რამეთუ მკვიდრი ვარ მე ამის სოფლისა, აწ ისმინე ჩე-მი, და მომეუგ <sup>3)</sup> თანა, და მე მიგიუფანო აღსართანის თანა, და მან გაგზავნოს ქრესტანსა შენსა“. ნებსით არა უნდა ესე ფადლონს, არა-მედ ერწოთ ვერდა-რა შემძლებელ იყო წარსულად. წარუძღვა კაცი-ოგი, და მიგვარა ყალეთს, ისაკს ტოლობელის ძესა, აზნაურსა მესხ-სა, ხოლო რაჲ ცნა ფადლონის კარად მისვლად, გაძარცვა ერი ფად-ლონისა, გარდაყარნა ცხენისა-გან, დაიჭირნა კელთა, და შესვა ჯოჯო-სა ზედა ფადლონ, და არა იხსენა ისაკ მკვიდრობა აფხაზთა მეფი-სა, რომელმცა აფხაზთა მეფისა-გან გაქცეული ფადლონ შეიპურა, და შეგვარა ბოჭორმას ბაკრატისა-თჳს, ხოლო ამან მსწრაფელ წარიუწა-ნა, და მიჰგვარა აღსართანს, თელავს: ხოლო აღსართან მსწრაფელ წარიუვანა ხორნაბუჯს, ხოლო აფხაზთა მეფისა-გან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა, მიუპურეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუ-ჯი. წარიუვანეს არადეთად, და მისცა არადეთი აღსართანსავე. ხოლო ბაკრატ შეშინდა გაშეგობასა ფადლონისსა, მისცა ბოჭორმა და უჯარ-მი კახთა, და წარმოიუვანა ფადლონ. გასვეს ძელსა, მიუპურეს ტფი-

<sup>1)</sup> T მეცნიერნი.

<sup>2)</sup> T წამამეუგ.

<sup>3)</sup> T მამეუგ.



ლისი, და აღიღეს ჭირვეულად ტფილისი. რამეთუ მუნ შიგან მდგომი კაცი გაამირობსა ლამობდა, და არა დაიჭირა ბაგრატ თვსად, არამედ დმანისს დატყუებულთ სითლასაბა ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი, ხოლო თვსად აიხვნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აკარანი, გრიგოლ-წმიდანი და ქავაზნი, და რამეც და ოთხი ათ-ასი დრაჰკანი, და მიქვალნი ძმის-წული მისი, ძე მანუჩასი <sup>1)</sup> და სხვთა თავადთა განძისათა.

და შემდგომად ამისსა მოგზავნა სულტან-მან სარანგი ალხაზი, და მისითა შუა-მდგომელობითა, და სიტყვითა, დაეზავა ბაგრატ, და განუტევა ფადლონ, და გაგზავნა საკელმწიფოსსა თვსსა, განძას, და წარჭეჭა სარანგი თანა. და მოართვეს გაგიკეთი, და აღიღო აფხაზთა მეფე-მან გაგი, შემდგომად ამისსა ფადლონ-მან გატეხა ფიცი და შუა-მდგომელობანი დიდისა სულტანისანი, და მოიპარა ქავაზინი, და შემდგომად მისსა, მეფე აფხაზეთს იყო, მოვიდა ფადლონ და მოადგა აკარათა, და განსცა ციხის თავ-მან აკარანი, და მსწრათელ აღმოვიდა მეფე და მოვიდა, და მოადგა აკარათა. და წაიხვნა აკარანი, და გამოიყვანა დორდოლედი, ოვსთა მეფე, რამეც და რვა ათ-ასითა ოვსითა, და წარუძღვნა ძე მისი გიორგი კურატპალატი, და მოაოკრა განძა, და აღიღო ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი, და გაგზავნა თავის საშეფოდ. ამისად შემდგომად აღისურვილად დიდ-მან ოვსთა მეფე-მან, დურდულელ-მან, დის სიძის მათისა ბაგრატის სევასტოპოლისს-თვს, და ითხოვა დარბაზობად ბაგრატისა-გან, ხოლო ბაგრატ ნება სცა, და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე, ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზად აფხაზეთისა, და მოვიდა ქუთათის, და ნახა დამ მათი დედოფალი, დედა გიორგი კურატპალატისა, რამეთუ გიორგი კურატპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს, და მეფე იდგა ტინის-კიდის ჭაღას, ნადარბაზევს, და მოეგება წინა, დიდითა სიამითა და ზატყვითა, შეკრბეს ერთად კეზიქთა ზედა, და იყო სინარული, და კმად ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი.

<sup>1)</sup> I. E. მანუჩარისი.

და დაუვეს ერთ-გან დღენი ათ ორ-მეტი, და განუსვენეს უფუდითა განსვენებითა და სიხარულითა, და შემდგომად, ზამთრისა მიზეზითა, გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი საბოძვარი მეუფესა, და უფუელსა დიდებულსა ოვსეთისასა, გაგზავნა, და წარვიდეს სიხარულითა დიდითა.

და გარდაიცვალა კათალიკოს-პატრიარქი ოქრო-პირ, და დაჯდა გიორგი ტაოელი. მცირედთა უამთა გარდაიცვალა გიორგი ტაოელი, და დაჯდა კათალიკოს-პატრიარქად გაბრიელ საფარელი. <sup>1)</sup>

და შემდგომად ამისს არჩინებდა <sup>2)</sup> სულტანი მცციქულთა, და უკრებდა ძღვენთა ბაგრატ მეუფესა, ამთა ენითა სთხვდა ხარაჯასა, და არა დაიდვა ბაგრატ მეუფე-მან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მცციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღვენსა, და იყო მათ შორის სიტუვა სიუფარული.

და შემდგომად მცირეთა წელიწადთა სამშვილდის ბართა <sup>3)</sup> მდგომის ბაგრატს მეუფესა დაეცა საღმრთა მუცლისა, და ჩადგა მარბდათა, და გაუძნელდა საღმრთა, და ტახტითა წარმოიყვანეს, და თანა ჭყვა გიორგი კურატპალატი და უფუელნი დიდებულნი მისნი ხელე <sup>4)</sup> გიორგი კურატპალატი გაკებულ იყო წინა, და მოიყვანეს ქართლს მეუფე, და უფუელნი დიდებულნი მისნი მუნ მოვიდეს, და მოვიდა დედა მისი, მარამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარამ, და შემდგომად მცირედთა დღეთა მიუთვალა ესე მათი გიორგი კურატპალატი მეუფედ, დიდებულთა ამისსა შემეფოსათა, და უფუელნი შევედრნა მასა, ჭრქუა დედასა თჯსსა: „დედაო, მეწყაღვი შენ, რამეთუ უფუელნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინა, და ეკრეთლა შენ მოჭკუდები“. და შემდგომად ამისს გარდაიცვალა მეუფე ბაგრატ, თთვესა ნოემბერსა კდ, ქორციკონი იყო სუბ, და ამისვე ბაგრატის სიკვდილისა უამთა შინა მოიკლა სულ-

1) Ce § est une addit. du M-it T.

2) T არჩინებდა, ce qui est une forme du langage parlé.

3) T ტბათა.

4) T მუნ.

ტანი კაცის ვის-განმე, ბერის თურქისა-გან, თავის ლაშქართა სარ-  
გასა შინა, გაეგულა ჯეონი შვიდ ასი ათ-ასითა კაცითა, გაელაშქრა  
თურქთა მეფესა ზედა, სამარყანდისს სიხლეს ციხესა მოადგა. და  
მოიკლა მის ციხისა ხატრანისა თურქისა მიერ, და ვერდა-რა შეე-  
სწრა თურქი-იგი ციხესა, და დაჭრეს უწყალოდ მახვილითა, და ვერ-  
და-რა ცნეს ბაგრატ და სულტან-მან ერთმანერთის სიკუდილი, შემ-  
დგომად ამისსა დაჯდა ძე ბაგრატისი, გიორგი კურატხალატი, მეფედ-

ნე. ორმეოცდაძეათხუთმეტე<sup>1)</sup> მეფე ქართლისა და  
აფხაზეთისა, გიორგი, ძე ბაგრატისი, ბაგრატოანი.

ხოლო იყო ბერძენთა მეფე მინაილ დის-წული გიორგისი, ხო-  
ლო ამის ბაგრატის მეფობა-ზე არა აფრინდა უფელსა შინა მამულ-  
სა მისსა ერთიცა ქათამი, და დიდითა დიდებითა და ხატივითა წა-  
რიუჟანეს და დამარხეს ჭეონ-დიდს. ესე მეფე ბაგრატ წელიწდისა  
ცხრისა მეფე იქმნა და აღესრულდა ორმეოცდათექვსმეტისა, ესე ბაგ-  
რატ შირველ იყო კურატხალატი, და შემდგომად. . . .<sup>2)</sup> მერმე იქმნა  
სევასტოს, იყო კაცი უშვენიერესი უფელთასა, სრული სიბრძნითა,  
ფილოსოფოსი<sup>3)</sup> ენითა, სვიანი ბედითა, უმდიდრესი უფელთა აფ-  
ხაზეთა მეფეთასა, მოწყალე შეცოდებულთა-თჳს, უხვი გლახაკთა<sup>4)</sup>  
ზედა. ხოლო ესთა მისთა ქრესტენსსა დაწუნარებაჲ არა ჰქონდა. ეკ-  
ლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხებოდეს.

ხოლო გიორგი მეფე იყო მოწყალე და გამკითხველი გლახაკ-  
თა და დაგრდომილთა, კაცი საშიში და უხვი უფელთა<sup>5)</sup> მეფეთა

1) R, T, 45e roi.

2) La lacune représente le titre, ici omis en T, de ნოელი-  
სიმოს Nobilissime; v. la Traduction.

3) Vulg. on écrit et prononce ფილასოფოსი.

4) Mes trois M-its ალაგთა.

5) Subaud. ზედა.

ახვანეთისათა, ზურად უკეთესი უოველთა კაცთასა, ცხენოსან-მშვილ-  
დოსანი რჩეული, და შემდგომად მამისა მისისა დაუბრუნებელი ერთი  
თი მშვიდობით, და ზახუბულის ნახევარი, ხოლო შემდგომად თა-  
ვადთა ამის სამეფოსათა, ნიანია ქვაბულის ძე-მან და იოანე ლიპა-  
რიტის ძე-მან, და ვარდან სვანთა ერის-თავ-მან რეცა-თუ იკლეს რა-  
მე სიუძითა გიორგი მეფისათა, და აუშალეს ქვეყანა: იოანემ მოირო-  
ნა კახნი, და დადგა ქსნისა <sup>1)</sup> ზირსა, და ნიანია წარიდო ქუთათი-  
სისა საჭურჭლე, და შედგა ქუთათის შიგა, და ვარდან გაადგინა  
სვანნი, ავისა მოხარულნი. დაარბიეს და აწუვიდეს საეგრო, ხოლო  
გიორგი მეფე-მან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძვირ-უნსენებულ  
იქმნა, უბოძა იოანეს სამშვილდე, და ძესა იოანესსა ლიპარიტს მი-  
სცა ლოწობანი, ნაცვლად რუს-თავისა, რომელ მიეცა კახთა, და ნი-  
ნიას თმოგვი, და სსქანი საქონელნი რჩეულნი. ვარდანს უბოძა ას-  
კალანა, და უთაღუობა, ჯაყელთა იოანეს სიტყვით, უბოძა. უოვე-  
ლივე ერთ-გული და ორ-გული დათარსა წყალობითა, და დაიწუნარა  
მეფობაჲ თვისი გიორგი მეფე-მან, კვალად გადა იოანე, ლიპარიტის  
ძე, და ცნა გიორგი მეფე-მან. ქუთათისით გარდმოვიდა სამცხეს,  
მოირონა მესხნი. გარდამოვიდა და მივიდა სამშვილდის კარს. მუნ  
მოიუფანა კახთა მეფე აღსართან. ვერ დადგა იოანე ციხე შიგან, მი-  
რიდა მათთა სკამბითისათა, და მასვე შლილობასა შინა წაიხვნა ლ-  
წობანნი ლიპარიტისა-გან აღსართან, მოეყარა <sup>2)</sup> მეფე სამშვილდესა,  
გარდადგა ჯავახეთს, და მოიუფანა მეფეთ მეფე-მან გიორგი მათ წი-  
ნაშე, და იფიცნეს ეკრანთას, და დაიმტკიცა იოანე კლდე-კართა, და  
სამშვილდესა ზედა.

კჳალადცა გადა <sup>3)</sup> იოანე, გამოსტყუა კაცი ციხიდანთა გი-  
ორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის ჰატრონსა, და შე-  
მდგომად ამისა მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მტურად უოველთა ქრის-  
ტენეთა. მიეგება იოანე და ძე მისი ლიპარიტ წინა, შეწუნარა სულ-

1) Sic; v. sup. p. 210, ligne 13.

2) Cf. sup. p. 223, ligne 20.

3) T გადადგა; sup. გადგა.



ტან-მან <sup>1)</sup>, და დაყო მის-თანა სჷმი მცირედი, და გამოეზარა, და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდეს, წარუღო სამშვილდე და ტყვე იქმნა იოანე, თავითა, ცოლითა, და შვილის შვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედა-წულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტან-მან, და მუნ დგომასა მოარბია ქართლი, წაიღეს ტყვე და ნატყვე-ნავი ურიცხვი, და შეიქცა გარე, და აღიღო განძა, და დააგდო სარანგი თავადად განძას, და ბრძოლად ამის ქვეყანისა ყოვლისა, ორმოც და რვა ათ-ასითა კაცითა, შედგა თადღობნ ციხეთა მაგართა, და ვერ დაუდგნა. გამოიყვანეს და დააპატიმრეს იგიცა.

შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი, ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და განძისათა <sup>2)</sup>, დვინისა და დმანისისა ამირათა თანა-დგომითა, და მომართა კიორგი მეფესა, შეკრბა კიორგი მეფეთ მეფე, ყოვლითა სპითა მისითა, ზემოეთა და ქვემოეთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, დამართეს ერთმანერთსა. განაძლიერა დმერთ-მან კიორგი მეფე, წარძღუნებითა პატიოსნისა ჯუარისათა, მიუკდა ზედა, თარცხის ქვემოთ, და იოტა ბანაკი სარანგისი. გააქცია და ასწუვიდა იყო ყამი მწუხრისა, და სიღამე-მან დაარჩინა ნეშტა სარანგის ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებულად, მშვიდობით, მეფეთ მეფე კიორგი თჳსსა სამეფოსა.

და შემდგომად ამისსა, მოჰმადლა დმერთ-მან მძლავრებისა-გან ბერძენთასა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა, და შემდგომად ამისსა ესეცა მოჰმადლა დმერთ-მან: აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუჩუანაჲ, და სიმაგრენი ფანანდისა, და კარნიფორ-ბასიანი, და იოტნა თურქნი მის ქვეყნისა-გან, და შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი, ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და კერძისა. <sup>3)</sup>

1) T შეაწყნარა სულტანსა.

2) Mom M-it კერძისათა.

3) Cette phrase manque, T.

ნვ. ცხოვრება მეფეთ მეუღისა და ვითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამოცდაშვიდწლოანი შვილი მულთაგანი და ვით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა და ვით აღმაშენებელი. ესე იყო მეფე ქართლისა და აფხაზეთისა ორმოცდაშვიდწლოანი. <sup>1)</sup>

ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შაჰი, მოადგა სამშვილდესა, და წარიღო, და იოანე, ძე ლიპარიტისი, ტუვე ჰყო, და მოაკრა სამხითი და წარვიდა. ხოლო ამასვე წელსა მოვიდა სარანგი, ძალითა სულტანისათა, ჩამოვიდა სამშვილდის ბაქს, და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეუღისანი, და შეიბნეს ფარცხის, სძლეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი, და რამეთუ (sic) დიდი ძლევა მოსცა ღმერთ-მან გიორგის, წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თხსსა, ტაოს, და მოვიდა ბანას, ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლისა, გრიგოლი ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისვენეს, და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუჩუანა, და განიყარეს, ხოლო მეფე-მან გიორგი-მ დაუტევნა კარსა აზნაურნი შავშნი. და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქვეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს: რომელნიცა აიხვნეს თურქთა, და დაემკვიდრნეს მას შინა, და ვინათ-გან მეზობლობით მოყარნეს საზღვართა ჩვენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათი ჩვენ-ზედა. რამეთუ მიერთ-გან იწიეს რბევად, ტუვევნა და მოკრებად, წვად, სრვად, და ტუვეობად ქრისტიანეთა.

რამეთუ მათ უამთა გიორგი მეფესა უველს ვარე-მდგომსა, და-

<sup>1)</sup> R, T. მეორემოცდაეჭვსე.

ესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჭმად, ამირა ძლიერი და მაგრად მოისარი, რომელსა მას ოდენ უამა ადელად კარი, მოვიდეს ესენი შინა, განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სხა მისი ურიცხვი, ხელთა საჭურჭლენი დიდნი, სამსახურებენი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატიუნნი და სასმურნი, სამწიგნონი ზატოცისანი, კარავნი სამეფოთა ყოველთა დიდებულთანი, აიხვნეს იავარად და წარვიდეს. ხელთა გიორგი მეფე წარვიდა მეოტი, აჭარით აფხაზეთა. მათ უკუწლასქართა ესე-ვითარითა აღაფითა სავსეთა, მიმავალთა, წინა დაემთხვივნეს ამირანი დიდნი, ისი <sup>1)</sup> ვინმე და ბუყდობ, და მათანა სიმრავლე ურიცხვი თურქთა, საბერძნეთს მიმავალნი, რომელთა იხილეს-რა ესე-ოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა, რომელი აქნდა, და ცნეს მეოტობა გიორგისი, და ესმაცა მათ-გან ვითარმედ „რად წარხვალთ საბერძნეთს. აჭა ქუჭყანა საქართუწლად, უკაცური და სავსე ესე-ვითარითა სიმდიდრითა“, და მათ მუის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს ზირსა ყოვლისა ქუჭყანისასა, ვითარცა მკალნი, და დღესა იფანობასა, ასის-ფორნი <sup>2)</sup> კლარჯეთი ზღვის ზირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭეოხ-დიდი, რადიუსო თურქითა. მოისრა და ტუვე იქმნა ამათ ქუჭყანათა მკვიდრი ყოველი, მასვე ერთსა დღეს დაწვეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი, და დაეყვანა ამათ ქუჭყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდემდე თოვლისა, მოჭამეს ქუჭყანა და მოსწუვიდეს, თუ სადამე ვინ დარჩომილ იყო.

<sup>1)</sup> Mon M-it ისი პარი.

<sup>2)</sup> M-its: კარნის-ფორნი, et კასის-ფორნი; ce dernier mot se trouvait dans R, mais-il a été effacé, et კარნის mis entre lignes; ce qui fait croire, ou que le M-it R est l'original, ou que dans les autres copies on avait également tracé კასის puis substitué კარნის cf. la note p. 124, qui date de 1709 le M-it R. Toutes ces notes sont de même main, que je crois autre que celle de Wakhtang, mais ont été mises de son tems, et peut être sous sa direction. Quant à კარნის-ფორნი, cf. sup. p. 199 et la Traduction.



ტუეთა, კლდეთა, ქვაბთა და კურელთა ქუჩუანისათა. და ესე იყო  
პირუჭლი და დიდი თურქობა, რამეთუ ქარანიკონი იჯდა ტ. ხო-  
ლო თუ ვინმე მთიულეთს, ანუ სიმაგრეთა სადაღა ვინ დაშთა კაცი,  
ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა  
და განგრძელდა ესე-ვითარი ჭირი ქრისტიანეთა. ზედა, რამეთუ არეს  
თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი, და მათვე პირუჭლთა საქ-  
მეთა იქმდიან, და ზამთრის წავიდიან, და არა იყო მათ უამთა ში-  
ნა თესვა და მკა, და მოკურდა ქუჩუანა, და ტუვედ გარდაიცა. ნა-  
ცვლად კაცთა მკეცნი და ხადირნი დაემკვიდრნეს, მათ შინა იყო ჭი-  
რი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქართლისათა, და შეუ-  
სწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა. სმეხილთა და გარ-  
დაჩუელთა ოკრებათასა, ხოლო წმიდანი ეკკლესიანი შექმნეს სახლი  
ჭუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღვთისანი ადგილად არა-წმი-  
დებისა მათისა, და მღუდელნი რომელნიმე შეწირვასავე შინა სად-  
მრთოსა მსხუჭრზღისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს, და სო-  
სხლნი მათნი ადრინეს მეუფისა თანა, და რომელნიმე მწარესა ტუვე-  
ობასა მიცემულ იქმნეს. მახურცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს,  
ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკვეთებულ, ხოლო ჩხვლნი  
მიმოდატაცებულ, ცაცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწვა  
შენებულნი ყოველნი. მღონარენი სისხლთანი, ნაცვლად წულისა ნა-  
კადულთა, მრწუველნი ქუჩუანისანი, და რათა თვთ მათ იერემიასა-  
თა ვიტუოდე: რამეთუ ამან ოდენ კეთილად უწყოდა უამისა ამის ჯე-  
როვანი გოდება, ვითარმედ „ძუნი სიონისანი, ზატოისანნი და ბო-  
როტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტუვეობისათა მოგზაურ-  
ბენ. ხოლო გზანი სიონისანი იკლფვენ არა ყოფისა-თჳს მათ-ზედა  
მედღესსწულეთასა, და კეცნი დედათა მოწყალებანი არა საზრდე-  
თა<sup>1)</sup> შჯლთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თჳსსა ჭყო-  
ფენ თვთ თჳსთა-მათ სეყურელთა“, და ესენი ესრეთ, ფრიადცა  
უძვირეს.

ამათ-რამე საქმეთა ესრეთ-რამე ხედვიდა მეუფე გიორგი, და რა-

1) M-ss საზრდელითა.



მეთუ არა-სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, არცა-რა დამხსნე-  
ლი ამათ ძურთა რომელი მოეცვა ზირი ყოვლისა ქრისტეანისა, რამე-  
თუ ძალი ბერძენთადა შემტირებულ იყო, და რომელნი ქრისტეანანი მათ  
ადმოსავლეთს ჰქონდეს ზღვასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპურა,  
ჰყო განზრახვად დიდებულთა თვსთა თანა, და დამტკიცეს წარსვლად  
მალასა სულტანსა მალიქ-შას წინაშე, და ესრეთ დადგა სული თვისი,  
და სისხლნი ქრისტეანეთა ხსნისა-თვს, და მინდობითა ღვთისათა და  
წარდევანებითა ძელისა ცხფრებისათა, წარვიდა ასპანს, ნახა სულ-  
ტანი და შეწინაბრებულ იქმნა მის-გან ვითარცა შჯლი საყურელი.

რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა, ვითარცა სიდიდითა კიდეთა  
მზერობელობისათა შეუსწორებულ, ეგრეთვე სახითა სიტკბობებისათა  
და სახიერებითა აღმატებულ იყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავ-  
ალ არიან და სხვანიცა ურიცხვნი საცნაურებანი, მართლ-მსაჯულ-  
ბანი, მოწყალეები, ქრისტეანეთა სიყურელი, და რათა არა გან-  
ვავრდოთ სიტყვა, ყოვლად უბოროტ-რამე გონება ყოველით კერძო  
აქენდა, ამის-თვწცა ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფეს გიორ-  
გის, უმეტესცა სასოებისა. და სამეფო მისი თავის-უფალ ჰყო  
ზედა საბიელთა-გან, და მოსცა კახეთიცა და ჭყეტი, გარნა ხა-  
რაჯი ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალ-  
თა, და ესრეთ განდიდებითა, მრავლითა დიდებითა, გამოგზავნა სა-  
მეფოდ თვსად, და წარმოაყლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა  
მშვიდობისა, და რათა აართვან კახეთი, და ჟამის სთვლისსა მოვი-  
დეს კახეთს, და მოადგეს ციხესა ვეფხისსა, ვიდრე ჰბრძოდესდა მო-  
ვიდა თოვლი, ხოლო მეფეს გიორგის მოესხენა ნადირობა აჯამე-  
თისა. არდა-რა ზრუნვიდეს სხვასა, არცა ელოდა ადებსა ვეფხისსა  
და კახეთისსა. რამედ დაშქართა თურქთა, რომელნი ჰქუშეს მისცა  
ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქრისტეანა იორის ზირისა, კუხეთი, რომე-  
ლი მოკვრდა მუნ დღეინდელად დღედმდე, ხოლო თუთ კარდავლო  
მთა ღიბთა, და შთავიდა აფხაზეთან.

მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქ-შას წინაშე,  
დაუტევა ქრისტეანობა, და შეეძინა საკინობთა სჯულსა, და ამით  
ღონითა აღიღო სულტანისა-გან კახეთი. ამათ ესე-ვითართა ჟამთა

არაფე დამშვიდნა ქუჭყანაჲ, არცა-რაჲ იქმნა ლხინებაჲ კაცთა, უკეთურებისა-თჳს მკუდრთა მისთასა. რამეთუ ყოფელ-მან ასაკ-მან და ყოფელ-მან, ზატოგ-მან, ყოფლითურთ შესცოდეს ღმერთსა, მიიქცეს გზათა-გან წრფელთა ყოფლისა მიმართ უკეთურებისა, ბუნებით მოწყალე და სასიერი ღმერთი ეს-ოდენ განარისხნეს ვიდრემდის თჳთ მოხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულთა-თჳს, ესიას მიმართ, მეტყველისა ესრეთ, „გაჲ ნათესავსა ცოდვილსა. ერი რამელი საგსე არს უსჯულთებითა. კვალით-გან თუერკათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე არცა ბრძვილი; არცა შესახვევი.“ და შემდგომნი: „ამის-თჳს ქუჭყანა თქუჭნი რაკერ, ქალაქნი თქუჭნი ტეცხლითა მომწვარ, სოფელთა თქუჭნთა უცხთესლნი მოსჭამდენ, მოკრებულ და დაქცეულ არს ერისა-გან უცხოტომთასა.“ ესე ყოველი მოიწია, და თჳალითა ჩვენითა ვინაღეთ, და თურად უფრეს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ წარმოსთქუა თჳთოეულად, რათა.<sup>1)</sup> დღეთა ჩვენთა მოიწია: ჭირი, ამას ყოველსა ზედა არაფე დასცხრა გულის-წერომა უფლისა ჩვენ-ზედა. რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულის-ხმა-ფეავით, არცა ჯეროვანად მოვიქცეთ გზისა მიმართ უფლისა ბრძანებათასა, ამის-ოჯსცა ქუჭყანისა მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა სსშინელებანი ზეკარდამონი, ღვთივ მოვლენილნი გვემანი, მოიწივნეს ქუჭყანასა ზედა ჩვენსა, რათა არა თქვან მცოდველთა, ვითარმედ „ესე აღძვრანი არა ცოდვათა ჩუჭნთა-თჳს იქმნეს, არცა ღვთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა-რამე ყამათა, და დამთხვევითა აღძვრისა საქმეთათა“, ამის-თჳსცა დღესა აღვსებასა, თჳთ მას აღდგომასა მეუფისასა, რომელსა შინა სიხარული და განსვენება საკონებულ იყო, მოხედნა რისხვით უფალ-მან ქუჭყანასა, და შეძრა ქუჭყანა საფუძველითურთ. ესე-ოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მადალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი სხედ მტვერისა დაიგაღნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღვიეს, ეკკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქეს, და დაზედეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა, რა-

<sup>1)</sup> Je lis რა.

მელთა თანა თმოგვიცა დაიქცა, და დაიპურა ქუჩაშე კახაბერი, ძე ნიანისი, ცოლითურთ. და განგრძობდა ესე-ფითარი-იგი რევეა ქუჩაშენისა სსშინელი განსრულებამდი, ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწედა სიმრავლე ურიცხვი, მაშინ რისხვასა შინა მოიხსენა წყალობა მან რომელი „სწავლის უოველსა შჯლსა, რომელი უეგარს, მოაკვდინებს და აცხოვნებს“. რომელი მზა არს უფროს მაშისა მოწყალისა წყალობად, რამეთუ, წერილისა-ებრ, „არა-თუმცა უფალ-მან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომცა შევიქმნენით, და გომარელთა მივემსგავსენით.“ რამეთუ ამიერიტ-გან იწყეს ნიაფთა ცხოვრებისათა მობერვად, და დრუბელთა მცხოვრებისათა აღმოჭვირვებად<sup>1)</sup>, ვინათ-გან ათ რ-მეტ წელ ამათ თჯთ-სახეთა ჭირთა განგრძობითა, ბნელსა უკუნსა შინა იწყე აღმოცისკრებად მზე-მან უოველთა მეფობათა-მან, და თჯთ სამეცლამეათფრამეტემან შჯლ-მან ამის დაფითისა-მან.

დაფით, მას ჟამსა, რომელი იყო ჭსასკითა ათექუსმეტის წლისა, ხოლო ქორთნიკონი ტთ. ამას მარტოდ შობილსა გიორგის-გან, თჯთ მამა-მან დაადგა გვრჯინი მეფობისა, უჭეშმარიტესი ითქვნ თჯთ. მამა-მან ზე-ცათა-მან ზოფა დაფით, შინა თჯსი, და საცხებელი მისი წმიდა სცხა“, და რამეთუ კელი მისი წმიდა: შეეწია, და მკლავ-მან წმიდა-მან მის-მან განაძლიერა იგი წყალობა და ჭეშმარიტება შემოსა, და უადრეს ჭყო უფროს უოველთა მეფეთა ქუჩაშენისათა, ვიდრემდის დასდგა ზღვათა ზედა კელი მისი, და მდინარეთა ზედა მარჯვენე მისი, გარნა შრამითა ფრიადითა და ღვაწლითა ძლიერითა, და მრავალთა დღეთა შემდგომადცა იქმნა ესე-ფითარცა წინა-მდებარე-მან სიტყვა-მან ცხად ჭყოს, რამეთუ მეფე იქმნა-რა დაფით, მოკრებულ იყო ქართლი, და თჯნიერ ციხეთასა სადამე, არა-სადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცა-რა შენებულება, მათ ჟამთა შინა, ჭქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი, და მიმდგომი ქუჩაშენა მათი, ღიპარითსა, და მეფეს დაფითს წინაშე იევის რეცა ერთ-გულად. ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა, და სხუანიცა აზ-

1) T აღმოჭვირობად.



ნაურნი მცირედ შემოკრიბნა, დაშთომილნი სდაჲე, და სოფლებთა-  
ცა დაიწყეს შთამოსლგად და სხდომად.

და იყო მასშინ საზღვარი სამეფოსა შთა მცირე ღიხთა, და სა-  
დგომი სამეფო წადგლის-თავი, და ოდესცა ნადირობა უნდის ქართ-  
ლისა ჭალაკთა, ანუ ნაჭარმაგვეს, რომელი უოფლადვე აღსავსე იყო  
ირემთა და ეშეთა მიერ, არა პირველ შთავიდიან, უიდრემდის ცხენ  
კეთილთა მკედართა მიერ მონახიან, და მასშინდა ჩამოვიდიან ნადი-  
რობად.

ხოლო ამას ვითარებასა შინა კარდაკდა წელიწადი ოთხი, მო-  
კრდა სულტანი მელიქ-შაჰ, და ლიპარიტ ამირა მან იწყო მათვე მა-  
მულ-ხაზურთა კვალთა სლგა. რამეთუ ზაკვიდა წინაშე მისსა მოხვო-  
ნებად უსჯულფობისა, დადაცათუ ქრისტეანე იყო სახითა, კარნა  
არ-გულეობითა, და სიძულელი პატრონთა გვარისა-გან მოაქრნდა გო-  
ნებითა, და ვინათ-გან გულის-ხმის-ყოფა არა ინება კეთილისა, და  
უოფელსა გზასა არა კეთილსა, ამას-რა ესე-ვიითარსა ხედვიდა მეფე  
დავით, ინება გაწურთა მისი ამის-თხსცა პერობილ ჭყო იგი ჟამ  
რა-ოდენ-მე, რომელი კმა-იყო განსსწავლელად გონიერისა ვისსამე,  
და ესრეთ მამტკიცებელი მრავალთა და მტკიცეთა თვითთა მიერ, და  
ერთობისა-თხს ღვთისა შუა-მდგომელად მომცემი, განუტევა იგი,  
და მითვე დიდებითა ამყოფა და არა შეუცვალა: რამეთუ კეთილ-მან  
არა-თუ მართალსა, არამედ არცა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის,  
ვინათ-გან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭველ იყო, ხო-  
ლო იგი, ვითარცა ძაღლი, მიექცა ნათსევარსა, და ვითარცა ღორი  
ინწუბა <sup>1)</sup> სანგორელსა მწვირისსა. განაცხადა მტერობა, და უკეთუ-  
რებასა იწვრთიდა საწოლსა ზედა თხსსა, იხილა-რა მშვიდ-მან და  
ღვთივ განბრძობილ-მან მეფე-მან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა  
განემართემის, არცა კიჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვა-  
ლად შეიპურა, ორ წელ პერობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა, მუნ  
განეხვა ცხოვრებასა.

ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, ადიდეს იერუსალიმი და ან-

<sup>1)</sup> T ანწუნბა; lis იწუბა, de წუბვე boue.



ტიოქია, შეწევნითა ღმერთისათა. მოეშენა ქუჩუანა ქართლისა, გან-  
ძლიერდა ღვთით და განამრალა სხვანი, და არცა-რა მისცა სუელტანს  
ხანაჯა, და თურქნი ვერდა-რა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ  
მთაწამომდე სამთრისა მოწევნისა ფაღანგებითა მათითა ჩამოდგინ  
ჭაგატას და დიდამს, ჩადმართ მტკვრისა, და იორის პირთა, რა-  
მეთუ მათი იყო სადგომი, კახეთს მეუბოდა კვირიკე, კაცი შეფო-  
ბისავე თანა მეფე ქმნული ვნებათა ზედა, და ჭეშმარიტი ქრისტეა-  
ნი, მოსცა უამი ღმერთ-მან მეფესა ღვთითს, წარუღო კვრიკეს ციხე  
ზედა-ზადენი. და იყო ქორნიკონი ტკა, წარემართებოდა დიდები-  
თა და გამარჯვებულებითა, რომელთა თანა ესეცა იქმნა, შოკუდა რა-  
ტი, ძე ლიხარიტისი, კაცი რ-გული და ნამდვილვე ნაშობი იქედ-  
ნესი. და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარე-  
ბელთა, რამეთუ სვა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასწემელი ცოდ-  
ვილთა ქუჩუანისათა, და არღარა-ვინ დარჩა საყოველთა მათთა მკვიდ-  
რი, რამეთუ აღიხსენა უსჯულყოება მამათა მათთა წინაშე უფლისა,  
და მამული მათი აღიდო მეფე-მან.

შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცვალა კვრიკე მეფე, და  
დასვენ კახთა მეფედ ძმის-წული კვრიკესი აღსართან, და <sup>1)</sup> რომელ-  
სა არა-რა ჭქონდეს ნიშანი მეუბობისა, არამედ იყო ცუნდრუკი-რამე,  
უსჯულყო, უმეტრად უსამართლო, და უფლად წინა-უკმო მამისა ძმი-  
სა მისისა.

მას უამს განიცადა მეფე-მან გონებისა თუალითა, და კეთი-  
ლად გულის-ხმა-ჭყო საქმე რომლითა მოიმადლებოდა ღმერთი, და  
სარგებელი დიდი იქნებოდა. (გარდაიცვალა კათალიკოზი გაბრიელ  
სათარელი, და დაჯდა კათალიკოზად იოანე <sup>2)</sup>); რამეთუ წმიდანი ეკ-  
კლესიანი, სახლნი ღვთისანი, ქვაბ-ავაზათა ქმნილ იუჩნეს, და  
უღირსთა და უწესთა, მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით, და-  
ეზურნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, არა კართა მწუემს-ებრ შესრულ-

<sup>1)</sup> Mot inutile.

<sup>2)</sup> Addit. T, entre lignes, depuis გარდაიცვალა: c'est renseig-  
nement utile, mais hors de place.

ნი, არამედ ავანტიურ-ებრ ეროდთ შესრულნი. და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქარებისკობისნი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა ღვთისათა ზურობისა, უსჯულაჲებსა წვრილდეს მათ ქვეშეთა უფელთა, და თვთ სხელითა უფლისათა, და მღუღელთა-გან გამგოდოდა უფელი უსჯულაჲება და ცოდვა, რომლითა თვალი ღვთისა, მხედველი უფელთა, ეს-ოდენ რისხვად აღძრულ იყო, ვითარცა ზემოთ სიტყვა-მან გამოაცხადა, და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღუღელასა და მკედრისა, არცა ერასა და მღუღელთ-მთავრისა, არცა მწვემისისა და სამწესოსა, ვითარცა წერილ არს: „მონა-მან რომელ-მან იცოდის ნება უფლისა თვისისა, და არა განეკრძალოს, იკვემოს დიდად“, ამათ უქმელ ესე-ვითართა დიდთა წულუჯებათა კურნებად შემოკრება კრება. ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოზნი, მღუღელ-მთავრნი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი, შემოკრიბნა წინაშე მათსა, ჟამსა და ადგილსა ჯეროანსა, და მრავალდღე გამწველილვითა, და თრიალთა შრომითა კეთილად გამოიძიეს, და უფელი ცთომილი განმარტეს, და კეთილ წესიერება უფლითურთ დააბრკვიეს, უღირსად გამოჩინებულნი გარდა მოსთხოვნეს საუდართა-გან და შეჩვენეს, დაღათუ არა ადვილ იყო ესე, რამეთუ იუჟნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შჯლნი, რამეთუ რომელთაცა უწესოდ დაიზურეს საყდრები, და მათ-წილ ჭეშმარიტნი მწვემისნი და სათნონი ღვთისანი დაადგინეს, და ძეგლი შვენიერი ჭეშმარიტისა<sup>1)</sup> სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათ-ორ-მეტთა კრებათა და ესრეთ უფელინი ნიჭითა სამეუფოთა განგზავნეს, თვთოეული სახიდ თვსად, და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით, რომლისა სანაცვლად იხილეთ თუ-რამე განაგო დმერთ-მან, გულთ-მეცნიერ-მან, უძილ-მან მტველ-მან ისრაილისა-მან. რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ხსენებულნი, შეიზურეს ჭერთა დიდებულთა, არიშიან-მან და ბარამ, დედის ძმა-მან მათ-მან ქავთარ, ბარამის ძე-მან, და მოსცეს მეფესა, და აიხვნა მეფე-მან ჭერეთი და კახეთი, და ერწუსს ქმნა.

1) T კეშმარიტი.

წუობანი დიდნი, და ხმა-განსმენილი-იგი და დიდი ძლევა, რომელ მცირედითა დაშქრითა, და განწირუდითა ერთა, დაკაცნა სულტ-ნისა-იგი სხანი ურცხუნნი, ათბაგი განძისა, და უმრავლესი კახთა-და ქვეყნისა ერთი, მტერთავე თანა გარე-მოდგომილი ჩვენ-თანა. ესე-ოდენ აღვილად და მოსწრაფედ კელთ უხსნა ღმერთ-მან საკვირველ-ბათა-მან, რომელ ერთი ზო-ასთა არა-თუ სდევდა, არამედ კელითა იზურბდა, და ორთა არა-თუ წარქცევნეს ბევრნი, არამედ სახთლი-თა თვთ მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ, ტყვედ მოჭყვანდეს იგინი უოველნი ქრისტეანენი.

ხოლო თვთ მეფე არა-თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდ-გა ოდენ სხათა თვსთა, ანუ შორით უზრახებდა ვითარცა ერთი მრავალთაგანი ვინმე, არამედ უზირატეს უოველთა თვთ წინა უვიდოდა, და ვითარცა ღომი შეუზახებდა კმითა მალღითა, და ვითა გრიგალი მიღამი იქცეოდა, თვთ გოლიათებრ მიმართებდა, თვთ მკლავითა მტკიცითა, და კმობდა აკოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამ-თხვეულთა უოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისა-გან, არა-თუ ვი-თარცა ძველსა დავითს ელიაზარის კელი კრმლისა ვადსა ოდენ და-ეწება, არამედ კრმლითა მისითა უკ-მომდინარითა, სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს, რა-ჟამს, შემდგომად ომისა, გარდავდის და სარტყელისა განხსნისა საცნაურ იქმნა. ქრწყანად-რა დაითხია ესე-ოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა შირველ გან-ხილვისა თვთ მის-გან ვჭკობებდით გამოსრულად, და მას დღესა სამ-ნი ცხენნი გამოუკლეს, და მეოთხესადა ზედა მჯდომ-მან სრულ-გო-მის დღისა ომი, და ესე მრავლისა-გან უოველად მცირედი, და წინა წარმოვსთქვით.

ესრეთ რა თვთ მზურბებლობით დაიზურა ზერეთი და კახეთი, და ნებეკად აიხვნა ციხენი და სომარენი მათნი, მზეებრ მიჭფინსა წყალბა უოველთა ზედა მკვიდრთა ქრწყანისასა. და ვინათ-გან ღმერ-თი ესრეთ განაკებდა საქმეთა დაწიანითა, და წარუმართებდა უოველ-თა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამითი-ჟამად ძლევათა საკვირველ-ბათა, და უძღოდა ძალითი-ძალად, არცა იგი უღებებდა განმრავლე-ბად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღვთისათა, არამედ სრულითა.



გულითა მსახურება, და მათ იქმნა რამეღნი ნებისა ღვთისად და-  
ამტკიცნის, და სათნო უფუილად მისდა აღუხნდის, ვითარცა აწ ითქვას,  
რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რამელიცა  
გამოიჩინა მადლ-მან საღმრთო მან, ადგილსა უფულად შეენიერსა და  
უფლითურთ უნაკლულსა, რამელსა შინა ვითარცა მეორე ცა ვარ-  
დაართხა ტაძარი უფულად-წმიდისა, და უფრესად კურთხეულისა ღვთის-  
მშობელისა, რაბამ რამე აღმატებული უფულთა წინანდელთა ქმნი-  
ლობისა, რამელი ზესთა ჰმატს შეენიერებასა უფულთასა, სივრცო-  
თა და ნივთთა სიკეთითა, და სიმრავლითა, და მოქმნელობისა შე-  
უსწორებელბობითა, რამელსა აწ თანა მოწამედ ჰქონან თვალნი უ-  
ფულთა კარციელთა მხედველთაგანი და აღავსო სიწმიდეთა მიერ ზა-  
ტიოსანთა ნაწილთა წმიდათა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამ-  
სახურებელთა უფულად დიდებულთა, და სხუათა ნივთთა ძვირად სა-  
ზოგნელთა, ამათ-თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხვასროვანთა მეუეთა  
ტახტნი და საუდარნი, სსანთლები და საკიდელნი ფერად ფერად  
იავარად მოხმულნი, და კვალად გზგუნნი, მანიაგნი და ფიალანი,  
და სასუმელნი, რამელნი მოუხვნა მეუეთა არაბეთისათა, რა-ჟამს თვთ-  
იგინიცა ტეკედ მოიფანნა, და მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღვთი-  
სა, სახსენოდ და სამადლობელოდ ძლევისა-მის საკვირველისა. და  
მუნვე შემოკრიბნა კაცნი ზატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი უ-  
ფლითა სათნობითა, არა თვსთა სამეფოთა ოდენ შინა ზოგნილნი,  
არამედ ქრესტიანისა კიდეთა, სადათცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სის-  
რულე, სულიერითა და კარციელითა სათნობებითა აღსავსეობა, იძია  
და კუალად გამოიძია, მოიფანნა და დაამკვიდრნა მას შინა მამული  
ლიპარიტეთი, უმკვიდროდ დაწმომილი <sup>1)</sup> იყო სრულიად, სხვათა  
მრავალთა და სამართლიანთა, უსარჩლეთ-მოუხვეტელთა სოფლებთა  
თანა მისცნა დედასა ღვთისასა, სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომ-  
თა-თვს, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რამელიცა აწ წინა-  
მდებარე არს უფლისა აღმოსავლისა მეორედ აერუსალიმად, სასწა-  
ულად უფლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სახლად ათი-

1) და შთამილი.



ნად, ფრად უადრეს მისსა სადმერთთა შინა, წესად კანონად უფლისა საეკლესიოისა შვენიერებისსა.

და კვლად სრფა მოიგონა საქმე, შემსგავსებულად მოწყალისა და ტკიბლისა ღვთისა, სახიერისა, კაცთ-მოუწარებისა მისისა, ადაშენა ქსენონი, ადგილსა შემსგავსებულსა და შვენიერსა, რამელსა შინა შეკრიბნა ძმანი თუთა-სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა უფუელივე საკმარი მათი, უნაკლულად და უხვებით, და განუჩინნა შესავალნი და საღვაწნი მათნი უფულადვე, ხოლო თუთ მივიდის, მიიხილნის, მოიკითხნის და ამბობს უყვნის თუთაეულსა, ჭეუფუნებდის მამებრ, სწულაობდის და ჭნატრობდის, განამკნებდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თუთა კელითა ცხედრები, სამოსლები, და საგებელი მათი, ზინაკი და უფული საკმარი მათი, მისცის თუთაეულსა რქროდ კმა-საუფონი და განაკრძალნის ზედა-მდგომელნი მათნი, განაგის უფული საქმე მათი დიდად შვენიერად და ღვთისმსახურებით.

ხოლო ვიდრე ამად უამადმდე ქალაქი ტფილისი, რუს-თავი, სომხითი და უფული სამშვილდე, და აკარანი, თურქთა აქვნიდეს. ხოლო თრიალეთნი და კლდე-კარნი ჭქონდეს თევდორეს, ჭეონდიდლისა დის-წულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მუფოსა, რამეთუ მეფე, რა კარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას უამსა მეფე კარდავიდა იმერთს, და შეკრბეს გიორგის ჭეონდიდელსა, მწიგნობართ უხუცესსა წინაშე, თევდორე, აბულეთი და იოანე ბრბელი, და სიმარჯვით მოიხარეს სამშვილდე, მაშინ იქმნა დიდი-სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოთა, ცნეს-რა თურქთა ადებდა სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტოვნეს, და დამე იფლტოდეს, და ჩვენ-თანა მოითვალნეს იგინი, რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთველთა ჩამოარჩიან თურქთა სომხითი, უფულითა ფალანგებითა მათითა, ჩამოდგიან განიანთა და ზირსა მტკვრისსა, ტფილისით-გან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის ზირთა, და უფულთა ამათ შვენიერთა ადგილთა საზამთროთა, რამელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისსა, ითიბების თივა, და აქვს შემს და წყალი უხვებით,

და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვით-ფერი, და საშვებელი ყოველი, ამათ აღგილთა შინა დადვიან სარგებითა. ცხენისა, ცხვრისა, ჯიშისა და აქლეშებისა მათისა არა იყო რიცხვი, და აქვდათ ცხოვრება სანატრელი, ნადირობდიან, განისვენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლუქევანება მათ-თანა. თვითა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხელთ ჩვენთა ნაპირთა არბევდიან. ტყეითა სავსეთა. გაზაფხულისა თანა იწყიან აღმართ სლვად, მათთა სამხითისათა და არარტისათა, ეგრეთვე ზაფხულისცა ჭქონდისთ შვება და განსვენება, თივათა და ველთა შვენირთა, წყაროთა და აღგილთა მწვანვილოვანთა, და ესოდენ დიდ იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელი ჭსტქჳამცა: „თუ ყოველი თურქობა, ყოვლისა ქჳეჳანისა, აქა<sup>1)</sup> არსო.“ და არავის-გან მოსაგონელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა-თუ თვით სულტანისა-გან, ოდეს სამშვილდა და ძერხა აღიღეს, ქორცნიკონი იყო ტლ.

და მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ორ ასი ათ-ასი, უგრძნეულად, სიძარჯვითა. ხელთ მეფე დგა ნაჭარმაგვეს, ტაძრეულითა, ჭსცხა-რა მოსლვა მათი მიმწურითურთ თრიალეთს, დამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათ-ას ხუთ ასითა, რამეთუ ეს-ოდენი დახვდეს მას წინაშე, ცის-კარს მოვიდეს თურქნი, იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევნითა დვთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სივლტოლად, ესე-ოდენ ზარ-განკდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა-თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა ჰატოვ-სცეს ფერკთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივნენ თვითა ქვეყანათა, ხელთ ესე-ვითარსა საკვირველსა სივლტოლასა მათსა თვით მეფე და სხვისი მისნი ეს-ოდენ ურწმუნო იქმნეს, ვიდრემდის არა-ვინ ჭსდევნა ყოვლად, რამეთუ ხვადისა ომი ეგონა, წარიდო გოგრვი ჭყონდიდელ-მან რუს-თავიცა, მეფის მუხნარს ყოფასა, ქორცნიკონი იყო ტლე, რომლისა-თვცა დიდად წყენა შეკქმნა თურქთა, და რიღობა საზამთროთა აღგილთა

1) T იგი.

დგომისა, მომისტვარნის მეფე-მან რამელთა მოსრფა კეკობდის, რამეთუ უგრძნეულად დაესხის და მოაწუვიდნის, და ესე არა ერთ, გინა ორ, ანუ სამ, არამედ მრავალ-გზის, ვითარცა აწ ერთი ითქვას, რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი სარგებითა, ვინათ-გან ზამთრისა სიფიცხესა და მათათა სიმაგრესა მიენდვნეს. ხალხ მეფე-მან მოიკელაფნა ესრეთ, რამეთუ სზათა ქართლისათა მზაობა <sup>1)</sup> უბრძანა, და თვთ ქუთათისს გარდვიდა, რამელითა უეჭველ ყვნა ივინი. და თთვესა თებერვალსა <sup>2)</sup> აცნობა ქართულთა და მესხთა რათა კლარჯეთს დახვდენ ზემანსა, და თვთ შიდითა სზითა ხუფითთ ჭორახის ზირი წარგლო, შეკრბეს ერთად, უგრძნეულად დაესხნეს მათ-ზედა, უშიშად. გულ-დებითა, მსხდომარეთა ბასიანამდე, და მთად კარნი-ფორისა. რამეთუ ქორახნიკონი იყო ტღვ, მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვი, და ადიდეს დედა-წუდი მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლეები და ყოველი ნაქანები მათი, რამელითა ადივსო ყოველი სამეფომისი ყოველითა კეთილითა, ამასვე წელსა, ასული თვისი კატაჲ გაგზავნა საბერძნეთს, სძლად ბერძენთა მეფისა. რამეთუ ზირველ ამისსა ზირ-მშო ასული თვისი, თამარი, გაგზავნა დედოფლად შარვანისა, რამეთუ ვითარცა ორნი მნათობნი. ერთი აღმოსავლეთს, ერთი დასავლეთს, ცისკრფან ჭყოფდენ სიფეროსს, მამისა-გან მიმდებულნი მზებრთა შარვანდედთან <sup>3)</sup>.

და მეორესა წელსა დაიზურნა გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა, და ადიდო ციხე გიში, და გაგზავნა ძე თვისი დიმიტრი შარვანს, სზითა ძლიერითა, ლაშქრად. ხალხ მუნ ქმნა ომნი საკვირველნი, რამელითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე

<sup>1)</sup> Dans les Mits-T, R, il y avait მზაობა, mais le 1-er a été effacé: le mien porte la même leçon, sans correction; cf. les notes p. 124, 200, qui prouvent la commune origine des M-ss.

<sup>2)</sup> Cette leçon fautive a prévalu dans l'usage ordinaire.

<sup>3)</sup> ამისა უამთა მოვიდნენ მთარგმნებულნი წიგნთანი ეფრემ მკირე და თეოფილე, და არსენ, იყალთოული, და იოვანე ტაიჭის ძე. ქრისტეს-აქეთ ქორახნიკონს ჩროდ, Note. R.



ქალაქობრი, და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა, სა-  
ვსე ალაფითა და ტყვიითა ურიცხვითა.

ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუკით,  
წარსლვად რაკისი ზირსა, და ზატაკი კარდაიკადა ნაკიდურს. მუნ  
მოართვეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯაფახეთს თურქთა-გან მოკუდი-  
სა, და ამის-თჳს უშლიდეს დიდებულნი მას უამსა წარსვლად, და  
უოფლად არა მოისმინა, არამედ დაესხა თურქთა: რაჳსის ზირსა  
მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი ურიცხვი, წარმოიღო ტყვე და  
ალაფი ურიცხვი, ამასვე წელსა აღიღო სომხთისა ციხე-ქალაქი  
ლორე, და მასვე წელსა, ივლისსა, აღიხვნა აკარანი, მეორესა დღე-  
სა, ცის-კარსა. რამეთუ ზირველცა ესევე ციხე აუღო ბაკრატს, ზა-  
ზასა მისსა, კარნა სამ თვე ბრძოლითა, ამასვე აგვისტოსა მოკვდა  
სულტანი მალიქი, მალიქ-შას ძე, დე ალექსი კომნინოს<sup>1)</sup>, ბერძენ-  
თა მეფე. და ვერა სცნეს ერთ-მან მეორისა სიკუდილი, ქორანიკო-  
ნი იყო ტლ<sup>2)</sup>.

ჭხედვიდა-რა მეფე დავით ესე-ოდენთა ზეგარდმოთა ღვთისა  
მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯვებათა თჳსთა, და  
რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქვეყანათა, ქალაქთა და ცი-  
ხეთა, რამეთუ არა იყო ესე-ოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა  
შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამ-  
ჭირველად, და კვალად თჳს-თანა მეოფელად, და მოლასქრედმცა კმა  
იეფნეს დაუცხრომელად, და სამარადისოსა მისსა მიმოსლვასა, ზამ-  
თარ და ზაფხულ კანადა სადამე ლაშქრობასა. ამის-თჳს შემოიკრიბ-  
ნა გონება, კეთილად და გონიერად, გამკონე, ვითარცა დავით, სუ-  
ლისა მიერ წმიდისა, აღიღო მადლად თაფი თჳსი და მიმოსლყო  
თვალი გონებისა თჳსისა, კანიცადა კეთილად და კანიზრანსა სამე-  
ფოთა ცნობითა, რომელი არა კმა იუჳნეს მეფობისა მისისანი, თანა

<sup>1)</sup> Ce mot ne se trouve que dans mon M-it.

<sup>2)</sup> Ce qui prouve la vérité de mes remarques sur la date  
ტზ p. 198, c'est qu'ici il est écrit dans T. რზზ, qui ne peut  
se rendre que par ტლ.



მიუღლად კრთომათა და წადიერებათა სულისა თვისისათა. და მგზავ-  
სად ალექსანდრესსა ჭქმნა ამანცა, სულთ-ითქუნა. რამეთუ ითქმის  
მის-თვს ვითარმედ ფილესოფოს-მან ვინ ჭქქუა მას, ვითარმედ  
„არიანო მრავალნი და ურიცხუნნი სოფელნი, რომელთა არცა-თუ ს-  
ხელი გასმიეს შენ“. და მან სულთ-ითქუნა და თქვა: „უკეთუ და-  
მიშთეს ესენი, რაჲ იუფს მშერობელობა ჩემი“. ამის-თვსცა ამან  
მეორე ალექსანდრე განიზრახა, სიფრცითა გონებისათა, რამეთუ სხვებრ  
არა იუფ ღონე, უწყოდა კეთილად ვიფხაუთა ნათესავისა სიმრავლე და  
სიმკნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსლვისა, სიფიცხე მიმართებისა,  
ადვილად დასამჭირველობა და უფაღითურთ მიმზავებლობა ნებისა-  
თვისისა, და ამით თანა უადვილეს იუქნეს მოსვლად მახლობელობი-  
თაცა და უზოგარებითა, და რამეთუ ზირველ მრავალთა წელთასა,  
მიერ მოიყვანა სანატრელი და უფლად განთქმული სიკეთითა გუ-  
რანდუხტ დედოფალი, შვილი ვიფხაუთა უმთავრესისა ათრაქა შარა-  
ღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვსად და დედოფლად უფლისა  
საქართველსა. ამის-თვსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი, და მო-  
უწოდა ვიფხაუთა და სიმამრსა თვისსა, ხელთ მათ სიხარულით მიი-  
თვალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოფსთა-გან. ამის-თვსცა  
აიძულა მეფე-მან და ბრძანა წარსვლად ოფსეთს. და სიტყვასავე თანა  
წარემართა, და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი, მწიგნობარ-  
თა-უხუცესი თვისი, სრული უფაღითა სიკეთითა, სულისა და კორც-  
თასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახნი, სვიანი, ფრთხი-  
ლი, თანა-ადზრდილი ზატრონთა, და თანა-განკაფული უფელთა გზა-  
თა, და საქმეთა და ღვაწლთა მისთა, შევიდეს ოფსეთს, და მო-  
გებნეს მეფენი ოფსეთისანი, და უფაღნი მთავარნი მათნი, და ვი-  
თარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა, აიხვნეს მძევალნი ორთა-განვე,  
ოფსთა და ვიფხაუთა, და ესრეთ ადვილად შეაკრთნა ორნივე ნათე-  
სავნი, და ჭყო შორის მათსა მშვიდობა და სიუჭარული, ვითარცა  
ძმათა, აიხვნა ციხენი დარიელისა, და უფაღლთა კართა ოფსეთისათა  
და კავკასიისა მთისათანი, და შექმნა გზა მშვიდობის, ვიფხაუთა-თვს,  
და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი  
თვისნი, და არცა ცუდად დაშვრა არცა უსაქმოდ მათი გამოყვანება,

აკამედ მათითა კელითა მოსკა სრულიად სხარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუჭყანისათა, და მათითა თანა ყოლითა ქმნნა სჯქმენი დაურწმუნებულნი, ვითარცა ითქვას წად-მართ, ხოლო მამინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდე-ლი, და თავ-ადგა სიყრმითგანთა ჰატრონი მსახურებათა-ჯს<sup>1)</sup>, და ჰატრივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა, და მუნ დაემარ-ხა, რამელი იგლოვა ყოველ-მან სამეფო-მან, და თვთ მეფე-მან, ვი-თარცა მამა, შემოსითა შავისათა, რამეოც დდე, ვიდრემდის იშვა ვასტანგ, რამლისა ხარებითა დასნა გლოვა. ხოლო ვიფხაენი და-ყენა ადგილთა მათთა<sup>2)</sup> მარჯვეთა, დედა-წულითა მათითა, რამელ-თა თანა იყო წეობად განმავალნი, რჩეულნი, რ-მაცი ათ-ასი, ესე-ნი განასრულნა ცხენებითა და საჭურველებითა, და კვალად მონანი რამელ ჰევეს, რჩეულნი და განსწავლულნი დვაწლსა, ვითარ ხუთი ათ-ასი კაცი, ყოველნი ქრისტეანე ქმნილნი, მისანდონი და გამოც-დილნი სიმენითა. და თვთ ვიფხაენიცა უმრავლესნი ქრისტეანე იქმ-ნებოდეს დღითი-დდე, და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრის-ტესა, ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყვნა გვარად გვარად, და დაუდგინნა სხასაღარნი და მმართველებნი, და ეკრეთვე თვისისა სამეფოსა სხანი რჩეულნი და მკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და ჰირ-შეუქცეველნი, და საშუალ მათსა თვთ იგი უმსგავსო სხასვეტი და წინა-მბრძოლი, მიმსგავსებული ძველისა ქაიხოსროსა-თვს მათხრო-ბილთა, წინა უძღოდა, და იწყო რბევად სხარსეთისა, მარჯანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშვრებოდა, არცა მოეწეინებოდა, არამედ ყამიერად და წესიერად აღაშქრებდა მათ. ჰმართვედა და გა-ნაკებდა, მსგავსად მისსა, დიდ-გონებითა, და ვინდამცა წინა-ად-მდგომი იყო მისი, ანუ მიმმართი ომისა მის წინაჲ.

რამეთუ დაღათუ წერილ-მან ფრთოვანს ვეფხვსა მიამსგავსა.

<sup>1)</sup> Ce membre de phrase, très fautif, se lit ainsi partout. Il faudrait, ce semble: თავიდ-გან სიყრმის-გან ჰატრონის მსახურებასა შინა მყოფე.

<sup>2)</sup> Lis; მათ.

მაკედონელი-იგი, სიფიციხითა მიმართველობისა-თჳს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქრისტესანათა შინა, და ჭრელად მრავალ-ფერობისა-თჳს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩვენი ესე გზგზნისანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იუო უამთა შემდგომად, არამედ არა საქმიანთა, არცა განზრახვითა, არცა სიმკნითა უმცირედ, და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე, და რა-ოდენ სწუთოთა და კორციელთა შინა იგი მისთა სწოროთა და მის-გან მის უამისათა უოველთა უმაღლეს და უზესთაეს იუო, ეგე-ოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა, კორციელთავე თანა მისთა ზირველთა უოველთა ჭმატა, რამეთუ არა ჭსცნა ძალი თვალთა, არცა ჭრული წამთა, არცა განსვენება კორცთა თჳსთა, არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა კორცთასა, არა საჭმელ-სასმელთა, არცა სიმღერა სიღოდათა, და რა-ოდენ არა-რა შემკრველთა კორცთა და გონებისთა, გარნა საღმრთოთა და სასუელიეროთა უოველთა დასრულებად და უღებებად მზიდველთა ნებისთა, და განიცადეთდა თხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალ-გზის მცირედი მეგულები თქმად.

რამეთუ აქუნდეს ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განკებულე-ბითა გარდავიდის აფხაზეთად, და ჩამოიტყუფნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა, ზირთა მტკუნრისთა, რამეთუ მათნიცა მხტოვარნი ზედა ადგიან მეფესა, და იკვლევდიან გზათა მისთა, გარდავიდა მეფე გეგუთს, და მიერ სუთასს, და ამით გულ-პერობილ უფნა იგინი. ქორცილნი იუო ტმ: ხოლო მათ ცნეს-რა სიშორე მისი, ჩამოღკეს ბოტოკასს, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს, და არა ჭრულად მეფესა, არამედ გარდამოფრინა ფებერვალსა თოთხმეტსა, და უცნაურად დაესხა მათ-ზედა, და ძლით-ვინმე შეესწრა ცხენ-ზედა, და გარდაიხვეწნეს. აღიღეს ტყვე, და აღათი ურიცხვი. მოვიდეს დანუკს, და მასვე შვიდეულსა, ზირ-მარხვასა დღესა, აღიღო შარვანისა ქალაქი უბადა, და აღავსო სამეფო თჳსი ოქროთა და ვეცხლითა, და უოველითა სიმდიდროთა, და წარმოვიდა ქართლს, და მიეს შეიკრიბა სპა და ჩავიდა შარვანს, მანისსა შვიდსა, არაზია-ლიუა-



თათ<sup>1)</sup> ქურდევანამდე და შიშტლანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს.

მათვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყვიდნეს შარვანელნი. თთვეს ნემბეკსა, წარვიდა მეფე აშორნას, და დაესხნეს თურქმანთა, მოსრნა და იავარ უვნა, წარმოიღო ურიცხვი. ჩამოვლო მკზავრად, და დაესხა სეფიკელამეჯს: თურქმანთავე, და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა, ესე ერთისა წლისად.

მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭვინტამდე, და განაგნა საქმენი მანდაურნი, ღირსნი წყალბისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და სწავრთნა, რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიალი: ესე-რს ცნეს თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს ზირსა მტკვრისსა, კარნა ლომსა<sup>2)</sup> არა ჭრცხვენოდა, არცა დამხვრწველთაგანი რა იმჭირვიდა, არცა ჭრულდა ომისა-თჳს. წარმოვიდა მსწრათელ აფხაზეთით, თოვლთა სსშინელთა, კარდაათხრეგინა მთა ღიხისა, სადა კარდანაკვეთსა თოვლისსა აქუნდა სიმაღლე მკარი სსში. დახვდა მზად სზა მისი, ზირველ ჭამბავისა ქართლისა ცნობადმდე, დაესხა სულტანს და ალაფსო ლაშქარ-მან მთით მტკუნამდე, და გაგათ ბერდუჯამდე. და მოსრეს ზირითა მახვილისათა, და რამეღ არა დაუშათ მთხრობი ჭამბავისა. ქორცნიკონი იყო ტმა, თთუზ იყო მარტი.

ხალე ვითარცა მოიწია გაზაფხული, გადიდნა მტკვარნი ფრიალ, რამეღ ნადინები მისი ვერდა-რს იტევდა. ამისითა მინდობითა ჩადგენ თურქმანნი ბარდავს, გულ-დებით. მაშინ მონახნა მეფე-მან იგინიცა, და ალონს მტკვარსა გაუცურდა ეიფხაუითა, და უჭაზრავს-მას წყალსა, და მოსრნა თურქნი, არაბია, ბარდავი, და დაუო ორი დღე, და და ნებეკად მოვიდა შინა, სავსე ალაფითა. თთვე იყო ივნისი.

ამათ ესე ვითართა ჭირთა-გან შეწივრებულნი თურქმანნი, და

1) არბილაფთ უაფთ; note au M-it R.

2) T, R, ჰომსა. qui ne donne pas de sens logique.



კვალად ვაჭარნი, კანძელ-ტოვილელ-და დმანელნი, წარვიდეს სულ-  
ტანსა წინაშე, და ყოველსა სხარსეთსა, შეიღებნეს შავად, რომელ-  
თამე ჰიარნი, და რომელთამე კელები, და რომელნიმე სრულიად, და  
ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭიარნი მოწვევნულნი მათ-ზედა, რომელ-  
თა აღძრნეს წყალობად თვსად, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის  
მათსა. მაშინ სულტან-მან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს,  
სადაჲის ძესა, და მისცა ძე თვსი მალაქი და ყოველი ძალი მისი,  
და აჩინა სხასალარად ელდაზი, ძე არდუსისი, კაცნი დაჭმანი და  
მრავალ-ღონე, და უბრძანა თურქმანობასა სადალაცა-ვინ იყო, დამას-  
კოთ და ჭალაბით-გან აღმომართ, ყოველსა მკედრობათ შემძლებელ-  
სა. ამათ-თანა ათაბაგსა კანძისსა, მისითა ძალითა, და ყოველთა  
სომხითისათა ამირათა. ქორანიკონი იყო ტმა.

შეკრბნეს ესე ყოველნი, შეითქვნეს, შეიმტკიცნეს, სიმრავლი-  
თა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვის-  
ტოსა ათრვამეტსა მოვიდა თრიალეთს, მანგლისს და დიდ-გორთა,  
რომელ თვთ ფერკთა ზედა ვერა ეტეოდის ამათ ადგილთა. ხალხ  
მეფე-მან დავით, უშიშ-მან და ყოვლად უძრავ-მან გულითა, და თუ  
ვითარ წინა განაწყო სხა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შეე-  
ნიერად და ღონიერად ჰყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და  
გამოცდილებით, და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვსნი  
სხანი დაიცვნა უვნებლად, ამათ ყოველთა თვს გგონებ რომელ ყო-  
ველთა ბრძენთა სოფლისათა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედ-  
მიწევნით ყოველსავე.

რამეთუ ჰირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა,  
რამეთუ კელი მალღისა შეეწოდა, და ძალი ზეკარდამო ჰფარვიდა  
მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად, და ყოველთა სა-  
ხილველად წინა-უძღოდა მას, და მკლავითა თვსითა მოსრვიდა ზედა-  
მოწვევნულთა უსჯულათ-მათ წარმართთა. რომელ თვთ-იგი უსჯუ-  
ლონი და უმეტარნი მოღმართ აღიარებდეს, და მოგვითხრობდეს სა-  
სწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და ვითარითა ღონითა  
მოსრნა სახელგანნი-იგი მბრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა  
ვითარ სიმარჯვითა და განკრძალულად ჰსდევნა და მოსრნა, რომლი-

თა ადივსნეს ველები, მათნი და ღველები, მძორებითა. ხოლო სხანი  
ჩვენნი, და უფროსად უფველები სამეფო, ადივსო ოქროთა და ვეც-  
ხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა,  
სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა  
თვით-სახეთა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა, ტურფათა და  
სანადიმითათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, რა-ოდენ-მან რუ-  
კა-მან და მეფან-მან დაიტოოს აღწერად, და რამეთუ გვლებთა იხი-  
ლემცა. ოდეს არანთა მეფენი მოჰყვანდეს ტეგედ. და სხუათა გო-  
ლიათთა-თვს რადდა-რამცა გვინდოდა თქმად.

ხოლო ამათ რა თხრობად მოვიწიე, ვაგებისა დიკსად შევრაც-  
ხენ დიდნი-იგი სახელოვანნი გამომეტეველები, ვიტევი უკვე უში-  
როზს, არისტოტელის, ელინთა, ხოლო იოსიზოს ებრაელსა, რა-  
მელთაგან-მან ერთ-მან ტროადელთა აქილეველთა-მან შეამკუნა თხრო-  
ბანი. თუ ვითარ აღამენონ, და ზარყამო ანუ აქიველი, და ეპტონ,  
მერმეცა უდისეოს და ფირესტე, ეკვეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა.  
და მეორე-მან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი და სიმკენი,  
და ძლევა შემოსილებანი. ხოლო მესამე-მან ვესპასიანე ტიტოას-  
მიერნი <sup>1)</sup> მეტომეთა თვსთა ზარნი, ჭირნი, მისცნა აღწერასა, და  
ვინათ-გან ამათ ნივთნი საქმეთანი არა ჰქონდეს კმად მისათხრობე-  
ლად, ამის-თვსცა მის კელთვებისა რიტორებისთა განაგრცელეს,  
ვითარცა იტევის თვთ სადამე ალექსანდრელი: „არა დიდ იყავ აქი-  
ველი, არამედ დიდთა მიემთხვია მაქებელსა უშიროზ.“ რამეთუ ოც  
და რვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა, ვერა-რა დიკ-  
სი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესე-ოდენტა მიმართ წი-  
ნა-განწყობა სამ უამამდი იყო, და ვერცა ზირველსა ომსა შეუძლეს  
წინა-დადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად  
საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისა-ებრ  
რიტორებისა მსგავსად, და მაშინდამცა დიკს ქმნილ იყუნეს ჯერო-  
ვანსა ქებასა, და ესენი ესე-ოდენ.

<sup>1)</sup> Tous les M-ss portent ნეტიტოას; les autres noms propres sont plus ou moins mal coupés ou réunis ensemble.

ხოლო მეორესა წელსა აღიღო მეფე-მან ქალაქი ტფილისი; ზირველსავე ომისა, ოთხ ას წელ ქონებული სხარსთა, და დაუმკვიდრა მკლთა თჳსთა საჭურჭლედ, და სახლად თჳსად საუკუნოდ. ქონიკონი იყო ტმბ.

და მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიზურა შარვაშა, აიღო შამახია, და მოუგზავნა მოციქული მეფესა წინაშე, და მოუწერა წიგნი, და მორჭქვა: ვითარმედ „შენ ტყეთა მეფე ხარ, და ვერა-ოდეს გამოხვალ ვეღთა, ხოლო მე ესე-რა შარვაშა შევიზურ კელთა, ხარაჯასა ვთხოვ, შენ თუ გენებოს, ძღვენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუნდა სამალაგთათ გამოვედ და მნახე.“ ხოლო ესმა-რა ესე მეფესა, მსწრაფლ კმა უფო უოველთა სხათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა უოველნი სამეფოსა მისისანი, და წარემართა სულტანსა ზედა, და ყიფჩაყნი ოდენ ათვალულ იქმნეს მასინ, და იყო შემბმელი ორ-მოც და ათი ათ-ასი, და ეუწყა-რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი, და სიმრავლე სხათა მისთა, და განჭკრთა, აიურა ველთათ სდა დგა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად, და გარემოზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა, და სხვით-კერძო ზღუდითა შამახიისათა. ხოლო ცნა-რა ესე მეფე-მან, არღა-რა ჯერ-უნდა ზედა-მისლვა მელტოლვარისა, არამედ დავარდა მიწასა ზედა, და მადლობა შესწირა ღვთისსა სახიერისა და კაცთ-მოუწყარისა, და ადგილობასა დადგა.

მასინ სულტან-მან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღვენთა და მუდარითთა შეთვლილობათა, ვითარცა მონა-მან ჭირვეულ-მან, არღა ძღვენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამელტოლვაროდ, ფრიაღრამე სიმდაბლით, და არა სულტანურად, შეიწკრებულ-მან შიმშილითა და წყურვილითა მრავალ დდე, მასვე დდესა სულტანისა წინაშე მიძავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა, ვითარ ოთხი ათ-ასი კაცი, და იგი ოდენ მარტოდ, მეოტი, ძლით მივიდა სულტანისა წინაშე, იხილა-რა ესე სულტან-მან, მასვე დამესა განიზარა, და სახდუნით მეოტი. სხვით გზით წარვიდა სოფლად თჳსად, და ესრეთ ძღვეა-შემოსილი და მმადლობელი ღვთისა, შემოიქცა მეფე.



და მცირედთა დღეთა განისვენა ამთენს<sup>1)</sup> - და შეერკეს თთუჭ-  
სა, იუნისსა, კვალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი. სხელი  
თავადი შარვანისა<sup>2)</sup>, სიცხეთა მათ სსშინელთა, მოიერთო შარვანი,  
და ადავსნა კეთილითა უფუელნი მოიწილნი ბრძანებათა მისთანი.  
წარმოვიდა ქართლად. ხელთ სთუელთა გარდავიდა გეგუთს, ინადი-  
რა, განისვენა, განაგო მანდაური უფუელი, და მარტსა გარდავიდა  
ქართლად. და აღიღო ქალაქი დმანისი, და აპრილსა დაესხნეს შა-  
ბურანს<sup>3)</sup>, დარუბანდელსა, და მოსწუვიდნეს ქურდნი, ლეკნი და უიფ-  
უაჩნი დარუბანდელისანი, და აღიხვნეს ციხენი დასანნი და ხოზაან-  
დი, და მიმდგომი მათი ქუჭყანსა, და მუის აღისრბოლა<sup>4)</sup>, ვითარცა  
არწიფ-მან, და მაისსა აღიხვნეს ციხენი სომხითისანი, გაცნი, ტერო-  
ნაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანსგომნი და ტალინჯაქარი, და  
იუნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფო-  
ლა, ბასიანნი, სპერამდინ, და რატა ჭებოვა თურქმანნი, მოსრა და  
ტუვეე ჭეო, ჩამოვლო ბუიათა-უური და დაწვნა ოლთისნი, და მოვი-  
და თრიალეთს, დიდითა გამარჯვებითა, და მცირედნი დღენი შუა-  
გამოვდეს, და განიყარა ლაშქარი თვს თვსად.

და აგვისტოსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადნი,  
და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა, ბოყანას წუაროთა ზე-  
და მდგომისა, და მსწრათელ წიგნები წუევისა წარსტა უფუელთა, და  
მესამესა დღესა სამ-ოცი ათ ასი მკედარი წინაშე უდგა, წარემართა,  
და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა, აღიღო ქალაქი ანისი, და  
ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქვეყანანი ანისისანი,  
და წარმოიფუნა ბუელსვარ, რვათა ძეთა მისთა თანა, და მკევალთა  
და სძალთა, და ჩაგზავნა აფხაზეთს, და ანისისა მცველად დაუტოვ-  
ნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად, და მცირედთა დღე-

1) J'ignore ce que c'est que ce mot, et si c'est un nom propre de lieu.

2) Je crois qu'il faut lire შერვანშისა.

3) T ბაბურანს.

4) T ამსრბოლა.



თა მოუსვენა სხათა თქსთა, და მერმე წარემართა შარვანს, და აღი-  
ლო ქალაქი შამახია, და ციხე ბიგრიტი, სრულიად უოველი შარვა-  
ნი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჭყრნი  
და კახნი, და გამგებელად და ზედა-მხედველად უოველთა საქმეთა  
მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თქსი სჯომნ, ჭყონდიდელი  
მთავარ-ეპისკოპოსი, მაშინ ბედოელ-ალავერდელი, მიმსგავსებულ  
გიორგი, დედის ძმისა თქსისა, კაცი უოვლითურთ სრული და ბრძე-  
ნი, და განაკო მეფე-მან უოველი საქმე შარვანისა, ადავსნა კეთი-  
ლითა საბოძვრითა ქურდნი, ლეკნი და თათარნი, მოვიდა ქართლად,  
და უიფხაუთა თქსთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი,  
კაცნი ზედა-მდგომნი მათნი, და განაკო უოველი საქმე ქართლისა,  
სომხითისა და ანისა<sup>1)</sup>, და ეგუღუებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა სა-  
ქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათ-გან არა-ვინ წინა-აღუდგა  
მას, და რამეთუ თვთ სულტანი მუნ სადა იყო ძრწოდა შიშისა-გან  
მისისა, და არცა თვთ ძველად ქანებულთა ქალაქთა და ქუჩუანათა,  
გონებდა თქსად ქანებდა. არამედ რა-ოდენცა შორს იყო, ეგრეცა  
უოცნებოდა მძინარესა შიში, და მღვიძარესა სიკუდილი, ამის-თქსცა  
ზედას-ზედა წარმოაფუენდის მოციქულთა, ძღვენთა, დამშვიდებად  
პირსა მისსა, და რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურ-  
ფანი, მრავალ-ფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად  
საზოფნელნი, და ეძიებენ მშვიდობასა და სიუფარულსა, და უიფხაუთა-  
გან არა რბევასა. ამის-თქსცა არა-რას მიხედვიდის წარსაკებულთა სი-  
მრავლესა, ოდენმცა მუნ თვთ სადა იუვის იზოვის მშვიდობა, და  
სიცოცხლე თავისა თქსისა, და ვჭკონებ ვითარმედ მამათა და ხანათა-  
გან წარლებულნი ქუჩუანანი, ტუვენი და სიმდიდრენი, მრავალ წი-  
ლად უემოიზლნა მან მკნე-მან, და დამშვიდნა ქუჩუანანი, ადავსო  
და გარდაეცა უოვლითა კეთილითა, განავსო და ადაშენა უოველი  
ოკერ ქმნილი, და გარდაემატა უოველთა ჟამთა მშვიდობითა და სი-  
მდიდრითა სამეფო ჩვენი, ნაცვლად გარდასრულთა ოკრებათასა ესე-

1) Lis, ანისისა.

ვითარნი უკუშ<sup>ლ</sup> არიან მეფობრივთა და<sup>1</sup>) მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღვაწლთა, ძლევათა და წარმართებულებათა, და ზურობათა, და ახრებათა დიდთა-მათ, და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მთხრობანი, და საქმენი, რომელნი მან ქმნა და აღასრულნა, რომელნი ჩვენ მცირედითა და უოფლად კინითა სიტყვითა წარმოგვიჩინიან, დიდთა-მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთა-გან, და ბრჭალთა-გან ლომსა, და თესვისა, მცირისა უოფლისა ქსოვილისა ვითარებასა, საცნაურ უოფლად ვმეცადინებთ; ვითარცა აჩრდილისა-გან კაცსა, რომელნი ესე შეუძლებელ არიან უოფლად:

ხოლო კარციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისა-გან უკეთუ ვიქმეთუ ჰგონონ, ვითარმედ რადღამცა მოეცალა საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა მიერ მიხედვადცა და მოგონებად, არა-თუ ქმნად, ვინათ-გან ფრიადცა კმა არიან ესენი ერთისა კარცთა შინა მეოფისა კაცისა ქმნადცა და წარმართებად, და თუ სადათ ზოგა სამეფო თვისი სიმდაბლედ შთასრული, და თუ სადა სიმაღლედ აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი, და ძლეულნი ვითა მძლედ გამაჩინნა, ამათნი მგონებულნი, ნუ უკუშ<sup>ლ</sup> არა იბრალნენ, არამედ ეუწევენ მათ ვითარმედ, უკეთუ ამათ ზირთა-თვს ვინმე გამოიძიოს, და ზედამიწევნით ვინ ცნობა ინებოს, კინიდა და ესე კარციელნი საქმენი წარმოეჭმულნი ფრიად უნდო და არა-რად ზოგნეს, ვითარცა ნამდვილვე მცირედი და სასწუთონი და დგომადთა-მათ-თანა მტკიცეთა და საუკუნოდ ღმერთ-მეოფელთა მისთა საქმეთა, რომელთა-იგი უმეტეს ამათსა მათ მოქმედებდა, და უსასწრაფოეს აქუნდა, რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტკვრისა-გან, ჩვენცა მივცეთ თხრობასა, იტყვის სოლომონ: „დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნე“, ხოლო დავითი, მამა დავითისა, „დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისა“<sup>2</sup>). მოიგო სიურბით-გან თვისით დავით, და ჰსასკეს მისსა თანა აღორძინა<sup>2</sup>), და ჟამისა თვისსა ესე-ვითარნი ნაყოფნი გამოიხვნა, რომლითა ორ-კერძოვე ცხოვრება თვისი

1) Ce mot me parait superflui.

2) T აღორძინდა.

განაშეგნა, რომლითა შეამკვნა საქმენი თჳსნი, რომლითა განაგნა კარციელნი და წარმართნა სულიერნი.

ხოლო ისმენდი <sup>1)</sup> თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა ჭზოვა შიში უფლისა, შიშისად ღვთისად საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიტკბნა, რა-ოდენნი ჭზოვნა კარდამოღებულად ენასა ქართუჭლთასა, სხუათა ენათა-გან, ძველნი და ახალნი, ვითარ-ცა სხვა-მან ჰტოლემეოს, ამას-ზედა ოდენ სახოვან ქმნილ-მან, და ესე-ოდენ შეიუფარნა და შეითჳსნა, რომელ ჭსტყვამცა თუ მათ შინა ცხოველი არს, და მათ შინა იძრვის. იგინი იუჳნეს მისსა საზრდელ, უოველთა <sup>2)</sup> გემოვან, და სასმელ ტკბილ და საწადელ. იგინი შეგ-ბად, განცხრომა საწვრთელ და სარკებელ, დღე და ღამე მიმოსლვა-თა შინა, მიმდეთა ლაშქრობათა, მოუწუენელთა შრომათა, განუსკენე-ბელთა წიგნები ეტჳრთა, სიმრავლესა ჯოროთა და აქლემთასა, და სა-და კარდაჭკდის ჭუნესა ჰირველ უოველისა წიგნნი მოაქვნდიან კელი-თა, და არა დააცადის კითხუა ვიდრე არა დაშვრის. ხოლო შემდგო-მად სერობისა, ნაცვლად ძილისა ანუ სხვისა რაჲსამე საქმისა კვა-ლად კითხვა წიგნთა, და რა-ჟამს თჳაღნი დაშვრიან, სმენილნი ანა-ცვალნის სადა არა <sup>3)</sup> გარეწარად, არამედ ფრიადცა ფრთხილად ისმენნ-წინაშე თჳსსა მკითხველისასა, გამოეძიებნ, ჭკითხავნ და უფროსდა თჳთ-განმარტებნ ძალსა და სიღრმესა მათსა, და უსაკვირველეს არს ესე-უწუით უოველთა თუ სასწრაფო არს უოველთადა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებნ შედგომილსა თჳსსა და წარტუეენილ ჭეოფს. და ნადირობასა შინა არა-რასა სხვასა გარნა განხილვასა და დევნასა ნადირისასა. და თუ ვითარ კელთ იგდოს მიმხედველ ჭეოფს. გარნა მისი გულის-მოდგინება ამასცა ჭსძლევედა, რამეთუ თჳთ ნადირობასა შინა წიგნნი აქჳნდინ კელთა, და რაჟამს ჟამი იუვის მისცნის ვის-მე მსახურსა, და ესრეთ დევნა უევის, და ნუ უკჳჭ ჭკონო ვითარ-მედ კელითა ცალიერითა მოაქცის, ანუ ცუდად დაშვრის. რამეთუ

<sup>2)</sup> T. თუ ვითარ ისმენდი; M-its: თუ ვითარ გონიერად ისმენდი.

<sup>3)</sup> Subaud. ზედა.

<sup>1)</sup> Lis. არა-სადა.

ვინ ჰგავნ კორციელი, ანუ ვინ იხილა ეს-ოდენ განმარჯვებული ნადირობასა შინა, მისამახეს ვინმე ითქმის, ებრაელი, მისრობისა და კეთილ მმართველობისა-თჳს ალექსანდრეს სპათა შორის სჯობდა, და აქილევი კენტავროსა-გან განსწავლულად მისრობისა, ელენთა შორის, ხალხ ბაჭრამ ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკრველთა, გარნა ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეუსწორებდა ამას, ვითარცა გვიხილავს.

და ერთჳს სხვადა საქმე, საცნაურ მეტოეული წიგნთა სიუვარულისა, რომელსა შინა არა-რა იყოს ტუილი, ვინათ-გან წარსწემედს უფალი უფელნი რომელნი იტუვიან სიცრუესა, წინა-დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად, და რა-ჟამს დაასრულის ნიშანი დასვის ბოლოსა წიგნისასა. ხალხ მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღუთვალეთ ოც-და-ათხ-ჯერ წარკითხა, არიან უკუჭ სხვანიცა მრავალნი საცნაურებანი ამის ზირისანი, გარნა მე ერთიდა შევსძინო სიტუვად სხუაჲ ამათა, ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ერთ-ჯერ არა სულიად შემოყვანებულ იყო უღელსა ქუჭშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ. არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტეანეთათა. ოდესვე ჰყვიან დავდავი, და თხნიერ მიზეზისადა მისრნიან რა-ოდენნი ჰხვინიან ქრისტეანენი. ხალხ ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა განსცნიან, შემომავალ გამომავალი ქრისტეანენი, და ტუეობად სიკუდილსა მისცნიან, და ესრეთ ისუროდა ქვეყანა მრავალ-ჟამ, რომელი-ესე ეძვინებოდა სულსა დავითისსა. შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა მეფე-მან და გავზავნნა მონათაგანნი ათ ხუთ-მეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ღოჭინით კერძო ნახირი მოვარკი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუჭ თურქნი-გი გამოვიდენ დევნად, და მოსწვიდენეს ამით დონითა. ხალხ თჳთ სამ ასითა ოდენ კაცითა დაიმალა დეჟეთა ავჭალისათა. და არა-ვის მიენდო მხედველსა სხვასა, არამედ თჳთ მარტო წარვიდა, უფლად უსაჭურველო, კრმლითა ოდენ, და თანა წარიტანა წიგნი დვთის-მეტეუჭლი, და ამცნო სპათა არა შეძრვად უფლადვე მისლვადმდე მისა მათ-თანა. ხალხ მონათა ჰყვეს ბრძანებული მათდა, და წარმოიდეს ნახირი, და მოეწივნეს თურქნი, ვითარ ასი კაცი.



და შემდგომად ღიღისა ჭომისა ჩამოყარეს მონანი, და დაუკონნეს ცხენნი, გარნა ქვეითნიცა იბრძოდეს ფიცხელად. ხალხი მეფე ცხენსა-რა გარდაკდა, არა ჭკონებდა ჯერეთ მოსლვასა, შეექცა კითხვასა. და ეს-ოდენ წარიტევენა მის-გან გონებითა, რომელ სრულიად და-ავიწყდა წინა-მდებარე საქმე, ვიდრემდის კმა რამე კლვისა შემოი-სმა ყურთა, მის დაუტევა წიგნი მუნვე, და ამკედრებული მიჭყვას მას კმასა, და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვსთა, ესე-ვითარსა ღვაწლსა შინა მეფეთასა, და რამეთუ აშორვიდა თვსთა სპათა, და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო მონათა დაუკონცდეს, მსწრაფელ შთაბრიალდა ვითარცა არწივი, და დაახნია ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფელ ესე-ოდენნი მოსწევიდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეუწნეს მონათა-მათ, და ამკედრებულთა ესე-ოდენნი მოსწევიდნეს, რომელ მცირედნი შეესწრნეს ქალაქსა. ხალხი გზანი სავსენი იუწნეს მძო-რითა მათითა, და ფრიალისა ცემისა-გან კრმალ-მანცა დაღვლარჯნილ-მან <sup>1)</sup> უარ ჭყო ქარქაში თვსი, მაშინდა მოვიდა სპათა თვსთა თანა; რომელნი ფრიალ აბრალებდეს მას, განიცადეთლა ჩემდად, რომელ ესე-ვითარსა საქმესა შინა და ესე-ოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ, და ესენი ესე-ოდენ.

ხალხი ვსთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეც-ნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი, პირველ მეფეთა ყოფილთა, კეთილ-ძღვანებულთა, ანუ ვერა-რას <sup>2)</sup> წარმართებულთა შემთხვეულნი წინა განსაკრძალებლად და სახედ არა შემოეხვნეს, და არა მოეხმარნეს, ვითარცა იტევის სოლომონ, ვითარმედ „იცნის ქცეულებანი უამთანი, ახსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავ-სნის მომავალნი“. არა-თუმცა ესენი ესრეთ, კვერთხი მეფობისა ესე-ოდენ დამდაბლებული, ძნელი და ნამდვილ დიდ განსაკებელი რომელ <sup>3)</sup> იხურა ესრეთ მადლად, და ვითარ ვერა-ვინ სხვა-მან, რა-მეთუ განბრძნდა უფროს გაბასაელისა, და უფროს ეთამ ისრაიტე-

1) T დაღვლარჯნილ-მან.

2) T ვერასა.

3) T რათა

ლისა <sup>1)</sup>, წერილისაებრ, და ვითარ ვინ აღრაცხნეს რა-ოდენნი საქმენი ეთხებოიან მეუფობასა, რა-ოდენნი მართებანი და განსაკებულნი, კიდეთა ზურობანი, ნაზირთა მჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეუფოსა წუნარობისა დონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა საკვისა ცნობანი, მკედართა განწესებანი, საერთთა შიშნი, საკელთთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსლვანი, მცდიქელთა შემთხვევანი და ზასუნნი, მეძღვნეთა ჯეროანნი მისაკებულნი, შემცოდეთა წყალობითთა წვრთნანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მჩივართა მართალნი გამომიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მკითხვანი, სპათა დაწყობანი და დონიერნი მიმართებანი. და რა-ოდენნი ვინ აღმოწყენეს სიტუთა უფესკრულისა-გან სამეუფოთა საქმეთასა, რომელსა შინა ვერ-ვინ ძველთა და ახალთა მეუფეთაგანი ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდელთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვისითა ქმნნა. ხოლო სულტანი დასვა მოხარკედ თვსად, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახელეული თვსი, დაჰსცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიუვანსა მეუენი, ხოლო მონად კელმწიფენი, მეოტად წარაქტივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი. და რათა მოკლედ ვთქვა, ზირველ უფოილნი მეუენი, მსაჯულნი, კოლიათნი, გმირნი კაცნი-იგი საუკუნით-გან სახელფვანნი, მკენი და ძლიერნი, და უფველთა საქმეთა ზედსა სახელფვანნი, უფველნივე ესრეთ დასხნა ვითარცა ზირუტუენი უფველსა საქმესა შინა.

ხოლო კვალად საღმრთოთა სათნოებათა, და სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწითეს, ანუ მოგონებულსა ვის-მან ენა-მან შეუძლავს თხრობად. რამეთუ ვითარცა ღმერთი ჭრჯიდა სამეუფოთა თვსთა, თვალ-უსვამითა-მით ბჭობითა თვსითა, და არ-სადათ მიდრკებოდა წამი მისისა სასწოროისა, ვითარცა სოლომონის-თვს გვესმის, საბჭოთა შინა, და თვთ მოსესმიერნი გვაუწიებენ ბჭობა-

<sup>1)</sup> Mon M-it ისმაიტელისა.

ნი, და თხრობანი. ხოლო თავი სათნოებათა სიწმიდე ესე-ოდენი მოიგო, ვითარცა დიდ-მან ანტონი, ნუ მეტყუვი მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელი არცა დმერთ-მან მოიხსენეს. უწვი ჭეშმარიტებით, რამეთუ უფელთა ათისა წლისა ჟამთა, სამარადისოდ წმიდითა ზირითა და განწმენდილითა გონებითა, უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა <sup>1)</sup>, თანა-მოწამებითა სუნიდისისათა, და არა მხილებითა გონებისათა, და რომლისა მოწამე არს სარწმუნო ცათა შინა.

კვალად ლოცვისა და მარხვისა-თჳს რადღა საკმარ არს თქუმად, რომელსა-იგი საქმარ ოდენ იყო, და კვალად მონასტერნი და საეზისკობისნი ეკკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისსა, და უფლისა საეკკლესიოსა განგებისსა და რბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა შვენიერსა უფლად უცთომელსა, და დაწუობილსა, კეთილწესიერებისა, ლოცვისა და მარხვისსა, რამეთუ საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღვთისა განმარისებელი, და უფელი უწესობა მოსზობილ იყო ლაშქართა შინა მისთა, დაურიცხვისა-მან შინა სიმრავლესა ენათა ნათესაფთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის: კვალად წყალობა გლახაკთა ესე-ოდენი აქუნდა, ვიდრემდის აღავსო ზღვა და კმელი ქველის საქმე-მან მის-მან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი, და მონასტერნი, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისანიცა, მთა-წმიდისა და ბორღაღეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კიპრიისა, და შავისა-მთისა ზალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი, თჳთ-ფერთა მიერ შესწირავთა განამდიდრნა, კვალად უშოკესცა ამათსა რამეთუ მთასა სინასსა, სადა იხილეს დმერთი მოსე და ულია. აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ ათასეული, და მოსაკიდელნი ოქრონი, და წიგნები საეკკლესიო სრულებით, და სამსახურებელნი სიწმიდეთა, ოქრომსა რჩეულისა, და კვალად დღითი-დღე წარსაკებულთა, რომელთა თჳსითა კელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრიცხოს, თჳნიერ მამისა ზე-ცათსა, რომელი მიაგებს ცხადად, რამე-

<sup>1)</sup> Sousent. მიილო.



თუ იყო მისა კისაკი მცირე. ადავის დრაჰმითა რაჲ დღე, სარ-  
წმუნოთა თჳსთა კელითა, და სამწუნროდ ცალიერი მოაქვნიდის იგი.  
მხარულისა სულითა და პირითა, და ოდესმე ნახევარი წარგის მისი,  
და ოდესმე არა-ვინ ეპყნის. და ეგრე სავსე მისცის დამარხვად  
ხვალისა, და სულ-თქმით თქვის: „დღეს ვერა მივეც ქრისტესა,  
მარცხებითა ჩემდა ცოდვითა.“ და ამას არა-თუ კელისანთა-გან  
მორთმულისა იქმოდის; ანუ საჭურჭლით, არამედ კელითა თჳსითა  
ნადირებულთა, რომელთაგანი თჳსსა მოძღვარსა იოანეს მისცა  
ოდესმე დრაჰმანი ვითარ ცდ და ოთხი ათ-ასი, რათა განუყოს კლა-  
ხაკთა, და ესეცა მცირედი მრავლისა-გან თქმად შეუძლებელი.

ხელთა განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ჯავრანი  
მოსაკარგვეთა (sic) მაჭირვებელთა-გან, არამედ ხუცესნიცა სამეფო-  
სა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისა-გან, რათა თავის უფალ-  
თა საღმრთო მსახურება მიუზურან ღმერთსა, ხელთა ამათ-თანა რა-  
ოდენნი ეკკლესიანი ადაშენნა; რა-ოდენნი კიდნი, მდინარეთა სას-  
ტიკთა, რა-ოდენნი გზანნი, საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყუნა.  
რა-ოდენნი ეკკლესიანი, წარმართთა-გან შეგინებულნი; განწმიდნა  
სახლად ღვთისა. რა-ოდენნი ნათესავნი წარმართთანი შევილად წმი-  
დისა ემბაზისად, და შეაწენარნა ქრისტესა; და დაღვა მის-თჳს უმე-  
ტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ემბაკსა, და  
შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულებისა, ვი-  
თარცა ზაულე, და ვითარცა დიდ-მან კოსტანტინე, სხვათავე კეთილ-  
თა თანა აქმნდა ესეცა, რამეთუ სლვასა შინა თჳსთა სამეფოთასა,  
სიმრავლითა სზათათა და სიმადლითა სლვისათა, ვერ ადვილად მიემ-  
თხვეოდინ მჩივარნი და დაჭირვებულნი, განადა ვიეთ-განმე რა-  
მელთა საჭიროდ უკდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი; ნუ უკჳს  
და ვინმე ადვიდის ბორცვსა ზედა რასამე, გზისა მახლობელსა; ანუ  
კლდესა, გინა-თუ ხესა, ვითარცა ზაქე, უკეთუ ოდენ ეპყვის ესე-  
ვითარი საქმე, და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თჳსი, ამის-თჳს  
დაედგინნეს კაცნი მართლიად მცნობელნი, და განმკითხვარნი მჩი-  
ვარნანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა.

მრავალ-გზის გვიხილავს იგი დამღტობელად ჯაწითა თჳსთა



ცრემლითა, ხილვას ზედა თვით-სახეთა სენთა მიერ განცდილთასა, და ხილვად საძნაურთა, რომელნი შეემთხვევიან მიუხდობელთა. ამათ და უბადრუკთა კორცთა, რომელთა სხვათა უმეტეს ზრდის ქვეყანა ქუთათისაჲ, ვინ აღრიცხვნეს ტუვენი რომელნი მან განათავისუფლნა, რომელნი უკ-მოდისხნა ვიფხაუთა-გან ფასითა. ვინ ჯეროვნად წარმო-თქვენეს ჰატივის ჰერობანი მონაზონთანი, და სიუჟარულით შეწყნა-რებანი მათნი, თვითეულისა ნიჭნი და საკმარნი, რომელთა უზრუნ-ველ უვნის უფველთა საჭიროთა-გან.

ხალხ აქუნდა ამას უფველად ბრძენსა შეუესა საქმედ ესეცა, რომელთა უმეტეს უფველთა საშიშად საზარელ იყო უფველთა. რა-მეთუ ღვთისა მიერ იყო მის-ზედა ნიჭი ესე და საქმე უფველად სა-კვირველი. არა-რა შორიელი, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მეფოთა კაცთათა, და დიდთა და მცირედთა საქმეთა ქმნილი კეთილი, განა სიტუვა ბოროტი სიტუვა (sic) თქმუ-ლი, არა-რა დაეფარვოდა უფველადვე, არამედ რა-მდენცა ვის ფარუ-ლად ექმნის, ანუ თუ ეთქვს, უფველავე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტუენიცა, მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარ-განცდილ უვის, და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა <sup>1)</sup> ქმნილნი დვაწლნი და სათხრებანი უწყოდნის ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისა-თვს აქებდის და ჭნატრიდის.

ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არა-მედ ამას სცნობდა, თუ რა საჩუქებელი ჭბოვის ამით. რამეთუ არა-ცუდად რადმე და განსაკითხავად საკიობელთა საქმედ, ანუ საკიცხე-ლად ვიეთვისმე იქმოდის. ნუ იუფოინ ესე, წარგედ; არამედ დიდნი საქმენი, და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავლითა კე-თილითა <sup>2)</sup> მიზეზ ექმნა, ესე ჰირველ ორ-გულეებსა, და ზავკასა და ღალატსა, რასაცა ვერ-ვინ დიდთა ანუ მცირეთა-გან იკადრებდა მო-გონებადცა, არა-თუ თქუმად ვისდა, არცა-თუ უმადლესსა ვინ თვსსა

<sup>1)</sup> T მათთა.

<sup>2)</sup> Lis. მრავალთა კეთილთა.

თანა, ანუ მოყვასსა თვსსა, გინა ურმათა თვსთა თანა. ვინათ-გან მტკიცედ უწყოდა ყოველ-მან კაც-მან პირით აღმოსვლასავე თანა სიტყვასსა, საცნაურ ქმნილ არს უეტველად წინაშე მეფისა, და მრავალნი განხატუებულცა იუწნეს, და მხილებულ ესე-ვითართა-თვს.

ამის-თვსცა ვერცა ოდენ ვინ განიზრახსა დალატი რათურით, დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთა-გან საკრძაღვი და სარიდო.

და კვალად მღჳდელთ-მოძღვართა, მღჳდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა, ესევე საქმე ექმნა წესიერება, გზა ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებიან უწესოდ სლვად, ვინათ-გან უწყოდიან, არა-რას დაფარულობა, წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა, და ძაგება არა-წმინდათა და უწესოთა საქმეთა, რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე, და ვერცა მოქალაქე, ვერ მკედარი და ვერა<sup>1)</sup> რამელი ხატოვი და ჭასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად. რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა ხატოვანება, და თვთ მათ შეძავთა ყოველთა შიში და მმართველ გზათა სადმერთათა და მშვიდობისათა, ესე დიდნი საქმენი, და ღვთისა-გან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერ-ვინ ადვილი წარმართის ეგრეთვე. ამისათვსცა შიში დიდი და ზარი მისი განითქვა კიდეთა ქვეყანისათა, და განჭკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისანი.

ხალხ შემოკრება ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძი-ლი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ებისკოპოსები, და მონასტერთა მათთა წინა-მძღჳარები მრავალი ფრიად, რამელნი აზმნობდეს<sup>2)</sup> თავთა თვსთა მიწევნად თავსა ყოვლისა მეცნიერებისსა, და მოახსენნეს რათამცა ჭყოს ბრძანებითა მისითა კრება, და უვესმცა სიტყვს-გება და გამოძიება ჭსჯულისა, და უკეთუ იძლივნენ, და იქმნენ თანა ერთ-კმა ჭსჯულისა, და თვსი ჭსჯული შეაჩვენონ, ხალხ უკეთუ სძლონ, ესეოდენ მიემადლესთ რათა არდა-რა გვიწოდდეთ მწვალებლად, და

1) Deux mots omis, T.

2) T აზმობდეს.

არცა შეგვახვეწებდეთ. ხოლო მოუწოდა მეფე-მანცა იოანე, კათალიკოსსა ქართლისსა, და მის ქვეშეთს ეპისკოპოსსა და მეუღაბნეთსა, და არსენის იუსტოფელისა, თარგმანსა, და მეცნიერსა ბერძენთა და ქართულთა ენათსა და განმანათლებელსა ყოველთა ეკკლესიათსა, და სხვათა მეცნიერთა და ბერძენთა კაცთა. ჭევეს უკუშ სიტუჯს-გება ურთიერთს. ცის-კრით ვიდრე ცხრა უმადმდე, და ვერა-რა უძღეს დაბოლოებად <sup>1)</sup>, რამეთუ იყო ორ-კერძოვე ძღვევის მოუწარება ოდენ, და სიტუჯათა ზეექრობა. რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძიანად გამოსავალთა, შეეწეინა ესე მეფესა, და ჰქრქვა მათ: „თქვენ მამანო, სიღრმეთა სიღრმე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩვენ ვერა-რასა უძღებთ ცნობად, ვითარცა უსწავლეხნი და ყოვლად მსოფლიოხნი, და ესე საცნაურ არს თქვენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლეულებისა და მეცნიერებისაგან. ვითარცა მკედრობათა შინა აღზრდილი. ამის-თხსცა უსწავლეულთა, და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტუჯათა გეზრახნო თქვენ“. ესე-რა თქვა; იწყო მათდა მიმართ სიტუჯათა თქმად რომელთა ღმერთი მოსცემდა უეჭველად ზიხსა მისსა, ესე-ოდენთა იგავთა და სხეთა წინა-დაუღებდა, აკსნათა საკვირველთა მიერ წინა-დაუღებულთა, და უცილობელთა, რომლითა დანთქნა ვითარცა მეგვიპტელებნი, და დაუყო ზირი მათი, და უზასუხო ევნა, და ყოვლად უსიტუველ, ვითარცა ოდესმე დიდ-მან ვასილი ათინას შინა ესე მწვალებელი, და ესე-ოდენ ზარ-განკდილ ევნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძღვეულება თხსი, ამისთა ოდენ მეტუველთა, ვითარმედ „ჩვენ, მეფე, მოწაფე გვეგონე, ამათ მოძღვართა თქვენთა, გარნა ვითარ ვხედავთ, შენ-სამე ხარ მოძღვარი მოძღვართა, რომლისა ბრჭყალსა ვერ მიმწოდარ არიან ეგე მოძღვარ საგონებელნი თქვენნი“. და ესრეთ ფრად მამრალბელებნი თავისნი მიიქცეს სირცხვილეულებნი, არდა-რა ოდენ მკადრებელნი ამისნი ოდესცა,

ხოლო არიან ვინმე მამრალბელებნი მეფისანი, ჯერეთცა ესე-ოდენ მჭირსედ დამოვლასქრებისა-თხს, და მკედრობათა მისთა განუ-

<sup>1)</sup> Mon M-it დაბრკოლებად.

სვენებელისა მიმოსლვისა-თჳს, და ვითარმედ „არცა მშვილდი თავს-  
იდებსო მარადის კარდაცმულობასა, არცა ძალი ორდანოსა მარადის  
განსიხრებულობასა, რამეთუ ჟამსა გამარებისა მათისასა თუთაეული მათი  
უკმარ იხოსო.“ და ესე-ვითართა უგობელთა-მათ-თჳს, და უმი-  
ზეზოსა, და უფულად იტუვიან: გარნა ისმინეთ ესე-ვითართა-მათ,  
ზირველად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჭქონდა მოკლე-  
ბული, და მცირედ იყო, და ტუვეობათა და ზემოხსენებულთა ჭირ-  
თა-გან მცირე გუნდი მკედრობისა, და იგინიცა დაჯახებულნი, მრავალ-  
გზის მტერთა-გან სიფლტოლითა, უცხენოდ უსაჭურველნი, და  
თურქთა წუობისა მიმართ უფულად უმეტარნი, და ფრიად მოშიშნი  
უკეთუმცა ესე-ოდენ უწუენთა ლაშქრობითა, და მცირედ-მცირედ  
ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად<sup>1)</sup> და ღონიერად წინა-ძღვრითა,  
და მრავალთა ძლევათა მიერ მოგვარებითა არა განეწვარებეს სხანი  
თჳსნი, და განეკადნიერეს წუობათა მიერ მკნეთა, ქებითა და ნიჭი-  
თა, ხოლო ჯახანთა სადღვრთა შთაცემითა და კიცხვით ძაკებითა,  
არამცა მოედონნა, ვიდრემდის სხათა შორის მისთა, უფულად არა  
იხვებოდა ჯახანად ზრახული, რათამცა ექმნეს ესე-ოდენნი ძლევა-  
ნი, ანუ რათამცა ექმნეს და აღეზვნეს ესე-ოდენნი სამეფონი. ნუ  
უკვე ძილითა და ადგილთა მწვანვილთაგანთა ზედა მოსმურობითა,  
განცხრობითა და მახვენებულთა საქმეთა შედგომითა, არა ესრეთ,  
არა, არამედ არცა აღექსანდრე ქმნა ესრეთ, რამეთუ ზირველად მათ-  
მულისა თჳსისანი შეკრიბნა, და მით დაიხურნა დასავალისნი ევროპა  
ში, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიხურა  
ეგვიპტე, შესრულ-მან კარქედონით, და მიერ ეგვიპტით ზალესტინე,  
და ფინიკე და კილიკასა, თჳსად შემქმნელი, წინა განეწყო დარიოზს,  
და რა-ჟამს სხარსეთი მოიროთ, მაშინდა ჭსძლო ზიროს, ჭინდოსა,  
და ეგრეთცა ამით უფულითა მოვლო უფული ქვეყანა, და ჭქმნა რა  
იგი ქმნა, და თუ არა ქართუჭლითა სხითა, ვერცა-რა აღექსანდრე  
იქმოდა კარგსა, და თუმცა დავითს სხარსთა მეფობა ჭქონებოდა, ანუ

<sup>1)</sup> T გვარიანად.



ბერძენთა და ჰერმთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინ-  
მცა გენახნეს ნაქმარნი მისნი და სხვათა ქებულთანი.

ხოლო ვსთქვა მეორეცა მიზეზი ამისვე, ზირისა, ვინათ-გან  
ნათესავი ქართულთა ორ-გულ ბუნება არს ზირველით-განვე თვსთა  
უფალთა, რამეთუ რა-ყამს განდიდნენ, განსუქნენ, და დიდება ჰზოონ  
და განსვენება, იწუებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვი-  
თხრობს ძველი მატთანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი, და ესე  
მან უბრძნეს-მან უფელთა კაცთა-მან კეთილად სდამე უწოდა, ამის-  
თვსცა არა-ოდეს მოატალა ამისად განზრახვად, ანუ განსვენებად,  
ანუ შეკრებად, და ქმნად რასამე ესე ვითარისა. არამედ საქმეთა რა-  
მელთა იწყო ქმნად გაასრულნამცა მადლად და შეგნიერად, ნუ  
უკუჭ და ლომსაცა აბრალენ ეგე ვითართა, რამეთუ არა ციდა-მტკა-  
ვლურად იხედავს, არცა კვერნურად ჰკრთების.

კვალად სხვასა ბრალობასა შემოიღებენ, მეტუველნი. „შეიუვარ-  
ნის ვინმე, და გაიადიდნის ვინმეო, და კვალად მოიძულნის ვინმეო  
და დაამცირნისო. ესე აღამადლის და ესე დაამდაბლის, ერთი უსა-  
მართლოებასა“. ჰ უგუნურებასა, ამის-თვს აბრალებას, რამეთუ კაცი-  
მიწისაგანი დმერთსა ემსგავსა, რაჟთა-მცა საქმითა, ვინ იხილა ესე  
საუკუნით-გან, ჰ კაცი, ამის-თვს რად არა ღრმერთსა აბრალე, უგუ-  
ნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა. ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ მე-  
ოფელსა მისცნას ათნი ქალაქნი. ანუ არა ერთისა დამოფლველსა მო-  
ლო იგიცა, და მისცა ათთა ზედა მეათერთმეტედ, ანუ რასა თვს ქა-  
დაგებულ არიან სამოთხისა შეგებანი და სასუფეველისა ნეტარებანი,  
დვთისა ნებისა მეოფელთა-თვს ჭეშმარიტად, ხოლო საშინელებანი  
ურნთა და უდიდსთა-თვს, და უკეთუ მეფე-მან ერთ-გულნი, ფრთხილ-  
ნი და ახლანნი, ნაცვლად ორ-გულთა, და ჯაბანთა და უდიდსთა,  
ადიდნეს, რაჟ უსამართლო ქმნა. ნუ უკუჭ დუხჭირ-მანცა აბრალოს  
სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად უზენის, უხმარნი და უდიდსნი  
ნუ მას, არამედ თავთა თვსთა აბრალებდინ. უკეთუ არაფინ იყო ეს-  
ოდენ მართლად აღმოჩნელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცი-  
სასა, რომლის- აზრდილსა შეკრებულ იუწნეს ერნი, ტომნი და ენა-  
ნი, მეფენი და კელმწიფენი ოვსეთისა, და უიფხაყეთისანი, სომხე-

თისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისა-ებრ  
ნაბუქოდანოსორისა: „ვხედევდიო, იტყვის, ხესა შორის ქვეყანისა,  
სიმაღლედ ცისა მიწდომსა, და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყანისა.  
ფურცელნი მისნი შეენიერ და ნაყოფი მისი ფრიად, და საზრდელი  
მისი. შორის<sup>1)</sup>), ქვე-კერძო მისსა, დაიმკვიდრეს მკეცნი ქრესანისა-  
თა, და შორის რტოთა მისთა მკვდრობაჲ ყვეს მფრინველთა ცისა-  
თა, და მის-გან იზრდებოდა ყოველი კორციელი.“ აჴა სახე ანა  
უმსგავსო, ანამედ ფრიადცა თანა-შეტყვებული ჩვენისა თვთ-მზურ-  
ბელისა, და ყოვლად გამომსახველნი სიტყვთ საქმეთა ჩვენთა თვალ-  
თა ახილულთა, რამეთუ სიტკბოებისა, და სახიერებისა და სიბრძნი-  
სა მისისა ხილვად წყურვიელნი, კიდით ქვეყანისათ შემოკრებოდეს  
წინაშე მისსა, ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხვევათა შინა, ვინ სა-  
ტრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა. იგივე შეენიერ ხა-  
ტითა. უშვენიერეს მორთმულობითა<sup>2)</sup> გვამისათა. შეწყობილ ანაგე-  
ბითა, და ანოვან ტანითა. და ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვი-  
ლითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა. მადლიერ  
ხედვითა, საზარელ ღომ-ებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა,  
უბრძენს გამორჩევითა, მარტივი სახითა, მრავალ-სახე მართებითა,  
შემრისხველ მუუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და ანცა  
ერთსა კეთილთაგანსა შემაშოროთებელ უზომობითა. მადალ უმად-  
ლესთა-თვს, მდაბალ მდაბალთა-თვს, და თვთ მათ მტერთა-განცა  
თვთ საწადელ და საუწყარელ, სათნოებათა მისთა-გან შეკდიმებულთა,  
ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთა-  
გან-მან შეიკრიბა ყოველი სრულებით თვთოეული, რამელთა ყოველ-  
თა-თვს შეუძლებელ არს დაკვირვება ოდენ, არა-თუ მიბაძვება, რამ-  
ლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა ადსავსე იყო ნავი  
უფასოთა-გან ტვირთითა სათნოებისათა, და არდა-რა შემძლებელ  
წარსვლად დადირთა.

და აქუნდა ყოველით კერძო მშვიდობა და დაწყენარება სამეფო-

1) Ce mot me perait inutile.

2) T მორთმულობითა,

თა მისთა. მაშინ დიდ-მან მან წინა-განმგებელ-მან ცხორებისა ჩვე-  
ნისა-მან, და უოფლისავე უმჯობესისა შემცვალებელ-მან განგებითა-  
მით რომელი მან უწეის და განაწესებს ჟამთა და წელთა ჩვენთა,  
ესრეთ განაგო ვითარცა მუშაკ-მან კეთილ-მან, რა-ჟამს იხილნის კუ-  
ვილნი აღსავსედ ნაყოფითა და ქუჩუანად დადრეკილნი, ისწრაფის  
დაუჩვენებ მათი, და ვითარცა მენავე-მან ბრძენ-მან განიცადის-რა ნა-  
ვი თვისი აღსავსედ მრავალ-ფერითა ტურთითა, მიისწრაფის ნავთ-  
სადგურად, რათა არა ევნოს სოფლისა ამის მღელვარისა ზღვისა-გან,  
რამეთუ ჟამსა ზამთრისსა. მშვიდობასა და დაწინაურებასა უოფლისა  
სამეფოსსა, არა გარეგნად მენაკიდურესა, რამედ საშუალ თვისთა  
სამეფოთა ადგილთა, თვთ მის-მიერვე წინა განჩინებულსა განსასვე-  
ნებულად და მისაძინებულად, ვითარცა ჭრულითა-რამ შეენიერითა და-  
იძინა მამათა თვისთა თანა. და თვთ მებრ ესე კმა არს საცნაურ მე-  
ფელად საკუთრებისა თვისისა დგომისა მიერ. რამეთუ მრავალ-გზის,  
მრავალთა მიზნითა და განსაცდელთა სიკუდილისათა შთავარდა იგი,  
რომელთაგანი მცირედ მივსცეთ თხრობასა, რამეთუ ნადირთა დევნა-  
სა შინა ოდესმე მუხრანს წაქეცა ცხენი. და ესე-ოდენ შემუსრა, რომ  
მელ სამ დღე უოფლად უსულთ მდებარე იყო, უძრავად, სამშვიდვე-  
ლისა გან ოდენ საცნაური ცოცხლად, და შემდგომად სამ დღე, ნა-  
მეტსა სისხლისსა ადამიერულსა მოქეცა სული და სიტუჟა, და ძლით-  
და აღდგა ცოცხალი, და ესე-ვითარი მრავალ-გზის შეემთხვია, და  
დმერთ-მან იხსნა სიკუდილისა-გან, კვალად ციხესა რომელსამე ჭბრძო-  
დეს, ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თვისისა დგა, ზეკანგითა ოდენ <sup>1)</sup>  
მოსილი, შუა-დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი, და ჭკრა  
ხატსა შთავარ-ანგელისისსა, რომელი ეკიდა უელსა, ოქრომსა მცირე,  
და ძალ-მან განარინა მშვიდობით, რა-ოდენ-გზის ეიფნაყთა თვის-  
თა განიზრახეს დალატი, და განაჩინეს კაცნი მჯენნი, რომელნიმე  
კრძლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა, და ესე არა ერთ  
და ორ, გინა სამ, რამედ მრავალ-გზის, და არა-ოდეს-მიუშვა დმერთ-  
მან კვერთხი ცოდვილთა მართალსა-მას ზედა. არცა-ოდეს მისცა იგი

1) Ce mot manque, T.

კელთა მეძიებელთა მისთას, დადათუ დეგნას თურქთას მარტო და-  
პურის ანუ უსაჭურველო, კარნა უოგელსა შინა კელი-იგი ზეგარ-  
დამო ჭივარვიდა მდეგართა მისთა-გან, არამედ უოგლადვე, და უო-  
გელსა შინა იუო ბედნიერ და სვიან, მადლითა აღსავსე.

ეგრეთვე უამსა შინა შვენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთ-  
მან შემუწარებელსა თვსსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ სა-  
მეფოდ <sup>1)</sup>, წინაშე მისსა, და არდა-რა მიუშვა მრავალ-ყამ სჯად და  
და ღვირვად სამსხემოსა ამას კედარსა შინა მკვიდრობითა; და კორ-  
ცთა ამათ ქვე დაზიდველთა მიერ შეკრვად სულისა გონება-ქმნილსა,  
არცა განხრწნადითა გვრგვნითა და ზოროფირითა, ვითარცა სიზმრი-  
თა და ნაფცნითა უმრავლესად მდერად, არამედ ნანდვილ ჭეშმარი-  
ტითა და მტკიცითა, წარუდინებელითა და სამარადისოთა, სადა თვთ  
იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა. მუნ  
ადიუწანა მას-თანა მეფობად, უხრწნელითა და ბრწყინვალითა გვრ-  
გვნითა და ზოროფირითა შემკული, სადა-იგი აწ მკვიდრ არს და იქ-  
ცვივის, ნათელსა შინა დგთაებისსა, რამეთუ იუო მაშინ თთვე იან-  
ვარი, ოც და ოთხი, და დღე შაბათი, ოდეს ქორეზიკონი იუო ტკე <sup>2)</sup>,  
ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი, ორ-მეოც და ათ სამ-მეტ.  
ხოლო მეფობდა ოც და ათ ოთხ-მეტ წელ, და ვითარცა, ზირველ-  
მან დავით სოლომონი, ამანცა თვსითა კელითა დასვსა საუდართა თვს-  
თა ძე თვსი, დიმიტრი სახელით სახელ-დებული, მარადვე კარდა-  
მონასახი, ეოვლითურთ მსგავსი მამულთა, დაადგა თავსა გვრგვნი  
შვენიერი ქვათაგან ზატოცხანთა, ვიტევი უკუწლ სთნობათა მამულთა  
და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჭა რაბამ სვიანად კმარებული,  
და შემოსა ზოროფირი მკლავთა ლომებრთა <sup>3)</sup>. და ტანსა ახოვანსა, და-  
ულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობაჲ დღეთა ბედნიერობით;  
თაუწანისცემად მისსა მეფეთა ქვეყანისათა, და უოგელთა წარმართთა მო-  
ნებად მისსა, გამობრწყინებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი-  
მშვიდობა. და ესრეთ განცვალა ქვესა მოქალაქობაჲ ზენად სუფევად;

1) T მეფობად.

2) Mon M-it aj. mal à propos; ქრისტეს აქეთ, ჩოკ.

3) M-ss მკლავითა ლომებრითა.



რომლისა მკვიდრნი განხსნილნი არიან შრომათაგან და ოფელთა და  
ზრუნვათა, და მუნ მეფობს სიმდიდრეთა-მათ ზედა, რომელნი წინა  
წარგზავნა, საუნჯეთა-მათ უშიშთა. რამეთუ მუნ არს შვება და სი-  
ხარული, რომელსა არა აქვს მწუხარება, და სიმდიდრე, რომელსა არა  
შეუდგს სიგლახაკე, და მხიარულება, რომელსა არა განჭკვეთს ურჯამ,  
და მეფობამ, რომელსა არა აქვს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრე-  
ბა, რომელსა არა შეამრდევებს სიკუდილი.

---

ნზ. ცხოვრება დიმიტრი მეფისა, დავითის ძისა, რომელი იყო მეორემოცდამჯდე<sup>1)</sup> მეფე ქართლისა ბაგრატიონი.

სრულ-ჭყო-რამ დავით სრბა მეფობისა, ქორანიკონსა ტკე, და მივიდა დაუსრულებელსა სუთეფასა, სიცოცხლესავე შინა თვსსა დასვა მეფედ ძე თვსი დიმიტრი, და დაადგა გვრგვინი თვთ მისითა კელითა, და დაიპურა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ღომებრივითა, მისათხრობელად ბრძენთა და ქების-მყოფართა-თვს.

იტყვს სოლომონსა მეფე: „ჟამნი არიან მშვიდობისანი სა-რწმუნოება მეფეთა“, ზირველათ მოშიში იყო ღვთისა, სვიანი და გამარჯვებული, და სიმადლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, და გლახაკთ მოწყალე, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი, საუდართა და ეკკლესიათა, მღჳდელთა და მონაზონთა კეთილის-მყოფელი, შემწირველი სოფელთა და აკარაკთა დიდებულთა სამეფოსა მათისათა, და კარსა ზედა მეფეთა, ტკბილად მოუბარი, უხვი და მბოძებელი, და ვითარ გაავრცელა და ააშენა სამეფო თვსი, ოდეს დიდ-მან დავით ტფილისი აიღო, ჭერეთი და კახეთი მოირთო, ცისეთა და ქალაქთა-გან კიდე კაცი არა-სადა იყო. ჭერეთი, სომხითი, ტაშირი,

---

<sup>1)</sup> Mon M-it მესამეოცე 60e; v. Traduction.

ჯავახეთი ქვენა-არტაჭნი, და აჭრტანი, ამათსა მეფობასა შინა აშენ-  
და ტაქსა ნაზირნი.

ოდეს ჯერეთ არა მეფე იყო, დიდ-მას დავით შარვანს გაგზა-  
უნა, ქმნა ომნი და ბრძოლანი, რომელ ჭოგელნი მხედველნი მისნი  
განაკვირუნა, და აღიღო ციხე ქელაძორი, და აღივსო ალათითა და  
ტყვიითა ურიცხვითა. გააქცევინა სუქმნეთნი, თავი უფლისა სზარსე-  
თობისა, დაკოცნა და ამოსწუვიდნა, აავსო საჭურჭლენი და ლაშქარ-  
ნი მისნი, ერთ-გულთა შემწუნარებელი იყო და შეცოდებულთა სა-  
მართლიანად მწვრთელი ვინათ-გან არა სწორ არს ცოდვა მღვდლი-  
სა და მკედლისა, არცა ერისა და მღჟღელთ-მთავრისა. „რომელ-მან  
იცოდის ნება უფლისა-თვისისა და არა ჭყოს, იგვემოს ფრიად.“ უფ-  
ლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ხესა ღმთივ და-  
ნერგულსა და ცხებულაინსა. წარვლო ცხორება, და მიიწია სრულ-  
ქმნილი სიბერესა, და ესხნეს ძენი ორნი, დავით და გიორგი. ასუ-  
ლი ერთი, სახელით რუსუდან, შეიმოსა ჩიხა, და ეკურთხა სქემი-  
თა, და იყო წელიწადი ერთი, და აღესრულა, და დასვეს ძე მისი  
მეფედ, დავით.

---

ნწ. ორძეოდცდაძერვე<sup>1)</sup> მეფე<sup>2)</sup> დავით ძე დიმიტრი  
მეფისა, ბაგრატოანი.

ხელთ ამან დავით იმეფა ექვს თთვე, და მოკვდა, და დაუტე-  
ვა ძე ერთი, სახელით დიმიტრი. და შემდგომად მისა დაჟდა მე-  
ფედ გიორგი, ძმა მისივე და ძე დიმიტრი მეფისა, ქორთნიკანსა-  
ტოე, ამასვე წელსა მიიცვალა მეფე დიმიტრი, წელ ერთ ჩიხელსა-  
ნი, და დაჟ დიმიტრისი, თამარ, თიღვის აღმაშენებელი, ივიცა შე-  
მონაზუნებელი, კარდაიცვალა, და დაჟ მისი კატა საბერძნეთს გა-  
თხრული იყო.

---

1) M-its R, T, 48e; Mon M-it 61e, roi.

2) T aj. მეორე.

ნთ. ორმოცდაძეცხრე<sup>1)</sup> მეფე, გიორგი, მე დიმიტრი  
მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატიონი.

ხოლო მეფე გიორგი, ვითარცა დაჟდა ტახტსა ზედა საკელ-  
მწიფოსა, და დაიპყრნა ყოველნი სამეფონი მამა-პაპათა მისთანი.  
ადმოსავლეთით, გურგენის ზღვით, ვიდრე ზღვადმდე სპერისა. რა-  
მელ-მან ენა-მან შეუძლეს სიკეთისა და სიჭკეულისა მისისა, ახოვნე-  
ბისა და გულაფნებისა მისისა, ღვთის-მოყუარებისა და მოწყალებისა  
მისისა, სიუხვისა და სვიანობისა მისისა, სიბრძნისა და გონიერები-  
სა გამოთქმად. რამეთუ იყო უმაღლესი ყოველთა მეფეთასა. მძლე  
და შემმუსრველი ყოველთა მტერთა მისთა, მოკრძმული და სვე, დო-  
ვლათითა განმდიდრებული, კეთილად მსახური ღვთისა, ეკლესიასა  
და საუდართა მასენებელი, ეპისკოპოსთა და მეუღახოეთა, და მღუ-  
ღელთა-თჳს კეთილის-მოფთეული, დიდთა და ცოტათა-გან შეცოდები-  
სა უკადრი, გლახაკთა და ქვრივთა-თჳს მოწყალე, და უკეთუ ვინმე  
იხოვოს რ-გულ და შემცოდე, ადრე მიმტევებელ ქმნის და შემ-  
დობელ, ერთ-გულთა-თჳს უხვი და მბოძებელი, სპარსეთისა სულტან-  
ნი, შირს მეფონი და ახლას მეფონი მეძღვნედ და მოხარკედ მის-  
და იუჟნეს. და ყოველნი სანახირონი უშიშრად ჭქონდეს.

ამას მამა-მან, კეთილად მოხსენებულ-მან დიმიტრი მეფე-მან,  
სიცოცხლესავე თჳსსა მოგვარა ცოლი, ასული ოფსთა მეფისა ხუდ-  
დანიისი, სახელით ბურდუ-ხან, რამელი ჭმატდა სიკეთითა ყოველთა  
დედათა, მისებრი სძალი არა ეხილვა ქართლისა თემსა<sup>2)</sup>. ესე თჳთ  
შესატყვისი ქმრისა თჳსისა პირ-მზისა, ტან-ლომისა, თჳთ მზე. მზე-  
თა შევენებითა და მიმოყუარებითაცა, ვითარ ითქმის, ცოდვილთა და  
მართალთა ზედა, რამელი ჭყვარობდა მართალთა და სწყალობდა ბრა-  
დუელთა. ამის-თჳს არა ვიტყვი სახეთა გარეშეთა, გინა-თუ ვიეთმე.

<sup>1)</sup> R, T, 49e; mon M-it, 62e roi.

<sup>2)</sup> Ou თემთა.

სატრფიალათა, რომელი ამთ-განცა არა უნაწილთ იეთ, არამედ უფელი შევნიერება და კორციელი სიტურთუე გარდამატებულად იხილვებოდა მის შორის, არამედ თუთ მის ქრისტეს-შემოსილობით ვსთქვა, რომელი ემსგავსებოდა ეკატინენ, ანუ ზელენობის წილ ირინედ წოდებულსა, ნუ უკუწ ზესთა გარდამატებითა მოუძღურდეს სიტუტა, ანუ მახრალბედეს ვინ, მარჯულ ანუ მარცხულ გარდაქცევისა-თს, არამედ უფელი ძალისა-ებრ შესაწინარებულ არს. არამედ ესე ხოლო კმა ვუე ქებად, რამეთუ დედა ექმნა შჯლისა ნათელ-შემოსილისა, თუთ გორგასლისა ვანტანგისა აღმავსებელი ადგილისა, და წინასწარმეტყველისა დავითისა, მამად თუსად დვითისა-გან ქენებით ადთქმულსა, ადღვინებად ტომთა-გან მისთა, მის-ებრ მშერობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თამარს ვიტუჯ, მეუედ ცხებულსა, რომელი ქვემოტყ სიტუტა-მან სანსაურ ჭეოს.

ხოლო ჩვენ ზირველსავე სიტუტასა მოვიდეთ, ამან გიორგი იბურნა-რა მეფობისა შარავანდედი, შვიდ სამეფოდ განწესებული, შემკულ-მან ზეგარდამოთა ზორთიროთა და გვრვზნითა, აღიჭურნა მკლავნიცა მოსრვად და მოწუგვად წინა-აღმდგომთა ქრისტეს ჰსჯულისათა, აგარიანთა, ისმაიტელთა და მოჭმადიანთა. ზირველად წყალბობისა მიმთენ-მან იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქვემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სზასაღართა და სზასხეტთა, შინაურთა და გარეშეთა, მერმე კელ-ჭეო შეერად და განმართვად ქალაქსა ზელაკათირევანსა, და წარმოსტუვენა უფელი კვენები კლდოვანი და ქალაქები, აშორნისა, სომეხთა მეუედ წოდებულისა, შაჭერემენისა.

და შემდგომად ამისა კვალად შემურელ-მან სზათა მისთა-მან, მიჭმართა დიდად ქალაქად და სახელ-განთქმულად, აწ რომელ არს არაკატისა ძხრსა, საზღუარი სომხითისა და ადარბედაჯანისა<sup>1)</sup>, მამული თრდატ გოლიათისა, რომელი ოდესმე დორ იქმნა მიზეზითა გრიგოლი ზართისათა, თუთ წინა-მდგომელ დაწუობად განმზადებულ ექმნა სზათა თუსთა, და ახოვნად წინა-მსროლოობითა ეკვეთა, რომელნიცა დახვდეს ქალაქსა გარეთ, და კვალად თუთ სზითა თუს-

<sup>1)</sup> Ou აღრაბეუანისა.



თა გამოიღო ქალაქი, რომლისა სიმრავლე-მან ტყვეთა და საუნჯეთა-  
მან დათარა პირი ველთა და მათთა, და თუთ ქალაქიცა საშეუო ტფი-  
ლისი აღივსო ნატყვენათა მიერ, რომელ ტყვესა თუთო ღრმად,  
გინა ფუკად მომსუიდეელი გამსუიდეელობდეს, შემდგომად ამისა გა-  
ნისვენებდეს და ნადირობდეს მათთა და ბართა, და მოვლიდის და  
მოინადირის, რომლისა მოსრობასა ვერა-რომელი სახელ-განთქმუ-  
ლი მოსარბი პირველ ანუ მის უამისა, ესწორებოდის.

კვალად ინება შეურა და გალაშქრება დიდად ქალაქად ანისად,  
რომელი ძველ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო.  
იგი ეპურათ<sup>1)</sup>, რომელსა შინა მოდღესმდე არს ათ-ას და ერთი-  
ეკვლესა, და მირიდებითა ბერძენთათა, და მიმოცვალებითა უამთა-  
თა დიდად გვარინათა ვიეთმე შანშე დადიანთა თანა განდგომილ  
ქმნილ იყო, ამას-ზედა მუის მიმკდომ-მან სამდლე ჭყო ომთა სიმ-  
რავლე და ძველ ჭუნეთა. სიტყუთ და საქმით ბოლოდ დასტეხნეს,  
მსგავსად მეხის-ტეხისა, და ელვისა სახელ გარდახვეწისა შინა შანშე  
დადიანისსა, კელთ იგდო ქალაქი, ნების-ებრ თვისისა, და არა წარ-  
ვიდა მიერ ვიდრე არა განაგო კეთილად, და დაიმჭირა სიმტკიცედ,  
ტახტისა თვისისა შესანახავად და განსამაგრებლად, და დაუტყვა ივა-  
ნე ორბელი<sup>2)</sup>, მანდატურთა უხუცესი, თანა-შემწეობითა ამირ-სხა-  
სლარისა სარგის მკარ-გრძელასათა, და სხუათა თემისა დიდებულთა  
ახნაურთა, და ამიერ უზრუნველ ქმნილ-მან მოჭმართა თვსთავე სა-  
ნადირთა, და შესაქცევართა და სსინხარულთა.

რომლისა ჯავრისა-გან აღძრა სიბოროტე და ქედ-მაღლობა ავა-  
რიანთა და ისმაიტელთა, და შარიარმან, სულტანად მწოდებულ-მან  
თავისა თვისისა-მან, მწვეველ ექმნა ყოველსა შამსა, ჯახირასა და  
ღიარბეგისა, თურქთა თანა გარდმანისათა, არდოსის ძე, რომელი  
ხაზისა მისისა-გან დიდ-გვართა კუზის ძე, რომლისა მამა-მან ლაშ-  
ქრობათა შინა ხამარულად სახელ-განთქმულად გამოჩენილი ივანე-  
ახუჯეთას ძე, ლტოლვილყო. სალდუნსა საღრუკიანი, რომელია სულ-

<sup>1)</sup> Mon M-it: სახლად და სადგომად იგი ეპურათ.

<sup>2)</sup> Ou იოანე ორბელიანი.

ტანთა გვარტომობდა. სულად მრავალთა დიდთა ამხარიათა, და თათბაშთა <sup>1)</sup> სხარსეთისათა, თანა მსგავსად მკეცთა აღლესნა კბილნი, და დიდითა და მიუწოდებულთა ძალითა, და უამრავითა ლაშქრითა მოვიდა, და მოადგა ანისსა.

ხოლო ცნა ესე მეფე-მან გიორგი, ნაჭარმაგვეს, სახლსა სალხინოსსა, მდგომ-მან, კაც-მან მენე-მან და გულფან-მან, და ზეშთა შემმართებელ-მან წუობათა შინა, იკმნა დასნი ზემონი და ქვემონი, და ვითარ ითქმის, გმირი სობად გზასა, ეგრეთ მსწრაფთ შეირტყა, და წარემართა, და ჭსუფეუდა, აწლად დახედველი მცირეთა, და არდა-რა მომლოდნე ექმნა სახელ-განთქმულთა ჭაბუკთა ღიბთ-იმერელთა, და ვიეთმე ამიერთაცა, მინდობილი წყალობათა შემძლისა, და ხადა სახელსა ზე-ცათა მეუფისასა. რომელი აღრაცხა <sup>2)</sup> სიმრავლესა გარე-მოდგმილთა მტერთასა, გარდამვლელი მათათა შთავიდა შირაკად, რომელსა იახლად თანა-განზრახნად ივანე, მწიგნობართა უხუცესი, და სუმბატ სუმონ-ქმნილი, რამეთუ სხუათა საჭურველთა თანა საქმითაცა აღჭურვილ იყო, და ესენი დამშლელ ექმნეს მეფესა, სიმცროსსა-თჳს სხათასა. ხოლო არა დამორჩილდა მენე მენეთა და გოლიათი გოლიათთა, ჭეშმარიტად მიმღები მოწამეთა ღვაწლთა და გზრკუნთა, თჳთ სენხაობითაცა მიმსგავსებული გიორგი, ღვაწლისა მძლისათა, მან თუ ერთი ვეშაზი მოკლა, ამან ბევრთა ასპიტთა და იქედნეთა მსგავსთა სძლივნა უძლეველ-მან, ხოლო ანხინა-რა სხანი ურიცხუნნი საჩკინოზთანი, გარდაკდა ჭუნისა-გან, და მლოცველი ეგვდრებოდა ღვთისა, მკურვალედ, ცრემლთა ნაკადითა თჳალთა ზე-ცად აღიხილვიდა, და აღიღო საჭურველი, და მისცა ივანეს ძელი ცხოვრებისა, წინა-წარმდევანვანდა და ამკედრდეს გულითა განმანუელითა, ურთიერთარს განამკნობდეს. ხოლო შჯლნი ცხოვრებისანი თავსა თჳსსა სიკჳდილსა არა ჭრიდებდეს. ხოლო მეფე-მან, მტკიცედ აღმკედრებულ-მან ჭუნესა ზედა, კმითა-მით ხოსროვანითა განჭსცა დადადი, და სწავლა გულსა ანოვანთა და

<sup>1)</sup> Je lis თათაშათა.

<sup>2)</sup> T აღრაცხს.

გულფანთა სხათა თვსთა, ვითარმედ „კაცნო, ძმანო, ერთ-სუღნო და ერთ-სჯუღნო! თუ რა-ზომი კეთილ-არს საღმრთოთა სჯუღნა და ქრისტეს სახარებისა-თვს სიკუდილი, რომელთა სამარადისოდ ვჭნატრით ქრისტეს კუასთა შედგომილთა და მომკუდართა თვთ ბუნებით მოკუდავთა სხეულთა-გან, და ხედავთა თუ რა-ოდენ უფრეს სახელფან არს მკნებრივი სიკუდილი, ვიდრეღა სენითა განდნობით განსეულობასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გვევების, გვასმიეს ძველთა მომთხრობელთა-გან, თუ რა-ოდენი ღვაწლი თავს-ისხნეს საღმრთოთა ჭსჯუღნა-თვს ტომ-მან ებრაელთა-მან, და ახალსა ამას შინა აღთქმასა გუნდ-მან და მწეობრ-მან, მოწამეთა-მან. აწ ფრთფანნო ლომნო ჩემნო, ჩვენ-თვს ლახვარ-განწონილისა ქრისტეს-თვს ადვიზნეთ ლახვარნი და ორთანი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთაებისა მისისათა.“

და წარმომთქმელ-მან უკანასკნელთა ლოცვათა-მან, მოუწოდა ამი-ლახარსა მისსა, სუმბატის ძესა ლიპარიტს, და ბეგსა სურამელსა ქირქიშს, აბუღეთის ძესა, და სამ ათ-ასთა თანა მბრძანებელ-მან, მუნცა ღიმილით და სიცილით მლადობელ-მან, „მოემენო, იგიცა ვსჯობთ, რომელ-მანცა უმოსწრაფეს უხეთქნედ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი უცხო-თესლთა ამით.“ ესრეთ სსარებით მოქადულ-მან, განვლნა რაზმნი, და სუბერაზმნი, და განწონა კინენი, და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა, იქცეს მკვეთრ, და იკმიეს სიფლტოლა ძალიესა-ებრ ჭუნეთასა, რომელსა შინა აღესრულა სიტუტა წინასწარმეტყველთა, ვითარმედ „ერთ-მან წარიქციოს ასი, და ას-მან თქვენგან-მან ბევრეული, ამირ-სხასლარნი, დიდებულნი და ლაშქარნი.“ ამით აქეთ, მათ მუნით აღინეს ღვარი სისხლისა, და თვთ მეთუ<sup>1)</sup> აღექსანდრეს სვეთა და სიარ-შის მოემეობითა სდევდა, მრავალ-გზის მტლელი რაზმითა, სცემდა და

---

<sup>1)</sup> Mon M-it et R portaient მეფეს, mais dans le dernier s a été effacé, ce qui prouve, cependant, l'origine commune des deux copies.



იტემებოდა, სრვიდა და ისრლებოდა, და ბუნბერაზმნი <sup>1)</sup> მისნი თანა-შემწეობდეს, და ესრეთ დევნასა შინა, და ზეშთა კარდამატებულსა ძლევისა ზედა შთაეწურა მზე, და კვალად შეიქცეს სადგომად, და იხილეს სიმრავლე კელმწიფეთა, და დიდებულთა აზნაურთა და მონათა, სიმრავლე კარავთა და სარათარდათა, სიმდიდრე თჳალთა და მარკალიტთა ურიცხეთა, რქრთა ჭედითა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა, და ყოველთა განძთა, სოფლის სიმდიდრეთა და მონაკებთა, აღრიცხვად შეუძლებელთა, ესრეთ მმადლობელნი ღვთისანი იშვებდეს და იხარებდეს, ვითარ მზოვნელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თჳსი ნათესავისა, ზატრონი უმისა და უმა ზატრონისა. გამარჯვებულნი და აღვსილნი ყოველითურთ სიხარულითა იღიმოდეს და ამბორს-უყოფდეს ურთიერთსა, და ესე-ვითარსა განცხრომასა და სიხარულსა შინა თჳთ მეფე. მისით სზითურთ, კარდამოკდა, და თაყვანი-სცა ზენასა განგებასა არა ესვიდა მკლავთა სიმაცრესა, არცა სხვილ-ბარკალთა მამა-კაცისათა, არამედ ზეკარდამოსა შეწევნასა და მოხედვასა წმიდასა მარჯვენისა საუფლოსასა უკალბოდა, დამხედ სიმდაბლით დავარდა წინაშე უფლისა ღვთისა საბათისა, და ცრემლთა მიერ ადგილი-იგი დაასოფლა, და მერმელა დაჯდა განსვენებად, და აღებად ბევრის ბევრეულთა-გან ნიჭთა მცირედ მცირედისა.

და ეგრეთცა აღვსებულ-მან საჭურჭლეთა მიერ, აღმსხმელ-მან კელმწიფეთა და დიდებულთა, აზნთა და მონათამდის, სამ დღე და მეოთხელ-მან კართა ანისისათა, და მაურვებელ-მან ქართლისამან და მას შინა დამაყენებელმან ამირისა და ლაშქართა-მან, მუნით აიყარა და წარმეყმართა, ზირითა მხიარულითა, წარმოავლინნა მახარობელნი წინაშე ფილქოსოფოსთა, და ზატრიაქისა, რომლისა ლოცუა თანა-შემწედ ჰქონდა, და თჳთ, განათლებულითა ზირითა, ზირველად მივიდა განმზრდელისა თჳსისა და მამი-დისა წინაშე, თამარ დედოფლისა დედოფალთასა, რომელ-მან დაალტო ზირველად ცრემლითა, და მერმე სიხარულითა კარდარეულითა. და კვალად შეეყარა ცოლსა თჳსსა, ურცხვენელითა ზირითა და ახოვანითა

<sup>1)</sup> Lis. ბუმბერაზნი; la même faute se voit en R.



სახითა, ამას ესე-ვითაჲსა მისსა მოკვამულობასა და გაზეებასა, და აღმატებულებასა, რომელ-მან აღვლნა უოვლითურთ საზღვარნი ზანათა და მამათანი.

ხოლო განისმა-რა ამბავი-ესე საკვირველი, ამოწვევტა შამის და ჯაზირისი, სომხითის და აზრუმისა ლაშქართა, კელმწიფეთა და დიდებულთა, მიესმა სულტანსაცა ხვარასნისა და ერასისასა, და სალიფას, მხერობელსა დიდისა ბაბილოვნისსა და ცრუ სჯულის მღებელსა სარკინოზობისსა, და ვარაზგ, ათაბაგსა სზარსეთისსა. მოაწვიეს და შემოკრიბეს უოველი ისლემობა, და შეიყარნეს რანს, და მომართეს ქვემო კერძო, ქვეყანასა სომხითისსა და მოადგეს ციხესა გავსა. აღიდეს იგი და მოაპყრნეს უოველნი საზღვარნი მისნი, ხოლო ცნა ესე სახელ-განთქმულ-მან და უძლეველ-მან მკედარ-მან, და უებრო-მან ჭაბუკ-მან გიორგი მეფე-მან, მსწრაფლ შეიყარნა შვიდნივე სამეფონი მისნი, იმერნი და ამერნი, ზემონი და ქვემონი, და გამოსახნა ოგსნი, და ქვეყანანი დიდ-ძალნი, და მომართნა სულტანსა, რომელი მოსრულ იყო აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა. რამეთუ იუჟნეს აქათაც სიკეთე და სიდიდე დაუსრულებელი, მიმართეს და განვიდეს მთასა ბუბაქართასა, და ვითარ ცნა ესე სულტან-მან და ათაბაგ-მან, და უოველთა ოვალავანდთა და დიდებულთა მათთა, და თქვეს, ვითარმედ „აჲა აჲს დღეს კაცი ქვეყანასა ზედა ზირის-ზირ შემბმელი გიორგისი და ლაშქართა მისთა. მივრიდეთ და დავეფარნეთ ზირისა მათისა-გან.“ და დამურელთა უოვლისა სანოვაგისათა, და უფროსდა გავს შინა მუოფთა ლაშქართა-მან აღიძრნეს, და წარვიდეს, და ვითარცა განვლეს წყალი ეკლეცისა, რომელსა შინა მსწრაფლ მსროლლობა-მან და ჯარ-მან, და ეწივნეს ლაშქართა, დაუწვეს ჩამოყრა და კოცა.

ხოლო ესე რა ცნა კელმწიფე-მან და სვე-განმდიდრებულ-მან მკლავ-მან აქილეველ-მან, და გულ-მან მადნიტოვან-მან, მიეტყვა სახელ მკეცისა, გარნა უქმ იქმნა ესე ვიეთ-განმე. რამეთუ ძლევედ განმზადებულსა წინა-აღმდგომ და დამახრწვეველ ექმნნეს დიდებულთაგანნი ვინმე, ვიდრე სადავეთა დაჭედებადმდე. ხოლო უფროსდა ვარდან კოლონკელის ძე, რომელსა მას უამსა, ერისთავობაცა ეპურა.

ჭკრეთისა, კაცი დღითა მომწესებული, და ბრძოლასა შინა ძლიერი და გამოცდილი. ნუ უკუჭ შურ-მან და მტერობამან ჭეო ერთი-ერთისამან, და არდა-რა მიუშვეს, მეტუველთა ესრეთ. „ვინათ-გან გაქცეულა სულტანი, უოვლითა სპითა მისითა, ნურდა-რა აღზავებული, მკადრებლობ, ჯვთისა-გან ესრეთ ამაღლებული.“ არამედ იყო სიტუჟა მათი უსიტუველ, საქმე უსაქმო და მიზეზი უმიზეზო, გარნა ვინათ-გან მეფე ცნობითა ბრძენი და მომსმენი იყო, დამოტყიდდა და კვალად ეგო განმურელი ლაშქართა თხსსავე შვებასა და სიხარულსა და ნადირობასა შინა. შემდგომად ამისა სულტანი და ათაბაგი, უოვლითა სპითა და ძალითა მათითა, ადვიდეს გელაქუნად, და მიერ მოირთეს ძალი, და მოვიდეს კართა ანისისათა, და ზემოთ შაჰერმანი, და უოველი კელმწიფე არაბეთით-გან, მას უამსა შინა ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელ-განთქმული მოლაშქრე, და განმზადნა საბრძოლველნი და მანქანანი, მრღვეველ მან და მარბეველ-მან და ამაოკრებელ-მან კარეშემოთა ქვეყანათა-მან. ესე ამბავი ვითარ მოისმა ქვეყანასა ამას, და მოიწია წინაშე მეფისა, რომელი მცირედითა ლაშქრითა დგა შორის მათათა ლორისა და დმანისისათა, და ნადირობდა და იშვებდა, რომლისა წინაშე მოსრულდა იყო მოციქული სულტანისა, კაცი მოგვი და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და განმხილველი ლაშქართა დგომისა, ვითარ ითქმის ჰინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა. იგავი ბუთისა და ყვავისა, ეგრეთვე ამან, სახელ ყვავისა გამოცდელ-მან ლაშქართა-მან, მოისხნა ფრთენი, და ადფრინდა, და მივიდა წინაშე სულტანისა და ათაბაგისა, და მეტუველ-მან ესრეთ. „აჰა ჟამი კვალად-გებისა ჩვენისა. უკეთუ აწ არა მიხვიდეთ, სხჟა ჟამი ვერდა-რა ჰზოთ.“ ვინათ-გან იხილნა მცირედითა მდგომი, ამის-თჳს განლაღნა სვე-ამაღლებულსა და ძალითა და ახოვნებითა შემმართებულსა მეფესა ზედა. ხოლო ესმა-რა მათ ესე, ფრიად მხიარულთა აღიწრაფეს, და ღამე იგი უოველი აღწრათეული წარმოემართნეს, და ჟამსა განთიადისასა მძინარეთა ზედა დაესხნეს ესრეთ უგრძნეულად, რომელ ძლით უსწრო შეჭურვა და ამკედრება ჰუნესა ზედა. ამას-ზედა ივანე ამირ სპასალარ-მან და სხჟათა დიდებულთა კინდა და შე-

ჰერობის სსხედ იძულებით წარმოიყვანეს, და გამოემართნეს, ესრეთ შეტყუებულთა; „ნუ უკუჩქ<sup>1)</sup>“ ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათ-გან უოგელსავე სსქმესა ჟამი მიასჩანს. რამეთუ ოდესმე აღექსანდრეტა უძლეველი იძლია დედა-კაცისა-გან; და ეგრეთვე სსმფსონ დალილასა-გან, და სოლომონ სიბილასა-განა, და სსხენი სსკელმწიფეთა ძლეულებისანი წინა უუენეს: „და ნუ უკუჩქ, რომლითავე განვარისხეთ ზეტათა მეუფე, მომცემი შარავანდედობისა შენისა, და სწორად ძისა ინება განსწავლა შენი. ვითარცა მამა-მან შჯლთ-მოყუარე-მან ამაღლებულსა ძესა დავითიანსა ზედა, ვინად-გან იგიცა იღევნებოდა სსულის მიერ, მეფე და წინასწარმეტყუელი, უფროსდა მამად ღვთისა განჩინებული. აწ ჩვენცა თავს მღებულთა ვიკმიოთ სივლტოლა, და კვალად შემძლებელ-მან უოგელისა-მან და მომნიჭებელ-მან ძლევისა-მან, ჩვეულებისა-ებრ მოწყალებისა მისისა, მოგვაგოს უძლეველობა.“ და ესრეთ იძულებით წარმოიყვანებულნი, და გამომართულნი მრავალ-გზის, იგი და მისნი მოემენი, რაზმისავე შინა იზოვნეს კარე უკუნ-მქცეველნი. და მიმბრუნველნი ჰკოცდეს და ჩამოჭყრიდეს სსზათა მათთა, რომელთა სიმეჩითა ესე-ვითარი უცნო და განსაკრთმელი სსქმე ეხილვს, რამეთუ არს დიდებული, არცა აზნაური, არცა კარგი და სსცნაური კაცი აზნაურის ემაცა, დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა, თვნიერ ერთის ჯვარის მტვირთველისა, ქანის ძეს, და ერთის ბედითის კაცის აზნაურის კიდე, გარნა ჯვარი წარმოყუანებულ იქმნა მშვიდობით და უვნებელად.

ჰი, განსაკრთმელი სიმეჩე და სიქველე, და უფროსდა კელი სსუფლო თანა-შემწე, ვითარ რომელთა წუობათა შინა, გინა ძველთა, გინა ახალთა, სმენილ არს ესრეთ უვნებლობა უგრძნეულად დამსხმელობასა შინა ესე-ოდენთა სსზათათა, ვინაცა ესე რა იხილეს ისლემთა, შემდგომად ამისსა განიფრთხვეს და თქვეს, ვითარმედ „უკეთუ ესრეთ უგრძნეულად დამსხმელთა ვერ კელთ ვიგდეთ, და ვერა-რომელი ვნება შევამთხვიეთ, აწ დევნა გრძნობილისა აჩრდილთა უკვე არს დევნა მათი, და წიადითა შეპურობა ქარისა.“ მაშინ შეიქცეს

1) T მეფე.



და წარვიდეს სირცხვილეულები, აწ უკუწ წარმოითხველები. ამისნი და მცნობელები, განიცდიდით საკვირველებათა ღვთისათა, ვითარ წერილ არს ფსალმუნთა შინა, „საზღვარი დასდევ, რათა არა გარდაკდეს“. ვითარ ითქმის ზღვსა-თვს, და კვალად კესარიელთა მნათობისა დიდისა ბასილის მიერ აღწერილი, ბუნებით მეტეველებისა-თვს, „ვითარ ჩიტი აღკუნთ ბაგესა ზედა ზღვსასა დამსხმელ იქმნების კვერცხთა ხალხი ოკვრანი და ლევა-ტეხილობანი ზღვსანი ვერ შეარევევენ, და ვერცა გარდაჰკდება ბრძანებასა ღვთისასა, და დამცველ იქმნების მართვეთაცა აღკუნთისათა,“ ეგრეთვე, უკეთუმცა მიეშვა ზენასა განგებასა, და არა უკუნ-ექცივნეს სიმკნესა და სიქველესა მეფისასა და შიშსა სხათა მისთასა. წარტევენილ და მოკრებულმცა ქმნილ იყო უოველები არენი და აღვილები უმანკონი სამეფოსა მისისანი.

შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვსსავე შემამულებსა, და ათაუჟანს თვსისა თავისა უმად. და თვთ შემოეხვეწა ელდაგუზ ათაბაგი, და ჩამოდგა შუა სულტნისა და ქართველთა და ითხოვა ზავი. აქათ დედოფალი რუსუდან, დაჲ მეფისა, სულტნის ცოლ უოფილი, ჩამოდგა შუა და შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ რა-ოდენმე. ხალხი თვთ მეფე დაჟდა სიხარულად და განსვენებად, და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს, და მიუწიის ზღვად ჰონტოსა, მოვლის და მოინადირის აღანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი, და ოდესმე ზღვადმდე გურგანისა, და ამას შინა ჰსუთევედა და იხარებდა, ვინათ-გან უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელთა მოახსენეს, ესრე სახედ. „არა არს ღონე და რჩომისა ჩვენისა თვნიერ ლაშქრობისა და რბევისა.“ ხალხი ისმინა მეფე-მან, წარსცა ფიცი და ზავი შინაურთა, და ერთსა დღესა შინა დაასვენეს ჰამანი ლაშქრობისა, უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა. ხალხი მესხთა და თორელთა, კარისა და ამოჩინისა, და ამირ-სხასალარისა და სომხითართა, მტკვარს აქეთ ვიდრე განძამდის, თვთ ხას-გაიანთ<sup>1)</sup> ლიხთ-იმერთა და ქართუჭლთა, განძისა დამართებით,

<sup>1)</sup> On peut lire aussi ბასილიანთ; dans Mon M-it, სარაგაიანთ; v. p. 282, add, du M-it T et la Traduction.



მტკვრის ზირი, ამიერ და იმიერ ხალთამდის, და ზერთა და კახ-  
თა, აღაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის, იქმნა ესე-ვითარი  
უცხო დაშქრობა, რომელ არა-ოდეს ვის ეხილვას, ესე არა უღარეს  
მიჩნს ამბაკომის აღტაცებასა, და დანიელის მიმართ მსწრაფელ მი-  
უვანებასა, არცა ელიას ცეცხლისა ეტლთა მიერ მსწრაფელ აღტაცე-  
ბასა, რომელი ესე იქმნა დღეთა ამათ ჩვენთა, ღვთისა არს საკვირ-  
ველება ესე, და არა კაცობრივისა ძალისა, ესრეთ წამსა შინა მლამ-  
ქვრელ-მან და ადვსებულ-მან ურიცხეთა საუნჯეთა მიერ, გარდავლ-  
მთა და იზოვა მუნვე გეგუთს, რომელი მუნ მეფეთა ძლით-სადამე  
აკწმუნეს უფთა ამისი.

აწ რომელ-მანმე ენა-მან ანუ რომელ-მანმე გონება-მან შეუძ-  
ლოს აღწერად ანუ გამოთქმად და უკეთუ კელ ჭეოს თვთოეულად  
აღწერად, საწუენმცა იქმნა სიმრავლითა აღწერილთათა, და საკვირ-  
ველ და დაუჯერებელ სასმენელად, ვინათ-გან დავითიანობა და სო-  
ლომონიანობა ამას-თანა ცხადად იხილვებოდა, ცხებულსა თანა ღვთი-  
სსა, ამასცა სოლომონის-ებრ ჭმონებდეს უფელნი მეფენი ქვეყანი-  
სანი და ძღვენის მრთმელობდეს წინაშე მისსა. რამეთუ მოვიდა-  
ოდესმე წინაშე ამისსა, ანდრანიკე კომონიანოსი, ცოლითა სახე-  
შვენიერთა და ბრწეინვალითა, თანა შვილებითა და დის-წულითა,  
მამის ძმის-წული დიდის მანოელ კეისრისა, უფელისა დასავლეთისა  
და საბერძნეთის მეფისა, და ვითარ ჭმართვედა, ეგრეთ მმადლო-  
ბელ-მან ღვთისა-მან, შეიწუნარა და მისცა ჰატავი შესატყვისი სახ-  
ლის შჯლობისა მისისა, და მისცნა ქალაქნი და ციხენი კმა-საყო-  
ფელნი მისნი. და დაუდგნა საჯდომნი სიანლესა საუდრისა თვისისა-  
სა, ზირის-ზირ მამის დის-წულისა<sup>1)</sup> თვისისა, აღსართანისა, რომე-  
ლი შეეუ იყო მოვაკანისა და შარვანისა, და ზღვის ზირისა დარუ-  
ბანდით ხილხალამდის. რომელი მეფეს უჩნდა ვითარცა შვილი, რა-  
მეთუ მამიდისა მისისა თამარის ძე იყო, რომელი ზირველ განეთ-  
ხოვა მუნ მეფესა დიდსა დავითს. ესე შარვანშა შემოხვეწილ იყო

<sup>1)</sup> Mon M-it. მამის ძმის წულისა; R ajoute მამის entre lignes; ce mot manque à T.

ოდესმე, დაჭირვებულნი დარუბანდელთა ხაზართა-გან, მაშინ შეიყარ-  
ნა ლაშქარნი იმერნი და ამერნი, და თუთ ძმაცა მეფისა ბერძენთასა,  
ანდრეიკე თანა წარიყვანა, და მივიდა ვიდრე კართამდე. დარუბან-  
დისათა, და მოაკურა ქვეყანა მუსკურისა და შარბამისა, და აღიღო  
ქალაქი შაბურანი, რომლისა კართა თუთ, მჭურეტელობასა შინა მე-  
ფისა, დიადად მოსაწონელ იქმნა ანდრეიკე, თუთ მის-გან და ყო-  
ველთა სპათა მისთა-გან, და უბოძა ქალაქი მამის დის-წუღსა მისსა  
შარვანშეს, და მუნიდადმან მრმრბეველი ბასიანისა, რომელი-ესე უც-  
ხო იყო კაცობრივისა ძალისა-გან, შემოიქცა. მუნით გამარჯვებულნი  
იშვებდა და იმთხვიდა საყოფელთა შინა თუსთა.

ოდესმე გაგზავნიდის სპათა თუსთა და სპასალართა, და მიუ-  
წევდის ვიდრე ნახჭევანის კართამდის, და ოდესმე მასისამდის და  
დაღვამდის, ოდესმე ბარდავამდის და ბაღუუნამდის, ამას ესე-ვითარ-  
სა გამარჯვებასა და გაზეებასა შინა, განამრავლნა საჭურჭლეინიცა,  
და დაღვა თუთ მისით მონაგებით, და მისთა ნატევენავთა-გან მო-  
გებულნი ციხესა შინა უჯარმისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ  
გურგასლისა-გან, რომელსა შინა აღესრულა ღამი-იგი ღამთა, და  
გოლიათი გოლიათთა ვახტანგ, ხოლო სანადირთა ქართა და ძაღლ-  
თა სიმრავლე, და სიტურთე და მოკაზმულობა, არა-ოდეს ვის-გან  
ქმნილ არს, არცა წიად-მომართ ყოფად არს.

ამას ესე-ვითარსა სრულ-ყოფასა სოფლისა და საწუთთთა გე-  
მთა შინა ქცევასა მიიწითა ძმის-წული მისი დიმიტრი, შუღი ძმი-  
სა მისისა უხუცესისა დაფითისი, სახე-კეთილი და ყოფლითა კელფე-  
ნებითა მარჯვე, და განსწავლული ზნე-კეთილობითა, მსგავსი სახ-  
ლის შვილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმნ მათ ყოველთა  
სიკეთეთა და სწავლულებათა, სახე-უკლებობათა და ჭაბუკობათა, იგი  
ექმნა მკრეხელ და განმამწარებელ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა,  
უშიშროება ღმრთისა, და გარდამავლობა ჭსჯულისა ქრისტეს მცნება-  
თასა, ვითარ თანა შთამამავლობა და გვართა უბედობა ამის სამეფო-  
სა კაცთასა, ვინათ-გან დაფითცა, მამა-მან მის-მან, დალატსა და  
განდგომილებასა შინა მამისა თუსისა, დიდის დიმიტრი მეფისა,  
მოსწევინა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსარია-ქმნიდ,

და რამეღნიმე სიკუდილით, და რამეღნიმე განხატეუებით, აქაცა მსგავსად მისსა შევიდა ეშმაკი გულისა და გონებისა მისსა, და მის- მიერ შეჭრისხდა ღმერთი ორბელთა, და ყოველთა ტომთა და მი- მდგომთა მათთა, სამცხელთა, ჭერათთა, კახთა, და სადაცა-ვინ ნათე- სავი და ნატამალი მოსმეხარ მათდა იყო. იქმნა განდგომანი, ბრძო- ლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი, ხალხი მოქმედ-მან სამარ- თაღთა-მან ღმერთ-მან, არა მიუშვა ვითარცა დავითის ძე აბესალომს, არცა ამას ჭსცა უფლება, ვითარცა ითქმის წმიდასა სახარებასა ში- ნა: „უკეთუ ჭრქნას შვილ-მან მამასა ანუ დედასა კარბან, რამეღ- არს ნიჭი, რამელი ჩემ-გან სარგებელ გუოს, სიკუდილითა მოჭ- კვედინო“. ამის-თვსცა არა წარემართა ძეს მამისა წინა-აღმდეგისა- სს, და თვთ ამისცა წინა-აღმდეგსა, და განდგომილსა მეფისა დვითის- მოუჭარისსა, და მიეცა ძლევა გიორგისვე, მძლეოთა მძლესა.

მაშინ შეიყარა ლაშქარი ქალაქით ტფილისით და მიმართა, და სომხითისა მთასა შინა მეოფესა დაეკვეთნა ძლიერად, იოტნა და გა- ნაქცივნა დიმიტრი და მიმდგომნი მისნი, და შეიხვეწნეს ქალაქ- სს და ციხესა შინა ლორისსა, და მოუხვნა ყოველნი სიმაგრე- ნი და ციხენი, რა-ადენნი მას მძლავრობით დაეპურნეს, მაშინ წარ- მოვიდეს დიმიტრის სარკის მკარ-გრძელი, შვილითა და ძმის-წუ- ლითა მისითა, ძმა და საუჭარელი ორბელთა, ესე შეიტკობ და შე- იყვარა მეფე-მან და მისცა მისანდობლობა მსგავსად გუარის შვილო- ბისა მისისა. და მომრბეველ-მან ტაშირისა და ლორისა, ვიდრე კარ- თამდე, დაიბანაკა აკართა. მაშინ დიმიტრი, მეოფე-მან ციხესა შინა ლორისსა, წარგზავნნა ლაშქარნი რამეღნიცა დარჩომოდეს ერთ- გულბასა შინა მისსა, და სხუანი თემისა და თემის მესხნი, თარგელ- ნი, ქართველნი, სომხითარნი, და თვთ გამზრდელი მისი, მეჭინი- ბეთ-უხუცესი ჭიაბერი, და მივიდეს ქვეყანასა ჭერეთისსა, და მე- ნით მოიკმეს ჭერეთის ერის-თავი და ყოველნი ჭერნი, სრულითა ლეკითა და კავკასითა, და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი, და მკვეთრ კვეთებანი, რამეთუ იუჩნესცა ორ-კერძვე გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი, ამას შინა ჭსდლო მსჯავრ-მან სიმათლისა-მან, და გააქ- ცივნეს ჭერნი დიდბუღნი, აზნაურნი და ლეკნი. ხალხი შეიხვეწნეს



კრიკლასათის ძე, ფიცხელი და კარგ-მეომარი, თუთ კელ-დაკო-  
დილობითა და გამოკვლეოთა ცხენისათა, შეიპურეს იოანე ვარდანის  
ძე, რომელი ითქმოდა პირველით-გან ორ-გულად, და მთხრებლად  
მთხრებლისა, და მის-თანა შოთაცა, ძე ართავანის ძისა. ესენი, ვი-  
თარცა შინათ გამოცემულნი <sup>1)</sup>, განზრახ განგებითა, კელთ იპურნეს,  
წარმოემართნეს და მოვიდეს წინაშე მეფისა ღვთივ დაცულისა. ხო-  
ლო განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, ვინათ-გან ჰხედვიდა  
დმერთსა თანა-შემწედ თვსად, კელის-ამპურობელად, და მარად-დე-  
მარჯვეობისა მომცემსა მრავალსა მადლსა აღუარებდა.

მაშინ მეფე, აგარას მეოფი, აღიძრა, აღვიდა და მოადგა ქა-  
ლასა და ციხესა ლორისსა. ხოლო მას უამსა წარგზავნეს სპარ-  
სეთს დიმიტრის ქართლის ერის-თავი, სუმბატის ძე ლიპარიტ და  
მეჭინბეთ-უხუცესი ქავთარ, ივანეს ძე, რომელნი-ესე გიორგის-  
განვე იყვნეს კელის-უფალნი, და ანანია დვინელი, ზოგნი შაკრმა-  
ნისა თანა, და ზოგნი ელდაგუზის ძეთა თანა, რათამცა მოჰხადეს  
თანა-შემწედ თვსა. ხოლო მათ დადაცათუ ინებეს თანა-შემწეობა  
დიმიტრისა, და თანა მოჰყუცეს, არამედ უქმადვე უკუნ-აქცია მართლ-  
მსაჯულობა-მან ღვთისა-მან, ამას ზედა <sup>2)</sup> დაუდონოვდეს ციხესა ში-  
ნა ლორისსა მეოფნი. იხილა-რა დიმიტრი თავი თვისი უფლითურთ  
შეუწევნელი, მოიბა საბელი და გარდამოხდა ციხით და მოჰმართა  
თვსსავე ბიძას <sup>3)</sup>, და ამირ-სპასალარი და სხუანი რომელნიცა და-  
ხეს ციხესა შინა უვნებლებით გამოასხეს ციხით, და მოჰყვანდეს წი-  
ნაშე მეფისა, სვე-სრულისა და ამაღლებულისა. აილო ლორე, დაიმ-  
ჭირა თავისა თვისისა-თვს. ხოლო მას უამსა მუნით წარმოვიდა, მო-  
რჭმული და ზე-ამაღლებული, და ურჩითა და მტერთა თვსთა არა მი-  
აგო მსგავსად მისაგებელისა მათისა, არამედ შენდობით და წყალობ-  
ბით ჰსწვართნა, და რომელნიმე ექსორია უვნა უცხოთა ქვეყანათა;

1) T გამოცემულნი.

2) T შინა.

3) T ბიძასა.

და თვით მოვიდა ნაჭარმაგვეს, იშვებდა და იხარებდა, და მადლობდა დმერთს <sup>1)</sup>).

შემდგომად ამისსა, მეორესა წელსა, შეიყარა ყოველით სამეფოთ თვისით, შემოიქცა ღანუკით ნაჭარმაგვეადვე, და შემკრებელმან შვიდთავე სამეფოთა თვისთა-მან, აწ მოუწოდა ცოლსა თვისსა, დედოფალთ დედოფალსა ბურღუ-ხანს, რომელი იყო ასული ოფსთა მეფისა, რომელი ჭმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა, სიბრძნითა და გონიერებითა, და სიტუროფითა და შვენიერებითა. რამეთუ მისებრი სძალი არა უხილავს ქვეყანასა ქართლისსა, და ვითარ იგი ჭმატდა ყოველთა სიკეთითა. ეგრეთვე დედობითაცა თამარისითა უმეტესი იყო ყოველთა, და თანა <sup>2)</sup> განზრახვითა და გამორჩევითა მისითა, და უფროსდა განგებითა ზენისა-მის ყოველთა შარავანდედთა მინიჭებითა, შჯლი მათი თამარ, ნათელი და ბრწუინვალება თვალთა მათთა, და გვრგვნი და მანიაკი ყოველთა მეფეთა და კელმწიფეთა, მეფეჟ ჰყო, თანა-დგომითა ჰატრიაქთა და ყოველთა ეპისკოპოსთათა, დიდებულთა, იმერთა და ამერთა, ვაზირთა, სპასპეტთა და სპასალართათა, და დასვა მარჯვენით თვისსა, მეფე და დედოფალი შემკული, და შემოსილი ჰირად-ჰირადად ფესვედითა ოქროვანითა, ბისრნითა და ზეზითა, რომელსა ჭხადა მთად დგთისად, მთად ჰახილად და მთად შეზახილად, და დაადგა თავსა მისსა გვრგვნი ოქროსა-მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა და სამარაგდოთა მიერ, და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე ჰირსა მისსა. და თვით მეფე-მან მოვიცებელ-მან ერთ-გულობისა და ერთ-სულლობისა მისისა-თვს, და ცრემლით მღტოლვარე-მან, შეჭვედრა იგი დმერთსა, და აკურთხა კურთხევითა ახრამიანითა, რომელი ჭხანს ვითარცა მზე ვიდრე მოდდებიდესად დედემდე, მამისა კურთხევა შჯლსა ზედა სუფარელსა, ნარნარსა და მშვიდსა, მსგავსად დავითისსა და ლოდისა-მის-ებრ დანიელის მიერ ხილულისა, რომელი გამოეკვეთა მთისა-გან, იმატა და მატოს, და მერმეცა იმატა ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, და ლოდ

<sup>1)</sup> Ici T aj. en marge: აწ დაიწყო ცხოვრება თამარისი.

<sup>2)</sup> T ყოველთა და დათა.

საკიდურ, არა ღოდ შებრკოლებისა, და შემუსრნა უოგუენი ხატნი და კერპოვნება ოქრასა, ვეცხლისა, რკინისა და რვალისა, და კეცისა, რომელნიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და ანდრიანტები, და რომელნიმე ხილულთა მბრძოლთა და წინა-აღმდგომთა ძლიერებანი და სილადენი, რომელნიცა შემდგომ-მან სიტუჟან-მან საცნაურ ჭეკს, რომელი გვეგულები ალწერად. ხოლო ჩვენ პირველსავე სიტუჟანსა მოვიდეთ.

და ვითარცა ქსრეთ განსცხრებოდეს და იშვებდეს, და არასადათ იყო მავნებელი გინა ვნებული, არამედ უოგლითურთ მონარული და გაზეებული იმთხვიდეს და იხარებდეს, მაშინ მოიწია თანა-ხადები-იგი ბუნებისა ჩვენისა, და საწუთოსა ამის პირ-უტეშმარიტობა და სიმუხლთე. და მიიცუჟალა დედა თამარისი, უოგლითურთ სიკეთე-აღმატებული, დედოფალი ბურდუ-ხან, და თუ ვითარნი ვაგბანი და ტუებანი იქმნეს, ჟამსა-მას, შემსგავსებულნი მოსაწევარისა მათისა, სიტუჟთ გამოთქმა შეუძლებელ არს, და ალწერად შეუკადრებელ, და საწუინო მსმენელთა-თჳს. ხოლო მეფესა, გეგუთს მუოფსა, უთხრეს ეს-ოდენნი ამბავნი ზარის სახდელნი, ამოხვრელ-მან თმათა და წვერისა-მან, აღისწრაფა შეურა საუფარელისა თჳსისა, ესე-ვითარისა დედისა-გან უსამშობლო ქმნილისა, ტკიბილისა შჯლისა თჳსისა თამარისა. რომელსა ნათელ-ცისკროვნება ჭყერისა მისისა სიმრუმედ გარდაქცეოდა, ხოლო ნაკადულნი ცრემლთა მათთანი, ურთიერთარს ხვევნასა შინა, ოთხთავე თვალთა-გან, სახედ სამოთხისა მდინარეთა, გეონის-ებრ მცენარეობდეს, და ვითარცა წესისაებრ იგლოფეს უოგელთა ქართველთა, კვალად იმედის მდებელ ექმნა შჯლსა საუჟარელსა და სატურთოსა, არა უმეტეს ზომისა გლოფად. ვითარცა არა იყო თამარ გარდამსულელი წესსა და საზღვარსა საღმრთოთა ჭსჯულთასა, მორჩილ ექმნა მამასა თჳსისა, და მიმულოელ უოგელსა ბრძანებასა მისისა, და შემდგომად გლოფისა-მის გარდახდისა და მოქცევასა წელიწადთასა, კვალად იშვებდა და ნადირობდა, მომულოელი მათთა და ბართა, ბრძანებით მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილსა და სამხრისა, რამეთუ ამას სძლნობდეს და ძმობდეს მეფენი ბერძენთანი და ჳრომთანი, ჳინდლოთა და არაბთანი, ეგ-



რეთვე სულტანნი ხვარასანის და ბაბილოგნისა, და შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი და აღმანნი <sup>1)</sup>). ხვარასანი და ხვარაზმ-შაჰ, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელებნი, და ყოველნი ერნი, ენანი და ნათესავნი, მალრიბით მაშრიყამდის.

ამას ესე-ვითარსა გაზეებსას და ამაღლებასა, სვე-სრულობასა და სოფლისა მონაგებთა და დიდებთასა, აჰა მოიწია ჟამი ევას წყევლისა და აღმის ცთომათა-გან, დანასაჯი, და ყოველთა ტომთა მათთა ზედა თანა-წარუვალი ვალი სიკუდილი, ყოველთა შემჭამელი, და მიწადგე მიმაქცეველი, რამეთუ ვითარცა თვთ ღმერთ-მან და ძე მან ღვთისა-მან, ჩვენდა მომართ მოსრულ-მან კორცითა-მით აღმიანთა, დიდმან მიიღო სიკუდილი, რა საკვირველ არს უკეთუ მიწით მოღებულნი მიწადგე მიიქცენ, ეგრეთვე ამან დიდ-მან და სვე-სრულ-მან, და ყოველთა ღვთისა სათნოთა ქცევათა და კაცობრივთაცა შინა უზესთაეს-მან <sup>2)</sup>, და უახლოეს-მან ყოველთა მის უამისა კაცთა-მან მეფე-მან გიორგი, მიიღო სიკუდილი მასვე მსგეფსსა ქრისტეს ვნებისსა (ქკს, ტჟდ), ესე-ვითარი საგოდებელი და სადადაღო მოსწევარი მოიწია, რომელ ითქმოდაცა ორუმცა განსახეთქელი კლდეთა და შემფრელი იატაკთა, და დამაბნელებელი მნათობთა.

ესმა ესე მეფეთ მეფისა-გან თვთ მეფე ქმნილსა თამარს, ქალაქსა შინა ცოფილისისსა მჯდომსა, ციხესა შინა ისანს. მაშინ ყოველითურთ სამოთხისა მსგავსი სამყოფი იქმნა მსგავს ჯოჯოხეთისა, და შვებათა წილ და მუსიკობათა აღხდეს კმანი ვაებისა და ტყეებისანი: თამარ, ზირი-იგი ეთეროვანი და უკომირო ჰაკრი, და უმრუმო ნათელი, შეიზღუდა ბნელითა, და დამოხვრელი თმათა, იკოკდის დაწვთა კელითა მულდაზაროვანთა, და წყარო სისხლისა უსწრობდა ნაკადულსა ცრემლთასა. ხოლო დაჲ მეფისა რუსუდან, გამწრდელი თამარისა იყოფოდა სამშვილდეს. წარვიდეს ჰატრიაქი და დიდებულ-

<sup>1)</sup> Lis. აღანნი.

<sup>2)</sup> T écrit toujours ce mot ზეშთა: les deux orthographe mn paraissent également bonnes, par ს ou par შ; Dict. Triglotte.

ნი წარმოიფანეს მუნით, შერავიდეს ტაძართა სამეფოთა, და მხილველთა თვალთას იხილნეს ამაღლებული, და სვე-სრულებით გაზეობული ტახტი, და სასველებელი მეფეთა, და ცლილი და ოკერ ქმნილი, და კვალად იხილა გაზრდილი თვისი თამარ ესრეთ მეფოთი, გარდამხვეველნი ურთიერთარს, სისხლ-რეულთა ცრემლითა კმასა აღუტევებდეს ვაებისას. მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაილ ჰატრიაქი, ყოველთა ეპისკოპოსთა თანა მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირ-სპასალარი ყუბასრა. და სხუანი კელის-უფალნი, მეჭურჭლეთ-უხუცესი ვარდან, და მდივანი ჩუჩუკასი ჭიაბერი, მეჯინბეთ-უხუცესი აფრიდონ, მსახურთ-უხუცესი იოანე და დიდებულნი აზნაურნი, მონანი და მოემენი, თანა ჰორფირით და გვრგვნით, სკიპტრითურთ, და საჭურჭველთა სვიანად გამარბულთა კვალად ამხილველთა იხილესცა სრამ სავსე მეომართა, რაზმები და რაზმები, სპები და მონასპები, და კვალად ქალაქებ და ციხეები აწყვედილი და ოკერ ქმნილი, და თუთ იხილვებოდა, ტანითა გურგასლიანითა და პირითა მნათობიერთა, უსულოდ და უძრავად მდებარე, რომელმანცა ენა-მან გამოთქვა, ანუ რომელიმცა სახე მოიღებოდა უსახოს-მის დღისა, რადენნი გლოფანი, რადენნი ტეებანი, რადენნი ვაებანი და რადენნი სისხლ-რეულთა ცრემლითა ნაკადნი ათას კეცნი, რომელნიმე მოთქმანი და მოხსენებანი აღამისნი აბელისდამი, და დავითისნი იონათამისდამი, და იაკობისნი იოსებისდამი.

ამა ესე-ვითარსა გლოფასა და ბნელსა სახლთა შინა შეწყვედევასა, შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა, და კიდე-ქმნასა ყოვლისა საზოგადოსასა, მიმყოფრდა უამი გლოფისა, ვერდა-რა ეძლოთ ქართულთა უმეფოდ და უპატრონოდ ყოფა. ამის-თვის შემოკრება შეიღთავე სამეფოთა დიდებულნი, რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამოჩენვად, ჰკადრეს და მოახსენეს დედოფალსა რუსუდანს, გამზრდელსა თამარისსა. „დღეს შენ ჰსჩინ მშობლად ამისსა, და ვინათ-გან ვხედავთ ერმასა თამარს გონებითა არა ერმაებრითა, არამედ გონიერებითა და ცნობიერებითა სრულსა, და ჯეროვანად და კეთილად მოჩილსა და მსმენელსა შენდა, და შენ გხედავს სახედ მშობელთა, არქუ, მბრძანებელ-მან და მომხსენებელ-მან, შეცვალება ამის ესე-

ვითარისა გლგოვისა დასა და <sup>1)</sup> ძმასა თქვენსა და მამასა მათსა და-  
უსფამს, მუნ კელ ჭეოს განბრწინებება მათი, და უკეთუმცა არა შე-  
მეცნებულ იყო სისრულესა და ზესთა ზურობად და აღმატებად მთავ-  
რებრისა ჰატისა, გვირგვნი-იგი და მანიაჰი მეუობისა, არამცა  
ურწმუნეს საუდარი დაგითისი და საბჭო სოლომონისი. აწ კელ  
ჭეოს კელითა მეუობასა, და კურთხევით <sup>2)</sup> გვირგვინისა უოფად  
აღვიდეს, და ამადდეს და დაჯთეს საუდარსა მამათა თჳსთასა. აღზურ-  
ბითა და აღძვანებითა ძელისა ცხოველისათა, მან დაიზურნეს კიდე-  
ნი ქვეყანისანი, და მეუობდეს იგი ზღვითი-ზღვამდე, და მდინა-  
რით-გან კიდედმდე სოფლისათ.

ამის-მან მსმენელ-მან დედოფალმან რუსუდან, მიითვალნა განზრახვა-  
ნი მათნი, და ეკვეთნეს სიტყვანი-იგი. შევიდა წინაშე თამარისა, უბრძა-  
ნა და მოახსენა მეუფესა და დედოფალსა თამარს, და ძლით მოჩინელ  
ექმნა ბრძანებასა განმზრდელისა თჳსისასა. და შევიდათვე სამეფოთა  
თჳსთა განზრახვითა და გამორჩევითა, ძლით დაარწმუნეს აღსდვად  
და ამადლებად საუდართა და საჯდომთა მამა-ჰაზურთა.

დ. დაჯდა ნებითა ღვთისათა მეფე თამარ, დასაბამით-  
განთა წელთა ექვსი ათ-ას ექვს-ას ოთხ-მოც და ექვ-  
სსა. ქრისტეს აქეთ, ათ-ას ას ორ-მოც და ათ-ექვს-  
მეტსა. იყო მეფე ქართლისა თამარ, სამეოცდა მესა-  
მე <sup>3)</sup>, ხოლო აწ ამიერით-გან ვიწყო და მიგითხრა.

### § 1.

და დათარული-იგი ცეცხლი, ვითარცა სადრტილსა შორის, კვე-  
თებითა რკინისათა, გამოჭკრთის, ეგრეთვე აღმობრწინებებად ამბავთა.

<sup>1)</sup> R, T, და სადა.

<sup>2)</sup> Ici dans R, lacune d'un feuillet eetier.

<sup>3)</sup> T, 50e



თამარისთა, და სიტყვით ოდენ მცირედი რამე ნაბერწყალი დიდის-  
მის საკმილისა აღმოვაჭვიროვო, და მიგითხრა მიუთხრობელი და  
სიტყვით გამოუთქმელნი ცხოვრებანი და ქცევანი თამარ ბრძნისანი.

მაშინ, ვითარცა შემოკრებს შვიდთავე სამეფოთა მთავარნი და  
დიდებულნი, ჰატრიაქით, თანა უოფლით ეპისკოპოსით და სჰმღჭ-  
დელოთ კრებულთ, აღსვეს და აღამაღლეს საუდართა ზედა სამეფო-  
თა მზე-იგი მზეთა და ნათელი, ნათელთა ელვარება, და მზე-ებრ  
მასუქებელი, სხივ-კამკამებთა, მიიღეს გზგზნი და აღამაღლეს კმა,  
მგალობლთა ძლევით გზგზნოსნობისა და მძლე მფლობელობისა.  
და მოაკესებდეს მთასა ზეთის-ხილთასა, გამოჩინებულსა ჭყარსა  
კოსტანტინეს-ზე მეფისა.

და ამას ესე-ვითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინათ-გან  
ლიხთ-იმერთა-გან იყო დადგმად გზგზნსა თავსა სამეფოსა, აწვიეს  
მონაზონი დირსი, მადლით შემოსილი, მთავარ-ეპისკოპოსი ქუთა-  
თელი ანტონი სადირის ძე, მიღებად გზგზნისა, და სრულ ევეს-რა-  
კურთხევად, დალოცეს მაშინ კახბერი კვირიკეს ძე, ერის-თავი რა-  
ჭისა და თავ-კვერისა, და სრულ-ჰევეს მოკელეთა სვიანთა და დი-  
დებულთა ვარდანის ძეთა, სადირის ძეთა და ამანელის ძეთა, მოღე-  
ბად და დადებად კრძლისა, ამას <sup>1)</sup> შინა ჰკრეს სხილენძ-ჭურთა, ბუკ-  
თა, ქასთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზეიმი. ქალაქსა შინა,  
სიხარული და მხიარულება, შვება და გამოსვენება, და იმედი უიმე-  
ლო ქმნილთა, და სასიკება უსასო ქმნილთა, თაყვანის-ცეს, დალო-  
ცეს და აღიდეს სხათა შვიდთავე სამეფოსათა, და დაიპურა თვთო-  
ეულ-მან თხსი ადგილი, რამეთუ რომელ-მან აღიდნის მადიდებელნი  
თხსნი ღმერთ-მან თვთ მის-გან იდიდა თამარ შვიდ-მნათობიერი,  
რომელ-მან ექვსთა დღეთა შინა წარმოაჩინნა უოფელი არსნი და გან-  
სვენება სცა მეშვიდესა. ესე თამარ არს რომლისა-თხს სოჭქა გან-  
სვენებად სულსა შინა მშვიდსა და მუუდროსა. აწ მხილველ-მან იხი-  
ლა, და იყო ნათელი უმეტეს ნათლისა-მის ხილულისა, და იყო კე-  
თილო, და უწოდა ნათელსა-მას დღე. ამას უწოდა ნათლად ულუმბია-

<sup>1)</sup> Fin de la lacune de R.

ნად, დიდ-სვეობისა და დიდ-ბრწინვალებისა. ამან, განმზადებელ-  
მან სიბრძნისა შვიდთა სვეტთა-მან, აღაშენა მას-ზედა ტაძარი შე-  
უმწიკვლებელად და სამკვიდრებელად შვიდთა მადლთა სულისათა, და  
შვიდ-გზის დღესა შინა მადიდებელ-მან ღვთისა-მან, შვიდ-წილ გან-  
წმედელ ევნა სიტყვანი თჳსნი, მსახურებელად უფლისა. ვითარ აღ-  
სწერენ რომელსამე ესაია, და რომელსამე დავით, და ზატევის-მცე-  
მელი შვიდთა, უფროსლა ნაწილისა მიმცემი მეგრისა, სიტყვისა-ებრ  
სოლომონისა, კვალად შვიდცა და სამე-ოც და ათ-შვიდ-გზის შვი-  
დეუფთა შინა, თჳთაეუფსა დღესა შემანდობელ-მან ბრალეუფთა-მან,  
კმისა-ებრ სამეფოსა. და შვიდთა-მათ სარტყელთა ცისათა, მნათობ-  
თა სიეროსანთა, რომელ არიან კრკოს, ზევს, აფროდიტე, აპო-  
ლონ, ერმი, ირაკლი, და არქა<sup>1)</sup>). ამათ შეასახა სიუერო მიწიერი,  
ხუთთა-მათ საგრძნობელთა სულისათა შვიდ მეოფელად, თანა-დაწ-  
თვითა სულისა და გონებისათა, განწმენდად და განათლებად, და  
განბრწინვებად, და ესრეთ აღებაძვა ზენასა მნათსა ქვენა ესე მნა-  
თი, გინა-თუ შვენებითა უცნოთა და უსახოთა, გინა-თუ სიბრძნითა  
და მეცნიერებით მზერობელობითა, ანუ-თუ მზე-ებრ უხვებითა, მი-  
ფენად სწორებით მართალთა და ცოდვილთა. და ესრეთ განსწავლნა  
ხუთნივე საგრძნობელნი, და შეიზღუდა შიშითა ღვთისათა, ხედვა,  
უნოსა, სმენა, გემოს-ხილვა და შეხება, და უღიქნავად სატანას და  
გველისა მიერ. და ესრეთ მარად წარმდინარე ესე საწუთო და ქვე-  
დამზიდველი, მსგავსად სოლინართა, შეუხებელ-მან მიწისა-მან, უფ-  
ნებელად წარკაძნა, და ეს-ოდენტა დიდებათა და სიმდიდრეთა გარ-  
დარეუფთა, და სიმაღლესა შინა ესრეთ იყო, ვითარმცა უფლად  
არა-რამე ჭკონებოდა, და უდარეს და უგლახაკეს უფველთა კაცთასა  
შეერაცხა თავი თჳსი, მომკსენებელი კმისა-მის. „შიშველი გამ-  
ვედ დედის მუცლით ჩემით-გან, და შიშველსა მეგულების წარსლ-  
ვად.“ და ესე-ოდენსა ამას ღვთის-მსახურებასა და კრძალულებასა  
შინა ნუ უკუწ ქვენიური ესე მეფობა უდიდებელად და განუგებე-  
ლად დაუტევა, ნუ იყოფინ, არამედ უზესთავს უფველთა მეფეთა და

<sup>1)</sup> R, T, რეა.

ბრძენთა, და ფილესოფოსთასა, კეთილად გამაგო, და შეამკო, და წარმართა. რამელი-ესე შეუძლებელ არს სხუათა კაცთა მიერ, კმისა-ებრ სამიუფოსა, ვითარმედ „ერთა უფალთა მონება შეუძლებელ არს“ არამედ ამან პირველად შეძიებულ-მან სასუფეველისა-მან და ზენასა სუფევისა მოსურნე-მან, ქვენაცა ესე დიდება და სიმდიდრე უხვებით და სავსებით მიიღო, აღთქმისა-ებრ უტუფეველისა „პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე უოველი შეკვიძინოს“. რამეთუ აღიმადლა მადლად გონება, და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმისა მისდა ხვედრებულისა, მიაფვნა მუგანებელსა თვისსა ხედვას, და ვითარცა ობზან ფრე-მალე-მან აღიფრინა ზე, და მიმოავლინა გუგანი სახედველთანნი.

და სივრცითა გონებისა თვისისათა შემოიკრიბა უოველივე საღმრთონი და საერონი წესნი, და განგებანი, და იწუო განგებად ვითარ-იგი მოჭებრვიდა სული. მიმოიხილა სიმახვილითა ცნობისათა კარმოს უოველი, და მუისსა შინა შეეძენა ხილვითა ოდენ წრთელთა და დრკუთა, გვლარძინილთა და უმანგოთა, ერთ-გულთა და ორ-გულთა, და სიბრძნით განგებითა თვისითა, პირველად უოველთა ზედა დაასხნა წყალობა უხვებით, რათა უამსა საქმეთასა ერთ-გულნი ერთ-გულობითა მადრიელობდენ, ხოლო დრკუნი და განდრეკილნი გულითა უსიტუველ იუჩენ, მიგებისა-თვს უშურველად წყალობათასა, განახვნა საუნჯენი მამა-პაპათანი და განფინა უოველთა ზედა მოწყალებანი და შეწყნარებანი. პირველად უოველისა, პირველისა-მისს თვს იღვანა, სადა-იგი დაიუნჯების სიმდიდრე წარუპარველი, რამელსა მპარავი არა მიეხების და მდილთა მიერ არა განირუჩენების, მუნ წარგზავნა უხვებით, კელითა გლახაკთა და მოქენეთათა, რამელისა რიცხვი ურიცხვ არს და ჭამრი უამრავ, და დაისხნა მოვალენი ვალთა-გან, და მისცა ობოლთა და ქვრივთა კმა-საყოფელი მათი, და კელმწითუება, განქორწინებად ობოლთა მათთა. დონიერ უვნა გლახაკნი და დონიერნი მდილარ. ამა ესე-ვითარსა შინა დაწყებასა წყალოობისასა, იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქვემოთა, შვიდთავე თემთასა, არა დაუტევა მოქენე რამელსაცა ზედა არა უხვებით მიჭებინა წყალობა და სიმართალე.



ხალხ ჰსჯულობა-თჳს საღმრთოთა მეორე კოსტანტინე იქმნე-  
ბოდა, და მის-ებრვე მოსწრაფე იყო დაწეებასა საღმრთოსა საქმე-  
თასა, რამეთუ იწყო აღესვად რ-ზირსა მახვილსა, სამხილებელად  
უღმრთოთა და მოსასრველად თესლთა ბოროტთა, და ანება რათა  
იქმნეს შეურა და გამორჩევა დიდთა-მათ და მოყოლიათა კრებათა.  
ზირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზს  
გულაბრის ძესა, რომელსა სიმდაბლის ძლით ეჯმნა ქართლისა კა-  
თალიკობისა-გან, ესე რა მოიფანნა, შემოკრიბნა უოველნი სამე-  
ოფისა თჳსისა მღუდელთ. მთავარნი, მონაზონნი და მეუღაბნენი,  
კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი. და მოსწრაფე იყო რათა  
მართლ-მადიდებლობასა ზედა შემოთესილნი ბოროტნი თესლნი აღ-  
მოფხვრნეს სამეოფისა-გან თჳსისა. რომელი-ესე განემარჯვებოდრე სა-  
სოებისა კეთილის მქონებელითა. ხალხ შემოკრიბეს უოვლით კერ-  
ძო სამეოფისა მისისა ეპისკოპოსნი, რომელთა ზირველად აქვნდა ზე-  
მო-კსენებული-იგი ნიკოლოზ, მსგავსი სეხნისა თჳსისა წმიდისა  
ნიკოლოზისი, და ანტონი ქუთათელი საღირის ძე, დიდო გან-  
თქმული სათნობათა შინა, და ძლიერი სიტყვთ და საქმით მიე-  
გებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა ერთი კაცი  
შეურაცხი, და არა ვითარცა მეფე, ვითარ ზნკელისთა და არა კაც-  
თა, შეჭკრიბნა უოველნი ერთსა სადგურსა, და დასხნა საუდრებითა,  
ხალხ თჳთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ, და არა მეუფობით, და  
ესრეთ ეუბნებოდა.

„ჴ წმიდანო მამანო, თქმულ ღვთისა მიერ განჩინებულ ხარო  
მოძღვრად ჩვენდა, და მმართველად წმიდათა ეკკლესიათა, და თანა-  
განთ სიტყვის მიკებად<sup>1)</sup> სულობა-თჳს ჩვენთა. გამოძიეთ უოველი  
კეთილად, დაამტკიცეთ მართალი, და განკადეთ უოველი გვარძნილი:  
იწუეთ ზირველად ჩემ-ზედა, რამეთუ შარავანდელი ესე მეუფობისა არს  
და არა ღვთის მბრძოლობისა, ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდი-  
სა-თჳს, ნუცა გლახაკთა უღებ-ყოფთ სიმცირისა-თჳს, თქვენ სი-  
ტყვთ, ხალხ მე საქმიო. თქვენ სწავლით, ხალხ მე განსწავლით.

1) T მიცემა.

თქვენ წვრთით, ხოლო მე განსწვრთით, ზოგად კელ-მივცეთ და-  
ცვად სჯულთა სსდმრთათა შეუშინებულად <sup>1)</sup>, რათა არა ზოგად ვი-  
ზღვივნეთ, თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე.  
თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“. ესმნეს-რა სი-  
ტუჟანი ესე უფელსა-მას კრებულსა მამათსა, მადლობდეს ღმერთ-  
სა, და თანად მეფესა ღვთივ განბრძნობილსა, ჯდა უკვე თამარ მცი-  
რედ ჟამ შორის მათსა, მერმე მოიღო კურთხევა მათგან და წარ-  
ვიდა ჰალატად თვსად. ხოლო წინამძღვართა კრებისათა ნიკოლოზ  
და ანტონი, რომელნი ვითარცა ზირ-მეტყველნი მთიებნი უძღოდეს  
მომრგვლებასა ცაებრისა-მის ვარსკჳლავთა ვარსკჳლავისასა. ხოლო  
არა ინება მასშინდელ-მან მან მიქაელ კათალიკოზ-მან შორის მათსა  
უფთა, რამეთუ წინა-უკმო იყო წესთა-გან საეკკლესიოთა. და ჭეონ-  
დიდელ-მასწავებელობა, და მწიგნობართა-უხუცესობაცა მას მოეხევეს  
უფლისა-გან. არამედ ვერ განაუენეს, დაღაცათუ ფრიად იღვავეს,  
არამედ ოჯთ განაუენა ადრე სსჯელ-მან ღვთისა-მან. ხოლო სხვანი  
ვინმე ეპისკოპოსნი შესცვალნეს, და მათ-წილ სსდმრთონი კაცნი და  
მეცნიერნი სჯულისანი დასხნეს, და სხვანი საეკკლესიონი წესნი  
განმართნეს, უღებთა მიერ დაკსნილნი. ხოლო აღივსებოდა-რა კრე-  
ბა და აღდგეს წმიდანი მამანი, კვლად მეფე თამარ მიექცა საურავ-  
თა და განსაკებელთა სამეფოსა თვისისათა.

მასშინ იწვეს ძველით-გან, ჩვეულების-ებრ კაცთა დაუდგრამე-  
ლობისა, საქმე დიდებულთა ვითმე კელის-უფალთა. უვეს ფიცი ეს-  
რეთ, ვითარმედ „აღარ ვიკებით, ძველთა კელის-უფალთა და გან-  
მკებელთა ხაქმისათა ფარმანსა ქვეშე შეფთნი. ვინათ-გან მათ-გან  
დაძვრცილნი და უპატრიოდ დასულნი ვართ, და გუარიათნი და თუთ  
მსასურველნი სსხლნი უპატრიოდ და უსასოდ განსულ ვართ, უგვარო-  
თა და უკამთა-გან“. დაღაცათუ ერთ-გული და კარგი მოემე და ჭა-  
ბუკი იყო უუბასარ, გაზრდილი ჰატრონთა-გან, და იყოცა ამირ-სხვა-  
საღარი და მანდატურთ-უხუცესი, განნა სენისა მიერ ფილენჯად  
წოდებულისა მიიღებდა ენა, კელი და ფერკი, და აწვიეს მეფესა

<sup>1)</sup> T შეუგინებლად.

თამარს. მოდებდა ყოფილს ნაქონებისა. განა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათ-გან თამარ სახიერო იყო და მოწყალე, მოიკესნა სიუწარული და სამსახური, და ზრდილობა მისი, თხნიერ კელის-უფლებისა და ღირსისა-გან კიდე არა-რამ დააკლო და ეკრეთუწ სიუწარულითა და დიდითა ზატივითა დაიჭირა დღედმდე მიცვალებისა მისისა. კვალად აფრიდონ, აზნაურის უმობისა-გან ღვთის მობაძვის მოწყალეობით ამაღლებული და განდიდებული, ვიდრე მსახურთ-უხუცესობადმი, და თმოგვისა და სხუათა ციხეთა ზატრონობით აღზეებული, მოიშალა და დაიმკო ნებითა და განზრახვითა ლაშქართათა, და ბრძოლა უკეს ურთიერთს, კელის-უფლებისა-თჳს.

ერთი ესეც უცხო მოსაგონებელი და დიდად განსაკვირვებელი, უთლუ-არსდანი, ჯიჯის სახედ ორ-გუნება-მან<sup>1)</sup>, და დიდგრომელ-მან წესსა ზედა თჳსსა ვითარ ჩვეულება აქვს ერმთა ადრე აღზვებად სიდიდისა მიერ, და უფროსდა გვართა უაზნოთა აღამაღლებს სიმიდრე, მომღებ იქმნა წესსა რასმე სზარსთა გუნება-მადლობისსა და სილადით ქცევისსა, ითხრა დადგმად კარავი ველსა ისანისსა, სანახებსა საგოდებელისსა. „მუნ შიგან თავის-უფლებით მსხდომარენი, რათა მივცემდეთ ზ მოვიღებდეთ, რამეღთამე ვრისხეგდეთ, რამეღთამე ვწყალობდეთ, ამის ესრეთ ვკადრებდეთ ზ ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა, და მუნდა სრულ იქმნებოდის განკებული ჩვენი“. ესე ვითარ საწყენცა იყო, ზ ვითარცა შეგნოდა მისსა კელმწიფობასა, და სიბრძნესა, და მეცნიერებასა. ეგრე ეწეინა და გაიკვირვა. და ვითარცა გულის-ხმა-ყო მათი სივერაგე და უკეთურება, უკლებ-მან გონებითა და სულ-გრომელ-მან, და გვიან-მან რისხვისა-თჳს, და საუნჯე-მან სიბრძნისა-მან, იძია ღონე შემსგავსებული სიბრძნისა მისისა, რათამცა კელთ-იგდო მქმედნი ამის საქმისანი, განიზრახა ერთ-გულთა და საკუთართა თჳსთა, და შეიზურა უთლუ-არსდანი, მეჭურჭლეთა-უხუცესი, ხოლო აწ თავით თჳსით ამირ-სზასლარათ, და სომეხთ მეფისა ადგილსა ღორესა დაჯდომად განმზადებული; და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა მის-თანა შემწეთა

<sup>1)</sup> ორ-გუნება.



და თა თანა-შეფიცულთა მისისა-მის უკეთურებისა, და უგზოდ გან-  
ზრახულობისათა, შეეყარნეს და უკუ-ადგეს თამარს სახიერსა და  
ბრძენსა, და უგეს სახლი სიმტკიცე და ფიცი, რათა უუთღუ-არსდანი  
გააშვებინონ, და არა მიუშვან ვნებად მისსა და განემზადნეს ისა-  
ნისადა შემოდგომად, და კელ-უგეს საქმესა შეუკადრებულსა და ბრძო-  
ლად უბრძოლულსა, რომელსა ჭყარავიდა ძალი მადლისა და მკლავი  
საუფლო: იყო მარადის განმზადებულ თანა-შემწედ მისსა, მის-წილ  
ამდებულ ჭურისა და ფარისა, და განთინის მახვილი წინაშე მარჯი-  
ვებულთა მისთა და წინა-აღმდგომთა მისთა. ამის-თჳს ცუდ იქმნა  
განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბოთარ მღვდლისა, და იაბ  
სხასხეტისა, რომელნი თანა-შემწე ეყოფოდეს ორნიას, ძმასა სო-  
ლომონისსა, მაშინ თამარ მშვიდამან და მშვიდობის მეძიებულ მან  
წარავლინა ორნი სახატოინი დიოფალნი, რომელ იყო ერთი ხვა-  
შაქი ცოქელ, დედა ქართლისა ერის-თავისა რატისი, მეორე კარავ  
ჯაყელი, დედა აწ მეოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მიხდობა,  
და სხვისა აღარ-ვისი ბრალობა. ხოლო იხილეს-რა ესე განდგო-  
მილთა-გამო, მაშინვე მოჭყვეს დიდებულნი ბრძანებასა ჰატრონისსა.  
მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანის-ცეს, და აღი-  
დეს ფიცი ჰატრონისა-გან, და მისცეს ჰირი ერთ-გულობისა, და  
ნების ყოფისა მისისა.

კვალად დაჯდა ცხებული ღვთისა საუდართა ზედა ზე-ამაღლე-  
ბულთა, შეენებითა-მით აფროდიტიანითა, და სიუხვითა-მით მზე-  
ებრ აზოლონიანითა, სატურთო საჭურეტი ვიდრე დაბნეადმდის და  
გაჭრა-გახელებადმდის ყოველთა მისთა გამცდელ-მხედთა, და შეიპურობ-  
დის წყალ-ჯავარითა-მით უმსგავსოთა, და სახითა-მით ღვთივ ქმნუ-  
ლითა. იურვის, და იურვოდა ყოველთა შეურვებულთა-თჳს. ჰირვე-  
ლად გარდაცვალებასა და გამოჩენასა შინა ორთა ვაჭირთა და სხას-  
ხეტთა, თანა-დგომითა და ერთ-ნებაობითა შვიდთავე საშეფოთა დი-  
დებულთათა<sup>1)</sup>, გააჩინა ამირ-სხასაღარი სარგის მკარ-გრძელი, კაცი

<sup>2)</sup> M-it R: დიდ-დიდნი დამტკიცება მწიგნობროთ უხუცესად და ვა-  
ხირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ მეფისა, ანტონი გლონის თავის

გვარანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა, და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო. სომხითს შინა, და წყალობა ჭყო ძისაცა მისისა ზაქარიას. ესე ზაქარია და ივანე მკარ-გრძელის ძენი, დაღაცათუ შეფეთა-თვს ერთ-გულნი იყუნეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელგანთნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყუნეს. ესე იოანე წერილთა ზედა-მიწევნით მეცნიერ იყო. რომლისა-თვსცა გულის-კმა-ჭყო სიმრუდე სჯულისა თვისისა, ნათელი იყო და იქმნა ჭეშმარიტი ქრისტიანე, რომელი ქვემოთ სიტყვამან საცნაურ ეოს. დაღაცვითა და ითაუვანა დარბაზის უმაღ უმცროსი შვიდი მისი იოანე, და გააჩინა და უბოძა ჭიბურს მანდატურთ-უხუცესობა, და მისცა არგანი ოქროსა. კელთა მისთა, და შთაცვეს საკრამანგი ტანსა მისსა, და დასუეს ხელებითა ოქრო-ჭედილებითა, რომელნიმე მარჯვენით მისსა, და რომელნიმე მარცხნით, კვალად უბოძა მეჭურჭლეთა-უხუცესობა, დიდ-გვარისსა კაცსა კახაბერსა ვარდანის ძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდანს დადიანს, და ჩუჩხერახობა მარუშიანსა, ძესა<sup>1)</sup> ჩუჩხერახისსა, ვინაცა მათ ორთავე მამა მონუცებული იყო, და დასდვა ზატვივი მამისა მათისა, და დასხნა სასთაულითა, და მისცა ამილახრობა გამრეკელსა თორელსა, რომელი შემდგომად სარგის მკარ-გრძელისა ამირ-სპასალარცა იქმნა.

ძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონთა-თვს ერთ-გული და შემეცნებული საურავისა. Tous ceci est effacé, quoique encore lisible, et entre lignes on lit: და დაამტკიცა მწიგნობართ-უხუცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა თვისისა მეფეთ მეფისა ანტონი გელოანი, კაცი ბრძენი, პატრონისა თვისისა ერთ-გული და შემეცნებული: puis. . . , გაჩინა. . .

კელის-უფალნი ესენი იყუნენ თამარისა პირველ მეფობასა: სპასალარი სარგის მკარ-გრძელი, მანდატურთ-უხუცესი, ჭიბურის მეჭურჭლეთ-უხუცესი, კახაბერ ვარდანის ძე. მსახურთ-უხუცესი, ვარდან დიდი. ჩუჩხერახი, მარუშის ძე. ამილახორი, თორელი გამრეკელი . . . . . Wak-houcht, p. 58.

<sup>1)</sup> Ici lacune dans le M-it R jusqu'à მისი, p. 254.

ამირახორი <sup>1)</sup> და ერის-თავნი მის უამისანი ესენი იუჟნეს: ბა-  
რამ ვარდანის ძე, სვანთა ერის-თავი. კახაბერი კახაბერის ძე, რაჭის  
ერისთავი. დოთაღოს შარვაშის ძე, ცხუმის ერის-თავად, ამუნელისა  
ძე. და ოდიშის ერის-თავად, ბედიანი, და ლიხთ-იმერით ქართლის  
ერის-თავად, რატი სურამელი, და კახეთისა ერის-თავად, ბაკურ-უმა  
ძაგანის ძე. და ჭყეტის ერის-თავად, გრიგოლის ძე ასათ, რამელ-  
მან მისტაცა მძლავრებით და მორევით საღირს კოლენკელის ძესა,  
და მცირედ-ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშინს ადგილსა დაჯდომა,  
სასთაუღითა. და კელთ უღვა შვილსა მისსა გრიგოლს ჭყეტის  
ერისთაობა, და სამცხის ერის-თავად და სხასაღრად აჩინეს ბეცო  
ჯაყელი, და სხვანი კელის-უფაღნი, ტაძრისა და საუდრისა წინაშე  
მდგომელნი, განაჩინეს წესისა-ებრ და სიხლისა.

ამათ-თანა აღავსნა ეპისკოპოსნი და საუდარნი შესაწირავითა,  
თავის-უფალ უგნა ეკკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისა-გან, გააზნაურ-  
დეს ქვეყნის მოქმედნი, და განდიდებულდეს აზნაურნი, და გაკელ-  
მწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა მისსა, რამელი აწი სჩანს და-  
წერასა შინა ამისსა ათ-ერთ-მეტა მოქცევთა <sup>2)</sup>, ჟამთა თამარ სამ-  
გზის სანატრელისათა, რამელ-მან, სიმშვიდითა და ვითიანითა და  
სიბრძნითა სოფლომონიანითა, სიმკნითა და საურავის დღესისა ხვა-  
ლისა არ მიგდებოთა ალექსანდრიანითა. იზურნა ზღვით ზნტოსით  
ზღვადმდე გურგანისა, და სპერით-გან დარუბანდამდის. და უოგელ-  
ნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკითამდი, და  
მმარხველ იქმნა ცხრათა ნეტარებათა, და აღმასრულებელ ათთა მცნე-  
ბათა, რამელ-მან ესე-ვითარი იკმია სიბრძნე და მეცნიერება, და სი-  
მშვიდე გონებისა, ვიდრემდის ამისსა განგებასა შინა და ცხრავრება-  
სა ამისსა არცა-თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვისდამე დაკრვად. რამეთუ  
შორს იყო უოგლისა მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასო-  
თა მოღებისა, არამედ აქუნდა ნება შიშისა და ზარისა დამდებელი,

<sup>1)</sup> Ce mot manque, T; je ne sais pas jusqu'à quel point il est nécessaire.

<sup>2)</sup> T მოქცევითა.



რამდენითა უძრწოდა შიშნეულად ყოველი საბრძანებელი მისი. მშვიდ იყო და მუდრეკ, და მშვიდობისა მუთუელი, ამის-თჳს იშკებს მშვიდობით, სიტუვისსებრ სწინასწარმეტყველთა, მშვიდთა დამკვიდრონ ქვეყანა. სამეფოთა და სამთვლთაობათა შინა თჳსთა, რამელი არა-სადა-ვის უხილავს, თჳნიერ ამისსა, ესე-ვითარსა. უვნებელობასა და ურიცხველობასა შინა უვნებულად და მშვიდობით დაპურება საზღვართა მამა-პაპურთა, და დაჭირვა და მოწვრთა ვაცთა ქედ-ფიცხელთა და გონება ურჩთა. ხოლო სხვანი ზნენი და ქცევანი, გამარჯვებანი და აღმატებანი საზღვართა მამა-პაპათანი, და ყოვლისა მამაცობისა მიმართ სიძარჯვენი, ოდესმე რაინდობანი და მხედართა სიხელფუნენი, და მკვირცხელ მოქმედებანი, ოდესმე ნარნარად მშვიდ და წინარად მტყუველებანი, და სიბრძნით შეპასუხობანი, ესე ყოველნი წინა-მდებარისა სიტუვსაგან გაუწიენ ყოველთა.

## § 2. პირველი ქმარი თამარისი <sup>1)</sup>

მაშინ შეკრებს ყოველნი ამის სამეფოსა დიდებულნი, სპასალარნი და ერის-თავნი, წინაშე პატრიარქისა <sup>2)</sup> და ეპისკოპოსთა, და მოაკსენებდეს მათ, რათა ზოგად ყოველთა იღვასონ შემოყვანებად სიძისა თამარისა-თჳს, რამდლისა-თჳს კამდა თუმცა ყოფილ იყო უამი გმირთა და გოფიათთა ყოფისა, ანუ-თუ გარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლთა დათხევისა, ანუ გაჭრანი მიჯნურთა ხელ-ქმნილთანი, ვითარ იქმნაცა ამის თამარისა-თჳს, მრავალთა მიერ, რამელი ქვემოტე სიტუვა-მან გაუწიეს: რამეთუ შეგნოდს საკამსოდ თუმცა გამარჯნელ იუწენს, ანუ გმირნი, სახენი გმირთანი. ანუ მამანდ,

<sup>1)</sup> Cette rubrique manque, R. T.

<sup>2)</sup> Je ne suis pas convaincu que cette orthographe du mot პატრიარქი ou პატრიარხი soit la meilleure, mais je l'ai admise, quoique l'étymologie exige celle que j'ai exclue, à cause de l'autorité du M-it T, et parce que la prononciation de რ devant ქ ou ბ est excessivement dure.

სახენი მამათ-მთავართა შუენიერთა და კეთილად მბრძოლთანი, ანუ მსგავსნი გარეშეთანი, სისხლ-დამთხვეველ შეეგარებულთა-თხს. ანუ მიჯნურნი ლომნი და მზენი, მკეცებრ განჭრილნი ამის მზისა, და უმეტეს მზისა თუთ მათ მითხრობილთა, მზედ, მნათობად საგონებულთა უბრწვინვალისა და უნათლესისა-თხს. ვითარ თაჭმთა თანიმანის-თხს, ვითარ ამირან ხვარაშანის-თხს, ვითარ ხვასრთ შანშა-ბანუშისა-თხს, ვითარ მზე-ჭაბუკ მზისა-თხს ხაზართსა. ვითარ ზოლუმში მუნედ მბრძოლი იზოდამასთ-თხს, ონომას ასულისა. ვითარ ზღა-ტონ ჰერსეოფანის-თხს, ვითარ რამინ ვინის-თხს, ვითარ შარიარას ოსნაოზისთხს, ვითარ ბადბერ ანაღათის-თხს, და უმეტეს ვითარ იაკობ რაქაელის-თხს, და იოსებ ასნათეს-თხს, და დავით ბერსაბეს-თხს და აბისაკის-თხს.

გარნა ვინათ-გან ცუდ საგონებულ იქმნა, და არა-სადა დაება-და დმერთსა სწორი ამისი, არცა-და მგონიეს თუ დაბადებად არს, მაშინ წარმოდგა კაცი ვინმე, ტოილისისა მკვიდრთაგანი, თავადი, და მეფეთ მეფისა-გან წყალობა კელ-დასხმული ამირად ქართლისა და ტოილისისა, სახელით აბულ ასან. მან თქვა: „მე ვიცი შვილი რუსთა კელმწიფისა, ანდრია დიდისა მეფისა, რომელსა ჭმონებენ სამ ასნი მეფენი მის კერძოსანი, და იგი მცირე დარჩომილი მამის-გან, და ბიძისა-გან, სავალთად წოდებლისა, ექსოროა-ქმნით დევნილი, გადმოიხვეწა და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სვინჯის <sup>1)</sup> ქალაქსა შინა.“

მაშინ განზრახვითა ყოფელთათა, წარავლინეს კაცი ერთი მკვიდრთა-გან ტოილისისათა, დიდი ვაჭარი, სახელით ზანქან ზარაბაბელ, რათა მსწრათელ წარვიდეს, ცვალებითა ჭუნეთათა, და წარმოიყვანოს იგი: რამეთუ იუწენს მაშინ რუსნი ქრისტიანენი და მართლ-მადიდებელნი. ამის-თხს უფრო მოიყვანებდეს მას, არამედ

<sup>1)</sup> რომელი არს სვინჯა ქალაქსა შინა ყივჩაყეთს. Wakhoucht. p. 58 de l'autographe. V. p. 274, 422: ძმაცა ყივჩაყთა მეფისა სვინჯი სავალთი; il semble donc qu'il faubrait lire ici სვინჯის, nom d'homme, et pas de ville; v. p. 277, 230.

ესე ვერ განიზრახეს კეთილად, რამეთუ არცა იგი კაცი ღირსი სსაქმისა წარაფლინეს, და არცა რამელსა მოიუვანებდეს მისსა მეცნიერ იუჟნეს, შემდგომად მცირედისა უამისა მოიწია კაცი-იგი წარვლინებულად და მოიუვანა კაცი იგი დიდად გვარიანი, და უდიდესი უოველთა-მათ მეფეთა მის კერძოსათა, სხვითაცა არა უმარჯვი, არამედ პირითა შევნიერი, სრული, ახაკებითა და მჭვრეტითა-გან დიდად სსახენი, რამელიცა იხილეს-რას უოველთა სთნდა ხილვა მისი, არამედ შინაგანსა მისსა: არა რას მეცნიერ იუვნეს არცა ჩვეულებსა მისსა, შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიაქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერის-თავნი, და მოაკსენებდეს თამარს, და აწვევდეს ქორწინებასა, და ასწრაფობდეს ამისა პირისა-თვს.

არამედ იგი მიუგებდა, ვითარმედ: „კაცნო, ვითარ ღირს შეუტუობლად ესე-ვითარისა სსაქმისა ქმნად! არა ვიცით კაცისა ამის-თვს უცხოსა, არცა ქცევა, არცა სსაქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მკედრობისა და სიქველისა, მაცადეთ ვიდრემდის განიცადეთ უოველთა სიკეთე, გინა სიდრკუჭ მისი. ხოლო იგინი წინააღუდგებოდეს და უშვილყოებასა მოაკსენებდეს და სსახლისა მისისა უნაყოფობასა, დრტუნვიდეს და წინა-მძღვარსა სპათასა ითხოვდეს, და უოველთათჳთ შეაწირებდეს სულსა მისსა, იმერთა ემსგავსებოდეს, სსახისა ოდენ მიხედვითა, და პილოთა-ებრ<sup>1)</sup> არა განიხილვიდეს მისაურნდობელთა. ესე-ოდენსა მძიმესა სსაქმესა მსუბუქად შეეებოდეს. ხოლო სსვანი ვიეთნიმე უღონობით აწვევდეს ალექსის მოყვანისა ქმრად, რამელი ახლეს თვსობდა, და მამულად მამისა ძმის-წული იყო ბერძენთა მეფისა. ესე მას უამსა აქა მეფე იყო, და შიშითა ამისისა ქმნისათა უოვლად უწადინელ-მან ქმრის-მან იაჯა უამად დაკსნა ქორწინებისა. ხოლო დედოფალ-მან და სპათა, არა მიუშვეს ამისა ქმნად. არამედ ფრიად აძულებს და განამზადეს ქორწილი, ვითარ იყო ხვედრი და რიგი უღუმზინობისა და შარავანდელობისა მათისა, ეგრეთ ქმნეს ქორწილი, სსხე-დაუღებელი და იგავ-მიუწოდებელი. სიმრავლენი სსახობათანი, ძღვენობანი და ნიჭებანი თვალთა და მარგალიტათანი, ოქროთა ჭედითა და უჭედელთანი, სიმდიდ-

<sup>1)</sup> Lis. სპილოთა.



რეთა და ლართა კერულთა და უკერველთანი. ესრეთ მსგეფსამდის  
იყო სიხარული, შვება, ძღუენობანი და გაცემანი.

ხოლო მე ესეცა გაუწეო, საბრალთა და საძნაური საქმე, რა-  
მეთუ მოსრულ იუწენეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შვენეიერი და სა-  
ხე-კეთილნი მოყმენი, მოაჯენი და მთხოველნი ღვთისანი, თამარის-  
თჳს მინდობილნი ჭაბუკობისანი, ვითარ „რომელნიმცა ღირს ვი-  
ვეებით მოწოდებად თამარისად, და მიხდომად ბედსა ამას საზესთა-  
სა“. ვინცა უქმ იქმნა განზრახვა მათი, და წარსულთა თჳსად მა-  
მულად ერთსა მათგანსა შეემთხვია მოუთმენელი სურვილი და სი-  
უწარული თამარისი, რომლისა-თჳს ვერღა-რა, შემძლე, მივარდა სა-  
გებელად დაბნედას შინა, მიიწია აღსასრულად, ნიქოზს, საყდარსა.  
შინა წმიდისა რაფაელისსა, რომელიცა მუნ დაფუცეს, და სხვანი რა-  
ოდენნი კელმწიფეთა ძენი ამის-თჳს გაჭრით გამოიჯნუებულნი და  
ხელ-ქმნილნი ვერღა-რა სომობდეს სურვილსა მისსა, ქვემოტე სი-  
ტუფა-მან საცნაურ ჭეოს.

შემდგომად ამისსა კელ-ჭევეს გალასქრებად და განვიდეს ტფი-  
ლისით, მეფე რუსთა, და უფროსდა აფხაზთა, დააბეს დროშა სვი-  
ანად კმარებული, და წარიდგანეს ძელი ცხოვრებისა, მცველი და  
მოარველი მეფეთა და ზღუდე ქრისტიანობისა. პირველად ილასქრეს  
ქვეყანასა კარისა და კარნიფოლასსა, და მოარბიეს ვიდრე ბასიანამ-  
დის, და გამარჯვებულნი და აღვსებულნი შემოიქცეს და მივიდეს  
წინაშე ჰატრონისა ღვთივ განათლებულისა, და იხარებდეს და იშვებ-  
დეს, და მადლობდეს ღმერთსა.

ამისა უწინარეს მოვიდეს ლასქარნი რანისა და გელაქუნისა  
თურქთანი, და მოარბიეს ქვეყანა ზაქაკაციოსი, ძაღლის-კეგად წო-  
დებული. მაშინ მიუკდა მათ-ზედა გამრეკელი კახას ძე, სვისაგან  
თამარ უძლეველისა, და მტირედთა-გან დიდნი იძლივნეს. გააქცივნ-  
ნეს, ამოსწევიდნეს და მოიღეს არმადანი წინაშე თჳთ-მზურობე-  
ლისა.

და მასვე უამსა შინა მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და  
თურქნი გარმიანელნი, ცხენოსანნი და ქვეითნი, და აღვისო შავშე-  
თისა და კლარჯეთისა ქვეყანა, აქეთ შეიყარნეს გუზან აბულ-სანის

ძე, ტაკეღნი და მის ქვეყანის ლაშქარნი, და ბოცო და ვინცადა  
იხლა, და მიესწინეს მესხნიცა, და მარბიელ გაშვებულთა შეებნეს.  
მანვე ბედ-მან და სვე-მან თამარის-მან სძლია. გააქცივნეს და და-  
კოცნეს, და მუნითცა მოიღეს ურიცხვი კაცი და ცხენი წინაშე მე-  
ფისა ღვთივ გვრგვინისა, დღითი-დღე აღმატებულისა და წარმარ-  
თებულისა, ამას შინა იხარებდეს და იშვებდეს, და მადლობდეს  
ღმერთსა.

ამისსა შემდგომად წარვიდეს მკარ-გრძელის ძენი, სარგისისა  
და ვარამისნი, მოყმენი კეთილნი, და კამოცდილნი ლაშქრობათა ში-  
ნა, უხუტესი ზაქარია და ზაქარია დალცვილნი, ივანე და სარგის  
დაულოცავნი, და ილაშქრეს ქვეყანასა ღვინისასა, და გამარჯვებულ-  
თა და აღათუ-ადებულთა მოეწივნეს უკანა ლაშქარნი ღვინელნი და  
სურმანელნი მიექტეს ესენიცა და შეექმნათ ომი ფიცხელნი, ვინა-  
ცა ბოლოთ მათვე მკარ-გრძელთა გამარჯვება, და გააქცივნეს, და აღ-  
ვსებულნი და სხელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთა! ხოლო მათ  
წყალობა მიანიჭეს და გარდაიხადეს მადლი უსაზომო, შემდგომად  
ამისა ჟამ რა-ოდენმე, ლაშქრობდეს ქვემოთნი ქვემოთ და ზემოთნი  
ზემოთ, და შუანი შუათ, და უკველგნით ძლევა-შემოსილნი და გა-  
მარჯვებულნი მადლობდეს ღმერთსა, და არა-სადათ ჩნდა წინა-აღმდე-  
გი და ურჩი ნებისა მათისა.

კვალად მეფე-მან შემოიკრიბა სხა თჳსი, ბრძანებითა თამარისა-  
თა, მიმართა ღვინად და მოაკურა ქვეყანა ზარითა, წარუხვნეს ქა-  
ლაქნი და გამოიღეს მას შინა მუოფი სარუნჯე დიდ-ძალი, და ტყვე-  
თა სიმრავლე, და მოვიდეს თამარისვე სვე-სრულისა და ნათელ-  
ბრწყინვალისა წინაშე, რომლისა თვალი უღამო და დღე უკუნო, და  
საწადელ და საშვებელ სულისა და კორცთა, მას შინა ოდესმე მო-  
ისვენიან ლაშქრობათა-გან და გარდავიდიან იმერთა ქვეყნად, წესისა-  
ებრ და ჟამისა, და ოდესმე ჩავიდიან შარვანისა მზღვრამდე, და მო-  
ვიდის შარვანზე, დიდითა ნიჭითა და ძღვნითა, და ერთად მოინა-  
ღირიან მიწდარნი, და მზიარულნი კვალად განიყარნიან, და უბოძის  
საბოძვართა სიმრავლე, და წარგზავნის ჰატოვითა ძმებრივითა, და  
იგი მსახურებდა და მონებდა მონებითა ყმებრივითა.

შემდგომად ამისსა შეიყარა დიდ-ძალითა ლაშქრითა და მიჭ-  
მართა გელაქუნად, რომელი ძნელ იყო შესამართებელად, ზღვის ქვი-  
შისა სახელ სიმრავლითა თურქმანისათა. დაესხნეს, ამოწევიტეს და  
აღიღეს დიდ-ძალი ნატუვენანი და თავარა, და ვითარცა გამომართ-  
ნეს გამარჯვებულნი, მოეწია უკანა ყოველი თურქმანობა გელაქუნს,  
წინა-ძღომითა შამელთა დიდებულთა, როსტომ და ალღუს ალღეს-  
თა, და ვითარ წეობა და რაზმი ურთიერთს განეწევენეს, განმგნდეს  
სზანი თამარისნი, და უსწრობდა ბერი ერმასა, და ერმა ბერსა, ზა-  
ტრანი უმასა, და უმა ზატრანსა. გააქცივნეს, ამოსწევიტნეს და  
დაკოცნეს, და მოვიდეს თვსდვად სამეფოდ, წინაშე მეფისა და დე-  
დოფლისა.

შემდგომად ამისსა, წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა, დიდი  
და სახელფანი ლაშქრობა გარდაიკადეს განძას ქვემოთ, ბაღუენამ-  
დის. კვალად ზემოთ კერძო, რაკისი ზირი, მასისამდის. მუნცა დიდ-  
თა ლაშქართა მოწევასა შინა ისახელეს თავი სზათა ამის სამეფოსა-  
თა, და თვთ მეფის მჭვრეტელობასა შინა ვარდან დადიან-მან, მსა-  
ხურთ-ურუტეს-მან, ოთხთავე მკარ-გრძელთა და სხვათა დიდებულთა,  
და აზნაურთა, დიდი გაჭირვებულნი <sup>1)</sup> ომი გარდაიკადეს, და გააქ-  
ცივნეს და შემოიქცეს მუნითცა გამარჯვებულნი და აღვსებულნი სი-  
სარულითა.

არა მრავლისა უამისა შემდგომად მიიღეს აღსასრული თამარის  
სიტუვათა. რამეთუ შემოჰკვდა უცნო რამე და უმსგავსი <sup>2)</sup> საქმე, შე-  
უმსგავსებელი, დაუჯერებელი კაცთა გონებისა-გან, შევიდა სატანა  
გულსა სვე-უბედურისა, სკუით-რამე სასულ-დებულისა, ბარბაროზებ-  
რივთა გონებათა და გულის-სიტუვათა უწესობა, რამეთუ სიმრავლე-  
თა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშვერთა საქმეთა ქმნად,  
რომელთა ნამეტნავ არს აღწერად, აღიძრა წყენად თამარისა, კელ-  
მწიფეთა მზისა და მეფეთა ელვა-ცისკროვანებისა, აუდა მეფეთელ-  
მან, თავისა მისისა-მან, არდა-რა იცოდა რამცა ექმნა, ძლეული და

1) T დაჭირებული.

2) Lis. უმსგავსო.



ტადარ-ქმნილი შვიდთა-მათ სულთა უბრტესთა ზირველისა, სოდო-  
მურიცა ქცევა მთიზოვა, დაქცევით დაქცეულ-მან, და წარწემედით  
წარწემედელ-მან, ამის ესე-ვითარისა უცხოსა და უუგოსა საქმისა შე-  
მოსლვასა შინა, ითმენდა თამარ მკნე და წუნარი, ნარნარი, ცნობიე-  
რი და გონიერი, ორისა წლისა და ნახევრისა უამთასა უკეთურებათა  
რუსისათა, რომელსა სხვა ვერა-ვინ მოითმენდა განსაცდელსა ამის  
უცხოსა ქვეყანასა<sup>1)</sup> შინა.

და ვითარცა უგრძნეს ესე ვაზირთა და დიდებულთა ამის სა-  
მეფოსათა, განკვირვებულთა და განცურებულთა ერთ კმა უვეს,  
მცნობელთა ამისთა, ვითარმედ ესე მისვე ძველისა მტერისა არს,  
რომელ-მან მოაკვლევინა ძმისა ძმა და მამათა შვილნი, და ექსოროა  
ქმნა ზირველი იგი კაცი სამოთხით, ვითარ ესე აწ ხილულისა ამის  
სამოთხის და უმეტეს სამოთხისა და უბრწეინვალეს ედემისა შეუ-  
მზადებია ექსოროა ქმნა, რომეთუ მისვე ძველისა საღან სკვითისა  
შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა. მუნ თუ იგი მოადგა დედოფალსა  
ქალაქთასა, აქა ეს დედოფალსა დედოფალთასა და მეფესა მეფე-  
თასა, ბოლოდ რაღა თხნიერ ამისსა ვერდა-რა მიმნდობელთა, ორ-  
ღანო ქმნილისა-მის ეშმაკთა ბომონისა, კელ-ჭევეს დიდად ცრემლ-  
მდინარეობასა შინა, იწყეს დრტვინვად ცილობათა-თხს მათ ზირ-  
ველთასა, რომელითა აიძულებდეს შერთვასა მისსა. ჭრცხვენო-  
და უოველთა თამარისა-გან, ჯერცა მოწყალისა და განურისხე-  
ბელისა. ხოლო ბრძენ-მან თამარ იძია მრავალი ღონე განკურ-  
ნებისა მისისა. გარნა ვერა-რას საკვებელ ეუო, უბრძანა, საწმუ-  
ნოთა მონაზონთა ზირითა, მრავალ-გზის და უოფლადვე არა-რას საკ-  
ვებელ ეუო რუსსა-მას. ამის-თვისცა თუთ ზირის-ზირ იწყო მხილე-  
ბად მისსა, არამედ უფროს განძვინდებოდა რუსი, ვითარცა ღვთი-  
სა-გან საფარველ მოძრცული, ვითარცა იტუვის წერილი: „ვკურნებ-  
დით ბაბილოფანსა, და არა იუო კურნება“, არა-თუ ოდენ არა შეი-  
გონა, არამედ უძვირესთა მიმართ იწყო, და შეკაცნილნიცა კაცნი  
უბრალოდ გვექმნა, და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა. შეუძნდა ესე  
უოველი თამარსა, და წინაშე უოველთასა ესე თქვა: „დადათუ სამ-

<sup>1)</sup> R, T, ჩუნასა.

ღმრთის სჯულის მიერ სწავლულ ვარ არა განშორებდა ჰირველსა  
საწოლსა, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თუხი წმიდად არა  
ჯერ არს მის-თანა დათმენა: რამეთუ შემაგინებულ არს ტაძრისა  
ღვთისასა: და მე არა მიძღავს აწრდილსა მრუდისა ხისასა გამართ-  
ვად, და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ  
მიერ.\* ესე თქვა და აღდგა და დაუტევა იგი, ხოლო რუსუდან და-  
დოთაღ-მან და უფველთა მთავართა საწყალობელად განაძეს იგი,  
და არა ეგ-ოდენ და უბადრუკ იქმნა დამკობითა მეფობისათა, რა-  
ოდენ შეგნიერებისა-გან თამარისა დაკლებითა გამოეკვა ცხოვრები-  
სა-გან. და ესრეთ ექსორია-ქმნით შთასვეს ნავსა შინა, აუ-  
რაცხელთა ღართა და სიმდიდრეთა მიერ განსაკზლებული. დადაცა-  
თუ სიკჳდილსა ღირს იყო, არამედ ფრიადითა მოწყალებითა და  
სიტკობითა თამარისათა, არა-ვის აუფლა სიკვდილი მისი, არცა-  
და განძარცვა მისი, არამედ ექსორია-ქმნით შთასვეს ნავსა და მი-  
იწია კოსტანტინეზელად, და უამ რა-ოდენმე იყოფოდა მუნ.

შემდგომად ამისსა უმეტეს და უმეტეს, უკეთ და უკეთ, წა-  
რემატებოდეს საქმენი თამარისნი, და სუფევდა და ჭფარვიდა ძლი-  
ერი კელი საუფლო და მკლავი მადალი, თანა-შემწე და თანა-ბრძოლ  
ბრძოლათა შინა, ამას ძღვნიობდეს უფველნი მეფენი აღმოსავლეთი-  
სა და დასავლეთისანი. ამისთჳს ხელდებისან უფველნი მსმენელნი  
ესრე-სახე ბრწყინვალეებისა მისისანი, რამეთუ ბერძენთა მეფის მა-  
ნოელის უხუცესი შვილი ამის-თჳს იყო გაჭრით და გახელებით გა-  
მიჯნურებული, სახელით ზოლიკარზოს, არა-თუმცა ანდრონიკეს, უამ-  
სა მისისა მეფობისასა და მის-გან ბერძენთა ამწყვეტისასა, შე-  
ეპურა და გაეპატიჟა.

კვალად ასურსატანისა და შუა-მდინარის ანტიოქელისა მეფისა  
შვილი იყო. უკეთუმცა ჭქონებოდა გზა მრავალ-გვართა ბარბაროზ-  
თა შუა-ყოფისა-გან, წამსაცა შინა აქა ზოვნილ იყო. კვალად სულტ-  
ნის უიზარსლანის შვილი ერთი, ამისისა ბრწყინვალეებისა სმენითა  
ხელ-ქმნილი, ძლითღა-სამე დაიმიჭირა მამა-მან, სჯულისა გაშეგობ-  
სა შიშითა: ხოლო ახლეს მეფეთა ესე-გითარი აქვნდა ტრფიალება  
და სურვილი, რომელ არცადა უღირსთა უღირსობისა აქვნდა კდებ

და სირცხვილი, არცაღა თვსთა თვსობის გავლენა. ვინცა სახედ შარავანდნიცა მზისანი მისცემენ ნათელსა ხედვად და განცდად მზისსა, ეგრეთვე შარავანდნიცა თამარის ნათელთა ბრწყინვალეობისანი ეფინებოდეს იატაკსა ამის მიწისსა, და ეფველთა ადრვიდა სურვილად მისსა.

მცნობელ-მან ამის-მან სალდუხის ძის ქე მან, სახელით მუტაფრადინ, არცა-რც დახედნა ურჩებსა მშობელთასა, არამედ დაავადო გემოვანი სჯული მოჭამედისი, რომელ-მან მოზიდვითა კაცთათა უმოდვრა კაცთათა<sup>1)</sup> ნებსა თვსსა ზედა საწუთო ესე: ესე სურვილითა და სმენა-სატურეთთა სახეთა-გან ძლეული, მთვიდა წინაშე თუთ-მთელბელისა, და ეფველთა მეფეთა უზემთაქისისა ამის თამარისა, სამეუფოთა თვსითა ლაშქართა აკაზმულობითა, და მრავალთა დიდებულთა, ხაჯაბითა, საჭურისებითა და მონებითა, და მხევლებითა, ბარგითა და სიმდიდრითა საკელმწიფოთა, ძღვნითა კმასყოფელით, თვალთა და მარგალიტთა, და საჭურჭლეთა, და ლართა ურცხვებითა, ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა: ხოლო წესისა-გებ სახლისა სახელმწიფოთსა მიეკებნეს დიდებულნი, და ჰატივითა და სიუვარულითა მოიუვანეს სრად სამეფოდ, რომლისა ჰაზი (sic) ამისი სალდუხ-ეზდინი, ჰაზის ამისსა დიდსა დიმიტრი მეფესა, ძალითა და მკლავთა სიმაგრითა ხელთ-ეგდო და მოეყვანა, აწ ამან სიტყვითა და ნუ-უკვე არცა სიტყვისა ღიხსებითა მოიუვანა ვითარცა მონა, მონარკე, ხელიად და წუნარად, და მიმუფრებით-რე უდარბაზა, რომელ-მან ნახვასავე თანა რამინისებრი აჩვენა ცრემლთა ნაკადთ მრავლობა, და დასვა ჰატივითა ტახტსა თანა, ხელითა, და იქმნა სიხარული გამრუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წულიანობასა სახლისა ამის დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგვართა სახიობათა, და მუტრობთა და მოშაითთა განწყობლობასა, ვინცა ნიჭთა და საბოძვართა, და შემოსათა იქმნა რიცხვი ურცხვი, ამა ესე-ვითარსა სიუვარულსა, ჰატივისა და ბოძებასა შინა დაუფაძი ზამთრისა სომხითს და ტფილისს, და მოეწონნეს და ეკეთ-

<sup>1)</sup> Ce mot me paraît inutile.



ნეს სხნადირინი და ქვეყანანი, და მოემენი თამარისნი, და უმეტეს და ზემთა ყოვლისა ქებისა და მოგონებისა, სიტურთუ და ბრწეინვალებსა თამარისი, რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთა-გან შეუძლებელ არს, და უამსა დანუგობისსა თანა წარიტანეს, და აჩვენეს საყოფინი სხნადირინი. მინდორნი, მოედანნი და ქვემონი <sup>1)</sup> კახეთისა თა რანისანი, და რანისა დიდებულნი მოემენი, და ლაშქარნი, განაღამცა მოეწონეს და ეკეთეს, ამას შიგან იშვებდეს და იხარებდეს, და მოელოდა უკვდავ-ქმნასა თამარის მიერ, რათამცა ღიკს ქმნილი იყო ზესთა ღიკსებისა მისისა, გარნა ვინათ-გან თამარ შიკს ქმნილი უჯერკისა რასმე შესატყვისობისა თვისისა, ზესთა აღმადლა გონება, და ფრთავან ქმნილი სულითა იშვებდა სსრებითა კეთილითა, და ზითარცა შემოვიდეს ქალაქად სამეუფოდ, დაამკვეს ქედმადლობა ტრფიალისა მისისა, და წინა-უმეო საულისა შეემთხვია სალჩუკიანსა. რამეთუ საულ ძებნასა კარაულისასა ზოვა შეუობა, და ამას, მძებნელ-მან შეუობისა-მან და ზესთა ყოველთა შეუობისა-მან, ზოვა ნაცვლად რომელი კამდა შერაინდედ, კარაულებსა საულისასა. იყო ვინმე ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად შეფისა, ვინაცა მთქმელთა ამისთა დასკვნეს ქორწილი. შერთეს და გარდაიხადეს ქორწილი სახელავანი, და განსცეს საბოძარი აურაცხელი, ლართა თანა და სიმდიდრეთა უსაზომითა, და მრავლითა ზითვითა წარგზავნეს იგი თვისად სამეფოდ, აზრუმად, გარნა თუ ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გულითა, გამოუთქმელ არს კაცთა ენისა-გან.

ხალა ამისსა შედგომად რეცა დარბაზობისა სახელ მოვიდა შარავანშა აღსართან, რომელი მიხდილ იყო ცნობასა სიყვარულისა-გან და ტრფიალებისა თამარისა, სჯულისა-ებრ ძველისა ისლიმთასა და თვთ დღესცა რომელსა იქმან ტრფიალებიდა. რამეთუ არცა ხედვენ თვისობასა, და არცა სიდიდესა საქმისასა, რათამცა ეწივნენ ხებასა გულის-თქმისა მათისასა. რამეთუ თვისად იყოდა ესე აღსართან თამარს, რამეთუ მამის დედა ამისი, დიმიტრი შეფისა დაჲ,

<sup>1)</sup> ქვეყანანი.

იყო დიდის დავით მეფის ასული, რომელი უკანასკნელ მოიქცა სამშობლოდგე თვსად და მონაზონ იქმნა, და აღაშენა თიღვისა მომასტერი, სახელსა ზედა ზატიოსნისა ჯუარისას. ესე შარვანშა აღსართან <sup>1)</sup> მოვიდა, სჯულისა დაგდებად განმზადებული, მოქენე იქმნა ყოველთა წინაშე საქმის მოქმედთა, და მოძღვარსა, და კათალიკოსსა, მიუწოდებელითა ქრთამითა ეგუდრებოდა. გარნა უქმ იქმნა ზაკვანი და მანქანებანი ეშმაკისანი, ვინათ-გან თამარს ზე აქვანდა გონება დიდისა-მის გონებისა მიმართ. და აღემსტვალა საცნობელნი თვსნი ზენასა-მის ხეუდრისა მიმართ, და ყოველთა მამონასა-გან ძლეულთა, და ამისა ქმნად მანვეველთა ჰრცხვენოდა, და არ მსმენელი ამისი სირცხვილეულ ჰყოფდა მათ, რომელი სატანას მზაკვარებითა აწვეუდეს ამას, ვინაცა წესისა-ებრ ზატივითა და სიუვარულითა, და მრავლითა ნიჭითა წარავლინეს, და ამცნეს რათა არდა-რას შესძინოს ამისა თქმად ანუ კადრებად თამარ, სვე-სვიანისა კელმწიფისა და მზე-ებრ შუქთა მიფენისა.

ამიერით-გან გონება უხმს ვრცელი და ენა ბრძნად მეტეველი, რომელ-მანცა შეუძლოს დირსებით აღწერისა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვითარ თმანი თვსნი თვითეულად ვერვინ აღრაცხნეს, ეგრეთვე ვერცა-ვინ ესენი აღრიცხვნეს ანუ თუ აღწერეს, და რომელთაცა ოდენ შეუძლოს საეჭვი მიჩნის მომავალთა-გან არა დარწმუნებად, გარნა ლომი ბრჭალთა-გან საცნაურ არს, და თამარ საქმეთაგან. ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი, სულტანთა სასხდომნი, მის-გან ახმულნი, საზღვარნი, რომელნი მას დახვდეს, მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განთართებულნი, და ამის-გან სცნას მეძიებელ-მან საქმეთა-მან. მეგრე სცნას ერკაყმდის ქვემოდ მის-გან დადებული ხარაჯა, და პაღდადის კერძ მარადამდის, და თვთ იგი ხაჯიფა შეშინებული და მოჭაჯე-კმა არს ქვე-ჯდომით მოქმედისა-გან, აწ ითქმოდენ წერილისა-ებრ <sup>2)</sup>. „მოაკლდეს ძალი ბაბილოფნისა, და აღეშენა მთა ერმონისა. გან-

<sup>1)</sup> Dans Ies. M-its ახსართან.

<sup>2)</sup> J'ajoute la postposition ებრ.

ქარდა კვამლი სუბაკთა და განძლიერდეს ბჭენი სელიმისნი:“ ესე-  
ვითართა წყალობათა შინა ღვთისათა იშეებდა ერი ქრისტიანეთა.

### § 3. მ ე ო რ ე ქ მ რ ი ს ა მ ბ ა ვ ი .

გარნა წუხდეს და იურჯოდეს შემჭირენი საქმეთანი, უნაყოფობის-თხს და შვილის უხმელობის-თხს თამარისა და ვითარ-  
მეცვა შვიდივე ესე სამეფო შეჭირვებას ამახს საქმისასა, რამეთუ  
ჭხედვიდეს უშვილოდ, და მარტოდ მკვიდრად სახლისა თხსისა, მ-  
ეს ღონე განგებითა და ნებითა ღვთისათა, რომელი აღამადლებს  
მდაბალთა და შემუსრავს ჯადთა. რომელი ბრძანებს წმიდას სახ-  
რებასა შინა. „არა რომელთა მე გამოძირჩიონ, არამედ რომელნი  
მე გამოვიჩინებ.“ და ვითარ იტყვის დავით რომელსა-ესე აწ სათ-  
ნო იყო გამოჩინებად. „უბტირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და  
უმრწემეს სახლსა შინა მამისა ჩემისასა. ხოლო თავად-მან უფალ-  
მან აღმიდო და მცნო ზეთითა ცხებულისა მისისათა.“ და შემდ-  
გომი. იყო სახლსა შინა რუსუდან დედოფლისასა მყოფე ეფრემისა  
ძეთა-გან <sup>1)</sup> რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძღენი და ძლიერნი ბრძო-  
ლასა შინა, ესე ვინად-გან დედოფალსა რუსუდანს თხს ეუოდა მამი-  
დისა მისისა დავითის ასულისა, ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზი-  
თა, რამეთუ ოვსთა მეფისა შვილი იყო ურმა იგი და გვარადცა  
ბაკრატოანი. რამეთუ დიმიტრიდ, ძე გიორგი მეფისა, რომელი  
დაშთა ოვსთა მეფისა ქალისა-გან, მის დიმიტრის მეექვსე ნათესავი  
იყო, ძეთა-გან მისთა, და რუსუდან უშვილო იყო <sup>2)</sup>, და იგი მ-  
ეუფანა აღსაზრდელად სახლსა შინა თხსსა ურმად, თრიად შვენიერი,  
ვითარცა ჭშვენის მეფეთა შვილსა, და იხილეს მუნ მიმავალთა რა-

<sup>1)</sup> Mon M-it ძეთა შორისთავანი.

<sup>2)</sup> Depuis და გვარადცა, omis par le M-it T. აქა სცან ბაკრა-  
ტოვანება დავითისი, თუ იყო თუ არა. დიმიტრის მეექვსე ნათესავი იყო.  
note R.; cf. celles p. 178, 184; celle-ci est de la même main.



მეთუ მოჴმე იჲო ნაკეთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, ზირად ტურფა და ტანად ზომიერად, და ორთაჲე კერძთა გვართა-გან საკელმწიფოა. სხვითა კვლად ზრდილობით კეთილად ზრდილი და წვერთილი, მკნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდარსობითა უსწორად შემპარ-თებელი, ტანითა ახრავანი და უფლითურთ სრული სიკეთითა: ამისი ინებეს უფელთა შეერთება თამარისი და საქმე დმერთსა მიანდ-ვეს. ჰკადრეს და მოახსენეს დედოფალსა რუსუდანს მკვიდრთა ამის საშეუფოსთა, იგი განაღამცა ნების დამრთველი, ვაზირთა და დიდუ-ბულთა თანა-შეწევნითა მომკესნებულნი, მოჰჰაჰე ექმნეს თამარს და ეტყოდეს: „უკეთუმცა არა იჲო ზენა განგება ამისსა მოქმედებასა შინა ჰხედავს შარავანდელობა თქვენი თუ ვიეთნი და რა-ოდენნი რა-ოდენ-გზის მოჴმენი შეენიერნი და დიდებულნი შვილნი კელმწი-ფეთანი, ბერძენთა და ჰომთანი, სულტანთა და სკვითთანი, სზარს-თა და ოფსთანი, მცდელნი სამართალთა-ებრ, უკუნ-არღვივნა ბრძანე-ბამან ღვთისა-მან, რამეთუ თვინიერ ნებისა მისისა ვერა-რახ სრულ იქმნების:“ მაშინ თამარ, მინდობილ-მან მამის დისა მისისასა-მან, რამეთუ მშობლისა სახედ მოჩილობდის ბრძანებასა მისსა, და დი-დებულთა, და დარბაისელთა და ეზისკაზოსთა განზრახვით, ეს-რეთ თქვა, მბრძანებელ-მან, „მოწამე არს ჩემდა დმერთი, არა-ოდეს უფილად გულსა ჩემსა წადილი ქრმოსნობისა და ქარწინებისა, არ-ცა ზირველ და არცა აწ. თუმცა იჲო ვინმე მკვიდრი საყდრისა ამის ჩემისა, რომელი მერწმუნა ზირველ ღვთისა-გან, და მერმე მშო-ბელთა ჩემთა-გან. და აწცა ამისი ვარ მოაჯე“.

მაშინ არ მიმშკებელთა ამისთა, ჰკადრეს დედოფალსა რუსუ-დანს, და წარვიდეს დიდებულნი ამერნი და იმერნი: და წარმოიყ-ვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი, რჩეული ღვთისაჲ, და ვით, და მოვიდეს სრასა დიდ-უბისასა, სანახებსა ტფილისსასა, და მუნ ქმნეს ქარწილი შესატყვისა და შემსგავსებული კელმწიფობისა და შარავანდელობისა მათისა, ვინათ-გან დედოფალი რუსუდან, უფლი-თა სიბრძნითა აღსავსე, მოქმედებდა, და აქეთ ბაკრატუნიანთა გვარ-ობითა აწყობდა რიგთა სახლისათა. და ქვემოთ ხვარასნისა და

ერაყის სულტანთა<sup>1)</sup>, სძლობითა გამოცნიერებული, ბუნებრივთა სსხიობათა და შეებათა მოქმედება. მშეებელნი იშეებდეს, გლახაკი გამდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთა-გან განთავისუფლდებოდეს, თბოლნი და ქვრივნი ღონიერ იქმნებოდეს, და ეკლესიანი აფუკდებოდეს. იუფ ხმა<sup>2)</sup> მგოსანთა და მუშაითთა, და სსხიობათა მჭკრეტელნი იუფ რაზმთა სიმრავლე და ჯალათი, შემდგომად ამისსა, შემოვიდეს ტფილისად და დასხდენ ტახტსა ბუდნიერსა, ორნი მნათობნი, ორნი მზენი განმანათლებელნი უოველთანი, და განიხარეს უოველთა, დიდთა-გან მცირედმდე, უოველ-მან ერ-მან, და ცხორებობისა ნიშანნი მაშინვე იხილვებოდეს მათ-ზედა, იუენეს ლაშქრობანი გამარჯვებულნი ზემოთ და ქვემოთ, და არა-სადათ ვინ ჩნდა წინა-ადმდეგომი, ესე დავით წელიწადისა მოქცევამდის ესრეთ წაეჯობინა უოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხლსა, და მოასწარეზესა, მწიგნობარსა უოველთა ნასწავლთა, კელთა სიკეთითა, ვითა დეს სჩანს, რომელ შინათ ვინ უოფილა ამისი მასწავლედი და თანა-მოსწავლე, და თუ გარეთთა ქვეყანათა მოსრულა, ვერა-სა-და გამოჩენილა მისებრი

მაშინ მოკრედა ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიელი, მწიგნობართ-უხუცესი, ქართველი, მირიანის ძე კათალიკოზი მიქელ, რომელსა აქვდა სამთავისიცა, და არა-ვინ შეწუნხა მის-თჳს, არცა დიდი, და არცა მცირე, რამეთუ უოველი სძულდებდეს მას. ხალხთამარ ევედრებოდა ღმერთსა და გონებდა თუ ვის მიანდოს დავით და სხა თჳსი, და განსაკებელი სანლისა თჳსისა, რომლისათჳსცა არა ჭრცხვენა ღმერთ-მან, არამედ ადავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა, და მიმოიხილა უოველთა ზედა სამეფოსა თჳსისათა მთავართა, და განიცადა გონებისა თჳალითა; და მბანდო ღმერთსა საქმე, მოიფანა ანტონი, გლონის ხავის ძე, გარესჯით, რომელი ჰირველ ჭყონდიელი იუფ, და მიქელ კათალიკოზ-მან მას მისტაცა, მოძმაცვითა ვიეთმე მეფისა განმზრახათა, ესე მოიფანეს, ნანდ-

1) I. E. სულტანი.

2) ხმა.

ვიღვე კაცი ღირსი ქების, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მწიქალე, ყოველთა ტკბილი; მდაბალი, ზატრახის ერთ-გული და შემეცნებული საურავთა ეკკლესიათა და მონასტერთა-თჳს. რადღა სახმარ ანს თქმად, თჳთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველ-გან, ვითარცა მღვიმესა და კლარჯეთს მის-მიერ ქმნილსა მონასტერსა. და ყოველთა ადგილთა შვიდთავე სამეფოთა, და დიდებულთა განზრახვითა ესე დასვეს ვაზირად. მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ხევი, და მწიგნობართ-უხუცესობა. რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკემეს, არავე დაეტეს, ამიერი-გან იწიეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსა-თჳს და ერის უმჯობესთა.

შემდგომად ამისსა მოისმა ვითარმედ „რუსი-იგი ძნელ-ბედი და სვე-უსვეო წარმოსრულ ანს კონსტანტინობლით, და მოსულა ქვეყანასა ეზინკისსა და კარნუქალაქისსა“. შირველად მიერთო გუზანს, ზატრახი კლარჯეთისა და შავშეთისა, რამელი ძველთა მეფეთა და ტაყლთა დიდებულთა ადგილსა შეეწყალა მეფესა და დაედგინნა, აქათ ბოცო, სამცხისა სპასალარი, დიდად შეწყალებული ზატრახთა-გან, სხვითა მესხითა დიდებულ-აზნაურით, თვინიერ ივანე ციხის ჯვარელისა, რამელსა უვარუვარეცა ეწოდების. ესე დამაგრდა თჳსით მოკიდულთურთ, ვითარ გვარეულადცა ითქმოდა ერთ-გულობა ამისი, რამელ ბადუაშის ზედა უერთგულა ზანკრატს, ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი, აქათ ზატრახი ორბეთისა და კაენისა, და ლიხთ-იქით ნიკოტისამდის უცილობელად ქანებისა. მას შეეყარა ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი და არგვეთი: და მომრთმეველ-მან სანიგთა და ჯაშმაგთა-მან აფიცნეს რუსისა გამეფებისა და მისისა მეფე ყოფილსა-თჳს დიდებულთა და ლაშქართა მის ქვეყანისათა.

ამის-თჳს განკვირდების დავით და იტყვის: „მე ვთქუ განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არსო.“ რამეთუ რამელნიცა უფრო შეწყალებულნი და უმეტეს განდიდებულნი იყვნეს ზატრახთა-გან, თჳთ თამარის-გან მათ ქმნეს უმეტესი განდგომილება, და იგინი მიერთვნენ რუსს, ვერ გულის-ხმა-ყვეს, რამეთუ არცა ძველთა ჟამთა შინა და არცა ახალთა, სადმე სმენილ არს, უკე-



თუ სადამე ქმნილ იუოს, ნებსით ანუ უნებლიეთი განდგომილება მეფეთა, დაწყებით-გან სოფლისათ, არა-სადა-ვის უხილავს თუმცა წარმართებოდეს, ანუ გამარჯვებოდეს ზატრონთა ზედა. გარნა თუ სადამე ქმნილ არს განდგომილება, ეგრეთცა სახლისა-მის თჯსთა და ნატამალთა მიზეზითა ქმნილ არს.

გაუგზავნეს ლაშქარნი გუზანს, და მუნით წამოვიდეს რუსი და მისი ლაშქარნი, და შეურილთა მიმართეს სამცხეს, და მიეგება ბოცო, და ვინცაღა-ვინ მისნი იუჟნეს მიმდგომნი, გარდავლეს მთა და მივიდეს გეგუას, და დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსა. ჰი, და-ღადი დიდი და განსაკრთომელი კაცთა ცნობისა და გონებისა, ვინა ანუ ვის-თანადა მოსაუდრე საყდარსა დაფითიანსა.

მაშინ თამარ, მყოფი ქალაქსა ტფილისსა და მსმენელი ამა უაზროსა და უცნოსა საქმისა, განკვირდა და პირველად მოხდა ჩვეულებისა-ებრ ზენასა შეწევნასა და მოწყალებასა, მერმე უბრძანა უოველთა ერთ-გულთა, ვინცა შემოკრბეს სზასლარნი და დიდებულნი, ჭერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით, სამცხით, და განკვირვებულთა ამა საქმისათა<sup>1)</sup> ჰკადრეს და მოაკსენეს მათ-გან არა ნებისა დართულობა, და ვითარცა შეაჯერეს უმათოდ ქმნილობა ამა საქმისა, მკვეცებრ განმეხდა გული მათი ერთ-გულობისა-თჯს და თავისა საწამებულად დადებისა ზატრონთა-თჯს. თამარ, კვლითა საუფლოთა და სიტყვითა ოქრო-ნეკტარითა, მართლიად იკითხევდა მიზეზსა მკვიდრთა მისთა-გან, ოდესმე თუკდორე ზატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დაშთა მას უამსა ერთ-გულად, ლიხთ-იმერით, ვიდრე სისხლთა დათხევადმდე, და სხუათა ეპისკოპოსთა. გზავნიდის ოდესმე შინაურთა ვაზირთა. ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათ-გან ვერას პირის მზოვნელი.

კვლად შეკრბა კრებული ღვთის მბრძოლთა, და იზრახეს ზრახვა ბოროტისა, და აღიდეს მახვილები და წათები. და წარმოემართნეს<sup>2)</sup> ზატრონსა ქრისტეს შემოსილსა ზედა, ნახევარნი მს-

1) T სამცხისათა.

2) 3 mots aj. T.

თით მკეფე სსკონებუფითურთ, და კარდმფვიდეს მითათა ლიხისათა<sup>1)</sup>); ამოსწუვიდეს და ალაკერეს არენი ქართლისანი, მფვიდეს ნსჭარმა-გეგამდის და გოკამდის. და ნახეფართა, დადიანთა და ბედიანთა წინა-წადღომითა, კარდაიარეს რკინის-ჯგვარი, და ჩხვიდეს ციხის-ჯგვარსა, და დაწვეს ქალაქი ოძკვე: და მუნ შეიფარნეს ბოცო და მესხნი, ვინცაღა იუჟნეს მიმდგომნი მისნი. და განმგებულთა ესე-ვითა-რისა სსქმისა, ღვთისა უკითხავად, არა შეიშინეს სსსჯელთა-გან-ღვთისათა, არცა ზატრახისა ღვთიფ დაცულისა-გან, რამელსა ჭფარ-ვიდა კელი საუფლო, და უძღოდა მკლავი მალადი. რამეთუ გააკეს აღება ჯავახეთისა, თმეგვისა და ახალ-ქალაქისა, კვალად თრიალეთისა და სომხითისა, და ვინათ-გან ქურდ-ვაჭარს იქით გასდგომოდაფე უფუელი სომხითი, ივანე ვარდანის ძე, ზატრახი გაგისა. მასუ, ზატრახი კაიწონისა, კაენი თვთ ვარდანისი<sup>2)</sup>), სხვანი მის ქვეყანისა აზნაურნი და აზნაურის შვილნი, თვნიერ ფაქარია ვარდანის ძისა. იგი კაცი ერთ გუფი იუო და ჭაბუკი გამოცდილი: ამათ უფულთაფე აკარათა შეურა გააკეს, და მუნხიდაღმა მათდა ზემო ქართლისათა მუოფთა კართა ქალაქისათა ერთად შეურა ინებეს. სადა-იგი იუო მზე მზეთა და ნათელი ნათელთა, ტარიგი უმანკო მსგავსი ძალისა-ებრ მისისა ქრისტესი, მშვიდი, დაფითისებრი გონებითა, მინდობილი ზენასა-მის განგებისა, და სსსოებისა მქონებელი. მამინ უბრძანა ამირ-სზასლარსა გამრეკელსა, ოთხთაფე მკარ-გრძელთა და სსჭათა თორელთა, ზემოთა და ქვემოთა, წარსლვა და მიგებება წინა, ქვეყანასა ჯავახეთისასა, და მუნვე ცნობა ძალსა მათსა, და მივიდეს მტკვარსა ზედა, იგინიცა მუნვე მისრულ იუჟნეს, და შეერთნენ მესხნიცა ერთ-გულად დარჩომილნი, და აქათ ესენი მისრულნი მტკვარსა ზედა, და იგინი მუნით კიდსა ზედა. შეიბნეს, და შეიქმნა ომი და სროფა. მას დღესა სიღამე-მან და წულისა შუა-უოფა, მან განუარნა, და ფითარ შეღამდა, შეიფარნეს და ზრახვა უვარს, ფითარმედ „ზხედაფთ მკეცტ-ქმნილობასა ამათ ლაშქარათასა, და

1) R ლიხთისათა; men M-it ლიხთასა.

2) T ავ. იუო.

რამეთუ არა გუაქმს ძალი და ღონე შებმის. აწ მივრიდეთ სიმაგ-  
რისა კერძ, და მუნით და ღონით რითამე ვეცადნეთ დასატსა და  
ძლევასა: “ გარნა რამელი ძლევასა და სიმკნესა მისცემდა თამარის  
კერძ, და იღვწიდა ღმერთი მისთჳს, მან ამცნო გუფსა თამარისსა,  
რათა დაუყოვნებლად შებმა უუფნ და ღვინა წინა-აღმდგომთა მისთა.  
განვლეს მტკვრის კიდი, და მიმართეს მთასა განძად წოდებულსა,  
ღონედ სიმაგრისა საძებნელად, და ვერცაღა მუნ დადგეს, გარიდეს  
და მიიწივნეს ველსა ნიალისსა და წყალსა ხინგრისასა, თმოგვს და  
ერუშეთს შუა. მუნ შეიქმნა ომი ვითა ხვდებოდა რჩეულებასა იმერ-  
თა და ამერთა მოყმეთასა, რამელი კმა იყო ძველთა-განცა გოლი-  
ათთა და ჭაბუკთა ომად, რამელთა ზედა მოვიდოდის სიმწვავენი  
დაძვევებულნი ისართანი, მოუთებულნი კრმალთანი და მხეთქებულ-  
ნი ორთქლთანი. და განგრძობასა შინა ომთასა, მიეცა ძლევა მოყ-  
მეთა თამარისთა, და გაქცელნი რამელნიმე დარჩეს სიქველთა მ-  
თითა, და რამელნიმე <sup>1)</sup> დაიხურნეს და დაჰცნეს, და დაატუვევეს,  
და ამათ არა-რამე ეგნო, არცა სიკუდილითა, არცა დაკოთითა, თჳ-  
ნიერ ივანე, სარგისის ძე, დაკოდნეს, და შემოიქცეს მხიარულითა  
პირითა და განათლებულითა გულითა. თავის-უთვალ და უღვევულ  
უჩნეს ივინი, რამელნიცა გარდაიხვეწნეს, შეძინებისა და პატრო-  
ნისა არ დაკლებისა-თჳს. და მოვიდეს წინაშე ღვთივ გვრგვინისა  
და ჭეშმარიტად მეფეთ მეფისა. და მომცემელ-მან ღვთისა ჯეროვ-  
ნისა მადლობისა-მან, ნახნა თჳსნი მოყმენი პირითა ბრწყინვალითა  
და გულითა სახიერითა, და თვალთა ტკბილითა <sup>2)</sup>: ვინცა ცნეს  
ესე პირველ, მახარობლისა მოსდგითა, სარგის ვარდანის ძისთა <sup>3)</sup>,  
ზრახვა ევეს რამელნი მოყო იუჩნეს მის წინაშე, ჭიაბერი მანდა-  
ტურთა-უხუცესი, და ჭერნი და კახნი დიდებულნი, და აზნაურნი <sup>4)</sup>,  
თანა-ღართვთ უიფხაყათა, შეერილთა ქართლისა ერის-თვისა და

1) Depuis დარჩეს, add. du M-it. T.

2) 2 mots omis, T.

3) 3 mots aj. T.

4) M-its თავადნი.



ქართულთა დიდებულთა, წინა-წეობითა <sup>1)</sup> დავით მეფის სვიანისათა, დასხმა ქართლს მდგომთა, რომელთა თანა მიერთულ იუწნეს ვიეთნიმე ქართულნიცა, და სიმრავლე უფლისა კავკასიისა და მთიულეთისა. <sup>2)</sup>

და ვითარ აგრძენს ამათ ამოწევედა და გაქცევა მათ კერძოთა ზემოთა ლაშქართა, მსწრაფლ იკვირეს ამათცა გაგცევა, და გარდავლას ღიხთა. შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე თამარისა. ჰკადრეს გასლვა სამხითით და მიმართება ურჩთა და განდგომილთა მეუფობისა მისისათა, და დამორჩილდა ქრისტეს შემოსილი კელმწიფე, შემეცნებული ღვთისა წყალობა-აურაცხელობათა, ვინა უწყოდეთ ესეცა; რომელ წყალობათ და მოხედვათ ღვთისათა სიფრცე აურაცხელ არს და დიდ ფრად, რამეთუ კეთილთა და სსხიერთა ნიშთა სიმრავლითა აღავსებს, და ძლევათა მინიჭებითა განამდიდრებს, ვითარცა იტყვს ბრძენთა შორის ზლატონ, ვითარმედ „კეთილი კეთილთათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი. ბოროტთა-თჳს, ბოროტ:“ ხლლჳ აწ კამს და უფრასდა მარადის გაგონება ნათქვამთა ამათ <sup>3)</sup>, და უწეებად და ხედვათ ზენათა წყალობათა მონიჭებათა, რათა მარადის მოუკლებელად იუფს ჩვენ-ზედა ესე-ვითარნი წყალობანი და მოხედვანი ღვთისანი: ხლლჳ ვინაცა ცნეს განდგომილთა შერისხვა ღვთისა მათ-ზედა, თჳთ რომელნიმე დამგდებელ იქმნეს ციხეთა და სიმაგრეთა, და უწინარეს სჯულისანიცა, ვინათ-გან თამარსა ზედა ესე-ვითარნი საქმე იკადრეს. რომელნიმე მოვიდეს უელ-სახელ-მობმულნი, რომელნიმე მკვლელ ექმნეს თავისა ბიძასა, და ეგრეთვე მოვიდეს, და მუნცა იქმნა ჩჭულლებრივი <sup>4)</sup> გამარჯვება, და შემოქცეულნი დადგეს ჭლასა აგართასა, მონადირე და მოხარულნი.

მწყალობელი ერთ-გულთა და საკუთართა თჳსთა, შეიწყადა ზაქარია ვარდანის ძე და უბოძა გავი, ქურდ-ვაჭრითა, განძამდის,

<sup>1)</sup> M-its ძლომითა.

<sup>2)</sup> T მთიულობისა.

<sup>3)</sup> Omis, T.

<sup>4)</sup> T ჩვეულებით,

მრავლითა საკუთართითა და მრავლითა სხსხვერთათა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა შეიწყოლას. და უბოძა საკვირისი ძესა ივანეს ზირველობა, მსახურთ-უხუცესობა კელ-შინაური, და საპატრიარქაენი და კაიწონი, გელაქუნითა. და სხვითა მრავლითა სხსხრჯოთა ქალაქითა, ციხითა და ქვეყანითა, შეიწყოლნეს და დალოცნეს სხჴანიცა მრავალნი დიდებულნი, შეიქცეს და მიმართეს სახლად მათდა, ნაჭარმაგვეს. და ლიხთ-იმერთა დიდებულთა შეცოდებისა მათისა შენდობისა მოაჯეთა ითხოვნეს ცხოველნი ხატნი, და თჳთ დედოფალი რუსუდანი მათ შუა საყოფელად, და კათალიკოზი, მანდატურთ-უხუცესი, და სხვანი ეპისკოპოსნი, შინაურითურთ, სახელ-დებულთა ვინცა გარდამოვიდეს სხვანნი დიდებულნი და გარდამოატნეს რუსი, მეფე ყოფილი: და მისცა დედოფალ-მანი სიმტიციე ყოველთა მუნ შეოფთა, ზირველად რუსის უგნებელად გაშვებისა-თჳს, მერმე მის ყამისა არას შეცოდებისა-თჳს, არცა შენანებისა და გარდაკორსა, და წარმოდვანებითა <sup>1)</sup> დედოფლისათა მოვიდეს ნაჭარმაგვეად; ვინცა რუს-მა ითხოვა ივანე მისანდობელად, და წარვიდა მასვე, მისსა სვე-უბედურსა გზასა, და შეიქმნა მშვიდობა, და ერთობა და სიხარული <sup>2)</sup>, რომელი არა-ოდეს ვის უხილავს, და სიტუჳს-ებრ საწინასწარმეტყველსა, ერთბამად მოვიდეს ლომი და კარი, და იხარებდეს ვეფხვი თიკანთა თანა, და მკელი ცხოვართა თანა. და განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა ზირსა ქრწყანისსა.

და დაშქრობდა დავით, ბრძანებითა და გამორჩევითა თამარსვე-ალექსანდრიანითა, და ემარჯვებოდა ყოველი, განკებითა და შეწევნითა ზეგარდამოთა. ამას შინა მიიცვალა გამრეკელი, ამირ-სპასალარი, ესე ყოველთა იგლოვეს და დიდათ დაუმძიმდათ, და თმოგვისა-გან კიდე არა-რა დააკლეს შჯლთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირ-სპასალარობა ზაქარია მკარ-გრძელსა, ძესა საკვირისისა ამირ-სპასალარისსა, მჯდომისა სომეხთა მეფისა ადგილსა, ზატრონსა ლორისსა, მოუმატეს ქალაქიცა რუს-თავი, მოუმესა დირსსა სპასხეტო-

<sup>1)</sup> T წამოდვანვითა.

<sup>2)</sup> T omet 2 mots.

ბისსა, და ჭიაბერსა, მანდატურთა-უხუცესსა, მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთეულეთითა. და შეიწყალეს და დალოცეს ზარამის ძე, და უბოძეს თმოგვი და ქვემოთ, წირქვალენი ზარტაიჭის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი, თორღის ძენი. და შეიწყალენს თვთოულნი თვისთა წესითა, რომელნიმე ახლად დალოცვიითა, და რომელნიმე მომატებითა. და ეგრეთვე ქართველნი, სომხითარნი, თორღენი, მესხნი და ტაოელნი. ვინაჲცა გუზან ჰირველვე წარწემედელი თავისა თვისისა, აწცა განდგა, და გაიტანა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვანი ციხენი მრავალნი, და წარვიდა ქრესტანსა შაერმანისსა. მაშინ წარავლინეს სარგის თმოგველი და კახსა სამდივარი, სხვითა აზნაურის-შვილებითა, რომელთა თანა იყო მელვინეთ-უხუცესიცა, სეფე-შვლად კლარჯეთისა და შავშეთისა. ხოლო განვიდეს-რა მათსა კოლისსა, მკვიდეს და მოკვებნეს წინ თანსკეტელი ზაქარია და ძინიელნი, კალამახელნი, უმანი კარგნი, ჰატრანისა-გან შეწყალებულნი: შეურასავე თანა ცნეს გუზანის შვლისა და შაერმანისა ლაშქართა მოსლვა, გუზანის ცოლ-შვილისა წასასხმელად<sup>1)</sup>, და ციხეთა შინა თურქთა შეეენება, დადაცათუ ლაშქარნი დიდი იუჟნეს, და თორმეტისა დროშისა ჰატრანნი, და ესენი მცირენი. არამედ სასოებითა ქრისტესითა და სიმართლითა და სვე-უძლეველითა თამარ ღვთივ დაცულისათა, შებმა უყვეს, და არა დარდნეს სიდიდესა და სიმრავლესა მათსა, სიმკნითა და სიქველითა მათითა, და დიდი და ძლიერი რძი გარდაინადეს, და ბოლოდ გააქცივნეს იგინი, და ამოსწეიდნეს, და გუზანის დედა-წულნი კელთ იზურეს და შემოიქცეს მშვიდობით. აღიდეს ციხენი და სიმაგრენი, და კვალად აგნეს ამავე სამეფოსა. მოიწივნეს წინაშე თამარისსა, რომელ-მან მიჰფინა ნათელი წყალბობისა და გარდაიკადა მადლი, კეთილად მოჭირვებისა და სიმკნისა მათისა-თვს, ესე-ვითა-ნსა წყალბობასა შინა ღვთისსა იშვებდა ერი ქრისტეანეთა, გარნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფობისა თვს თამარისა, არამედ ღმერთ-მან რა-

<sup>1)</sup> T წასასმელად.



მელ-მან მოხედნა პირველ მანოეს და აბრაჰამს, და მდებარეა<sup>1)</sup> ახნას და ელისაბედს, არა ყოვნა, არცა აქა. რამეთუ შემდგომად მცირედისა უამისა, დარსულთა თამარ, და ცნეს-რა ესე ყოველთა, იწუეს ლიტანიობით ვედრებად ღვთისა, მარხვითა, ლოცვითა და ცრემლითა, რათა მისცეს ღმერთ-მან შვილი წუელი, რომელი-ესე იქმნა: და იუჟნეს-რა დავანებულ ტაბაკმელას, მუნ შვა ძე პირ-მშო, ყოვლითურთ მსგავსი ჰაზისა, და უწოდა სხელი ახრფნისა მამისა მისისა, გიორგი. რომელისა-თხსცა უვაგილი უკუდავთა ნაწილთა აღმოგვეცნეს: ესე-ვითარსა მოხედვასა შინ ღვთისასა და პირველსა დარჩომასა თამარისასა, და აღმოშობასა ძისასა, რამცა თქმად ეკუბოდა სახე სინარულისა ანუ მადლობისა ღვთისა ყოველთა მიერ. ესე თქმად შეუძლებელ არს. იხარებდეს, იშვებდეს და იმთხვიდეს სამთხესა შინა ამის საწუთხსასა, განმათავისუფლებენი ტყვეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირველებნი მღუდელთანი და მიმცემენი მონაზონთანი, მოღვაწენი გლახაკთანი, ერთბამად აღიდებდეს ღმერთსა მწუობრნი ეზისკობრთანი და სამღუდელთა-კრებულთანი, და დასნი შვიდთავე სამეუფთა სხათანი, და თჳთ ღედოფალ-მან რუსუდან და გაზრდილ-მან მის-მან მეფე-მან დავით, და და-მან თამარისა-მან, და ყოველთა მეფეთა ამის სამეუფსათა, მსგავსად მოგვთასა, იწუეს ძღნობად და მიხიჭებად ნიჭთა ურიცხვთა; ხოლო ცნეს-რა ესე ბერძენთა მეფეთა და სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სხარსეთისათა, წარმოავლინეს ნიჭნი და განძნი კმა-საყოფენი.

და შემდგომად წელიწდისა კვალად დარსულდა და შვა ასული, შემსგავსებული თხსი, და უწოდეს რუსუდან. რომელისა-თხს კვალად უფროსი სინარული შეიქმნა ყოველთა ზედა, და უმეტეს კარდაემატა ქვეყანა ბედნიერობითა, და ყოვლითა კეთილითა და გამარჯვებითა ლაშქართათა, რომელ არა-ოდეს ქმნილ იყო ბაგრატიონიანისა.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> T მდებარეა.

<sup>2)</sup> II manque ici quelques mots; qu'il est facile de supposer.

პირველად შეემურეთა ბედსა და სვესა ზედა ლაშისა, რამე-  
ლი განმანათლებელად სოფლისა ითარგმანების ათვისათა ენითა, მი-  
ჭმართეს ბარდავად, დიდად და ძველად ქალაქად, და მოსწუვიტეს  
არანი, და გამოიღეს დიდ-ძალითა ომითა, პირველისა ნებრეთის  
ძისა, ჭაოს შჯლისა ბარდოსის მამული, და აღივსნეს ტყვიითა და  
საუნჯითა აურაცხელითა, და ათავისუფლნეს სამი ბერი ტყვე, დღე-  
გრძელობისა-თჳს თამარისა და ძისა მათისა-თჳს.

და მუგით რა წარმოვიდეს, არდა-რა შეისვენეს არცაღა-თუ თვე  
ერთ. მსწრაფლ წარვიდეს და ილაშქრეს აზრუმს, კაკსა კარნუქალა-  
ქისსა, და მუნ იყო სიმრავლე ომთა და წუობა ძლიერი და ხეთქე-  
ბა აბჯართა, რამელისა მეშველად იუჴნეს სურმანელი, კარული, სპე-  
რული, და შიგნით საღღუხის ძე ნასრადინ, და ორნი ძენი მისნი,  
ლაშქართა სიმრავლითა, ქვეითითა და ცხენოსნითა. და ცის-კრისა  
ბინდსა მისრულთა დაიწყეს ომი, და ღამისა ბინდ-მან გაჭყარნა. და  
ვითარ გარდაკდა ღამე-იგი, მოვიდეს ლაშქარნი, დაუთვალავითა და  
მიუწითომელითა ალაფითა: შიგნით მუფთნი, ვითარცა მკეცნი, იღრ-  
ჭენდეს კბილთა მათთა და წვერთა იფრხვრიდეს, ჭხედვიდეს-რა  
ცოლთა და შჯლთა მათთა ტყვე ქმნილთა, და ჯოგისა და რემაები-  
სა მათისა იავარ ქმნილთა, ესრეთ ცრემლადეს და გოდებით იტყო-  
დეს. ვინა იქმნა ჩვენზედა ესე-ოდენი შერისხვა, რამეთუ არაოდეს  
გვიხილავს ჩვენთა სანახებთა ტომი ქრისტიანეთა.“ და ვითარცა  
განთენდა, შეიქმნა ცემა ბუკთა და დაბდაბთა და ზეიმი ქალაქსა ში-  
ნა. დასკუჴნეს დათხევა სისხლისა მათისა და გაწირნეს თავნი მათ-  
ნი, გამოვიდეს ბჭეთა ქალაქისათა და გააწუვეს რაზმი ქვეითთა და  
ცხენოსანთა, და წამოდგეს ბანთა და შუკათა <sup>1)</sup> ზედა ისრის მსრ-  
ელინი და ქვის მტუორცებულნი. და ვითარ იხილნა მეფე-მან და-  
ვით სპათა მათთა გულ-მუარად გამოსლვა მათი, ითხრვეს საჭურ-  
ველნი და აღსდეს უნეთა ზედა, და აღიხუენეს ორთლნი, და აჭა.  
პირველსავე ზედა მისლვასა დასტეხნეს სახედ მეხის-ტეხისა და  
აღიხუენეს კარნი ქალაქისანი, და ასწუვიდეს პირველ გამგეცებულნი-

<sup>1)</sup> T შუა კართა.

იგი და წარქცევნეს წინა, და ურთიერთს მოსრვიდეს, სიმრავლი-  
სა-გან და ტენებისა, და სირცხვილეულები ცოლთა და ხადუმთა მათ-  
თა-გან, სკიცხველ და სანერწყველ იქმნნეს მათ მიერ. ავინებდეს  
და ბასრობდეს მოჭამედს, მოციქულსა მათსა, და სჯულის დებასა  
მისსა. მაშინ შემოიქცა მეფე დავით, და ლაშქარნი მისნი მოვი-  
დეს მოხარულნი ქვეყანადვე თვსად, მუნით, ძლევა-შემოსილნი, წი-  
ნაშე თამარისა ნათელ ბრწყინვაჯისა, და ძისა მისისასა საშოთ მთი-  
ებისა აღმობრწყინვებულისა.

ხალხ მე მოკიდ-მან განგძობასა წყინობისა-მან მცონის დაგ-  
დებად ღვაწლთა და წუობათა, და მხრჯვენებთა უკანასკნელთა, უმჯო-  
ბესთა ზირველისათა. ადიძგრის ენა ჩემი სიტუვად და მოთხრობად  
ესე-ვითართა, ოდესმე, უამსა ერთსა, განვიდეს შეერილნი გელაქუ-  
ნად, და ჩაიარეს ხაჩინი და ჩავიდეს ქვეყანასა უარერიისასა და მი-  
უწიეს ბაღუენამდის, და მოარბიეს უოველი არენი შემოიარეს კარი  
განძისა, და შეიქმნა კართა ზედა დიდი შუღლი. განანამცა კაქ-  
ცივნეს და შეიხვეწნეს ქალაქად და უარერთ მანქოკამდის ექვსი  
დღე იარეს, და არა-რომელი დღე კარდასრულა თუმცა არა მოსწო-  
დეს ლაშქარნი, და არა შემობმოდეს, და უოველ-გან ძლევა ბრწყინ-  
ვალე აჩვენეს, და შემოიქცეს ესრეთ სიხარულითა, და მოვიდეს წი-  
ნაშე სიხარულისა უოველისა სოფლისასა.

კვალად ღორიდაღმან <sup>1)</sup> წარვიდეს ორნი ძმანი მარგისის ძენი,  
ზაქარია ამირ-სპასალარი და მსახურთ-უხუცესი ავანეს, მობრვეად  
რაკისი ზირისა, და მუნით წარმოსრულ იუვნეს ლაშქარნი დვინელ-  
ნი, ბიჯნელნი და ამბერდნელნი, მეკობრობად და მზერად ქარავა-  
ნისა. და ფითურ ცნეს მათ და შეიპურნეს საშუალობასა გზისასა,  
დაეკვეთნეს ურთიერთსა, და უტეროს დმისა და მკნედ ბრძოლისა  
საქებელ იერ. წამდებელი სულისა, სიფიცად ქველობისა მათისა-  
გან. აღვსებული <sup>2)</sup> და სახელთაგანნი მოვიდეს წინაშე დავით სვე-  
ამადლებულისა და თამარ დავით დამუარებულისა.

1) Ou ღორიდაღმან.  
2) R, T აღვსებელი.



ამისა შემდგომად ჰკადრა კაენის ჰატონ-მან ივანე მსახურთ-  
უხუცეს-მან დავითს, და აწვია ლაშქრობად ძლით შესამართებელი-  
სა<sup>1)</sup>, სახელგონისა და დიდისა გელაქუნისა მოსარბეველად, და  
სხარსი-ბაზირისა და გორალაუქისა. მაშინ გაჰყვა მრუმე დღითი-  
დღე აღმატებული და წარმართებული ომთა და ლაშქრობათა შინა.  
და ვითარცა მიიწივნეს და დაესხნეს, აღიღეს ტუვისა, ჯოჯისა,  
აქლემისა, ზრახისა და ცხვრისა სიმრავლე, შემსგავსებული ზღვის  
ქვიშისა, და სადაცა-ვინ ლაშქარნი და მეშველნი თავ-თავის დედა-  
წულისანი გარდაკვიდნეს, გააქცივნეს, ამოსწვიდნეს და დაკოცნეს,  
ვინცა სხარსი-ბაზირისა არა რად შემრაცხველთა, სულტნისა მოე-  
დანსა შინა იწიეს სიხარულად და ასხარეზობად, რომელ ესეცა არა-  
ოდეს ვის-გან ქმნილ არს, არცა სმენილ არს.

ხოლო კვალად არა მრავლისა უამისა, ოდესმე იგივე სვე-უბე-  
დური რუსი, ამის სამოთხისა-გან ექსორია ქმნილი, კაენის-ებრ  
მკლველი, არა ძმისა არამედ თავისა თვისისა, ვერცადა ნაიღსა დირს  
იქმნა უოფად. რამეთუ მთიშალა სამეუფოსა ქალაქისა-განცა კოს-  
ტანტინებოლისა უოფისა-გან, და მუნიტცა ექსორია ქმნეს. მივრდა  
ათაბაგისა და მის-გან აიღო არანისა ქვეყანისა სამეოფი, შემსგავსე-  
ბული უბედობისა<sup>2)</sup> თვისისა. მუნიდადმან შეიყარა ლაშქარი განძისა  
და არანისა, და მოვიდა ქვეყანასა კამბეჩისასა, და შიგნით მიხდო-  
რი მოარბიეს, და აღიღო სიმრავლე ტუვისა და ნატუვენავისა. მა-  
შინ ხოცნაბუჯისა ბატონ-მან საღირ, მახატელის ძემან, ცნა ესე და  
შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და სამითა შვიდითა, წამებად და  
დაღებად თავისა თვისისა განემზადნ და მიეწია, და არა-თუ ორნი  
ერთისა-თვს ლაშქრობდეს, და ოცნი ორთა-თვს, გარნა მანვე სი-  
მართლე-მან თამარისა-მან, დასცა რისხვა ღვთისა უხილავი, და ვი-  
თარცა გედეონისა-გან გასმიეს, მცირედითა მრავალთა ეწივნეს და  
გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დაკოცნეს. ვინა სვე-უბედო რუსი, ძლით-  
სამე განრომილი, გარდაიხვეწა ორითა მონითა.

1) T შესამართებელსა.

2) M-its უბედურობისა.

ხელე ესეცა უწებულ იყავნ თქვენ ყოველთა მსენელთა-გან, დადაცათუ სამისოდ გაჭრით მკეც-ქმნილთა მკეცებრ აჩვენეს ულ-მობელობა, გარნა იხილეთ თუ ვითარ სატურთო და მადნიტებრ <sup>1)</sup> მამზიდველობა აქუნდა მკეცთა გულებისა. ოდესმე შარვაშეს ლომის ბაკჭჭრი გამოეგზავნა, მათ-მიერ გაზრდილი, და ესე-ოდეს <sup>2)</sup> დიდი და სსზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური და არცა შინური არაკადაც <sup>3)</sup> არა-ვის ასმიეს. ესე რა-ჟამს დარბაზს შოიყვანინან ესეთი აქუნდეს სურვილი და ტრფიალება თამარ, ღვთივ განათლებულისა, რომელი მრჩობლითა ჯაჭვითა მიმ-დაქცეულება-მან კაცთა კიდებისა-მან ვერ დაიმჭირის, ვიდრე თავი უბესა შინა არ შთაუღვის, და ლომნიდის. ვითარცა ძველ-ოდესმე მოწამეთა მეტათ-რასები მოგვითხრობს, და ოდესმე ძლით დაიმჭირიან, და ძლით დამაგრდიან. მაშინ წყაროს მსგავსნი ცრემლნი გარდამოსთხინის თქალთა-გან, რომელნი დააღტობდის მიწასა.

ამა ესე-ვითარსა მძლეველობასა მტერთასა, დამკობასა ურჩითასა და მკეცთა მომდოვრებასა, ხედვიდეს-რა ყოველნი, განისმა ზარი და შიში ყოველთა კიდეთა, აღმოსავლით და დასავლით, ჩრდილოთ და სამხრით, და ყოველნი მორჩილობდეს და ძღვნითა მრავლითა მოიკითხიან. ამასჟამსა მოიკლა უიზარსდანი ათაბაგი, აწ გასულტნებული, მოლიდთა მიერ, და დარჩნეს სამნი შვილნი ფაღვანდისნი, მზურაბელად ყოველისა სპარსეთისა, რომელთა მამისა და ბიძისა-გან გაჭყოფდეს ქვეყანანი ესრეთ: უხუცესსა, ხუტლუ-ინანჩის, ერავით ხვარასნამდის და ბაბილოვნამდის. და შედეგსა, ამირ-ბუბაქარს, ადარბადაგანი სომხითამდის. და უმცროსსა, ამირ-მირ-მანს, არანი, გურგანის ზღვით, ვიდრე კელაქუნისა ზღვადმდე. ამას შინა, ვითარცა არს წესი მრავალ-მთავრობისა, შეიქმნა შური და ხდომა მათ შორის. სძლია უშუალეს-მან ამირ-ბუბაქარ, და იო-

1) T, R, ანდამატებრ.

2) T, R, ესთენ.

3) T არვადაც; T არკადაც: l'origine de ce mot est l'arménien

ტა უფროსი ძმა, და დაჯდა ათაბაგად. და უმცროსი ძმა ამირ-მირ-  
მან არანიდაღმან შარვაშეს შეესიდა, და თვთ შარვაშესდა-მას ბაღუ-  
ყან კართა ზედა დაესხა, და გააქცივნეს, და თვთ დარჩა განდიდე-  
ბული და გალაღებული ჟამადმდე. ხოლო ვინათ-გან უღონო იქმნ-  
ნეს შარვაშეიანნი ამირ-მირმან <sup>1)</sup>, რამეთუ მას ჟამსა შერიცხვაცა  
მოიწია სხლსა ზედა შარვანისსა, რომელი შეადრწუნებს ქვეყანასა,  
და შეხებით აკმოვლებს <sup>2)</sup> მათა, შერეევით შეირეუნა და დასცნა  
ზღუდენი და ციხენი შამახიისანი, და უჩინო იქმნეს უფველნი მას  
შინა მეფენი. რომელსა შინა წარწემდეს შარვაშეს ცოლა და შვილ-  
ნი, და ესე რა ესმა და იხილეს, მოიწია გლოვა უზომო და მწუ-  
ხარება მათ-ზედა. რამეთუ იტყებდეს თავსა, და ისხმიდის ნაცარ-  
სა. რამეთუ არა-სადათ იყო სსსოება კსნისა მათისა, გაჩნა მხოლო-  
ოდენ ღმერთი, და მის-განვე ჰატოვ-ცემული და განდიღებული და-  
ვით და თამარ. და წარმოავლინეს მოციქულნი შემოსახვეწლად,  
ძღვნითა ურიცხვითა, თვალითა და მარგალიტითა ფას-დაუღებელი-  
თა, და იაჯნეს შველასა, და მოაკსენებდეს მას. „ვინათ-გან ძალი  
აქქს კელმწიფობასა თქვენსა, და სიბრძნით განგებასა თქვენსა მორ-  
ჩილებს უფველი, სვესა ალექსანდრიანსა. თქვენ თამარ ღვთივ გან-  
ბრძნობილისსა, და სიმკნესა და სიქველესა, თქვენ დავით დავითიან-  
სა და უბრობასა ლაშქართა თქვენთასა, ალება უფველისა სზარსეთი-  
სა, მაშა მოგვეცით ასული, ნათელი და ბრწეინვალება შარვანდე-  
დობისა თქვენისა, და დასდვით დედოფლად და ჰატრონად უფველი-  
სა სზარსეთისა.

მაშინ არა მღირსობულ-მან სიძობისა მათისა-მან, უბრძანეს  
იმედი შველისა და კელით შეწვენისა. მასვე ჟამსა გასცეს ბრძანე-  
ბა და წარავლინეს შიკრიკნი და მალე-მსროლნი, წვეკად და კმო-  
ბად სზათა იმერთა და ამერთა. რამეთუ მას ჟამსა ძმათა უიგნათა  
შეფისა სვეინჯი-სავალთი აქა იყო, სემსახურად, დიდითა ლაშქრი-

<sup>1)</sup> R, T, ამირ-მირან.

<sup>2)</sup> On lit ainsi dans les trois manuscrits; mais il faut ou  
აღმო ou უკმოვლებს.



თა. შეიყარნეს და დადგეს დასათა შინა, რომლისა სიმრავლითა ადვილსნეს მტკვრისა პირი, ალგეთისა პირი, კტისის პირი და ქურდ-ვაჭრის პირი, ესე ოთხნივე მდინარენი, ტფილისით უარადაჯამდის. მაშინ მოვიდა ამირ-მირან (sic), ფალავანდის შვილი, და აღსართან შარვაშე, ყოველისა არანისა დიდებულთა და ჰალამითა. დადგეს კელმწიფენი სვე-სრულნი და ღვთივ აღმობრწინებულნი, ჭა-ლასა აკრათასა. ზატვი-ცეს და აღუთქვეს აღსრულება ნებისა მათისა, აწვიეს და მოიყვანეს დიდთა ზატავითა და ზარითა. და დედოფალიცა რუსუდან აქა რამცა სახე შემოღებოდა, ანუ ვის-მანცა გონება-მან და ენა-მან აღმოთქვა <sup>1)</sup> ქებანი ზარათა და დიდებისანი, კარავთა და სარა-ფარდაგთა, კოშკთა და თელილპოტანანი, მოკაზმულბანი და შემკობილბანნი ბესელიელებრი ანუ სოფომონიანებრი ტაძრისა ღვთისა, რომელსა შინა იხილვებოდა აქაცა მსგავსი სოფომონისი, და უმეტეს სოფომონისი, სიბრძნითა და ღვთისა მსახურებითა, და შვენიერებითა უმსგავსოთა. რომელსა მოესთლჳ სულ-ნელება და შება სამოთხისა, და მოეფუტკრა ვარდბუტკობა <sup>2)</sup> ყვავილ მტენარეობა, ასოფდეტონ <sup>3)</sup> ნარკიზოვნობა, იელხოს-ველის ნამოკრჩები. ანუ ვისნიმცა ქება მისდომოდა და ვითის მოყმისა, პირველთა გოლიათთა მსგავსისა, ბადათარისი და თარკანისი, მსგავსი ეფრემიანისი და დიდებულთა ბუნბერაზთა მოყმეთა ამის სამეფოთა.

და შეიყარნეს ზარითა გონებისა ზარ-განსაკლეითა. და შეიქმნა ღარბაზობა, და დასხდეს ტახტთა ზედა ოქრო-ჭედითა თუთამარ და დავით, და ძე მათი გიორგი, მაღიდებელნი და მასახელებელნი ყოველთა შარავანდელთა მზურობელბისანი. პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი, ძველნი და ახალნი. შემდგომად ამისსა ჰყრნი და კახნი, და შემდგომად ქართულებნი, და კვალად მესხნი, თორელებნი, შავშ-კლარჯ-

<sup>1)</sup> Lis. აღმოთქვას.

<sup>2)</sup> T ვარდბუტკობა: C est en surcharge, dans le M-it R.

<sup>3)</sup> T, აფლად; R, ასფლატო, mais on voit les restes de ახფა . . . ონ, qui ont été grattés.

ტაკელითურთ. შემდგომად სომხითარნი, და კვალად აფხაზნი და სვან-მეგრულ-გურიელნი, თანა რაჭა-თავეერ<sup>1)</sup>-მარგველითურთ, და თვთ კარვის კარსა კელის-უფაღნი და შინაურნი. ხოლო ვინათ-გან შინაური და თვისი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იგი და თა-უჭანის-სცა, და მოიკითხა წესისა-ებრ, და დასვეს თვისსა ადგილსა. და შემდგომად მისსა მოვიდა ამირ-მირან, მამულად ძმის-წული სულტანისა და შული ფაღაფანდისი, და დედა მისი იყო ასული ინან-ჯანისი, ხვარასნის პატრონისა, და აწ ცოლი იყო ტუდრილ სულტანისა. და მოიუფანეს პატივითა და ზარითა, მოიკითხეს და დასვეს პატივითა, და შეიტკბეს ვითარცა შული, მოყმე კარგი და შესახე-დავ-საუჭარელი. მოახსენეს დიდებულნი, ზოგნი სულტანთა დაზრ-დილნი, ზოგნი ელდგუზისნი და ზოგნი შვილთა მათთანი. ათაუფან-ნეს და მოიკითხნეს შესატყვისითა პატივითა, და შეექმნა სიხარუ-ლი გულისა მათისა მიუთხრობელი. და ფიცით დაამტკიცეს და იტ-ყოდეს, ვითარმედ „არა-ოდეს ნახულა კაცთა თქალის-გან, და არცა წარგვიკითხავს, ძველთა წერილთა შინა-გან გინა ახალთა, სახე თა-მარისი და მსგავსი ქცევა უოფისა მისისა.“ და მოეწონა თვთ მე-ფე დავით და დიდებულნი და მოყმენი მათნი, და იტყოდეს სიხარ-ულით და გულ-დაჯერებით: „გავიმავრნეთ გული და აღვიძარცოთ მწუხარება. რამეთუ ჭეშმარიტად ძალ-უც კსნა ჩვენი, და კვალად-გება მამულადვე ჩვენდა.“ მაშინ ითხოვეს ზური, და შემდგომად ზურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და კმა<sup>2)</sup> მგოსანთა და მოშაითთა. კადანამცა დამოსნა ძვირ-ფასითა შესამოსლებითა იგი ორნივე და ლაშქარნი მათნი. და დაუვეს მუნ მსგავსი ერთი. და ჰქონდათ დღე უოფელ სიხარული, და მათ-გან ძღწობა და ამათ-გან ბოძება, ნადირობა და ბურთობა. რამელისა-თვსცა ითქმელა ქება ამირ-მირანისა<sup>3)</sup> და დიდებულთა და ჭუღამთა მისთა, ვითა „ერაყსა და ადარბადაგანს, და ერანს, ამათ-ებრ მობურთაღნი არ დაჩხომილ არიან“.

1) Ou თავვეერ.

2) Tous les M-its portent ზმა.

3) T ამირანისი.

მაშინ უბრძანა მეფე-მან ამირ-სხასაჯარსა მისსა ზაქარას და მსახურთა-უხუცესსა იოანეს, და ჭერეთისა ერის-თავსა გრიგოლს<sup>1)</sup>, და სხვათა მოყმეთა, და ჩავიდეს მოედანსა, და მუხით ჩამოვიდა ამირ-მირან, მისითა დიდებულთა და შონითა, და თვთ თამარ, სს-ჭვრეტლად, პირითა-მით ბრწყინვალითა და ნათელ-მოეხითა, და ისლემნი დაჯერებულნი მეცადინობისანი<sup>2)</sup>, და მძლე მგონებულნი<sup>3)</sup>, თავისანი, მსწრათჳ იძლივნეს, დავით მეფისა და მისთა მოყმეთა-გან, და შეიქცეს ძლეულნი და დაჭმუნებულნი.

ამა სიხარულსა და შეგებასა შინა ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამსკვნელნი შეგლისანი, და მოვიდეს და აცნობეს ათაბაგსა ნახჭევნიდალმან, შეურა და არანს მოსლვა, რამეთუ უფლით კერძო შეიწრდეს სხარსნი, და უღონობა-მან მოიცვნა. მხოლოდ ერთი ოდენ-და სსსობა ცხოვრებისა მოიპოვეს, ესე იგი არს სიკუდილითაცა კსნა თავისა თვისისა. ამის-თვს შეკრბეს უფლით კერძო შეთქმულობითა, შეიღებნეს სამოსელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასა, აუწეეს თვისი ჭირი და აწვევდეს რათა უბრძანოს უფელსა სხარსეთსა შეწევნად მათდა. რომელ-ესე ჭეო ხალიფა. განახვნა ძველნი საგანძურნი და იღუმალ წარავლინნა უფელსა შინა სხარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რა შეკრიბონ უფლით კერძო ლაშქარი ურიცხვი, და მისცა ბრძანება რათა რომლისცა სამთავროსა-გან სხარსთანა არა წარმოვიდენ თვთ მათ-ზედა მისლვით იავარ ყონ. ხოლო ესრე ესრეთცა იქმნა. იწეეს ამომართ რომეგუიაროს და ინდოეთისა, და ქვემოთ სამარყანამდის და დარუბანდამდის, შეკრიბა ეს-ოდენ ვითარ არცა რიცხვ იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს ადარბადაგნს, და მაშინდა გაამუღავნეს წაკიდება თვისი. რამეთუ დრო შაცა თვისი წარმოეტა ხალიფას, რომლისა თავსა<sup>4)</sup> ოყო ოქრო

1) T გურგულს.

2) T მეცნიერებისანი.

3) T მძლე-მბრძოლნი.

4) Depuis ნახჭევნიდალმან jusqu'ici, le M-it T porte seulement: ყოვლისა სხარსეთისა შეყროთა მყოლისა, არანსა მოსული, რომლისადა წარმოვეზვნა ხალიფას დროშა მისი, რომლისა თავს ზედა იყო . . .



ათასის სალიფანურისა. ესმა<sup>1)</sup> ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თვსთა, და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის, არა ავითა გულისთა, არცა დედაკაცურითა სიტყუვითა, არამედ ესრეთ უბრძანა: „ისწრაფეთ დაწერად, და მამაცურითა სიტყუვითა მიმო-დასდევით ბრძანება, რათა ისწრაფულ შემოკრბენ მკედრობა. და კვალად მიუძეცენით ყოველთა ეკკლესიასთა და მონასტერთა, რათა დაუცადებულნი ღამის-თევანი და ღიძინიობანი აქუსრულებოდნან, ყოველთა ადგილთა.“ და წარგზავნნა ფრიადი საფასე და საკმარ ეკკლესიასთა და გლახუათა-თვს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყაფე უონ ღმერთი. ნუ-სადა თქვიან წარმართთა, „სადა არს ღმერთი-იგი მათი,“ ესე უბრძანა: და ბრძანება სქმე იქმნა. და ათსა დღესა შინა ვითარცა გრამ შავარდენთა მოჭფობინდა, ვითარცა ბირველვე ვიქუ, ყოველი მკედრობა, ყოველითურთ კერძო სავსენი სინარულითა, და აღივსო სხითა თამარისათა მტკვრის ბირი, ტფილისით უარაღჯამდის, ალგეთის ბირი, კციის ბირი და ბერდუჯის ბირი. ესე ოთხნივე მდინარენი, რამელები ძლით იზურცბდეს თავთა შორის თვსთა. ესე ყოველი შეკრბეს სომხითს, და მივიდა თამარ, და იხილნა, მუნ იყო თვთ შარვაშე და ამირ-მირანს, და ძმაცა უიფჩაუთა მუფისა, დიდისა ლაშქრითა. მუნ დაუჩნეს მცირენი დღენი ლოცვისა-თვს. მერმე რქვა მათ თამარ დვთივ გამბრძნობილ-მან,

„ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნებდებიან გულნი თქვენსო სიმრავლისა-თვს მათისა და სიმცირისა-თვს თქვენისა. რამეთუ ღმერთი ჩვენ-თანა არს. გასმია კედლების-თვს სამ-ასნი და სიმრავლე ურიცხვ მადიანელთა მათ-მიერ მოწყუდილნი. კვალად ასურკანტანელთა ბანაკი, ლოცვითა ეზეკიასითა, წამსა შინა, ანგელკისისა მიერ დაცემულნი. მხოლოდ ღმერთსა მიენდგენით, და გულნი თქვენნი სიმართლით იზურენით წინაშე მისსა, და სასოება თქვენი ყოველი

1) T, depuis ici jusqu'a მუნ იყო, p. 277. მაშინ შეკრბეს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი თვთ შარვაშე მიმსკუნელთა მიმართუბისა. უყუვნელ ყვეს დღენი და ვოველთავე თვთოეულად თემთა და. . .

ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იუაფნ. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა, შეწევნითა უფლად წმიდისა ღვთის-მშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა, წარმეძარტენით. \* ულცა მათ და შეაგედრნა იგინი ღმერთსა, წარუძღუნა ძელი ცხოვრებისა, და თანა წარატანა ანტონი ტყუენდიდელი. ხოლც თუთ წარიკადნა სამოსელნი ფერკთანი, და შიშვლივ ფერკითა მიიწია ტაძარსა ღვთის-მშობელისსა, მეტეხთა, და წინაშე ხატის-მას მდებარე, არა დასცხრებოდა ცრემლით ვედრებად ვიდრემდის სრულ უო ღმერთ-მან სათხვეელნი მისნი. და ვითარცა წარემართნეს<sup>1)</sup> და დაიბანაკეს წყალსა ზედა ელკეტისსა, და მუნით აუკილნი მზვიდეს ძაგამს<sup>2)</sup>, სიახლესა შანქორისსა, თთვესსა ივნისსა, დღესა ხუთ-შებათსა, რომელი განთენდებოდა ზარსკევიად, რომელსა შინა ქრისტე-მან ღმერთ-მან ჩვენ-მან შეჭმუსრა ძალი<sup>3)</sup> მკდომისა და დათრგუნა ორ-თავი-იგი ვეშაზი. რომლისა იხილეთ აქაცა ძალი და ძლიერება ძელის-მის ცხოვრებისა, და ზატივის-ცემა ზარსკევისა. და ვითარცა განთენდა, მოვიდეს კაცნი წინა-მავალნი აშაგთანნი, და თქვეს: ვითარმედ „ჩვენ თუაღითა ჩვენითა გვიხილავნ ათ-ასნი ათ-ასთანნი და ბევრნი ბევრთანნი, უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა, შანქორითგან<sup>4)</sup> ვიდრე მთად შოთისა და ვარდანაშტისა, განძის კარამდი ვერ მზსაწომელ არიან თუაღნი განცდად და გარდაწდომად<sup>5)</sup>.“ ვითარცა ცნა ესე მეფემან და სზათა მისთა, შარვაშა და აშირ-მიჩან, და ლაშქართა მისთა, ზირველად განისარეს,

1) Depuis და ძმაცა ყივჩაყთა . . . jusqu'ici T porte seulement: წინაშე ითხოვეს სიტყვა მდაბლისა და გამრჯებულისა ძლივასა და წარმართებულისა პირისა მის-გან სვნისა. წარემართა დავით წარმძღენელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სვიანად მკარ-გრძელისა, ბაგრატიანურისა, და უფროსდა გორგასლანურისა: წარსულთა დაიბანიკეს...

2) T omet ce mot.

3) T ძლიერება.

4) Lis. შანქორით-გან.

5) T omet depuis რომლისა იხილეთ, jusqu'ici.

და მადლობა შეწირეს უფლისა <sup>1)</sup>, ხელს ჰოვინის-თხს მტერთა მათ-  
 თასსა, და განკვირდეს <sup>2)</sup> თუ ვითარ დააკდეს განძისა და არანის  
 ჭაფათა, და შთანი მაგარნი, და შეუმართებია ომი და წინა-მოგე-  
 გება ჩვენი.“ გარნა განზრახვითა და გამოჩვევით ექმნათ ესე <sup>3)</sup>.  
 პირველად, იმედითა სიმრავლე-აურაცხელობისათა, და შერმე კევისა  
 და სიმაგრისა შეზღუდვილობისა.

მაშინ აღიჭურვა მეფე და შეჯდა ზერდაგსა, რომელი სხსელ-  
 განთქმულობის-თხს ეედა ვანტანგ ხაჩინელისა-გან, ფასად ებოძა  
 ციხე და სოფელი <sup>4)</sup>, რომელ არიან ჭარმანანი <sup>5)</sup>. ვინათ-გან მას  
 უამსა ჭიაბერი და მწიგნობართ-უხუცესი ანტონიცა მის წინავე იყო,  
 კაცი შესხედავით ჭაბუკი და გვარ-ტომობით არა უაზნო. მას უბრ-  
 ძანა წარძღვანვა ძელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპტრა და  
 ჯაჭვ-ჭური მეფეთა. განამცნობდეს ურთიერთს სზანი და სზანსპეტნი,  
 და მხედრობა ქრისტეს მოსახელე, და მოაკსენებდეს ქრისტეს ვნე-  
 ბასა ურთიერთსა. აღიხილვიდეს თუალთა ზე-ცად, და შევრდომითა  
 თაუვანის-ცემდეს ძელსა ცხოველსა და მოაკსენებდეს სიმკნესა მო-  
 წამეთასა. თუ ვითარ ფერად-ფერადნი სატანჯველები დაითმინეს,  
 ქრისტეს სჯულისა-თხს, და არა დარიდეს ცეცხლსა და მახვილსა.  
 ეგრეთვე მამა-ზაზათა მათთა სიმკნესა და გამარჯვებულობათა, და  
 აღმახვიდეს თავთა თხსთა. ანუ <sup>6)</sup> ვითარ ძველ-ოდესმე წინაშე და-

<sup>1)</sup> T პირველად მხიარულთა და მმადლობელთა ღვთისათა.

<sup>2)</sup> T დაეცა განკვირება.

<sup>3)</sup> T და მათთა მაგართა, აღკდა საფარველსა და სირცხულ (sic), და  
 შეუმართებია ომად მოგებვად წინა. გარნა ეს-სამე გამოჩვევითა და გან-  
 ძრახვთ, და მოსრულ იყვნეს ადგილსა-მას.

<sup>4)</sup> T მბოძებელისა ციხისა და სოფლისა.

<sup>5)</sup> T ჭარმანი.

<sup>6)</sup> T depuis ვინათ-გან მას უამსა, jusqu'ici, porte: ამირ მოყმე  
 ალაღებულნი ჰოროლთა-მათ, შვირტყა მახვლი და კაპარკი, მოსიმახნოს  
 უტდომელ-მან მსროლველ-მან, და ვითარ განსწავლულ-მან კენტრაოსისა-  
 გან და მას უამსა მწიგნობართა უხუცესი ანტონიცა წინაშევე იყო, კაცი



ვითისა, ოც და ათ-შეიდმეტნი გმირნი მბრძოლვადეს და სძლევედეს უცხო-თესლთა. და ვითარ ვახტანგისნი სპანი, წინაშე ვახტანგისსა. აწ ახლისა დავითის-თვს და გიორგის ძისა თამარის-თვს, რომელი დავით წინასწარმეტყველით-გან ოთხმეტცდაერთად აღიარცხვის შეილად ცხებულად <sup>1)</sup>, აჭა ჩვენცა კეღნი კრმალსა <sup>2)</sup>, და სულნი <sup>3)</sup> ღმერთსა, და ნუ ვრიდებთ თავთა ჩვენთა“. მასინ ჰკრეს სპერმურთა (sic) და ბუეთა საომართა, და სცეს ზარი, და შეიქმნა ზეიმი. განაწიგეს რაზმი წესისა-ებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა. მიუწია წვერ-მან მარჯვენით რაზმისა-მან მთად, და მარცხენეთა-მან მტკვრად წარემართნეს, და მივიდეს შანქორისა სიახლესა, და გარდაეცვნეს ზედა, რცა-თუ დაწმულსა მომახურთაგან.

და განყო რაზმი მიახლება-მან ქალაქისამან და მუნვე დაწიება-მან ომისამან. და თვთ მეფე-მან რაზმითა თვსითა დააგდო მარჯვენით შანქორი და მოსწრაფე იყო განსვლად წყალსა შანქორისასა

---

შესახედვითაცა ჭაბუკი და გჳართომად. მას უბრძანა წარძღვანა ქელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპტსა და ჯაჭურ (sic) მეფეთაგან მამკობელი ურთიერთთანი, მომგონებელნი ქრისტეს მათის თვს ვნებათანი, აღმხილველნი ღვთისა და მითვალულნი და მიხედა შევრდომითა თაყვანის-მცემელთანი, შემვედრნი სულითა სხეულთანი. მოაკუნებდეს ერთი ერთისა სიმკნესა მარჯვებულებასა პაპათა და მამათასათა თუ.

1) T ajoute ici quelques phrases; q'un pathos très obscur, qui ne valent guère la peine d'être citées. და მეტყულნი სპასპეტნი პათანი თუ იგი ვინმე მასინ მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი ისტორიოს ქებისანი შესხმათასა აწ ჩვენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ. ქება მაჭებელთა და შემსხმელთა დავადა ძველნეთ და ვარხვნოთ ჰომთა მათთა და მოვიგონნეთ ვიეთნი მე სჯულისა და ქრისტეს კვალთა შემდგარილობისა თვს, არა მდიდნი სიკრძილისანი და ვინმე მიჯნურნი და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქნელნი კორცთა და სულისანი. Suivez აჰა...

2) II faut sous-entendre un verbe.

3) A partir de cette page, le M-it T devient très mauvais et souvent inintelligible. Je ne citerai plus que les variantes remarquables pour le sens.

კერძოსა. და უმცირესისა რაზმისა კართა ზედა, და კიდთა და ბაღ-  
თა შიგან, შეიქმნა ომი და სრულა. და ღია ძნელსა და სსჭიროსა  
გზასა სიმკნითა კელ-უვეს განსლვად და განვიდეს ზირსა ისლემთა  
რაზმისასა. რამელისა ჭაზრი უაზრო, ჭამრი უამრო, და რიცხვი  
ურიცხველ კაცთა გულისა გაგონების-გან და თუაღთა მხედველთ-  
ბისა-გან. შეიქმნა განსვლასავე ომი და კვეთება, ანა-თუ სრულთ-  
ბით წარმოდგროთა რაზმისათა, გარნა წინა-მსრობლთა-გან. უიფხუ-  
თა ენითა ჩაღხად <sup>1)</sup> და ჩანჩაღ <sup>2)</sup> ეწოდების. და განგრძელდა ომი  
გზისა სიგრიდისა-გან. ვინათ-გან მეფე და რაზმი მისნი, მიზეზი-  
თა ბაღთა და კაზანთათა, დაუფნებულ იუწენეს. და მოუკლნეს ცხენი  
ზაქარიას ძესა, და დაუკოდნეს სხუათაცა მრავალთა დიდებულთა. მა-  
შინ ცნეს მკარ-გრძელთა, ძეთა სარგისისათა, ზაქარიას ამირ-სზასა-  
ლარ-მან, და ივანე მსახურთ-უხუცეს-მან. წარმოიმაღეს ვითარცა  
ვეფხთა ფრთე-მაღეთა, და მოესწრნეს კნინდა დაჭირვებისა-გან უკუ-  
რიდებულთა. მოხედეს-რა, იხილეს მეფე და რაზმი მისი მახლთ-  
ბელად, და დროშა-იგი გორგასლიანი, რამელი-იგი სინდეთს შესლ-  
ვით-გან მოსპეტაკობდა, რეცა სიბერისა სსხედ. და ამათ ზირველ  
მისრულთა წსხეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმითანი.

და ვიდრე მეფისა მოსლვადმდე გამაგრდა რაზმი ათაბაგისა და  
სზარსთა, და რა-ყამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღვთისა მათ-  
ზედა. აჭა მოსლვასავე იოტნეს და გააქცივნეს, და დაართვნეს ისარნი  
მათნი სისხლითა. ჭკრმალნი მათნი სჭამდეს კორცთა მტერთა მათთასა.  
ღ მიუწია მღვვარ-მან ერთ-კერძომან განძილ ბაღთამდინ ჭ ერთ კერძომან  
მთად გელაქუნისა, და შესდგეს მახვილი და ძალი ღვთისა მტერთა  
მათთა. და ათკეცი რაზმი მათი დახსნეს, და ვითარცა თაგვთა მოსრვი-  
დეს, და ვითარცა ქათამთა იპურობდეს, დიდთა-მათ ამირათა მათთა, ბაღ-  
დადელთა და მუსულეელთა, ავრიელთა და ერახუელთა, და ადარბადა-  
განელთა და ერანელთა, და სხვათა მრავალთა ადგილთასა, რამელ-  
ნი ნიჯადად ჭევეს, ვითარცა ვთქუ, ჭინდრეთით-გან, ვითარ მზარე-

1) T კალაშ.

2) T დახნაპტდა.

უღნი, წვერთა ზიდვითა მოიუვანებოდეს წინაშე დავით მეფისა. გარნა ათბაგი მხოლოდ განურა, ერთითა მონითა, დაიონავრეს ქალაქნი სამნი, ვითარცა არს წესი სარკინოზთა ლაშქართა შიგან ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა მათთა. ერთი ათბაგისა, ერთი ათბაგის ძისა, ბეშქენ-ქველისა, და ერთი სათმას-ეზდინის ძისა, რამელისა მამისა სიუხვისა სახელი სხარსთა შორის დიდად განთქმულ იყო. და იხილვებოდა დიდი საკვირველი და გარდამატებული შეწევნა ღვთისა. რამეთუ თვით მოიღებდეს ნაქონებთა მათთა, და თვით და მოასხმიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულთა, და თვით იუწინეს მსახურ იავარისა მათისა და ნატუვენავისა. ხოლო ათბაგ-მან ბუბაქარ აქო თვისი ღონე და ღონიერება. რამეთუ მბწევნილ-მან სდმე, კნარცვსა მცირესა, მიწასა შინა დაფლა თავი თვისი. და წარუღეს დროშაცა ხატიფისა-გან დაზოდ წარმოგზავნილი. და მიმუავრები-სა-გან ღვენისა შემოიქცა მეფე და მიეკებნეს წინა ანტონი ვაზირი, კელ-განზურობით მმადლობელი ღვთისა, თვით აღუსილი ლართა და საჭურჭლეთა მიერ ათბაგისათა. რამელ-მან, რიდობითა მონა-ზონებისათა, არა იკადა მახვილი, და მისრულ-მან სამითა უმითა შემოაქცია სამ ასი ჯორი და აქლემი კიდებული. მაშინ მოვიდეს დიდებულნი სხასლარნი და სხასპეტნი, თვით შარვასე და ამირ-მირან მხიარულნი, გარდამოკდეს და თაუჩანის-ცეს, დალოცეს და ქება შესხეს მეფესა და ბუნბერაზთა მისთა, და მას ღამესა დაიბანაკეს სადგომსა მათსა, რამელი გუშინ მნახველთა-გან არდაცა იცნობებოდა. რამეთუ ღღეს მადრასათა-წილ აღმართნეს ეკელესიანი, და მეივანთა-წილ რეკეს ძელსა, და ნაცვლად მუერთა დადალება მღუ-დელთა. და ვითარცა გათენთა მოვიდეს. შანქორელი, მოართვნეს კლიტენი. აღილო ქალაქნი და უოველნი მისი მიმდგომნი ქალაქნი და ციხენი.

ითაუვანა ამირ-მირმან <sup>1)</sup>). და უბოძა მას შანქორი და უოველი მისი შესავალი, და თვით იგი გაემართა განძას, და მივიდა სახაღესა ქალაქისათა. გამოკებნეს დიდებულნი და დიდ-ვაჭარნი, უადი და

<sup>1)</sup> C'est le M-it T qui fournit cette leçon



მუსალიმი <sup>1)</sup>), დაგრდომით მიწასა ზედა, თაუჟანის-ცეს, შეასხეს ქება და ვით მეუფეს, და ცრემლით მოქენეთა შევედრეს თავნი და შეიწნი, და მშვიდობა ითხოვეს. განახვნეს კარნი ქალაქისანი, და მიუფენდეს სტავრასა კართამდის სრასა. სასულტნოსა, და გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვერცხლსა, დრამასა და დრაჰმანსა. და ვითარცა შევიდა სრასა სასულტნოსა, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტანისასა, და შეიქმნა დარბაზობა, და დასხვნეს ამირ-მირან და შარვაშე, თუთაეული თვისა ადგილსა. ეგრეთვე ვაზირი, მანდატურთუხუცესი და ამირ-სხასაღარი, და შემდგომნი, რომელთაცა აქენდა წესი ჯდომისა და დგომისა, დასვეს: მაშინდელი ზეიმი და ზარი ვის-მისცა ენა-მან გამოთქვა, ანუ მცა ვისი გონება მისწვთა მეფობისა და სულტნობისა ერთად მქნებლობასა, ათაბაგის ძისა და შარვაშეს უმად ყოფასა, ყოფლისა მუსულმანობისა ტუვე ქმნასა <sup>2)</sup> შინა. შეიქმნა ჰურობა, ნადიმობა, შესატყვისი მის ყამისა. რამეთუ კარცითა დარისათა ქმნეს ჰურობა-იგი. ხოლო განძელთა დიდ-ძალი ძღვენი და ხარაჯა შეწირეს, გაკსნეს საჭურჭლენი და მრავალი ტურთა ფიალა-ჯამები და ფეშუმები, სხვისა თანა განძისა წარმოიღეს.

და გარე-გან ქალაქისა დაიბანაკეს მცირეთა დღეთა. რამეთუ ექებდეს ათაბაგსა და ვერ ჰხებდეს <sup>3)</sup>). მაშინ წარმოგზავნეს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი, და მოვიდა ტახტმელას. და ჰკადრა თამარს საქმე აღსავსე სიხარულითა გამოუთქმელითა. ხოლო აღუზავაველითა გულითა, და მდაბლითა და შემუსრვილითა სულითა, ცრემლით ვედრება შეწირა <sup>4)</sup> დმერთსა და მარადის მადლობასა

<sup>1)</sup> T მეყმითნი.

<sup>2)</sup> T aj. bien ridiculement: და რომელნი დარბაზილ იყვნეს მუსულასა დასამიწიოდ თაყვანებასა შინა, შეიქნა.

<sup>3)</sup> Dequic მის ყამისა jusqu'ici, omission, T.

<sup>4)</sup> Add. T შესწირეს ღვთისა მიმართ მადლი და ქება ჯეროვანი, და ქალაქისა სულის გამოძრეველნი, მოვიდეს სრასა. და მოვიდა მეფე და მისი წინაშე ლაშქარნი, სავესენი წყალობითა ღვთისათა, სახელითა მიუწლომელითა და სარგებელითა გამოუთქმელითა. მოიღეს ნიჭი, არმალანი, და მორათვეს თამარ მეფესა მისთა ლაშქართა განჯის მოღებული და განძი აურაცხელი, კაცი კელმწიფე, ახნთა მონამდის, თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი . . suivez p. 281.

ადუარება, და ვითარცა მცირედნი დღენი დაეწეს მუნ, მეტვე წარ-  
მოქმართნეს ლაშქარნი, დიდათ მოხარულნი, უღუმზიანს ამას-ზე-  
და ძლევისა, და ფრად უფლად უადრესსა საქებელისა მის-გან ძლე-  
ვისა, რომელი უფა აღექსანდრას დარბოზს ზედა. და ვითარცა მი-  
კანლეს, მოკებებოდა მათ და თამარცა, იხარება და მადლობდა  
დმერთსა, მოკითხვიდა თვითოეულად, ვითარცა შჯლთა, და იგინი  
იშვებდეს ხილვითა მისითა. მოვიდეს ქალაქსა, სრასა სამეფოსა,  
ადივსნეს უფელნი გარემოს ტფილისანი, და ვერდა-რა იტევდა ჩა-  
სა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა, და ეს-ოდენ მოსაწეინელცა იყო.  
სიმრავლე ტყვეთა, ვიდრედის შეიფვანთან ქალაქად, და ერთად კუტ-  
ლად ფუკისად გაუდიან, და ამისი მოწამე თვთ იგი უტუეელი  
დმერთი არს, და რათა არა ტუეელი ვისმე ეგობოს, და ზღაპრად  
გინდესთ თქმული ესე, მომავალთა ჟამთა ნანდვილვე ერმიონთასა  
უსახელფენსთა-მათ კაცთა, ზაქარია და იოანე, აღიღეს ფანჯიაქი  
სამეფოდ, და განაწევეს ველსა დიდ-უბისსა, ავჭალამდის, აქლემი  
უფელი ტვირთითა, ცხენი უფელი აკაზმულობითა, ეგრეთვე უფ-  
ელი-იგი ამირანი, თხითა დროშითა. შირველად ხალიფას დროშა,  
მეტვე ათაბაგისა, შემდგომითი-შემდგომად გაწევეს კართ-გან ქა-  
ლაქისათ ვიდრე კევადმდე გლდანისა<sup>1)</sup>, ტუეე<sup>2)</sup> უფელი კაცი, კელ-  
მწითე, აზნაურთა მონამდის, თორ-მეტი ათ-ასი, ავანა ორ-მოცი,  
ცხენი ოცი ათ-ასი, ჯორი შვიდი ათ-ასი, აქლემი თხუთმეტი ათ-  
ასი, უფელი კიდებულა. სხვათა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა,  
ოქროთა და ლართა, ვინმცა უძლ<sup>3)</sup> აღრიცხვად. განიფვანეს თამარ  
და შეწირნეს და ათაფვანეს უფელნი-იგი თაფნი სპარსეთისანი, თვთ-  
ცა ათაფვანის-ცეს და მიუღოცეს მეფობა ბედნიერი დვთისა-მიერ.

ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად, და თვთოეულ-მან იწყო-  
ნიჭად, არმაღანად, ძღვენთა მოღებად, ოქროსა და სამკაულსა, და  
ჭურჭლეთა მრავალ-სახეთა, თვალთა ზატოისანთა და მარგალიტთა.

<sup>1)</sup> Lis. გრდანისა.

<sup>2)</sup> აუარებელი ტუეე უფელია.

<sup>3)</sup> Omis, T depuis ce mot, jusqu'à la fin du § sui vant.

უსსუიდელოთა, ჯაჭვთა, მუზარაღთა, კრძალთა გამოცდილთა, ნაქ-  
სოვთა ფერად-ფერადთა, ბჭრო-ქსოვილთა და შესამოსელთა მრავალ-  
სსუიდელიანთა, ცხენთა და ჯოხთა, მანიაკთა ბჭროსთა უსსუიდე-  
ლოთა, თვალთან-მარკალიტიანთა სულნელთა მრავალ-ფერთა და  
აღვის ხეთა, სზილენძებთა, ტურთუღად. იწუეს, ანაკოფის ციხით  
ვიდრე ციხედმდე გულისტანისა, სეფენი აზნურთანნი აღვისნეს ტუვი-  
თა რჩეულითა, და ყოველი საგანძური ბჭროთა ვითარცა მიწათა, და  
ჭინდოურითა ქვიითა და ჰატიოსანთა მარკალიტთა მიერ ურიცხვთა.

ხოლო დროშა-იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალ-  
ციხელ-მან, წარკვავნა ესე მონასტერსა დიდსა, წინაშე ხახულის  
ღვთის-მშობელისასა, მსგავსად მამა-ჰაპისა მათისა. ვითარცა მამინ  
დიდსა ღვთის წარკვავნა მოძრცვილი ქედისა-გან დობეზეს და  
ყიას ძეს, დიდ-გვართა მანიაკი ბჭროსა, შემკული თვალებითა ძვირ-  
ფასითა, მიზეზად ძღვნისა შეწირვისასა და მვედრებულობისა, ამან-  
ცა ესე-ვითარად ესე იამბიკო ხუთეული, ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა.

ცასა ცათსა დამწეები, ღმერთ-მთავრობა.

ძე საუკუნობს, ჰირველი და კრესადი.

სულ-მან ღმერთ-მან სრულ ჭყო ზრ მოქმედებადი.

სამებით სრულ-მან, ერთითა ღვთაებთა,

მიწით ჰირველსა (ჭყავ<sup>1</sup>) ჰირ-მშოსა კაცთასა.

შენ მიერ, მის-თჯს დრკუისა-მის, განგები

დრკულ მიდრკა უვნები ვნებისადმი.

ივნო, და ვნება ჰირველი უვნებელ ყო,

შენ-გან შობილ-მან ჩვენ დირს გუქვნა აღმოშობად.

ბნელით ნათლისად, ნათლითა მხედველობად.

შენ-გან, ქალ-წულთა რომელსა, შენ-თჯს ღვთით

როკვიდა, ძისა ღვთისა ძედ შენდა ყრბად.

მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,

ცხებულობასა დირს მუავ და თვისობასა.

ედემს ღადირად, სამხრით და ჩრდილოეთით.

1) Je supplée ce mot presque au hasard, pour la mesure.



შუა მთელბელი, ავარს შენდა ვმრთელბე,  
ხალიფას დროშას, თანავე მანიასს  
შევრთე ცრუ-სჯულთა მოძღვრისა, დასოდ მძღვანი,  
ვინ დავით, ძეებრ, ეფრემის მოსისარ-მან,  
მოხრთხნა, მხსრნა სულტნითა. ათაბაგი.

იხანს ებრძოდეს ჩემ მიერ მისთა სპათა,  
ჩვენსა მკედარნი, მოსავნი შენსა, სძალა, <sup>1)</sup>  
მოსწულნეს, მოსწუვიდნეს, აჯარბს ნათესავნი,  
მუნით მოხმულთა ნიჭთა-გან ერთსა ამას  
შენდა შევწირავ, მიხბე ძეებრ, ღმერთო.

და ვინათ-გან თამარ მზებერ უხუ და უნიჭ დიდ ნიჭთა ამდე-  
ბელი იქმნებოდა, ამის-გან თუთოსა დამჯერებულ-მან, აღიღო სს-  
ხატრანო, ხატრან-მან კელთა და ზღვისა-მან, და მადლისა გარ-  
დამკდელ-მან, და წყალბობისა მიმნიჭებულ მან გაყარნა ლაშქარნი,  
ხალა მწეემსნი ოდენ ეკმარებოდეს ტუკეთა და ნატევენავთა. და  
თუთ იშვებდეს, იხარებდეს, ხადირობდეს და სუფეგდეს <sup>2)</sup> თამარ და  
დავით, ერთა შვილთა ნათელ-მოსილთა თანა. ამის-თუხტა უდიდე-  
სად კელ-ყო უდიდესთა საქმეთა სადმერთოთა, რამელთა მითხრობა  
შეუძლებულ არს, არა ჩვენ მიერ, არამედ უკეთუმტა შეკრბეს ბრძენ-  
ნი ყოვლისა სკოლისანი, ჯეროვნად კელ-ყოფენ ღუმილსა, ვერ  
მიწდომისა-თუხ სიტუჯთ გამთქმად საქმეთა თამარისთა. არამედ  
მტირკელი რამე კელ-ყო კვალად აღწერად ძაღისა-ებრ ჩემისა. რამე-  
თუ სულად ღუმილი დავიწუებსა შეიქმს საქმეთა მისთა, და აღ-  
წერა ვერ შეძლებითი დაკნინებს სიდიდეთა ბრწეინვალებსა საქმე-  
თა მისთასა. ხალა ვინა უტეუელი ზირი იტევის: „ზირველად ეძი-  
ებდი სსსუფეველსა ღვთისა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი

<sup>1)</sup> Vers ajoutè, d'après une copie appartenant à M. D. Tcho-  
ubinof.

<sup>2)</sup> Ici le M-it T ajoute une longue tirade, très mal rédigée;  
v la Traduction.

შეგვიძინოს თქვენ.“ ამის-მან მსმენელ-მან კეთილად გულის-ხმა-ყო, აღიხილნა თვალი მადლის მიმართ, და აღიმადლა გონება უფლად-რამე ბრძნად და კეთილად, და შეიტყუა ცნობა გონიერი. რამეთუ უფლითურთ შეეყო მალაქსა-მას უფველთა მხედველსა, და შემსჭვალა თვალმ უმრუმოდ მხედველი, რათა მეცნიერ ყოს და მას მხოლოს ხედვიდეს, და ვერ შეიტყუას სსშეებელ-მან ამის სოფლისა-მან, არცა მეუფობა-მან და კვირგვინ-სკიპტრა მან, არცა ქვათა ზატოისანთა უხვად ქონება-მან, არცა სხათა სიმრავლე-მან, და ესოდენ სიმკნე-მან, რომელი სიტყვა-მან ცხად ყოს. არა მიდრკა, ვერცა წარმხარა სიმდიდრე-მან, ვითარ ძველ-ოდესმე მეუენი მრავალნი, და უმეტეს ამის სანატრელისა მამა და უფველთა ბრძენთა უზირატესი სოფლობანი, ესრეთ უბრძნეს იქმნა ბრძნისა, რომელ ესოდენ შეიუვარა დემრთი და უცხო ექმნა საცთურთა სოფლისათა. ამან იხიინა ხმა-იგი უტუეულისა ზირისა და შეიტკობ იგი რამეთუ დამე უფველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღვთისა ზე- მდგომარეობითა განსაკვირვებელითა, აქუნდა.

და დამე უფველ კვლთ-საქმარი, რომელი კლასაკათა მიეცემოდ და, ერთი ოდენ ვახსენათ. რამეთუ ლოცვისა და ხელთ საქმრისა მიერ მაშკრალ-მან მცირედ მიიძინის, ბუნებითისა წესისა-ებრ. ამას მცირედ მირულებასა შინა, იხილა ჩვენებით საყოფელი რამე, სახილავად ტურფა, და სიკეთე-აღმატებულთა უფავილთა, მწვანვილთა და ნერკთა მიერ განშვენებულნი, რომელი საწადელ იყო მხილველთა-თვს, და სიკეთესა და შვენეერებასა მისსა, სამოთხისა მითხრობა ეუწეებოდა. ამას შინა იყო შესწორებულნი საყდრები და ტაბლები, და საკმელები ზატოისნად შემკული ოქროთა, და რომელიმე ვერცხლითა, თვით ოქროდ განშვენებულნი საჯდომი თვითთა ეულისა კაცისა. არმანგისა-ებრ<sup>1)</sup> კაცად-კაცადისა საქმეთა მათთადა. ხოლო ზენა კერძო იყო ტახტი უზატოისნესი, უფველთა უზატოისნეს, და საჯდომელი ოქროსა, შემკული თვალთა მიერ და მარგალიტთა ზატოისანთა. ამას სამოთხისა შინა შეიუვანეს ჭეშმარიტად.

<sup>1)</sup> Cf. p. 309.

ღირსი მას შინა უფრთისა მეფე თამარ, და იხილა საჯდომები იგი, და განიზრახა გულისა შინა თვისა, ვითარმედ „მეფე ვარ მზურობელი უფრთა, და ჩემი არს უზენაესი ესე და უზატოისნესი საჯდომი ისი“, და მეის მიმართა მუნ დაჯდომად: ხალხ მეის წარმოუდგა ვინმე კაცი, ნათლითა შემოსილი, დაუბურა კელი და ჭრჭვა, „არა არს შენი საჯდომი ეგე, რამეთუ შენ ვერ შემძლებელ ხარ დაურობად ამისსა“. და მეფე ეტყოდა: „ვინ უზატოისნეს არს ჩემსა, რამელ-მან დაიბურას უზატოისნესი საჯდომი“. ხალხ მან ჭრჭვა. „საუდარი ისი შენისა დისახლისისა არს ამისთჳს, რამელ ათორმეტთა მღრღელთა (sic) მისითა კელითა შესთული ჭმოსიეს, რაჟამს წარდგენ წინაშე საშინელსა და შესაძრწუნებელსა ტრახეხსა, შეწირვად უსისხლოსა და ზატოისნისა მსხუჭრბლისა. ამის-თჳს იგი უზესთაჳს არს შენსა. დაღაცათუ საყოფელი შენნი აქაჲჲ არს“. და უჩვენა უდარესი და უუნდოესი საჯდომი, და ვითარ განიდვიძა, წინაშე მოუფანებად ბრძანა დისახლისი-იგი. ხალხ მან აღიარა ათორმეტისა მღრღელისთჳს უფროსად სრულისა კვართ-ფინონისა შესთჳს, და მღრღელთა მიძღვანვა. ამიერიტ-გან იწყო ამანცა აღექსანდრიით ვაჭართა-გან მოღებულისა მატულისა-გან სთჳს და ქმნად შესამოსლისა, ვიდრემდის ათორ-მეტად სრულ ყო.

თქმულ არს ესეცა, დაღათუ მოუწეობელ არს სიტუჳს, ვითარმედ თჳსითა კელითა ამანცა შერებოდა, რამელ მის დღისა საჭამადი მისი (sic), და ფას რა-ოდენ ღირდის, რა-ოდენიცა შეჭამის დღითი-დღე, კელთ საქმარი მისი განუიდის, და ეგ-ოდენი ფასი გლახაკთა მისცის, და არა სმეფო შემოსავალთა-გან. საეკლესიო ღოცუჳს და წესი ღოცვისა დაუკლებელად აღესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი განწესება ზალესტინისა მონასტრისა მოგვითხრობს, უფრთი სულიად აღესრულებოდის. ხალხ დარბაზისა კარსა მეოთვრ ღოცუჳს ვერ-ვინ დააკლებოდის, მწუხრი, დილეულ და სამხრის, ვითარცა თქმულ არს, გარნა სამართალთა-თჳს რადღა მიკმს თქმა, რამეთუ ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებელი და მძლავრებელი არცა მიტაცებელი, არცა შეკობრე და მზარავი. იტყოდა ვითარმედ „მე ვარ მამა თბოლთა და მსაჯული ქვრივთა“. და მოწყალების-



თვს კმა გეყავნ დადიანი ვარდან, გუზან, რომელი თვალ-მრუმე  
ოდენ ჭეუვეს, ბოცოს ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი  
და აზნაურნი, რომელი ჩანან დღეს შეწყალებული.

აწ ვინათ-გან უდიდესი საქმენი წინა-მდებარე არიან სათქმე-  
ლად, რადღა კამს უოვნება, რომელი იქმნა სასწაული განსაკრთომე-  
ლი წინაშე თამარ მეფისა, ღვთის-მოყუარისა, უოველთა ქართულ-  
თა და მართლ-მადიდებელთა აღმატებული სიხარული და აღმამად-  
ლებელი ეკკლესიათა, რამეთუ მოვიდეს ორნი ძმანი, ქენი, სარგის  
ამირ-სპასალარისანი, წინაშე მეფისა მსახურებად, რომელნი მას უამ-  
სა დიდად გადიდებულ იუვნეს მეფისა მიერ, ზაქარია ამირ-სპასა-  
ლარი და იოანე მსახურთ-უხუცესი. და უოველნი საქართულსკონ წარ-  
ჩინებულნი მეფის წინაშე იუვნეს. და კათალიკოზი იოანე, კაცო  
ანგელისთა სწორი, და სულითა საღმრთოთა აღსავსე, და სხუნი  
ცა ეპისკოპოსნი მცირედნი შეკრებულ იუვნეს წინაშე მეფისა. დღე-  
სა ერთსა მღუდელ-მოქმედებად საუფლესა მსხუტრბლსა კათალიკო-  
ზი იოანე. და ვითარ სრულ იქმნა საიდუმლო-იგი, მოიდეს სეფის-  
კვერი, და დირსნი მოუკდეს ჭამად სეფის-კვერისა-მის, ინება ზა-  
ქარიაცა ამირ-სპასალარ-მან, შეხება სეფის-კვერისა. ხოლო მღუდელ-  
თა არა მისცეს, რამეთუ აუღ საწმუნოებით სომეხი, შეჩვენებულ-  
თაგანი, და სირცხვილითა ინება აღტაცებად და შეჭამად სეფის-  
კვერისა-მის. ხოლო ამის-თვს ცეცხლებრ აღტუინებული, ძლიერად  
ამხილებდა, და ეტუოდ: ვითარმედ „არა-ვინ მართლ-მადიდებელთა-  
განი იკადრებს მღუდელ-მოქმედებად სეფის-კვერისა თქვენ შვიდ-  
გზის დაწეულთა სომეხთა, ვითარ იკადრეთ ალებად, რამეთუ ძაღ-  
ლიცა, თუ იპოოს, არა იკადრებს მოტაცებად“. რომლისა-თვსცა  
სირცხვილითა წარვიდა ზაქარია კარვად თვსად. და ოდეს მოიხა-  
დეს დარბაზს სერობად ამირ-სპასალარსა ზაქარიას, მცირედ-რასმე  
სიტუვას ჭეოფდა ურწმუნოთა, რამეთუ სიტუვითა ჭკობდა საწმუ-  
ნოებასა ჩვენსა. მაშინ, სულითა წმიდითა აღვსებული, კათალიკოზი  
მიუკება და აღუკსნიდა. ხოლო ზაქარია, წინა-აღმდგომად ვერ შე-  
მძლებელი, ეტუოდ: „მე ლაშქრობათა შინა აღზრდილი ვერ კეთი-  
ლად შეცნიერ ვარ შენდა სიტუვის-გებად, არამედ მოუწოდ მოძღვარ-

თა სარწმუნოებისა ჩვენისათა, და მათ ჩემ-წილ ჰასუს გიგონა: ხალხ კათალიკოზი იოანე მიუგებდა, „იყავნ ნება ქრისტესი და მარადის ქალ-წულისა ღვთის-მშობელისა, რომელ-მან სირცხვილუელ უვნეს უარის-მყოფელნი თჳსნი“.

ამის-მან მსმენელ-მან ზაქარია წარავლინნა კაცნი კათალიკოზის მიმართ მათისა, და ეპისკოპოსთა და ვარდაპეტთა მიმართ, და მეცნიერთა. ხალხ იოანე წინა-აღუდგებოდა და ეტყოდა: „განუეენე მაგისა ქმნად, რამეთუ უწიით ვითარმედ ჭეშმარიტი სარწმუნოება ესე არს“. გარნა ხალხ არა ისმინა ზაქარია. მამინ მოვიდა კათალიკოზი ვანისა, და უოველნი ეპისკოპოსნი და ვარდაპეტნი, და დაიდგა სამსჯავრო, და დაჯდა დედოფალი მოსავი წმიდისა დედოფლისა, და მეფე დავით, და უოველნი წარჩინებულნი საქართველსნი, და ერთ-კერძო მკარ-გრძელნი ზაქარია და იოანე, ერთ-კერძო მოუწოდეს კათალიკოზსა იოანეს. შევიდა და ეტყოდა ფსალმუნსა-მან. „დმერთო, საჯე სჯა შენი, მოიკსენე უუედრება შენი, რომელ არს უგუნურთა-გან.“ და ვითარ შევიდა, ზე აღდგეს მეფენი და ჰატოვით დაისვენს, და ეგრეთვე მოძღვართა<sup>1)</sup> და ვარდაპეტთა სომეხთა, მათცა ჰატოვ უუეეს წესისა-ებრ.

ვითარ მოკითხვა-მან უამი მოიღო და დადუმნეს უოველნივე, და იწიეს სომეხთა სარწმუნოებისა მათისა თქმად, სიტუვა-მჭევრად ღვრცელ სიტუვად ვინაცა კეთილად მოკსენებული კათალიკოზი, ზეკარდამოთა ნიჭითა ღ მობერვითა საღმრთოთა, გონიერებით აღუკსნიდა და ბრძნად მიუგებდა უკუ-რდგევად თქმულთა მათთა. ხალხ იგინი თჳსსავე და-ამტკიცებდეს ცილობასა, და განგრძელდა სიტუვის-გება მიმწუნხრადმდე. და მოშიშ-მან დამისა განგრძელებისა-მან კმა ჰყო სიტუვის-გება. ვითარ უწიით სომეხთა ცილება ძლიერი, დადადისი აღუტევეს, და ცილობისა სწორი ძლევა იქმნებოდა. ხალხ ამისი მსმენელი კათალიკოზი იოანე, მოსახელე ღვთის-მეტეველისა იოანესი, ანუ უკუღ ზენათ, სულისა მიერ წმიდისა აღვსებულ-მან, ანუ-თუ მართლისა სარწმუნოებისა მინდობილ-მან, არა ვუწიი. ადაღო ჰირი ბრძნად

1) T მარდასთა; cf p. 289 du M-it.

მეტყველი და იწყო შეუალთა სიტყვათა, და ვითარცა ოდესმე დიდი ილია მსხჭრებლთა ზედა მხედვითა ცეცხლითა, ღვთისა მიერ მღვდლები. იხილეთ, თუ ვითარ უადრეს არს კორცი და სისხლი ღვთისა განკაცებულისა მსხჭრებლსა ზრახისასა, რომელი აჩრდილის სახედ მოსწავება იყო. ეგრეთ უბრწეინვალებს და უზენაეს რომელ აწ იქმნა და ითქვა სულისა მიერ წმიდისა, მსახურისა თვისისა კათალიკოზისათა. რამეთუ თქმს:

„სახლით თარგამოსნო, რომელი შეკრებულ ხართ ძვირად და მტერად მართლისა სარწმუნოებისა, უწყითა რამეთუ ნათესავსა კაცთასა ეუფლას ეშმაკი და დაუგუნა თქალნი გონებისანი, და შეასაკუთრნა ხრიზმოსთა, და უმეტრებით დაატეგებინა ღმერთი, და უზორვიდეს კერპთა, ხახვსა და ნიორსა, და ჭინჭარსა. ხოლო ღმერთმან არა უკულებელს-უგუნა დაბადებულნი თვისნი. პირველად ეზრახა აბრამს, მერმე ნათესავსა მისსა. კვლად მოსეს მოსცა ჭსჯული და სამართალი უკანასკნელ, უმეტესითა წყალობითა აღძრული, ზეით ქვეყანად გარდამოკლა ერთი სამების-გან, ძე და სიტყვა, ქალ-წულისა მარიამის-გან, და კორცნი შეისხნა, და მსგავს კაცთა იქმნა. რამეთუ სისხლთა-გან ქალ-წულისათა მოიხუნა კორცნი კაცობრივნი და სული სიტყვიერი. იქცეოდა კაცთა თანა, და უოველივე განგებულება აღასრულა კნისა-თვს ჩვენ კაცთა. ხოლო რა-ჟამს შესაძრწუნებელი ნებსით ჯჳარ-ცმა ეგულებოდა, ათ ორ-მეტოა მოწაფეთა თანა ისეკა და სრულ ჭეო ზასეკი, და ვითარცა სრული ქმნა ძველი-იგი ზასეკი, იწყო ახალსა ამას ღმერთ-მყოფელსა საიდუმლოსა. მოიღო ზური, განტეხა და მისცა მოწაფეთა, და თქმს: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს კორცი ჩემი, მისატეგებულად ცოდჳათა.“ ეგრეთვე სასმელიცა. „სუთ ამის-გან. ესე სისხლი ჩემი არს.“ პირველ ეტეოდა. „უკეთუ არა სჭამოთ კორცი ძის კაცისა, არა გაქმნდეს ნაწილი ჩემ-თანა.“ კვლად იტეოდა: „კორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს.“ და მრავალნი არიან ესე-ვითარნი სიტყუანი. აწ უკუწ მომიგეთ, გრწამსთა ესე-ვითარნი ხმანი მახარებულთანი“ ხოლო მათ ჭრქვეს. „უცილებელ არს ეგე სიტყუანი, რამეთუ მოგვცა კორცი და სისხ-



ლი მისი, რათა უკუდავებად ვსჭამდეთ და ვსმიდეთ, და მის-თანა ვკვებთ უკუნისამდე. ესე არს ნიჭი დიდი შეგნდა მომართ, რათა ქრისტეს ღმერთად აღმსარებელნი ვსჭამდეთ კოვრცსა მისსა და ვსმიდეთ სისხლსა მისსა“. ხოლო კათალიკოზ-მან კმა ჰყო ბრწყინ-ვალებად. „გეთილ, შჯლნო, ვინათ-გან აღიარეთ. აწ უკვე ესეცა გრწამ-სა, ვითარმედ ახალი სჯული და ახალი ზასეკი იყო სერობა იგი. და უოველნი ქრისტეს ღმერთად და კაცად აღმსარებელნი, მღუღელ-მოქმედებით ქრისტეს ვნებათა მომკსენებელნი, ვსჭამთ კოვრცსა მისსა. და ვსვამთ სისხლსა მისსა, იგი არს სჯული ჩვენი და მცნება ახალი“. ხო-ლო სომეხთა მიუგეს: „ეგრეთ არს, ამას არა-ვინ ურწმუნო-არს“. იოანე კათალიკოზ-მან თქვა: „აწ უწოდეთ, უკეთუ სარწმუნოება თქვენი უმ-ჯობეს-სადამე არს, თქვენ მიერ შეიცვალების ჰური კოვრცად უფლი-სა. და თუ ჩვენი უმჯობეს არს სარწმუნოება, ჩვენ მიერ მღუღელ-მოქმედებულნი შეიცვალების კოვრცად უფლისა“. ხოლო სომეხთა-მან ჰრქვეს. „ეგრეთ არს“. კათალიკოზ-მან თქვა: „საშინელი სიტ-უთა სასმენელად, რათა საქმით გამოვაჩინოთ, და არა სიტყვიითა“. მათ თქვეს: „რომელსაცა ჰყოფ, ჰყავ“. კათალიკოზი ეტყოდა: „მოგ-ცემ ძაღლსა ერთსა, და დრო გიყოფ სამთა დღეთა, რათა ღამე გა-ნათიოთ ღიტანიითა და ღვთის ვედრებითა, და სამ დღე ძაღლი უჭმელად დამარხეთ. და ერთი ძაღლი მე მომეცით, და სამ დღე უჭმელად დავმარხო, და ღამე განვითიოთ ღიტანიითა, და ღვთის ვედრებითა, და გამოჩნდეს მართალი სარწმუნოება. მესამესა დღესა ადვასრულებ უსისხლესა მსხუჭრზლსა, და მოვიდებ კელითა ჩემითა სუთის-კვერსა. დადათუ არა საკადრებელ არს, და დავუგებ ძაღლსა წინაშე რომელი თქვენ გუავს, და აგრეთვე თქვენი სუთის-კვერი მო-იღეთ, და დაუგეთ ძაღლსა-მას რომელი მე მუავს. და რომელიცა შესჭამოს, მისი სარწმუნოება ცუდ არს, თქუზნი შესჭამოს, თქვენ გრცხვენეს. და თუ ჩვენი შესჭამოს, ჩვენ გვრცხვენეს“. ხოლო ეს-მან-რა ესე მეფეთა და ერსა, განკვირდეს და უღონოება-მან მოიცუ-ნა. და ვითარ გონებად მოვიდეს, ჰრქვეს კათალიკოზსა: „რა-ესე სიტყუ, რამეთუ სასმენელადცა საზარელ არს“. ხოლო კათალიკოზი უპეტესადცა დაამტკიცებდა, გარნა სომეხთა კადათუ არა ენება, არა-

მედ მისცნეს ძალდნი ურთიერთს და წარვიდეს თვს თვსად კარავთა მათთა.

ხოლო მეფე ძლიერად მბრძოლი ეტყოდა კათალიკოსსა: „რასტქე, ვინ შემძლებელ არს ამისა ქმნად, მოგონებად და სმენად. რამეთუ გასაკრთომელ არს“. კათალიკოსი წყნარითა გონებითა მიუგებდა: „საქმე ესე არა მინდობითა თავისა ჩემისათა ვუფა, არამედ ვჭყყოფ სსსობითა ქრისტეს ღვთისათა, რათა აჩვენოს თვსთა მოწმუნეთა მართალი სარწმუნოება, თუ ვისი არს მართალი სარწმუნოება, და ვინ არიან მართალ-ადმისარებელნი, და ვისითა მღწედელ-მოქმედებითა შეიწინავეს უსისხლსა მსხვერზლსა, და ვისთა კელთა მისცემს ტარიგი ღვთისა დაკლვად თავსა თვსსა, ანუ ვინ ვსტამთ კორცსა მისსა და ვსვამთ სისხლსა მისსა. მინდობითა მართალ-მადიდებლობისათა ცხად ვჭყყოფ ჭეშმარიტებასა. მეფეო, შემეწიე, შენ და უოველნი ქართუჭლნი, დიდი და მცირე“. მაშინ განკვირდა მეფე და უოველი ერი, ისმინეს-რა ბრძანება კათალიკოსისა, და წარვიდეს თვს თვსად.

იყო დღე-იგი ზარასკევი, იწყეს ლიტანიობად, ერთ-კერძო მეფე-მან და კათალიკოს-მან, და უოველ-მან სამღედელთ-მან კრებულ-მან. რამეთუ მცირედნი იყუნეს მუნ ეპისკოპოსნი. რამეაუ არა კრება ეყო მეფესა, და ერთ-კერძო სომეხნი და მკარ-გრძელნი, ზაქარია და იოანე, და ღამე-იგი ორთავე განათენეს, და შაბათსა კვალად იწყეს ლიტანიობად, და მწუნერი ერთ-შაბათთ განათენეს, და აღმოკდა მზე და უოველნი წარემართნეს ეკკლესიად, ცრემლით მვედრებელნი ღვთისანი. განამზადნეს წმიდა ტრავები, ორგნითვე იყო ტირილი, ორისავე კრებულისა-გან. სრულ იქმნა-რა უსისხლსა მსხვერზლისა შეწირვა, მაშინ აღიქვა კათალიკოს-მან თეშხუმითა შესაძრწუნებელი-იგი კორცი ჩვენ თვს კაც-ქმნილისა ქრისტეს ღვთისა. წარმოვიდა კრებულისა მიმართ, მკზავრ-მეტეელი: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ. სავსე არიან ცანი და ქქლ-უნა დიდებითა მისითა“. მაშინ მოუწოდა ეპისკოპოსთა და მკარ-გრძელთა უოველთავე, და სარწმუნოებისა მათისა ზიართა ეტყოდა: „ისმინეთ აწ, სახლო თარგამოსნო, უწყით რამეთუ დმერთ-მან ჩვენ-

თჳს კაც-ქმნილ-მან მოგვცა საჭმლად, მეტყველ-მან. „უკეთუ არა  
სჭამოთ კორცი ჩემი, არა გაქჳნდესთ ცხოვრება. ამას ჰყოფდით.  
მოსასხენებელად ჩემდა“ და მოციქულიცა იტყვის: „ზურსა ამას  
რომელსა გასტეხთ, არაჲ ზიარება კორცთა ქრისტესთა არსა \* აჲ  
უკეთუ სარწმუნოება თქვენი ჳეშმარიტ არს, ჳური ესე წმიდა კორც  
ქრისტესა იქმნების. და უკეთუ ჩვენი სარწმუნოება სთნავს დემონ-  
სა, ჩვენ-მიერ კურთხეული იქმნების კორცად უფლისად. ხოლო და-  
დაცათუ არა საკადრებელ არს, აჲ მოიყვანეთ ძაღლი-იგი, რომელი  
მე მოგვც, და წინა დაუგუგო ჳურსა ამას წმიდასა. უკეთუ შეეხოს  
ძაღლი-იგი და იკადროს მიახლებად, არა-სადაჲ არს სარწმუნოება  
ჩვენი, და თქვენ-მიერ მოცემულ ძაღლი მოყვანებად ვცეთ, და და-  
ვუდგათ ჳური თქვენ-მიერი კურთხეული. იხილეთ რაძი იქმნას, და  
მას-ზედა გამოჩნდეს ვისი სარწმუნოება სთნავს ქრისტესა“. ხოლო  
სომეხთა დადაცათუ არა ენება, გარნა არა იყო ჳასუსი სამართლისა.  
ძლით ეტყოდეს კათალიკოზსა: „შენ-მიერ განჩინებულსა ამის საქ-  
მესა შენ გიღირს ქმნად“. ხოლო იყო ერსა ჳედა შემოსრულად  
ჯარი<sup>1)</sup> რაძი იქმნას, და ამის-მან მსმენელ-მან კათალიკოზ-მან თქვა:  
„მე ვჳყო ძალითა და შეწევნითა ქრისტეს ჩემისათა, და მინდობი-  
თა სარწმუნოებისა ჩემისათა“. და ბრძანა ერისა შორად განყენება,  
და მრგვლივ გარე-მოდგომა, რათა უოველთა მიერ სახილველ იქმნ-  
ნეს დიდებულება დვთისა. და განდგა ერი შორადრე, და წარმოდგა  
კათალიკოზი იოანე, შემოსილი, და კელთ ეტვირთა ჳარის სახდე-  
ლი-იგი საიდუმლო, კორცი ქრისტესი, მღჳდელ-მოქმედებული. ხო-  
ლო მეფე და უოველი ერი ხედვიდეს, განცვიფრებულნი და შეძრ-  
წუნებულნი, და კათალიკოზი დგა ვითარცა გოდოლი შეურყეველი,  
ზირითა განშვენებული. მაშინ მოუჩანებად სცა სამ დღე უჭმელისა  
ძაღლისა, და მოიყვანეს ძაღლი-იგი, შიმშილითა განლიგებული, და  
წარდგა იოანე კათალიკოზი, და აღმოუტყვა კმა ბრწეინვალი. „ქრის-  
ტე მეუფეო, ესნისა-თჳს კაცთასა განკაცებულო, ჳრწარ-ცმულო ჩვენ-  
თჳს, დაფლულო და აღდგომილო, და ჳე-ცად მამისა ამადლებულო,

<sup>1)</sup> Je lis ზარი, bien que l'autre leçon se trouve dans 3 M-its.



რომელ მან მოგვეც კორცი შენი რათა მოსახსენებულად შენდა ვჭეოფ-  
დეთ. უკეთუ გონავს სარწმუნოება ქართულთა და გონავს სარწმუ-  
ნოება-ესე ჩვენი, შეუხებულად და მიუხლობულად ღაიცვე ზარის  
აღსკდელი ესე კორცი შენი, ჩვენ-მიერ მღუდელ-მოქმედებული, და  
ახვენე ერსა ამას შენსა გზა ჭეშმარიტი, და მოხედენ მსხრესრზღისა  
ამას, და სირცხვილულ უვენ წინა-ადღობნი-ესე ჩვენნი.“ და და-  
აგო შესაძრწუნებელი-იგი უსისხლესა მსხვერზღისა, აღმონაკვეთი  
მომუმარსა-მას ძაღლსა წინაჲ. და იხილა-რა, ზურად მიეტევა და  
მიეახლა მიუხლებელსა-მას, მუის ძლიერად იუვირსა, და ვერ შე-  
ეხო წმიდასა-მას წმიდათასა. და იხილეს განსაკრთმელი ესე სს-  
წაული, განკრთეს მეფე და ყოველი კრი. მაღლითა კმითა კმა ჭეო-  
კათალიკოზ-მან და სიმრავლე-მან ერისამან. დიდ ხარ შენ, უფალო,  
და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. და აღუტევეს კმა სიხარუ-  
ლისა, მაღიდებულად ღვთისა, ცრემლითა სიხარულისა. ხოლო სო-  
მენნი, უღონოებსა მიტემულნი, განლიგებულნი ღგეს, და განკვირ-  
ვებულ.

მაშინ ევედრა კათალიკოზი მეფესა, რათა დაადუმოს ერ-იგი.  
და ვითარცა დაწუნარდეს კმანი-იგი, ჭრქუა ნათელ-მოფენილითა ზი-  
რითა, მარდასნთა სომხითისათა, და მკარ-გრძელთა. „ისმინეთ და  
უწეოდეთ. დმერთი უხილავი, მიუხლებელი ბორცოთისა, რამლისა-  
განვე უბორცოტ-მან თავად-მან ბრძანა ზურისა ამის კორც-ქმნა, ნუ  
გიკვირს, რამეთუ მანვე თქუა „იუავნ ნათელი, და კვალად გამოჩნ-  
და ნათელი“, და მანვე თავად-მან სიტუა-მან არა-რასა-გან კმელი  
ქმნა, არა-თუ სახის-მეტეველებრ არამედ ჭეშმარიტად კორცი მისი  
არს. ამის-თვს არა-რა შეეხებოდა, ანუ ორივე ერთ არს, ანუ უმ-  
ჯობეს რომელიმე“. ხოლო არა-თუ ენება, არამედ უნებლიეთ თანა-  
ედვა ამისი ქმნა. ვითარ მღუდელნი ღგეს, მოიუვანეს ძაღლი-იგი  
რომელი ჭევა კათალიკოზს, და მიუგდეს მსხრესრზღი მათი. მუის  
ადიტაცა, მაშინ ქართულთა იწეეს მაღლობა ღვთისა, კმითა სი-  
ხარულისათა, იქით და აქეთ ხლდომითა, მასვე იტეოდეს. „დიდ  
ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. და კათა-  
ლიკოზი შემოსილი შესკეს ჭუნესა, და კელთ ეტვირთა ფეშხუმითა

სეფის-კვერი, და თანა ჭეუგბოდეს უოველნი წარჩინებულნი, და ლაშქართა შინა ვიდოდეს მეტეველნი ესრეთ ფსალმუნისა ამის. „მრავალ-გზის მბრძოდეს მე მტერნი ჩემნი, სიერმით ჩემით-გან, მრავალ-გზის მბრძოდეს მე, და მე ვერა მერეოდეს. ბეჭთა ჩემთა მცემდეს მე ცოდვილნი, და განაგრძვეს უსჯულყოფა მათი. უფალ-მან შემუსრნა ქედნი ცოდვილთანი. ჭრცხვენოდეს და მართლ უკუნ-იქცენ უოველნი მოძულენი სიონისანი. უფალსა უგალობდით, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, უფალ-მან შემუსრნა მბრძოლნი, უფალ არს სასული მისი“. ესრეთ მხიარულათა ზირითა მოვლეს უოველნი ბანაკი მათი, ხოლო სომეხნი, ვითარცა მუვარნი უტბონი, ეგრეთ დგეს უგბოდ, ქვეყანად მხედველნი, ვითარცა ძველ-ოდესმე მღვდელნი ასტრატესნი. ხოლო თუ ვითარი სიხარული, სასიკება და მადლობა დვთისა მოიწია ქართულთა ზედა, თხრობა შეუძლებულ არს.

და შერავიდეს, დიდი სერი შემზადეს მეფე-მან და კათალიკოზ-მან, ხოლო სომეხნი სირცხვილუენი წარვიდეს მკარ ვრძელთა კარვად. იოანე მსახურთ-უხუცესი ეტყოდა ძმასა თქმსა, ზაქარია ამირ-სხასლარსა, ვითარმედ „არა მენება მე ცილობა ქართულთა, რამეთუ მართალი სარწმუნოება უზურიეს, აწ რადა არს მათებებულ ჩვენდა, რათა მართალი სარწმუნოება არა შევიწყნაროთ, და არ ნათელ-ვიდოთ ქართულთა კათალიკოზის მიერ“. ხოლო იგი მიუგებდა: „უწი, ძმაო, რამეთუ მართალი სჯული არს ქართულთა. არამედ მას ჭკითხონ დღეს-მას განკითხვისსა, რომელთა ზირველად იხებეს განწვალება, მე არა შევერთვი ქართულთა“. და ესა იოანეს თქმული ესე, მიუგო და ჭრქუა. „მიკვირს სიბრძნისა შენისა-გან, რომელ უწი და უმჯობესსა არა აღიჩევი, აწ მე არა ჭერჩი განზრახვასა შენსა, არამედ ნათელ-ვიდებ სარწმუნოებასა ზედა ქართულთას“. და მუის მოვიდა და ნათელ-ილო სარწმუნოებასა ზედა ჩვენსა, იოანეს მიერ კათალიკოზისა, და მრავალი სიძრავლე სომეხთა მოვიდა ნათლის-დებად, და იქმნა სიხარული და მხიარულება, ხოლო ზაქარია ეგრევე ურწმუნოებასავე ზედა, ესე ვითარი ნიჭი და ჰატვიგი მიჭმადლა მის-მიერ შეეჭარებულ-მან დმერთ-მან თამარს.

გარნა არცა ესე უღებ. იქმნა მოქმედებად საქმეთა სთნთა ღვთისათა, ამის-თჳს კელ-ჰუო აღშენებად საუოფელსა განმამრჯეუბელსა თჳსსა, ზეშთა კურთხეულისა ვარძიისა ღვთის-მშობელისასა ზემო-ვარძიის ქვემო-ვარძიითა მიცვალებითა, რომელიცა კლდის-გან გამოკვეთა, თჳთ ზატოისანი ეკკლესია, და მონაზონთა საუოფელი სენაკები, რომელი მტერთა-განცა შეუალ და უბრძოლველ ჰუო, ესე ვარძია ზირველად დაწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდ-მან ამან აღსრულა, და შეამკო უოფლითურთ, და შეწირნა მრავალნი და დიდრანნი სოფლები, და შეუმზადა ტრახეზისა შემოსავალნი, და სხვანი შემკობილებანი, რომელი უოფლისა-განვე მოთხრობა ძნელ არს. თუ ვისმე ნებაჲს, ახილენ ვარძია და საქმენი მისნი ნაშენებნი, და ქვაბნი გამოკვეთილნი. თუ ვითარ შეუე-მან თამარ გულს-იდგინა მსაზურებად უბიწოსა და განსაკრთომელისა სასწაულთა მოქმედისა ვარძიისა ღვთის-მშობელისა. ამის-თჳს უმეტეს იდიდა შეუობა მისი, ხოლო სხუანი საქმენი მისნი, აღშენებანი და შეწირვანი მონასტერთანი, ისმინენით: არა მხოლოდ-თუ ოდენ საქართველსა მონასტერნი აღაშენნა და შეამკო, არამედ ჰალესტინეს და იერუსალიმს აღაშენა ზირველად მონასტერნი. კვალად კვიპრეს და დალიას შეამკო და უუიღნა შესავალნი, და აღაშენა მონასტერი; და შეამკო უოფლითა წესითა ზატოისნისა მონასტრისათა. და კვალად კოსტანტინებოლის აღაშენა მეტოქნი ჰატნი, გრძელ-სადამე არს უოფლისა მოთხრობილთა, რომელნი საბერძნეთს და უოფელსა ელადას შინანი მონასტერნი უხვად წყალობა-მიიფენილ უვნა, და საქართველსანი მცირით-გან მონასტრით საუღარ-ეკკლესიანი არ დაუტევა; რომელი არა წყალობითა აღავსო, ესრეთ კეთილად აღეზურა გონება საუკუნეთა მიმართ კეთილთა, ხოლო მომნიჭებელი წყალობათა წარუმართებდა საქმესა დღე-კეთილობასა შინა, და უოფელნი გარემოს მუოფნი ქალაქნი და ამირანი ძღვნითა და ხარკის მოღებითა მოამშვიდებდეს ზირსა მკნეთს სხათა მისთასა, და არბევდიან უოფელთა ურჩთა მათთა, ხოლო აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინნა დაშქარნი გარე-მოღვობად, და სცნეს-რა თურქთა, დააკდეს კარი და



ივლტოდეს. ხალხ მეფე-მან აღიღო კარი და დაუტევა კარის-მცვე-  
ლად ახალციხელი იოანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათბაგო-  
ბა და ამირათ-ამირაობა, რამლისა-თჳსცა დიდი წიქება შეექმნა თურქ-  
თჳ. რამეთუ დიდად ავებდა, და წარუღო თურქთა კარეშემჩნი ქვე-  
ყანანი, აღიხუნა და მიითჳაღნა, და წარმოგზავნა მახარობელი მე-  
ფეს წინაშე, და დიდად დაიმადლა, და იგანესვე უბოძა კარული,  
და მისე მიმდგომი ქვეყანანი, და წარემართებოდა სამეფო თამა-  
რისი, და დღითი-დღე შეემატებოდა, და შიში და ზარი დიდი იყო  
ყოველთა სულტანთა ზედა. და ჯიფსებოდა ნილოსი, და იყოობდა  
ეგვიპტე. მოაკლდებოდა ისმაილს, განიქიტნებოდა აკარ, იკურთ-  
ხოდა ისაკ. ესე სხვა-მან ვინმე სხვისა-თჳს თქვა, და მე აქა წინა-  
სიტუჳა ვყოფ. რამეთუ მოაკლდებოდა ძალსა მრჳმადიანთასა, და  
მცემელი ებანსა. რამეთუ ქრისტეანეთა ორღანონი კმფანობდეს კი-  
დით კიდემდე, და შრტა სასოება მუსულმანთა და ყოველთურთ უღო-  
ნონი ღონე ჰყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მო-  
უწარე თამარ. ამის-თჳს კვალად წარვიდეს ხალიფასა, არდა-რა პირ-  
ველ-ებრ, არამად თურად შეცვალებით, და შესახვეწელთა სიტუჳათა  
მოაკსენებდეს, რათა ევედროს თამარს ადებად სარკისა ოდენ, მან-  
ვილი მსრველი დააყენონ და ჯაჭვი შემკვრელი. რამელი-ესე ჰყო  
ხალიფა-მან, და წარმოჳვლინა მონიქული ამის პირისა-თჳს, და დიდ-  
ნი მრავალ-ფერნი სამეფონი ძღვენნი უცხონი წარმოგზავნნა, და დი-  
დითა სიმდაბლითა შემოეხვეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და  
დაატადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ვედრება, და ესრეთ მისცა  
პასუხი: „აღმისრულებიეს თხოვნა შენი, და რამელთაცა ინებონ  
მშვიდობა თავთა თჳსთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა  
მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება, ვედრებისა-თჳს შენისა“. რამელი-  
ესე ესრეთ იქმნა.

ესე რა ელმოდა საბერძნეთის სულტანსა მადალსა, ჩარასლან-  
ნის ძესა, სახელით ნუქარდინს, რამელი უმადლეს და უდიდეს იყო  
სხუნათა ყოველთა სულტანთა, რამელი მსთავრობდა დიდსა საბერძ-  
ნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა, ვიდრე პონტოდ ზღვადმე. ესე იწე-  
მებდა ზაკვიით სიუწარულსა, და გზავნიდა მონიქულთა მშვიდობისა-

თჳს მრავალ-ჟამ, და ძღვენთა შეენიერთა მრავალთა, ეგრეთჳს თა-  
მარ ჭყოფდა ნაცვალსა სახედ მოციქულთა, წარავლენდა ძღვენთა,  
გარნა იგი ზაკვასა ჭფარვიდა, და ფიცთა მიერ გამსტრობად მოს-  
წრათუე იუო ამის სამეფოსა. ამან მოუწოდა უოველსა სიმრავლესა  
სჳათა მისთვის, და შეკრიბა კაცი ოთხ-მეოცი ბევრი, რომელ არს  
რვა ათასი. განახუნა მამა-ზაზურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო  
აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა, შეკრებისა-თჳს შეკედრობი-  
სა, და ამცნებდა რათა ორსა კაცსა მისცემდენ გაჩენილისასა. და  
წარავლინა უოველთა საზღვართა მისთა, და იწყო მოსოჳოტამს და  
კალბეროთ, კალატისა, ღანგრას, ანკურისა, ისავრიას, კაბადუკიას,  
დიდსა სომხითს, ბითუინისა, და საზღვართა თებლადობისათა, და  
არა დაუტეჳა თჳნიერ დედა-კაცისა სოთუელთა შინა მათთა, არამედ  
უოველნი ამკედრნა. ხოლო თჳთ ამოისწრაფნა, ამოიწია უჯად სა-  
ხელ-ღებულთა-მან თურქთა თანა, რომელ არიან მკნე ბრძოლასა ში-  
ნა, და არიან სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჯინჭველნი. ამათ  
მისცნა ოქრო მრავალნი, და კვალად ნიჭნი დიდნი ეს-ოდენ ვიდრე  
ასი ათასი მკედარი შეკაზმული გამოიუქანა მათ-გან, და კვალად  
მიიერთნა თჳნიერ ნებისა მათისა, შიშით, ეზინკელნი, ხალფერდენი,  
და კარნუქალაქელნი. საღდუხის ძე, რომელსა, ნაცვალად მსახურები-  
სა მოულო კარნუქალაქი, და თჳსი ძმა დასვა მუნ, ვითარცა იტევიან  
გძღარბისა-თჳს კმელისასა. შვილ-მრავალ არს ცხოველი ესე, და  
არა-ჟამს იხილნეს ნაშობნთ თჳსნი მრავლად, გამოვალს ბუდით თჳ-  
სით, მართუებით, და განაწყობს და გოდლოის მათ-ზედა, ეგრეთვე  
უო ნუქარდინცა იხილნა-რა ფრიადი-იგი სიმრავლე შეკრებულად,  
რომელი ზესთა იუო რიცხვისა, აღზავუნა გულითა, მსგავსად სე-  
ნაქერემისა, და ამადლდა ღმერთსა ზედა, და არა შეიშინა ზირველ-  
თა-მათ მზაკვართა ფიცთა-გან და სიუქარულისა აღთქმათა, არამედ  
ფრიად წინა-უკმო განჰმზადა თაგი და მოიწია ქალაქად სევასტიად,  
და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა. მამინ წარმრავლი-  
ნისა მოციქული წინაჲუ თამარისსა, ესე-ვითარითა წიგნითა, რომელ-  
სა წერილ იუო სახე ესე-ვითარი.

„მე ნუქარდინ, სულტანი უოველისა ცისა-ქვეშისა, უმადლესი,



მიმსგავსებული ანგელოსთასა, თანა-მდგომი ღვთისა, მოფლინებული დიდისა მოჭმედისა-გან, მოგიმცნობ მეფესა ქართუჭლთასა თამარსა, უოფელი დიაცი რეკვენია, შენ გიბრძინებია ქართუჭლთა ადებად კრმლისა, და ღვთისა-გან საფარელისა ისლემთა კრისა დაკოცად მუსლმანთა, და კვალად ნათესავსა ზედა თავის-უფალსა დადებად ხარკი უმებური. აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწვართო შენ და კრიცა შენი, არა-ოდეს ადებად კრმლისა, რომელ ღმერთსა ჩვენდა უბოძებია. ხოლო ცხადვრებით იგი ოდენ ვაცხადებო რომელ-მან უწინარეს მოსლვისა ჩემისა თაუჲ-ანის-მცეს წინაშე კარვისა ჩემისა, და აღიაროს ქადაგება მოჭმად მოციქულისა, და უარ-ჭუთს სჯული შენი, და კელითა თვისთა იწ-უოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯუარისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუ-დი სასოება, აწ მოქალაქი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა“ და ვითარ მოვიდა მოციქული, და შეიუფანეს თამარს წი-ნაშე, და წიგნი მისცა, წარდგა და იწყო-რა უკადრებულთა სიტყვა-თა თქმად. „უკეთუ მეფე-მან თქვენ-მან დაუტეოს სჯული, რხურას სულტან-მან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იუოს ხარ-ჭად სულტანისა“ ხოლო ვითარ ამხარტავნად იტყვდა სიტყვათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამარ-სპასლარი, დაუბეთქნა კელითა, პირ-სა დაუცა, და ვითარცა მკუდარი დაედვა. ვითარ აღზიდნეს და აღ-მართნეს, და ცნობად მოვიდა, ჭრქუა ზაქარია. „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო სამართალი შენი, და მერ-მედა თავისა, კადნიერად კადრებისა-თვს, აწ რაჲ არს სიტყვა ესე“.

წიგნი ვითარცა მიართვეს, და იხილა ფაშარ, უოფლად არა აჩ-ქარდა, არამედ სხუა უზეკია იქმნებოდა სიძდაბლითა, და განმარტა წიგნი-იგი წინაშე ღვთისა, სულთ-ითქუნა სიღრმითა გულისათა, და ცხელთა ცრემლთა დამოღინებითა, და ღვთისა მიმართ სასოებისა დამდებელ-მან, მერმე მოუწოდა, მასშინ რომელნიცა დახვდეს, და ეზრახს მათ ამის ზიარისა-თვს, არცა ჩუკნად, არცა მდევრად, არცა განუგრძნობელად, მასშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნი-კოთსიით ვიდრე დაჩუბანდამდის, და ბრძანება და წიგნები ქროდა, და მალე-მსროლთა ცოლათა დღეთა შინა მალე შემკობიეს, ვი-



თარცა ვეფხუნი სიკისკასითა, და ვითარცა ლომი გულითა. ქრისტეს ღმერთსა ესვიდეს, და შეკრბეს ჯავახეთს, და არდა რა ჭეოვნეს, არამედ მსწრაფელ მიმართეს ტაძრსა უფლად-წმიდისა ღვთის-მშობელისასა, ვარძიას. და ვარძიის ღვთის-მშობელისა წინაშე ცრემლით შევედრნა სოსლან-დავით და სხა მისი, და დროშა ბედნიერად გამოკრებული, და წარგზავნა ვარძიით ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძღოდღა წინა შიშველითა თერკითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწვთა მისთა, და წარუძღვა ბასიანის კერძოთა, და მიიწივნეს მახლობელად კარისა, და დადგეს ღდისა ერთისა სავალსა. და მაშინდა მოციქულნი წარგზავნნა სულტანისა, და წარატანა თანა მოციქულიცა თვისი, და მიუწერა ნაცვალი წიგნისა ესრეთ:

„ძალსა ღვთისა უფლისა მზურობელისასა მინდობილ-მან, და მარადის ქალ-წულისა მარიაშის მვედრებელ-მან, და ზატოისნისა, ჯუარისა სსსოებით მოსავ-მან, წარვიკითხე ღვთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჳი ნუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი, რათა ბჭე ღმერთი იყოს, არა გასძიეს რამეთუ უფველი ცრუდ მოუცავდ სსხელსა ღვთისა მის-მიერ აღიხცოს. შენ რქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ, უმეცარი მსჯავრსა ღვთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სძათა ჩემთა სემრავლესა, არცა რას სხვასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძისა ღვთისა, უფლისა მზურობელისასა, და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჭკობ. ესე-რა-ვითარი შემდგეთვალა, წარმომივლენია მვედრობა ქრისტეს მოსახლე, არა შენდა თაუჭანის-ცემად, არამედ დამკობად შენდა ზვავისა-მაგის და ამხარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღვთისა მიერ არდა-რა გობად სსხელსა მისსა. იუავნ ნება ღვთისა, და ნუ შენი, ხოლო მე ვუწეი დაკსნილობა მსახურთა შენთა. ამის-თვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა ზასუხი აღრე მოკართვას და განკრძალოს, რამეთუ ჩემ-მიერ წარმომივლენილთა სძათა თერკნი ესე-რა კართა შენთა ზედა დგანან“.

მისცა ეს ვითარი წიგნი, და მერმე შემოსეს და უბოძეს ნიჭი, და წარავლინა მოციქული სულტანისა, ხოლო თვით უბრძანა თვისთა სძათა უფველთა შესხდომა, და თვით განვიდა უმაღლესსა აღ-

გილსა, სადათ უოველთა ხედვიდა, და დავარდა მუკელთა თხსთა ზე-  
დან დიდ-ხან, და ტირიდა წინაშე ღვთისა. მერმე აღდგა-რა, იხბლ-  
გებოდა ადგილი-იგი უოველად დალტობილად ცრემლთა-გან მისთა.  
მერმე მოიუწანა წინაშე თხსსა უოველნი წარჩინებულნი და უბრძანა  
ერის-თავთა, რათა თვთოეული მათი მოვიდოდეს წინაშე წმიდისა  
ჯუარისა და თაუწანის-ცემდენ, და შეემთხვეოდინ, და იწუეს მოსლ-  
ვა უოველთა, ტირილთა ვედრებად და თაუწანის-ცემად ზატოისნი-  
სა ჯუარისა, და ამბოჩის უოფად, და ეგრეთვე შემთხვევად კელთა  
თამარისა. და ანდერძ ჰყოფდეს უოველნი სხლთა, შჯლთა და ასულ-  
თა, წინაშე მისსა. რამეთუ ერთითა კელითა თვთ მას ეზურა ძელი  
ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოს მოძღვარსა ბასილის და ჯუარის  
მტვირთველსა. სრულ იქმნა-რა უოველთა-გან ესრეთ თაუწანის-ცე-  
მად ჯუარისა, მერმე თვთ მიიქვა ზატოისნი-იგი ჯუარი კელითა  
თხსითა, და ამკედრებულთა ზედა უოველსა მკარსა ნიში ჯუარისა  
გამოსანს სამ-გზის და ულოცა, და აკრეთ წარემართნეს, მინდო-  
ბილნი ღვთისანი და თამარის ცრემლთანი.

ხოლო წინა-მბრძოლად იყო ზაქარია მკარ-გრძელი, ამირ-სპა-  
სალარი, და ორნიცა-იგი ძმანი ახალციხელნი, შაღვა და ივანე. და-  
დათუ შაღვა მანდატურთ უხუცესი იყო, ჭიაბერი და სხუანი თო-  
რელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძსა. და მეფე თამარ მოიქ-  
ცა სამცხესა, და მოვიდა ოძრეკს, და მოიცალა ლოცვად და მარხ-  
ვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოზი,  
კაცი წმიდა და სახიერი, და მას-თანა მრავალნი ეპისკოპოსნი და  
მონაზონნი, ღვთისა სათნონი, რომელთა თანა იყო იოანე, კაცი  
შავთელი, უოველად განთქმული და საკვირველი მოღვაწებათა შინა,  
და ლექსთა გამომთქმელი; და ევლოგი, ქრისტეს-თხს სულელი, რე-  
მელსა მიეღო მადლი წინასწარ-მცნობელობისა. იუწენს მიმდემნი  
ღამის-თევანი და ლიტანიობანი: ამათ-თანა იუვის მეფე თამარ დღი-  
სი და ღამე უოველ, ლოცვითა და ფსალმუნებითა დაუძინებლად გა-  
ნათიის. და უოველთა-გან საუღართა, მონასტერთა და სოფელთა,  
უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღვთისა.

აწ ჯერ არს მოკსენებად ვითარ-იგი წყალობა ეო ღმერთ-მან  
ერსა თვისა ზედა, მეხებითა ეოფლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა  
და შეწევნითა ცხოველს-მეოფელისა ჯჷრისათა. ხოლო ვითარ მი-  
იწინეს ქვეყანად ბასიანსა, მუნ იყო სულტანი დაბანაკებული, ად-  
გილსა ბოლოსიტკად წოდებულსა. და ეახლეს-რა ბახასა სულტა-  
ნისასა, არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა,  
კარვებისა და სარა ფარდაგებისა მათისა. მინდორი-იგი ძლიე იტევ-  
და კარვებსა მათსა. ესრეთ ნებიერად მდგომარე იუჷნეს, და არა  
უდგა დარაჯანი სულტანსა, მუნ დაწვეეს რაზმი ქართველთა, და  
მუნ წინა-მბრძოლად იყო ზაქარია მკარ-გრძელი, ამირ-სხასალარი,  
და ახალციხელი შაღვა და ივანე, და სხჷანი თორელები, და ერთ-  
კერძო აფხაზნი და ერთ-კერძო ამერნი, ჭერ-კახნი. და ვითარ იხილ-  
ნეს სულტანი, ცოტად ცხენი ააჩქარეს და მიმართეს. ხოლო ვითარ  
იხილნეს სხარსთა რამეთუ აუზიდავად მივიდოდეს, დააგდეს სადგო-  
მი მათი, და სიმაგრეთა მიმართნეს, რამეთუ მიავლინა ღმერთ-მან  
მათ-ზედა შიში დიდი. ხოლო ქრისტეანეთა, იხილნეს-რა მათ  
წინაშე გაქცეულნი, მიეტევნეს, და არა უტევნეს წარსლვად, არამედ  
კარე-მოიცვნეს, და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, და განგრძელ-  
და მეოვარ ეამ. და მოსწუდეს ორგნითვე ურიცხჷნი, ხოლო უმე-  
ტეს სულტანისა სხანი მოისრფოდეს, და ეს-ოდენ განგრძელდა ომი,  
რომელ ცხენი მოუკლეს ივანეს მსახურთ-უხუცესსა, ზაქარიას, გრი-  
გოლს და ახალციხელთა შაღვას და ივანეს, და სხვათა მრავალთა  
თავადთა, და კინდა სიფლტოლად მიდრკეს ქართველნი, და ქვეი-  
თად დარჩეს რაზმისა შინა მკენი-იგი ქართუზლები. მაშინ ვითარცა  
იხილნეს ლაშქართა თჷს თჷსნი პატრონნი ქვეითნი, გაწირნეს თავ-  
ნი სიკუდილად, ჩამოჭკდეს ცხენისა-გან და პატრონთა მათთა გვერდ-  
სა დაუდგეს, ქვეითნი ქვეითთა. და ეგრეთ ძლიერი ომი შეიქმნა,  
და ვითარ იხილა დაფით მკნემან, მორიდა ერთ-კერძო, და მარჯვენ-  
ისა მკარსა მოჭრიდა ზაქარია მკარ-გრძელ მან, და ვითარ ქარ-  
თუზლთა განუშორნეს, რათა არა ცხენთა მათთა-გან დაითრკუნენ  
ქვეითნი ქართველნი, და მიმართნეს სხარსთა კერძო. მსწრათელ მიე-  
ტევნეს ერთ-კერძო სოსლან-დაფით, და ერთ-კერძო ზაქარია, და



ვითარ მკელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუტევდეს ურიცხეთა-მათ სხა-  
თა სულტანისათა, და ზირველსა მოკიდებსა და ხეთქებსა კმალთა-  
სა, მოჭხედნა წყალობა-აურაცხელ-მან ღმერთ-მან, მოსავთა ჯჷარნი-  
სათა, და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღვთის-  
მშობელ-მან. და ანაზდად ეკე-ოდენი-იგი სიმრავლე განსქდა, იძლია  
და დაიფანტა, და ამას განდა თვალ კარდაუწდომელი მადნარი მი-  
წითურთ მოგლეჯილ იყო, და გაკვეულ, და სადეთცა თვალი მის-  
წვთებოდა უოველ-გან ტყვეთა <sup>1)</sup> მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა  
ღტოლვილად.

ხოლო ჯერ არს ამისიცა მოკსენება, რომელ მეფისა თამარის  
ადრკეს უოფასა შინა იუჷნეს მიმდემნი ლოცუანი და ღამის-თეკანი  
ლაშქართა გამარჯვებისა-თჳს. დღესა ერთსა ადესრულა-რა ჟამის წირ-  
ვა, ზემო-ხსენებულისა ევლოგის მიერ, განკვირვება დაეცა ევლო-  
გის, და იწყო დადადებად, სულელისა მსგავსად, და იწყო აღმართ  
ხედვად. და ვითარ ხედვიდა ევლოგი, და ვითარ აღმოხედვიდა, კმა  
ყო ევლოგი ჭმუნვის სახედ, და სამ-გზის დაეცა. და მეუჷსეულად  
ახლტნა, აღიტყველნა კელნი. „აჲ დიდება ღმერთისა, ქრისტე ძლი-  
ერ არს. კელთა ევლოგის, სხარსთა-გან არა გეშინის, განუტევეთ  
რათა ვიდოდის მშვიდობით“. ცნეს უოველთა რამეთუ წინასწარ-  
მეტყველებით იყო სიტუჷა მისი. არამედ ევლოგი არა-ვის-რა გა-  
მოუცხადა საიდუმლო თჳსი, თჳნიერ იოანე შავთელსა. რამეთუ მას  
ადენ აუწყა ვითარმედ ჟამის ამას მოსცნა ღმერთ-მან ბარბაროზნი  
სადლეველად კელთა ქრისტეანეთასა. და მუის წარვიდა ევლოგი, და  
იფლტოდა, და ადვიდა მთასა რომელსა ჭქჳნ არაგანნი. <sup>2)</sup>

მაშინ შავთელ-მან ჭრქჳა. „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენებს  
იხილა სულელ საგონებელ-მან, გარნა ჩვენებსა კეთილსა ვგონებ“.   
ამისთ-ჳს დასწერეს დღე და ჟამი-იგი. <sup>3)</sup>

<sup>1)</sup> R, ტყვეთა.

<sup>2)</sup> M-its: წარვიდა ევლოგი პირისა-გან მათისა, და დაიძალა.

<sup>3)</sup> Ce § ne se trouve que dans le M-it T, et est suivi de trois ou quatre lignes, qui remplacent tout ce qu' on va lire, jus-  
qu'a ესრეთ დღითი-დღე, p. 299.

ხოლო ქართულთა იხილნეს-რს გაქცეულნი წინაშე მათსა მტერ-  
ნი თჳსნი, აღსდეს ჭუნეთა მათთა და დევნა უუგეს, ჰკოცდეს, ჩა-  
მოჭყრიდეს და იზურობდეს, და სიმრავლისა-გან ვერ ივლტოდეს,  
ანამედ ურთიერთარს დასთრგუნვიდეს. ხოლო ერი ქართულთა უგ-  
ნებულად დაიცვნა, რომელ არცა ერთი კარგი მეფისა-გან შესწავე-  
ბული კაცი მოკრდა. ანამედ ეკოდენი სიმრავლე სძისა მათისა ივლ-  
ტოდა, და სძანი თამარისნი უგნებულად დაიცვნა მოწყალება-მან  
ღვთისა-მან, რამეთუ მისცნა ღმერთ-მან კელთა მათთა, და იხილვე-  
ბოდა სსქმე საკვირველი, რამეთუ თჳთ იუწნეს მსახურ თჳსისა შეკრ-  
ვისა, რომელნი განერნეს ზირსა მახვილისასა. უდიდესი მათი შეიკრ-  
ვოდა უმცირესისა მიერ თჳსისა, და უწარჩინებულესი მათი მოიუგა-  
ნებოდა გამობმული ძუასა ცხენისასა, და ერთითა საბლითა ერთისა  
კაცისა მიერ შეიკრვოდა ოცი, და თმითა გამოკებოდა ერთი-ერთსა,  
ერმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიუგანებოდეს, ვი-  
თარცა თიკანნი. გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი, და გაქცეულთა  
კოცდეს, ხოლო ნეშტთა ვითარცა მართვეთა ქათამთასა მოჭკრეფდეს,  
და გაუშვებდეს აურაცხელსა სიმრავლესა. რამეთუ ასსა სძარსსა ერ-  
თი ქრისტეანე ძლით მიხვდებოდა წარმოიუგანელად.

ესრეთ აღესრულა წინასწარმეტყველება ევლოკისი, მასვე უამ-  
სა შინა ქმნითა რომელსა შინა იხილა ჩვენება. ესე-ოდენი დიდებუ-  
ლი ძლევა მიმადლა ღმერთ-მან ცრემლთა და სასოებისა სიმტკიცე-  
სა თამარისთა, რომელი-ესე იქმნა, ხოლო ესე ყოველი რა ესრეთ  
იქმნა, მერმე მოუკდეს ბარგსა მათსა, და იყო განცდა მისი, სიდი-  
დითა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აუ-  
რაცხელნი, სასმურნო ოქროსანი, თვალ-მარგალიტოვანნი, ლანკნები,  
პინაკები, ლაგვინებისა და ქვაბებისა თანა ყოვლითურთ საფსეთა მი-  
უწოდმელითა ალაფითა. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმ-  
რავლე, და კარავთა და საფენელთა სიმრავლე, და ურიცხველობა,  
რომელ დაუარეს, ვინმე აღრაცხნეს. რამეთუ სავსე იყო ყოველი სა-  
ბანაკო მათი, და ესრეთ ძლევა-შემოსილნი, მადიდებულნი ღვთისა-  
ნი, შემოიქცეს, და დადგეს კარავთა შინა მათთა. და ამისსა შემდ-  
გომად შეეკაზმა მოქალაქეთა ტფილისი, და შევიდა თამარ და და-

ვით ვითარცა შინის შარავანდედი მიფუნითა, და შეიდეს დროშა ნქურდინისა. შეიფუნეს პირველად ეზინკელი, მეომე სხვანი-იგი წარჩინებულნი მოიუწყანსა, რომელი სთნდეს, წინაშე თხსსა თამარ. უოველთა ნუ-გეშინის-სცა და დიდად სახელოვანად სერითა ისტუმრნა, და უბოძა უოველთა შესტევისად, და წარგზავნა ცინეთა შინა უოველსა ადგილსა, თვნიერ ეზინკელისა. არამედ იგი დაიმჭირა ტფილისს ზატიმრად, პირველისა ზატივისა და სიუჭარულისა-წილს, ხოლო უკანასკნელ ეგე-ოდენის სახელოვანი კაცი და დიდებული განუიდა ნაჲად ცხენთა, რომელი-ესე ჭეო თამარ ზატივად სახლისა თხსისა, და დიდებად, რომელი-ესე არა-ოდეს ვის-გან ქმნილ იყო, დასაბამით-გან. ესე დიდებად და სახსენებელად თავისა უო.

არამედ კვალად აღივსნეს უოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათა, რამეთუ მიწისა მსგავსად შესსხმიდეს ოქროსა. ხოლო თვალსა და მარგალიტსა წუვით დასდებდეს, ხოლო ოქრო-ქსოვილთა ბერძულთა და სხვათა, ძვირად საზოვნელთა, ვითარცა ცუდთა სამოსელთა ურცხელთა დაჭყრიდეს. ხოლო ვერცხლის ჭურჭელთა არა-რს აქუნდა ზალატსა შინა ზატივი მეფისისა, რამეთუ უოველი ოქროსა და ბრძლისა წინა-გებულ იყო, ინდოურთა ქვათაგან შემკობილი, რომლითა ადავსნა უოველნი ეკკლესიანი, რომელთა მონიჭა სამსახურებელად სიწმიდეთა, და ადავსნა გულნი უოველთა მთხოველთანი, და განაძნა უოველნი გლახანი და აღუგსო წიადნი მათნი. ესრეთ ადიდებს ღმერთი მადიდებელთა თხსთა, ესრეთ ადამადლებს წინაშე თხსსა მდაბაღთა. ესრეთ შემწე არს მისავთა მისთა, ესე-ვითართა ნიჭთა მონიჭებს მინდობილთა თხსთა.

რამეთუ არა-რსა სხვა დაიდვა თამარ გულსა თხსსა ვითარ დასაბამი-იგი სიბრძნისა, შიში უფლისა, და სამართალი და წყალობა სწორად უოველთა ზედა. იყო დღეთა მისთა სიმრავლე, და მრავალნი მშვიდობა, განეფინა მადლი ბაგეთა მისთა. ამის-თხს აკურთხა იგი ღმერთ-მან უკუნისამდე და დაადგრა თავსა მისსა გზრგზნი ზატიოხსნებისა, და დასდვა წელთა მისთა მახვილი ძლიერებისა, და წარემართა სუფევად უკუნისამდე, ჭეშმარიტებისა-თხს, სიმშვიდისა და სიმართლისა. ჭეო არს ამის-თხსცა თქმად, ვითარამედ ქმნეს



მრავალთა დედათა ძლიერება, არამედ არა ესრეთ ვითარ-მან, არა ვერაკობისა ღმრთისა აცხვენებდა ერსა თვისსა, არამედ სიბრძნისა წინა-ძღმრთისა და სიმატლითა და უმანკობითა და ვითიანითა, სიმშვიდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრამის-ებრითა, მრწალეობითა იესო ღმრთისა მსგავსითა, და სამართალისა მისისა მობაძვითა. დღეთა შინა თამარისთა არა-ვინ გამოჩნდა მიმძლავრებულნი, მეცნიერებითა მისითა. არცა-ვინ დასჯილი, თვნიერ ძველისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა, ძელსა ზედა ჩამოჩნობა. თვთ არცა-ვინ დირსსა სიკუდილისასა და არცა ჰატიყისასა მიეკადა თანა-ნადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკვეთილ იქმნა, არც სიბრძნითა და ისჯა, თვნიერ გუზან, დირსი სიკუდილისა, რომელი ორ-გულეობით განდგა და კოლას სადამე მითა შინა ავაზაკობდა მალვით, ესე შეიზურეს მთიბავთა თავისთა, და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან უწყობდა დიდი მრწალეობა თამარისი, ამის-თვს მისსა შეკითხვამდის თვანნი დასწვნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტეანეთასა.

ხოლო არა-ოდეს <sup>1)</sup> თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტეანეთა-თვს, და რომელნი მძლავრობდეს ქრისტეანეთა ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყუნენ, და ფიცხლად დამოჩნდიდნენ, შიშითა და სიყვარულითა მისითა. წარავლენდის საწმუნოთა თვსთა და დაავედრის. „იწყეთ ალექსანდრიით ყოველისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“. და მათ კერძოთა ეკკლესიითა, მონასტერთა, და ერთა ქრისტეანეთა მოიკითხვიდის, ხოლო იერუსალიმისა-თვს რადღა სახმარ არს თქმად. რამეთუ წარგზავნიდის მათ ყოველთა შინა ბარძიმ-ფეშუმებსა ეკკლესიითა, და სიწმიდეთა საბურვებსა, და მონაზონთა და გლახაკთა-თვს ოქროთა აურაცხელთა, ტუვენი განათავისუფლას, და ხარკი ერსა თვისსა უკუნსცის, და ყოველი ჭირი დაჭირებულნი ადიდის მათ-გან. კვლად კერძოთა ელადისათა და მთა-წმიდისა, ეგრეთვე მაკედონისათა, ბიტრილიონს, კერძოთა თრაკისათა და კონსტანტინეპოლის მონასტრებთა,

1) Lis, არა-ოდენ, არა-მხოლოდ.

რამანას და უოველ-გან, და კვალად ისაკრიას, კურუსეთს. და უოველთა-მათ სანახებთა შავისა მთისათა, კვიზრისათა. ესე უოველნი აღავსნა ქველის საქმითა.

რომლისა-თჳს ისმინეთ თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა. მიიწივნეს ოღესმე, ჩუეულებისა-ებრ ქველის მოქმედებათა-თჳს ამისთა მონაზონნი შავისა-მთის, ანტიოქიით და კტიზრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთა-წმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწინარნა თამარ ვითარ ანგელისნი, და მრავალთა ღმერთთა არა გაუშვნა, მერმე მისცნა უოველთა დიადი, და აღავსნა უოველთა საკმრითა. უკანასკნელ მად-გან უფროს შორეულთა მისცა დიდ-ძალი ოქრო, თჳთ მათ-თჳს და უოველთა მონასტერთა გასაუოველად. წარვიდეს მონაზონნი-იგი, და მიიწივნეს-რა კოსტანტინეზოლედ, ესმა მეფეს ბერძენთასა ალექსის ანგარსა, რომელ-მან ძმასა თჳსსა ისაკს თვალნი დასწუნა, და მეფობა წარუღო. ესე უოველთურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტუგებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისა-თჳს საძაგელ იყო უოველთა მიერ. იხილა სიდიდე-იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა. ხოლო სცნა-რა ესე მეფე-მან თამარ, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკსა. ხოლო განრისხნა მეფეს ზედა ბერძენთასა, და წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერსუნდი, კიტორა, ამასტია, არაკლია, და უოველნი ადგილნი ფებლადონისა და ჰონტოსანის, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომონიანოსსა, ანდრონიკეს შჯლსა, რომელი იყო მამინ თჳთ წინაშე თამარისსა შემოხვეწილ. ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოედო ბერძენთა. შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტოკნი და წარუდეს სამეფო ქალაქი, მეფობისა თანა, და შეიხვეწა უბადრუკი-იგი ალექსი ბორღაღეთს, თჳსისა სიძისა თანა. ხოლო იხილა-რა ბორღაღელთა მეფე-მან, სიძე-მან მის-მან, შეიუვანა ციხესა ერთსა, და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი, და ესრეთ ჰქრქვა. „აჲ ალექსი, გულის-სათქმელი-იგი შენი, ოქრო ესე მიიღე, თჳნიერ სხვისა რომლისაშე საზრდელისა, და წლისა-წილ რა-

მეთუ წარწემიდე ამის-თჳს სხელი სამეფო ქრისტეანეთა, და დაკსენ-  
თჳთ-მზერობელთა ბერძენთა“. და ესრეთ მოკჳდა სწულთბელი-იგი  
სიემილითა, დაკლებული შეწევნისა-გან ღვთისა, ესრეთ საზარელი  
იყო თამარ მტერთა ზედა, და კვალად ეს-ოდენ ტკბილ და ძვირ-  
უკსენებელ, ვიდრემდის ესმა-რა ესე უოველი დიდითა ტკივილითა  
იგლოვა, დაღათუ არა ღირს იყო მის-თჳს ტკივილი. რამეთუ რაღა  
ვის არა ჭეშმარიტებით აქჳნდეს, არა იზერობს დიდ-ხანს, გარნა  
თამარ უცხოსა ზედა და დაფრთხილთა ლმობიერ იყო, ტკივნიუღო-  
ბად და წულთბად, ვითარ აწ ამასტა ზედა.

ესრეთ დღითი-დღე წარმატებათა და განდიდებათა შინა იყო  
სკიპტრის მზერობელთა უოველთა უბრწყინვაღესი თამარ, უმეტეს  
ღვთის-მსახურებასა, ეკკლესიათა და მონასტერთა გაზმასა და შენე-  
ბასა, თბოლთა და ქვრივთა შეწყალებასა, და სამართლისა მიფენასა,  
ამას შინა იშვებდეს და იხარებდეს სამეფონი მისნი. ჟამ გარდვი-  
დიან და განაგიან საქმენი მანდაურნი, და მონადირიან კეთილი-იგი  
სანადირო გეგუთი და აჯამეთი. მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომ-  
ხითს, და მერმე დადგიან. მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღ-  
მართ ქალაქნი. გაზაფხულ აღმოვიდიან სომხითი. მოიდიან ხარაჯა  
ნახჭევნელთა, და წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა, და მუნით  
მოიდიან ხარაჯა, კარნუქალაქით და ეზინკით, და სხჳათა გარემო-  
თა ქალაქთა.

ოცდამესამედ, გინა-თუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისი-  
სასა წელიწადსა, იკითხა საქმე კარისა. რამეთუ მრავლით ჟამით-გან  
ჭბრძოდეს სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა  
ვერა ღონე ქნეს ალებისა. რამეთუ ზამთრის მკსინვარებისა-გან და  
სიცივისა უღონო იუჳნეს მოდგომად. ხოლო ჟამსა უინვისასა, წელი-  
სა-გან განუინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძოლად, გარე შემოუხვნეს  
უოველნი ციხენი და სოფელნი, და იგი ხოლო მარტო ჭქონდა სზარს-  
თა. მაშინ განიზრახსა და წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა. წა-  
იტანა ზაქარია და ივანე, და უბრძანა რათა დადგენ მუნ და ძლი-  
ერად ეომონ. და ხან-გრძლიად იქმნა ესე, და თჳთ თამარ დადგა ჯა-  
ვახეთს, და მუნ მოელთა ამბავსა მათსა. ებრძოდეს ეგვე შეკრულ-



სა-მას ღონესა წყლისა-თჳს და მრავალთა შინა დღეთა განტყეის  
ადგილი-იგი, და გამოცალა წყალი, და მის-თანა უმრავლესნი მო-  
ქალაქენიცა. ხოლო დაშთომილთა-მათ ითხოვეს დავითის-გან რათა  
ოჯთ თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ. რამეთუ ეშინოდათ სიტყუა-  
თა მათთა-თჳს გინებისათა, რომელთა ციხით გამო იტყოდეს: ჰირ-  
ველ მაშინ მოაკსენებდეს ესე თამარს, და მივიდა თჳთ, და მოხვ-  
ნეს კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა, და მეტყე თამარის  
წინაშე, და ითხოვდეს თავთა მშვიდობას და ფიცსა რათა არა განს-  
ცეს კარი, ვითარ ანისი და ღვინი, არამედ სამეფოდ დაიჭიროს,  
მისცა ამის-თჳს სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის.  
რათა შევიდეს და თჳთ მიითვალოს ქალაქი და ციხე. რომელი-ესე  
ესრეთ იქმნა, და ესე ერთი ქალაქი და ციხე თჳსად დაიჭირა, მათ  
ყოველთა-გან რომელნი აიხვნა, ზოგრაკერტით რაკსამდის, გაგით  
განძამდის და ჯავახეთით სპერამდის. და ვისცა ათ-შვიდ-მეტსა წე-  
ლიწადსა შინა ესე საქმენი თამარისა-გან გემცრებიან, და მისთა  
ლასქართა-გან წელიწდისა ერთისა დღეთა, თუ ვითარ შეუძლო ყო-  
ველთა-მათ გარეთა აღმართ ოდენ შეხედვა, რომელნი ჰქმნან ციხე-  
ნი მკარ-გრძელთა ოდენ სახლთა, ზემოთ და ქვემოთ.

ხოლო ამა სიხარულსა და შვეპასა შეუდგა მწუნარება, რამეთუ  
მიიტყუალა სოსლან-დავით, აღსავსე ყოველითა კეთილითა, საღმრთო-  
თა და საკაცობითა შესახედავითა განშეკნებულნი, ხოლო წყობათა  
ომისა შინა მკნე, უხვი და მდაბალი, და სხვითა ყოველითა სიკეთე-  
ადმატებულნი, და დაუტევნა ორნი ქენი, ერმა ვიდრემე ლაშა-გიორ-  
გი, ხოლო ასული რუსუდან, და იტირეს და დაუტევეს მწუნარებაჲ  
ყოველსა მუნ მკვიდროვანსა. და მათ უკვე ჟამთა, არა მცირედსა  
ჟამსა, მშვიდობა იყო ყოველ-გან, და მეფე იყო გეგუთს. რამეთუ  
იყო წმიდანი მარხვანი, და მკარ-გრძელნი ორნივე მეფეს წინაშე  
იუწენეს. და ვითარ ცნა არდაველისა სულტან-მან, აღძრა მტერობაჲ  
ქრისტიანეთა ზედა. მოუწოდა სპათა თჳსთა და წარმოემართა, უწ-  
ყოდა მკარ-გრძელთა შინა უყოფილობა, წარმოვიდა და აღმოყოლო  
რაკისი ჰიჭი, გზა-გზა არა-ვის ავნო და უგრძობელად მოვიდა და  
მოიწია ანისის ქალაქის სიახლესა, და დიდსა შაბათსა, მწუნარი, მო-

რეახლას ქალაქსა, და ვითარ ცის-კარი მოეახლას, დაჭკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი. მუის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევნეს ცხენითა და ვერღა-რს მოასწრეს კარნი და შევიდეს ქალაქად, იწიეს კოცად, და კლვად და ტუვეობად. უმრავლესი ერთ იყო ეკკლესიათა შინა, ვითარ შეჭკავს ქრისტიანეთა სჯულსა. ხოლო რომელნიმე შეიფლტოდნიან დაბაზრანთა შინა, და მუნ გამაგრდნიან, და რომელნიმე ქვაბრანთა შინა, რომელსა ქარტუნობით უწოდებენ. არა განერა, ანუ ციხესა ანუ ქარტუნსა, რომელსა შინა არა შევიდა, რამეთუ გარეშემო სმცხნით ქარაფი იყო კლდოვანი და ქვაბოვანი. ესრეთ კელთ-იგდეს-რს ქალაქი ყოველი, ერთი ბეგრი და რი ათ-ასი კაცი ეკკლესიათა შინა, ვითარცა ცხოვარი დაკლეს, თხნიერი მისსა რომელი უბანთა და ფოლორცთა შინა მოიკლას. ესოდენ მძვინვარედ მოაოკრეს ანისი. და სავსენი ტვირთითა და აღაფითა ურიცხვითა, წარვიდეს და მიიწივნეს შინა.

ხოლო ესე ანისის მოოკრების ამბავი ახალ-გვირიაკეს დღესაცხობეს მეფესა თამარს. სცნეს-რს ამირ-სპასალარ-მან ზაქარია-მ, და მსახურთ-უხუცეს-მან ივანე-მ, დიდად დამძიმდენ, და მწუნხარება-მან მოიცვნა, და გულის მათნი ცეცხლებრ ენთებოდა, და რამცა ეგეს არა უწოდეს. ხოლო მეფე და ყოველნი სპანი მისნი, მწუნხარებითა და გულის-წყრომითა მოცულებნი, სპარსთა მიმართ ბრძოლისა ყოფად აღეგზნეს. მაშინ მკარ-გრძელთა ჰქრეს მეფესა: „მოიწია ბოროტი ჩვენ-ზედა, გარდასვლითა მცნებათა დვთისათა, რომელ ესე-ოდენი სული ქრისტიანე მოისრა, ცუდ-სჯულთა სარკინოზთა-მიერ, ცოდვათა ჩვენთა-თჳს. არამედ ვესავ წყალობასა დვთისა და ჰატიოსანსა ჯუარსა, რათა არა მისცნეს მოსავნი ჯუარისანი სულიადსა წარწყმედასა, არამედ ჩვენცა შური ვაკოთ, და ნაცვლისა ქმნად განვემზადნეთ, და სიბრუვე მათი მათდავე მიექცეს. შენ მეფეო, ამცენ სპათა შენთა რათა მზა იუწენ არდაველის სულტანსა ზედა წარსლვად, პირველად წარვიდეთ ანის, და ვინ-სადა ვჭებოთ სპარსთა-გან მოვიინადიროთ, და რათა არა ცხან, მცირედითა ლაშქრითა წარვიდეთ, უკეთუ დიდნი წარვადთ, ცნობენ და სიმაგრეთა შევლენ, არამედ მცირედითა ლაშქრითა შემეწიე. და რა-ჟამს შეგინებული მარხვა მო-

ვიდეს, მზამცა არიან, რა-ჟამს ჩვენ მოვახსენოთ: “ სთნდა მეფესა თქმული მათი, და უბრძანა მეფე-მან რათა მზა იეჭნეს სზანი მისნი, და მკარ-გრძელნი წარმოვიდეს ანის, და იწუეს კაზმად. და მოიხსნა ბილწისა სჯულისა მათისა მარხვა, წარმოავლინეს წინაშე მეფისა კაცი, ლაშქრისა მთხოველად, არდაველისა სულტანსა ზედა. მასინ უბრძანა მესხთა, რომელთა, თმოგველთა, ჭერ-კახთა, სომხითართა, ხოლო ქართუჭლნი არა წარატანნა, რათა არა აგრძნან არდაველსა მეოფთა. შეკრბეს ანის ღ წარემართნეს არდაველსა მეოფთა, გარდაველეს გელაქუნი, ღ ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუდაფორინის კადსა, და მიჭმართეს არდაველს, ხოლო ესრეთ მოუწონეს ჟამი, რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი, და მას დამესა გარე-მოადგეს არდაველს. და ვითარ კმა-ჭყო ქადაგ-მან ბილწისა ქადაგებისა მათისა-მან, და გაკშირდა მუერთა უივილი, უოფლებით ცხენი შემოუტევეს მკარ-გრძელთა და უომრად კელთ-იგდეს სრულობით ქალაქი-იგი, სულტანი, ცოლნი და შვილნი <sup>1)</sup> მისნი, და უოფელი სიმდიდრე სულტანისა და ქალაქისა-მის. ესრეთ აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელითა, თვალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვერცხლითა, ჭურჭლითა ოქროსა და ვერცხლისათა, შესამოსლითა და საფეხლითა, და უოფლითა სიმდიდრითა ეგ-ოდენ განმდიდრებულისა ქალაქისა, რომელ მოთხრობა შეუძლებულ არს. აღივსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, და საქონელი მათი თვთ მათთავე საკედართა აღვიდეს. და ესრეთ გამარჯვებულნი წარმოიმართნეს, ხოლო სულტანი არდაველისა <sup>2)</sup>, და ცოლნი და შვილნი მისნი ტყვედ წამოიყვანეს, და ათ-ორე-მეტე ათ-ასი კაცი რჩეული მიზგითთა შინა მათთა მოკლეს, ვითარ-იგი მათ უვეს ანისისა ეკკლესიასა შინა სხვა უმრავლესი ერი მოკლეს და სხვა ტყვე ჭევეს, აღმოიარეს იგივე გზა. და ესრეთ ძლევა-შემოსილნი მოიწივნეს ანისსა, და დიდად ნუ-გეშინის-ცეს. და ესრეთ მოიწივნეს წინაშე მეფეთ მეფისა და

1) T ცოლი და შვილი.

2) T მოკლეს. ცოლნი და შვილნი მისნი ტყვედ.



დედოფალთ დედოფლის თამარის წინაშე, მოიღეს ძღვენი და არ-  
მაღანი, ადავსნეს მეფე და უოველნი წინაშე მისსა მეფენი. ჟამსა-  
მას კოლას დგა მეფე, ადივსო უოველი სამეფონი ამისნი სიძლიდ-  
რითა აურაცხელთა, რქროთა, ვერცხლითა და სხვითა უოვლითა სი-  
ძლიდრითა, რომელიცა მოიღეს ზაქარია და იოანე, რომლისა-თვს-  
ცა დიდად მარდიელ-მან მეფე-მან უბოძა მრავალნი ციხენი, და ქა-  
ლაქნი და ქვეყნანი. და ესრეთ მადიდებელნი ღვთისანი იშვებდეს  
და იზახებდეს, და ნებიერად იუოფოვდეს, და მოუდიოდა გარეშე-  
მოთა მეოფთა-გან ხარაჯა, ძღვენი ურიცხვი.

ხოლო სხვასა ჟამსა მოვიდეს მეფის წინაშე მკარ-გრძელი ზა-  
ქარია სხასალარი და მსახურთ-უხუცესი იოანე, და ვარამ გაგელი,  
და მოაკსენეს: „ძლიერო კელმწიფეო და შარავანდედთა შორის უმე-  
ტეს აღმობრწინებულო, იხილე და განიცადე სამეფო თქვენი, და  
სცან სიმკნე და სიქველე სხათა შენთა. გულის-ხმა-ჰყავ რამეთუ მრ-  
ვალნი ახოვანნი, მკნენი და ქველნი, იხოვებიან სხათა შენთა შო-  
რის. რამეთუ არა-ვინ არის წინა-აღმდეგობი მათი. აწ ბრძანეს მე-  
ფობა-მან თქვენ-მან რათა არა ცუდად ვაუქმოთ სხანი თქვენნი და  
დავიწუებასა მიეტეს სიმკნე მათი, არამედ აღვამკედროთ ერას, რომ  
გვარსა ზედა, რომელ არს ხვარასანი, რათა ცნან უოველთა სხათა  
აღმოსავალისათა ძალი და სიმკნე ჩვენი. აწ უბრძანეთ სხათა საქარ-  
თქმელისათა, რათა მზა იუქნენ ლაშქრობად ხვარასანს. დაღათუ არა-  
ვინ ქართქმელთაგანი მიწევნულ არს მუნ ხვარასანს და ერას, არა-  
მედ ბრძანე რათა ნიკოფსით დარუბანდამდის აღიჭურნენ და მზა  
იუქნენ საომრად“. და ვითარ ესმეს თქმულნი ესე მკარ-გრძელთა-  
ნი მეფესა, მოუწოდა უოველთა წარჩინებულთა ამის მეფობისათა,  
იძერთა და აძერთა აუწყა თქმული მათი.

ხოლო ვითარ ესმე ლაშქრით წვევა მკარ-გრძელთა-გან, ჰსთნდა  
უოველთა თქმული მათი, და დასკვნეს ლაშქრობა, და იწუეს კაზ-  
მად. და ვითარცა მოიწია არე სთვლისა, მოვიდეს ტფილისს, წი-  
ნაშე მეფისა. და განიხილნა-რს სხანი თვსნი, და მოეწონა ახოვართ  
განწუობილება და ცხენ-კეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სხათა  
მისთა, და შურითა სხარსათა აღსავსეობა, და მოიღო დროშა სვია-

ნად ხმარებულნი, გორგასლიანი და ღვთისიანი, და შევედრა მასვე ვარძიისა ღვთის-მშობელსა, დროშა და ლაშქარი დაულოცა და წარავლინა სხარსეთს, მისცა დროშა ამირ-სხასაღასსა ზაქარიას, და წარემართნეს სხარსეთად, ჩავლეს პირი ნახტევნისა და განვიდეს ჯუღას, და რაკისისა პირსა, და შევლეს იწრო-იგი კევი დაკადუზისა, და აღვიდეს მარანდს. ხოლო მარანდელნი, ამისნი მცნობელნი, შეივლტოდეს კლდეთა შინა. და ესენი მარანდს რა მივიდეს, რა პოეს კაცი, ეგონათ მთასა მარანდისსა უოფა სხათა ადარბადაგანისათა. ამის-თჳს დაარჩიეს ხუთ-ასი რჩეული მკედარი, დიდებული და აზნაური, და აჩინეს მკედართ მთავრად თაყიადინ თმოგველი. წარემართნეს და აღვლეს აღმართნი მარანდისანი, და აღვიდეს ვაკესა, თავსა-მას მარანდისსა, და დადგეს მთასა-მას-ზედა. რამეთუ ესრეთ ემცნო ზაქარიას, რათა ჯრა-ვის ებრძოლნ მიდმართ, ვიდრემდის არა მივიდეს იგი. და თუ დიდი ლაშქარი ნახოს, აცნობნ ზაქარიას, და რაცა ჰქვას მათ ჰუენ იგი. და დადგა ხუთ-ასი კაცი წარჩინებული. ხოლო ვითარცა იხილეს მთით მარანდელთა, რომელნი შელტოლვით იუჩნეს დირდალთა და კლდეთა შინა მალათა, რომელ არს ზენა-კერძო მთასა მარანდისსა, უმადლესი სხვათა მათთა, სავსე ქვითა და კლდითა, იხილეს მცირე ლაშქარი და აღიჭურვნეს, მოკდეს ზარითა და ამბობებითა მარანდელნი-იგი, რამეთუ სავწუნელ უჩნდეს ქართულებნი სიმცროსსა-თჳს. ხოლო ესენი მიეტევნეს ესოდენ ძლიერად და აოტნეს, რომელ მცირედნი განერვნეს, და უმრავლესი მოკლეს, და სხვათა დევნა უუგეს გრძლად. მაშინ აღვიდეს უმრავლესიცა-იგი ლაშქარი ქართულებთა, და იხილეს ნამძარი ადგილი, მკვდრითა კაციითა და ცხენითა სავსე, და ქართულები კაცი არცა ერთი იპოებოდა. და ესე-ოდენი ძლიერა მისცემოდათ ღვთისა-გან, რომელ ხუთ-ასი შუბი ხუთ-ასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესვა. ესე რა იხილეს, განკვირდეს და ქართულებისა კაცისა ვერ პოვნა უკვირდათ. ამის-თჳს უღონო ქმნილი და მწუნარე ზაქარია, იკონებდა და არა უწყოდა თუ რამცა იყო, ვითარცა მცირედი ხანი დაეუკონათ, გამჩნდეს დევნისა-გან შემოქცეულნი ლაშქარნი. იხილნა ზაქარია, დიდად გამხიარულდა, და მადლობა შეწირა ღვთისა მიმართ, რომ

მელ არცა ერთი კაცი ქართულად იყო. და ესეთი ძლევას მისცემდათ ღვთისა-გან, რომელ ხუთ-ასსა კაცსა ხუთ-ასი შუბი ხუთ-ასისა კაცისა, და ცხენისა-თჳს დაესვათ, და ესრეთ იხილეს. დადაცა თუ ესრეთ გამარჯვებულათ, გარნა ყოვლადვე აბრალებდეს თა-ყიადინს. და უმეტეს ზაქარია შქისელ ეტყოდა ამბის უცნობელად შებმისა-თჳს.

ხოლო ესრეთ გამხიარულებულნი და მმადლობელნი ღვთისანი გამარჯვებისა-თჳს წარმოემართნენ და მომართნეს ქალაქსა თავრეუისასა. გარდაუღეს მთა დევსოფნად <sup>1)</sup> წოდებული, და ვითარ ესმათ თავრეუს მყოფთა მისვლას ქართულ ლაშქართა, განკრთეს, და ძრწოლას მან შეიპურნა ყოველნი მკვიდრნი თავრეუისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი, და მიმდგომნი თავრეუის ქალაქისანი. მაშინ განიზრახეს რათა ხარკის მიცემითა და ძღვნითა, და შევრდომითა და ზენარისა თხრებითა, დაამშვიდონ პირნი ქართულთა სპათანი. წარმოავლინნეს მოციქულნი და ითხოეს მშვიდობა, არა მოაკრებთ ქალაქისა მათისა. აღუთქვეს ძღვენი ურიცხვი, ოქრო, ვერცხლი, თვალნი პატროსანნი და მარგალიტნი ძვირ-ფასისანი. განკვირდენ ყოველნი წარჩინებულნი ქართულთანი. ზაქარია და ივანე მკარ-გრძელნი, აღუთქვეს მშვიდობა და უნებლად განვლად ქუჩუანისა მათისა, მოიპტიცეს ფიცისა-მიერ. და მოვიდეს უაღბა, ხოჯანი და ყოველნი თავადნი თავრეუისანი, და მოიღეს ოქრო, ვერცხლი, ღარი, თვალნი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი და აქლემი; და საზრდელნი კმა-საყოფელნი ლაშქართა-თჳს. აღავსნეს დიდნი და მცირენი.

და დაუდგინნეს ქალაქსა მცველნი, და წარვიდეს, განვლეს ადარბაღიანი და მიმართეს მანას. და ცნა მელქი-მან მანისა მან მისლვას ქართულთა. და ვითარცა თავრეუელთა ქმნეს, მანცა ითხოვა მშვიდობა, და აღუთქვეს მოციმად ურიცხვი საქონელი. უსმინა ზაქარია, და მოიყვანეს მშვიდობისა ყოფად, და მოიღო მანცა ოქრო ურიცხვი და ვერცხლნი, და ქვანი ძვირ ფასისანი, და აღვის-

<sup>1)</sup> T დევსოფნად.



ნეს მუნცა უოვლითა სიმდიდრითა, და დაუტევნეს მუნცა მცველნი ქალაქისა-მის, და წარვიდეს მშვიდობით.

და მუნ წარმავალთა მიიწივნეს მცირესა ქალაქსა ზანგანს, და იყო აჭიზის ზღუდით განმაგრებულნი. ხოლო ქალაქი ძლიერად განამაგრეს, და იწიეს ფიცხელად ბრძოლა, და ვითარ განგრძელდა რძი, განიყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ, მაშინ იწიეს თხრად ზღუდეთა. შირველად მარჯვენესა მკარსა მესხთა შეხვრიტეს, და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა, და რომელნიცა დახვდეს შიგნით მეომარნი, იწიეს კოცად და სრვად. აღივსნეს მესხნი ურიცხვითა საქონელითა, და მერმე შემოხვრიტეს უოვლით და წარმოტყვევნეს, და აღივსნეს საქონლითა. და მცირედ განისვენეს მუნ, და მერმე აშკედრნეს და წარემართნეს ხვარასნით. და მწუხრი მივიდეს მცირესა სოფელ-ქალაქსა მუსულმანთასა. იგიცა მოტყვევნეს და მცირედ განისვენეს, და მერმე წარვიდეს ქალაქსა ხორასნისასა, და უაზმინს<sup>1)</sup> რა მიიწივნეს, აიყარნეს და ვერ წინა-აღუდგეს უაზმინელნი, და იფლოდეს მთად. მოარბიეს იგიცა და აღივსნეს საქონლითა. და აღვიდეს საქონელი მათი მათსავე საკედარსა, კაცთა არა ავნებდეს, არამედ ტყვედ წარმოიყვანეს კაცთა, და მცირეთა ვაჟთა, და წარემართნეს მთად ფლოდვილთა მიმართ. და მიესწრნეს და მიეწივნენ, აღივსნეს მუნცა რქოთა და ვერცხლითა, და ცოლთა მათთა სამკაულითა, და უშინაგანეს რომგვარისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი.

და რაღა გრძელ სიტუვა საკმარ არს. ვითარ მიიწივნენ ვიდრე ქალაქად გურგენისა<sup>2)</sup> და მოაკრეს ქვეყანა-იგი, და ვერდა-რა ძალ-ედვა წიად-სლვა, აღაფისა-გან. შემოიქცეს გამარჯვებულნი და შემოსილნი სიმდიდრითა ქართულებნი. რამეთუ აქამოდუ არა-ვინ ქართულებთა ნათესავნი მიწევნილ იყო დაშქრად. არა შეეყო, არცა მთავარი, და ვერ-ვინ წინა-აღუდგა სხარსეთს შესლვასა მათსა, ვერცა ხვარასნის სულტანი, ვერცა ერასისა, და ვერა-რომელსა თემი, და

1) T aj. ici: მიწურნეს მახარობლად აჭორის, და ვერ-ვინ წინა აღ...

2) T გურგენისად.

ესრეთ უზომოთა და ურიცხვითა სიმდიდრითა ადვსებულნი და განმ-  
დიდრებულნი, შემოიქცეს და მოვიდეს კერძოთა ერასისათა და ვი-  
თარ გურგნისად ქვეყანისად ამბავი ქართულთა მიერ ქმნილი უც-  
ნაურ ქმნილ იყო ყოველთა მიერ, და ერასის სულტანის მოსრვა,  
კაცი ვინმე მისრულ იყო მანას<sup>1)</sup> სულტანსა თანა, და ესე-ვითარი  
ტუეილი ეთქვა ვითარმედ „მოვიდა ოჯთ დიდი სულტანი, და გილან-  
ელი სულტანი, ხვარასნისა და ერასის სულტანი, და გილანელთა,  
ყოფლგნით გზა შეუკრეს ქართულთა, და მოსრნეს და მოწუდეს,  
რომელ არცა ერთი კაცი ქართულთაგანი განერა, ეკ-ადენისა სიმ-  
რავლისა-გან, არცა მთხრობელი მივა საქართულთა“. ხოლო ესე  
რს ესმა მელიქსა მანისსა და მანელთა, დიდად განიხარეს და ქარ-  
თულთა გან დატევებულნი მცველნი ქალაქისანი დაკოცნეს, და ძელ-  
სა ზედან ჩამოჭვიდეს. გარნა ერთი კაცი ქართული დაიმალა მცველ-  
თა-მათ-გან ქალაქსა შინა, და ვითარცა მოვიდეს ქართულნი ძლე-  
ვა-შემოსილნი და განმდიდრებულნი მანას, წინ გაეკება სულტანი  
მანისსა, დიდითა ძღვნითა, და ეკრნა დაფარვა ნაქმრისა მათისა.  
იხილნა-რს ზაქარია, იკითხა მცველნი მათ-გან დატევებულნი. ხო-  
ლო მათ ჰქვამეს ვითარმედ თავრებს წარვიდეს, მუნ დატევებულთა  
მცველთა თანა. მაშინ მოვიდა დამალული-იგი კაცი, და აუწია ნაქ-  
მარი მანელთა<sup>2)</sup>, მცველთა მოწუგედა, ტუავისა განკდა და ძელსა  
ზედა დაკიდება, და შესწამა ზირის-ზირ მელიქს და იგინი იდგეს  
უსიტუველნი. და ვითარ ესმა ესე ზაქარიას და ივანეს, დიდად გა-  
მწარდეს და ძნელად აღუჩნდა ესე. შეიპურეს მელიქი და ყოველნი  
სახლეულები, და თჳსნი მისნი, და ყოველნი სიკუდიდ დასაჯნეს, თჳთ  
იგი და შვილნი მისნი, ტუავები დაჭკადეს და ძელსა ზედა ჩამო-  
ჭვიდეს, და ქალაქი მოაკრეს, მოწუგეს და ტუვე ქუვეს. ხოლო სი-  
მდიდრე რომელ წარმოიდეს შეუძლებელ არს აღრიცხვა მათი.

და ესრეთ მომართეს გზასა, ადგილსა-მას რომელ აღმოველოთ,  
ადარბაღანით მოვიდეს და მოეკებნეს, ზირველად უყანით, და მერ-

1) T მანას.

2) T მანელთა; sup. მინელთა.

მე თავრეზელები, მითვე ძღვნითა, და მოართვეს სიმდიდრე აურაცხელები, რომლითა ადავსნეს სუფიად სამეფონი, და თვთ მეფეთა მეფისა თამარის-თჳს წარმოგზავნეს თჳალები დიდ-ფასისანი, ძვირად სპზოგნელები, და ჭურჭელები უცხონი, და დაუტევეს მშვიდობით მეფობნი ადარბადაგანისანი, და გამოფლეს რაკისი, და შემოფლეს ჰირი ნახჭევნისა, და მოვიდეს ტფილისს, წინაშე მეფისა. მხიარულ იქმნა მეფე, მშადლობელი ღვთისა, და მხიარულითა ჰირითა გაეგება, ზეიმითა და დიდებითა. იყო ხმა ბუკთა და ღუმბულთა, რომელი არცა ძველ-ოდესმე ქმნილ იყო. და ესე ვითარი გამარჯვება არცა მეფეთა-გან, არცა მთავართა-გან ქმნილ იყო. შევიდეს ისანთა, და დაჯდა მეფე ტახტსა ზედა სამეფოსა. შეუძღვა ამირ-სპასალარი, და შევიდეს თავადნი, და დასხდეს წესისა-ებრ, და მოიდეს არმაღანი ურიცხვი, და დადგეს წინაშე მეფისა. განკვირდა მეფე, რომელ არა-ვის ქართულთაგანსა ენახნეს ეზომნი სიმდიდრენი აურაცხელები, თჳალები და მარგალიტნი. ხოლო მეფე თამარ არა უმადლო იპოვა ღვთისა მიმართ. ადასრულებდა ღიტანიობასა და დამისთევათა, მრავალი განსცა ობოლთა და ქვრივთა ზედა. და ეკკლესიანნი ადავსნა სიმდიდრითა, და დაშქართა ზედა განყო საჭურჭლე დიდი. იყო მადლობა ღვთისა მიმართ დაუცადებელი, ესე-ვითარისა გამარჯვებისა-თჳს.

მაშინ მოიწია მწუნარება დიდი, რამეთუ მიიცნა ზაქარია ამირ-სპასალარი, ძე სარგის ამირ-სპასალარისავე, კაცი დიდად განდიდებული, და ყოვლითა სათნოებითა ადავსე, რომელიცა იგლოვან მეფე-მან და ყოველმან კაც-მან საქართველოსა-მან. რამეთუ არავინ მკნედ გამოჩენილ იყო მთავართა შორის<sup>1)</sup>, ჟამთა ამით: რამეთუ გვარისა-განცა მოგვაქვნიდა<sup>2)</sup>, რომელი იყო ნათესავით არტაქსესი კელ-გრძელისა, და იყო სარწმუნოებით სომეხი. არამედ ვო-

1) Subaud. მსგა სი მისი.

2) Le M-it T offre ici une rédaction plus courte et bien différente pour la forme.



ველნი სათნოებანი ღვთისანი და საკაცობანი აქენდეს, დაუტევს შვილი ერთი. მაშინ მეფე-მან მოუწოდა ივანეს, მსახურთ-უხუცესსა, ძმასა ამის ზაქარიასსა, და ინება აღუქანება ზატევსა ძმისა მისისსა, და უბოძა ამირ სპასალარობა. ხოლო ივანე საქმისა ამის-თჳს განკვირვებულნი ეტყოდა მეფესა: „ზატევი ესე, რომელითა ზატევი გიტყვიეს ჩემდა დიდად დიდებულ არს, და მე უღირს ვარ. არამედ ამას გეკედრები, რათა ძმისა ჩემისა სახელსა არა აკსენებდეს ჩემ-ზედა, რათა არა მრცხვენეს ნაცვლად მისსა დგომად. არამედ ათაბაგობითა ზატევი-მეც, რამეთუ საქართველთა შინა არა არს ესე წესად თქუნილნი მეფეთა წინაშე ათაბაგობა. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ-ზედა, რათა სახელსა უადრესსა ზატევსა დირს მეც და ათაბაგობა მიბოძო, ვითარცა წესი არს სულტანთა, რომელ მეფეთა გამზრდელთა და სულტანთა ათაბაგობით უკმობენ. მით განადიდე წყალობა შენი ჩემ-ზედა“. უსმინა ესე მეფე-მან და უბოძა ათაბაგობა, რომელ არა ყოფილ იყო ქართველთა მეფისა წინაშე, და არცა-ვის ბოძებოდა. და მსახურთ-უხუცესობა უბოძა ვარკამს, ზაქარია გაგელისა ძესა, კაცსა სპასიტოსსა და ლაშქრობათა შინა გამარჯვებულსა. და ესრეთ იუჴნიან მაჴადის წინაშე მეფის თამარისსა.

ხოლო მეფე თამარ დგინს<sup>1)</sup> იუვის, და ზათუხულ კოლას და ცელების ტბას. ზოგ-ჯერ კარდავიდის აფხაზეთს, გეგუთს და ცხუმს. მათ უკუნი უამთა იწუეს კაცთა მთეულთა განდგომად, თხოელთა და დიდოთა. დიდონი უკუნი მშთავაკს და უხარშავსა ჭამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედა-კაცსა მოიუფანებენ ცოლად, და რომელნი-მე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანის-სცემენ, და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ესე-გითარსა ჰყოფენ. ხოლო თხოელნი ჯუჴარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იხეიბებენ. ამათ იწუეს რბევად, კოცად და ტყვეობად, ცხადად და ღამით. მაშინ მოუწოდა მეფე-მან თამარ ათაბაგსა ივანეს, და ყოველთა მთეულთა, დვალთა, ცხრა-ზელთა, შკეველთა, კადელთა, ცხადადელთა, ჭართალთა და ერწო-თიანელთა მისცნა ივანე ათაბაგსა, და წარავლინა მათ-ზედა.

<sup>1)</sup> T დერს.

ხოლო ივანე-მ გონიერად ყო, აღვიდა მთასა კადისსა, და წარგლო წვერი მთისა, და წარდგა მთასა ფხოელთა და დიდოთასა, რომელი-ესე არა-ვის ექმნა, არცა ზირველ და არცა შემდგომად. ერთ-კერძო დაურჩა დურძუკეთი, და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოელი. ცნეს-რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღვნითა მეფენი დურძუკთანი, მოსტეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა, და იწყეს ზეილამ ბრძოლა, ტუეეობა და კლვა, და რბევა, და დაწვა. და მოწსუვიდნეს ურიცხვი კაცი დიდო და ფხოელი <sup>1)</sup>. და დაუწესეს სამნი თთუზნი, ივნისი, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისა-გან მოსტეს მძლეველები, და აღუთქვეს მსახურება და ხარჯა, და მოსტეს ზირი-სიმტკიცისა. ქმნეს ზავნი, და წარმოსხნა მძევლები, და ესრეთ გამარჯვებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა, და ჭრქვა ივანე ათაბაგ-მან მეფესა თამარს: „ჟი ძლიერო მეფეო. იქმნა ბრძანება შენი, და მოკარკრენ უჩინი ბრძანებისა შენისანი, დიდოეთი და ფხოელი“. ხოლო მეფე-მან დიდად დაუმაღლა და უმაღლესსა ზატივსა აღი-უწანსა.

და იყო ყოველ-გან მშვიდობა და წარმატება, და დღითი-დღე შემატება სამეფოსა, დუთივ დატულისა მეფისა თამარისათა. ხოლო სჰანი მისნი განისვენებდენ ნადირობითა და ბურთობითა, და თვთავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იუწნიან. იხარებ-დეს და აღივსებოდეს ნიჭითა და საბოძვრითა მეფისა მიერ თამარისა.

რამეთუ ვითარ დიდისა მხიარულად ამბისა-გან მეტუველი ზირი და აწ მწუნარებისა მიმართ მიიქცევის. რამეთუ მეგუფების მე წარმოთქმა ყოვლისა სოფლისა საგლოფელისა ამბისა. კოსტანტინეს ძმის-წულისა ივბიმიანოზია-თვს წერილ არს, რომელ ჭრქვა ანგელოს-მან მონაზონსა ვისმე, რომელი იგლოვდა სიკუდილისა-თვს ივბიმიანოსისა-თვს, ვითარმედ „რასა დააკლო დმერთ-მან ქრისტეანეთა ესე-ვითარი მეფე, რომელსა ანგელოს-მან დაადგა გვრგვნი სხილველად ყოველთა“. და ეტყოდა ანგელოსი. „რამ არს, ბერო

1) T ფხოი.

რასა გამოეძიებ შენ მსჯავრთა ღვთისათა. აწ გიბრძანებ, დასცხერ გამოძიებისა-გან მაგის ბოროტისა, არა უწეი რომელ აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთადმდე უკეთუ მართალ-მადიდებელი იყოს, არცა იგი ღირს იყო მეუობასა ივბიმიანოსისა, არა-თუმცა საბერძნეთი ოდენ“. ეგრეთჲს აწცა იქმნა ამის დიდისა მეუფისა საქმე, არათუ ოდენ საქართველთა, არამედ არცა-თუ ოდენ ყოველი ქრისტიანთა ღირს იყო მეუობასა თამარისასა. <sup>1)</sup>

ნაჭარმაგვეს კარდმოღვა მეფე თამარ, და მის წინაშე იუვნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, და იურჯნა და განაგნა საქმეი სამეფოსა თვისისანი, და უფროსდა ეკვლესიათა და მონასტერთანი, და მუნ დგომასა შინა გამოაჩნდა სენი, გამოაკრებელი ჩვენი, რომელი ღვთის-დღე დაძვირებულა მის-ზედა. და დიდ-ხანს ფარვიდა, რათა არა-ვინ შეაწუხოს, გარნა ურგებელ იქმნა-რა ჭირი, არა მიმთვალველი კურნებისა, მაშინდა განაცხადა, რამეთუ დედობრივ-მან უძლურება-მან განგრძობილთა შინა მკედრობათა არა თავს

<sup>1)</sup> M-it T: ამის-თვისა მოხედნა რისხვითა მოწყალემან ღმერთ-მან სამკვდრებელსა თვისსა, და მიიცივალა მეფე თამარ კმელსა დგომასა შინა, მოიწია მწუხარება და მოუთხრობელი მკვდრთა საქართველოსათა, და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდინ თავსა ნაცარსა და მტვერსა, ათაბაგი და იქმნა ტყვება მსგავსი კლოთა (sic) ადატისთა და გოდებანი მსგავსი მოოკრებისა ელუსალემისნი, იერუსალიმისა მიერ გოდებელისა და ჯერცა ვერე იყო, და ყოველთა ადგილთა მსხდომარეთა გოდებათა და ტყებათა შეიცვალებოდეს მკვდრნი სამეფონი, და იტყოდინ მოუთხრობელთა სიკეთესა მისთა, გამარჯვებულობათა და მოწყალეობათა, მოსამართლეობათა, სიუხვეთა, სიმდაბლეთა და მოუთხრობელთა სიკეთეთა მისთა. და წარიყვანეს სამკვიდრებელსა გელათათ და დამარხეს სამარხოსა პატრიოსანსა, და დაუტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას. არსენ იტყვს: იყავნელი.

მეფე მთავარი სიონი და წყნარი ჭაბუკი, ქალწული ებგურის საბგურო, აღვრი კიცვითა, თვალნი იერუსალიმი, გოდოლმანვე სახლი და მამა მეგვპტელი, ცხენი ლაზარე ქუდი. ირანე იტყვს ჭრჭამლი. თულთალი მილისელ-მან სფერო შესცა შამშისი. დავით თქვა ზეზთა განდიდნეს მით კრმალი კორცს ჭამს მათ. და აქლემისებრ ძალით მპყრობელად გეთსა კმას ისი. დიდება ღმერთსა. Rien de plus que ce fatras; tout ce qui suit est omis.



იღვა შეუმთხვევლად მიშვება აკებულებისა. და აქა საბრალდებელ მიხნს დიდად ერთ-გულნი-იგი კაცნი, თუ ვითარ უკულებელს-ყვეს კგ-ადენი ტკივნეულთა. რამეთუ წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს, და შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ და ისწრაფდეს, ჩვეულებისა-ებრ, რათა დასოს<sup>1)</sup> განვიდენ. და მუნ წარიყვანეს კუბოთაჟე და დიდად გაძნელდა სენი-იგი უწყალო. და კვალად წარმოიყვანეს აკარათა ციხესა, და უქმ იქმნა მის-ზედა უოველი ბრძანებათა გამო-მეძიებლთა მკურნალთა კელაფებისა. ამის-თხსცა იუჟნეს თვთ მუნ და უოველსა ადგილსა ლიტანიობანი და დამის-თევანი მიმდემნი, და ცრემლთა დინებისანი იხილვებოდეს, მდიდართა და გლახაკათანი, სწორებით. გარნა განჩინებისანი წინა-ადუდგომელი იყო, და დღე-მან იწყო მიდრეკად, და მზე-მან დასლვად, და ჰაკერ-მან სხვად ფერად უფერულთა. და ცის-კარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა დრუბელთა. დაწვთა-მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თჳალთა-მათ ტბა-ებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს. კელთა-მათ, მსახურებისა-გან გლახაკათსა არა-ადეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად, და ფერკთა-მათ, მარადის ღვთისა-თხს მაშვრალთა, იწყეს შედრეკად, და უოველნი ნიშნი ცხოვებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს. ზოგად-მან უდონობა-მან მოიცვნა უოველნი, და არა უწყოდეს თუ რამცა ყვეს. მთავარნი იცემდეს ჰირთა, გლახაკანი იტყებდეს თავთა, და ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტვერსა. ათბაკი და უოველნი ნაცვლად მიუზერობდეს თავთა თხსთა, და შვილთა თხსთა დმერთსა, და ითხოვდეს მის-ზედა მომავალსა სიკუდილსა. „რათა მარტო ესე დაჩეს, და ჩვენ უოველნი მოგვსრ-ნენ“. ამას კმობდენ, და მოცვათ სასვენებელი ჰალატისა, რამელ-სა აქუნდა ცხედარი უბადრუკებისა ჩვენისა, და დონე თუმცა იყო ეცდებოდეს, რათა არა აუფლონ სიკუდილისა შემოსლვად. რა იყო, რამელი არა იხილვებოდა მუნ, ანუ სავადრებელთაგანი გინა მწუხარებათა. გარნა მწოდებელი კართა ზედა დგა, და მბრძანებელისა წინა-ადდგომა შეუძლებელ იყო.

1) Cf. p. 274.

ბრძენ-მან ბრძნის ნეტარება აქაცა მოიღო თამარ. რამეთუ შე-  
მოუწოდა ყოველთა სამეფოსა თვისისათა წინაშე მისსა, განიმტკიცა  
თავი თვისი, და მკენდ მჯდომარე ესრეთ ეტყოდა: „ძინო ჩემო  
და შვილო, მე ესე-რას მივიწოდებო მსაჯულისა-გან საშინელისა,  
უსაშინელეს უფროს მეფეთა ქვეყანისათა, რომელმან მიუხუჩნის სულ-  
ნი მთავართანი. თქვენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ თავი-  
სა ჩემისა თანა მაქენდა სიუწარული თქვენი, და სარგებელსა და  
სათნოსსა თქვენსა არა დავაკლე თვთოეულისა-ებრ<sup>1)</sup>, ვიდრემდის გან-  
გებითა ღვთისათა ვიყავ თქვენ-ზედა მეფედ. აწ მეცა წარვალ მამა-  
თა ჩემთა თანა, გზასა ჩემ-გან უცხოსა, ბრძანებთა საშინელითა და  
განუოფითა საკვირველითა. გვედრები ყოველთა, რათა მარადის კე-  
თილსა შინა უუჩნეთ მახსენებულ ჩემდა. აჭა ესე-რას მკვდრად სახ-  
ელისა ჩემისა დაგიტეკებ, რომელნი მომცნა ღმერთ-მან შჯლნი ჩემ-  
ნი, გიორგი და რუსუდანი. ეკენი მიიხვენით ჩემ-წილ, და მაგათ,  
ადმოგივსონ დაკლებული ჩემი.“ შევედრნა ყოველთა და მიუთვალნა  
წინაშე ხატსა ქრისტესსა და ჯვარსა ცხოველს-მყოფელსა. და მერ-  
მე უკანასკნელ ხმა ადმოკრევა, და ყოველთა მშვიდობა მისცა, ეს-  
რეთ შეტევალ-მან. „ქრისტე ღმერთო ჩემო, მხოლო დაუსრულებე-  
ლო მეუფეო ცათა და ქმლყანისაო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას,  
რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ესა ამას ჰატოცნითა სისხლი-  
თა შენითა მოსყიდულსა, და შჯლთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ  
მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“. და მასშინ განვიდეს ყოველნი,  
მწარედ მტირაღნი. და დაიძინა თამარ ძილი-იგი მართალთა, თთჳლ-  
სა იანვარსა ილ, და აღესრულა მზე ქართლისა, და საფლავ-მან სა-  
დიდებულად თვსად დაგვაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრის-  
ტიანეთა.

აქა რაღა ჯერ არს თქმა, გარნა ბავთისა<sup>2)</sup> დაღადი, ბნელი  
უნათლო, და გლოვა უნუგეშინის მცემო. რამეთუ ვინ იყო ნუგეშინ-  
ის-მცემელი, ოდეს მწუხარება ზოგად იყოს ყოველთა-თვს. სატუ-

1) Cf. არძანვი, p. 283.

2) De Plarm.

ხელ იქმნა ჰირი ქვეყანისა, აღეზარსა ყოველთა, თავისა დიდებისა თანა, თმანიცა, მხლელ სხელისა ოდენ მქონებელთა. კმასა თანა ვაებისსა ქვესკნელნიცა შეიძინეს. ყოველნი ფლასითა, ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩვენ თანა იგლოვდეს ცა და ყოველი სოფელი. მაშინ უკუჩქ აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადგეს, და მერმე უკანასკნელ თვთ მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვსსა შინა სასამარხისა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა ჰაჰათა და მამათა მისთა, სახელგანთა, დიდთა მეფეთა თანა. დაუტყვა სამეფო ქესა თვსსა ლაშას.

ბტყალა ფერი ქართულთა მხიარულებისა. რამეთუ განბიძნეს ბაგენი მათნი, რომელთა ჰირსა შინა ჰირველ სხუა არა-რა მთაქუნდა, ვითა თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკრესტიხურად, თამარის შესხმათა დასწორდეს ბეჭედთა ზედა, და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებათა დასწორდეს. და ყოველთა ჰირნი ერთბაშად მზა იუწნეს, რათა დარსი რამე თამარისა საქებულობასა სიტყვა აღმოთქვან: ერმანი მემროწლენი, განჰებასა შინა ორნატოსა, თამარის ქებათა მელექსეობდიან. ერასყს მუროფნი მეებნენი გინა მენანგენი თამარის შესხმათა მუსიკეობდიან. ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენაგენი, ნიაგ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყობდიან, ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერითა ქებითა, და ყოველნი ენა აღიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმობდა. ხოლო საქმეთა მისთა-თვს რადღა საკმარ არს თქმად, რამეთუ კიდით ჯიდუმდე განისმეს, ვითარცა ზვთ მოწამე არს ყოველი ჩვენ მიერ ხილული, სიტყვისა-ებრ ბრძნისა.

არა უცდომელობა მგონიეს, ძაღისა უზეშთაქსსა მეცადინეობა. რამეთუ დაწეება და აღსარული ამის კელ-ყოფისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სიმძიმესა და ჰატიოსნებასა თანა ოქროსსა ქარქვეტისა ნამუსრევი. რამეთუ ვინ რა წარმოთქვას დირსი ამის-თვს, გინა რა ვინ ჰირველ აქოს, ანუ რომელი უკანასკნელ. სიმდაბლე უზომო, სიმადლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმქისე ჯეროვანი, ღმობიერება მოწლე, მოწყალება თანა-ღმობილი, უმანგება უზაკველი, სიწრფეობა უსიცრუო, სახიერება ზოგადი.



სიუხვე აღუზვებელი, და თავი უფლისა კეთილისა, შიში ღვთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, რომელი-ესე უფული ამან ესრეთ მოიგო ვითარ ერთი სხვა-მან ვერა-ვინ, და წამებს ამას უფული მახლობელი სამეფო, გარეშემო ქართლისა. თუ რა-ადენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა. რა-ადენთა შიმძლავრებულთა უკუნ-სცა სამეფო თვისი, რა-ადენნი განდევნილნი სამეფოდგე თვისად კვალად აგნა, და რა-ადენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იუწენეს, და მტერთა-გან უზრუნველობასა.

ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა, ლოცუნნი და ღამის-თევანი, რომელნი ზალატის შინა ამისსა, აღესრულებოდეს, საუკველ მიჩნს მეუდაბნოეთა-განცა. ხოლო მარხვისა-თხს რაღა ვსთქვა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უღებთა, ერი ზალატისა. ეგრეთვე სიუწარულისა-თხს ხუცესთა და მონაზონთა-თხს ნამეტნავი არს თქმად. რამეთუ წესი-ერად ცხოვრებულნი კაცნი მარადვე იუწნიან წინაშე მისსა, და მახლობელად სასვენებელისა მისცის მათ საყოფელი, და თვთ ზრდილის საზრდელითა და უფლითა საკმრითა, რაცა უნებნ. და უკეთუ მათგანნი ვინმე იუვის უძღურ, თვთ მივალნ მონილვად და ხუცე-შინის-ცემად, და თვა განუმზადებნ ცხედარსა და სარეცელსა. ხოლო გლახაკთა-თხს განეჩინეს სარწმუნონი ზედა-მდგომელნი, და უფელსა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო, შინად და გარეთ, უფლისა ნათალი გლახაკთ მიეცემოდა დაუკლებლად, ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა. და ამას უფულადვე არა ჰკონებდა ქველის საქმედ მითვალვად წინაშე ღვთისა. რამეთუ რა უამს მოიცალის მარტოებით უფად, მუის აღიღის სასთველი და საკერაჭი, და ნაშრომსა-მას თხსთა კელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფენ, თხსითა კელითა. ესრეთ წესითა გამტკიცებულითა, ღვთისა სახიერისა სათნობებისათა არა დაწუებიასა მიხედვიდა, არამედ აღსასრულისათა, და

ვითარცა მზე სწორ ზატიობით უოველთა ზედა განუტეობდა ნათელ-  
სა თჳსთა შარავანდედთასა ესრეთ წყალობითა უოველთათა მოიზიდ-  
ვიდა წყალბად ღვთისა, ესრეთ გამოიფრდიდა ჟამთა-გან, ესრეთ  
განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არა-რათ სიცრუვით მოგებუ-  
ლითა, და უსამართლათა.

არა-ოდეს მომედგრდა ჟამისა-გან, არცა უდებ იქმნა ოდესცა  
განგებისა-თჳს, არა-ოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმე-  
თა-თჳს, არა დაუმძიმა კრთომისა გონებისსა და მზიდველი რამე  
ჩვენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიტკბობესა ჟამიერი  
უმთონო უო, არცა საშინელებსა შეურაცხ. უოველი განზავა უოველი-  
თა, რათა სრულებით სრულისა-გან წარმოაჩინოს, თავსა შორის  
თჳსსა.

ულაფარი <sup>1)</sup> შაკსებელისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქ-  
ცეგასა შინა სიმრგვლისასა არა-რად ელმად და უცხოდ მიდრეკეს, არ-  
ცა გარდაუგეს სავსებელისა ღუდილსა შინა, არცა მოაკლდა შთა-  
ზიდვასა შინა საბლისასა. არამედ მეტად დამდაბლებულ-მან გონი-  
ერისა გონებისა-გან იუოველისიერა კარემოდ, რათა მოქცევი თჳსი  
მარტიობით იხილვოს გუარსსა შინა ანაგისასა. შეუყოფელად ვნება-  
თა ისურვებდა და სასურველ იუო, იწადებდა და საწადელ იუო, იქე-  
ბოდსა და საქეპელ იუო, ნატრიდეს და სანატრელ იუო. და არა-რათ  
იუო სხვა კეთილი რაცა-იგი არა იუო მის შორის.

ურჩნი თჳსნი დამდაბლნა და მოუჭარენი აღმადლნა, არა იღუ-  
წიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა  
ავარაკსა ავარაკსა ზედა უცხოსა. არამედ თჳსი მამული ძველი კმა  
ჭყო, რათა არა უსამართლად ჭკობონ, და მიმხვეჭველად. ვინათ-გან  
სამართალ-მანცა ზენა-მან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა  
მეზობელთა, არამედ უფრესდა სცვიდა მაშინებელთა-გან, და მათ  
საშინელ ჭყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლისა მსკავ-  
სი ვერმადღრისობა <sup>2)</sup>, ვინ არა კესლავან ნაყოფი, და არცა ბუგ-

<sup>1)</sup> De l'arm. *ուղափար*.

<sup>2)</sup> Mon M-it ვერ-მადღვრობა; dans ce qui suit il faut supplè-  
er un verbe.

რიან ნაშრომი. ბჭედ ჯდა შორის თავის თვისის და მეზობელთა მეუეთა, არა მიშვებად ბრძოლისა, არცა კარდადებად უღელსა მძლავრებისსა ურთიერთას, და სახედავსა თვისსა მისცემდა და ამის-თვის მათ-ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეუეთა შორის, და არა ერთი საბელი აღძრა სურვილად. არამედ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეუეთა, ცუდად შერაცხნეს თვისი ბედ კეთილობა ვერ ხილვისა-თვის მისისა. კინდა და ყოველსა ზღვასა აღმოიწოდდა თვისად ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წვიმათა.

განიგემნე ყოველნი მატრიანნი ძველთა გინა ახალთა მეუეთა მატებელნი, რამეთუ კარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებელობა ზირველთასა. სიხარულ იყო თხრობათა შინა, დაკდემულ გავმსწავლელობათა, შემხებულ ლბილობით და განმწვრთნელ სიტუბობით, მტკემულ მოწყალებით და შემრისხველ თანა-ლობით, რათა ყოვლად ყოვლითურთ განუგობებულ ახვენოს თვისება ღვთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, ზირველთა განმანათლებელ, და მეორეთა დამწუგულ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზუდებთა-თვის, კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა, და კვერთხი რკინისა ჭაბუკთა-თვის. კეთილ-მავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორკალებთა თვალ უხვად მტკემულ. მღჳდელთ-მოძღჳართა შეიმოსეს შიში, მღჳდელთა დაიცვეს წესი თვისი, მონაზონთა მოიღეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განისწავლნეს სიწმინდით სლვად, ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღვთისა, და ერთ-გულდობით უფალთა თვისთა. ურმანი განიწვართნეს მოძაგებად უჯერცსა უსჯულდობისა, რამეთუ ბილწება-მან უწესობან და ურმებრავ-მან მბორკალებით-მან ბორკნეულობა-მ, ვერცა-თუ კვალი ზოვა დღეთა თამარისთა. ვინა და თვთ გინებადცა შორს იუჳნეს, რომელნიცა ზალატსა შინა ღირს იუჳნეს, გინა კარსა ზედა მსახურებად. და ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღვთისა მცნებათათა, მოიგო წყალობა ღვთისა, და აკურთხა ღმერთ-მან ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი. და თავ-წარსხმულ ყო, მსგავსად წერილისა, „ნათელი აღმოკრწეინდა მართალსა განთიადისა-თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუა-დღე,



და მწუხრი მშვიდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თხსსა. შეამკუნა დმერთ-მან დღენი მისნი ზატოხსნებით, და უამნი მისნი მშვიდობით“. და მეფობასა შინა მისსა არა შეიჭურა ზირი მისი. ამის-თჳს, რა-მეთუ არა-ოდეს გარე მიაქცია კელი სათხოველისა-გან ქვრივთა, ობოლთა და მიმძღაკრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამის-თჳს, რამეთუ მარად-დღე ახარებდა ყოველთა კლანჯათა და დავრდომილთა, და უკანასკნელ წარვიდა მამათა თხსთა თანა, და შეეძინა, დაუტევნა ორნი ძენი, გიორგი და რუსუდანი, შვენიერნი სწავლენი, სასურველნი და საქებელნი, შექმნით სეფის ზირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი, და ყოვლითა კეთილი-თა სრულნი. თამარ, ოცდა სამთა შინა წელიწადთა შეაწევდია ყოველი გვარი კეთილ-მეფობისა.

აქა დაგვში სიტუვისა წუობა, მომავალთა-თჳს ყოველთა-გან აწინდელთა სხვათა ძლევისა მიცემითა ყოველთადა, უმჯობესად შესიტუვის შესაძლებელად, სახის-მეტეველებასა უადრესისა სიტუვისასა ზოგნით, და ამის-თჳს ჩვენ მიერ დუმილით ზატავ-ცემით და-ვიდუმით.

---

და. სამეოცდარბირველი<sup>1)</sup> მეფე, ლაშა-გიორგი. რომელი ითარგმნების აფსართა ენითა „ქუჭუნის მანათობელად“, მე თამარ მეფეთ მეფისა, ბაკრატოანი.

ამას სანატრელსა სიცოცხლესა შინა თხსსა დაედგა გვრგვინი ძისა მისისა გიორგისდა, რომელსა ლაშობითცა უწოდდა. იყო წლისა ათ სამ-მეტის რა-უამს დაიდგა გვრგვინი მეფობისა, და მეფე-მან თამარ მიუღოცა მეფობა. ხოლო რა-უამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათ-რვა-მეტისა წლისა, დაუტევა მეფობა ძესა თხსსა, ხოლო ქართუჭლთა ნათესავსა თავ-ცემა, მწუხარება, ვაება და გლოვა რა-

<sup>1)</sup> La rubrique manque, T; R, 60e; Mon. M-it, 64e.

მეთუ ცოცხლი ჯოჯოხეთს შთასრულ იუწეს მკვიდრნი სამეფოს მისისანი, და ეგრეთცა ჯერ იუო. შემდგომად მისსა დაიხურა მეფობა ძე-მან თამარის-მან ლაშა-გიორგი, რომელი იუო ტანითა ძლიერი, მკნელ მოსარი, ნადირობათა შინა მოსწრაფე, ლადი და თუბუნება, და უმეტეს ამის-თჳს განლაღებულ იქმნა; რამეთუ დაემორჩინეს უოველნი წინა-აღმდგომნი მისნი კეთილად მოკსენებულსა და ღვთის-მოუწარესა დედასა მისსა, და უშფოთველად და დაწინაობით დაეტევა სამეფო თჳსი. და უოველნი მახლობელნი მათნი მოხარჯე შექმნეს, ვითარ განძელნი და მიმდგომნი, ნახჭევნი და კარუქალაქელნი, და სხვანი მრავალნი, ძღვნითა და ხარაჯითა მოვიდოდნან მისსა. მას ჟამსა იშვებდა და იხარებდა, და უოველგნით იუო შვება და მხიარულება.

მაშინ იწუეს განძით განდგომა, და არდა-რა მოსტეს მეფესა ხარკი. ხოლო ამის-მან მსმენელ-მან მეფე-მან ლაშა მოუწოდა უოველთა სხათა საქართველელსათა იმერთა, და ამერთა, მკარ-გრძელსა იოანეს, რომელსა მაშინ ჰატოვი ათაბაგობისა მინიჭებოდა, დედისა მათისა თამარის-გან. რამეთუ იუო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთასა განდიდებულნი. ესე იუო ვაზირი კარსა მეფისასა, მაშინ თქვა მეფე-მან, ვითარმედ „ვინათ-გან მეფეთა შორის ბრწყინვალე-მან და სანატრელ-მან დედა-მან ჩემ-მან დამიტევა მეფობა, უოველნი წინა-აღმდგომნი ჰაზათა და მამათა ჩემთანი მოხარკეთ. შექმნა დღესამომდე, და მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არიან, აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიე, და ხარკისა არდა-რაჴნებაჴს მოცემა, მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა, და თქვენ შრომასა შეგამთხოვო, რამეთუ ძალითა და თანა-დგომითა თქვენითა დაუტემა სანატრელთა ჰაზათა და მამათა ჩვენთა დიდთა სულტანთა ძლიერებისა უოვლითურთ, და აწ მიიღეთ ჩემ-გან ჰატოვი და ნიჭი. და ადვიმკედროთ განძას ზედა, რათა სხუათა მტერ-თაგან არდა-რა საწუნელ ვიქმნეთ. შეწევნითა ღვთისათა და წარძღვანებითა ჯვარისა ჰატოლისისათა, და სიქველითა თქვენითა, ვსძლოთ მტერთა, და უოველთა წინა-აღმდგომთა ჩვენთა“.

ვითარცა ესმით უოველთა წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა,

განხარეს და დაუმტკიცეს და ჰქვავს: ვითარმედ „დიდი ნუგეშის-ცემა, მოგვეცა ღვთისა მიერ, რამეთუ გზავთ ახლანი და გოლიათი, გორკასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღვთისათა და ძალითა თქვენითა დავიმორჩილნეთ ურჩნი მეფობისა თქვენისანი, და შევანახოთ ყოველთა ურჩება თქვენი“. მაშინ დაამტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა, წარემართნეს თვთ მეფე სპითა თვისითა. ხოლო ვერ წინა-აღუდგეს განძელნი, და მოაკრეს ქვეყანა განძისა. აღიღეს ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი, და მოადგეს ქალაქსა განძისასა. მოადგეს გარე, და მრავალ-დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა მოვიდიან ქალაქის კარსა ბრძოლად<sup>1)</sup>. აქათცა და მუნითცა ურჩეულენი ებრძოდნენ. მაშინ იხება მეფე-მან გარე-შემოვლად ქალაქისა, მცირედითა ლაშქრითა, და ვითარ მოვლიდა მტკვრისაკენ, ქვემოთ, ცნეს ესე განძის მყოფთა, ყოველნივე აღიჭურვნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათი-ათ-ასი. ხოლო მეფესა ჰყვას ოთხი ათ-ასი ოღენ. ამით შინა უმეტეს მესხნი იყვნეს, რამეთუ ერთ-კერძო მკარ-გრძელნი დგეს, და ერთ-კერძო ჭერ-კახნი, და სომხითარნი, ქართულნი და თორელნი. ერთ-კერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი, და ლიხთ იქით ზედ მოკიდებით ერთიერთას. ხოლო მაშინ ვითარ მივლიდა მეფე, იცნეს იგი და მსწრაფლ განახუნეს კარნი ქალაქისანი, და ვითარ მკეცნი ზედა-მიეტევნეს და იხილას მეფე-მან ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა გულითა, განმკნობითა სპათა მათათა, ეგრეთვე სპანი მეფისა-თვს სიკუდილად გამწირველნი თავთა მათანი, ეტუოდეს: „სიკუდილამდის ვიდვაროთ და დავდვათ თავი სსსიკვდილთ, და არა ვარცხვინოთ ჰირველსა ომსა მეფობისა შენისასა, და მუის მიეტევნეს ურთიერთას, და იქმნას ბრძოლა ძლიერი და ფრად სსსტიკი. და მიეცნეს ჰირს-მახვილისასა უმრავლესნი რჩეულნი განძისანი. თვთ მეფე ლაშა წინა-მიეტევა მკნედ და ძლიერად, რომლისა თანა წინა-ბრძოლადეს უვარყვარა ჯაყელისა შვილი ჰირ-მშო, ბიბლას გურკელი, ბოცო, ბოცოს ძე მემნი. რამეთუ ესენი წინა-განეწესნეს, ხოლო ვითარ იხი-

<sup>1)</sup> T aj. ჩალიბა, qui me paraît l'analogue de ჩალიხად, infra, p. 340.



ლეს სიმკნე მათი განძელთა, მსწრაფლ ივლტოდეს ზირისა-გან მათისა, და სდევნეს ვიდრე კართამდე ქალაქისა, და მცირედნილა შეესწრნეს ქალაქად. და უმკაფლესნი ტუვე ევეს და ზოგნი მოსრნეს. ხოლო ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდსა მათსა, და საყელასა მათსა ამითურთ იფხვრიდეს, და განაძლიერეს ევილი და ზრიალი უოველგნით. ესმა-რა ესე უოველგნით გარე-მოდგომილთა ლაშქართა, შეუესა მომართეს მსწრაფლ. ხოლო მეფე ღვთისა მიერ უფნებულად დაცული-იგი და მისნი წინა მბრძოლნი თავადნი სახელოფანნი მოეკებნეს. რომისა-თჳს დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს, არდა-რა ჰყოფად მოლაშქრედ, და არცა უოფად კარსა შეუვისსა. ხოლო მეფე ჰუნისა-გან ჩამოკდა და ევედრა, უმეტრებით ქმნილისა-თჳს შენდჳბა ითხოვა, და ესრეთდა მივიდეს კარვად მეფისა სიხარულითა, და მსვეესამდის მხიარულება და გაცემა იყო ლაშქართა ზედა.

ესრეთ შესჭირდა ათბავი განძისა, და ევედრა რათა განუჩინონ ხარკი ზირველივე. ხოლო ესე ისმინა მეფე მან და უკან-სცა ტუვენი, ფასითა და მრავლითა ძღვენითა, თვალითა და მარგალიტითა, რქრთა და ვერცხლითა, და მიერ წარმოემართნეს და მოვიდეს ტფილისს, და ადავსო საქართჳსლს საბოძგრითა. რამეთუ იყო უოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არა-ვის-თჳს მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და მოწყალე, და გამკითხველ. არამედ უკანსკნელ მიდრკა სიბოროტედ, თანა-მიუფლითა უწესოთა კაცთათა, ვითარცა სოლომონის-თჳს წერილ არს, რომელი შეატუნეს დედათა. ეგრეთვე ესე უწესოთა კაცთა, ვითარცა ქვემოტე სიტუვა-მან საცნაურ ყოს. ხოლო ვითარ განისვენებდა ნადირობითა და სიხარულითა, მოსმურთათა თანა, მიდრკა სიბოროტედმი, ვითარცა წერილ არს ისრაილთა-თჳს, „და დასხდა ერი-იგი ჭამად და სმად, და აღდგეს სიმღერად“. ხოლო სმა-მან მღერასა და სიღოდსა, და ნაყროვანება-მან სიბილწესა უმეტეს გარდარია. განაშოკნა ვაზიონი სახატრეჯისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიფარნა თანამოჭასაკენი, მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრეჭითა, რომელ ესე-ოდენ უსახურებად მიიწია. ოდესმე, მსმელი ფრიადისა

ღვინისა, ტფილის მუთფი, წარიყვანეს რაინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თჳსი, ხოლო რაინდნი, მეფისა მისლგასა არ მკონებენი და ღვინით უცნობ-ქმნილნი, ზედა-მიეტევნეს და ძლიერად გვემეს, ვიდრემდე ერთი <sup>1)</sup> თვალი მარჯვენე ხედვისა-გან დააკლეს. ამისნი მცნობენი თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი, და უფროსდა ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარაის ძე, განეუენებოდა ღარბაზს უოფისა-გან. არა თავს-ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ უოფასა, უკეთუ არა განეუენო ბოროტთა კაცთა სიხლესა და უწესობასა, რომელსა ჰყოფ. ხოლო მეფე-მან შეინანა და აღუთქვა სიმტკიცეთა მიერ არა-რასა ქმნა თჳნიერ მათისა განზრახვისა. არამედ ცოლისა სმა ვერ არწმუნეს, ვითარცა არს გულის-თქმისა მიერ შემწველობა ღედათა მიმართ. მისრულ-მან კახეთს, სოფელსა ერთსა, ველის-ციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნული კეთილი, და შეის აღტაცებულ იქმნა გულის-თქმათა მიერ, დამვიწყებულ-მან დავითის და ურის ცოლისა მიმართისა საქმისა-მან. მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყვარა ქალი-იგი ფრიად, და მუცლად-იდო ღელა-კაც-მან და ჰპუა ურმა, რომელსა უწოდეს სახელად დავით. ესე დავით იგი არს, რომელი შემდგომად დიდთა განსაცდელთა მეფე იქმნა, რომელი ქვემოტრე სიტყვა-მან საცნაურ უოს. ხოლო ესე ურმა აღსაზრდელად მისცა დასა თჳსსა. რუსუდანს, რომელთა დამებრივისა <sup>2)</sup> სიუვარული ფრიადი აქუნდათ ურთიერთანს, უმეტესად ყოველთა და-ძმათსა.

ამათ დაწინარებულებათა და წარმართებულებათა შინა იყო შეფე და ყოველგნით ნიჭი და ძღვენი მიუვიდოდის, მოხარკეთა მიერ, კარვად მეფისა. მხიარულითა ჰირითა მოვლიდის სამეფოსა თჳსსა, განსაკებელთა საქმეთა-თჳს. კარდავიდის აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, და განაგნის საქმენი მანდაურნი, და სოველთა შთავიდის ტფილისს. ხოლო საზამთროთ დადგის ღუინს <sup>3)</sup>, სომ-

<sup>1)</sup> Ce mot est superflu.

<sup>2)</sup> Lis. დამებრივი.

<sup>3)</sup> T დურს; cf. p. 300, 307.

ხითისას, და მუნით ბრძოლის განძელთა. ზაფხულით ზღვიდის თავად მტკვრისად, და დადგის კოლას, და მოვიდოდინა წინაშე მისსა მოხარკენი, ძღვნითა, ხლათით და საბერძნეთით.

ამათ განსვენებათა შინა მეოთხ-მან, არა ინება ქორწინება სჯულიერსა მეუღლესა თანა, ამის-თვს შეკრბეს კათალიკოზნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი, და მოახსენებდეს: „არა ჯერ არს რათამცა მკევალი გესვას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მცტიქული ჰავლე, ჰირი ქრისტესი. „ქორწილი წმიდა არს და სწოლი შეუგინებელი. ხოლო მეძაფნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთ-მას“. ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა, ამის თვს წარგვარეს ქალი-იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა შისტეს იგი. ხოლო არცა მასშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებულად.

იყო ესე ლაშა გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი, ამჰარტავანი, თავ-კედი, თვთ-ბუნება, ვითარცა გვითქვამს, უხვი, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე. მას უამის იყო მშვიდობა სამეფოსა შინა მისსა, და შექცეულ იყუნეს სმასა და ჭამასა. რომისა-თვს დასწერენ მამანი, ვითარმედ სამნი არიან მიზეზნი ფნებათანი, რომელთა-გან იშვებიან ყოველნი ბორცტნი: გემოთ მოყუარებანი, ვერცხლის მოყუარება, და დიდების მოყუარება. ამათნი ჰირ-მშობნი ნაშობნი არიან: სიძვანი, მრუშებანი, რისხვა, მწუხარება, ამჰარტავანება. ამათ ბორცტთა-გან გამოვლენ კორცთ-მოყუარებანი, უწესოდ ნების მიღევნებანი, რომელსა თვთოეულად არა არს უამი აღწერად. ვითარცა წინასწარმეტყველიცა იტყვის. „ჭამა იაკობ, განძდა, განსხვა, განსუქნა, და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა“. ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შორის ქართულსა. რამეთუ განძდეს და იშვებდეს, და მიდრკეს უწესობად სიძვათა შინა და მთვრალობათა შინა, და უგუნურნი და უწესონი კაცნი, მეფისა კარსა ზედა არა უოფისა ღირსნი, და აწ კარსა ზედა მეოფნი. დადაცათუ კათალიკოზთა ორთავე, და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტეს ივანეთაბაგსა უმძიმდათ საქმე ესე, არდა-რა ინებეს მას-თანა სამარადისო უოლსა, არამედ განეშორნეს და თვს თვსად იყოფოდეს. ამის-



თჳს აღმოსცენდეს ცოდვათა სიმრავლენი. მიზეზნი საქართუჭლასა მოკვრებისანი, რომელი ქვემოთ სიტყვა მან ცხად ჰყოს.

ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქუჭყანასა აღმოსავლეთისასა. <sup>1)</sup>

ქუჭყანასა შიის აღმოსავლეთისასა, კერძოსა, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვრველნი, ადგილსა ყარყურუმად <sup>2)</sup> წოდებულსა, უცხო და უცხო სახითა, წესითა, ქცევითა და შესახედავითა. რამეთუ არცა ძველთა წიკნთა შინა სადამე იხკების ამბავი მათი: რამეთუ არიან უცხო ენა, უცხო სახე, უცხო ცხოვრება, ჰურისა გემო არა იცოდინან, კაცობითა და ზირ-უტყუთა სიძითა იზრდებოდეს. ხოლო იუჳნეს ტანითა სრულ, გვამითა ახვან და ძლიერ, ფერკითა <sup>3)</sup> შვენიერ და სპეტაკ კაცობითა. თვალითა, მცირედ ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო. თავითა დიდ, თმითა შავ და კშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ, ეს-ოდენ რომელ დაწვნი უმაღლეს იფვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩნდიან ცხვირთა. ესე-ვითარი აქუნდათ უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკვირს რამეთუ აღმატებული რამე შვენიერება აქუნდათ მათ ყოველთა, მამათა და დედათა. ხოლო ამას-თანა მოეკოთ სიმკნე, და მოისარნი იუჳნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერა-რა-მან საჭურველ-მან დაუდგინის. უფროს ცხენსა ზედა იუჳნეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იფვის. საჭურველისა არა-რასა მქონებელნი, მშვილდისა და ისრისა კიდე. ესე იუჳნეს კაცნი განსაკვირვებელნი, რამეთუ იხილ-

<sup>1)</sup> Cette rubrique manque, T.

<sup>2)</sup> T ყარყუმორად.

<sup>3)</sup> Ne faut-il pas ფერითა?

ნი-რა, სულელ საკონებელ იუჟნიან, ხოლო უოველი სიბრძნე იბოე-  
ბოდა მათ შორის, და უოველი გონიერება მოეგოთ, მცირე მეტუვე-  
ლებს, და ტუუვილი სიტუვა უოვლადვე არა იყო მათ შორის. არა  
თკალ-ახვნიან პირსა კაცისას, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმე-  
ტეს საბჭოთა შინა. რამეთუ კეთილნი წესნი ეპურნეს, ჩინგიზ-ყაე-  
ნისა-გან გაჩენილნი, რომელთა თჯთჳეულად წარმოთქმა გრძელ არს.  
ამათ აქუნდათ სჯულად, ერთისა ღვთისა უკუდავისა თაჳუანის-ცემა,  
პირი მზისა აღმოსავლეთით ქიან, და სამისა ჩოქისა და სამ-ჯერ  
თაჳუანის-ცემა, და შუა-თითის წვეკისა ნებსა ზედა დადება და და-  
ტკაცუნება, და სხუა მეტი არა-რამ. ხოლო მოიპოეს წერილიცა ამა  
მცირედითა ასოთა, რამეთუ ათ-ექუს-მეტითა ასოთა დასწერენ წიგნ-  
თა, რომელ ადვილ სასწავლელცა არს, და ადვილ გულის-ხმის-სა-  
უოფელ. ამათვე შექმნეს ქორთნიკონის სახე, ათ-ორ-მეტი წელიწა-  
დი, ათ-ორ-მეტითა პირ-უტუვითა ცხოველთა სახელსა ზედა, და თი-  
თოსა პირ-უტუვსა და ცხოველსა თითოსა წლისა მთავრობა განუჩი-  
ნეს, ვითარ ძველ-ადესმე ელინთა ბრძენთა ათ-ორ-მეტითა ზოდთა<sup>1)</sup>,  
რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი. ამათ ეტლთა თითო-  
ეულთა მისცეს მზისა საჯდომათ ცდდათ-ცდდათი დღე. არა-თუ  
ცხოველნი არიან, არამედ ზოდნი<sup>2)</sup>, ეგრეთვე ამათ თითოსა წელი-  
წადსა მთავრობა განუჩინეს თითოსა პირ-უტუვისა, რომელთა თორ-  
მეტივე გათავადების, და თავსავე დაიწეებს, ვითარ ათცხრამეტეული,  
ათცამეტეული, ზედ-ნადები და ზედ-ექუსეული. რამეთუ ცხრამეტ  
წლად გააწევს, და მერმე თავსავე დაიწეებს, და ეგრეთვე ესე თორ-  
მეტ წლად გააწევს, და მერმე თავადვე დაიწეებს. რომელსა უწო-  
დენ სახელად უაღღუნჯილ, უქურ-ჯილ, ფარსინ-ჯირ, თავლინ-ჯინ,  
ღუილ-ჯილ, მორილ-ჯინ, ყონი-ჯილ, მეჩინ-ჯილ, თაღან-ჯილ, ნო-  
ხინ-ჯილ, ყაყაინ-ჯილ. ესე არს სახელი ათ-ორ-მეტითა ცხოველთა,  
რომელთა მისცეს მთავრობა თითოს წლისა, თითოს პირ-უტუვისა.

1) R et mon M-it ზოდთა; il faudrait du moins ზოდთა, me-  
sures.

2) M-its ზოდნი.

რომლისა შირველად თავ ევეს უაღდუნ, რომელ არს თავგვი, შერმე  
ზროხა, ავაზა, უურდგელი, ვეშაპი, გველი, ცხენი, ცსოვარი, უა-  
პუზუნა, ქათამი, ძაღლი და ღორი. ესენი აქუნდეს წელიწადის სს-  
თვალავათ, ვითარ ჩუენ ქართულთა ქორონიკონი.

ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღვთისა თაუჭანის-ცემა, რა-  
მელსა თენგრი უწოდდეს ენითა მათითა, და წიგნისა თავსა ესრეთ  
დასწერდეს „მანგუ თენგრი ქუხუნდურ“. ესე არს, „უკუდავისა ღვთი-  
სა ძალითა“. ხოლო ესენი მცირედთა სსზრდელთა განეშორებოდეს,  
რამეთუ უოველსა სულიერსა ჭამდეს, კორცსა კატისა, ძაღლისა, და  
უოველსავე. ამათნი ნათესავნი, მრავალ-გვარად განუოფილ იუჭენეს,  
და არიანცა ჯერეთ. ხოლო ათ-ორ-მეტა ოდენ მოვიკსენოთ სსხე-  
ლი: რამეთუ შირველ გვარი არს საუირთა, ჭინდნი, უათნი, ჯალი-  
რი, ოირდი, სულდუსი, ნიჭმნი, უონდარდი, მანდუთი, თანდუთი,  
უიათი და უდურნი. ხოლო უდურნი კერზის-მსახურნი არიან, რა-  
მელსა უწოდენ ქუნიჯათ<sup>1)</sup>. ესენი ენითა მათითა უწოდენ თავთა  
მათთა მანდულ, ხოლო ქართულნი თათრად, რომელთა ვგონებ  
ერთსოფელად.

ხოლო ამათთა ნათესავთა უიათთა გუარისათა გამოჩნდა კაცი  
ერთი, სსხელით თემურჩი, რომელ არს ჩინგიზ-ყენი. ესე იუფ,  
ჭყეროვანი და შვენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა მომწითურო,  
ძლიერი, მკნე, შემმარაუბელი, მოისარი კელოვანი, ღრმად გამგო-  
ნე, განმზრახნი კეთილი. ესე წარვიდა ნიჭისა და ჰატივის მოდებად  
უმთავრესისა მათისა რომელსა ხანობით უკობდეს, კელმწიფესა  
მათსა, რომელსა ერქუა ონ-ხანად. ხოლო ვითარ იხილას, შეიყვარას  
შიკეთისა მისისა-თჳს, და დიდსა ჰატივსა აღიუქანას, უწარჩინებულეს  
უოველთა სწორთა მისთა, და მკედართ მთავრობა კელთ-უდვას ლაშ-  
ქართა მისთა, და უოველგნით მოსწუვედდიან ურჩთა და განდგომილ-  
თა მისთა, ვინაცა უოველგნით გამარჯვებული მივიდის ჰატრონსა  
მისსა ონ-ხან კელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უადრესსა ჰატივსა აღი-  
უქანის. ესე შეიშურვას ძმა-მან ონ-ხანისა-მან, სსხელით უთქინ, და

1) T ქუნიჯათ.



ქმანვე მის-მან ქოლაქ, და შეასმინეს ონ-ხანს, ვითარმედ „ჭნებავს დაპურობად მეფობისა შენისა“, რომელსა ხანობით უკმობენ. და მან განიზრახს მოკლვა მისი, განა აგრძნა თემურჩი განზრახვა ესე, რა-შეთუ უთხრეს ორთა ვიეთმე კაცთა<sup>1)</sup>, ვითარმედ, „ნებავს სიკუდილი შენი ონ-ხანსა“. ხოლო იგი ივლტოდა, და ორნიცა იგი კაცნი მის-თანა, და მოვიდა სახლსა შინა თვისსა, აიყარა დედა-წულთათურთ. და იარა ერთ დღე და ერთ ღამე. და მერმე დაჭყარა დედა-წული, და ბარკი და ხვასტაკი, და მივიდა წულისა-მის ჰირსა, რომელსა ჭრქვიან ბლახუნნი, და განაშორა ლაშქარი მცირედ, და უკუდგა კევისა რასმე.

და ცნა ონ-ხან სივლტოლა თემურჩისა, მსწრაფლ დევნა უფო, და მოეწია დედა-წულსა და ბარკსა მისსა. აღიღეს ტყვე ურიცხვი, და დამძიმდეს ალაფითა ლაშქართა მისი, მაშინ ზედა-მოუკდა თემურჩი უოველთა ლაშქართა ონ-ხანისათა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწუდა ორგნითვე ურიცხვი, და იძლია ონ-ხან. ხოლო მათ დევნა უევეს, მოეწივნეს და შეიპურეს, და მოკლეს ონ-ხან, და მერმე მსწრაფლ დაესხა დედა-წულსა ონ-ხანისასა, და კელთი ოკლო ცოლი და შვილნი, და უოველი სიმდიდრე მისი, თხნიერ ქულაქ უხუცესისა შვილისა მისისა. და დაჯდა ტახტსა ზედა ონ-ხანისასა, და უწოდეს თემურჩის სახელად ჩინგიზ-ყაენი. და შემდგომად მისსა ბრძოლა უფო უონდარდთ კელმწიფესა, ალთუ-ხანს, სძლო და მოაჭრდინა იგიცა, და დაიპურა მეფობა მისი, და მერმე ქულაქ (sic), შვილი ონ-ხანისი, მივიდა გორ-ხანსა ვისმე-თანა, რათამცა თანა-შემწე ეყო. და ბრძოდა ჩინგიზ-ყაენსა, ხოლო მან ბრძოლა უფო გორ-ხანსაცა ესე. და სძლო მასცა და მოკლა გორ-ხან, და დაიმორჩილნა ლაშქარნი გორ-ხანისნი.

ამისსა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა, რამეთუ უიღურნი კელმწიფესა მათსა ედუთობით უკმობდეს, ხოლო მას უამსა სარხუე ვინმე იუო მთავარი<sup>2)</sup> უიღურთა, რომელთა საქმენი განსა-

1) T aj. რომელსა სახელი ვრთისა ქოლაქ და მეორესა . . . . rien de plus.

2) T ემურთა.

კვირვებულ არიან ვითა ზღაპარნი, და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამის-თჳს უჯერო არს აწი თქმა. ხოლო ჩინგიზ-ყაენს შეუწყალა და პატრიოთა დაიჭირა, აღიხუნა მრავალ-გუჳარნი თათარნი, და დაიმორჩილნა, და ყარყითიცა დაიმორჩილა.

და ვითარ მოიწყო თათარნი, გამოჩნდა კაცი ვინმე საკვირველი, რომელსა თეკთუნ გვარობით უკობდეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, ეტყოდა: „მე მას მთასა რომელსა უწყოდენ ბაღიუ წარვალ; ღვთისა სიტყვა შესმის. ამას ბრძანებს ღმერთი, ყოველი ქვეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართა-თჳს მიმიცია, და სახელადცა ჩინგიზ-ყაენი ერქვას“. ხოლო თქვა ესეცა: ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი ადვილ და მთასა მადალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმინდე, და სიმართლე, ტუეილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისა გან განშორება, და ჰქრქვა: „თუ მცნებანი ესე დამარხნე, ყოველი ქვეყანა შენ-თჳს და ნათესავისა შენისა-თჳს მიმიცემიეს. წარვედ და აღიღო ყოველი ქვეყანა, რა-ოდენი გეძლას“.

ხოლო იქმნა-რა ყაენად და მივიდა ხატაეთს, და შევიდა ხელვად ქრისტეანეთა ეკლესიასა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი. მეუხესუფად თაუჳანი-სცა და ჰქრქვა: „აჲ კაცი-იგი რომელი მთასა ჩინეთისს ვიხილე. ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი“. ესე შეიფარა ჩინგიზ-ყაენ-მან და მას აკურთხევდის, და ამისი მცნება, რა-ოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა. მერმე ებრძოლა ხატაეთის კელმწიფესა, არსლან-ხანსა ზედა, და სძლო, ესრეთ კელთ-იგდო, რომელ ორ ას ათ-ას კაცი მოაკუდიანა არსლან-ხანისა. ამის-მან მცნობელ-მან არსლან-ხანს, სახლსა შინა შესრულმან, ცოლით და შვილითურთ, ცეცხლისა მოდება უბრძანა მსახურთა თჳსთა, რომელთა ჰყვეს ეგრეთ, და დაიწვა არსლან-ხან დედა-წუელითურთ ცეცხლსა-მას შინა. და შევიდა ჩინგიზ-ყაენი, და დაჯდა ტახტსა-მას ზედა, და დაიპურა ხატაეთი ესე აქამომდე იუაჳნ.

აწი ვახსენოთ შჯლთა-თჳსცა ჩინგიზყაენისათა მცირედ-რამე. ხოლო ამა ჩინგიზ-ყაენსა ცოლიცა მრავალნი ესხნეს, და შვილნი-

ცა. უხუცესის ცოლის სეგინჯის-გან ესვა შვილი, რომელსა ერქვა თუბის, რომელსა ქართულნი ჯიხილ უკმობდენ. მეორე ჩადათა, მესამე აქროფა, მეოთხე თული. ესე ოთხნი უაენად განაჩინა, ხატათს მეოფ-მან, უხუცესსა შჯლს თუბის მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საუიფჩაუეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე. და ესე ყოველი ამას მისცა, ხოლო ამათ სხვათა უკანასკნელ ვახსენოთ. ხოლო ესე რა ცნა მადალ-მან და ყოველთა კელმწიფეთა უდიდეს-მან ხვარაზმ-შა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმკცოვებულ იყო, შჯლისა თჯისა ჯალაღდინისდა კელთ-ედვა სულტნობა თჯის, და ქვეყანანი, რომელნი მას ეპურა ჯიონს აქეთ, ხვარასნისა და ერანისა. ცნა-რა მოახლოება თათართა, მოუწოდა სხათა მისთა, ვითარ ექქეს ასი ათ-ასთა კაცთა, და წარემართა ჩინგიზ-უაენსა ზედა, ხოლო იგი ხვარაზმ-შას წინა დაემთხვია. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომელ ორგნითვე მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი, და იძლივნეს ხვარაზმელნი<sup>1)</sup>. ხოლო ბერი ხვარაზმ-შა დათშა რაზმთა შინა, მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარე-მოადგეს მას. ცნა ესე შჯლ-მან მის-მან სულტან-მან ჯალაღდინ, რომელი იყო კაცი მკნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უკორცო. მივიდა მცირედითა კაცითა შველად მამისა, და მუის განაჩინა მამა თჯის, წარმოიუქანა და ივლტოდეს ხუარასნად.

ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალაღდინ მრავალ-ჯერ, რამეთუ სამჯერ ჯიონს იქით შეება და ოთხ-ჯერ ხვარასნს, ჯიონს აქეთ. ხოლო ვინათ-გან დმერთსა, ცოდვათა ჩვენთათჯს მიეტა ყოველი ქვეყანა, სულიად იძლია და ივლტოდა. ცნა-რა სივლტოლა ამისი და სიმაგრეთა შინა შევლტოლა ჩინგიზ-უაენ-მან, წარავლინნა ორნი თავადნი ზემო-ხსენებულნი, იამა და სალზიანი, რომელთა ქართულნი სება-ჯებობით უწოდდეს, რათა მოვლონ ქვეყანა ხვარასნისა და ერაუისა, სადამდის ეძლესთ სღვად, განიხილონ, ხოლო ესენი წარმოვიდეს ათ-ორ-მეტითა ათ-ასითა მკედრი-

<sup>1)</sup> Ou ხვარასნელნი.



თა, თჯიერ საჭურველისა და საზრდელისა ქანებითა, არამედ მშვილ-  
დი ოდენ, უკრმლოდ.

განვლეს თურანი, ჯიონი, ხვარასანი, ერაუი, ადარბადაგანი, და  
მოიწივნეს განძას, და ვერ-ვინ წინა-ადუდგა, და თუ ვინ სადა გა-  
მოჩნდის, უფელთა სსლიან, და მოიწივნეს საზღვართა საქართულ-  
ლასათა, იწიეს დარბევად ქვეყანა გავისა. ცნა ესე ვარამ გაკელ-  
მან და ივანე ათაბაგი-მან, და აცნობეს მეფესა ლაშას, უცხოსა ნა-  
თესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ახსრებად სომხითისა ხოლო  
მეფე-მან მოუწოდა სხათა თჯსთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა  
ათხ-მეოც-და-ათი ათ-ასი მკედარი, და წარემართნეს თათართა კერძ,  
გავისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმის-წული, ზა-  
ქარიას ძე ამირ-სხასლარისა, შანშე, და ვარამ გაკელი მსახურთ-  
უხუცესი მოერთნეს დიდთა ლაშქრითა, და წარემართნეს. ხოლო  
იგინი დაბანაკებულნი წუალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წო-  
დებულსა, მუის ამკედრდეს და ეწივნეს ურთიერთარს, და იქმნა ძლი-  
ერდ ბრძოლა. ნახევარნი იფლტოდეს თათარნი, და ნახევართა მზი-  
რი უყო, და უკანით მოუკდეს. მაშინ მოიწია რისხუა ზეკარდამო,  
უსჯულაებათა და ცოდუათა ჩვენთა-თჯს, და იფლტოდეს ქართულ-  
ნი, და თჯთ მეფე ლაშა, და ურიცხვ სული ქრისტიანე მოკუდა. სა-  
და-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სხასლარი, ძლით ცოც-  
ხალი განერა, და მეჭურჭლეთა-უხუცესის უარუვარეს შჯლი ბექაძე  
მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი. და აქა იქმნა მოწივნა სრულიადისა  
დვთისა რისხვისა, და განწირვა ქართულთა ნათესავისა, სიმრავლი-  
სა-თჯს უსჯულაებათა ჩვენთასა. და იქმნა უკუნ-ქცევა სვე-სვიანისა,  
სრულისა და მადლისა, და სსხინოსა, და ვითიანისა დროშისა, გა-  
მარჯვებულისა. რამეთუ ვინათ-გან მიეცა დმერთსა დიდისა დავითის-  
და გამარჯვებათ, აქა ჟამამდე დროშა-იგი სვიანი დავითისა, გამარჯ-  
ვებულნი, არა-სადა ძლეულ იყო. ხოლო აქა ამიერი-თ-გან, ვითარ  
იქმნა ცვალებაჲ სვიანობისა ქართულთა ნათესავისა. რამეთუ არდა-  
რა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩვენდა.

ესრეთ ფლოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი-იგი და სა-  
კელავანნი, რამელნი სულთქმითა, მწიხარებითა, შეიწივებოდეს. რა-

შეთუ ვინათ-გან ჩვენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტათა, ეგრეთვე ღმერთ-მან აღავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩვენთა სირცხვილელად გვიო. ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშვილდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნეს საკვირველნი ესე საქმენი. წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინა-აღუდგა, და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს უიფჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჭვიდეს და მრავალ-გან შემოებნეს უიფჩაყნი, და ყოველგნით თათარნი მძლე ექმნეს, და წარვიდეს ესრეთ ომითა. ხოლო ვითარცა შითქვამს: უსაჭურველნი და უჭედელითა ცხენითა. ესე-ოღენთა გზათა მავალნი. განვლეს უიფჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღვასა გარეშემო, და მიიწივნეს კელმწიფესა ჩინგიზ-ყაენს წინაშე, ყარაყურუმს, და ქმნეს საკვირველი ესე საქმე მოუსვენებელად, სლვად ამა ყოველთა გზათა უჭედელითა ცხენითა, ყარაყურუმით წარმოსრულნი, მუნვე მიიწივნეს.

ხოლო ესე რაჲ ცნა ჩინგიზ ყაენ-მა, რომელ ყოველ-გან სძლიეს თათართა, წარმოაფლინნა შჯლნი მისნი, ხორასნის სულტანისა ჯალალდინის ძიებად. სცნა ესე სულტან-მან ჯალალდინ, შეიყარა ლაშქრითა და მრავალ-ჯერ ბრძოლა ქნა, ვითარცა ვთქვით, და აკრძანა-რასრულად ძლეულება თვისი, აიყარა დედა-წულთურთ თვისით, და ლაშქარი თანა ჭყვა, დედა-წულთ, კაცი ას ორმოცი ათ-ასი, და ივლტოდეს პირის-გან თათართასა და წარმოემართნეს ჩვენ კერძ, ვითარცა ქვემოთ სიტყვა-მან ცხად ჭყოს.

ხოლო მეფე გიორგი იყო-რა ტფილისს, იშვებდა და განსცხრებოდა. დაჲ მათი რუსუდანი ითხოვეს ხლათის დასასმელად დიდ-მან სულტან-მან მედიქ-მან, რომელსა ეკვპტით ვიდრე ხლათამდე სზარსუთი ჭქონდათ, და დააყენა მოწყალება-მან ღვთისა-მან, და არაჲ ჭყო ესე. შემდგომად ამისა, დიდისა შემოხვეწითა სთხოვა შარვან-შე უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნეს შარვანს ქართლისა ერის-თავი, და თვთ გიორგი მეფე ბაკვანს მივიდა, გაკაზმად და მიცემად დისა მისისა, და ათ დღე დრო იყო წარსლვისა მისისა. ხოლო ღმერთ-მან აქაცა დააყენა. რამეთუ არაჲ დასცხრა.

გული-წერამა უფლისა, რომლითა განვარისხეთ მრავალ-მოწყალე იგი და სხხეკრა, რამეთუ აღესრულა გიორგი მეფე მუნ უფლისა შინა.

მაშინ ვითარცა ცნა აღსასრული თჳსი მეფე-მან ლაშა, ბაკვანს მეფე-მან, მოუწოდა წარჩინებულთა სამეფოსა თჳსათა, შეგედრა დაჲ თჳსი რუსუდან, ცრემლთა მიმდინარე მან, და თქჳს: „უწვი უმანკობაჲ და ერთ-გულობა მეფეთა ნათესავისა-გან თქვენ მკვდრთა საქართულსლასათა. შეხედვებითა ღვთისათა, მიგითვისალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჭყოთ, ვითარ არს ჩუღლებსა ნათესავისა თქვენისა. ერთ-გულობით მონებდით და სიმეჩნითა თქვენითა დაიცვიით ტახტი მეფობისა მტერთა გან უვნებლად. დადათუ არა მამა-კაცი არს, არამედ დედა-კაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა. თქვენ წარჩინებულთა ამის სამეფოსათა იცით და განსოვსთ წყალობა, და ნიჭი და ჰატივი, სანატრელისა და კეთილად მოხსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა დედისა ჩემისა. ეგრეთვე თუ ღმერთსა უნდეს, და-მანცა ჩემ-მან იცის ჰატივი თქვენი, და აწ შეგვედრებ წინაშე ღვთისა, რათა მეფე ჭყოთ დაჲ ჩემი რუსუდან შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღვთისა, სასმენელად თქვენ უფელთა, რათა აღზარდოს შჯლი ჩემი დავით. ხოლო რა-ჟამს ეძლას მეფობა და შეგდრობა, შჯლი ჩემი დავით მეფე ჭყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ, შემკვდრეთ მეფობისა ჩემისა. ხოლო დადათუ ყრმაჲ არს აწ, არამედ ინებოს თუ ღმერთ-მან აღზრდაჲ მისი, ვგონებ რომელ შემძლებელ იყოს ჰერობად მეფობისა ჩემისა. რამეთუ კეთილითა ჰასაკითა არს და ჰაეროვან“.

და ვითარ დაასრულა ბრძანება ესე, შეისვენა მეფე-მან ლაშა-გიორგი, ბაკვანს მეფე-მან, თთულსა იანვარსა ილ, დღესა ოთხშაბათსა. მაშინ მოიწია გლოვა და მწუხარება უნუგეშინისცემო და საშინელნი ტკივილნი, ცრემლთა-წილ გულითა სისხლთა დენანი, წარწირვანი ღარჩომისა და სიცოცხლისანი, თანა ზრდილთა და მომხსენებულთა კეთილითა და სიამოვნეთა მისთანნი, ტკივილნი და ნაცრთა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა, და უფლისა სამე-



ფოსა-გან, და თვთ მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისა-გან. ანუ  
და-მან მის-მან რუსუკან რავდენი გლოფანი აღასრულნა მრავალ დღე,  
ვინ შემძლებელ არს გამოთქმად. ხოლო მეფე წარიყვანეს სამეგვიდ-  
რისა მათსა, გელათს, და დამარხეს სამარხისა ჰაზათა მისთასა.

დბ. მესამეოცდამეორე მეფე, რუსუდან, ძე თამარ მე-  
ფეთ მეფისა, დაჲ ლაშა-გიორგი მეფისა, ბაკრატო-  
ანი. <sup>1)</sup>

მაშინ შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი ამის სამეფოსანი, იმერ-  
ნი და ამერნი, კათალიკოზნი ორნივე და ეპისკოპოზნი, ნიკოფსით  
ვიდრე დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა ქვეშე მათსა მეფენი,  
და მეფე უგეს რუსუდან, და დასვეს საუდართა სამეფოთა, და მიუ-  
ლოცეს მეფობა წესისა-ებრ. ხოლო იყო რუსუდან ხილვითა შვენი-  
ერო, ვითარ სანატრელი დედაჲ მისი, მდაბალი, უხუ, ჰატივის-მცე-  
მელი ჰატივოსანთა კაცთა, მოუყარე. ამან მოიწყო ყოველი საბრძა-  
ნებელი თვისი და მეფობა მშვიდობით, და აღივსო ყოველი სამეფო  
რუსუდანისა ყოვლითა კეთილითა. პირველად იწყეს უძლებებაჲ და  
განცხრომა, ყოველ-მან ჰასაკ-მან, და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ.  
და ვითარ არა გამოიცადეს ღმერთი, ამის-თჳს მისცნა იგინი ღმერთ-  
მან უჯეროდ გინებად და კოცად წარმართთა მიერ. რამეთუ მეფეცა  
რუსუდან, ჩუჭულებითა წესსა ძმისა თვისისა ვიდრდა, განცხრომითა  
და სიმღერითა. ამის-თჳს აღდგეს ბოროტნი უდიდესნი. რამეთუ  
ზემო-ხსენებულთ სულტანი ჯალალდინ, უღონო იქმნა-რა ბრძოლი-  
ლი თათართა-გან, მოუწოდა სპათა თვისთა, ვითარცა ზემო ვთქჳ,  
და ჰრქჳ მათ: „იციოთ და განსოვსთ, ყოველთა მარხაჰანთა და ერის-  
თავთა ჩვენთა, კეთილი და წყალობა ჰაზათა და მამათა ჩემთა, და

<sup>1)</sup> La rubrique manque, T.

აწ იცით თუ რა მითწია ჩემ-ზედა და თქვენ-ზედა, უცხოთა ნათესავთა თათართა-გან. მრავალ-გზის ბრძოლა ვყავთ, და მრავალი ღვაწლი ღვათმინეთ, არამედ, განგებითა ზეგარდამოთა, უოველ-გან ვიდლიენით. აწცა მოახლებულ არიან მდინარესა ჯიონსა და წინამბრძოლად წარმოუვლინა ძე მისი უხუცესი. და აწ ესე არს განზრახვად ჩემი. ვინათ-გან მისცა ღმერთ-მან ძლევა, უკეთუ გთნავსთ, დაუტოოთ ქვეყანა ესე, აღვიღოთ დედა-წული, სიმდიდრე და ჯოგი, და წარვიდეთ საბერძნეთს, და მუნ დავემკვდრეთ. დაღათუ ჩვენ თათარნი გვძლევენ, გარნა უოველთა ნათესავთა ჩვენ ვძლოთ, უკეთუ ვის ენებოს, წარმოვიდეს ჩვენ-თანა, და თუ სთნავსთ ვისმე, იყავნ შინა, რამეთუ ნებაჲ იყავნ უოველთა სათნოდ“.

მაშინ თქმული ესე უოველთა ეკეთა, და აღიღეს დედა-წული და უოველი სიმდიდრე მათი, და წარმოვიდეს, და მოიწივნეს ადარბადაგანს, კაცი ვითარ ას ორ-მოცი ათ-ასი, და მოიწივნეს ქვეყანად მკარ-გრძელთა. რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპურა დვინი და ანისი, მიეცა ძმის-წულისა მისისა შანშესდა, მანდატურთა-უხუცესისა-თჳს. ხვარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ჯამა-გიორგის მიცვალებით-გან, ტუვენვად და მოახრებად ქვეყანათა დვინისა და მიმდგომთა მისთათა. ცნეს-რა ივანე ათაბაგ-მან და ვარამ გაგელ-მან, მივიდეს რუსუდან მეფეს წინაშე, მოახსენეს მოსლვა ხვარაზმელთა და თჳთ დიდისა სულტანისა ჯალალდინისა, გოცად და მოსრვად ქრისტიანეთა. ესრეთ უწყალოდ მოსრვიდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩხვლთა ერმათა რიდებდეს.

ხოლო ვითარ ცნა რუსუდან შემოსლვა ხვარაზმელთა სამეფოსა შინა მისსა, მოუწოდა ერმათა იმერთა და ამერთა, და მოიღო დროშა სეფე, და მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელი მას უამსა მიმკცნოვნებული იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მოხაზონქმნილ იყო. განახინა მეფე-მან რუსუდან სპათა მისთა თავად, და უბოძა დროშა ივანე ათაბაგსა, და წარავლინნა ბრძოლად სულტანისა-მის ჯალალდინისა. ხოლო მოიწივნეს დვინსა და ამბერდეს<sup>1)</sup>.

1) Lis ამბერდს.

და დაეხანაკა ხვარაზმელთა სოფელსა, რომელსა ჭრქვიან გარნისი, და მირავიდეს სხანი მეფისანი, წინა განეწყო სულტანი ჯალალდინი. აქათ ივანე ათაბაგ-მან განაწყო სხანი მეფისანი, იმერ და ამერ, და აჩინა წინა მბრძოლად თორელები და ძმანიცა-იგი ორნი ახალციხელები, შალვა და ივანე, სახელგანთნი-იგი მბრძოლები, ვითარ წესად არს სახლისა მათისდა წინა-მბრძოლობა. ხოლო ვითარ დაეხლნეს წინა-მბრძოლები და სულტანი, აქა დაიპურა ფეკი ივანე ათაბაგ-მან. იტყუან ვითარმედ შურითა ჰყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. ჰი შური უფელთა ბორცოთა დასაბამი და ძურ-მომწუვედელი კაცთა ნათესავისა და უფელთა ნათესავთა მწუღველი. ვითარ ურითა დვთის მკვლველობა არწმუნა, და კვალად აქაცა უგბილი და უღმობელი, და საქართველოსი სრულიადი მოსპობლვა, ვითარ ქვემოთ სიტყვა-მცხად ჰყოს, რომელი ათაბაგსა ივანეს არწმუნა, რომელ სამყსა წყობისა და ჟამსა ომისსა უკუნ-დგა და არდა-რა ვიდოდა მბრძოლთა კერძ.

ხოლო წინა მბრძოლთა უფელთა მოუფლინეს კაცი და ჭრქვიეს. „დაახლებულ ვართ სულტანსა და სხათა მისთა, და ჩვენ დიდად უმცირეს ვართ, და ომი ძლიერი წინ გვიც. წარმოიმალონ მკნეთა სხათა მეფისათა, და სიმკნე-მან შენ-მან“. ესე ორ-გზის და სამ-გზის მოუფლინეს. ხოლო იგი არა-რას მიუგებდა. ხოლო ვინათ-გან წინა-მბრძოლები თორელები, და უმეტეს ახალციხელები შალვა და ივანე ახვან იყვნეს და წყობათა შინა სახელგანთნი, არდა-რა ჭრქვიეს მიმ-რავლესა სულტანისა სხათასა. ვითა მკეცნი ზედა-მიეტევენეს, და იქმნეს ძლიერი ომი, მოსწუდა ორგნითვე ურიცხვი, რამეთუ ძლიერად მბრძოლობდეს შალვა და ივანე, ახვანთა და ძლიერთა. სვრიდეს, და განგრძობდა ომი სასტიკი. ხოლო ივანე ათაბაგი და სხანი ქართულთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა. და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთ-სჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა, და მათ-თანა მრავალთა სახელგანთნთა. არამედ დგეს შირით და არა ინებეს შეკლა ივანე ათაბაგ-მან, რომელსა შურითა იტყვიან ამას უფლად და არა-თუ შიშით.

და ვითარ განგრძობდა ომი, ორთავე ძმთა ახალციხელთა და-



უკოცეს ცხენნი, და ქვეითნი მკნედ იბრძოდეს, და მოისრნეს ორგ-  
ნითვე ურიცხვნი, და უმეტეს თორეზნი. და ვითარ შენივთდა ძლი-  
ერად ომი, კრმაღნიცა ახალციხელთანი გატუდეს ჩაბაღასსა ზედა.  
მაშინ ივლტოდეს ქართუზნი. ხოლო შალვა მუნვე შეპურობილ  
იქმნა, სიმრავლისა ფრიადისა მიერ, და ივანე, გარნისისა კლდეთა  
შინა შელტოლვილი, ზენა-კერძო მოტევებუღითა ქვითა მოიკლა  
მუნ. ხოლო შალვა წარიდგინა სულტან ჯალალდინის წინაშე, რა-  
მელ იცნეს ნახჭევნელთა და ადარბადაგანელთა, და მოახსენეს სულ-  
ტანსა ახვანება და წუობათა შინა სიქველე მისი. ხოლო მან არა  
მოკლა, არამედ თჳსთა თანა იპურა, დიდითა ზატივითა, და შიანიჭ-  
ნა ქალაქნი ადარბადაგანისანი, და თაყადათა თჳსთა თანა ზატივ-სცა.  
ხოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა აიძულებდა დატევებასა ჰსჯუ-  
ლისასა, და უქადაგებდა ნიჭთა და ზატივთა უმეტესთა. ხოლო მან  
არა ისმინა, არცა აღიერია წუთ ჟამისა ამის ზატივი, არც უარ-ჰყო-  
სახელი ქრისტესი. კვალად სულტანი ლიქნიდა და ეტუოდა უარ-  
ყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემიაქცევდა სიტუჳათა მისთა.  
კვალად სულტანი უქადოდა მრავალ-ფერითა სატანჯველითა და აში-  
ნებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შე-  
მდგომად მრავალთა ტანჯვათა, მწარითა სიკრუდილითა განიუგანა სა-  
წოთროსა-გან წმიდა შალვა, და მოწამობისა გზგზნითა შემკული  
ადვიდა წინაშე ქრისტესა, ესე აქამომდე სულ მცირედ აღიწერა  
ჩუზნ მიერ.

ხოლო ივანე ათაბაგი უკუნ-აქცა ბიჯნისად, და სულტანი მი-  
იქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს, და მიერ აოკრებდეს საქართუზ-  
ელსა, არბევდეს და ტუვე ჰყოფდეს, და სულად უწილად გოდ-  
დეს და არა-ვინ იყო, ნუგეშინის-მცემელი მათი. და შემდგომად  
ორის წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი, და მთავარ ჰყვეს ძე მისი  
ავაქ და უბოძეს მას ამიქსაზასაღარობა. ამისა შემდგომად უდიდესნი  
ბორბოტნი შეიცივდეს ნათესავსა ქართუზელთასა. რამეთუ მოახლებულ  
იყო სრულიადი მოსპოლვად, სიმრავლისა-თჳს უსამართლოება ჩვენ-  
თასა. რამეთუ აღიმკედრა სულტან-მან საქართუზელსა შემოსლვად,  
და მეფე ყოფად თავისა თჳსისა, მივიდა და მოაკრა ყოველი ქვე-

უანა ღვინისა, ანისი და უოველი ქვეყანა ანისისა, სომხითი, კაცი ვიდრე განძამდე. რამეთუ უწინარეს ამისა ვარამ გაგელსა, კაცსა გონიერსა და ლაშქრობათა შინა წარჩინებულსა, ამას აქუნდა შანქარი და მიმდგომი მისი ქვეყანა. ესე-ვითარნი-ესე ჭირნი და ბოროტნი, და შოთნი იძროდეს.

ამათ უამთა შინა მოეუვანა მეფესა რუსუდანს ორტულის შუღლი მძევლად, ერთ-გულობისა მისისა-თჳს, რომელი იყო ქმნულ-კეთილ და სრული ჰესაკითა, შეეხიერი გვამითა, მკნე და ძლიერი ძალითა. ხოლო ვითარ განიცადა, სთნდა მეფესა რუსუდანს, და ინება ქრმად მიუვანება მისი, რომელი აღისრულადა, და იქორწინა ორტულის შუღლი, რომელთა გან იშვა ასული სიტურფე-ადმატბეული, და უწოდა სახელი სახატრელისა დედისა მათისა თამარ, და კვლად მიუდგა და შუა ძე, და უწოდა სახელი დავით. და კვლად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა-გიორგისსა, დავითს. ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთისა სულტანს, ძესა ნუქურდინისსა, უიასდინს, ქმნულ-კეთილობა მეფის ასულისა, ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღვენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ. და გაუგზავნა ძღვენი დიდ-ფასისა, და სთხრა ცოლად, და აღუთქმნა ფიცით არა დატეგება სჯულსა ქრისტიანეთსა. რომელი ისმინა მეფე-მან რუსუდან, და მისცა ასული მისი სულტანს უიასდინს, რომელი-ესე უჯერო იყო ქრისტიანეთა მიერ. ხოლო დიდითა დიდებითა და დიდითა საქორწილთა მისცა იგი, და აწუგერი ზითვად მისცა.

გარნა ჰირველად ხსენებულნი-იგი სხარსნი ხვარაზმელნი მცირედ მოახლოებოდეს საქართველსა და გარუზნიდეს ქვეყანათა, მათ შინ სცნა სულტან-მან ჯალალდინ ვაქათაბაგისა და ამირ-სხასლარისა ბიჯნის უოფა, ინება ნახვა მისი. მიუგდინა მოციქული და ჰქრქმნა: „შენ ხარ ვაზირთ უხუცესი მეფისა და საქართველსა უთავადესი, და ითვალავ საქართველსა. თითოთა კაცითა შევერბეთ, რამეთუ მნებავს სიტყვად შენ-თანა“. და სთნდა ვაქსაცა, და ნება სცა ხილვად, და წარვიდა ჭურვილი, და იქით ერთითა კაცითა სულტანი სრამსა ზედა ბიჯნისსა, ჭურვილი ივიცა, და შეკრბეს მახ-

ღობელად ერთი ერთისა. მაშინ იწყო, სულტან-მან სიტყვისა თქმად. „არა მოვედ მე რბევად საქართველსა, არამედ ზავისა და მშვიდობისა-თჳს. გრნა თქვენ მსწრაფელ სამხრად აღიჭურენით და ფიცხლად შექებებით, და არა იქმნა მშვიდობა. აწ ვინათ-გან წარჩინებულ ხარ ქართველთა შორის და კარსა მეფისსა, ისმინე ჩემი. გასმია გჳარი და ნათესავი ჩემი, სიდიდე სამეფოსა ჩემისა და სიმრავლე, რომელ არა-ვის კელმწიფეს ძალ-ედვა სწორება ჩემი. მე ვარ მადლისა და დიდისა კელმწიფისა ხვარაზმშას ძე, და ფარმანსა ჩემსა ქვეშე იყო უოველი სპარსეთი, ადარბადაგანით ვიდრე ჯიონამდე, და ჯიონით ვიდრე ინდოეთამდე, თურანი, ხატაეთი, ჩინმაჩინი და უოველი აღმოსავლეთი. ხოლო განკებითა ზენითა გამოჩნდეს ქვეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა შეურაცხსა, ყარყურუმად <sup>1)</sup> წოდებულსა, კაცნი ვინმე საკვირველნი, უცხონი, უცხოთა ენითა და უცხოთა ცხოვრებითა მეოფნი, რომელთა უოველი აღმოსავლეთი დაიმორჩილნეს და მრავალნი კელმწიფენი მძსრნეს. ხოლო ხელმწიფედ ჰუავსთ კაცი ვინმე საკვირველი, ღრმად გამგონე საქმისა, მკნე და მეცნიერი ბრძოლასა შინა, და ჰრქვიან სახელად ჩინგიზ-ყაენი. ამან რა კელთ-იგლო ხატაეთი, წარვემართე ღაშქრითა, ერანითა, თურანითა, სპარსითა, თურქმანითა, და მრავალ-ჯერ შევებენით, და ბრძოლა ვუავთ ჯიონს იქით, და უკანასკნელ ჯიონს აქათცა, გარნა იქმნა ცვალება სიმკნე-ქველობისა ხვარაზმშას სახლისა, და უოველგნით ვიძლიენით. და ვითარ უმეტესად და ვცან არღა-რა იყო ღონე, და უტევე ქვეყანა და სამეფო ჩემი, და სიმდიდრე აურაცხელი, და წარმოვედ საქართველსა, მშვიდობისა და ზავისა უოფად. მესმა სიმაკრე საქართველსა ნათესავისა, სიმკნე წუობათა შინა. აწ მნებავს რათა შევიერთნეთ და შევითქვნეთ მტკიცითა ფიცითა, და ვებრძოლნეთ მტერთა-მათ ჩვენთა. მასმიეს რომელ მეფე თქვენნი დედა-კაცი არს, და მეოთ ქმარ მისა, და იგი ცოლად ჩემდა, და მე მეფედ თქვენ-ზედა. და თუ ესე იქმნების, ვსძლოთ უოველთა მტერთა

<sup>1)</sup> T ყარყუმურად, et partout, précédemment, comme si le nominatif était ყარყუმური.



ჩვენთა. და უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოკრდეს სამეფო თქვენი. და თუ მეცა წარვიდე, თათარნი ეკრეცა მოსრულ არიან. თქვენ ვერ წინა-აღუდგებით და ვერცა შემძლებელ ხართ ბრძოლად მათდა. აწ ფიცხლად გაგზავნე კაცი მეფესა თქვენსა წინაშე და აუწყე თქმული ესე ჩემი, რამეთუ არა მნებავს თკრება საქართუჭლთსა, არამედ დატვა მტერთა-გან, და თქუჭნ მიერ მე განვძლიერდე, და გიუვნეთ მშვიდობით“.

ხოლო ესე რაჲ ესმა სულტანისა-გან ავაქს, არა ზასუხი უგო, არამედ რქვა: „აუწყებ საქმესა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა“ მის დაწყა წიგნი და წარმოაფლინა, და წარმოგზავნა წინაშე მეფისა, და აუწყა უოველი თქმული-ესე, რომელი აუწყა სულტან-მან. და ვითარ მოიწია ამბავი ესე და წიგნი იხილეს, განკვირდა მეფე რუსუდან და უცხო უხნდა საქმე ესე, და მიუმცნეს ავაქს არცა თუ სმენად საქმისა მაგის, არამედ სრულიად განუებად, და ავაქ ფიცხლად სულტანსა აცნობა: ხოლო მან რა მოისმინა, აიყარა სრულითა ლაშქრითა და წარმოემართა ტფილის ქალაქსა, რათა ბრძოდეს მას. მაშინ, ვითარ ცნა მეფე-მან მოსდგა სულტანისა, აიყარა და წარვიდა ქუთათის. ხოლო, ტფილისის მცველად დაუტევა ლაშქარი და თავადნი ორნი, ბოცოს ძენი, მეშნა და ბოცო. მოიწია სულტანი სომხითად და მოაფხრა უოველი სომხითი, და დასცნა მკვიდრნი მისნი ზირითა მახვილისათა ესრეთ, რომელ არდა-რა დარჩა მამა-კაცი. მაშინ მოიწივნეს ტფილისად, და მცველნი ქალაქისანი აღიჭურვნეს, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და ბრწყინვალე ბრძოლა აჩვენეს ქართუჭლთა. მერმე მას დამესა მიუფლინეს კაცი სულტანსა ჯალალდინს, შიგნიდადმა მიცემა ქალაქისა, სზარსნი რომელ კარსა სცვიდენ, აქიდადმან შემოშვება. რა გათენდა, დაკვაზმნეს, და მოვიდა სულტანიცა, მონდობილი სზარსთა იმედითა<sup>1)</sup>. შიგნით მცველნი ქალაქისანი ამისნი უმეტარნი იუჩნეს, და მიმართნეს სულტანისა სზათა, და გაუკდეს განძის კართავე, მეშნა ბოცოს ძე მისი ძმა ბოცო. მუზარადები არა დაეხურათ, და ლამოდეს კარსა გასდგასა. ანაზდათ სზარს-

1) T სპათა შინა განცემითა.

მან ვინმე უმუზარადოს შემხსნ თავსა შიგნიდადმან აუთი დაჰკრა, და ძლიერად გაუხეთქა. დაეცა და მოკუდა შემხსნ, და შეიქმნა შიგნიით სპათა ომი და დალატი, ტფილელთა სპათა-გან. განასვენეს კარი ტფილელთა. ესრეთ რა შინა განცემა იყო ქალაქისა, იფლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედეგს ისანთა ბოცოს ძე-მან ბოცო, გაამაგრა ისანი და ქნა ძლიერი ომი.

ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად თუ ვითარ იქმნეს ხვარაზმელნი შინა-გან ქალაქისა. ვინმე უძლეს მამინდელთა მოსაწევართა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტეანეთა ზედა. აქა მკეულებოდა დადუმებად, რომელ საღმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა, და ცრემლთა მიერ აღვივსები. რამეთუ ვინ შემძლებულ არს მოთხრობად, რავდენი მოსაწევარნი იქმნეს. რამეთუ ესე-ოდენ მძვინვარედ კოცდეს, რომელ ჩხვილნიცა ძუძუთა-გან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დახარცნიან. და რომელსამე თჳსნი წარსცვივდიან, და რომელსამე ტვინი დაითსას, და მერმე დედანი მოიკლოდიან, ბერ-ბერნი უწყალოდ ფოლორცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდეს, და ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს. სისხლისა მდინარენი დიოდეს, თავი ტანისა-გან შორებული და თმა ნაწევართა შიგან აღრეულნი. და დედა-კაცი და მამა-კაცი ურთიერთარს აღრეული მტრესრსა შიგან ცხენისა ტერფითა იზილებოდის. არა ყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელიმე დანითა ღლისა დასობილი, სხვანი მკერდსა დაცემითა, და სხვანი მუცელსა და ზურგსა ზედან განიზოდეს.

ჴი, ჴი, საღმობიერი-იგი დალადი რომელი მუნ მოიწია, ტირილი, ტკივილი და ზახილი, და უზენარო ვაება. და საზარელთა ხმათა-გან იძროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარნი შეკრბიან და კოცდიან, და ხედვიდეს ზოგნი საუჭარელთა შჯლთა და ზოგნი ძმათა და მამათა, და ქმარნი ცოლთა, უზატოდ მკუდრად მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლორცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა, და არა თუ დაფლვასა მიწასა შინა დიქს ჰყოფდეს. ეკვლეისანი და ყოველნი პატრიოსანნი

სამსგეობლანი შეურაცხ იქმნებოდეს, ჰატოხსნნი მღუდელნი და  
დაკონნი, და მონაზონნი, ეკკლესიას შინა, თუთ ხატთა და ჯჳარ-  
თა თანა, შეიმუსრვოდეს და დაიკლვოდეს.

და ესე-გითარნი ჭირნი მოიწივნეს რომელ არა-ოდეს ძველთა  
სადაჲ წიგნთა მიერ სმენილ არს, უკუნი სამდე, რომელნი თანა შე-  
ესწორებინ ქრისტეს ჯჳარის მცემელთა იუდიანთა ზედა ქმნულ-  
თა, იერუსალიმის სულიადსა მოსზოფვასა, ტიტეს და უესზსიანეს  
მიერ, ვითარცა ჟამთა აღმწერელი და მრავალ მამთხრობელი იოსი-  
ზოს წარმოიტუვის, ესე-ოდენსა ძნელ-ბედობასა იუდიანთასა, ვიდრე-  
და სჲმ ასისა ბევრისა აღრიცხვასა მამა-კაცისასა ოდენ სიუმილისა  
და მახვილისა მიერ აღსრულებულსა, რომლისა მსგავს იქმნა ჟამსა-  
ცა ამას ხარკინოზთა მიერ ქალაქსა ამას ტფილისისა. ხალხი არდა-  
რა იყო ღონე და ღზინება ქალაქისა.

მაშინ წარმოუგლინა კაცი მეფე-მან რუსუდან ბოცოს და სხჳა-  
თა მცველთა ქალაქისათჳ, რათა დაუტეონ ისანი და წარვიდენ. და  
ვითარ მრავალ-გზის მიუგლინა დასტური მეფე-მან დატევაბად ქა-  
ლაქისა, ძლით დასწუმუნა ბოცოს დაგდება და წასვლა, ვითარცა და-  
სწერს ბერი ვინმე მღვიმელი.

და ესრეთ რაჲ ძლიერად კელთ-იგლო ქალაქი-იგი სულტან-მან,  
კვალად იწყო უბორტესთა საქმეთა ქმნად ქრისტეანეთა ზედა. ეს-  
ოდენ მძვინვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იუჳნეს ფოლორცნი,  
ხრამნი და ხნარცვნი მოკლულთა მიერ, და უმრავლესთა მკჳდართა  
მტჳჳარსა შთაუტკეობდეს ამას-თანა არავე დამშვიდნა ცუდ-რჯული-  
იგი და ბილწი. მოიგონა სხვაცა სიბორტე, რომლისა ხსენება  
სირცხვილ მიჩნს. რამეთუ გლგვასთა და ცრემლთა მიერ შევიცვები,  
თუ ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწენარებელი ღმერთი არს  
შეწყალებად ჩვენდა. იწყო რღვევად ეკკლესიათა, ვიდრე საფუძვე-  
ლადმდე, რომლის-თჳს იკადრა და კელ-ჳყო სიონისა გუმბათსა შე-  
მუსრვად, და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომე-  
ლი-იგი კიდითა მადლითა და გრძელითა განვიდა, აღსლვად მას ზე-  
და. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრის-  
ტესი და უფლად წმიდისა ღვთის-მშობელისა, რომელი სიონს



მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და კიდისა საშუალოს დადებად, ზირადმართ, და ბრძანა ყოველთა-მათ ზეცობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნა ზატოხსნთა ხატთა, დატყვება რჯულისა. და უკეთუ ესე არა ჰქონ, წარკვეთა თავთა მათთა. და ვითარ აღსრულებდეს ბრძანებულსა-ამას მოჭყვანდეს მამა-კაცი დედათა-თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. და მრავალთა უკუჭ ბრწეინვალე ძლევა აჩვენეს, და არა თავს-იდგეს შეურაცხება წმიდათა ხატთა და დატყვება ქრისტიანობისა, სჯულისა მათისა. მაშინ მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვნეს ახოვნად, რომელთა მიიღეს გვრგვნი წამებისა, რომლისა აღრიცხვა შეუძლებელ არს, სიმრავლისა-თვს, რამეთუ ვგონებ ვითარმედ ათ ბევრად აღიწია რიცხვი მოკლულთა.

ესრეთ რამე მოაოკრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყვევნად, კოცად და კუჭად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის ზირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს. ზოგნი სამცხეს და ტაოს, და კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუჭყანათა. და კავკასიელთა ესე-ვითარი ჭირი და ზეგარდამო მავალი რისხუა და მოსაწყევარი ხუთასი წლისა ყამთა. რამეთუ ორ წელ პირველ აღაოკრეს ქვეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაუგეს, და აოკრებდეს ქვეყანათა ამათ ზემო-ხსენებულთა, და არდა-რა იყო შენებულება, თხნიერ ციხეთა და სიმაგრეთა. რამეთუ ქვეყანა საქართველთა მიეცა გასარყუნელად. ამის-თვს, რამეთუ დაუტყვევს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიუწარული, სიწრფეობა, სიმშვიდე და სიმართლე, და ამის-წილ მოიპოვეს ამხარტავანება, ზაკვა, შური, კდომა, სიძულილი, ანგაარება, მიმძლავრება, კლვანი, ზარვანი, სიძვანი, უწესობანი, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყველი. „ვამ მათდა, რომელნი კვალსა ბაღამისასა შეუდგეს და საქმესა სოდომელთასა იქმან, რამეთუ ყოველ-მან ჭსაკ-მან ბერთა და ჭაბუკთა-მან, მცირით-გან ვიდრე დიდადმდე, მიაქციეს სიბოროტედ. რამეთუ სუნი-იგი სოდომელთა და სელმობა-იგი გომორელთა მოიწია, და ამის ძლით მისცნა იგინი ღმერთ-მან წარწყმედად ბოროტად, რამეთუ განვიწიყნით ღვთისა მიერ. რამეთუ დავივიწყეთ ღმერთი, ღმერთ-

მანცა სანართლად დაგვივიწყა“. და მოკრდა ქვეყანა საქართველ-  
სა ღიხთ აქეთ, ვითარცა კუმბს წინასწარმეტყველი იისია. „ვამ ნა-  
თესავსა ცოდვილსა, კრი რამელი სავსე არს უსჯულაობითა, ნათე-  
სავნი ბორატნი, ძენი უსჯულაობისანი. დაუტევით უფალი და გა-  
ნარისხეთ წმიდა-იგი ისრაილისა. რასადა იწყღვით და შესძინებთ  
უსჯულაობასა, უოველი თავი საღმობად, და უოველი გული მწუნა-  
რებად, კვალით-გან ფერკათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა  
სიცოცხლე, არა არს წყლული, არცა ნაგვემი, არცა ბრძვილი გან-  
სიებული. არა არს საღბუნი და საღებელი, არცა ზეთი. არცა შე-  
სახვეველი. ქვეყანა თქვენი რკერ არს, და ქალაქნი თქვენნი ცაცხ-  
ლითა მამწვარ. სოფელსა თქვენსა წინაშე თქვენსა უცხო თესლინი  
მოსჭამდენ, და მოკრებულ არს და გაქცეულ ერისა-გან უცხო კესლ-  
თასა, და დაშთეს ასული სიონისა ვითარცა კრავი ვენაკსა შინა, და  
ვითარცა ხილის საცავი შორის ნესოფანსა, და ვითარცა ქალაქი მო-  
ცული. უკეთუმცა არა უფალ-მან საბათ დამიტევსა ჩვენ თესლი,  
ვითარცა სოღამა შევიქმნენით, და გომორელთამცა მივემსგავსე-  
ნით“.

ხოლო ამია უღბინებულთა რამ ჭირთა შინა იყო ქვეყანა სა-  
ქართველსა, სხვანიცა უდიდესნი ძნელ-უამობანი აღმოჩნდებოდეს.  
რამეთუ ზემო დატეკებული ამბავი აწ კვალად ვიწყოთ. ამა უღბი-  
ნებულთა ჭირთა-გან შეიწრებული მეფე რუსუდან იყო-რამ ქუთათის  
და უოველსა აფხაზეთსა, იქმნა ძე მისი დავით ვითარ წლისა ექვ-  
სისა<sup>1)</sup>). ინება მეფე უოფა ძისა მისისა. ვითარ არს წესი სოფლის  
მოყურათა, შეიფარა წარმავალი ესე საწუთო და დავივიწყა შიში  
ღვთისა და სიფარული ძმისა თვისისა, და მოიგონა საქმე უოველთა  
მიერ განსაკრთამელი. რამეთუ ზემო-ხსენებული ძმის-წული მისი  
დავით, რამელი ძმისა მისისა გიორგის-გან ანდერძობით შეგედრე-  
ბულ იყო, და მას აღეზარდა, წარუგლინა ფარულად ასულსა მისსა  
და სიძესა მისსა, სულტანს უიასდინს თანა, საბერძნეთს, რათა წარწეში-  
დონ იგი, და იყო უმთოთველად ძისა მისისა დავითის-თვს, არამ.

1) T ხუთისა.

განყოფად მეფობისა. და ვითარ შიიწია დავით წინაშე სულტანისა და ცოლისა მისისა, რუსუდანის ასულისა, თამარს თანა, რომელსა სულტანი უწოდდა სახელად გურჯი-ხათუნ, და ვითარცა იხილეს იგი, და კეთა, შეიფარეს იგი თვსთა თანა, დაიხურეს ჰატივითა და გურჯი-ხათუნ დედოფალი კეთილსა უყოფდა ერმასა-მას. დავითს, ბიძის ძესა მისსა, და არა იხმინეს ბრძანება მკლველებრივი მეფისა რუსუდანისი, რომელსა დაეკედრა, რა-ჟამს წარგზავნა იგი. არამედ ფრად ჰატივ-სტემდეს დავითს. ხოლო ვითარცა წარგზავნა ძმის-წული საბერძნეთს, მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერის-თავსა და კათალიკოზსა აფხაზეთისსა. დასვეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათის და დადგეს თავსა მისსა გვრჯნი, და დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსა, და მიულოცეს მეფობა წესისა-ებრ. და სრულ ყო კათალიკოზ-მან წესი კურთხევისა. ხოლო ამერი ესე სამეფო უცალო იყო ხვარაზ-მელთა-გან. ამის-თვის რომე მანდატურთა-უხუცესი შანშე ანის იყო და ავაქ ამირ-სპასალარი ბიჯნის, და ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი, კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი და შავშ-კლარჯნი, და ტაოელნი, თავის-თავის სიმაგრესა შინა, იუწენეს მოჩიილებსა ზედა რუსუდან მეფისსა, და უცალოებისა ძლით ვერ დახვდეს დალოცვასა ზედა რუსუდანის ძის დავით მეფისსა.

ხოლო ჰირველად ზემო-ხსენებული-იგი ჩინგის-ყენი ვახსენათ: ვითარცა მოიწივნეს თათარნი ქუჭყანასა ჩვენსა. მათ-გან მეორე სულტანი ჯალალდინ წარვიდა-რა საბერძნეთად, სამეფო მისი ადვილად კელთ-იგდეს, თურანი, სათურქეთი, და ყოველი ხვარასანი. მაშინ განყო ლაშქარი მისი ორად, დაჩინნა შჯლნი მისნი ყენად. ჰირველსა გაუჩინა და მისცა ლაშქრის ნახევარი, და წარგზავნა დიდსა ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდის. ხაზარეთს, ოვსეთს, რუსეთს, ვიდრე ბორღაყეთამდე<sup>1)</sup>, სერბთა და კავკასთა, და ჩრდილოთა ყოველთა მკვიდროვანთა, ვითარცა მითქამს. და მეორესა შჯლსა ჩადატას მისცა ლაშქარი და უიღურთა ქვეყანა, სამარყანი, ბუხარა და

1) T ბორღართამდე.



ვიდრე აღმოუდის ქვეყანადის. ამას ვგონებ, ესე იყო თურანი. და მესამეს შჯლსა ოქროფას<sup>1)</sup> მისცა თუთ მისი ტახტი ყარყუმი და ჩინმაჩინი, ემეთისა, ყაყუსა ქვეყანა და ხატავეთი. და მეოთხესა შჯლსა თულის მისცა ლაშქარი და უქუთის ზედა მოკიდებით ქვეყანას აღმოსავლეთისა. ესე ოთხნი განჩინა ყაენად და ამცნო რათა წილიწადსა შინა ერთ-გზის ოქროფას მიმართ მოვიდოდენ უხუცესნი ძმანი მისნი, უურნუთოს სჯიქელად. ამის-თჳს რამეთუ ტახტი ოქროფას მისცა.

ესრეთ რა დაწვევას შჯლნი მისნი, მოვიდა თურანად და გამოგზავნა შჯლი მისი უმრწამესი, მოსთვალავად ხვარასნასა. გამოვლო ჯიონი და მოიწია ნიშაბურს, და ნიშაბურელნი დაეკაზმნეს და შეეპბეს თულის, და ზირველსავე ომსა აღიდო ქალაქი და მოკლას სმასი ათ-ასი კაცი, თავისა მოკვეთითა. და მეორეს ომსა ასი ათ-ასი, და მესამეს ომსა ოც და თორმეტი ათ-ასი. და უკეთუ არა ჯერ ხარ, ამით დაირწმუნეთ. დიდისა სიბდივნისა ხოჯა შამშადინის ძმა თანა-დამხვდარ იყო, და იგი იტყოდა ამას ყოველსა ნიშაბურისა მოახრებასა. წარმოვიდა ესე თული, გამოვლო მახანდარა და მოეახლა არაყის ქვეყანასა. ცნა ესე სულტან-მან ჯალალდინ, აიყარა დედა-წულითა და ბარკითა ტფილისით, და გამართა ბრძოლად თათართა, და მოვიდა ადარბადაგანს, და მიუგზავნა მოციქული ხლათის სულტანსა და ხალიფას ბაღდადისა მზურობელსა, რათა შეეწივნენ. „რამეთუ მათ-თჳსცა სარკებელ არს“. ეგრეთვე ერაყისა სულტანსა მიუწერა. „უკეთუ თუთ ვერა წარმოხვალ, ლაშქარი ბარე გვაშველეთო, და მე ვებრძოლავო თათართა ამათ. რამეთუ მე უწი კეთილად წესი ბრძოლისა მათისა და წუობათა, და უკეთუ არა ისმენთ ჩემსა, მე მარტო ვერ აღუდგები, არამედ მივრიდებ და ვერცაღა თქვენ შემძლებელ ხართ წინა-აღდგომად მათდა“. ხოლო მივიდა-რა მოციქული სულტანისა, მათ უქმად წარმოავლინეს და არა ისმინეს. მცნობელ-მან ამის-მან სულტან-მან და უიმედო ქმნილ-მან, სმათა მისთა და ადარბადაგანისა ვერ წინა-აღდგომისა-მან, დაავლო

1) T ოქროთას.

ადარბადაგნი და გამომართა მეორედ ტფილისადგე. ხოლო ესე რა  
ესმა რუსუდანს, უბრძანა უფელთა სმათა მისთა იმერთა და ამერთა,  
შანშეს მანდატურთა-უხუცესსა და ავაგს ამირ-სმასალასსა, და უკამ  
გაკელსა მსახურთა-უხუცესსა, ჰერთა, კახთა, სომხითართა, ჯავათა,  
მესხთა, ტაოელთა, დადიანს ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათ-  
ნობეიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და უფელსა სამეფოსა, რომელთა თუ-  
თაეულად არა არს უამი თქმისა, და განახუნა კარნი დარიალის-  
ნი, და გამოიუქანნა ოვსნი და დურძუკნი, და შეკრიბნა უფელნი  
მთაეულნი. და შეკრბეს ნაჭარმაგვეს ურიცხვნი ერნი, და გაგზავნა  
მეფე-მან რუსუდან ხვარაზმელთა-თუზ წინა-განწყობად. ხოლო სეფე  
დროშა არდა-რა გაგზავნეს, ივანე ათაბაგისა მიერ ქმნულისა საქ-  
მისა-თუზს. წარმოემართნეს, და განვლეს თფილისი, და სულტანი  
დაბანაკებულ იყო სომხითს, კვესა ბოლნისისასა.

და ვითარცა იხილეს დარაჯათა სულტანისათა, თფილად აც-  
ნობეს სულტანსა ჯალალდინსა. ხოლო მან აღისწრაფა, რამეთუ იყო  
მკნე და უშიში ბრძოლასა შინა. წინა განქყო და იქმნა ბრძოლა  
სასტიკი, და შირველად შეკრებამდის სძლიეს ქართულებთა, და გა-  
გრძელდა-რა ომი, მოსწუდეს ორგნითვე ურიცხვი. კვალად მოხედნა  
რისხვით დმერთ-მან ქართველთა ნათესავსა. და არა დასცხრა გუ-  
ლის-წყურამა უფლისა ჩვენ-ზედა. იძლივნეს სმანი მეფისანი ხვარაზ-  
მელთა-გან, და გაიქცეს ქართულებნი. კვალადვე მოვიდა სულტანი  
ტფილისად, და იწყო შირველათვე საქმე ქმნად. რამეთუ რისხვით  
კოცდა რასაცა ვით ზოგბდა ქართულებთა, და არბევდა ქვეყანათა ამათ  
ზემო-ხსენებულთა.

ამას უკანის მოვიდა თათართა უმთავრესი თული, ჩინგის-უაე-  
ნის შვილი. შემოვიდა ერავს, ვიდრე უაზმინამდის<sup>1)</sup>, ამოსწყვიდ-  
ნა ქვეყანანი და ურჩნი მისნი. წარვიდა და განვლო ჯიონი, და მი-  
ვიდა მამასა მისსა ჩინგიზ-უაენს წინაშე, და ძმათა მისთა თანა. და  
ვითარცა ცნეს სულიად გაქცევა სულტან ჯალალდინისი, უთხრა ოთხ-  
თა ერის-თავთა მთავართა, რომელსა ქართველნი ნოინობით უხმო-

1) T ყაზვინამდე.

ბენ. ზირველის სახელი ქარმაღან<sup>1)</sup>), მეორისა ჩაღატარ, მესამისა იოსერ და მეოთხისა ბიჩუის. და ამით ათი-ათასი კაცი მოსცა, დედა-წულთ მათითურთ, და გამოგზავნა ჯაღალდინის ძებნად. ესე ოთხნივე ნოინნი, უაენის შვილები იუჟნეს, და ესრეთ დავედრა უფლად, სადაც მივიდოდენ და ზენარსა სთხოვდენ შეუბდობდენ და შეიწყალებდეს, და მათთა ურჩთა მოსრვიდენ, და ხარაჯას მის ქვეყანისას ოთხად განჭყოფდენ, და მათ უაენტა გაუგზავნიდენ ხარაჯას-მას.

წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი, ჭარმაღანი, ჩაღატარ, იოსერი, და ბიჩოი, გამოვლეს ჯიონი და ხვარასანი, ორ-მცხეი ას-ასითა კაცითა, დედა-წულიანითა, და მოვიდეს ქვეყანასა აღმოსავლეთისასა, სადა მოლიდნი მკვიდრობდეს. შემოებნეს მოლიდნი ძლიერად და დიდად ავნეს, მოვიდეს ერასეს, და მოაკრეს ქვეყანა, და რომელნიცა მინდვნიან შეიწყალებიან. და მეომე მოვბდეს ადარბადაგანს, რომელსა ჰქვიათ თავრეზი, და წინა-მეგებნეს ადარბადაგანელნი ძღვნითა ურიცხვითა, და მივიდეს ქვეყანასა არდაველისასა, და იგინიცა წინა-მეგებნეს ძღვნითა. და გამოვლეს რაკსი, და მოვიდეს განძად, რომელი-იგი მტკიცედ ზღუდითა განმაგრებულ იყო, და სამთა დღეთა შინა რა ბრძოლა უევეს თათართა, მუის კელად იგდეს, და შიგან ქალაქთა შევიდეს, მოაკრეს განძა და ურიცხვი სული მოსწუვიდეს. რამეთუ საძაგულ უხნდათ თათართა-მათ სჯული და წესი მოჭმედის მიერ ქადაგებული.

ხოლო მცნობელი ამისი სულტან ჯაღალდინ მსწრაფლ იაკარა დედა-წულითა და წარვიდა საბერძნეთად, და თათართა დევნა უევეს, და მიიწივნეს ბასიანს. იხილეს-რა, მსწრაფლ განიბნინეს, ეს-ოდენ დაიფანტნენ, რომელ სულტანი ჯაღალდინ მარტო დაშთა, სადა-იგი მიიწია სოფელსა რასამე შეურაცხსა და დაიძინა ხეთა ძირსა. იხილა იგი კაც-მან ვინმე შეურაცხ-მან და მოაკრდინა, რომლისა სარტყელი, და უნაგირი და კაზარჭი, უფასოთა თვალთა მიერ და მარგალიტთა შემოკობილი იყო, და მის ძლით მოიკლა კაცი-იგი მად-

<sup>1)</sup> Lis. ჩარმაღან; T ჩარმღონსა.



ლი და სხეულფანი კელ-მწიფე. ვინა დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამასა, ვითარცა იტყვის ბრძენი ეკკლესიასტე. „ამა-  
ცებს ამასა და უოველივე ამო არს“. ამის-თვს ამო იქმნეს სმან-  
ნი მისნი და სიმტკიცე-იგი ქედისა მათისა, და წულობათა შინა მძლე-  
ობა და გარდარეული სიმდიდრე მათი. ამის-თვს უოველივე ამო  
არს, განა საუკუნო-იგი დაუღვენელი და უკუდავი ცხოვრება.

ესე რა ხვარაზმელნი-იგი განიბნინეს და უმრავლესნი მათნი გარ-  
მიანს იფლტოდეს, და სულტანი ჯალაღდინ მოიკლა, აქა შინა დასრულ-  
და სულიად კელმწიფობა იგი მადლისა სულტანისა ხვარაზმელისა. ცნა-  
რა სიკუდილი სულტანისა ხვარაზმელისა ძისა, სულტან-მან უიას-  
დინ, მოაუვანინა კაცი-იგი მკვლელი სულტანისა, და მოაღებინა სარტა-  
უელი-იგი და უნაგირი, კაპარჭი ძვირფასისა. განკვირდენ მნახავნი  
მისნი, რომელ არა-ვის ენახეს ეკეთნი ჰატიოსანნი თვალნი და  
მარკალიტნი, და კაცი-იგი მკვლელი სულტან ჯალაღდინისა ცეცხ-  
ლითა დაწვევინა სულტან-მან უიასდინ. ხელთ მოჩაიქცეს თათარ-  
ნი ხვარაზმელთა დევნისა-გან, მიერ წარვიდეს და მოაოკრეს ქვეუა-  
ნა ხლათისა და ვალაშკერტისა, და ვერ წინა-ადუღვა სულტანი ხლათისა,  
არამედ გამაგრდა ქალაქთა შინა, და თათარნი წარვიდეს თავ-  
რეუს, და ზავი ქმნეს მათ შორის. დაიპურეს თავრეზი და ძისი მი-  
მდგომი ქვეუანა უოველი, და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს,  
განძის და მუღანს, და მიერ იწუეს რბევად და ოკრებად საქართვე-  
ლსა, დარუბანდს აღმომართ, ქვეუანასა-მას შარვანისას<sup>1)</sup>, ყაბაღას,  
ჭერეთს, კახეთს, სომხითს და ქვეუანასა-მას არშაკუნიანთასა, დვინ-  
სა და ანისსა. და ვინათ-გან მეზობლობით მოახლებულ იუწნეს ქვე-  
უანასა საქართველსასა, უდიდესნი და უბოროტესნი განსაცდელნი  
მოიწივნეს პირველთასა: აღიძრეს ძვინვარენი განსაცდელნი ს-  
ზღვართა ზედა საქართველსათა, უკეთურებისა-თვს მკვდართა ქართ-  
ლისათა. რამეთუ უოველი ჭასაკი ბერთა და ჭაბუკთა, მეფეთა და  
მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა მიმართ, რა-  
მეთუ დაუტევეს სამართალი და წუალობა. ვინათ-გან უოველი ერი  
იქმოდა სრბილწესა, ვითარ ცდესმე ძენი ბენიამენისნი, ვითარ იგი-

1) T შარვეშისსა.

ნი მიეცნეს მოსსსრველად, ეგრეთვე ესენი აქა შინა მისცნა ღმერთ-  
მან ნათესავნი ქართუჭლთანნი მოსსსრველად, ვითარ ძენი ბენიამენის-  
ნი. ვითარცა იტუჯს წინასწარმეტყველი ოსე. „უფალი საბაოთ უბრ-  
ძანებს ნათესავსა ჭურვილსა მოსლვად ქვეყანით შორით, კიდით-გან  
ცისათ ჭურვილნი ბრძოლნი მისნი, გარყვნად უფლისა სოფლისა  
და ცოდნათა მოსპოვად მის-გან ღაღადებისა. რამეთუ ახლას არს  
ღღე უფლისა, და შემუსრვა უფლისა მიერ მოიწიოს“. კვალად იტუ-  
ჯის: „ღღე უფლისა მოვალს უკურნებელი, რისხვითა და გულის-  
წერამითა, დაღებად უოველი სოფელი ოკრად, და უოველნი ცოდ-  
ვილნი წარწემენდად“. ვითარცა იქმნა უოველი სოფელი ქართლისა  
ოკრად. ხოლო ვითარცა ცნა მეფე-მან რუსუდანი მოახლება თათარ-  
თა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათის, და ტფილისს მუხს-  
ძე გოჭი დაუტევა, და ამცნო, უკეთუ მოვიდენ თათარნი, მოწვას  
ტფილისი, თხნიერ ზალატისა და ისანთა, ამის-თჳს რათა სადგომად  
არღა-რა იზურან, ვითარ ხვარაზმელთა. რა-ჟამს ცნა მუხს-ძე-მან  
მოახლება თათართა, მოწიეს სრულიად ქალაქი, და თჳთ ზალატი და  
ისანნი, და ესრეთ მოკრდა ქალაქი ტფილისისა.

ხოლო ნოინნი ესე ზემო-ხსენებულნი შემოვიდეს ქართლს,  
თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, კო-  
ლას, არტანს, ანისს და დვინს, და მოეფინეს ქვეყანასა მსგავსად  
მკაღთა, საოკრებელად და კოცად, და არა-სადა იყო ღვინება, შე-  
წევნა და ნუგეშინის-ცემა. ესრეთ უწყალოდ მოისრგოდა უოველი ესე  
ქვეყანა. მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქვეყანასა აჭარი-  
სსა, და ამირ-სპასალარი ავაქ<sup>1)</sup> შევიდა ციხესა კაენისსა, და ვა-  
რამ გაკელი წარვიდა ქუთათის. ეგრეთვე ჭერნი, კახნი, სომხითარ-  
ნი, ქართველნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი უო-  
ველნი შეიხიზნეს ციხეთა, მთათა და ტყეთა, და უოველთა სიმკ-  
რეთა კავკასიანთასა და მთეულთასა. და გაკრძელდა ესე-ვითარი ოკ-  
რება და მოსპოვდა ქვეყანისა ამის ჩუჭნისა სიმრავლისა-ებრ უსჯუ-  
ლოებათა ჩვენთასა. ამის-თჳს რამეთუ განრეუნა უოველ-მან კაც-მან

<sup>1)</sup> T ავაგ.

გზა თვის, სიმრავლითა ბოროტითა, ამის-თვის განირეუნა უოველი ქვეყანა, არა-თუ ოდენ საქართველო, არამედ სხარსეთი, ბაბილოვანი და საბერძნეთი, მიეცემოდა მწარეს ტყვეობასა და უწყალობას სიკუდილითა. რამეთუ არა იყო წყალობა, რამეთუ სავსე იუწენს მოკლულთა მიერ უოველნი აღაგნი, ქალაქნი, სოფელნი, ველნი, ტყე-ნი, მთანი და კეფნი, თვნიერ სიმაგრეთა. თულა სადამე დარჩომილ იყო, სავსე იყო ტყეებითა და გოდებითა, და უოველნი მკვიდრნი საქართველოსანი, ამერნი, ხედვიდეს მამა-დედანი შჯლთა მოკლულთა და შჯლნი მამა-დედათა მკვჭდრთა მდებარეთა, სხვანი ძმთა და ნათესავთა, და დათა თვსთა იავარად წარსხმულთა, ცოლთა და შჯლთა მათთა და უოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა განბნეულსა. ესე-ოდენნი ზარნი იქმნეს თათართა-გან, რომელ უმრავლესნი ქართულნი ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტოებდეს და შეივლტოდეს უოველივე კავკასიად. ხოლო ამათ უღბინებულთა რა მოეცვა ქვეყანა ესე, ძლიერნი ერის-თავთა ერის-თავნი და ვაზირნი კან-დგეს ურთიერთას, თავთა მათთა ოდენ შემწენარებელნი, და მეფე რუსუდანი უოვლადვე დაემკვდრა ღიხთ იქით და ვერდა-რა კარდმოვიდეს ღიხთ აქეთ. და ვერცადა ამერნი ვაზირნი მივიდიან მის წინაშე, უცალოებისა ძლით, თუ არა განქცეულნი მიივლტოდეს ხიზ-ნად. ესრეთ შეუთქმელნი მოშორდეს ერთი-ერთსა და ირუგნებოდა ქვეყანა მათნი, და ძლიერნი-იგი მბრძოლნი და სახელოვანნი უღლ-ნო იქმნეს, და ვერდა-რა ეძლოთ წუობისა უოვად თათართა, რომელნი ტყეთა შინა ძლიერად იცვებოდეს. მაშინ მკვიდრნი საქართველოსანი, სახელოვანნი და წუობათა შინა მკნენი ერის-თავთა ერის-თავნი სრულიადსა მოკრებასა მიეცნეს. ეგრეთვე აღმომართ მკვიდ-როვანნი უოველნი.

ამათ რა ბოროტთა ხედვიდა ამირ-სხასლარი ავაგ, ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქული ბარდავს, სადა დაეხანაკათ ზემო-ხსენებულთა-მათ მთავართა, რომელთა ზამთრის აქუნდა საულოვლად ბარდავი და საზაფხულად კელაქუნის მთანი და არარატიისნი. რამეთუ მაშინ ავღო ანისი ჩადატარს. ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული, ზავისა თხოვნად, და დაჰპირდა მუნ მისლვასა სამსახურსა



და მისთა ქვეყანათა შინა ხარაჯასა, და ითხოვა ფიცი და სიმტკიცე. ხოლო მათ გაეხარნეს და სიხარულით შეიწყნარნეს მტკიცე აღმსარებლობისა, და მტკიცითა ფიცითა გულ-სავსე ევნეს. მათ აქნდა სჯულად ერთისა დუთისა თაყვანის-ცემად და დილეულ აღმოსაგვასა მზისასა, აღმოსავალით სამსა ჩაქსა ჭყრფლიან, და მეტი არა-რად. ხოლო ფიცის სიმტკიცე ეს იყო. განბძქედილი ოქრო სამ-ჯერ წყალსა შთაუვიან, განავლიან და შესვიან <sup>1)</sup>, და შინდობილი შეიწყნარებინ, და ამა ფიცსა არა ეცრუებინ, და სიტყვა ტყუილი არა გამოვიდოდეს შირით მათით, და მეკობრე და მამათ-მბოროტე კაცი გაუკითხავად მოკლიან, და სხვანი მრავალნი კეთილნი წესნი იცოდეს და გაეჩინეს კელ-მწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენსა. ამათ ოქროთა სფიცრითა დაუმტკიცეს მტკიცელთა ავაგისთა ფიცი, რომელითა დაჯერებულ იქმნას. ამის-თვს რომე არა იცოდეს ტყუილი არცა სიცრუე ფიცთა. მოვიდეს-რამე მტკიცე აღმსარებლობისა და უამბეს ესე ეგვიპტისა, მაშინ წარვიდა ავაგ, დამდები სულისა თვისისა ქვეყანისა მისის-თვს, და მივიდა ქარმადანს <sup>2)</sup>, ჩაღატარს, ბიჩუის და იოსეკს წინაშე, რომელთა იხილეს და პატივ-ჭესცეს, და შეიუწარეს, დამცველნი დაუდგინეს ქალაქთა და ქვეყანათა მისთა, რომელთა შინად უწოდდეს სიტყვთა მათითა.

ვითარ დაშვიდდა ქვეყანა ავაგისი და ცნა შინაშე მანდატურთა-უხუცეს-მან ზავი თათართა და ავაგისი, და ქვეყანათა უვნებელად დაცვა, ინება მანცა და გაუგზავნა მტკიცელი, და ავაგსაცა მიუმცნო, უკეთუმცა მიუმცნოს, მივიდეს იგიცა ხილვად თათართა. ამის-ნი მცნობულნი თათარნი სიხარულით შეიწყნარებდეს და მისცეს მითვე ოქროსა სფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა. რამე მივიდა კაცი შინაშე, წარვიდა და ნახნა თათარნი, და მათ ფრიალი პატივი უყვეს, და მათ-გან წადებულნი ანისი და მისხ მიმდგომი ქვეყანა უოველივე მისცეს, დამცველნი დაუდგინეს ქვეყანასა შინა, და ვინცა მოვიდეს ქართუშელთა მთავართაგანნი პატივით შეიწყნარებინ,

<sup>1)</sup> T ჩაყონ, განავლონ იგი და შეასუნ.

<sup>2)</sup> T ჩორმადანის.

ხოლო ურხთა ქვეყანა მოისრულდა. ამისი მცნობელი ვარამ გაგელი, ზაქარიას ძე, მიენდო და შეეზავა, და ამისიცა ქვეყანა დამშვიდდა.

ხოლო ზერეთი, კახეთი, სომხითი და ქართლი, და აღმომართ კარნუქალაქამდის ტუვეკობასა და მწარესა ოკრებასა შინა იუწნეს. არბევდეს, კოცდეს მამათა, დედათა, და უტურფესთა ვაჟთა და ქალთა ტუვედ წარასხმიდეს, და ქალაქი ტფილისი მათვე დაიჭირეს, და აშენებდიან, და სამთრის დაიბახაკეს ბარდავს, მტკჳრის ზირთა და აღმომართ გაგამდის. არბევდიან და კოცდიან, ქართლს, სამცხეს და ჯავახეთს, და აღმართ საბერძნეთამდის, და ერეთს და კახეთს და რუბანამდის. და ამა ულხინებულთა ჭირთა-გან შეიწრებულნი მთავარნი საქართველსანი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი, გამრეკელი, თმოგველი სარგიზ, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი, და მრავალ-ღონე. ხოლო მესხნი, სათნაგებისა-თჳს მეფისა რუსუდანისა, არა მიენდვნეს. ამის-თჳს განრისხებულ-მან ჩადატარ ნოინ-მან აღიმკედრა სამცხესა ზედა. არამედ მესხნი შეიწრებულნი შიშისა-გან შეივლტოდეს სიმაგრეთა შინა. ესრეთ მოისრა და ტუვე იქმნა სულნი მრავალნი, სამცხეს დაკოცდილთა რიცხვი ერთ ბევრად აღვიდა. ხოლო ოდეს არდა-რა იყო ღონე, მოახსენეს მეფეს რუსუდანს ივანე ციხისჯვარელის ძე-მან <sup>1)</sup>, რომელსა ვვარუვარცა ეწოდებოდა, უკეთუ ენებოს, იგიცა მიენდოს თათართა <sup>2)</sup>, რათა იხსნეს ქვეყანა სამცხისა ოხრებისა გან. რამეთუ ჰატივითა იყო მეჭურჭლეთა უხუცესი და მთავარი ქვეყანასა სამცხისასა. ინება მეფე-მან წარმოგზავნა, მაშინ წარვიდა ივანე და ნახა ჩადატარ. ხოლო მან ჰატივით შეიწინარა და დაუდგინნა მცველნი ქვეყანისა მისისანი, და დაიცვა ქვეყანა მისი ნახვითა მისითა. ესრეთ რა კელთიგდეს ყოველი ქვეყანა, განიუგეს მათ ოთხთა. მთავართა ოთხად, და ეგრეთვე ერის-თავნი ამა ქვეყანისანი თვთაეულ-მან მიითჳალა, და ამაღ-გან რასაც ხარაჯას აიღებდიან მათ უაქნთა გაუგზავნიდიან, და ესრეთ მცირედ-მცირედ იწყო ქვეყანა-მან დაწინარება.

1) T ციხისჯვარელ-მან, ჯაყელ-მან.

2) T ჩადატარ.

ესრე რა დაიმტკიცა მეფე-მან რუსუდან, რამეთუ წარუდეს ამე-  
რი ქვეყანა თათართა, განზრახა რათა წარმოავლინოს ძე თვისი და-  
ვით და მოანდოს თათართა, და აღიღოს ფიცი მტკიცე უვნებელად  
დაცვისა-თხს. მაშინ მოციქულად წარმოგზავნა შანშე, და ავგ და  
ვარამ, და ერეთის ერის-თავი, შოთა, რომელსა სიშავისა-თხს კუბ-  
რობით უკმობდეს. და ვიდრე დავით მივიდოდა, ინება ამკედრება  
დიდსა სულტანსა უიასდინს ზედა, ნათესავით საღჩუკიანსა, რათა  
დაიმოწილონ, რომელსა აქუნდა საბერძნეთი. და წარავლინეს ბი-  
ჩუის ნოინი და თანა წარიტანნა დიდნიცა-იგი მთავარნი საქართვე-  
ლელსანი. და ვითარ მიიწივნეს ქვეყანას: ეზინკისასა და სევსტიას,  
დაიწიეს ოკრება, მაშინ სულტან-მან უიასდინ მოუწოდა უოველთა  
სზათა, და შემოკრიბა მკედრობა თხსი, კაცი ორ-მეოცი ბევრი, რომელ  
არს ოთხ ასი ათ-ასი, დაუჩინა მკედართ მთავრათ შარვასშის ძე  
აფხაზი, სახელით დარდანი<sup>1)</sup>, რომელი სიმკნისა მისისა-თხს ზირ-  
ველვე დიდსა დიდებსა აღიუქანა და მტკიცედ ეზურა სჯული ქრის-  
ტესი. ამას-თანა თარადავლა, თორელის ახალციხელის შალვას ძე,  
რომელი-იგი ლტოლვილი წარსლულ იყო სულტნის წინაშე, კაცი  
მკნე და რაზმთა შინა სახელმოვანი. ესენი მკედართ მთავარ ეგნა და  
ლაშქართა წინა-მბრძოლად განაჩინა. წარმოვიდა მთისა სიახლოესა  
და დაებანაკა. ესმა-რს ესე თათართა მოსლვა სულტანისა წუობად  
მათდა, ესრე-ზომ განლაღებულ იუქნეს, რომე განიხარნეს. ამისი  
მსმენელი ბიჩუის ნოინი, მივიდა თხრობად ქართულთა მუნ მყოფ-  
თა მოსლვა სულტნისა უიასდინისა, და იხილა ძის-წული უვარეგარე  
ჯაყელისა, სახელით სარგიზ, კაცი მკნე და შემმართველი და კე-  
ლფვანი ომსა შინა. ხმა უყო ბიჩუის და ჭრქქა: „მასარებელად მე  
მოვალ, ვითარ რა იყოს ნიჭი ჩემი. რამეთუ დიდსა სულტანსა ას-  
შიეს მოსლვა ჩვენი და იგიცა მოახლებულ არს, და დაუბანაკებიეს  
ახლოს ჩვენსა, დიდითა და უამრავითა ლაშქრითა, და ხვალე ეგუ-  
ლების წუობად და ბრძოლისა უოფად ჩვენდა“. ესმა-რს ესე სარგიზს,  
განკერვებულ-მან ჭრქქა: „უწყო წუობათა შინა სიმკნე და გამარჯვე-

<sup>1)</sup> T დარდინი.



ბა თქვენი, ჯი ნოინო. გარნა სიმრავლის-თჳს მათისა არასა ვგონებ<sup>1)</sup> სახარულევანსა. ხოლო ბიზის განიდიმნა და ჰქრქჳ: „არა თურე კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავისა ჩვენ მოლიდთასა (sic)<sup>2)</sup>, რად-გან ღმერთ-მან მოგვცა ჩვენ ძლევა, არად შეგვირაცხია სიმრავლე სჳათა, რამეთუ უმრავლესთა უმჯობესად ვიდრემე ვსძლევთ, და უმრავლესითა ადვილესითა ალაფითა. აწ დაემზადებით ხვალისა ბრძოლად, და ვინილეთ ვითარ ვებრძვით მტერთა“. ესე-ზომ განლაღებულ იუჳნეს უფელთა ნათესავთა ზედა.

ვითარ განთენა და მოვიდა სულტანი სჳითა საზარეულითა, რამეთუ იყო ოთხ ასი ათ-ასი მკედარი, და განაწევეს რაზმი. აქათათართა განაწევეს რაზმი, და ურჩეულესნი მათნი მარცხენესა მკარესა დააწესნეს. ესრეთ აქჳუნდათ წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენესა მკარსა დააწესებდნენ, ამის ძლით, რომელ სხვანი უფელნი ნათესავნი უმჯობესთა და უმკნესთა მარჯვენით აქჳნდა დაწესებაჲ, რათა ურჩეულესნი ურჩეულესსა შეემთხვივნენ. ხოლო დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამღვრელობასა მტერთასა. და მიმართეს ძლიერად, და რა მიიახლნეს ურთიერთას, იწუეს თათართა კმითა მადლითა ძლიერად ზახილი, აჰლა, აჰლა<sup>3)</sup>, აჰლა, რომელი ძნელად სათარგმანებელ არს და უცნაურ, და სამ-ჯერ იტყოდნენ ამას: აჰლა, აჰლა, აჰლა. და მუის მიეტყვიან, ხოლო ქართულნი უბირატეს და უმკნეს ძლიერად ეწუჳნეს, და იქმნა ომი სასტიკი, და მოჰსწუდა ურიცხვი სიმრავლე სჳათა-გან სულტანისთა, სადა სახელგანთიწა შარვაშის ძე, დარდანი, აფხაზი, მკედართ მთავარი მათი, მოიკლა, და ივლტოდეს სჳანი სულტანისანი. და დევნა უევეს-რა თათართა და ქართველთა, ურიცხვი სული მოსრეს, და შეიბურნეს მრავალნი. ხოლო ახალციხელი სულტანისა მიერ მოიკლა, შურითა ქართველთათა. ესე-ზომ ეწუჳნეს ქართულნი ვითა განჰკვირდეს უფელნი თათარნი. ამის-თჳს სიუფარულსა და ზატევისა.

1) M-its გვეტობ.

2) T მომავალთასა; lis მოღალთა.

3) T აჰლა, აჰლი.

და ნიჭსა წინა უყოფდეს, და ქებასა შესახებდეს. ხალხი აღივსნეს თათარნი და ქართულნი ყოვლითა სიმდიდრითა, თქროთა და ვერცხლითა, და სამოსლითა <sup>1)</sup>. ცხენისა, ჯიშისა და აქლემისა არა იყო რიცხვი, რაზმი აღივსნეს.

ესრეთ სავსენი მივიდეს საბერძნეთს, დევნად სულტანისა, და მიჰყუეს ვიდრე იკონიადმდე, რომელ არს ქალაქი ფრიად დიდი და ზღუდითა მიერ მტკიცითა განმავრებული, რომელსა შინა შელტოვდეს იყო სულტანი, და კვალად კართა ქალაქისათა იქმნა ომი ძლიერი. რომელთა თვთვეულად არა არს ყამი მოთხრობად. რამეთუ უმრავლესთა დღეთა გამოვიდინ ჩაღისად და იბრძოდინ, სადა-იგიცა ძლიერი და სახელგანთი ჩაღისობა კარდაიკადეს მრავალთა დღეთა მათ სახელგანთა ქართველთა. ხალხი სულტან-მან შეიწირებულ-მან ბრძოლისა-გან ითხოვა ზავი, და აღუთქმნა ხარაჯი დიდი და მძიმე, და მრავლითა ძღწითა და უფასოთა თვალ-მარგალიტთა ძღწენად მიცემითა მოამშვიდნა, და ითხოვნა მტველნი. და ესრეთ ყამ რა-ოდენმე არა იხილნენ სულტანი ვიდრემდის გამოიჩინნენ უმჯობესი. ამისი დამჯერებულნი თათარნი წარმოვიდეს და მოვიდეს ხლათს. ხალხი სულტან მან ხლათისა-მან ითხოვა ზავი, წინა-მოეკება ძღწითა დიდითა. ხალხი მათ კეთილად შეიწინაურეს, დამტველნი დაუდგინნეს, რომელ არიან შანანი, და წარვიდეს საზავთუფლსა სადგომსა, გელაქუნს და არარატისა მათათა, და გამოგზავნეს მცირე ქუდი მეფესა რუსუდანს წინა, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცეს ძე მისი დავით, და მისცენ მეუობა, ტფილისი და ყოველი საქართველო. და ვითარ ესმა ესე რუსუდანს, ჭსთნდა სიტყუა ესე, და გულ-სავსე იყო, ამის-თვის, რამეთუ ფიცსა მტკიცედ იმურობდეს, და მიხდობილსა შეიწინაურებდეს.

და კარდმოვიდა თვთ მეფე, და წარმოგზავნა ძე თვისი დავით, რომელთა წინა მიეკებნეს შანსე <sup>2)</sup> და ავაგ, რომელი თათართა დი-

<sup>1)</sup> T სასმუროთა და სამზარეულოთა ოქროსა და ვერცხლისათა, უტეხელისათა, უცხოთა ლარითა.

<sup>2)</sup> T ბავა ავაგ.

დად ზატივითა შეეწინაა <sup>1)</sup>. შოთა კუბრი, თორელი. ვარამ, ქართლის ერის-თავი, სურამელი გრიგოლ. სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ უხუცესი ყვარყვარე, ციხისჯვარელი, თმოგველი, შავშკლარჯნი და ტაყელები. და წარიყვანეს მეფე, ძე რუსუდანისი, დავით. ხოლო რუსუდან თანა წარატანნა ყოველნი მთავარნი ლისტ იმერელებნი, დადიანი ცოტნე, კაცი ზატივოსანი, და სათნოებანი, და ბრძოლათა შინა სახელგანნი. ბუდიანი, რაჭის ერის-თავი, გურიელი, და ყოველნი წარჩინებულნი, წარემარხნეს და შევიდეს ტფილისს. და წარვიდეს მუნით ბარდავს, სადა დაებანაკათ ნოინთა. მიიყვანეს დავით დიდითა ზატივითა და ჯაშქრითა. ვითარ იხილეს ქარმაღან <sup>2)</sup>, ჩაღატა, იოსურ და ბიჩუი, კანიხარეს, ზატივი უუგეს მეფესა და მთავართა საქართველსათა, და მოსტეს ყოველი საქართველო, ტფილისი და სამშვილდე, რომელი ზირველ ომითა ყელთ იოსურ ნოინსა, და ანგურგას <sup>3)</sup>, თანა-დახდომითა ავაკისათა. და ესრეთ კეთილად შეიწინაარეს დავით მეფე, რომელსა ხარინ-დავითობით უწოდეს, ესე იგი არს, სეფის პირი დავით.

მაშინ წარავლინეს მცტიქელი წინაშე დიდისა ყაინისა, რომელი ყარაყურუმს იჯდა, ტახტსა ზედა ჩინგიზ-ყაენისსა. და ჩინგიზ-ყაინი გარდაცვალებულ იყო, და კელ-იგდო ძე-მან მის-მან, სახელით ოქროთა <sup>4)</sup>, ყაინობა, რომელი იყო კაცი კეთილი, დიდად უხვი და მოსამართლე. და იგიცა გარდაიცვალა, და დასვენეს ძე ოქროთასი <sup>5)</sup> ყაენად, სახელით ქუქ. და იგიცა მოკუდა, და კელთ-იგდო ყაენობა ძე-მან ქუქისა-მან მანგუ <sup>6)</sup>. ამას გაუგზავნეს მცტიქელი, და აუწიეს ადგბა სპარსეთისა, საქართველოსა და დიდსა საბერძნეთი-

1) V. M-it T.

2) T იხილა ჩორმაღან.

3) T ანგურნავას.

4) T ოქროთინ.

5) T ოქროთასი.

6) Ce nom est omis, T.



სა, და უოველთა თემთა, და გაუგზავნეს დიადი მოკაზმული ქუდი, ახჯარი, ტანისა-მოსი, და მიუწერეს წესი და ჭსჯული. ვითარმედ: „ქართველნი სულიად მოვიდეს, მეფე და ერთობილნი ქართველნი, რომელთა აქნეს ჭსჯული კეთილი, და ტყუილსა ევლტიან, და მწამლეული და მხიბლავი კაცი არცა-თუ სახელ-იღების მათ შორის. ხალხი სხარსნი არიან ცრუ, მოღალატენი, თეცისა არა შემნახავნი, და მუდილნი და მწამლეულნი მრავალნი იპოვებიან მათ შორის, და ურცხვინოდ მამათ-მავალნი“. მიიწია-რა ელჩი ბათოსა, რომელი იყო შჯლი თუბისი, ზირ-მშოსა ჩინგიზ-ყაენის შჯლისა. რამეთუ მამინ ყაენთა უზირატესობა ბათოს ყაენსა ეპურა, რომელსა ჭქონდა ოსეთი და დიდი ყოფიანეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელთამდის, და ზღვამდე დარუბანდისა. და ამან წარავლინა წინაშე მანგუყაენისა. და ვითარ იხილა მოციქული, განიხარა და ჩაბაღასხისა სიღვასა ზედა განჰკვირდა, და ესრეთ მიუმცნო ნობითა, მანგუყაენს: „ვინათ-გან ქართველნი წყობათა შინა კეთილად გიხილავს და ტყუული არა არს მათ შორის, და მინდობა იციან, და მკენი არიან ბრძოლათა შინა, თქვენ გვერდით იპურენით, მტერთა თქვენთა ზედა ბრძოლად. ხალხი სხარსნი მოსწევიდენით, და მის ქრესტყაენისათვადნი აქა წარმოგზავნენით.

ესე მოციქულნი რა მოვიდეს, ავაგ, რომელი ამირ სპასალარობისა-გან <sup>1)</sup> ათაბაგ იქმნა, მეფის რუსუდანის მიერ, იგი წარავლინა ჩალატა <sup>2)</sup>-ნობი წინაშე დიდისა ყაენისა ბათოსა, და ხლათისა სულტანი. წარვიდეს უცნაურსა და უოვლადვე ქართველთა ნათესავისა-გან უვალსა გზასა. და ვითარ მიიწინნეს წინაშე ბათოსა, რომელი იყო მას ჟამსა უმთავრესი ყაენთა, და უზესთაესი, და აღმატებული შვენიერებითა. და მუნ თანა წარეტანა ათაბაგსა ავაგს ივანე ახალციხელის ძე. სახელით დავით, ეჯობი ავაგისი. და მუნ რქნეს ავაგს: „ვინათ-გან უცნოთა ნათესავთა მომართ მოვიწიენით, და არა უწეით თუ-რა ჭეოთვად არს ჩვენდა, ესრეთ განგაზრახებ, რათა ვიქმნე მე

<sup>1)</sup> T სპასალარობის გან.

<sup>2)</sup> T ჩალატ.

ვითარცა ზატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე ვითარცა მონა. უკეთუ ენებოს მოკუდინება შენი, მე მოვიკლას, და არა შენ, და არღა-რა ვეჭვ, უკეთუ ბატონი მოიკლას, უმათცა დაკოცად“. და ესრეთ მრავლითა ვედრებითა და იძულებითა დაარწმუნეს ავაცს ამის-და უოფად. ვითარ შევიდეს წინაშე ბათოსა, წინა-წარმოდგანა დავით, ვითარცა უმთავრესი, და ეს-ოდენი სათნოება ქმნა დავით, გამწირ-ველ-მან თავისა თვისისა მან სიკუდილად ზატრონის-თვს. ხოლო იხი-ლა-რა ყაენ-მან ბათო, განიხარა, და დიდად ზატივ სცა მრავალთა-დღეთა. და ვითარ ჰსცნეს კეთილის უოფა ბათოს-გან და უშიშ იქმ-ნეს სიკუდილისა-გან, ერსა დღესა შეუწოდა ბათო, და ავაც წინა წარუძღუა. ესე რა იხილა ყაენ-მან, განკვირვებით შემხედველი ეტ-უოდა ავაცს: „არა-სადამე მეცნიერ ხარა, ვითარმედ ზატრონი არს შენი, რომელი უკანის შენსა სდგას, და შენ წინა წარმოდღელი ხა-რო. ხოლო დავით დიმილით ეტუოდა: „დიდო და განმარჯვებულო კელმწიფეო, ეგე არს ზატრონი, და მე მონა მისი“. და განკვირ-ვებულნი ყაენი ჰკითხვიდა მიზეზსა მისსა. რომლისა-თვს დავით თქვა: „მის ძლით ვყავთ, დიდო ყაენო, რომელ არს მეცნიერი ვართ სი-კეთისა შენისა, და რასა შეგვამთხვევდით არა უწყოდით. უკეთუ გე-ნება მოკუდინებამ ჩვენნი, შემცა მოგკალ უწინარეს, და არა ზატ-რონი ჩემი“. რომლისა-თვს დიდად განჰკვირდა, და აქო დავით, და თქვა ყაენ-მან: „უკეთუ ხათესავი ქართულთა. ეგე-ვითარი არს, ვბრძანებ რათა რა-ოდენიცა ხათესავნი არიან მორჩილებასა ქრისტე ჩვენ ყაენთასა, უოველთა უმადლესად და უწარჩინებულესად დაკვირ-ნე, და უოველთა უზატიოსნესად ადგრაცხნე, და მამული და საქა-ნელი თქვენთა კელთა იეოს, და უოველსა საქმესა შინა მისანდონი იუწინეთ ჩვენ-გან“. და ესრეთ ესე ბრძანება დააწერინა და განაჩინა, და მოსწერა დიდსა მანგუ-ყაენსა, და წარგზავნა მის წინაშე, ხატა-კოს და ყარაყურუმს, ესენი აქამომდე იყავნ.

ხოლო ჩვენ დაშთომილისა სიტყვისა მიმართ აღვიდეთ. გარ-დამოვიდა-რა მეფე რუსუდან ღიხით, და მივიდა ტფილისად, მიე-კებნეს უოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი, და წარავლინა ძე, თვისი დავით ნოინთა წინაშე, რომელთა ზატივით შეიწინარეს

იგი, და მოსტეს უოგელი სამეფო, წარჩინებულნი და უოგელნი მთავარნი საქართველოსანი, და ესრეთ კვალად ეგო სრული სამეფო ბრძანებასა ქვეშე რუსუდან დედოფლისასა.

კვალად აქაცა ვინებე დუმილი, ვინათ-გან მეგულების საქმისა განსაკრთმელისა მითხრობად. დაღათუ არა საკადრებელ არს თხრობად მეფეთა-თჳს უშვერსა რასამე. რამეთუ იტყვის მოსე: მხილველი ღვთისა, ვითარმედ „მთავარსა ერისა შენისასა არა ჭრქუა ბოროტი“. გარნა ვინათ-გან ესე წიგნი შუა-მდებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა-თჳს, შენდობილ იუავენ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველებას არს, და არა-თუ თვალ-ხმა ვის-თჳსმე. რამეთუ ამათ ჟამთა დაივიწყა შიში ღვთისა და ანდერძი ძმისა თჳსისა, და ფიცი-იგი რომელი აფიცა ძმა-მან მის-მან რუსუდან მეფესა, და განიზრახა ზრახვა უცხო, რათა დაუმტკიცდეს მეფობა ძესა მისსა დავითს, და წარავლინა კაცი საბერძნეთს, სულტანსა უიასდინს, და ასულსა მისსა თამარს წინაშე, რათა ძმის-წული მისი დავით ურმა, რომელ პირველ წარველინა მათდა, რათა ბოროტი რამე უეცნ მას, და მათ არა რაჲ ბოროტი ეუთ, და შეუთვალა აწ რათა ბოროტი უეცნ, წარსწემილონ და მოკლან, და მიერით-გან უზრუნველად ეპურას მეფობა მას და ძესა მისსა დავითს. ხოლო მათ არა ისმინეს ესე, და კვალად სხვა წარავლინა მოციქული ამავე აზრისა-თჳს. ხოლო იგინი არა ერჩდეს. და მესამედ სხვა საუდრებელი წიგნი წარგზავნა, შვილისა და ძმისა მკულელობითა სავსე, და იგინი არცა მასშინ ერჩდეს, და ამის-გან განცვიფრებულ-მან და გულის-წერომით აღვსებულ-მან, დაივიწყა დედობრივი ჯმობა, და ნათესაობა, და ჭსჯული ბუნებითი, და თჳთ შჯლისა სიუჟარული, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ, ვითარმედ „ვითარმედ გულის-წერომა-მან კაცისა-მან სიმართლე ღვთისა არა უვის“. ვითარცა ამანცა კეთილთა ძირთა მოჩნ-მან არა ჭეო სიმართლე და წეობა, დაწერა წიგნი სიძესა თჳსსა სულტანსა უიასდინს თანა, ესრეთ, ვითარმედ: „ამის-თჳს მენება მოკლვა ძმის-წულისა ჩემისა დავითისი, რამეთუ ასულსა ჩემსა და ცოლსა შენსა ძმის-წულნი ჩემი დავით თანა-უყოფვის სიბილწედ. ამის-თჳს არა უნ-



და ასულის ჩემსა მის-თჳს ბოროტი“. ჰი გინება, მკეცთა უმძვინ-  
ვარესი, ჰი მკუჭელობა ოდესმე სმენილთა და კარდასრულთა მკუჭელ-  
ობათა უბოროტესი, რომელი აღასრულა შჯლსა და ძმასა თჳსსა  
ზედა, და მვიწყემულ-მან დედობრივთა და ძმებრივთა ლობობათა-მან.

ხოლო მიიწია-რა წიგნი ესე სულტანს წინაშე, შეის აღშოგოთ-  
და და შევიდა სახლსა სადედოფელსა და უზატიოდ განითრია ცო-  
ლი თჳსი, მოფხურითა თმათთა, და ფერკითა ძლიერად უხეთქნა  
პირსა-მას შეგნიერსა, და ტანი-იგი ზარითი დედოფლისა ფრიადი-  
სა ცემისა-გან სისხლის-ფერ ჰყო, და ხატნი იგი რომელნი სამარა-  
დისოდ აქუნდის სავედრებულად მის წინაშე შეაგინნა და დამუსრნა,  
და უოველნი მის წინაშე მეოფნი მსახურნი და მკევალნი ექსოროს  
ჰყვნა, და რომელნიმე მოსწუვიდნა, და ცოლსა მისსა შინებით უთქ-  
მიდა უწყალოდ სიკუდილსა, უკეთუ არა დაუტოოს ჰსჯული და მუ-  
სულმან იქმნეს. და მრავალნიცა ტანჯვანი შეამთხვივნა, რომლისა  
შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მიერ მომედგრებულ-მან უარ-ჰყო  
ჰსჯული ქრისტესი. რამეთუ აქამომდე მტკიცედ ეპურა სჯული ჰქმ-  
მარიტი. რამეთუ ხუცესნი, და ხატნი და ჯვარნი, წინაშე მისსა  
აქუნდეს, არა ფარულად, არამედ განცხადებულად.

ხოლო ერმა-იგი დავით შეიპურეს, და მრავალნი ტანჯვანი შე-  
ამთხვივნეს, რათა ჰქმმარიტი აღიაროს. ხოლო იგი იტყოდა: „უბ-  
რალო ვარ, მოწამე არს ღმერთი. დადათუ აწ ესე ცილი დამწამა  
მამიდა-მან ჩემ-მან, და საჯერებულად არს თქვენს წინაშე, კარნა სა-  
ქართულელსა ბრალისა და შეცოდებისა-თჳს ექსოროს მეო, და სი-  
კუდილი ჩემი გამცნოთ. აწ იხილე, მოწყალეო და მდალო სულტა-  
ნო, რამეთუ აღრით-განვე ენება ჩემი მოკუდილება და მკუჭელობი-  
სა ჩემისა გული აქუნდა“. ესე ვითარცა ესმა სულტანსა, მცირედ  
ვიდრემე ლობიერ იქმნა, და მაშინ სიკუდილი არდა-რა ინება მი-  
სი, განკებითა ზეგარდამოთა, რამეთუ მსჯავრნი და განგებულებანი  
ღვთისანი გამოუკულებულ არიან, ვითარცა წერილ არს. „ვინ ჰსცნა  
გონება უფლისა, ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას“. კარნა არავე  
სულიად დამშვიდნა გულის-წერამა სულტნისა, რამეთუ ვითარცა  
აღითა მძაფრითა ეტყინებოდა გული მისი. ამის-თჳს მოუწოდა მე-

ნავეთ მოძღვარსა, და მისცა ღვთით კელთა მათთა, და ამცნო რათა წარიყვანონ ზღვად, და შთაგდონ სიღრმეს ზღვისასა. ხოლო უკეთუ არა ჰყონ ესე, იავარ იქმნენ იგინი, სახლითა და დედა-წუღითა მათითა, და იგინი ბოროტად მოისრენ, ხოლო მენაჴეთა-მათ წარიყვანეს და შთასვეს ნავსა, და მიმართეს ჰელაგონად <sup>1)</sup>, და მიიწივნეს სიღრმედ დიდად განშორებულად ქვეყნისა-გან, და ენებათ შთაგდება ღვთითისი. მაშინ ეგედრა მენაჴეთა, რათა ილოცოს მცირედ. ხოლო მათ ღრო სცეს, ვითარ აღდგა. და აღმოიღო უბეთა-გან ხატი უოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა. რომელი ვედრების სახედ დახატულ იყო, და მარადის თანა აქუნდის, და მისა მიმართ აქუნდის სასოება, ესე დაიდგა პირსა და თვალთა, და ცრემლნი სიმწარისანი გარდამოსთხივნა, და თქვა: „უოვლად-წმიდაო დედოფალო, დედაო მკნეღისა ჩვენისა იესო ქრისტესო, ცოდვილთა შესავადრებელო და ნუგეშინის-მცემელო, შენ შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინის-მცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უმსჯავროდ სიკუდილისა, რამეთუ სამარესა და მიწასა შინაცა დაფლვად არავინ ღიკს მეო, რამეთუ საჭმლად თევზთა მივეცი, და საფლავი ჩემი არა საცნაურ იქმნების. არამედ მოწყალებათა შენთა მინდობილი ვითხოვ უკანასკნელსა ამას ოხჯანსა <sup>2)</sup> შინა, რათა მიხსნა ჰუერის მცველთა კელთა-გან და საშინელთა-მათ სატანჯელთა-გან, რომელსა მივლიან ჩემებრ ცოდვილნი და ბრალეულნი“.

ამას და ამისსა უმრავლესსა ილოცვიდა ღმობიერად, და ცრემლთა მწარეთა მომდინებელი. მაშინ აღჴკად-ეს შესამოსელი, და ხატი წარუდეს, რომლისა-თჳს ეგედრა ღმობიერად, რათა მისცენ ხატი-იგი უოვლად-წმიდისა, და რათა თანა აქუნდეს. ისმინეს მენაჴეთა და მისცეს ხატი-იგი, და დაიკიდა უელსა. ხოლო ვითარ ეგულებოდათ შთაგდება, ერთ-მან მენაჴეთაგან-მან ჰყო წყალობა. განკებითა ღვთისათა, და ვედრებისა ღვთის-მშობელისათა, მცირე რამე ფიცარი მისცა კელთა მისთა, და ესრეთ შთაგდეს ზღვად, ხოლო და-

1) T პელუნგოდ.

2) Arm. վահան, cf. p. 387.

ვით მოეხვია ფიცარსა-მას, და მოჭბერა ქარ-მან. ძლიერ-მან, და მუის უჩინო იქმნა თვალთა-გან მათთა. და მიმოქმენდა ფიცარი-იგი ურმითურთ ღელვათა; ვითარ კიდობანი ნოესი, და მუის განაგდო კმელად. იხილა იგი ვაჭარ-მან ვინმე მკზავრ მომავალ-მან და მიაუღინა მან მცურავი, რამეთუ ჯერეთ შჯრსდა იყო ქვეყანისა-გან, ვითარ უტევან ერთ, და მოიყვანა ვაჭარსა-მას-თანა. მუის შემოსეს და საზრდელი მოართვეს და ნუგეშინის-ცეს, და განძლიერდა-რა სიმშლიისა და წყურვილისა-გან შეიწრებულა, რამელი თქალთაცა კამკამებად ძლით ეძლო, მაშინ იწყო კითხვად ვაჭარ-მან მან მიზეობა შთაგდებისა მისისა ზღვად. ხოლო მან ყოველივე ზემო-წერილი საქმე აუწყა, რამლისა-თჳს განიხარა ვაჭარ-მან მან, და სახლად თჳსად წარიყვანა, და იწყო ზატივის-ცემა. ვითარცა საყვარელსა შჯრსა, ესრეთ ფუფუნებდა, დაჰყო მას ვაჭარსა თანა ექმნი თვე ოდენ, და გააცხადნა საქმე ესე ყოველთა შორის, ვითარმედ ვაჭარსა ვისმე ზღვასა შთაგდებულა ქართუჭლთა მეფისა ძე უზოფნიეს, და მიიწია სიტყვა ესე სულტანსა უიასდინს თანა. მაშინ ადივსო გულის-წერამითა, მუის წარუღიხნა მკედარნი, და მოაყვანიხა ურმა-იგი დავით, და მენავენი იგი ზერობილ ჰქუნა, და სიკუდილსა აქადებდა. „ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ქმნებითა“. ხოლო ისწავეს-რა ვაჭრისა-მის-გან ზედა მიწევნით ზღვით გამოყვანება, და შორს ყოფა ადგილისა-მის სადა შთაეგდოთ, და რამელსა ნაზირსა გამოიყვანა ურმა-იგი, მენავენი იგი განუტეგნა.

ხოლო დავითისა-თჳს არავე დასცხრა გულის-წერამად, არამედ, ვითარცა ჭეროდე, შესძინა ძვირი ძვირსა ზედა, და კაცის-კლვა კაცის-კლვასა ზედა, და უბოროტესი სატანჯველი განაჩინა. რამეთუ იყო ჯურღმული ღრმა, რამელსა შინა წყალი არა იყო. ამას შინა იუშნეს გველი შთაყრილნი, ასპიტნი წამლიანნი, სავსენი გესლითა მაკუდიანებელითა, და ჯოდი დიდი ზედა ეღვა, და იყო ყოველად უნათლო მღვიმე-იგი, და მწარისა სიკუდილისა ღირსთა მას შინა შთაგდებდიან<sup>1)</sup>, მას შინა ბრძანა უიასდინ შთაგდება ურმისა-

1) T ესრეთ მწართა სიკუდილითა მოჰკლვიდა.



სა-მის დავითისი. და ვითარ წარიყვანეს დავით, თანავე აქუნდა ხა-  
ტი-იგი. აღიღეს ორმოსა მის-გან ქვა-იგი და მას შინა შთააგდეს,  
და ლოდო-იგი ზედა მიაგორვეს. ხოლო დაიწვა ღმერთ-მან, ვითარ-  
ცა ღანიილ ჰირისა-გან ლომთასა, ეგრეთვე ესე შეკეტა-მათ-გან გეს-  
ლიანთა. ამ დავითის ერთი ურმა ჰირველვე თანა წარტანებულე მა-  
მისა მათისა ლაშა-გიორგისა-გან ეახლნა, ნათესავით რფოთი, სახე-  
ლით სოსნა<sup>1)</sup>, რომელი-იგი ფრიად უეფარდა. ესე შეუდგა რა-ჟამს  
შთააგდებდენ ჯურღმულსა-მას, და დაისწავა ადგილი იგი, და რა-  
ჟამს დაუტევეს კაცთა-მათ სულტანისათა, მივიდა სოსნა, მცირედ  
შესთხარა, ჰირის-პირ კერძ, და წარვიდა ქალაქად. მიმფიდიდლის  
და ითხოვდის ჰურსა, წარიდის და იღუმალ შთაუგდის ჰური, და  
ესრეთ ზრდინ ხუთ წელ. ორი გუდა ჰქონდის სოსნას, ერთითა  
ჰურსა, და ერთითა წყალსა შთაუკიდებდის საბლითა ურმასა-მას. ხო-  
ლო მიწვის-რა<sup>2)</sup> ძილად ურმა-იგი დავით, გველნი-იგი რომელიმე  
უელსა მოეხვეოდეს, რომელიმე ფერკსა, და სხვანი უბესა, სხვანი  
გვერდსა უწვიან. და ვითარ ეძინა დღესა ერთსა, გვერდისა ქცევასა  
შინა მკრითა დაჭირა გველსა ერთსა, და ატკივნა, რომელ-მანცა  
სასტიკად უკბინა მკარსა ზედა დავითს. და ვითარ სიმწარისა-გან  
ძლიერად ემა ჰყო დავით, სხვანი იგი გველნი მოუკდეს, და დაჭ-  
რეს გველი იგი მკბენელი დავითისი, და იწეეს ლომსად წელუღთა-  
მათ ურმისათა, და მუის განჰკურნეს, და გველი-იგი შეჭამეს გველ-  
თა-მათ. ესრეთ საკვირველებით განაჩინა ღმერთ-მან უფლისა-გან  
წარსაწუმენდელისა, რომელიმე მოწივნეს მას ზედა.

რამეთუ ესრეთ განიზრახა მეფე-მან რუსუდან, თავით თვისით  
დამტკიცება მეფობისა ძისა თვისისა-თვს, არა მოხსენებულ-მან სიტყ-  
ვასა წინასწარმეტყველისა ისაიასსა, რომელსა იტევს. „და მოხედ-  
ნეს უფალ-მან გონებასა-მას ზედა დიდსა მთავარსა ასურსატანისა-  
სა<sup>3)</sup> და სიმაღლესა-მას ზედა დიდისა მთავრობისა მისისასა, და

<sup>1)</sup> T სასონ, plus bas სოსან.

<sup>2)</sup> T დაწვს.

<sup>3)</sup> T სულტანისასა.

სიმიდრქეს თვალთა მისთასა. რამეთუ თქვა: ძალითა კელთა ჩემ-  
თათა ვუფ, და სიბრძნითა გულის-ხმის-უფისა ჩემისათა მფაიზურნი  
სა<sup>1</sup>დვარნი თესლებისანი, და ძალი მათი წარმოვიდო, და შევსძინე  
დამკვიდრებულნი, და სოფელი უფველი დავიზურა. ვითარცა მართ-  
ვნი, და ვითარცა კვერცხი დაშთომილი ადვიბუნე, და არა-ვინ იუფს  
რამელი განმერნეს მე ანუ სიტუჟა მიგოს. აწ უკუ<sup>1</sup> იდიდოსმეა  
ცული თზნიერ მკვეთელისა, ვითარმცა თავით თზსით ჰკვეთდა, ანუ  
ამადლდეს ხერხი თზნიერ მზიდველისა მისისა. ეგრეთვე ვინ აღი-  
ლის შეშა გინა კვერთხი. არა ეგრეთ, არამედ მოავლინოს უფალ-  
მან საბაოთ შენსა-მავას ზატოისნებასა ზედა უზატოება; და დიდ-  
ბასა შენსა ზედა ცეცხლი ადგზნებული აღატუდებოდის“. ვითარ აღეს-  
რულა ზატოისნისა მეფისა რუსუდანის ზედა. რამეთუ სირცხვილ  
მიჩნს კადრებად, და კვალად დუმილად ვერ მიძლავს, რამეთუ უზა-  
ტოი ჰყო თავი მისი, ბოროტითა ამით კელ-უფოთითა. არამედ განა-  
ქარვა დმერთ-მან განზრახვა მისი, ვითარ ზრახვა აქიტოფელისი  
დავითის-ზე. არა <sup>1</sup>) გულის-ხმა-ჰყუნა თქმულნი-იგი წინასწარმეტყვე-  
ლისა. „უფალ-მან განაქარვნის ზრახვანი კაცთანი, ზრახვა-მან სად-  
თო-მან, ვითარცა მისეს-ზე თარაოსი, და განერა კელთაკან მის-  
თა“. და კვალად ვითარ განერა დავით საულისა-გან, და ცუდ იქმ-  
ნა განზრახვა მათი, ეგრეთვე შენი, ჰი კეთილთა ძირთა მორჩი,  
დედოფალთ დედოფალთ და მეფეთ რუსუდან. რა ჰყავ, ანუ რაჲ  
მოივარკრე, იხილე რამეთუ ხუთისა წლისა უამნი დაუქნა ულხინებელ-  
თა ამთ ჭირთა შინა, ჯურდმულსა ღრმასა, კველთა თანა, იგი გა-  
ნერა ზეგარდამოთა განკებითა. ხოლო შენ განსვენებასა და სუფე-  
ვასა შინა მეფოი, დ- ტანტსა ზედან მჯდომი, მრჩობლ განეკვი  
ცხოვრებისა-გან, ვითარ ქვემოთ სიტუვა-მან საცნაურ ჰყოს.

ხოლო ჩვენ ზირველსა სიტუვასა ადვიდეთ, მოიწია-რა მეფე  
რუსუდან ტოფლისს, და ძე მისი დავით ნოინთა წინა წარავლინა,  
ხოლო მათ ინებეს დავითისა დიდსა უაენს ბითოს წინ წარვლინება,

1) Ce qui suit, jusqu' à la fin du §, est différemment rédigé dans le M-it T et très encoorrect.

და მიერ უკრეურუმს, მანგუ-ყაენის წინა. და ვითარ სცნა რუსუდან წარვლინება ძისა თვისისა უცხოთა ნათესავთა შორის, უცნაურთა და შორთა ქვეყანათა, ტკივილითა და უზომოთა მწუხარებითა შეიცვებოდა და დაუწყევდელთა ცრემლთა მოადინებდა, და მობინებებდა რა-იგი ჭეო ძმის-წუღსა თვისსა დაფითის ზედა. ვითარ ექსოროია ჭეო, ეგრეთვე თათართა წარვლინეს ძე მისი, ვითარ ექსოროიად წინაშე ბაითოსა. ვითარ არდა-რა იყო ღონე, წარვიდა ნარინ-დაფით, და წარუვეს ცოტანი ვინმე, თანა შეზდილნი. ქართლის ერის-თვს გრიგოლის სურამელის შვილი ბეგა, გურკელელი მახუნჯაგის ძე, ამირკეჯობი ბეშქენ, და თვალნიცა ორნი თანა წარეტანებინეს იღუმალ, ძვირ-სათვასონი, და წარვიდეს შემდგომად კვალსა ავაცისსა, და ხლათის სულტანისსა, რამეთუ ზირველად იგინი გაგზავნეს თათართა. და მიიწივნეს წინაშე ზემო-ხსენებულის ბითოსა, რომელ-მან კეთილად ისტუმრნა, და ორისა წლისა ყამსა თანა იპყრა ნარინ-დაფით, და მერმე წარვლინა ჩინმაჩინს და უკრეურუმს, მანგუ-ყაენს წინაშე, რომელი მიიწია-რა, კეთილად შეიწინარა, და ავაცს შეეყარა, რომელი ზირველ მოსულ იყო მუნ, და მის-თანა იყოფოდა, და ყაენი კეთილსა უყოფდა მას.

აწ ოთხთა ამათ ნოინთა მოიგონეს ბოროტის ყოფა აღმუთელთა, რომელი შეამთხვივნეს. ზირველად აღიმკედრეს მათ აღმუთელთა ზედა, თანა წარიტანეს ქართველნი, და მათ-თანა აბრძოლებდეს მტერთა მათთა ზედა, და წარმოუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა მისცეს საქართუზლადამ ლაშქარი კმა-საყოფელი აღმუთსა ზედა. მას ყამსა მეფე რუსუდან ტკბილისა შვილისა თვისისა ჩადვლითა და ტკივილითა მწარედ ილეოდა, დასწეულებული გარდაიცვალა ტფილისს, ქორთნიკონსა უნა, და წარიეყანეს მთავართა, დიდითა ჰატივითა და გლფითა, და დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა, მონასტერსა გელათს. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ესე ამბავი სხვას ქორთნიკონში ვიძრეთ, ამიტომ ასე დავსწერეთ. ამ ქორთნიკონსა მოკუდა რუსუდან მეფე, მოკუდა ფიარუს ფოლად, ამოსწყვიდნა სრულიად სამეფონი, და არა-ვინ იპოვა გამელენი. ამა დროსა ალასტანელის შვილი დაფით მეფე მოვიდა ყაენს წინაშე, მეფობისა გამოსათხოვარად, ვიდრე იქით მობრუნდებოდა მოკუდეს თათარნი რა სრულიად სამცხის სახლი გარდაავლინეს: Note de mon M-it.



და გაკდეს ქართულნი უნუგეშისცემოდ, და უმეფოდ, და არ-  
ღარა-ვინ იზოვებოდა ნათესავი მეფეთა. რამეთუ ერთი ღვით ს-  
ბერძნეთს წარველინა, ყიასდინს თანა, რათა წარსწემადას, და მე-  
რე ღვით, რომელსა ნარინ-ღვითობით უკობდეს, უარაუურუმს წა-  
რეგზავნა, და არა უწეოდეს თუ-რა შეემთხვია. ამის-თჳს თჳთოეული  
თავადი თავისა თჳსისა-თჳს გააკებდა, და ზრუნვიდა, რამეთუ თჳ-  
თოეული ერის მთავარი მათსა ხვედრსა ნოინსა შეუდგა, რამეთუ  
პირველვე გაუოფილ იუჴნეს ნოინთა მიერ, და განჩინეს თათართა  
ბევრის მთავარი, რომელსა დუმნის მთავრად უწოდდეს, და გამ-  
ორჩიეს. პირველად ეკარსლან, ბაკურციხელი, კაცი ღრმად შოუბარი,  
მკნედ მეომარი, და არას სჯიონლისა ჰატრანი. ამას მიათვალეს  
ლასქარი ჭერეთ-კახეთისა, კამბეჩიანასა, ტფილისით გან აღმართ  
ვიდრე მთადმდე შამახისა. და შანშეს კელთ-უდგეს მამული მისი  
და ავაგისი. ვარამ გაკელსა კელთ-უდგეს უოველი სომხითი. გრი-  
გოლ სურამელსა, ქართლი, და თორელსა გამრეკელსა მსჯავსადვე  
ეკარსლანისასა სჯაბუკოთ შინა, კელთ-უდგა ჯავახეთი, სამცხე და  
აღმართ ვიდრე კარნუქაქადმდე. ხოლო ცოტნე დადიანსა და რა-  
ჭის ერის-თავსა უოველი იმერი სამეფო.

და ესრეთ განჩინეს თათართა, და განიუვანეს უოველი სჯა-  
რთველო, და წარვიდეს აღმუთს ბრძოლად, და ქართველნი თანა  
წარიტანეს, და განიუვეს ორად. ნახევარი ერთსა წელსა. და ნახევა-  
რი ერთსა წელსა იუჴნიან აღმუთს. ხოლო შვიდ წელ განგრძელდა  
ბრძოლა აღმუთისი, რომელნი არიან მიზარვით კაცის მკჴდელნი,  
რომელთა მულიდად უკობბენ. ამათ ებრძოდენ მრავალ ჟამ ესე ზე-  
მღ-სენებულნი ნოინნი, ქარმადან<sup>1)</sup>, ჩადატარ. იოსურ და ბიჩვის,  
მრუწეინებულად ზამთარ და ზაფხულ, და მათ-გან განუოფილნი ქა-  
რთველნი, თჳთოეული ხვედრსა მისსა იახლიან. ნახევარნი ერთსა  
წელიწადსა ადგიან, და ნახევარნი მეორესა, და ამა წესითა აბრძო-  
ლიან, დღესა ერთსა წარმოგზავნეს აღმუთელთა მულიდი ერთი, კე-  
ლოვანი. მოვიდა ღამით, და მოკვარა მცველთა ჩადატარ-ნოინისა-

1) T ჩარმლონი.

თა, შევიდა კარავს მისსა, და მძინარესა განაწონა გულსა მახვილი  
ერთი, და მოკლათ იგი, რომელ ვერა-ვინ აგრძნა. და ვითარ განთენ-  
და, იხილეს კარვის მცველთა ჩაღატარი <sup>1)</sup>-ნოინი მოკლული. იწეს  
ტირილად, და ტუებად, და ვაებად. და ვითარ ესმა სხათა ჩაღატარ-  
ნოინისათა, მირბიოდეს და იხილეს-რა მათცა მოკლული, იწეს ვა-  
ება და ტირილი, და არა უწუოდეს თუ ვითარ, ანუ ვის მიერ მოკ-  
ლულ იყო. მაშინ თქვეს ყოველთა, ვითარმედ „ვინათ-გან ქართველ-  
ნი დიდსა ჭირსა და სასჯელსა შინა არინ ჩვენ <sup>2)</sup> მიერ, ამის-თვს  
მოკლეს ქართველთა“. ამას ყოველნი უცილობით დამტკიცებდეს,  
თვნიერ ქარმადან <sup>3)</sup>-ნოინისა კიდუ, რამეთუ იგი იტყოდა: „დასწენარ-  
დით, კაცნო, რამეთუ არა არიან ნათესავნი ქართველთანი კაცის  
მკუთლენი, და არცა სჯული უძსთ ესე-ვითარისა საქმისა ქმნად“.   
ხოლო იგინი, აღშოფოთებულნი, სიკუდილისა-თვს ზატრონისა განძ-  
ვინებულნი, წარმოემართნეს ბანაკისა მიმართ ქართველთასა, რამეთუ  
მასობელად ჩაღატარ-ნოინისათა დაბანაკებულ იუვნეს. და ვითარ  
მომართეს, განკჭრთეს ქართულნი, და უღონობასა მოეცვნეს, და  
არა უწუოდეს რამცა ვეგეს. ხოლო ზოგნი ომისა მიმართ განემზა-  
დებოდეს, და ზოგნი აყენებდეს, რამეთუ უმცირეს იუვნეს მათსა.  
მაშინ გრიგოლ სურამელი, ქართლისა ერის-თავი, იტყოდა: „არა  
არს, ძმანო, უამი ბრძოლისა, რამეთუ ჩვენ მცირენი ვართ, და ესე-  
ნი უმრავლესნი არიან. და უკეთუ ბრძოლა ვყოთ, ყოველთა მოგუწუ-  
ვადენ, დიდით მცირემდის, და უკეთუ არა ვებრძვით, მე ვგონებ  
ჩვენ უთავადესთა მოგუწუვადენ, და ამა ლაშქართა არდა-რა, და უმ-  
ჯობესცა არს, რათა ჩვენ ოდენ მთავარნი მოგუწუვიდნენ, და არა  
ყოელი ესე სიმრავლე მოისრნენ. გარნა შევრდომა ღვთისა ჯერ არს,  
რამეთუ არა-ვინ არს მსხნელი ჩვენო, თვნიერ იესო ქრისტე, ძე  
ღვთისა, და ყოვლად-წმიდა მშობელი მისი, მარადის ქაღწუელი მა-  
რიამ, რომელი-იგი მარადის მცველი არს მოსავთს ძისა მისისათა,

1) T écrit toujours ჩაღატ, ou ჩაღატა, qui vaut mieux.

2) T ჩვენ მოალთა-გან, შურით ქართველთა მიერ მოიკლა.

3) T ჩარმდნ.

და უმეტეს ჩვენ ქართულთა ნათესავისა. აწ უფველთა სამ-სამი მუკელი მოვიდრიკით, შევრდომითა უფვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა მიმართ, და რამელთა უწეით ვთქვათ შესხმა ესე მასი. მოწყალებისა კარი განვიდე, კურთხეულა ღვთის-მშობელა, და შემდგომი“ და ვითარ აღასრულეს ლიტურჯა ესე, სავედრებელი უფვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა, მოახლებულ იუვნეს თათარნი იგი, უწულად დასაკრცლად ქართულთა. მასინ გამოვიდა კაცი ერთი ლელწმომანით, რამელსა აქუნდა ლახვარი წდული კელთა, შებლაღული სისხლითა. ლახვარი-იგი აღიხურა ზე, და ძლიერად ჭხმობდა: „მან ქუშტემ ჩაღატარ“. რამელ არს ენათა სხარსულითა, „მე მოვკალ ჩაღატარ“. ვითარ იხილეს თათართა, მუის მიეტყვენეს. ხოლო იგი ივლტოდა ლელწმომანთა მიმართვე, ხოლო მათ შერუდეს ცეცხლი ლელწამსა, და გამოიუვანეს კაცი-იგი ლელწმით, და მოიუვანეს ქარმაღან<sup>1)</sup>, იოსურ და ბიჩვის წინაშე. ხოლო იგინი ჭკითხვიდეს: „ვითარ მოაკვდინე ჩაღატარ-ნოინი“. ხოლო უთხრა: „მე ვარ მუღიდი, მუღიდა შორის საჩინო. მათ მუღიდა მომცეს ცქროფრიადი, წარმომკზანეს თქვენ ოთხთა-გან ერთისა რამელსამე მოკვდინებად. წარმოვედ და მოვედ, დამით მოვკალ ჩაღატარ-ნოინი, და დავიმალე ლელწმომანთა შინა<sup>2)</sup>“. და იგინი ეტყოდეს: „რამე მომიხევი გამოსვლისა შენისა და უივილი მადლად, სიკუდილი დიდისა ნოინისა, ვინათ-გან დამალულ იუავ“. და კვალად მუღიდი მიუკებდა: „მე ლელწმომანთა-მათ შინა უკშირესთა და დამალულ ვიუავ, მუის მოვიდა ვინმე სახითა დედა-კაცისათა, სიტურთვე-აღმატუბული, და მრქნა მე: რა-ესე ჭქმენ, კაცო. შენ მოკვალ კაცი-იგი, და აწ მრავალნი უბრალონი სულნი შენ ძლით მოისრვიან, და მე მიუგე შიშით: რა ვქეო, დედოფალა, ხოლო მან მრქვა: აღდეგ და შემომიდეგ მე, და მივედ და ესრეთ თქუ: ვითარმედ მე მოვკალ კაცი-იგი და განარინე ურიცხვი სული სიკუდილისა-გან, ხოლო მე მსწრაფლ აღვსდეგ, და შეუდეგ მას, და მან მომიუვნა თქუტხს წი-

1) T ჩორმოლონ.

2) La rédaction de T est plus courte.



ნაშე, და მე ვითარ კმა ვჭყუავ, და თქვენცა მიხილეთ, უჩინო იქმნა დედა-კაცი-იგი, და უწუი ვინა მისრულ იყო. და აჭა მე ესე-რა ვარ წინაშე თქვენსა“. ხალხ ვითარ ესმათ სიტყუა ესე თათართა, კაცი-მის-გან, ფრიად განჭკვიდრეს, და კაცი-იგი მუდითა კრძლითა ორად განჭკვეთეს, ესრეთ იკსნა ერი თჳსი უფლად-წმიდა-მან ღვთის-მშობელ-მან უმსჯავრესა-მის-გან სიკრდილისა. ვითარ ოდეს-მე იკსნა ქალაქი-იგი კოსტანტინოპოლი, რა-უამს-იგი ბარბაროსთა მძვინვარედ გარე-მოცევა, მკედარ-მთავრობასა სარვანოსსა<sup>1)</sup>. და მძვინვარედ აღდგომასა ხალხს, სკვითთა მთავრისსა, ვითარ დაანთქნა მბრძოლნი მისნი ზღვად ქალაქისა მისდა მინდობილისანი. რამეთუ აღდუნა ზღვა, და განდნა ძივთი ნავისა და დაინთქნეს მძვინვარედ, შეწევნითა უფლად წმიდისა ღვთის-მშობელისათა, და კმეულეთსა ზედა მუროფთა აწვიმა ცეცხლი, ვითარ ძველ ოდესმე სოდომელთა ზედა. ამათ საკვირველებათა არა უდარეს ვგონებ, ვითარ აწ იქმნა მსწრაფელი და ანაზღათი კსნა ქართუჭლთა უფლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა მიერ. გარნა ვინმე შეუძლოს დიდების მეტუველებისა მიერ სამადლობელი შესხმა საკვირველებისა ამისთჳს, რომელ დაიცვა ურიცხვი სული ქართუჭლთა ნათესავისა უფლად უბიწო-მან სიტუვისა ღვთისა მშობელ-მან, ღვთაებისა და კაცებისა ერთ-გვამად შემკურთებელ-მან ორთა შინა ბუნებათა, ღმერთად სრულად და კაცად სრულად, ორითა ბუნებითა და ორითა ნებითა შეურევნელად.

ხალხ ამის უბიწოსა-გან დაცულნი ქართუჭლნი დიდსა ჭირსა შინა იუჳნეს თათართა-გან. რამეთუ მიმდები და მოუწუინებელი ბრძოლა აქუნდათ აღმუთელთა მიმართ, და ქართველნიცა თან ახლდიან, და ორად განუოფილნი იუჳნიან, ვითარცა ზემოცა ვთქუე, თჳთოეული ერის მთავარი თითოსა ნოინსა განესაკუთრიან, და მუდამ გვერდსა იახლნიან. მაშინ ზემო-კსენებული ეკარსლან, კაცი საკვირველი და მკედრობისა ცოდნითა აღსავსე ესრეთ განდიდნა კინიდა და მეფობისა სახელისა დებადმდე, და უოველი ქართუჭლთა ნათესავი ბრძა-

1) T სარკანოსისა.

ნებსა მისსა ჭმორჩილებდეს, ვითარცა მეფესა, და თუთ დიდი და ზატოასანი შანშე, მანდატურთა-უხუცესი, და ვაკამ ჯაკელ, და სხვანი უოველნი მთავარნი.

მათ ჟამთა შინა სხვანიცა ბორბოტნი აღმოსცენდეს. ვითარცა ჭსცნეს თურქთა შამს მეოფთა უმეფობა ქართველთა, და ლაშქართა საქართველთათა აღმუთს უოფა, და უცალოება ქართველთა, შეკრება სიმრავლე ფრიადი, ვითარ სამ-ოცი ათ-ასი კაცი, რომელთა მთავრად და ზატრონად ჭუვა კაცი ვინმე სახელოანი, სახელით ყარა-ხან, და გამოემართნეს საქართველთა მოსაკრებლად, და მოიწივნეს ქვეყანასა ვალაშეკრტისას, რომელი მას ჟამსა ოდენ ადო შანშეს. და იწიეს ოკრებად ვალაშეკრტისა, და რაკს იქით ქვეყანა ვიდრე სურმანადმდე, რომელ იგიცა ოდენ დაეჭირა შანშეს, მანდატურთა-უხუცესსა. ამან ვითარ იხილა ოკრება ქვეყანათა-მათ, უბრძანა სპათა თუსთა და ავგ ათაბაგისთა, და შეკრბა მეომარი ოც-და-ათი ათ-ასი რჩეულადმკედარი. განვლეს რაკსი, და მივიდეს ვალაშეკრტს, სადა იგი დაებანაკა ყარა-ხანს. ხოლო ვითარ მიიხლნეს, დაწივეს რაზმი და მიეტევენს ერთმან-ერთსა. ხოლო შანშე უპირატეს უოველთასა მიეტევა, რომელ-მან ორგლითა განჭვირია თურქი ერთი სახელოვანი. იქმნა ომი ძლიერი, და მოსწიდა სიმრავლე ურიცხვი სპათა-გან თურქთასა. ხოლო სპათა-გან შანშესთა კეთილად დაცულ იქმნეს შეწივნითა ღვთისათა და ძელისა ცხოვრებისათა, რომლისა მიმართ მიხდობილ იყო. და ვითარ შენივთდა ომი, იძლია ყარა-ხან და სპანი მისნი, და იფლოდეს შეუქცევლად. მაშინ დევნა უევეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტევე ჭუვეს სიმრავლე ურიცხვი, და ადივსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლეშითა, ბარგითა და ურიცხვითა ალაფითა. ესრეთ სახელოვანნი და გამარჯვებულნი მივიდეს ანისს, სახლსა და ტახტსა თუსსა.

გარნა ვინათ-გან განითქმოდა უოველ-გან უმეფობა საქართველთა, აღიძროდეს უოველნი ნათესავნი ოკრებად ქართულთა. მაშინ აღიძრეს საბერძნეთს მეოფნი თურქმანნი, და სულტანი ეზინკისა, და სხვათა ქალაქთა შინა მეოფნი ამირანი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი, და წარმოემართნეს საქართველთა. ხოლო ვითარ

ცნეს ტაოელთა შავშ-კლარჯ-კოლა-არტან-კარნიფორელთა, განჭკრთეს და წარმოავლინეს კაცი სამცხეს, ვვარუვარე ციხისჯვარელ-ჯაუელსათანა, რათა შეეწიოს, ხელთ მან მოუწოდა ყოველთა მესხთა ერისთავთა და ყოველთა სპათა მისთა, და შეკრბა მკედარი, ვითარ ათი ათ-ასი, და წარმოემართნეს. ხელთ იგინი მოსრულ იუწნეს ბანასა და გარე-მოსდგომოდეს, რამეთუ ოლთისნი და ბუღათა-ყურნი მათ აქნდეს, და აკრებდეს ტაოს. მაშინ წინამძღვარ ექმნა სპათა მესხთა ვვარუვარე, და მოვიდეს თავსა კალმახისსა. ვითარ ესმა თურქმანთა მისვლა მესხთა, აღიჭურნეს იგინიცა, რომელთა თავად ჭევეს აღთუხან და ორხან, აქათ მესხნი ჩავიდეს მინდორსა-მას, რომელსა ეწოდების ავნის ვაკე, და შეკრბეს ურთიერთას, და იქმნა ომი ძლიერი და სსტიკი, და ბერძენნი და თურქმანნი არა გარე-უკუნ-იქცოდეს, მინდობილნი სიმრავლისა-თვს, და ეგრეთვე მესხნი, მინდობილნი სიმკნისანი, არა გარე-უკუნ-იქცეს, რამეთუ ძლიერად ბრძოდეს. რამეთუ კაც-მან ვინმე აზნაურ-მან ერთსა კაცსა თურქმანსა მუზარადიანსა თავი ორად გაუზო და მოკლა. და მეორესა ორხანის მკნეთაკანსა ზურგსა უხეთქნა. თუცა ჯაჭვი ვერ გაუკეთა, არამედ ზურგის მძივი დაამტვრია, და ქვე დააკვეთა მკუდარი. და ესრეთ გაკრძელდა ომი, და ორგნითვე მოსწყდა ურიცხვი. ძლიერნეს ბერძენნი და თურქმანნი, და იწყეს სიფლტოლად. მაშინ ქართუზელთა დევნა უვეს, და აღიდეს ნატუვენავი ურიცხვი, და სიმდიდრე აურაცხელი და ესრეთ გამარჯვებულნი და სავსენი მოვიდეს სამცხეს, და ესე-ოდენ განემარჯვათ რომელ ესე-ვითართა სპათა შორის არავინ მოიკლა სხელ-დებული კაცი მესხი. ხელთ ამას ომსა უწოდეს ბანის-ჯვარად, რომელ სიმრავლისა მათისა-თვს ძლით დაეტივნეს ბანას, ავნის ვაკესა. და ვითარ იქმნა ესე, ამან სამცხისა სპასალარ-მან ვვარუვარე წარავლინა ძის-წულნი თვსნი, ივანე, რომელსა ეწოდება შაჰა, და უმრწემესი მისი სარგის, რომილნი იუწნეს ძმანი ძლიერი და მკნენი უმეტეს ყოველთა, წყობათა შინა უშიშნი და შემართებულნი. ებრძოდნეს ოლთისთა, და აღიდეს ოლთისნი, და ბუღათა-ყურის<sup>1)</sup> ციხე. ძლიერად განმარჯვებულნი და ნამძარნი ომით

1) T ბალთუყურის.



დიდთა შინა, მოიქცეს მშვიდობით, რომელთა ზრდა ზრს აწ აქ უამი მითხრობისა <sup>1)</sup>.

ხოლო ამა შოგოთთა რა შინა იყო ქვეყანა საქართველოსა, შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი თავსა კახტისასა, იმერნი და ამერნი. შანშე, ეგარსლან, დადიანი ცოტნე, ვარამ გაგელი; უვარე, კუზრო შოთაჲ და ყოველნი ჰერ-კახნი, ქართუშლნი, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი. ყოველნი იტყოდეს: „რამე ვუთ, რამეთუ არდა-რა არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა. ჩვენ ერთი ერთისა-გან განვდგომილ-კართ, და ვერ ძალ-გვიძს წინა-ადგომად თათართა. და იგინი ბოროტად გვაჭირებენ ჩვენ, და ყოველთა წელთა აღშუთს წაგვასხმენ, ყოველთა ჭირთა და ბოროტთა შესამთხვეველად. და არა არს ღონე ჩვენი, და ჩვენ უმეფონი ვართ. აწ შევკრბეთ ყოველნი, და ვებრძოდეთ თათართა“. და დააპირეს ომი, და დადგეს ჰემანა ქართლს შეურისა. ამას ზედა განიყარნეს უშორეს მეფონი აფხაზნი, დადიანი ცოტნე; ბედიანი, კაცრი კეთილი და სრული ყოვლითა საღმრთოთა და საკაცობოთა და რაჭის ერის-თავი. ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად, ესმა-რა ესე თათართა, ერთათ შეკრება ქართუშლთა, წარმოვიდეს ბიზვის და ანგურკს, და მოვიდეს კახტას თავსა, და ესე ყოველნი მთავარნი და თავადნი საქართველოსანი მუნვე იუზნეს გაურელები, და ჯერეთ დაშქარნი არა შეეყარათ. და ამის-თჳს ვერდა-რა წინა-ადუდგეს, სიმცროსა ბედითა. მოუკდეს და დაიპურნეს, და წარასხნეს ანისის ქვეყანასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიწივნეს ქარმაღან <sup>2)</sup>-ნობის წინაშე, ჰრქჳა მათ. „რამა არს მიზეზი შეკრებისა თქვენისა; უკეთუ არა განდგომილება ჩვენი გნებავსთ“, ხოლო მთავარნი მიუგებდეს: „არა განდგომად თქვენდა შევკრებით, არამედ

1) T, au lieu du dernier membre de phrase: მართალ არს მოთხრობა.

2) T ჩორმღანს.

რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი გაგიჩინოთ“. რომელს იგი-  
ნი უწოდეს სარაჯად. ესმა-რა ესე ნოინთა, არა სუღიად ირწმუნეს,  
და ბრძანა განძრევა უოველთა, და მკართ დაკრვა, და შიშველთა,  
მკარ-დაკრულთა, სიცხეთა შინა დასხდომა. და უოველთა დღეთა  
ჭკითხვიდეს მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ, სიკჳ-  
დილსა მისცენ უოველნი-ესე ზემო-კსენებულნი მთავარნი. ხოლო  
იგინი დაუმტკიცებდენ, „რათა გაუჩინონ ხარაჯა“. და ამას უუო-  
დეს მრავალ დღე, და ამა ჭირსა და სატანჯველსა შინა იუჳნეს,  
არცა ირწმუნებდეს სიტყვასა მათსა, და არცა განუტყვებდეს. ხოლო  
ვითარ მოეხლა ჰემანი, მოვიდა დადიანიცა ცოტნე, დაშქრითა,  
მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯჳარი, შორის სამცხისა და  
დაღოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა უოველთა მთავართა საქართვე-  
ლსათა ანისად, და უოველთავე უოფა ბოროტთა სატანჯველთა ში-  
ნა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვსად სიკჳდილად შეკრაცხა საქ-  
მე იგი. წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანი-  
სად, დამდები თავისა თვისისა მეგობართა თვსთა-თვს, მცნებისა-თვს  
უფლისა, ვითარცა იტუვის უფალი წმიდასა შინა სახარებისა. „ამი-  
სა უფროსი სიუვარული არა არს, რათა დადვას კაც-მან სული თვისი  
მეგობართა თვსთა-თვს“. რომელ ჰყო ზატოისანმცა ამან კაც-მან.  
სათნოებს მალაღბ და საკვირველი, და უოფლისა ქებისა ღირსი. გან-  
ჯლო სამცხე, ჯავახეთი, და მივიდა ანისს.

მაშინ ზემო-კსენებულნი ესე ნოინნი ქალაქად შესრულ იუჳნეს,  
და ესე მთავარნი ტუვენი, მკარ-დაკრულნი, შიშველნი მოედანს ში-  
ნა მსხდომარე იუჳნეს. ვითარ იხილნა ესე ცოტნე, წარჩინებულნი  
ესრეთ უზატოოდ მსხდომარენი და სიკჳდილად განწირულნი, კარ-  
დაჭკადა ჰუნისა-გან, და დაბნია სამოსელი თვისი, განშიშველდა, და  
შეიკრნა მკარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ. და ვი-  
თარ იხილნეს თათართა, განჭკვირდეს და მსწრაფელ აუწყეს ნოინთა,  
ვითარმედ „ცოტნე დადიანი მოვიდა, ორითა კაცითა, და განიძარც-  
ვა სამოსელი, და შეკრული დაჯდა ქართულთა თანა“. კეთილად  
მეცნიერნი იუჳნეს ცოტნესნი. რომლისა-თვს განჭკვირდეს თათარნი,  
და წინაშე მათსა მიუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისვლი-

სა მისისა, და ამის საქმის ქმნისა რომელ-მან ჰყო, ხოლო იგი ეტყოდან: ვითარმედ „ჩვენ ყოველნი ამაღ შეგვეკრებით რათა განვაცოთ ხარჯა თქვენი, და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ, ესე იყო მიზნობი შეკრებისა ჩვენისასა. აწ თქვენ ძვირის მოქმედად შეგვრაცხებით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქვენსა, რათა გამოვიკითხოთ, და უგეტუ ღირსი რამე სიკუდილისა გვიქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე. და უგეტუ უბრალონი იუწენეს, მეცა უბრალოდ შევირაცხა, და მართალ თქვენ წინაშე, რამეთუ თვნიერ ჩემსა არა-რად უქმნიესთ“. და ვითარ ესმა ესე ცოტნეს-გან ნოინთა-მათ, განჰკვირდეს სათნობისა-გან მისისა და თქვეს: „ვინათ-გან ნათესავნი ქართუშლთანნი ესე-ოდენ კეთილ არიან, და არა ეცრუებიან ერთი ერთისა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, რათა დადგას სული თვისი მოყვასთა თვსთა-თვს, და განწირას სული თვისი სიკუდილად, არა არს სიცრუე მათ შორის, და ამის ძლით უბრალოდ ვზავებთ. ამის-თვს განუტეოთ ყოველნი, და ნურღა-რა ვსჯით“. ჰრქვეს ცოტნეს. „განდგომილება ვგონებთ თქვენ ქართუშლთა, და აწ ვინათ-გან ჰყავ სათნობა კეთილად, ყოველი ქართუშლთა შენ მოგანიჭებთ, და შენდა მინდობილ ვართ“. და განუშენეს ყოველნი ესე წარჩინებულნი და წარვიდეს თვს თვსად, და წინა-აღმდგომ იქმნეს ურთიერთას.

მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის საშეფოსანი, რამეთუ ჰრცხვენოდან მთავარ ყოფად მათ ზედა, ეკარსლანისი, არა მათ-გან უგვარჩიანესისა კაცისა. ამის-თვს შეკრბეს შანშე, ვარამ გაგელი, ვვარ-ევარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცრ მეცნიერი და თილოსო-ფოსი, და რიტორი<sup>1)</sup>, სურამელი გრიგოლ, ქართლისა ერის-თავი. თორელი გამრეკელი, ორბელინი, და მრავალნი ერის მთავარნი, და ძიება ევს ლაშას ძისა დავითის-თვს. რამეთუ ეუწყათ ვიეთგან-მე ვაჭართა, ვითარმედ ჯერეთ ცოცხალ არს. გარნა ჰურობილი ჯურღმულსა შინა ღრმასა, გველთა თანა, და ვითარ ჰეშმარიტებით ეუწყათ ესე მთავართა საქართველსათა, წარვიდეს ქარმაღან<sup>2)</sup>, იოსურს,

<sup>1)</sup> Deux mots ajoutés, T.

<sup>2)</sup> T. ხორმალონ.



ბიზნის და ანგურაკს წინაშე, რამეთუ ჯერეთ უაენი არა-რომელი მო-  
სრულ იყო ამა ქვეყანასა. არამედ ესე ზემო-კსენებულნი ნოინნი გა-  
აკებდეს ამა ქვეყანათა, და მოახსენეს: „ვინათ-გან მეფე ჩვენი ნა-  
რინ-დავით წარავლინეთ უაენს წინაშე, არა უწუით თუ-რა შეემთხ-  
ვია, დედა მათი რუსუდან გარდაიცვალა, და არდა-რა არს ნათესავი  
მეფეთა ჩვენთა, და ჩვენ ურთიერთარს დაუმორჩილებელ ვართ, და  
არა ეგების თუმცა დავემორჩილნეთ ვისმე უკეთუ არა იყოს ნათესა-  
ვი მეფეთა. აწ გვასმიეს, თუ არს შვილი მეფისა ჩვენისა ლაშასი,  
სახელით დავით, რომელი დაუტევა ძმა-მან დასა თვისსა რუსუდანს,  
რათა იგი დაადგინოს მეფედ, ხოლო რუსუდან მეფე-მან წარავლინა  
სულტანს თანა, საბერძნეთს, რათა წარსწემიდოს. აწ გვასმიეს ვი-  
თარმედ ცოცხალ არს, და გველთა თანა პატიმრად ჰყავს. და აწ გე-  
ვედრებით, რათა წარავლინოთ ერთი ვინმე სახელოვანი კაცი, და  
ჩვენცა თანა წარუვყოთ, და მოვიყვანოთ იგი აქა, და ჰყოთ ჩვენ  
ზედა მეფედ“. და ვითარ ესმათ ესე ნოინთა, განჰკვირდეს საქმისა  
ამის-თჳ რომელი ექმნა რუსუდან მეფესა. მსწრაფლ წარავლინეს ან-  
გურაკ ელჩად, და თანა წარჰუგეს ვარამ გაგელი და სარგის თმო-  
გველი. და მცირედთა დღეთა მიიწივნეს სულტანსა წინაშე, და აუწ-  
ყეს, ვითარმედ „დავითის ძიებად მოვსულ-ვარდ, რათა მაგვცე და  
წარვიყვანოთ იგი“. ხოლო იგი არდა-რა ჰკონებდა სიცოცხლესა  
მისსა, და ეტყოდა ვითარმედ „ერმა დავით წარმოველინა მეფესა  
ქართუჭლთასა რათა მოვაკუთვინო, და მე მაშინვე სიკუდილად მი-  
ვეც მღვიმესა შინა, გველთა თანა. აწ არს მიერთ-გან შვილი წე-  
ლი, ვითარდა ეგების ცოცხალ უოფა მისი“. ხოლო მათ აუწყეს,  
ვითარმედ „ჩვენ უწუით სიცოცხლე მისი ჯურღმულსა შინა მეოფი,  
გველთა თანა“. რამეთუ ამას-ოდენ უამსა სოსნა მძლარულ იყო, და  
მას ეამბო ვარამ გაგელისა, და მის-თანა მუოფთა თავადთა-თჳს სი-  
ცოცხლე დავითისი.

ხოლო ვითარ ცნა სულტან-მან, წარავლინა კაცი, და გამორიყ-  
ვანეს დავით, კნინდა სულეირ მეოფი, რამეთუ საგონებელ იყო უსუ-  
ლოდ რადმე განუინულად, ანუ მკუდრად, უძრავად, მხილველთა მი-  
ერ. ესრეთ უცნო იყო სახილველად, რამეთუ იყრი ჰირისა მისისა

დაუფითლებულ იუდეა და თმანი ვიდრე კოჭამდე<sup>1)</sup> შთასრულ, და ფრხნილნი გრძლად წაზრდილ. იხილეს-რა ესე, განჭკვირდეს სიტყვას-ლესა მისსა, თუ ვითარღა იუდეა სულთიერ. ცრემლთადაც დიდად ვარამი გაგული და სარგის, და სულტანიცა ღმობიერ იქმნა. მუის წარუყვანეს აბანოდ, განბანეს და შემოსეს სხვატოდ, სამეუფოთა სამოსლითა და სამკაულითა, და მოიყვანეს, და სხვადა ფრიადნი ნიჭნი და სიმდიდრენი მანთეს. და ევედრებოდა სულტანი შენდობას, რათა არა იკსენას ძვირი მის-თეს, და ესრეთ წარმოაფლანა. და ვითარ მოიწივნეს საქართველს, მიეგებნეს უოგელნი წარჩინებულნი საქართველსანი, შანშე, და ძე მისი ზაქარია ამირ-სხასლარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, უვარუვარე ჯაუელი, სურამელი გრიგოლ, ქართლისა ერის-თავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუბრი და უოგელნი მრავალნი, თვნიერ ეკარსლანისა, და წარვიდეს ნოინთა წინაშე. ხელთ მათ იხილეს, და განიხარეს, არამედ მათ მეუობა ვერ დაუმტკიცეს, და წარავლინეს დიდსა ყაენს ბითოს<sup>2)</sup> წინაშე, და წარაყვეს შანშეს ძე ზაქარია, ვარამის ძე აღბუღა და სარგის თმოგველი, და წარვიდეს ბითოს წინაშე. და ვითარ მიიწივნეს, კეთილად შეიწინაწინა ივინი ბითო. ხელთ მან შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე აღბუღა თვსად დაიშინნა, და მეფე დავით მანგუ-ყაენს წინ წარავლინა, ყარაყურუმს, და წარჰყვეს თანა სარგის თმოგველი, და სხვანი მტირედნი ვინმე ქართველნი, და მიიწივნეს მანგუ-ყაენს წინაშე, რომლისადა მიემცნო ბათოს რაზმ განიხილოს და განბჭოს, და ჩრთა-გან რომელსაცა ხვდებოდეს, დავითს და დავითს, მეუობა მას დაუმკიცოს. ხელთ მიწაიწივნეს, დახვდეს მანგუ-ყაენს თანა ნარინ-დავით მეფე, ათაბაგი ზვავ, სურამელი, გამრეკელი, ამირეჯობი ბეშქენ. და ესრეთ მრავალ-ყამ იყოფოდეს ხატეთს და ყარაყურუმს.

მაშინ იხებეს თათართა ნოინთა, რომელნი საქართველს იყუ-

1) T მსხველ ბარკლამდე.

2) T ბათოს, ici et une ligne plus, bas, ainsi qu'habituellement.

ნეს, რათა მათ წინაშე მიიყვანონ სულტანი ვიასდინ, და მოუწოდეს ელჩთა, და მწრათულ წარავლინეს. მაშინ ვერდა-რა ურჩ ქემნა ვიასდინ, არამედ წარმოემართა დიდითა სიმდიდრითა თვსითა, და მოიწია წინაშე ნოინთა, ვითარ იხილეს ნოინთა სულტანი სიმდიდრითა უზომოთა და განსაკრთომელითა, ინებეს მისიცა წარვლენა უაენს ბითოს თანა, და წარავლინეს იგიცა. და თუ-სადა-ვინ იყო კელმწიფე დამორჩილებული მათი, ბითოს თანა წარავლენდინ, და ბითო მანგუ-უაენს თანა წარავლენდინ, ვითარ ესე სულტანიცა ვიასდინ წარავლინა მანგუ-უაენს და იყოფოდეს ორნი ესე, ულუ-დავით და ნარინ-დავით. და მივიდა საბერძნეთისა სულტანი ვიასდინიცა, და ხლათისა სულტანი მუნ იყო, და ავაც ათაბაგი, და იუჟნეს მანგუ-უაენს წინაშე, ხატაეთს და ყარაყურუმს, ხუთისა წლისა უამნი. და ამათ უამთა შინა იქმნა საქმე ესე:

რამეთუ მანგუ-უაენს ორნი ძენი ესნეს, უხუცესისა სახელი უბუღ-უაენ<sup>1)</sup>: და უმრწემესისა ულო, და ეჭვობითაცა უკომბდეს. ამა უაენ-მა მანგუ განახინა უაენად შირ-მშო ძე თვსი უბუღ-უაენ, და უბრძანა ლაშქრობა დასავლეთით კერძო, ბაბილოვნისა, რომელ არს ბადღადი, და ეგვიპტისა, და ყოვლისა დასავლეთისა კერძოთა. ხოლო ულოც უბრძანა წარსლვა ინდოეთს, დიდითა ლაშქრითა. გარნა ორთავე ძნელად აღუჩნდათ, უბუღს დასავლეთის კერძ, და ულოც ინდოეთის კერძ. მაშინ ევედრა ულო ძმისა თვსსა უბუღს, რათა ინდოეთის კერძ იგი წარვიდეს, და დასავლეთის კერძო თვთ წარავლინოს, და ესრეთ განსცვალონ ლაშქრობა. და მოახსენეს მანგუს, მამსა მათსა. სალაშქროსა განცვალება, რომელსა ნება სცა მანცა, და მოუწოდა ძესა თვსსა ულოს, და მისცა ლაშქარი ეჭვისი ბევრი მკედარი, დედა-წულითა მათითა, ბარგითა და ხვასტაგითა, და განახინა მკედარი მთავრად, რომელსა იგინი ნოინობით უკომბდეს, და აწ ბეგლარბეგ ეწოდების, სახელით ელგა-ნოინი. ნათესავით ჯალარი, კაცი ჰატოისანი და სათნოებისანი, და სიმართლისა მოქმედი. ამას მოსცა მკედარი ათი ათ-ასი, სახლითა და დედა-წულითა, და

<sup>1)</sup> T ყუბლი-ყან.



წარვიდა ულთ, და მკედართ მთავარი მისი ელგან-ნოინი. გამოვლეს ერანი, თურანი და ჯიონი, მოვიდეს ხვარასანს, ერას, და მოიწივნეს აღმუთს. და ვითარ მოადგეს ბრძოლად აღმუთს, მოკრდა ეყენი მანგუ, და დასვეს მამისა მისისა ტახტსა ზედა შუღი მისი ეუბურ, ეყენდა რამეთუ თუთ მამასა მისსა მისთჳს დაეგო ეყენობა. და დაჩეს ესე ზემო-კსენებულნი კელმწიფენი, დავით და დავით, ეარაყურუმს, უცალოებისა-გან თათარსა. და ულთ მოვიდა ადარბად-განს, ლაშქრითა სამ-ოცი ათ-ასითა.

და ვითაცა სცნეს ნოინთა, ქარმაღან <sup>1)</sup>, იოსურ, ბიჩვის და ანგურაკ, წარემართნეს მიგებებად ულთსა, და თანა წარიტანნეს ყოველნი წარჩნებულნი საქართველოსანი, და უმეტეს ეგარსლან, რომელსა უმეტეს მეფისა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. და მიეგებნეს თავრეზს, და წარჩინებულნიცა საქართველოსანი <sup>2)</sup> მოვიდეს ულთს წინაშე იხილნა და კეთილად შეიწინანა ზატიფითა და აამკედრა მათ-თანავე ბრძოლად, და უბრძანა: რომელსამე ულდაჩად, რომელ არს მეგრძლე. და რომელსა არტუიანგრმალი, და კარსა ზედა დგას ევდაჩად. და რომელსამე სუქურჩად, რომელსა საგრილობელი აქჳს შესაკეცელი და გაშაშლეელი, მრგვალი, მადალსა ხესა ზედა, ვითარცა ბუნსა დროშისასა განრთხმული იყვის, და მით ეყენის თავსა ზედა უგრილობდიან, და თუ არა ეყენისა ნათესავი, არა-ვინ დიკს იყო სუქურითა დაჩრდილებად. და სხვანი ეათუჩაჩად <sup>3)</sup>, რომელთა აქჳნდა ტანისა-მოსი და ბაშმაყანი <sup>4)</sup>. და ზოგნი კარის მეგრედ და ევჩად. და ზოგნი ყორჩად, რომელთა ჭქონდა მშვილდნი და ქარქაშნი. ესე-ვითართა უშვერითა ზატიფითა ზატიფი-სცა ეყენ-მან დიდთა ამათ მთავართა საქართველოსათა.

და აწ წარმოვიდეს და მოვიდეს ადგილსა-მას, რომელსა ეწო-

<sup>1)</sup> T ხორმილონ... ბაიჩო, ანგურგ.

<sup>2)</sup> T აჟ. შეკრბეს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულნი, რომელთა თამბობით უწოდეს, ულო-ყანს თანა მოსრულნი.

<sup>3)</sup> T ყუბიჩად.

<sup>4)</sup> T და ილაქა ბაშმლი.

დების აღტადი, და მოვიდეს ყოველნი მორჩილნი მათნი უაქნს წინაშე. და დაჯდა ტახტსა ზედან საკელმწიფოსა, და დალოცეს წესისა-ებრ მათისა. აქა იწყო უაქნობა ულას, რამეთუ ზირველ მათ ჩამხთა <sup>1)</sup> ოთხთა ნოინთა მიერ განეკებოდა ქვეყანა საბრძანებულისა მათისა. ზირველად რომგვარი, რომელ არს ხორცისანი, კრავი, ადარბადაგანი, მოგვანნი, ბარდავი, შარვანი, საქართუჭლად, ყოველი ხლათი და საბერძნეთი დიდი, ვიდრე ასიადმდე, ამა ოთხთა ნოინთა მიერ განეკებოდა, და მათი საურავი იყვის, რომელთა თუმრჩიანობით უკმობდეს, ვითარცა ძველ ოდესმე იონთა ქვეყანასა და რომს გააკებდეს ოთხნი ჯხატოსნი. და ვინათ-გან მოიწია ულას, დაუწყო საურავად ქვეყანათა, და განაკებდა წესთა უაქნობისათა აღსრულებად.

მათვე უამთა წარმოავლინეს სხვათაცა უაქნთა შჯლნი მათნი, რომელთა ქოუნ უწოდიან. ბოთო ვიდრემე, ტუთარ. და ჩაღათ-ნოინის შჯლ-მან უშან-უელი, და თულის ნათესავისა-გან, ბოლდა, რათა ქვეყანა მათი წილ-ხდომითა უაქნის შჯლთა დაიპყრან, და ხარჯასა იგინი აიღებდენ. და უქუთ-უაქნის შჯლის შჯლი, უბუელ-უაქნის ძმა ულას, აქა დაჯდა, ზირველ მოსრული. და ვითარ იხილნა ულას სამნი ესე ზემო-სსენებულნი ქოუნნი, შეიწინარნა და მისცა ქვეყანა ხვედრი მათი, და ესრეთ მშვიდობით იყოფებოდა ქვეყანასა ესე,

და საუდრისა შესავალნი, მცხეთა და სხუანი მონასტერნი, და მისი მიმდგომი სოფელნი და ქვეყანანი არა-ვის-გან იცვებოდეს. რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თჯსსა ქვეყანისა-თჯს ზრუნვიდეს. ამის-თჯს წარვიდა ულას წინაშე კათალიკოზი ნიკოლოზი, კაცი სულითა მხილველი, მობაძავი ანგელოსთა, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკვირველი, მართლ-მადიდებელი, ძლიერი და თვალუხვად მამხილებელი მეუეთა და მთავართა. რამეთუ იყოცა უმანკო და არა-ვის თვალ-ახუნის, იხილა-რა უაქნ მან, განჰკვირდა წესსა და ხილვასა შესახედავისა მისისა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტიანეთასა, თჯნიერ არქვანთა, და ჰატოვ-სცა ჰატოვითა დიდ-

<sup>1)</sup> Sup. თამბობით.

თაჲ და დაუწერეს იერლათი, რომელ-არს წიგნი შეწყალებისა, და მისცეს შანა, და შეუქმნეს ჯუარნი ოქროსანი, და შეუმკუნა თვალთა მიერ და მარგალიტთა, და უბოძა ერთი, თუთ კათალიკოსსა, ერთი მოძღვარსა ვარძიისსა, რომელი თანა ჰქუვა კათალიკოსსა. და არგანიცა იგი ოქროთა შეკასმული მონიჭა კათალიკოსსა ოდენ, ჯვარნი იგიცა. და ესრეთ ზატივითა წარმოაფლინეს, და დაიცვნა უფელნი ეკკლესიანი და მონასტერნი, მოწყალებითა ღვთისათა.

ხოლო იუჲნეს ორნივე დაფით და დაფით უბუღ-ყაენს წინაშე, უარაუერუმს, და იურვოდეს<sup>1)</sup> ორნივე მეფობასა. არამედ სარგის თმოგველი ძლიერად წინააღმდეგობდა. თუთ ხარინ-დავითს, და რომელნი მის წინაშე მეფი იუჲნეს თანა-ზრდილნი მისნი. რამეთუ ეტყოდეს: „არა ჯერ არს რათამცა ნაშობ-მან დედა-კაცისა-მან და-იზურას მეფობა, და არა ძე-მან თუთ-მზურობელისა მამა-კაცისა-მან“. ხოლო იგინი მიუგებდეს, ვითარმედ „ხარინ-დავით, დალათუ დედა-კაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფევე იყო რუსუდან გურგუნისანი, ძმისა მისისა გიორგისა-გან დატევებული, და მეფისავე ძე არს ხარინ-დავით“. და ვითარ განგრძობდა მათ შორის ცილობა, მასშინ ავაგ ათაბაგი წარმოაფლინეს, და მისცეს იერლათი შეწყალებისა, და ქალი ქმულ-კეთილი, ნათესავი მეფეთა, სახელით ესლომ, და ელჩი ულას-ყაენს თანა, რათა კეთილად შეიწყნაროს ავაგ, და ესრეთ მოიწია ულას-ყაენს წინაშე. ხოლო მან ზატივით შეიტკობ და წარმოაფლინა საქართველსა, მამულსა თუსსა, და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავაგ ამირ-სხასაღარისა, წინა მიეგებნეს უფელნი მთავარნი და წარჩინებულნი, თუთ შანსე და ეგარსლან, რომელსა კინდა სახელი მეფობისა ეზურა. და ვითარცა მიიახლა ავაგ, ჰგონებდა ჰუნისა-გან გარდაკდომისა. ეგარსლანის-გან, და ეგრე ხილვად. ხოლო იგი დიდად განლაღებული იყო, და არა ინება ზატივით ხილვა, და ამბორის-ყოფად ავაგისა. და ვითარ იხილა ავაგ, განძვირდა და თავსა მათრახითა უხეთქნა, და უბოძანა მის ქვეშე დაწესებულთა, რათა ცხენისა-გან უზატიოდ დაამკვან ქვეყანად, რომელიცა უყეს

1) T იპყრობდეს.



ეგრეთ, და ჰატრის-გან უპატო ჭევეს, და განძრვილი განძეს,  
და მიერთ-გან უპატო იქმნა და სანინელ. და ესრეთ განაგდეს  
შანშე და ავავ, და თავადთა საქართველსათა.

ხალა ჩვენ პირველივე სიტუქა მრავისხენთ. და ვითარ ცი-  
ლობა იყო მეუეთა შორის, და არა-რომელსა განებინეს, უბუღ-უა-  
ენსა <sup>1)</sup> თუ რომლისა იუოს მეუობა, ამის-თვს დაშთეს მრავალთა  
წელთა ურყოურუმს. ხალა სულტანი ვიასდინ და ხლათელი წარ-  
მოაფლინეს ავავსავე თანა, და მივიდეს სახლად მათდავე სამეფოდ.  
ვითარ განგუქელდა ურთა მათი ურყოურუმს და ხატაეთს, ორთავე  
მეუეთა, მაშინ ინება უბუღ-უაენ-მან და წარმოაფლინნა ორნივე მე-  
ფენი ძმასა მისსა ულას-ყენსა თანა, და მიუძნო ესრეთ, რათა  
უკეთუ სთნდეს ორთავე მისცეს მეუობა. რომელ ჭეოცა ულო უკა-  
ნასკნელ, და ესრეთ მოიწინეს ულას წინაშე, რომელნი იხილნა-რა,  
კეთილად შეიწინარნა. და ვითარ დაჭეეს მცირედი ჟამი ულას-ყენს  
წინაშე, ორთავე მეუობა დაუმტკიცა, და მისცა ურველი სამეფო  
მათი, და წარმოაფლინნა ქართლს. და ვითარ ესმა ქართველთა მოსლ-  
ვა მეუეთა მათთა, უზომოთა სიხარულითა აღვსებულნი, წინა-მიე-  
გებეს, აღტადს, იმერნი და აშერნი წარჩინებულნი, და იყო სიხა-  
რული და მადლობა ღვთისა მიუთხრობელი. და შემოვიდეს ტფილისს,  
სიხარულითა დიდითა, და შეკრბეს კათალიკოზისა თანა ურველნი  
ეპისკოპოსნი და ურველნი მთავარნი და ერის-თავნი, და დასხდეს  
ტახტსა მამათა მათთასა, ტფილისს, და ვით და ვით ორნივე.

<sup>1)</sup> Les M-its portent ყავნ.

მესამეოცდამესამე მეფენი, (დკ dis) დავით, ძე მეფის  
ლაშა-გიორგისა, და (დკ) დავით, ძე მეფის რუსუდა-  
ნისა, ბაკრატოანნი. <sup>1)</sup>

<sup>2)</sup> ხოლო დასხდეს-რა მეფედ ორნივე დავით და დავით, იუჟ-  
ნეს მოუჭარულ ერთმანერთისა ესრეთ რამეთუ მრავალი სიგელი იხ-  
ვების, და მეცა მინახავს რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი  
ბაკრატოანნი, ნებითა დვითისა, დავით და დავით“, და კელიცა ორ-  
თავესი ჭრთავს. „ჩემ დავითისა-გან მტკიცეა, და ჩემ დავითისა-გან-  
ცა მტკიცეა“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ, ვითარ  
ვსთქუ, რომლისა-თჳს საეჭველ იქმნა შანშეს-გან ლაშას ძისა დავი-  
თის სიუჭარული, და ავაგის-გან რუსუდანის ძისა დავითის მიმდგო-  
მობა. გარნა ვერ განაცხადებდეს, რამეთუ ორნივე დავით და დავით  
ურთიერთარს სიუჭარულსა ზედა ეგნეს და არა-რას წინა-ადუდგებო-  
დეს ერთმანერთსა, და ესრეთ მსახურებდეს ულო-უყენს, და ხარკსა  
მისცემდეს, და ჭმონებდეს. ხოლო უზირატესი ზატივი და ზემო-  
ჯდომა ლაშას ძესა დავითს ეზერა, ლაშას ძეობისა-თჳს, და უხუცეს-  
ცა იყო. გარნა ვინათ-გან თათარნი არა დამშვიდნებოდეს ყოველთა  
ნათესავთა სრვად და ოკრებად, და თანა მბრძოლად აქუნდეს ქარ-  
თუჭლნი წუობათა შინა, სიმკნისა მათისა-თჳს. ამის თჳს დიდსა ჭირ-  
სა შინა იუჟნეს მეფენი და ყოველნი მთავარნი, დაუცხრომელად

<sup>1)</sup> La rubrique manquée, T; mon M-it, 66e; R, 62e.

<sup>2)</sup> აქ.: ხოლო მოწვევულ არს ესეცა სიტყვა რომელ სხვა ვინმე ყო-  
ველთა აღმწერელი იტყვს ვითარმედ ყარაყურმს ყოფასა ორთავე მეფეთა-  
სა გაუყუნა, ესრეთ გაბჭო რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ და ეს-  
რეთ წარმოავლინა, და რუსუდანის ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ლამით  
განიპარა და წარვიდა აფხაზეთს, და მე არ შევიწყნარებ მას. პირველად  
უწყოდეთ რომელ ყაენსა-მას არა გაუყო და მან განუყუნა და ულოს მამა-  
სა და ორთავე მეფობა მანგუ-ყაენის შვილ-მან ყუბლაყან შისცა, და ჰულა-  
ვო-ყაენისნი წარმოავლინა. და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა, და ორ-  
ნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ რომელ მრავალი სიგელი იპოვებინ და  
თვთ მე მინახამს რომელ...

ჭბრძოდეს ურჩთა და უმეტეს აღმუთს მეფეთა. რამეთუ შვიდისა წლისა უაშთა განგრძობდა ბრძოლისა ეფთა მათი, ამის-თჳს წარავლინა უფლცა ნონი, და მათ-თანა ძე გიორგისი. დაჳით, ქართუშლთა სზითა, რათა ჭბრძოდეს აღმუთს. ხოლო ივინი, ამისნი მცნობელნი და მრავალთა ომთა მიერ შეიწრებულნი, ეფთისა დონისა ძიების-გან უფლცა ქმნილნი, იფლტოდეს ეგჳტედ, რომელ არს მისრც. რამეთუ აღიღეს დედა-წული, ზვასტაგი და ეფთელი სიმდიდრე მათი, და მუნ დაამკვიდრნა სულტან-მან მისრისა-მან, და აწ რომელ მულიდნი სირეთით გამფულენ, იგივე აღმუთელნი არიან, მუნ დაამკვიდრებულნი.

და ესრეთ რა გულ იგდო უფლ აღმუთი და ეფთელი ზვარასანი, ინება ამკვიდრება ეფთელთა ნათესავთა ოჯსთა, და მისრვიდა კაცთა ესე-ოდენ, რომელ ათ-ორ-მეტი დღე ოდენ ერთსა სადგურსა ზედა ვერ დაჭვიან. ამის-თჳს რომელ მოკლეულობა კაცთა აღუროდის აღვილი-იგი რომელსაცა ზედა დგას. ხოლო უმეტეს სზარსთა მოსწევედდის. რამეთუ საძაგულ უზნდის რჯული ეფთელთა-მათ მუსულმანთა. ხოლო ამას-თანა აქუნდა სამართალი განმკითხველობისა, და ამას უფლცა-უაენს თანა იუზნიან მარადის მეფენი ორნივე, დაჳით და დაჳით. ხოლო იყო ესე ლაშას ძე დაჳით ტანითა დიდ და ახლვან, და სხვილ, და მისინარი მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრთელი და მალე მრწმუნებელი, და შემნდობელი ბორცის მეფეთა. და რუსუდანის ძე დაჳით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ჭაროვან და შვენიერ, და თმითა თხელ, ფერკითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსრფელი ნადირთა. ენა-ტყვილ და სიტყვიერ, უხვი და მდაბალი, ცხენსა ზედა მკნე, და ლაშქრობათა შინა გამგონე, და სამართლის მოქმედი, და უმეტესობის მოღვაწე. ესენი უმეტესსა უაშთა უფლცა-უაენს წინაშე იუზნიან, ხოლო უფლ ლაშას ძისა დაჳითის უმეტეს მოუჭარულ იყო, და რუსუდანის ძის დაჳითის მოძულე. ხოლო ვითარ იყო რუსუდანის ძე დაჳით აღტადს, უფლს წინაშე, შეიზერეს და წარმავლინეს საზამთრისა აღვიდისა მათსა, ბარდავს. და ვითარ მიიწივნეს ნახჭევანს. მიერ წარვიფლტოდა დაჳით რუსუდანის ძე, ორითა ოდენ კაცითა, რომელი იყო.



გურკელელი ამირეჯობი, და სურამელი ბეგა, რომელსა თათარნი სა-  
ლანბეგობით უკმობდეს, ესე იგი არს კარგი ბეგაჲ. და წარვიდა  
აფხაზეთს, და მას უამს ლაშას ძე მეფე დავით ტფილისს იმყო-  
ფოდა. და ვითარ მოიწია ნარინ-დავით ქვეყანად ავაგ. ათაბაგისა,  
შეურაცხითა შესამოსლითა, იხილა იგი მომავალი ხადირობას მყოფ-  
მან სუმბატ ორბელ-მან.

რომელი მოწვევდას-მას ორბელთასა მეფისა მიერ, ლტოლ-  
ვილი წარსულელ იყო ნახჭევანს, სახელით ლიხარით. ესე მიიწია  
ქვეყანად ელიგუმისად. ხოლო ელიგუმ რა იხილა ლიხარით ორბე-  
ლი, სიძედ შეიყვანა, და ასული თვისი აქორწინა. რომელ-მან უშვა  
ბრნი ძენი, რომელსა ეწოდეს ერთსა ელიგუმ ერასა სუმბატ.  
და შვილად მიიყვანა ელიგუმ სუმბატ. ამის სუმბატის შვი-  
ლის-შვილი სუმბატ შეემთხვია დავითს, და წარიყვანა სახ-  
ლად თვისად, ხოლო დავით ევედრებოდა სუმბატს, რათა არა განატ-  
ხადოს, და წარავლინოს აფხაზეთს, და თჳალიცა-იგი სახელადგანი  
მისცნა. რომელი წარეტანებინა დედასა მათსა რუსუდანს, და მან  
წარმოავლინა უნდოთავე შესამოსლითა, შიშისა-თჳს თათართასა, და  
მოიწია იორს, ლიხარით თორელისასა, რომელსა დევის-ურცა ეწო-  
დებოდა, და მან უძღვნა ცხენნი და შესამოსელნი, და წარჰყვა ქუ-  
თათის. ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბედიან-  
მან, რაჴის ერის-თავ-მან და სულთად ლიხთ-იმერთა, შემოკრებეს  
სიხარულითა დიდითა, და მეფე ჰყვეს დავით, რუსუდანის ძე, აფ-  
ხაზთა, ვიდრე ლიხთამდე. აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სა-  
მთავროდ, გარნა ეგრეთცა იუწუნეს სიჭყარულსა ზედა ერთმან-ერთი-  
სასა, დავით და დავით, და დარჩა ლიხთ-აქათი ლაშას ძესა დავითს,  
და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა, და მოიწყო უოკელი ქვეყანა და  
მოიგო სიმდიდრე უზომი ლაშას ძე-მან, და წარმართა სახლო თვისი  
სამეფო კეთილად, და მონებდა ულო-უაენსა.

მაშინ წარმოავლინა ელნი დიდ-მან უაენ-მან ბითო, რომელსა  
ეძურა უიჭხაუეთი და ოვსეთი, ხაზარეთი, რუსეთი და ბორღარეთი,  
ვიდრე სერეთამდე, დარუბანამდე და ხატაეთამდე. და მოუწოდა მე-  
ფესა დავითს. მაშინ წარვიდა წინაშე ბითოსა მეფე დავით, ნიჭითა  
უზომითა, და დაუტევა განმგებლად სახლისა სამეფოსა დედოფა-

ლი ჯიგთა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქური. რამეთუ ესე ჯიქური იყო ერთ-გული მეფეთა, უმეტეს უოველთა კაცთა. რამეთუ ჟამსა შინა ამისსა სულიად სამეფოსა შინა მხარავი და ავაზაკი არა იპოვებოდა, და თუ სიდა გამოჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდებდნენ. და სიხვისა არა-რასა ნიჭისა მქონებულნი. ხოლო ესე განდიდნა მეფესა დავითის მიერ დიდად, ერთგულობის-თჳს, და კელთ-უღვა სამეფოსა და სახლისა თჳსისა განგება. დაუტევა ტფილისს, დედოფალს წინაშე, რომელმან აღაშენა ისინთა ჰალატი, განგებითა დიდითა, და ფხოველნი მოხარკე და მეჯორე ჰქუენა, კაცნი-იგი მკეცის ბუნებანი.

და წარვიდა წინაშე ბითოსა მეფე. ხოლო მან ჰატავით შეიწინა, და უოველი სათხოველი აღესრულა. და იყოფოდა მეფე წინაშე ბითოსა ჟამთა მრავალთა, და თითოეული თემის-თემისა ადგილი თითოეულსა კაცსა შევედრის. რომლისა-თჳს კახეთიცა ჰანკელსა თორღუას<sup>1)</sup> შევედრა, და ამცნო რათა ბრძანებასა დედოფლისსა ერჩდეს. ხოლო ჰგონა თორღუა-მან არდა-რა მოსჭლას მეფისა, უკუ-ღვა ჰანკის ციხესა, და თჳსად დაიშვირა კახეთი, და არდა-რა ჰმორჩილებდა დედოფალსა, და არცა მესტუმრესა ჯიგურსა. მაშინ შეიწყალა ჟაენ-მან ბითო დავით მეფე, და მოსცა სუქური სახრდილობელი, რომელი სიხვასა არა-ვის აქუნდის, თჳნიერ ჟაენტა და ნათესავთა მათთა, და მოუმცნო ულოს, რათა თჳნიერ ულოსისა-ნონისა-გან კიდე ურდოს შესვლასა მეფისზედათ არა-ვინ დადგებოდის. რამეთუ ესე იყო წესი მათართა, რომელ ჟაენს წინ ვერა-ვინ დაჰდებოდის, არცა ჰურისა ჰამასა შინა. ესრეთ ჰატავ-სცა მეფესა, და წარმოავლინა ქართლად, სამეფოდ. და ვითარ მოიწია ჭერეთს, მიეკებინეს უოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი. ხოლო თურღუა<sup>2)</sup> შეშინებულნი უკუ-ღვა ჰანკის, ხოლო დავით მეფე მოიწია ტფილისს, და იყო სიხარული უოველთა მეფედრთა ამის სამეფოსათა. ხოლო თურღუას მოუწოდა მეფე-მან, და არა მოვიდა კარად მეფისა, არამედ უკუ-ღვა, შიშისა-თჳს. მრავალ-კზის მოუწო-

<sup>1)</sup> T თურღუა, ici et plus bas.

<sup>2)</sup> T თორღოღ.



და, არამედ ვერ ეძლეა გულ-პურობა მის ჯვარს. მასში კანზრახვი-  
თა ჯიქურისე წარვიდა ხორნაბუჯელს, და მივიდა თურღუას სახლ-  
სა, რათა მას მიენდოს, ფიცითა მტკიცითა. ხალხი თურღუა-მან  
ჭრქუა ესრეთ: „წარვალ ალავერდს, წმიდის გიორგის წინაშე. მუნ  
შემომფიცე, და მიმინდე მის წინაშე“, და წარვიდეს ორნივე ხა-  
ლხი თურღუა გამეობა ფესვსა სამოსლისა ალავერდის მთავარ-მოწა-  
მისისა. და მივიდა ხორნაბუჯელი, შეჭფიცა და გამოკნინა ფესვსა  
სამოსლისისა. ხალხი თურღუა-მან ჭრქუა: „რა-იგი ჭყო ჩემ-ზედა,  
ამან წმიდა-მან გიორგი-მე გიუოს შენ, რამეთუ მარტო ვარ, და სი-  
კუდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი. ეგრეთვე უმ-  
კვიდრო ჭყოს წმიდა-მან ამან მთავარ-მოწამე-მან სახლი შენი“. და  
წარმოიყვანა ხორნაბუჯელ-მან, ფიცითა მიერ მტკიცითა შეკრულ-მან,  
და მოიუქანა ტაბახმელსა, და შეურაცს ჭყო ალექსანდრე და ფიცი-იგი  
დიდი, და შეიპურა ჯიქურ-მან კანზრახვითა დედოფლისათა, თნი-  
ერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდე-კართს, და მუნთ გარდა-  
მობადეს.

ხალხი ვითარ მიეგო ბორბოტი ხორნაბუჯელსა ალავერდისა მთა-  
ვარ მოწამის-გან, ალექსანდრისა და ფიცისა დაუიწეებისა-თხს, იხილეთ,  
რამეთუ ესვა შჯლი ხორნაბუჯელსა, სახელით შაღვას, სიკეთე-ადმა-  
ტებულად. ამას შაღვას ესხნეს შჯლი მრავალი, და მუის დამოც-  
ნეს, და ამოსწევიდეს. და ეგრეთ ბერი ხორნაბუჯელი მკრქუა მწუ-  
ხარებოთა: რამეთუ ვითარცა თურღუას, ეგრეთ ჭხუდავთ უმკვიდრო-  
ბისა სახლისა მისისა, და ღარჩა შჯლი ერთი სახელით შაღვა,  
რომელი უკანასკნელ თათართა მიერ მოიკლა, და უმკვიდრო იქმნა  
სახლი მისი და ესრეთ შურნიგო ალავერდისა მთავარ-მოწამე-მან.

და ვითარ მოიღო დავით მეფე-მან სამეფო თხსი წარვიდა  
უღოს-ყაენს წინაშე, ძღუნითა და ნიჭითა დიდითა, რომელი იხი-  
ლა-რა უღოს-ყაენ-მან, პატრიარქი შეიწყნარა, და ნიჭითა თანა დაა-  
წესსა დგომად და ჯდომად, და იარაღუხად, რომელი არს ვამკითხვე-  
ლობა და ბჭობა. ამით ყამთა იხება უღოს-ყაენ-მან ამხედრება ბა-  
ბილოვანს ზედა, რომელი არს ბაღდადი, და კელმწიფება ბაბილო-  
ნელთსა ხალიფას ზედა. და მოუწოდა ეფუელთა სპათა მისთა, და



წარმართა ბაღდადს, ბრძოლისა ყოფად ხალიფასა. და ვითარცა მი-  
ვიდა ქვეყანასა ბაბილონელთასა, ვერ წინა-აღუდგა ხალიფა, არამედ  
შეივლტოდა ბაღდადს. ხოლო უახინი გარე-მოადგა, და მოიგვა იგი  
ერთ-კერძო, თვთ უახინი მოადგა წყალს აქათ, და წყალს იქით ელ-  
გან-ნოინი. და ერთ-კერძო დავით მეფე. რამეთუ მის წინაშე იუჟ-  
ნიან უოგუენი წარხინებულნი საქართველელისანი. და ვითარცა ჭბრძო-  
დეს ძლიერად, არა მრავალ-დღე, არამედ ათ-ორ-მეტ დღე, აღიდეს  
ბაღდადი. რამეთუ მეფე-მან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა  
ზღუდე შესთხრონ ქვე-კერძო, რამელთადაც უგეს ეგრეთ. შესთხ-  
რეს და შიგნით შევიდეს ქართველნი, და იქნა ბრძოლა ძლიერო,  
და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა, რამეთუ შიში ფრადი აქენდათ  
სპასთა ქართველთა-გან. ესრეთ განუხვეს კარნი ქართველთა, და  
შეივგნეს თათარნი ქალაქად. ხოლო ამისი მცნობელი ხალიფა, ივლ-  
ტოდა ნავითა, წყალსა-მას-ზედა რამელი ქალაქსა შუა დის. და ვი-  
თარცა იხილა ელგან-ნოინ-მან რამელი იყო წყალსა იმიერ კერძო,  
მოუკდა, და ვერდა-რა ეძლო სივლტოლად, არამედ უკუნ-იქცა ზა-  
ლატად თვსად. და ესრეთ აღვილად რა კელთ-ივდეს სახელ-განთქმი-  
ლი-იგი ქალაქი ბაბილონისანი, ვინმე მიუთხრეს განსცდელნი და  
ჭირნი რამელ მოწინეს ბაღდადს. ზედა რამეთუ მოსრეს პირი-  
თა მახვილმისთა ეს-ბაღდადს, რამელ არა იყო იცხვი, და სავსე იყო  
ფოლმრცი, უბანნი და სახლნი მძიმელუღითა კაცითა. ხოლო სი-  
მდიდრისა და ალაფისა მამინ ბოგნილთა ვინმე მიუთხრეს: რამეთუ  
აღივსეს დათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თვალთა,  
მარგალიტითა, ლაზითა და შესამოსლითა პატრონისთა, სამსახურ-  
ბუღითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვერცხლისთა, რამელ არა-ვინ  
აიღებდა, თვნიერ ოქროსა და ვერცხლისა, თვალთა და მარგალიტ-  
თა, ლაზთა და შესამოსელთა-გან კიდე. და სხვანი ჭურჭელნი ჩი-  
ნეთით <sup>1)</sup> და ქაშანით მოხმულნი, და მუნ შექმნილნი, სპილენძი და  
რკინა უპატოად მიმოდრიბნებოდა და ილერწებოდა. რამეთუ ესრეთ  
აღივსეს ლაშქარნი რამელ უნაგირი ცხენ-ჯორისა, ყოველი მეუ-

1) M-its ჩინიძე,

რაცხი სმისხურებელი თვალითა და მარგალიტითა, და წითლითა  
ოქროთა განტენიან, და ზოგთა კრმალი ვადის ზიკსა მარტენიან,  
და ქარქაში ოქროთა <sup>1)</sup> განტენიან, და ზედა ვადა <sup>2)</sup> ჩააგვიან. ზოგ-  
თა მკურდარი კაცი ბაღდადეგი გამოწლიან და ოქროთა <sup>3)</sup>, თვალითა  
და მარგალიტითა განტენიან, და ვითარცა თხსი მკურდარი განიუგა-  
ნიან გარკეშე ქალაქისა. და ესრეთ რა აოკრებდეს, ჰგოცდეს და ტუვე  
ჰგოფდეს, მიიწინეს ჰალატად ხალიფასა. გამოიუგანეს ხალიფა და  
და ძენი მისნი, ცოლნი და ეოგელი სიმდიდრე მისი განსაკვირვე-  
ბელი, და მოიუგანეს ხალიფა წინაშე ულასა. და ვითარცა წარად-  
გინეს წინაშე მისსა, ეტუოდეს რათა თაყუანის-ცეს უაენსა. ხოლო  
მან არა თავს-იდვა, არამედ დაადგა და ეტუოდა: „კელმწიფე ვარ,  
თვთ მხურობელი, და მონებსა ქვეშე არა-ვისა მეოფი. და უკეთუ  
განმიტეო დაგემოწილები, და უკეთუ არა განმიტეო არა-ვისსა მ-  
ნებსა ქვეშე მოგჰკუდები“. ხოლო იგინი აიძულებდეს თაყუანის-ცე-  
მად, გამოუკვნიან ფერკნი, და იგი ზირადმართ დაეცის. და ვითარ  
არა თავს-იდვა, ბრძანა განუგანება გარე და წარავლინა ელგან-ნონი,  
რათა მოკლან ხალიფა და შჯლნი მისნი. და ჰრქეს ხალიფას. „უაენ-  
მან შეგიწყალა“, და იგი მხიარული ქმნილი იტუოდა: „ვითარ შე-  
მიწყალებს, გამიტეოს, და ბაბილოვანსეუ მომცეს“. ხოლო ელგონ  
ჰრქეს: „არა, არამედ უაენი თვთ მისითა კრმლითა და კელითა მ-  
გაკუდინებს, და უაენის შჯლი აბადი <sup>4)</sup> შენსა შჯლსა მოჰკლავს“. ხოლო  
ხალიფა განკვირვებული ეტუოდა: „უკეთუ მომკლავთ, გენე-  
ბოს ძადლ-მან, და გენებოს კაც-მან მომკლავს“, და ესრეთ მოიკლას  
ხალიფა, ეოგლით სსხლეულით მისითურთ. და შეიწყალნეს სხვანი  
დაშთომილნი ბაღდადეგნი. და კვალად აღშენება ინება, და დაყარნა  
შანანი, და ესრეთ სავსენი ტუვითა და ალაფითა მოვიდეს სადგუ-  
რად მათდა, მიუთხრობელთა სიმდიდრითა.

1) T წითლითა.

2) T ნატენი კრმლისა.

3) T წითლითა.

4) T აღბულა.

ამათ უამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ უაენ-მან ბითო, რომელი უდიდეს იყო უოველთა უაენტა, ინება განსწორება<sup>1)</sup>. და აღთვალვა უოველისა ქვეუანისა, და ჰზოვა ვინმე კაცი, ნათესავით იორიდი, სახელით არღუნ, სიმაართლის მოქმედი და თურიად მართლის მეტეველი, დრმად გამგონი და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა უოველსა საბრძანებელსა-მას მისა, რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, უიზაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლეთს ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთვალოს და განაჩინოს მკედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, დიხსებისა-ებრ მათისა ულუფად, რომელ არს ძღვენი მიმავალთა გზად და ქირად ცხენისა და საპალნისა. და ვითარ განაჩინა და განაგო არღუნ-მან საბრძანებელსა ბითო-უაენისსა, მიერ წარავლინა უარაუურუმს, უებულ-უაენს წინაშე, რათა მანცა ესრეთ განაჩინოს კელსა ქვეშე არღუნისსა. და მირანიწია უებულ-უაენს წინაშე, ინება მანცა ესრეთ ქმნად, და წარავლინა იგივე არღუნ, განგებად საბრძანებელისა მათისა, და განუწესა იგივე წესი, და მივიდა ტახტსა ჩალატასსა, და უშანს წინაშე, თურანს, და განაწესა და განაგო მანდაური უოველი. და გამოვლო ჯიონი, და მოვიდა ხვარასანს, კრავს და უოველსა რომგვარსა, და განაგო ესრეთვე და მოიწია უაენს ულსა წინაშე, და მანცა პატივით შეიწყნარა, და წარავლინა საქართველსა, მეფეს დავითს წინაშე, და საბერძნეთად, და უოველსა საბრძანებელსა მისსა ზედა განაჩინა აღწერად და განგებად. და ვითარცა მოიწია საქართველსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს უოველნი მკვიდრნი ამის სამეფოსანი, და იწყენ აღწერად კაცთა-გან და პირუტყვთამდე, უანით ვენაკამდე, და წალკოტით ბოსტნამდე. და სცხრასა გლეხისა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოკდა სამეფოსა-გან დავითისა ცხრა თუმანი მკედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბეგრი. და განაწესეს ძღვენი სოფლისა-გან, ათ-ასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერ-

<sup>1)</sup> Quoque tous les M-its soient d'accord, je pense qu'il faut lire ici გაწერა ou აღწერა.



თი, და ღრუჭკანი ერთი. ხოლო ბევრისა მთავარსა, ცხვარი ერთი, და ღრუჭკანი ორი, და მიზღი ცხენისა, თეთრი სამი, ღლისა ერთისა. და ესრეთ განუწესა, და წარვიდა საბუქნეთს და ბაღდადს, და ყოველგნით.

ხოლო ამან არღუნ განაწესა რა-იგი ჯერ იყო ოთხსავე საყაენისა შინა, რამეთუ იყო კაცი ესე სიმართლის მტკიელი. ხოლო ხუცესთა და მონაზონთა, და საეკკლესიოთა განწესებათა არა შეაკდო საზღავი, და არცა უაღანი, ეგრეთვე შინთა, და ღარიშმანათა <sup>1)</sup>, და ყოველისა ჭსჯულისა კაცნი საღთად განხენილნი ათავისუფლნა.

მას უამსა ინება უაენ-მან ულო ამკედრება ეგვბტეს ზედა, და მოუწოდა მეფესა დავითს, ყოველითა სპითა მისითა, და წარვიდა ბრძოლად სულტნისა. და მიიწია შუა-მდინარედ, და იწყო ოკრებად ყოველისა შუა-მდინარისა და შამისა. და ვითარ ესმა სულტანსა ეგვბტისასა, ამკედრდა იგიცა წინა-განწყობად თათართა, და მოიწია მდინარესა ზედა ეფურატსა, ყოველით მკედრებით მისით, და მოვიდეს თათარნი და განუღეს მდინარე. რამეთუ არა მოახლებულ იყო სულტანი ჰირსა მდინარისასა, და წინა-მიეგებნეს. მაშინ სულტანი წინა-განეწყო, და იქმნა ომი ძლიერი, სადა-იგი დავით მეფე და შპანი მისნი წინა-მბრძოლობდეს ძლიერად, და მოსწყდეს ორგნითვე. და ივლტოდეს მეგვბტელები. ხოლო უმტავლესი ერი მოსწყდა სულტნისა, და ესრეთ უაენ-მან დაიბანაკა მრავალ-დღე ჰირსა ეფურატისასა, სადა-იგი იყო ქალაქი მცირე, მდინარესა ეფურატისასა, ძლიერად განმაგრებულნი, რომელ ერთ-კერძო კლდე იყო, და ერთ-კერძო მინდვრისა კერძ, ეფურატისა მიერ შეცვული, რომელი იხილარა-რა სულტან-მან <sup>2)</sup> სიმაგრე ქალაქისა, უღონო იქმნა ბრძოლად. გარნა მოიგონა საქმე საკვირველი. რამეთუ ეტყოდა მის ქვეშე დაწესებულთა. „არა არს ღონისა ძიება ბრძოლისა ყოფად ქალაქისა მის. მნებავეს რათა აღვიმკედროთ და გარე-მოვიცვათ ქალაქი ესე,

<sup>1)</sup> T დავრეშთა, aux derviches, ou დანიშმანთა.

<sup>2)</sup> II faut lire უაენ-მან; T porte უანა-მან, et écrit toujours ce mot sans ე. après.

და ვითა ძალღათ ვიწოთ ვივილი და უვირილი“. და ვითარ ესმით ესე, განჭკვირდენ და მუის ამკედრდენ, და ვითარ ძალღათ ივივლეს. და ვითარ მიიწია ხმა ესე ქალაქად, იქმნა საქმე საკვირველი, რამეთუ განსქდა ქალაქი ორ-გან. ნახევარი წარიქცა კლდითურთ წელი-საკენ, და მოისხო სული ურიცხვი. ესრეთ კელთ-იგდო, და წარვივიდა შამად, შუა-მდინარედ, და მოეკებნეს უოველნი მკვიდრნი შუა-მდინარისანი და შამისანი, სავსენი ურიცხვითა ძღუნითა.

ხოლო მეუე დავით და ქართლელი იაჯნეს უაენისა-გან წარმოსულისა, რამეთუ მრავლით უამით-გან იუენეს ლაშქრობათა შინა-მამინ უაენ-მან ულო მისცა თავის-უფლება და წარმოემართნეს, და ესრეთ სავსენი ურიცხვითა ნიჭითა და აღაფითა გამდიდრებულნი მეუე დავით და ქართლელი მოიწივნეს ადარბადაგანს, და მოვიდეს მუნით ტფილისად, სავსენი სიხარულითა. ამათ უამთა შინა მწუხარე იუენეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდა-ხათუნ<sup>1)</sup> არა უშვა შვილი. ამის-თვს ინება მეუე-მან მოუყანებად, შვილიერების ძლით, ქალი ქმნულ-კეთილი, სახელით ალთუნ, მეუღლედ თვსად, ალთქმელ-მან, უკეთუ მიეცეს ურმა-წული, არღა-რა შეიწინაროს, არამედ განუტოოს. და ვითარ წარკდა მცირედი უამი, მუცლად ილო ალთუნ ძე, და ჭშვა, და უწოდეს სახელად გიორგი, რამელი აღიქვა და შეიუვანა შვილად დედოფალ-მან ჯიგდა-ხათუნ. და შემდგომად მცირედისა კვალად მიუდგა და ჭშვა ასული, სახელით თამარ. აქა შინა განიშორა საუჭარელი თვსი ალთუნ, ხათესავით ოვსი, რამელ ფრიად ქმნულ-კეთილ იყო. და შემდგომად მცირედისა უამისა გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ, და წარიდეს სამარხისა მეფეთასა, მცხეთას, და დაკრძალეს. მას უამსა წარვიდა მეუე დავით ულო-უაენს წინაშე, მუღანს. რამეთუ იგი აქუნდა სადგურად საზამთროდ, და მიერ წარმოჭევა სადგურსა საზაფხულსა, და მუნით წარმოავლინა მეუე ქართლად, რათა მზა იყოს ლაშქრად ეკვბტეს, რამელ არს მისრი. და შემოიარა ქვეყანა ავავ ათაბაგის, ივანე ათაბაგის ძისა. რამეთუ მას უამსა გარდაცვალებულ იყო ავავ, და

<sup>1)</sup> T écrit souvent ჯიგდა, sans plus.

არს დაშთა ერმა-წული, არამედ ქალი ერთი, სახელით ხვამაქ. და შივიდა მეფე ბიჯნის, ტირილად და ახილა ცოლი ავაგისი, კახბერის ძეთა, რაჭის ერის-თავთა, სახელით გვანცა, ქმნულ-კეთილი. ეტრფილა, და შემდგომად მცირედისა შიიუვანა იგი ცოლად და დედოფლად, და წარმოიუვანა სამეფოდ თვსად. ხალხ ქალი-იგი ავაგისი დაუტევა მამულს თვსსა ზედა, და შეჭვედრა მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო კაცთ ბრძენი, და გონიერი, და კეთილგანმზრახნი, სვიანი დიდად, დიდი ტანითა და ჭკეროვანი, ძალითა ფრიად ძლიერი მტრკინალი, ფრიად რჩეულ საჩინო მოსარი კელოვანი, რომელი წარსდგა წინაშე ულ-ყაენისა, და შუკლ-მყორილმან ჭრქუჩა: „ვინათ-გან მოგცა თქვენ ღმერთ-მან ძლევა, და უოველთა კაცთა უმჯობესად გამოგინათ, და აწ აქა არს მკედარი ასიათ-ასი, ვინცა მერკინების, ანუ მედგინების, გინა ისარსა განვასრევთ, მზა ვარ“. და არა-ვინ იზოვა მსგავსი მტრკინალი მისი. და ვინცა იზოვა, უოველთა ჭსძლო ესე შეუვარებულ იქმნა ულ-ყაენის-გან. შეიწინარა და იწყო განდიდებად მისა, და გონიერებითა მისითა მეფე-მანცა ჰატოვ-ჭსცნა, და შევედრა სახლი ავაგისი. ხალხ დედოფალი გვანცა მიუდგა, და ჭშვა ერმა, და უწოდეს სახელად დიმიტრი, რომელი შემდგომად დავითისა მეფე იქმნა, რომელი ქვემოტრე სიტყვა-მან ცხად ჭყოს.

ამის გვანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრეს ჯიქურს, რამეთუ მტერ იუუნეს. ამის-თვს, განზრახვითა სუმბატ ორბელინსათა, შესძენილ იქმნა, ვითარმედ ჯიქურ წარაფლენს კაცთა არდუნს წინაშე, რათა აუწიეს ყაენს ულას სიმდიდრე მეფისა, და ეგულების განდგომა. ხალხ ვინათ-გან დავით მეფე უმანკო იყო, რომლისა-თვს უმანკოსა უოველი ჭრწამნ, წარაფლინა მსწრაფლ წინაშე მდგომელნი, და ბრძანა მყოჩანება წინაშე მისსა და სახლისა მისისა იავარ უოფად. და ვითარ აღასრულეს მსახურთა მეფისათა, წარადგინეს ჯიქური წინაშე მეფისა, დამით. რამეთუ მეფე ჯდა ისანთა, მხედველი მტკვრისა. არდა-რა სიტყუა ჭყო მის-თანა, არამედ განუკითხავად ბრძანა შთაგდებად მტკუჩარსა. ხალხ ვითარ განთენდა, იხილეს ჯიქური რიუესა ზედა განგდებულნი წყლისა-გან. და გან-



კვირდეს ყოველნი მხილველნი, ანაზღათისა სიკუდილისა-თჳს, და არა-ვინ იზოვნა დამოუფლები მისი, რამეთუ არა ესვა შჯლი. და შეკრბეს ყოველნი გლახაკნი და ქვრივ-ობოლნი და ევედრნეს მეფესა რათა მისნიჭოს გვამი ჯიქურისი, ამაღ რამე მრავალი კეთილი ექმნა მათ ზედა. ისმინა დავით და მისცა გუამი მისი, და მრავლი-თა გოდებითა წარიღეს ეკკლესიასა წმიდისა ქალწულისა ქრისტინას-სა, რამელი ხვარაზმელთა-გან დარღვეული ახლად აღშენებულ იყო, და მუნ დაჭოფეს დიდითა ზატივითა, რაცა ოდენ გლახაკთა ძალ-ადგა.

ხოლო შემდგომად ამისა, ინება უაენ-მან ამკედრება სულტან-სა ზედა მისრეთისასა და შეკრიბნა ყოველნი მთავარნი და სპანნი მისნი, და მოუწოდა მეფესაცა დავითს და სპასა მისსა, წარსლვად ეკვტედ. ხოლო შეიწრებულ იყო მეფე და ყოველი საბრძანებელი მისი აღთვალვისა-გან არღუნისა, და რამელი-იგი განეწესა რაცა განისუილებოდეს ტფილისს ან სათერსა<sup>1)</sup> ზედა სამი თეთრი სუა-ენოდ აიღებოდეს. და ამას-ზედა ხოჯა-აზიზ ვინმე, ნათესავით და ჭსჯულითაცა სპარსი, განეჩინა, და დაეტევა ტფილისს, რამელ ეს-ოდენ უწესოდ მიიწია, რამელ თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისუილებოდა, მას-ზედაცა ხარაჯა წაუღიან, რამელსა-იგი ტადმად უწოდდეს, ამის მიერ შეიწრებულ მეფე იგონებდა: „უკეთუ წარვიდე ეკვტედ, ანუ თუ განუდგე უაენსა“. გარნა ვერას დაამტკიცებდა. ეგრეცა წარემართა ლაშქრად მისრს. და ვითარ მი-იწია ქვეუანად ჯავახეთად, დაამტკიცა განდგომად, და მოუწოდა თა-ნა-განმზრახთა მისთა, და ჭრქუა: „უკეთუ ვისმე ჭნებავენ დაუტევენ მამული და წარმოვედინ ჩემ-თანა, და უკეთუ არა ჭნებავენ, წარვედინ მსახურებად უაენისა, მისრს, რათა დაიცვას ქვეუანა მისი. რამეთუ ნება კაცად-კაცადსა ზედა იუწინედ, და მე არღა-რა მნებავენ მონება თათართა, მძლავრებისა-თჳს ხოჯა-აზიზისა, რამელი დაადგინა ჩემ-ზედა არღუნ. რამეთუ ვერ თავს-ვიდე ეს-ოდენსა შეურაცხებასა“. ხოლო წარჩინებულნი ამის სამეფოსანი, რამელნიმე დაამტკიცებდეს

1) T ანისსა თეთრსა.

და რომელნიმე არა, გარნა ეგრეთცა დაამტკიცა განდგომილება, და უმრავლესნი წარვიდეს ყაენს წინაშე. შანშეს ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი, ორბელი, და თორელი და <sup>1)</sup> კასა, ერის-თავი ხალა-ქალაქისა, თავნი ზირნი ქვეყანისანი, წარვიდეს ყაენს ულას წინაშე, და უმრავლესნი ჭერ-კახნი. და ვითარ ჰსცნა მეფე-მან წარსვლა: დიდებულთა, მანცა ნება ჰსცა და წარვიდა განდგომად, და მოუწოდა სარგის ჯაყელსა ციხისჯვარელსა, რომელსა აქუნდა ჰსტივი სამცხისსა სხასალარობისა, და ეზრახა რათა განუდგენ ყაენსა. ერხდა სარგის, და წარმოიყვანა სამცხეს, სახლსა მისსა, და ორიადათა ჰსტივითა განუსვენა უმეტეს წესისა მეფეთასა, და აძლევიდა ყოველთა ციხე-ქალაქთა და ქვეყანათა მისთა, გამოსაზრდელად მეფისა და ლაშქრისა მისისა-თჳს, ხოლო მეფე-მან არა იხება, და დაჭყო ზათხული-იგი, მცირე ერთ-გულითა, რომელნი დაადგრეს ერგულობასა მისსა ზედა, და ესრეთ იყოფებოდას სამცხეს. ხოლო დედოფალი გვანცა და ძე მისი დიმიტრი დაუტევა სახლსა ავაგისისა, ბიჯნისს.

მას ყამსა შინა მოვიდა ყაენი ულას გამარჯვებული ბრძოლისა-გან სულტნისა მეგვიზტელისა. რამეთუ სძლო მათ და აატნა, სადა-იგი მუნ დამხვდართა ქართულთა ძლიერი ბრძოლა ჰქევეს. ხოლო ვითარ მოიწია საზათხულასა სადგურსა თჳსსა, ალტადს და მიერ საქასა <sup>2)</sup>, და მერმე წარვიდა საზამთრასა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მუდანობით უკმობენ, იკითხა საქმე დავითისი, და სცნა განდგომილებაჲ მისი. მოუწოდა არღუნს და ორასთ მთავართა, და აჩინა მკედართ მთავარად, და მისცა მკედარი ოცი ათ-ასი, და უბრძანა ქართულთა-მათ, რომელნი ერხდეს მას, რათა წარჰყევენ არღუნს ორიდსა, და მოვიდენ მეფესა ზედა, სამცხეს, და ბრძოლა უეონ. წარმოვიდა არღუნს, მკედრითა ოცი ათ-ასითა, შემოვიდა განბა და სომხითი, და მოიწია ტფილისს. და მუნ მოერთნეს ყოველნი ესე ზემო-ხსენებულნი მთავარნი საქართველასანი, და წარმოემართნეს სამცხეს, ბრძოლისა ყოფად მეფისა. და ვითარცა

1) T, trois mots omis.

2) T, მის სააქალასა.

ესმა მეფესა და ვითს მოსულა არღუნისი და უფუელთა მთავართა ქართ-  
ლისათა, და მოუწოდა მესხთა, შავშ-კლარჯთა, და ვინცა დადგრო-  
მილ იყო ერთგულობასა ზედა მისსა. შეკრიბნა მცირედნი კაცნი,  
მკედარი რვა ათ-ასი, და აჩინა მკედართ მთავარად სარგის ჯაყელი,  
კაცი მკნე და შემმართველი და მრავალ-ჯერ გამოცდილი, და სა-  
ხელფანს ქმნილი წუობათა შინა, ტანითა ახფანნი, კელფანად ბრძო-  
ლი ცხენსა ზედა, მკნე მთისარი, საჩინოდ ნადირთა უცდომლად  
მსროლელი, და მისა მინდობილ იყო მეფე და ვით. რამეთუ ერთგუ-  
ლობაცა დიდი აქუნდა მეფისა. და წარაფლინა წინა-მიგებებად და  
წუობად არღუნისა, და წარემართნეს და დაადგეს კევთა შინა მტკუ-  
რისათა. ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი, და დადგა სურამს, და  
წარმოაფლინა წინა-მბრძოლნი მკედარი ექუსი ათ-ასი, და არღუნ  
დადგა შინდარას, და წინა-მბრძოლნი მივიდეს ტასის-კარს, და და-  
დგეს სამდინარსა-მას-ზედა, რომელ არს კალა. ხოლო აიყარა  
სარგის კევთათ და წარაფლინა წინა-მბრძოლად კაცი რჩეულნი და  
გამოცდილნი წუობათა შინა, ათ-ას ხუთ ასი მკედარი. არა უწყოდეს  
მოასლება არღუნისი, და წარემართნეს და განუღეს კიდი ახალ-და-  
ბისა. იყო უინული და ზამთარი, ვითა წესი არს თვისა დეკემბრი-  
სასა, და განვიდეს სივიწრისა-გან. წინა-მავალნი იხილნეს რაზმი  
თათართა, და წინა განეწყვნეს ქართველნიცა, და მუის ზედა მიე-  
ტევენეს მესხნი, და პირველსა შეკრებასა აატნეს თათარნი, და მო-  
სწყვიდნეს მრავალი სახელფანნი, და ესრეთ ძლიერად ჰბრძოდეს  
თათართა-მათ მესხნი, რომელ მცირედნიდა განეჩნეს და შეიხვეწნეს  
რაზმთა შინა არღუნისასა შინდარას გორისას. და ჰსდევნეს და მო-  
სწყვიდეს პირითა მახვილისათა, რამეთუ მკედართ მთავარი სარგის  
და სპა მეფისა ვერდა-რა მოილოდინეს, ამის-თჳს რომელ თათართა  
რაზმი მახლობელად მდგომარე იყო, და ესრეთ ძლევითა საჩინოთა  
შემოქცეულნი, მრავალთა სახელფანთა თათართა თავისა მქონებულ-  
ნი, მოკვებნეს სარგისს და ლაშქართა. ხოლო ვითარ იხილა სარ-  
გის განმხიარულება და უფლებელად დაცვა, განიხარა, კარნა მძიმედ  
არღუნდა, რამეთუ ვერ მიესწრა მისა. რამეთუ იყო კაცი მძლე და  
შემმართველი. კვალად სურვიელ იყო განწყობისა მესხთა. წარე-



მართა არღუნისა ზედა, გულისა ქველითა, ხოლო არღუნ მოუწოდს სპათა თჳსთა, და კვალად ქართველნი სპანი ზედა მისრულნი იხილნარა ივლტოდა, გარნა აყენებდეს ქართულებნი წარჩინებულნი. ხოლო არა უტევებდეს სივლტოლად, რომელთა უპირობდა თორელი კახა, და ეტუოდა: ვითარმედ „ქართულებნი მეცნიერნი ვართ ამისა მათისანი. ჩვენ ვბრძოდეთ თქვენ-წილ“. და ესრეთ ძლით არწმუნეს, და დადგა ადგილსა-მას-ზედა რომელსა დაეხანაკა, და განაწიო მკედარნი თჳსნი.

და ვითარ დაეახლნენ უმთიერთარს, ზედა მიეტევენეს მესხნი განკლადებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი უპირველეს უოველთასა მიუხდა რაზმსა. და უმცნესი მათი ჩნდა ბადური, თრელითა ცხენისა-გან ქვეყანად დასცა, და იქმნა ძლიერი რმი, და მრავალი მოისრვოდეს არღუნის სპანსაგან, და სივლტოლად მისდრკეს. პირველსავე მიჯრასა, სძლევედეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩვეულება თათართა ლტოლვა და გარე-უკუნ-ქტევისა, ანაზდად გარე-უკუ-იქტეს. მაშინ სულ-მოკლე ქმნილნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და მიმოდებულნი თათართა მიერ მოისრვოდეს, ცოდუნთა ჩვენთა სიმრავლითა, განწირნა დმერთ-მან და მისცნა კელთა წარმართთასა. ხოლო უწყოლად ჭკოცდენ, და მრავალნი სახელთანნი მოსრნეს თათართა, რომელ მცირედნიდა ძლით განერნეს, და სდევნეს ახალ-დაბის კიდამდე, გინა უმეტესცა, ხოლო ზოგნი ტევედ წარუვანებულ იქმნეს, გურკელელი მურვან და სხვანი მრავალნი, და ესრეთ შეიქცა არღუნი ყაენს ულას წინაშე, გამარჯვებული. ხოლო სარგის და მესხნი მივიდეს მეფის წინაშე, აწუკერს, მეუვისთა თჳსთა-თჳს მტირალნი. რამეთუ უმრავლესნი მოესრენს, და მცირედი დაშთომილ იუენეს. და დაჭუო მეფე-მან ზამთარი ნახევარი სამცხეს, და გარდვიდა შავშეთს და კლარჯეთს, და წარვიდა ნიკაღის-კეგს. და ვითარ მოიწია თვე მანისი, და აღმოსცენდა მდელო, ყაენ-მან იგივე არღუნ დევნად და ძებნად წარმოავლინა, რომელთა თანა იუენეს ქართულებნიცა მიმდგომნი ყაენისი. და თვესა ივნისსა მოვიდა სამცხეს. ხოლო მესხნი რომელნიმე მიეკებნეს არღუნს, და რომელნიმე წარჭევეს მეფესა. და ესრეთ იწყო რკრებად და ტევენვად სა-

მცხეს, და მოადგა ციხის-ჯვარსა, და უწყო ბრძოლა ძლიერად. რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო, ხოლო ციხეს მუთონი ძლიერად ჰბრძოდეს, და მრავალი კაცი მოკლეს, და დიდად ავნებდეს გარეთ მუთონთა, დღისით და ღამით განვიდიან, და აღვილ-ადგილად მოჰწუკედდინ. და ვითარ იხილა სიმტკიცე ციხის-ჯვარისა, რომელ არს ჯვარის-ციხე, აიყარა და წარვიდა. და წიგნიცა მოუვიდა უაენისა, მსწრაფლებელი წარსულად, ვინათ-გან უაენი თურახნისა ქვეყანასა. მუთონი ბრძოლად მოსრულ იყო ხვარასანს. და ესრეთ იკსნა ღმერთ-მან ჭირთა-მათ-გან ქვეყანა სამცხისა. რომელ ცოც დღე ძლით იყო არღუნ სამცხეს.

ხოლო მეფე დავით კვალად მოვიდა სამცხეს და შავშეთს. და ვითარ იხილა სამცხე მოცკრებული, მოუწოდა თანა-მზრახველთა მისთა, ჰკითხა თუ რა უნ, რამეთუ რძი თათართა აღარ ეგებოდან. მაშინ სარგის ჯაყელ-ციხის-ჯვარელ-მან მოახსენა: ვითარმედ „სამცხე მტირე არს და არა კეთილი სადგომი მეფეთა. აწ განგაზრახებ რათა წარხვიდე ლინთ-იმერად, რუსუდანიის ძისა დავითის-თანა. რამეთუ სწორად რთავე არს სამეფო, იგი და ესეცა. და მე დავსდებ თავსა ჩემსა, და საქონელსა უფველსა, და ლაშქარსა ჩემსა, შენ-თჳს, და ვითარ გენებოც იკმარე. და უკეთუ კეთილად გისტუმროს დავით, კეთილ. და უკეთუ არა, აჴა სიმდიდრე ჩემი მზა არს თქვენ-თჳს, და ნუცა შენ სწყალობ საჭურჭლესა შენსა, და ვეზრახნეთ თავადთა იმერთა, და განხსრეთ საჭურჭლე, და ჩვენ გერძო დავიუენოთ“. სთნდათ უფველთა განზრახვა ესე, და წარავლინეს მტრიქული წინა-შე რუსუდანიის ძისა, რათა შეიწუნაროს თათართა-გან მიზიდებულთ. ხოლო მან აღუთქვა შეწუნარება, და წარვიდეს, და მივიდეს ქუთათის, სადა-იგი წინა მიეგება რუსუდანიის ძე მეფე დავით, და კეთილად ისტუმრა, და დაუგეს წელიწადი ერთი. გარსა კეთილად თუ ისტუმრებდა რუსუდანიის ძე, ეგრეცა კეთილადვე ლაშას ძესა დავითს, არამედ ვითარცა უცხო ვიდოდა მათ-თანა. მაშინ ეზრახნეს კახაბერის ძესა. რაჭის ერის-თავსა კახაბერსა, და ქვაბულის ძეთა თარა-ჯანიანთ სარგის, რათა ლაშას ძე დავით ჰქუენ მეფედ. რომელნი ერხდესცა, და იქმნა განდგომილება ლინთ-იმერეთს. და რომელნიმე

წარმოუდგეს ლაშას ძეს დაფითს, და რომელნიმე რუსუდანის ძეს  
ნარინ დაფითს. ეგრეთვე დადიანი ბედიანი <sup>1)</sup>, ჯვანშერის ძე, და-  
ადგრენ ერთგულობასა ზედა რუსუდანის ძისსა. რამეთუ იყო ესე  
ბედიანი კაცი წარმატებული ყოფილთა ზნითა, უხვი უმეტეს ყო-  
ფელთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყენა ოდიში <sup>2)</sup>, რა-  
მელ მზაკაფნი და ძვირის მოქმედნი არა იზოგებოდეს. და სხვანნი  
განიუჭნეს ორად, კარნა არას აწებდეს ურთიერთარს ორნივე, და-  
ვით და დაფით, დადაცათუ ლაშქართა არა ენებათ, ამის-თჳს რა-  
მელ არა გასცემდეს ორნივე შეუენი საჭურჭლესა ლაშქართა ზედა.  
ესრეთ იყო აშლილობა და შოთთი მრავალი იმერთის.

მაშინ არდა-რა იყო ღონე, დაამტკიცეს რათა განეონ სამეფო,  
და საჭურჭლე ორად, და აჩინეს თავადნი სამეფოსანი, და განუ-  
გეს ორად, ტფილისი ორად და ქუთათისი ორად, და თავადნი და  
ერის-თავნი ურთიერთ შეასწორეს, ნიკოფსით დარუბანდამდე. და  
განუგეს სამეფო და საჭურჭლენი ორად. კარნა ხუამლისა ქვაბსა,  
რომელი იღვა მცირე რამ გამოიღეს და გაუგეს, და უფრისი ქვაბ-  
სავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვი-იგი სახელ-დებული, სალმასური, და  
თვალი-იგი პატვი-ცემული, გვრდემლი, და მარგალიტი-იგი დიდი,  
რომლისა სწორი არა-ვის-სადა უხილავს, ესე სამივე რუსუდანის ძე-  
სა დაფით მიხუდა. და აქა იქმნა განყოფა სამეფოსა, და მიერთ-  
გან შეიქმნა ორ სამეფოთ. მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო,  
დაშალა ლაშქარი და მსახურება და თათართა.

ინება კვალად უაენ-მან ზავი მეფისა. მოუწოდა არღუნს, რათა  
წარავლინოს მოციქული მეფის წინაშე, ზავის ყოფად, და თვისა  
დაუმტკიცებდა უფნებელობისათა. რამეთუ დედოფალი გვანცა, ავა-  
გის ცოლ ყოფილი, და ძე თჳსი ურმა მცირე დარჩეს კელთა უფოს-  
თა, რომელნი ტყვედ წარისხნეს ურდოსა. ვითარ ეგრულეობდა ბო-  
როტის ყოფა ურმისა, ნოინის ვისმე ცოლ-მან აღიუჭანა და შვი-  
ლად მიიუჭანა, რამეთუ იყო უშვილო. ხოლო თქმულ არს ესეცა,

1) T ბედანი; plus bas ბედნი.

2) Subaud, ასე.



ვითარმედ მიიქვა-რა ერმა დიმიტრი წიაღთა, მეუფსეუღად საშო გა-  
ხელო დედა-კაცსა, და მეცლად ილო, და ჰქუთა ერმა-წული. და ამის  
ძლით კეთილსა უყოფდა ნოინის ცოლი გვანცას და ემასა მისსა,  
რათა მან წარავლინოს კაცი წინაშე მეფისა, ზავისა უოფად. და  
წარმავლინეს მოციქული ზავისა-თჳს, რათა მისცნეს სამეფო მისი  
უოუელი, და კვალად ეგოს ზირველსავე ზატოვსა დედოფლობისსა.  
ხოლო მივიდეს-რა მეფის წინაშე მოციქულნი უაენისნი და აუწუეს  
ესრეთ. „მიუცნო მეფე მან ესრეთ, ვითარმედ ხოჯა-აზიზ იქმნა მი-  
ზეჴი ჩემისა წარმოსვლისა და სამეფოსა დატევებისა. უკეთუ ჰნე-  
ბავს უაენსა შეწინარებაჲ ჩემი, ზირმ-შესა ძესა ჩემსა გიორგის წარ-  
მოვაფლენ წინაშე მათსა, და უბოძოს სამეფოჲ ჩემი, და დედოფა-  
ლი გვანცა და ძე ჩემი დიმიტრი წარმავლინნეს ჩემდა, და ხოჯა-  
აზიზ მომცეს. რათა სიკუდილითა მისითა შური-ვიგო ნაქმართა მის-  
თა, რომელნი ჰუქნა ჩემ-ზედა“.

ხოლო ვითარ მიიწივნნეს უაენს წინაშე, სთნდა სიტუჴა მეფი-  
სა, და ითხოვეს ძე მისი გიორგი, და დაუმტკიდეც ფიცთა მიერ,  
შეხუმიტა ოქროსა საფიცრისათა, რათა უვნებელად დაიცვას ძე მე-  
ფისა, და მისცეს სამეფოჲ მისი. უკეთუ დავით მეფე-მან იხილოს  
უაინ ულამაჲ, რომელსა ეჯნობითცა უწოდდეს, ხოჯა აზიზცა მის-  
ცეს კელთა მეფისათა. თუ ენებოს, მოკლას, და თუ ენებოს განუ-  
ტეოს. ამის შუა შემოიყვანა ენუქ-არქუნი<sup>1)</sup>, კაცი მართალი და ზა-  
ტივოსანი, ჰსჯულითა ქრისტეს ჯუარისა თაუჴანის-მცემელი. მან  
უთავს-დება უაინს რათა არა ევნოს დავითს და ძესა მისსა გიორგის.  
თუთ მივიდა ენუქ დავითს წინაშე, შეჰფიცა და წარიყვანა ძე მისი  
გიორგი, შევიდეს ტფილისს, და მუნ მოეგებნეს უოუელი მთავარ-  
ნი და ერის-თავნი საქართველსანი, და ბადინი ვინმე, ნათესავით  
სომეხი, რომელსა შევედრა ტფილისი და თუთ მეფობაცა. არღუნ  
მოიღო ძღვენი ურიცხვი გიორგის წინაშე და დაჰყუეს მცირედი უა-  
მი ქალაქსა, და მერმე წარვიდეს ეჯნს წინაშე, და მიიუჴანეს ურ-  
დოსა. ზირველად მოუფლინა ეჯნის ცოლსა ტონდულ-ხათუნს, რამე-

<sup>1)</sup> T არქონი; plus bas, არქუანს.

ბუ იუო იგი მადლის კელმწიფის კოსტანტინუპოლის ასული, მსჯულისა ქრისტეანე და მარტლ-მადიდებელი. ამის-თხს ჰატისს უყოფდა ტონდულ-ხათუნი ენუქ-არქუნს, რომელი იგიცა ქრისტეანე იუო. ვითარ იხილას ერმა-იგი, შეიფარა, სიკეთის მისის-თხს, და თვითცა ქმნილ-კეთილი იუო, და მერმე წარიუვანეს უაინს წინაშე, და მანცა კეთილად შეიწინარა და ჰატევი დიდი უყო. და ესრეთ ჰატევი-ცემულ-მან დაუო წელიწადი ერთი; რომელსა მიანიჭა უოველი სამეფო მისი უაენ-მან, და წარავლინა მოციქული, რათა მივიდეს მეფე დავით ეჯნს წინაშე. ხოლო მეფე მიზეზობდა ხოჯა-აზიზის არ მიცემასა. „უკეთუ არა შემცეთ მოსიკუდიდ, არ მოვალ ურდოსა“. ამის მცნობელი უაენი, სიტყვითა არდუნისათა, განწყურა: რამეთუ მძიმედ აღუჩნდებოდა სიკუდილი ხოჯა-აზიზისი. ამის-თხს ეტყოდა უაინს არდუნ: ვითარმედ „მეფე არა მოვალს მსახურებად შენდა, არამედ კვალად ტუელით გვაშორებს, აწ ამას განზრახებ, წარსწემინდე ძე მეუისა, და მე წარმგზავნე ლაშქრად მეუესა ზედა, და შეკრულსა მოვიუვან წინაშე თქვენსა“.

უაინ-მან დაიჯერა, და განაჩინა კაცნი რათა წარსწემიდონ ძე მეუისა, და უოველი, რომელი წარმოეგლინეს მეუესა ძისა მისისათა. ცნა ესე ენუქ-არქუნ, ადღა და მსწრაფლ მივიდა ტონდულ<sup>1)</sup>-ხათუნს წინაშე, და აუწყა სიტყუა ესე: ხოლო იგი მსწრაფლ მივიდა უაინს წინაშე, და ენუქ-არქუნ მოახსენა: „დიდო მადლო უაინო, რასა უსამართლობასა იგი ბრძანება გაგიჩენია, სიკუდილი მეუის ძისა თხს და მსახურთა მისთა. არა უწყია შენ, რომელ წინასწარმეტყველთა, რომელთა ეზრახებოდა ღმერთი, ბრწეინვალითა და სჩინოთა გვართა-გან შთამომავლთა არს. კვალად იხილე, რომელ ფიტითა მოიუვანე იგი, და მე და ენუქ-არქუნ სიკუდილსა ადვირჩევთ, და აჭა თავნი ჩვენნი იუენენ მეუის ძისა-თხს. და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი დიდის უაინის-გან ბათოს შვილი მრავალსა მოციქულსა უგზავნის, და დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალმანისა<sup>2)</sup> და დასავლეთისა, რამეთუ ორივე კელთა

1) T ტუნდუზ; plus haut ტონაუზა; plus bas, ტუნზლუ.

2) T რალამისა; R დარიალამისა.

შინა მისთა არს. და ამასაც განგზრახუბ, ერთისა ბერისა ვაჭრისა სპარსისა-თჳს, ზირველად რად დიდსა კელმწიფესა გააძებ შენთა მტერთა ზედა. რამეთუ უკეთუ ბათოს ულასი და მეფე შეაერთნენ, დიდნი შოგთნი აღდგებიან“. ვითარცა ესმა ულას, განჭკვირდა და მსწრაფლ მოიუწანა გიორგი, შეიყვანა და ზატოვი უუო, და შემოსა შესამოსლითა ბრწყინვალითა, და მისცა ტონღულ-ხათუნს, და ჰრქჳ: „აჲ ძე მეფისა, ჩემ-გან მტკიცე ფიცითა. არას ვავნებ დავითს, თჳნიერ ზატოვისა, და შენ წარვედ ენუქ, და ორნივე ძენი მეფისანი, დიმიტრი და დედოფალი გვანცა, ვითარცა ტონღულ-ხათუნს და შენ გნებავს, ეგრეთ ჰყავთ, და მოიყვანეთ დავით“. ვითარცა ესმათ, განიხარეს და თაუწანის-ცეს, და მოახსენეს: „თავნი ჩვენნი იუწენ ნაცვლად უკეთუ მოგვცე ხოჯა-აზიზ, და არ მოვიუწანოთ დავით, უკეთუ არ მოგვცემთ ხოჯა-აზიზს, არ მოვა“. ხოლო დაღაჲუ მძიმედ აღუზნდა არღუნს, მისცა ხოჯა-აზიზ, და წარმოიყვანა ენუქ, და მიუწერა წიგნი ფიცისა ტონღულ (sic T)-ხათუნ მეფესა. „არა ევნოს უანისა-გან. უკეთუ მოვიდეს ურდოსა, ზატოვითა დიდითა ზატოვ-სცეს, და სამეფო დაუკლებელად მისცეს“. წარმოვიდა ენუქ-არქუნ, და მოვიდა ტფილისს, და ორნი ძენი მეფისანი. წარმოუფლინა მოციქული მეფესა, და აუწია ყოველი. ხოლო წარმოვიდა მეფე, და მოვიდა, ქვიშხეთის ბოლოს და სურამის შუა დადგა. და მოუწოდა ენუქ-არქუნს, მოვიდა და მოუსხნა შჳლნი ორნივე, და მოართვა წიგნი ფიცისა, და მოჭკვირა ხოჯა აზიზ. ვითარცა იხილა ხოჯა-აზიზ მეფე-მან, ბრძანა თავისა მისისა მოკვეთა, და მოჭკვიტეს და წარგზავნეს თავი ტფილისს, და აღმართეს ძელი, და მოჭკვიდეს თავი ხოჯა-აზიზსა. და ესრეთ წარჰყვა მეფე ენუქს, და მიეგებნეს ყოველნი სამეფოსა მისისანი, და წარემართნეს ურდოსა.

ხოლო თანა წარჰყვა სარგის ციხისჯვარელი, ჯაყელი, დიდად ნამსახური, რომელ-მან ჰქმნა ესეცა სათნოებაჲ, რამეთუ ტფილისს ყოფნასა მეფისასა მოვიდა ელნი უანისა, ვითარმედ „მეფესა მოვიბდობ, ხოლო ზაჲ სარგისს არა მივიბდობ“, და არა სათნო უზნდა ბრძანება ესე სარგისს, და ეტუოდა მეფე გარე-უკუნ-ქცევასა. ხო-



ლო იგი არა ერჩდა, და ეტყოდა: „ნუ იყოფინ ქმნად ეგე ჩემდა, რათამცა მე შევიქცე შინა. უკეთუ ცოდუათა ჩემთა-გან გვენოს რაღ-მე თათართა-გან უფველნი კაცნი იტყვიან: განზრახვითა სარგისი-სით განუდგა მეფე თათართა. აწ იგი წარვიდა შინა, მეფე წარავ-ლინა, მოკუტადა, უაინს წინაშე. ნუ ჰქოს ეგე ღმერთ-მან, რამეთუ ამით წარჰკლების გვარი ჩემი. არამედ მოთუქვას, ნაცვლად თქვენ-და ვიყო, და ოუ დავრჩე, თქვენ თანა დავრჩე“. დაიმადლა ესე მე-ფე-მან ეზომ, რამედ ქვაბუდიანი თემი ერთი, სამცხეს, და სყო-დარი ტბეთისა, შავშეთს, სიგლითა სამამულად მიუბოძა.

და წარემართნეს ურდოსა, და მოვიდეს უაინს წინაშე, ბარდავს, რამეთუ იგი იყო სსზამთრო სსდგური. და არა უწყოდეს რა ეგუ-ლების უფოდ მათ-თჳს, და მცირედთა დღეთა მოუწოთა უაინ-მან ხილვად მეფისა და მთავართა, და იკითხვიდა რამლისა მიზნისა-თჳს განდგა? და უფველნი ჰკონებდეს მეფისა და წარჩინებულთა მის-თა სიკუდილსა, და ეგედრებოდა ღმერთსა, და უფლად-წმიდასა მე-ტქთასა და ვედრებისა დვთისა-მშობელსა, რამლისა მინდობილ იუწნეს. და შევიდეს უაინს წინაშე, ხალო მან მოსცა თჳსითა კე-ლით. ღვინო, რამეთუ ესე იყო წესი უაინთა, თასითა დიდითა კე-რისათა. და ვითარ ჯდა მეფე მუკლ-მოყრილი, და მის-თანა უფ-ველნი მთავარნი, ჰკითხა უაინ-მან: ვითარმედ „რად ჰქმენ განდგო-მა ჩემი, და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და არღუნს შემკე-ბი არა დიდნი კეთილნი ვქმენ შენ-ზედა. დაკარგული და სიკუდი-ლად განწირული გველთა-გან აღმოგიუვანე ჯურღმულთა და მეფედ დაგადგინე“. მაშინ ვითარ არდა-რა აქუნდა ჰასუხი მიგებად მეფესა, მოახედნა უკანით კერძო სარგის ჯაყელისა, ვითარმცა იგი ქმნულ იყო მიზნის არღუნის შემობმისა და თათართ მოსრვისა. და იხი-ლა სარგის<sup>1)</sup> ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად, მეფე-მან მის ზე-და მიუტევა სსქმე იგი არა შეშინდა, არამედ უშიშად ადღა და წარსდგა უაინს წინაშე, გამწირველი თავისა თჳსისა მეფისა-თჳს, რა-თა იგი მოკლას მეფისა წილ და მუკლ-მოყრილი ეტყოდა: „მე ვარ,

<sup>1)</sup> T écrit souvent ainsi.

დიდო უაინო, რომელი შემოვები არღუნს“. ხოლო მან ჰკითხა: „ზა-  
ზა სარგის შენ ხარ“. რამეთუ ზაზა სარგისს უწოდდეს თათარნი.  
და მან ჰკრქნა: „იგი ვარ“. ჰკრქნა მას: „და რასა-თჳს განაუენე მე-  
ფე ჩემ-გან, და არღუნს შემოები“. ხოლო სარგის ანა მეცნიერ-  
იყო ენასა მათსა. წარმოაუენეს საღუნი თარგმნად, რომელი ფრიალ-  
უფვარდა უღოს, და დიდად ზატვი-ეცა, რამეთუ იყო კაცი-იგი გო-  
ნიერი, და ენა-კეთილი, სიტყვითა მარჯვე უაინს წინაშე მეტყვე-  
ლებდა.

მაშინ სარგის მიუგო: „დიდო უაინო, ანა იყო სხვა მიზე-  
ზი. რამეთუ მან მიიღო მეფობაჲ დავითს, ქალაქი და სოფელი.  
მან დაიჭირნა ეკკლესიანი და ციხენი ყოველნი დაარღვივნა. ბედნი-  
ერო უაინო, რათა <sup>1)</sup> არღარა-ვინ გაუგონებდა უსამართლოებასა ამას,  
შეკრა კარი თქვენი ქრთამითა. ამის მიზეზისა-თჳს მე წარვიუვანე  
მეფე, რათა ბედნიერ-მან უაინ-მან გაიგონოს, და იკითხოს საქმე  
ესე, ვითარცა აწ კითხვასა ღირს მეო. ესეცა უწოდდე, უაინო, რომელი  
სზარსნი ძველთა-გან მტერნი არიან ჩვენ ქართულთანი. ამის-  
თჳს არღუნს თანა ვუავ ბრძოლა და ომი, რამეთუ საქმე და უსამართ-  
ლოებაჲ მეფის მიმართ ხოჯა-აზიზის-გან ვერდა-რა დავსთმენ. აწ,  
უაინო, მეფე უბრალე არის. მე ვარ რომელი-მან განვაუენე მეფე კა-  
რისა-გან თქვენი“. და განმრავლდა სიტყუა მათ შორის და მრავალ-  
გვარად უბნობაჲ, რომელთა ანა არს უამი თქმად და დაწერად,  
და მეფეცა მრავალსა რასზე იტყრდა, და ენუქ-არქუნ და დიდი-იგი-  
ნინი სხდეს შუა და საღუნი-იგი კეთილად თარგმნიდა, და ჰკაზ-  
მევდა თქმულთა მეფისათა. რამეთუ მეფე ენა-მძიმი იყო მცირედ,  
მანკაბერდელი საღუნი კეთილ-მეტყველებდა, და ყოველნი მოკლო-  
დეს ბოროტის ყოფასა მეფისა-თჳს, და სიკუდილსა სარგისისა

მაშინ მოუვლინა ღმერთ-მან წყალობა მოსავთა მისთა, და აწ-  
ცა დაიწვა, ვითარცა მარადის ჰვარავს. და ვითარ სიტყვასა უბე-  
დეს უაინი და მეფე ურთიერთარს, მოვიდა კაცი დარუბანდით, გზის  
მცველთა უაინისთა, რომელთა გაფუღობით უწოდდეს, რამეთუ არღა-

1) Je supplée ce mot.

რა განსრულებულ იყო სიტყვა, შევიდა უაინის კაცი-იგი ურდოსა, უაინის წინაშე, და მოახსენა: „აჲს აჲს უაში მეტყუებდა, რამეთუ შეიძრა ულუსი დიდი დიდის უაინის ბათოსი, და შვილი მისი, უაინი დიდი ბერქაჲ მოვალს გზასა დარუბანდისასა, უმრავლითა, დიდად დიდითა ლაშქრითა“. ესმა-რა უაინს, მსწრაფელ აწვია სხაჲ თვისი, და მუის შემოკრბეს მის წინაშე. მას უამსა წარმოემართნეს წინა-განწეობად. და ვითარ დაეახლნეს ორნივე სხანი ურთიერთას, მაშინ ევედრა მეფე უაინს რათა წინა-მბრძოლად აჩინოს მეფე და სხაჲ მისი, და წესადცა აჲს ქართუჭლთა წინა-მბრძოლობაჲ“. ისმინა და აჩინა წინა-მბრძოლად მეფე, მახლობელად მისსა დგომად. ხოლო სარგის ჯაყელი თვით წინა დაიუენა, და განახინა მარჯვენე და მარცხენე, დამწეობელ-მან რაზმთა-მან. მიჰმართეს: ხოლო იქმნა ესეცა რამელ რაზმთა შინა განხტა შეელი, სადა-იგი სარგის ჯაყელ-მან, აბჯარ-ცმულ-მან, მოკლა. და მცირედ წარავლეს, და მელი მოკლა იგიცა სარგის ისრითა. და წაიარეს, და უურდგელი მოკლა, და ამა სამსავე ჰხედვიდა ულ-უაინი, და დიდად აქო სარგის, და კეთილად უთქმიდა მრავალსა. მაშინ დაეახნეს სხანი ორნივე, ურთიერთას, და გამოჩნდა კაცი ერთი მათ შორის, რამელი წარმოეგლინა დიდსა უაინს ბერქას. რამეთუ უაინი აჲს წარმოსრულ იყო. ესე მოეახლა დავითს, რომლისა-თვის დიდად შეწუხდეს სხანი მეფისანი, რამეთუ იყო კაცი ესე დიდი და მაკრად და უცთომლად მოისარი. ხოლო მეფე-მან აღმოიღო მშვილდი, დაჰკრა ცხენსა მისსა შეკრდრა, და დაასო და გულსა განვლო. ხოლო ქართუჭლთა განმხიარულებულთა აღიზახნეს და მიეტევენეს, იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი ველსა ზედა შარბამისას<sup>1)</sup>. ძლიერად ჰბრძოდა მეფე და სხანი მისნი, სადა-იგი სარგის ჯაყელ-მან სახელთანა ომი ჰყო წინაშე ულ-სა, რამელ განჰკვირდა უაინი. და განგრძელდა უოველ-გან ომი, და მოსწედა ორგნითვე ურცხვი. იფლტოდა სხაჲ ბერქასი, და დევნა უევეს ძლიერად, ხოლო იქმნა ესეცა. დევნასა-მან ლაშქართასა, დაშ-

1) T ბაბარნისსა; lis შაბრანისსა.



თა ყაინი უფო ოთხითა ოდენ კაცითა, მტირქსა რასამე ბოროტქსა ზედა, და ვითარ იხილეს ღტოფილთა, შვიდნი რჩეულნი კაცნი ზედა მოეტევნეს ყაინსა. იხილა ესე მიმავალ-მან სამითა კაცითა სარგის, შეუტია შჯდთა-მათ კაცთა და შეეპა, და ოთხნი ვიდრემე დაკონეს სარგის და აზნაურთა მისთა, და სამნი-იგი იფლტოდეს. მაშინ იხილა თქალითა მისითა სიმკნე სარგისისი, და უმათა მისთა, განიხარა და დევნა უფო კვალადცა სპასა ბერქასსა, დარუბანდის კარამდის. და განვლეს დარუბანდიცა და სამსა დღესა სხვასა დევნა უუგეს. ესრეთ განმარჯვებული და სახელოფანნი მხოვიდეს სადგურსა მათსა, ბარდავს, ხოლო მეუფესა დავითს და სპათა მისთა ფრიადითა ზატოვითა ზატოვ-ჰსცა, და მრავალი ნიჭი მიანიჭა. ესე-ზომ, რომელ სარგის ჯაუელსა კარნუქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა ერსათა.

მაშინ შეიშურვეს სხუათა ვიეთმე მტერთა და მოახსენეს მეუფესა: „აწ მეუფობაცა სარგისს მიეც, ყაინ-მა ეზომ განადიდა, არდა-რა იქმნების მორჩილი მეუფობისა თქვენისასა“. მაშინ დაიჯერა მეუფე-მან, რამეთუ იყო უმანკო და მაღე-მრწმენი სიტყვათა კეთილთა და ბოროტთა, ორთავე. და წარვიდა დამე ელგონ ნოინის წინა-შე და მოახსენა: „უკეთუ ყაინი სარგისს კარნუქალაქს მისცემს, მეუფობაცა მისცეს“. განჰკვირდა ელგონ-ნოინი და რქნა: „ყაინ-მან შენის მოდგომისა-თჳს მისცა, და თუ შენ გიმძიმს არდა-რა მისცემს. თქვენ ქართუზნი არას კეთილს უყოფთ მკნედ მბრძოლთა წეობათა შინა. არა უწეი, ყაინი სარგის დაარჩინა მტერთა-გან. ძლიერი და სახელოფანი ომი ჰყო“. წარვიდა ნოინი და მოახსენა ყაინს უფოელი-იგი თქმული, და არდა-რა მოსცეს კარნუქალაქი. სცნა ესე სარგის, შეიქმნა გულ-კლებით და ქვე-გამხედვარად ზატრონის-გან. ხოლო მას ზამთარსა დაიშვირა მეუფე ბარდავს თავისა თჳსისა თანა, და სარგის წარვიდა გულ-კლებული სამცხეს.

მას უამსა დაადგა ულას ყაინს შანშეს ძე ზაქარია ამირ-სპასა-საღარი, კაცი უფოლითა სათნოებითა სრული და საჩინო, და იფლტოდა ქუთათის, ხარინ-დავითისს. „რამეთუ ბერქასს დაშქართა გამოსულა მასმია ჩემ ზედა“. ხოლო მეუფე-მან დავით კეთილად შე-

იწუნარა, დაჭეო მტირე უამი, და მერმე თიტით მოიუვანა უან-მან, კარნა არცა ეგრეთ დამშვიდდა გუელი ულასი. და მოკლა სჯარია ამირ-სხასალარი, კაცი პატოისანი და სხელოვანი, და ჭსტნა დიდ-მან შანშე; მამა-მან შის-მან, მწუნარებითა შეწუხებული ივითა აღ-სრულდა. ხოლო გვანცა დედოფალი, ავაკის ცოლ-ყოფილი, მოკ-ლულ იქმნა, თათართა შინა მეოფი, რომელსა იტყვიან, ვითა ასულ-სა მისსა ხვამაკის, რომელი იყო ცოლი სევიფარდავისი, ხოჯა-შამ-შადინისა, მისითა განზრახვითა მოკლათ. და ვითარ უცოლო იყო მეფე, იქორწინა ცოლი, სხელით ესუქან, დიდისა ჭკრმალო-ნოი-ნისა (ასული), და დიდისა სირმა-ნოინისა. და წარვიდა ტვილისსა, და ქმნა ქორწილი პატოისანი.

ამა უამთა გარდამოვიდეს ბერქას უანის-გან ლტოლვილნი ორ-ნი დედა-კაცნი საკვირველნი, სხელით ლიშ აჩავ, და მან მოიტანნა შჯლნი მტირენი, ნათესავითა ახსართაკაიანნი <sup>1)</sup>). პირ-მშო თარეჯნ, და უმრწემესსა ბაჟათარ. და სხვანი თავადნი მრავალნი გამოვლეს კარი დარუბანდისა, და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატოი-თა ისტუმრნა, და წარავლინა უანის ულას წინაშე, და უან-მან შე-იწუნარნა ფრად, და უბოძა ხარჯა, და მოლაშქრედ და თანა-მბრძო-ლელად განაჩინნა. და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინნა ხოლო მეფე-მან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი უინვანს.

და ვითარ მოიწია სთველი, წარვიდა უანი ქვეუანად შარვანს <sup>2)</sup>); საზღჳართა საქართჳლასათა, ადგილსა რომელსა უწოდიან ჩადან-უსური, ესე იგი არს თეთრი-წყალი. და შეკრეს ობითა წელის პი-რი, რომელსა სიბად უწოდდდეს. რამეთუ ჭკონებდეს გამოსკლასა ბერქა-უანისსასა. და ამა უამთა-გან იწუეს სიბასა ზედა დგომად თა-თართა და ქართჳლთა, სთჳლით-გან გაზაფხულადმდე. და გაზაფ-ხულ წარვიდიან საზაფხულთა ადგილთა. ხოლო იქმნა ესეცა, რომელ უანითა შვილნი ზემო-ხსენებულნი, ულას-თან წარგზავნილნი,

<sup>1)</sup> T ახსართაკაიანნი.

<sup>2)</sup> T შარვაშეს; cf. Traduction, p. 455, n. 5.

ტუთარ, ყუელი და ბაღალი, დაიხურა ყაინ-მან ულთ, და მოკლნა  
სამნივე. და დაიხურა ქვეყანა მათი, და ყოველი სიმდიდრე მათი.  
და სცენს სიკუდილი ზატრონთა მათთა საბერძნეთს მდგომთა დედა-  
წულთა, რომელთა თავადი იყო ალა-თემურ ვინმე, კაცი სახელგა-  
ნი. აიყარა ბარგითა და დედა-წულთა, და ივლტოდა. და მომართა  
სამცხის კერძო. ცნეს თათართა ულთ-ყაინისთა სივლტოლა ალა-თე-  
მურისი, დევნა უეკეს და მოეწივნეს, და იგინი დაბრუნდეს და შე-  
ებნენ, და მრავალი კაცი მოკლეს ულთს ლაშქრისა. და რათა არა  
განგრძელდეს სიტუჭა, ვიდრე კოლის მათთა მოსვლადმე ათ-არ-  
მეტ-ჯერ მოეწივნეს და ათ-არ-მეტ-ჯერ შეებნენ, და ათ-არ-მეტ-  
ჯერვე ალა-თემურ მოერია და გააქცივნა. და ესრეთ მოიწივნეს ქვე-  
ნა არტანს, სოფელსა რომელსა ჰქვიათ ჯლინავი. და მუნ დახვ-  
და მურვან გურკელელი, მახუჯაგის ძე. წინა შეემთხვია, ნადირო-  
ბას მიმავალი, რომელი შეიხურეს თათართა, და ვინდა მოაკუდივნეს.  
ხოლო იგი ევედრა და აღუთქვა ლიხთ-იმერით წარუვანება მათი, და  
ეგრეთ ბერქას-ყაინს წინაშე წარსხმა, ხოლო იგინი მიენდვნეს, წარ-  
მოიყვანა, და მოასხნა სამცხეს, და მოასხნა გურჯლის ჭაღას, და  
ესრეთ განსცნა. წარავლინა კაცი და ამცნო სარგის თმოგველსა და  
შაღვას, ბოცოს ძესა, და ყოველთა მესხთა, და სარგის ჯაყელის  
ლაშქართა, რათა შეკრბენ ერთად, და შეიხურან ალა-თემურ, და მი-  
ჭგვარონ ულთ-ყაინს. და წარმოემართნეს, და ჰსცნა ესე ალა-თემურ,  
აიყარა ბარგითა და დედა-წულთა, გამოვლო მტკვარი და მომართა  
ჯავახეთით კერძო. შემოიარა ელახის შემოღმართი, და მივიდა თმო-  
გველსა ქვეშეთ, ადგილსა, რომელსა ჰქვიათ ლერძავნი. რამეთუ თმო-  
გველი მუნ დაუდგა წინა, რომელნი იხილნა-რა, მორიდნა სარგის  
და ბოცოს ძე-მ, და ლაშქარნი ერთ-კერძო მოსდევდეს, და გულ-  
კლეუელი მურვან მართლ კვალსა შედგომილი მოსდევდა. და მოეწია  
გურკელელი მცირითა ლაშქრითა, რამეთუ ბოცოს ძე და სარგისის  
ლაშქარნი არა მოვიდეს, არცა შეკლად გურკელელისა. შეიბნეს ძლი-  
ერად, ჰსძლეს თათართა და მრავალი ტაძრეული აწინაური. მოკლეს,  
და ივლტოდა გურკელელი. ხოლო თათართა განვლეს ჯავახეთი და  
თრიალეთი, და რუსთავს მტკვარს გავიდეს, და მრავალ-გან მიეწივ-



ნეს თარაზნი და სომხითარნი ლაშქარნი, რომელთა თვითოეულად  
აზრას აზრს უამი მოთხრობად. ყოველ-გან ალა-თემურ მძლე ექმნა, და  
განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, ჭერეთი, ყოველ-გან იმითა, და წარ-  
ვიდეს გზასა ბელაქნისსა. შევიდეს ღუნძეთს, რამეთუ წინა-განეწ-  
ყო მეფე ღუნძთა, და ჰსძლეს თათართავე, და განმარჯვებულნი მი-  
ვიდეს უაინს წინაშე. და ესრეთ საკვირველი საქმე ქმნეს, და ამით-  
თანანი, სადაცა დარჩეს, აღნარღომობით უკმობდეს, ესე იგი აზრს  
უფროსთანი გინა უხუცესთა. და ამის-თვს განძვინებულნი ბერქა გა-  
ნემზადა გამოსვლად. და ამით თეთრსა წყალსა ზედა ღობე შეკრეს,  
და მუნ იზამთრიან, ვითა მითქვამს.

ხოლო ვითარ მათ საქმეთა-გან უბრალოდ აზრს მეფე, განდიდნა  
ჰყონდიდელი ბასილი, უჯარმელი, და იწყო საურავთადა ქმნად თვ-  
ნიერ მეფისა კითხვისა და მეფისა იმერით ყოფნისა შინა დიადი  
აწეინა სეფეთა ქვეყანათა, რამეთუ ვითარ თვსთა ხედვიდა. და სიტყ-  
ვად ესრეთ იყო, ვითარმედ ესუქანს თანა ეყო. ამის-თვს შესმენილ  
იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელ-მან მსწრაფად მოიყვანა და  
ბრძანა ძელ-ზედა დამოკიდება. და მოჰკიდეს ძელსა, შუა ქალაქსა.  
რამეთუ იყო მეფე მალე-მორწმუნე და ღიბრინიცა. და ვითარ მო-  
წია სთველი, გვალად წავიდა უაინი სიბასა ზედა, და მეფეცა მის-  
თანა. მოიწია-რას გასათხუელი წარმოვიდა უაინი საქლსა<sup>1)</sup>, და ძე მი-  
სი თანქუმ წარმოვიდა გელაქენსა, რამეთუ მას აქუნდა საზათხულოდ  
სადგურად გელაქენი, და მეფე თანა წარმოიტანა, და მუნ იყო. მა-  
შინ ევედრა მეფე თანქუმს, რათა უაჯრს მამასა მისსა უაინს ულარს  
წინაშე, რათა განუტოროს სამეფოდ თვსად. ხოლო მან ისმინა და  
წარავლინა კაცი. და ვითარ მიიუჭანეს საქლდ, უაინი ულო აღსრუ-  
ლებულ იყო. მაშინ ხათუნთა და ნოინთა მიუმცნეს თანქუმს, რათა  
განუტორონ მეფე სამეფოსა. გამოუშვეს და მოვიდა ტფილისს, და  
ყოველსა ქართლსა და სომხითსა განაგნა საქმენი მანდაურნი. ხოლო  
ნოინთა დასვეს ტახტსა ზედა ულარს ძე უხუცესი, სასელით აბაღა<sup>2)</sup>,

1) T სააქალსა; cf. p. 368 et plus bas.

2) T აღბულა.

კაცი კეთილი, უხვი, მოწყალე, ტკბილი, მდაბალი, განმკითხველი, სამართლის მოქმედი, გლახაკთ მოწყალე და შემნდობელი, ესე-ზომ რამელ, დაღათუ დიდისა ბოროტის მოქმედი კაცი იუვის, არავე მოჰკლევდის. რამეთუ ესრეთ იტყოდა: „ყოველისა ქვეყნისა მხურბელად დაუდგენი-ვარო ღმერთსა, და რასაცა ვერ მივსცემ, არცა-თუ წაუღებ“. და მრავალ-გზის საჭურჭლენი მისნი წარიტაცნეს მხარავთა, და არა მოაჰუდინის, არამედ იტყოდის: „რად მაკლს მე საჭურჭლე, ისი წარიღონ გლახაკთა. რამეთუ ნაკლულევან არიან, და მის-თჳს იხარვენ“. კვლად უბოროტო და კეთილი გონება აქუნდა, მაშინ აბაღა-შე განაჩინა მკედართ მთავრად კაცი სახინო წუობათა შინა, და ურდოსა და სახლისა თჳსისა მოურავად დაადგინა ზემო-ხსენებულისა ჭორმადონის შვილი სიომონ, კაცი განმარჯვებული და სახინო ბოძლათა შინა. ვინათ-გან ქრთამსა მძიმესა მიიღებდიან მის წინაშე მდგომნი ყოველნი, გამოარჩია კაცი ერთი, მოწყალე და სამართლის მოქმედი, და მმარხველი და მლოცავი, ქვეყანათა და ეკკლესიათა ღვთისათა მოსავთა მოუჭარე. სახელით აღუბადა ესე განაჩინა უღონოთა და გლახაკთა განმკითხველად, არა-თუ უღონოთა უაინის ზატივ-ცემულნი ნოინნი გამოცვალნა, არამედ უმრავლესნი აღსრულებულ იუვნეს, ვითარ ელგან-ნოინი და სხვანი მრავალი.

ამას აბაღას წინაშე წარვიდა მეფე დავით, და ფრიად ზატივითა შეიწინარნა. და ზატივ-სცა და დაემორჩილნეს აბაღას ყოველნი თათარნი, საბრძნებელი მამისა მისისა უღონო. მას უამსა გამოვიდა დიდი უაინი ბერქა გზასა დარუბანდისსა, აურაცხელითა ლაშქროთა, შურის-გებად ტუთარეს, ბაღდას და ყულის საქმის-თჳს. ცნა ესე აბაღა უაინ-მან, და მოუწოდა სზათა თჳსთა, და მეფესა დავითს, და წარემართა. ხოლო ვითარ აგრძნა ძლიერება და სიდიდე სზათა ბერქასთა, არდა-რა განვიდა მტკვარსა, არამედ შეიარა ნაზირი და განსავალი ყოველი, და აღიდო ზომი ყოველგან; და დააყენა ლაშქარი სადა შეკრებიან მტკვარი და რაკსი, და მუნით-გან ვიდრე მცხეთამდე. ხოლო ბერქა-მან მოაოკრა ქვეყანა შარვანისა, ჭერეთი, და კახეთი და ყოველი იორის ზირი. და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვიდეს. ხოლო ბერქა-უაინი

დადგა მათა შინა გარესჯისას. მაშინ მოხედნა ღმერთ-მან წყალ-  
ლობით ქვეყნასა ამას და უანსა აბადას. შეეღვა საღმობაჲ რამე  
ბერქას, და მოკუდა. ვითარცა იხილუს სიკუდილი უანისა მათისა  
სპათა მისთა, წარიდეს მკუდარი, და განვლეს კარი დარუბანდისა.  
ესრეთ დამშვიდნა ქვეყანა ესე.

ხალხი თათართა გულად აქუნდის შიში მეფისა ბერქას დაშქ-  
რის გამოსვლისა, და ყოველთა სთველთა წარვიდიან სიბასს ზედა.  
ვითარ მოქაზდის უამი სიბას წარსვლისა, მოუწოდა მეფე-მან სპათა  
მისთა და სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელსა. ვითარ მივიდა სარგის  
დავით მეფისა წინაშე ტფილისს, ჰგონა სარგისის განდგომილებაჲ  
უანს წინაშე, და დაივიწყა ნამსახურებაჲ, განზრახვითა უკეთურთა  
კაცთა-თჳს. მოუწოდა ზალატად, და შეიპურა შინა, და ტყვე ჰყო  
საჭურჭელსა შინა, ცნეს ესე აზნაურთა თანა-მყოფთა სარგისისთა,  
ივლტოდეს და წარვიდეს უანს წინაშე, და მოახსენენ აბათა ნოინ-  
სა რათა მან განაჩინოს მეფისა-გან დამჭირვა სარგისისი და მოახ-  
სენოს უანს აბადას, და სთხოვოს სარგის. ისმინა მსწრაფელ ვედ-  
რებაჲ აბათ-ნოინისა, და მოსცა ელჩი, და წარმოავლინეს, და მოი-  
წია ტფილისს, და წარმოიყვანა სარგის, და მიჰგვარეს აბათან-ნოინ-  
სა, და მიერით-გან იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულასისანი, ვიდ-  
რე უამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსა დიდისა  
გიორგისითა.

ხალხი მეფე ჯერეთ არა წარსულ იყო სიბასსა, შეეღვა საღმობ-  
აჲ მუცლისა ძეს მისსა ზირ-მშოსა გიორგის, რომელი სიკეთე-  
ადმატებითა სავსე იყო. განგრძელდა საღმობაჲ ესე-ზომ, რომელ  
კინდა მკუდარ საკონებელ იყო. დაიდვა უხმრად, უძრავად, სულთა  
ადმომთეშვინველი, და მითცა ძლით ამას მწუნარებასა და უღონო-  
ბასა რა მოეცვა მეფე და ყოველნი მკვიდრნი საქართუზელისანი,  
მოქისენა მეფესა დმანისისა ღვთის-მშობელი, და წარვიდა წინაშე  
მისს, და თჳთ წარმოაჩინა ვითარ ყოველი უკამურითა ფერკითა მო-  
ჰყვებოდეს, და მოეკებოდეს, მკურვალითა ცრემლითა წყალობად მათ-  
და აღსძრვიდეს. მაშინ შეისმინა ვერდება მათი წმიდათა უწმიდესი-  
სა ღვთის-მშობელ-მან, და მყის შეხებასავე თანა, და ზირსა ზედა



შეხებასა, თუაღნი აახუნა მსწრაფელ, და ვითარცა უფლებელი წარმოჴდა. იხილეს ესე მეფე-მან და უოველთა მკვიდრთა საქარაუჭლოსათა, განჴკვირდეს ანაზღათსა ამას საკვირველებასა ზედა უოვლად-წმიდისსა, და აღიდებდეს უოველნი ღმერთსა.

და კვალად წარვიდა მეფე სიბას ზედა, და მუნ უოფასა მისსა, ჟამსა წამოსვლისსა, დასწუულდა მეფე დავით, მით საღმობითა მეტლასათა, და ვერ განჴკურნეს მკურნალთა, და წარვიდა ცხედრითა. და ვითარ მოეახლა მარტო-მყოფსა, მივიდა ხატის-მას კელთ-უქმარსა, რამელი გამომისსა ტილოსა, ხატისა მიერ კეტსა ზედა. მოუვანება ბრძანა მარტო-მყოფისა ხატისა, და ვედრება ცრუელთა, და შეუვარდა, და განჴკურნა ვითარ უფლისა მიერ განკურნებულნი ცხედარსა ზედა მდებარე; და ესრეთ მრთელი მივიდა ზალატად ტოილისისა, და იყო განსვენებასა შუნა თხნიერ ამისსა, რამეთუ მთავარნი და ერის-თავნი ვერ ჴსცვალნის, შიშისა-თხს უაინისა. ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარ ბრძენისა სოლომონის-თხს წერილ არს, ჟამსა სიბერისა მისისსა არა მარტლად ვიდოდა წინაჲ დვთისა. და მძლავრებისა-გან თათართასა უცალო ქმნილ-მან, იწყო შიდად საყდართა საეპისკოპოსათა. რამელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონასტერთა. ამას თანა სწინიცა ბოროტნი აღსძრნა მტერ-მან, რამელ-მელნი არა საკმარ არიან თქმად, და მძლავრა სიბერესა შინა ვითარ სოლომონს. ამის-თხს ჴსწვრთიდა ღმერთი, არა ჩვენებითა, არამედ შევნიერებითა ძისა მისისათა სიკუდილისა გლოვითა. ვინათ-გან უგუნურებასა შინა ვართ ნათესავნი აღამისნი, და გულს-მოდგინეთ მიდრეკილ არს გული კაცისა ბოროტისა მიმართ, ვითარცა წერილ არს. „არა ინებეს შეგონებად, არამედ გარდაგვედით ცხოვრებასა ჩვენსა, და უოველნი ვართ ამოებასა შინა“, ვითარ იტყვის ბრძენი ეკლესიასტე. „ამოებაჲ ამოებათა და უოველივე ამოა არს“, და მზესა ამას ჴვეშე ხილულსა უოველსა ამოებასა მისცემს.

ხოლო ჩვენ გზასა მცირედ გარდამბიჯებულნი, კვალად მოგზაურ ვიქმნეთ. და ვითარ მოიწია მსგეუსი სიბას წარსვლისა, წარვიდა მეფე კვალად. ხოლო მუნ უოფასა მისსა დასწუულდა ძე მისი

გიორგი, რამეთუ დიდი ნუგეშინის-ცემა აქუნდა მეფესა საბრძანებელსა მისსა, და მისვე სისხლისა მდინარებისა-გან აღსრულდა, და დაუტევა მწუხარებაჲ მიუთხრობელი უფულთა მკვიდრთა სამეფოსათა, დიდით-გან მცირეთამდე. ხალხი გვამი ურმისა გიორგისი დასვენეს საუდარსა სიონისსა, რათა მოიცადონ მეფე. და ვითარ მოვასწავსა ჟამი მოსულისა, და ვითარ წარკაფა ჟამი მცირედი, მოვიდა მეფე ტფილისს. ვითარ არა-ვინ გაეგება წინა, თუნიერ მცირეთა მოქალაქეთასა, ზარ-განკდილი მიისწრაფდა ჰალატად, სადა დასვდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავითა მოსილნი. და ვითარ აუწუეს სიკუდილი ძისა მისისა გიორგისი, მუის, სმენასავე თანა, და ეცა და კინდა მკუდარ იქმნა. და ესრეთ შევლეს ჰალატად, კელთა ზედა მკონებელი, და ძლით მოვიდა ცნობად. რამეთუ უკეთუ მოისპოს სული, მუის მოისპობის ცნობა, და უკეთუ მოისპოს ცნობა, არა თანა მოისპობის სული სიტყვის მოქმედი. იტყვის: ვინათ-გან ტკივილთა მიერ უზომოთა მოცუულ იყო, და შვილობისა სიუწარული და გვალად სიტურფე-აღმატებულებაჲ ათვრამეტისა წლისა მეფობისა, სიმკნე, სამკედრო ზნეთა-გან განსრულებულობისა, ტკივილნი შიშობლ ზედა დაერთვოდეს. საღმობიერითა გოდებითა ჰგოდებდა, და სიკუდილსა აღიჩნევდა თავისა თვისისა, რა-ჟამს იხილა აღუვალებული შვენიერი გუამი ძისა მისისა გიორგისი, მკუდარად, უფურულად მდებარე, წამელსა იგლოვდა ერი, და ვაებით წარიყვანეს მცხეთას, და მუნ დაკრძალეს, და უკმოიქცეს, მწუხარებითა სავსენი. ხალხი ეს-ოდენ განუმრავლდეს ტკივილნი შულისა სიუწარული-სანი, მიერით-გან არდა-რა აქუნდა ღზინებაჲ, და სუნთცა მრავალთა მოისცევს, და გუამითა უძლურებდა უმრავლესთა ჟამთა. ჯარნი ჰმონებდავე უაინსა აბაღს, არა იყო სხუა ღონე.

აქა შინა იწყო მანკაბერდელ-მან სადუნ-მან განდიდებად, რამელი ზირველ ულარს შეეწეადა, რკინობისა ძლით. და უაინ-მა აბაღაცა ზატოვ უყო, და დიდი სიბდივანი კეთილის უფოდ, მით რამელ ცოლისა მისისა ავადის ასულისა, ხვამაქისა, ეჯობებაჲ აქუნდა, და მეფესა დავითს მიუბოძეს მრავალნი ქვეყანანი.

ამათ ჟამთა იქმნა განდგომილებაჲ თათართა ურთიერთარს. რა-

მეთუ განუღვა უაინსა აბაღას თაგუთარ-უაინი, ბარახას ძმა უმრწემესი, რომელი იყო ზემო-სსენებულის ჩინგის უაინის შვილისა ჩაღატა-უაინის ნათესავი, რომელსა ეპურა ქვეყანაჲ თურახისა, დიდი თურქეთი. ესე ბარახა-უაინი იყო თურახისა, და წარმოაუღინა ძმაჲ თჳსი თეგუთარ, რათა ხარაჯა ქვეყანისა, რომელ მას წარკდომოდა, ვითარ ზემო-თქმულ არს, თეგუთარს მიხუდებოდის. ესე მივიდა, ორისა ბევრისა ლაშქრისა მქონებელი. შეიწუნარა აბაღა, და უჩინა ზათხულის სადგურად ვიდრემე მთანი არარატისანი, და საზამთროდ რაკისა ჰირი და ნახჭევანი.

ესრეთ იყოფოდა თაგუთარ. უმურდა უაინობაჲ აბაღასი, და მიუმცნო ძმასა თჳსსა უაინსა ბარახას, ჯეონს იქით მეოფსა, ვითარ-მედ „რად მისცემთ უაინობასა და ქვეყანასა დიდსა აბაღას. აწ წარ-მოემართე მანდით შენ, და აქათ მე, და ორთავე შეგმურათ აბაღა, და ჩვენ დავიპურათ ქვეყანა მისი“. ხოლო მოიგურაგა ესრეთ, თავი შეშისა ისრისა აღმოთხარა, და ძვლითა ჰილასათა შეაწებდა სმინი ისარნი, და მათ შინა შთადგა წიგნი, ამაღ რომელ ეოველ-გან გზისა მცველნი განჩინილ იუწენეს თათართა-გან ძველთა-გან, და განიკითხიან მგზავრი, და მოციქული. და ვითარ მივიდა თეგუთარისა მოციქული ძმასა მისსა ბარახა-უაინს წინაშე, სთნდა სიტყუა და განზრახვაჲ თეგუთარისი, და მოუმცნო მანცა ეგრეთ, რათა ჰა-ემანს შეკრბენ ერთად, და დაამეგან აბაღა-უაინი და დაიპურან კელ-მწიფობაჲ. და მოუწერა განჩინებული დრო ჰემანისა, რომელ მას უამსა გამოვიდეს ჯეონსა ბარახა სზითა მისითა. ხოლო განგება-მან ზენა-მან განაქარვა განზრახვა მათი, და დაიცვა აბაღა უმანკობისა-თჳს და სიწრფეობისა, და სიმაკთლისა-თჳს, და შესცდა მწიგნობარ-ი მისი, და ორითა მთვარითა დაწერა განდგომა თეგუთარისა. რამეთუ თთვენი მათნი მთავარითა აღრაცხილ არიან. და შთადგა მან-ცა თავსა შინა ისრისსა წიგნი ესე. და წარმოვიდა მოციქული, და მოიწია თეგუთარს წინაშე, და მოსცნა ისარნი. და განაღო თავი ისრისა, და ჰოვა დაწერილი ძმისა მისისა ბარახასი. და უამიცა იგი ჰემანისა მოახლებული ჰზოვა წერილსა-მას შინა. და მუის აღკვამ-მა, ბარგითა და დედა-წულითა, კაცი მებრძოლი ვითარ ბევრი ერ-



თი და ხუთ ასი. რამეთუ სხუა-იგი ლაშქარი ვერ ესწრა სისწრაფი-  
სა-გან, ნუ უკუჭ განცხადნეს საქმე მისი, და ბოროტი ეყოს აბა-  
დას მიერ. აიყარა და მომართა მთახარა დადოსთა, კარცხალთა და  
კარისათა, რომელ არს შირის შავშეთისა აჭარასა, და დადგა თავსა  
შავშეთისასა, ფიჭვთას, და ეზრახა სარგის ჯაყელსა, რათა მისცეს  
გზა, უკეთუ უნდეს წარსვლა აფხაზეთისა მეფესა და ვითს წინაშე,  
რათა იგი იყოს შუამდგომელ მეფისა და თეგუთარისა. და უკეთუ  
განუმარჯვდეს, დიდად განადიდოს სარგის.

და ვითარ ამას ზრახვასა შინა იუჟნეს, სთნდა სარგისს სიტ-  
უჟა თეგუთარისი. მოუწოდა სპათა მისთა და დიდსა შანშეს, შვილ-  
სა ივანეს მანდატურთა-უხუცესისა, წარმოავლინა დეგნად<sup>1)</sup> თეგურ-  
თარისა, და აჩინა მკედართ მთავრად სირმონ-ნოინი<sup>2)</sup>, შვილი ჩო-  
მადონისი, კაცი წყობათა შინა სახელგანთი და შემმართველი, და  
მრავალნი ნოინნი სხვანთა, და მოიწინეს მათა არტახისათა, და  
დაიბანაკეს მუნ. ხოლო იქმნა ესეცა საკვირველი ყოველთა ნაშობთა  
დედათა უმეტესისა, რომელ-მან ღვთისა სიტუჟასა, ქალწულისა-გან  
შობილსა ქრისტესა დიერთსა ჩვენსა, თვისთა კელითა ნათელ-სცა,  
და ხმა მამისა ზე-ცით ესმა, და სული-წმიდაჲ სახითა ტრედისათა  
იხილა, და სამებისა წმიდისა ერთი არსებაჲ ცხად ჰყო და გვასწავა,  
იოანე ნათლის-მცემელ-მან. ამისი უდაბნო შენ არს, და არა უცნა-  
ურ, მათა შინა დადოსთა, თხოვა, უზირველესი ათ-არ-მეტთა  
უდაბნოთა. ამას შინა არს უზირატესი ყოველთა წინასწარმეტყველ-  
თა და მოწამეთა, ყოველთა უადრესისა ნათლის-მცემელისა იოანეს  
კორგი-იგი, რომელი არა დაუღუმდებოდა ქებად ღვთისა მისრულე-  
სა, და მამხილებელი ჭეროდეს უსჯულყოებისა. და ესრეთ ზატოც-  
ნითა საუნჯითა განშვენებულნი, და სადმერთოთა კრებულთა აღსავ-  
სე-იგი სამყოფი ნათლის-მცემელისა, და ჭეშმარიტი თვთ თავადისა  
სამყოფი, ვითარ სიტუჟა ცხად ჰყოფს. ესმა-რა სიდიდე უდაბნოსა  
თხიზისა და შემკობა მისი ზატოცნითა ზატოთა, და განდელთა მიერ

<sup>1)</sup> R, T, დიგნად.

<sup>2)</sup> R, T, ნოინის, que j'ai corrigé.

ადსავსებაჲ, ინება წარმოღება მისი, და წარმოაგლინა ვითარ ათასი მკედარი, რათა მოაოკრონ. ხოლო წარვიდეს მთისა გზასა, რომელი მივაღს კარხსაღთა კერძო. გარნა არა დაიდუმა მსჯავრ-მან ზენა მან. რამეთუ ეგ-ოდენნი წმიდანი მამანი რომელ მას უამსა ჭბრწეინვიდეს ოპიზას, სასწაულთა ნიშთა მიერ განბრწეინვებულნი, და მინდობილნი წინა-მოხრებდისა იოანესნი, წარმართთა მიერ მოწუვდილნი, და კოჩკი-იგი, დაუდუმებელი ღვთისა ქადაგა, არა უბატოთ ჰყო დემრთ-მან. ამის-თჳს დაიწვა საუოფი თჳსი, და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერდა-რა ვიდოდეს ფერკითა საძაგელითა. რამეთუ მიახლებულ იუჟნეს უდაბნოსა. და დადგეს მთისა-მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა შინა შენ არს ეკკლეზია წმიდისა გიორგისი, რომელ არს ოპიზასა, და მიძნობდრას. მამინ მოჰხედნა წყალობით სამკვიდრებელსა თჳსსა იოანე ნათლისმცემელ-მან, მსგავსად უოვლად უბიწოსა ვლახქერნისა ღვთისა-მშობელისა, და მოაგლინა ქარი სასტიკი მთისა დადოსა და ხორშაკი, სეტევა და წვიმა მძათრი, და ადდგეს ღელვანი ვითარცა შუა ზღვისა, და წარმოეტა წყალი მძათრი, და იქმნა მდინარე დიდი, რომელი განსწორდა ვიდრე წვეკადმდე ძეგლისა, რომელი აწცა იხილვების დიდი-იგი ნადვარევი, რომელი შთავალს მართლ ზედა წყალსა შავშურსა. ზედა მოეტევა წყალი და წარიხჳნა თათარნი სულიად. კაცი და ცხენი არა დაშთა, თჳნიერ კიდე ერთისა კაცისა, და წარვიდა თხრობად თეგუთარისა, ვითარცა იობის ზედა დადადისი, ვითარმედ „სახლი ღვთისა არს ადგილი-იგი, სამეოფი მონათა ღვთისათა. კრიდენით მუნ მოსვლად“.

იღვა მადალსა არსიანის თავსა, მოვიდეს და ჰრქვეს: ვითარმედ მოვიდა ლაშქარი დიდი აბაღსი, დადგეს მთასა არტანისასა, და ხვალე მოსვლად არს აქა. ესმა თეგუთარს, და რა გათენდა ადუარა ბარგი და დედა-წული თჳსი, და უკუნ-აუენა, მთასა მაგარსა კარისათა, რომელსა ერთ-კერძო შევალს გზა, და თჳთ ლაშქრითა და მეომრითა გარდმოიარა არსიანი. აქეთ სირმონ ჩამოვლო მთა უველისა, და მოვიდეს ორნივე თავსა უველისასა. სირმონ წინა-დაუდგა, რომელი იყო ბრძოლათა შინა სახელგანი, ეგრეთვე ძლიერნი

შებდომები თეგუთარისნი, ჯოლაქი, აბიბსანუი <sup>1)</sup>, თელქა-დემურ, რამელთა დიდად ძლიერი ოში გარდაიხადეს, და მოსწედა ორგანიტვე ურიცხვი. და განგრძელდა ორგანიტვე ოში, იძლია თეგუთარ, და ივლტოდა დედა-წუღითა, კერძო მთასა ლადოსასა, ჯნაღის თავსა, და მიუდგა უკანა სირმონ. ხოლო თეგუთარ დაუდგა, სიმაგრესა მთისა მინდობილბ. და კვალად იქმნა ძლიერი ოში ორი დღე. ვითარ მისჭირდა თეგუთარს, ივლტოდა უცხურად, რამელიძე აჭარით, და რამელიძე ნიგალის-კეგით, რამელი უოვლად უვალ იყო კაცთა-გან, და არა დასაჯერებულ არს კაცთა-გან. უკეთუ ვისმე ეზიღვნეს მთანი-იგი რამელმსაცა წარგუნეს. რამეთუ უოვლად შეუძლებელ არს სლვა კაცისა, არა-თუ ცხენისა, ზირველ სიშეაფრითა, და მერმე ტყისა სიკშირითა, და შქერთა და ეკალთა, რამელსა ბურწუმელი ეწოდების, განთხრძული ბრწამლითა, რამელი ნადირთა-განცა უვალ იყო ადგილი, რამელი შთავლეს. და იქმნა ესეცა, რამელ განავლეს ტყესა ერთსა, ქვეშეთ კლდისსა და ზედათ მიწისა მცირისა მქონებელსა, და ზედა მოშენებულ იყო ტყე. გაღმართ განმავალთა წარუსქდა მთა-იგი, ვითარცა ზვავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათ-ასსა, დედა-წუღის მქონებელსა, და შთავიდა კეგსა აჭარისა. და დაიხურნა ცხენი და კაცი, და უოვლად უჩინო ჰქო, და ესრეთ საწყალობელად მოისრფოდეს. და ჯერეთ-ცა ადგილსა-მას სთხრიან აჭარელნი, და ჰხობენ სამკაულთა დედათასა, ოქროსა და ვერცხლისასა. ჩაიარეს აჭარა, და ნიგლის-კეგი, და მერმე შეიარეს გურია, და მივიდეს ქუთათის, მეფესა დავითს წინაშე. ხოლო იგი სიხარულით მოეგება და სერი დიდი განუმზადა, ხუთ ასი ზროხა მოხარშული დაუდგა, თხნიერ ღორისა და ცხვრისა კიდე, და ლაშქრისა გამოსაზრდელად მასვე დღესა ცხენი ექუ ასი, ზროხა ათ-ას ხუთ ასი, ცხვარი ორი ათ-ასი, ღორი ორი ათ-ასი. ესე მას დღესა მოიღო თეგუთარს წინაშე, და მან განუყო ლაშქართა. რამლისა-თჳს დიდად განჰკვირდენ თეგუთარ და სზანი მისნი. ხოლო ღვინის ჰამარი არა იყო. მოიღეს ურმითა და ჭურითა, და აღმოსაზრდეს. ესრეთ კვალად ისტუმ-

1) R, T, აბიბსანოსი.



რს მეფე-მან, რომელი იყო უხვი და მდაბალი, და მეცნიერი უფლისა საქმისა, და სახელისა მომხვეჭელი. ესე ვითარცა მონა და უღვა წინაშე სამსახურად თეგუთარს.

ეგრეთვე დედოფალ-მან, ასულ-მან მადლისა კელმწიფისა-მან, ჰალიალოდოს კონსტანტინუზოლის მეფის ასულ-მან. ამანცა ეგრეთ ჰატიფ-სცა ცოლსა თეგუთარისსა, და გაუშინაურდეს ურთიერთარს, და მიენდუნეს, და ზედა-ზედა მივიდის დავით მეტვე თეგუთარის წინა და განუჩინის. ესრეთ იყოფიდა, და ვითარ შეიქცა სირმონ გამარჯვებული უაინს აბდას წინაშე, მოვიდა კაცი გზათა მცველთა ხვარასნით, ვითარ შეიძრა დიდი ულუსი თურანისა, და უაინი დიდ ბარასა გამზვიდა ჯეონსა, უამრავითა დაშქრითა. რამეთუ ბარასა ჰემანსა გამოსულ იყო, და თეგუთარის კარდახვეწა აუწიეს. ვითარცა ესმა აბდას, განჰკვირდა, მოუწოდა ურმათა მისთა და უოველთა ქართუჭლთა. რამეთუ მეფე დავით შვილის სიკრდილითა დაუძლურდა, არამედ ეგრეთვე წარვიდა, უოველითა ძალითა მისითა. წარვიდეს ხვარასნით კერძო, და მივიდეს ტერს, და მიერ მინდოცსა ამოსისასა, და ეახლნეს ურთიერთარს. წარავლინეს მეფე და სხანი მისნი წინათ, რათა დაიგვინენ დაშქარნი მისნი დასმისა-გან ბარასასა, და ულუსი და სხა მისი განიცადოს. და სხვანიცა ნიონნი წარგზავნა წინა წასვლად, ვითარ ოთხ გინა ხუთსა მილიონსა. ამცნო რათა იხილონ სხა ბარასასი, რომელი მათცა შემოუყენა, და გარე-უკუნ-იქცეს. ამათ წინა შორს მდგომთა უარაულად უწოდიან, ენითა მათითა. და წარვიდა მეფე და უარაულნი თათართანი აბდასნი, ვითარ ვლეს ორი დღე, დადგეს და ცის-კარი მოეახლა. იხილეს მტკერი დიდი, ამოსის მინდოცსა ამაღლებული, ვითარ ღრუბელი. ცნეს ვითარმედ ბარასასი და სხისა მისისა არს. აკაზმნეს მეფე და სიქადურ, და ენება სიქადურს გარე-უკუნ-ქცევად, შიშის-ებრ აბათასა. და ჰქრქვა მეფესა: „ჩვენ უარაულნი ვართ, და დაშქართა-გან მცირედნი, და აჭა განგვიცდინან დაშქარნი, და წარვიდეთ უაინს წინაშე, და ვაცნობოთ მოსვლა მათი“. ხოლო მეფე-მან თქვა: „არა არს წესი ჩვენ ქართუჭლთა უკრჭლ რათა ვიხილოთ მტკერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბძელად ზურგი შემოვაქციოთ, დადათუ იყოს სიკრუ-

დილი“ . ვითარცა ესმა თათართა, განჭკვირდეს და განწყურეს, და ზე-  
და მოუკდეს მეფესა, და ეტყოდეს: „არა იცი რასა იქმ, არა გა-  
ქუს ბრძანებაჲ ახალსი უმისოდ შებმა დბდისა უაინის. თქვენ ქარ-  
თუჭლნი უცნობნი ხართ, და არა იცით საქმე“ . და მრავალსა  
ევედრებოდეს მეფესა და უოველთა სზათა მისთა, და ბოროტის უო-  
ფასაცა ქადებდეს ახალს მიერ, გარნა ვერ აწმუნეს უკუნ-ქცევაჲ,  
მაშინ წარავლინეს მსწრათჳ კაცი უაინს წინაჲ. და აცნობეს: „აჲ  
მოვიდა ბარსა, დიდითა ლაშქრითა, და ჩვენ ვხედავთ მტერესა დიდ-  
სა ამოსისა მინდოქსა, სულიად მტერითა დაბნელებულსა. და ჩვენ,  
ბრძანებისა ებრ თქვენისა, გვებავს გარეშექცევა და წინაჲ შენსა  
მოსვლა, გარნა ქართუჭლნი, უცნობჳ ქმნილნი, არა მოვლენ ჩვენ-  
თანა. ამას ეტყვიან: ვითარმედ არა გვაქუს ჩვეულებაჲ რათამცა მტე-  
რი თუაღითა ვნახოთ, და გარე-შევიქცეთ. აწ არა-თუ შენ უაინი მო-  
ხვალ, და შენ განაკებ, ჩვენ განგვიწირავს თავნი ჩვენნი სიკუდილად.  
და ისწრაფე შეწევნად ჩვენდა“ . ვითარ მოიწია მოციქული და ესმა  
მოსვლა ბარისასი, და უარულთა-გან არა მორიდება, განჭკვირდა,  
და სსწრათჳ ამკედრდა სზითა მისითა, და წარისწრათჳ და მიესწრა  
რზმ-წყობილთა, და მოიუფანა, და ჰრქუა მეფესა: „ვიცი სიმკნე  
თქენი ბრძალათა შინა. თქვენ ქართუჭლნი ურჩნი ხართ და შმაგ-  
ნი უკეთუმცა ნოინს რომელსამცა ექმნა, მომცავკალ. ამის-თჳს არა  
ბრძლეულ გეო, რამეთუ უმეტარნი ხართ წესისა ჩვენისანი. აწ და-  
დებ წინათ, ლაშქრითა შენითა“ .

ხოლო მეფე გარდაკდა ცხენისა-გან, თაუჴანი-ცა და ჰრქუა:  
„დიდო უაინო, არა არს ჩვეულებაჲ ქართუჭლისა რათა მტერი იბი-  
ლოს და ზურგი შემოაქციოს. აწ ბედნიერ-მან თუაღ-მან უაინისა-  
მან გვიხილოს, რომელ დავდვათ თავი ჩვენი სიკუდილად“ . და წარ-  
ვიდა მეფე, დაეწესა წინა-კერძო, ხოლო დიდი-იგი და მკნე ახათან-  
ნოინი, რომელი იყო მკედართ თავარი, მრამელ არს ამირ-სზასა-  
ლარი მარცხენასა მკარესა, სირმონცა დიდი-იგი მარცხენითვე. სი-  
ქადურ, ტონდაბუდა, ჳინილის, არღუნ-ადას და იას-ბუდა მარჯვე-  
ნით, და სხუანი ნოინები გააყენეს მარჯვენით და მარცხენით. ეგ-  
რეთვე რზმ-წყობილი ბარსა, მაშინ გამოჩნდა კაცი ერთი, სხე-

ლით აღინაუ, ასის კაცის თვალი და არა სსჩინოს გვარისა, არა-  
მედ ტანითა დიდი და ახოვანი, ძლიერი ძალითა და უშიში მკნედ,  
და აღმატებული სიტურფითა, ჰუეროვანი და შუენიერი. ამან ითხო-  
ვა აბათან-ნოინისა-გან, რათა ფარმანი მისცეს წინა-მბრძოლთბისა  
ოდესცა სთნდეს. და მისცა სათხოველი ესე აბათან-ნოინ-მან, და  
ამას შინა მოეხლნეს ორნივე სპანი ურთიერთას, და იქმნა ომი  
დიდი და საშინელი. ამან ზემო-კსენებულ მან აღინაუ წინა შუეტი-  
ვა რაზმის მათსა, და განაზო და განვიდა რაზმის მათსა, ყოფლითა  
მოყვსითა მისითა. შეკრბა და იწუო აქმად ალა-ალასა, და მოიქცა,  
და კვალად განხეთქა რაზმი მათი, და გამოვიდა აქათ. და შეორედ  
კვალად მიმართა, დაფრიწა რაზმი და განვიდა, და იქით დაიწუო  
თქმად ალა-ალასა, ვიდრე ხოლო ქართუზლთა ძლიერად იბრძოლეს.  
რამეთუ თვთ ხედვიდა უაინი, რომელ წინა-მდგომასა მეფე-მან და  
სპა-მან მის-მან უწინ შუეტივეს და სივლტოლად მიდრიკეს. ეგრე-  
თვე აბათან-ნოინ-მან ძლიერად იღვაწა ეს-ოდენ, რომელ ოხჭანსა  
შინა ომისასა სულიად შეჭურვილი კაცი აღიღო უნაგირისა-გან, და  
ტახტასა თავისსა შემოიღვა, და აქუნდა სრულსა ომსა შინა კელი-  
თა, ვითარცა არწივსა კაკაბი. ეგრეთვე სირმონ. იღვაწა ძლიერად,  
და ყოველნი მათკერძონი სივლტოლად მიდრკეს. ხოლო ბარახა-უაი-  
ნი შეემთხვია მარჯვენით აბაღასთა, სიქადურს, ტუნდა-ბუღასა, ჯი-  
ნილას და არღუნ-აღას, ესენი მსწრაფლთ სივლტოლად მიჭსდრიკენა  
ბარახა-მ, ვიდრე შეორე დღე ამათ ჰსდევნიდა, ხოლო აბაღა ორ  
დღე მათ სდევნიდა. და ვერ ჰსცნეს, რაზმისა სიგძისა-გან, თუ-რა  
შეემთხვია, ხოლო ვითარ ჰსცნა ბარახა გაქცევა და ამოწევეტა სპა-  
თა მისთა, დაბრუნდა. ხოლო ეგრეთვე აბაღადა, და შეემთხვიენეს  
კვალად ურთიერთას, და განეწუენეს. ხოლო ვითარ იხილა აბათან-  
ნოინ-მა ბარახა, აღიღო შუბი და მარტო-მან მიმართა რაზმისა მათ-  
სა, და ვითარ მიახლდა სპაჲ მისი, სდევნეს და მოსწევიდნეს ურიცხ-  
ვი სული, და ტყვე ჰყვეს, და ესრეთ განმარჯვებულნი მოვიდეს  
ურდოსა მათთა შინა.

ხოლო ვითარ იყო უაინი აბაღა ხვარასანს, ბრძოლად, ბარახა  
უაინისა-გან, მასინ ზემო-ხსენებულ-მან თუგუთარ წარმოავლინნა სამ-



ნი მკედართ მთავარნი მისნი, დედა-წუღითა და ბარკითა შათითა, სხელით სეგზი-ბადურ, და აბიბასა და თოლაქ-დემურ, და მეოთხე ჯოლაქა. წარმოვიდეს, და მოვიდეს და დადგეს მთასა ზედა, რომელი აღმოვლის შტოდ კავკასიისა, რომელსა არს ღიბი. და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო, რომელსა უწოდენ დადოდ, და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომის-თავი, და მიერ არბევდეს ჯავახეთსა ვიდრე ფანავარამდე. მაშინ მდგომთა თათართა ჩამოვლეს ეკერის-კევი, და განვლეს აწუვერს ზედა ფონი მტკჳრისა, და განვიდეს ჯავახეთს. დასვდა ჯოგი კახა თორელისა, რომელსა აქუნდა ჰატოვად მეჭურჭლეთა-უხუცესობაჲ. და უურუმჩის ვისმე ჯოგი ათ-ასისა თავადისა მკედრისა<sup>1)</sup>, არალიყანისა, შვილისა უურუმჩისი. და წარმოვიდეს და მოჰმართეს სადგურსა მათსა, ლომის-თავსა. ესმა უურუმჩი-ბადურსა, და მოუწოდა კახას თორელსა და დევნა უევეს. ხოლო თეგუთარანნი განსრულ იუვნეს მტკჳრისა, სადა მოერთვბს წყალი გურკლისა, და ესენი მივიდეს ჰირსა მტკჳრისასა. რამეთუ იყო სიმრავლე თათართა და ქართველთა სპისა, რამეთუ მცირედნი იუვნეს, იძიეს დონე. თოლაქ-დემურ განვლო მტკჳარი, ოც-და-ათითა კაცითა, უგრძნულად, და სხვანი დაუდგეს ჰირსა მტკჳრისასა. თოლაქ-დემურ ადულა კევი და ადვიდა ქედსა, და აღაბა ალაში რაჲმე სხჳა დროშისა, და მიუტევა ხმითა მადლითა, და ვითარ იხილა უურუმჩი-ბადურ წინათ და უკანაჲ კერძო, ლაშქარი ჰგონა და შეშინებულ იქმნა, და ივლტოდა მსწრაფლ, შეშოთებულნი, სადა-იგი სიმრავლე მოიკლა კაცთა კეთილთა. და ორთა კახტელთა მიიღეს აღსასრული. და სამიძიარი, ცხენ-მოკლეული, ცურვით ივლტოდა და აწუვერს შევიდა, მკედართ მთავარი თათართა უურუმჩი-ბადურ მოკლა, და უწესოდ დაბნეულნი, გზისა მეოტისა ვერ დაძვრობებენი, შეივლტოდეს მთად რუკეთისა, აღმართსა ძნელ-სავალსა, სოფელსა, რომელსა ჰქვიათ კვირიკე-წმიდა. დაბრუნდეს, და გამარჯვებულნი მივიდეს უანის ძმი-

1) Je lis მკედრისა თავადისა.

სა თეგუთარისა თანა. და აღადებულა თეგუთარ გარდმოვიდა ქართლს, და მოაქრებდა ყოველსა ქართლსა.

მაშინ ევედრა უაინი აბაღა მეფესა დავითს, ძესა რუსუდანიისა, რათა არღა-რა შეეწიოს, და არცა შეუშვას თეგუთარ, და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა, რამეთუ იჭვისა მქონებელი ღალატსა, თეგუთარის უმათა-გან განცხადებულად მცნობელი. თხნიერ თეგუთარის კითხვისა ერჩდა აბაღას დავით მეფე, და შეკრა გზანი, რამელ არღა-რა შეისვლებოდა ცხენითა. ხოლო თეგუთარ არა უწყოდა, ვითარ ჭსტნა აბაღა რამეთუ არღა-რა შეეწევის მეფე დავით, წარმოავლინა მკედართ მთავარი მისი სირმონ-ბადური, და სხვანი მთავარი ნიინნი, და სხვისა სიმრავლე, და მოვიდეს თრიალეთს, და მოუწოდეს მეფესა დავითს და სხათა მისთა. რამეთუ მეფე სწეულებდა მას უამად, და წარმოავლინა, ყოველნი მთავარი მისნი სირმონს თანა, და შთავიდა სიმონ ქართლად. და ცნა თეგუთარ მოსვლას სირმონისა, წინა განაწყო სხაჲ მისი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოსწულა ორგნითვე ურიცხვი, და ესწრა დამე და გაიყარნეს. რა გათენდა, განემზადნეს და განეწეუნეს ურთიერთთაჲს ზირის-შირ. იქმნა ბრძოლა ძლიერი, და სხა მეფისა წინა-მბრძოლობდა. და ვითარ აღერივნეს ურთიერთთაჲს, ივლტოდა სხა თეგუთარისი, მიმოდანივნეს, მოისრნეს და უჩინო იქმნეს. და რჩა თეგუთარ, და ძე მისი მცირე უღონო იქმნა, მივიდა სირმონს თანა და ევედრა რათა უაინი აბაღა იხილოს მან და ძე-მან მის-მან. ისმინა სირმონ. გარნა დაჭბატიმრა, და აღიღო ტუვედ დედა-წული მისი და ყოველი სიმდიდრე, და ბარგი და საქონელი, და ჯარი, და მივიდა აბაღას წინაშე, და მიიუვანა თეგუთარ და ძე მისი. ხოლო აბაღა არა ავნობრა, რამეთუ იყო კაცი მოწყალე და შემნდობელი, ვითარ ზემოვსთქნეთ. და წარჭკზავნა ქვეყანასა ერკუისასა, და მისცა ათ ორ-მეტე<sup>1)</sup> კაცი მას, და ძესა მისსა საზრდელი. და შესამოსელი უხვად, ქორ-შავარდენი და ავაზა, განუჩინა საჩხომი რამელ არა აკლდეს, დამცველნი დაუდგინნა, რათა არღა-რა გაუშვას მამულსა მისსა. და

<sup>1)</sup> Subaud. ათ-ასი?

ესრეთ განსვენებით იუფოდა და აღსრულდა. და უაინ-მან ახალა მრავალნი ნიჭნი და ძღვენი წარავლინა მეუის დავითის წინაშე, და ქართლს მრავალნი სოფელნი, და ატენი და შემდგომნი სოფელნი მისცნა.

მასშინ წარვიდა უაინი სიბას, და თანა წარიტანა მეუე დავით. დაჰქუა უამი ზამთრისა, და რა ზათხული მოიწია, წარმოვიდეს, და მგზავრ მომავალსა მეუესა შეედვა საღმობაჲ მუცლისა. და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მასშინ ევედრა ხატსა მარტომეოთისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩვეული იყო. რამეთუ ზირველ ამისა მუცლისა სნეულებითა შეზერობილ იყო, და ვითარ მკჳდარი იღვა, ისიტუგოდ, და აღედგინა ხატსა კორც-შესხმულისა: ღვთისა. ხოლო აწ არდა-რა ჰზოვა ლხინებაჲ, ამის-თჳს რამელ მოაკლო ღვთის მსახურებაჲ, დაიწყო რღვევად საუდართა დაბლად. ამის-თჳს აღიღო ღმერთ-მან კელი წყალბობისა, და ზირველ წელთა მოკჳდა ძე მისი ზირ-მშო გიორგი, სიკეთე-აღმატებული. და აქა მიიტვალა მეუე დავით, მწუხარებითა ძისა თჳსისათა. და ესვა სხვაცა ძე, კეთილ-მოსხენებული, მკნე და ქველი, რომელი შემდგომად მეუე იქმნა. ხოლო ამან დავით რა დაასრულა ცხოვრება, სამარხოსა მეუეთასა დამარხეს, მცხეთას. თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა, ცოლისა მისისა ესუქანის მიერ მიცემითა წამლისათა, შურის-თჳს ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკჳდინა მეუე-მან, უწესოებისა თჳს. თანა-ეყო ბასილი ესუქანს, და არა ჰკრიდა საწოლსა ჰატრონისა მეუისასა. და ჩოკანიცა აღიკადა, და მთავრობაჲ მიაიტაცა. ამის უწესოებისა-თჳს მოიკლა ბასილი. ვინათ-გან მოიწია მწუხარებაჲ უნუგეშინისცემო ყოველთა მკვიდრთა საქართველასათა, რამეთუ მიიტვალა მეუე დავით. იგლოვეს წესისა-ებრ, და მრავალი ნიჭი გასცეს ეკკლესიათა, საუდართა და გლახაკთა, სახსენებელად მისა. გარნა მწუხარე იუწნეს მთავარნი, რამეთუ მეუე დომიტრი მცირე იყო, და არა ძალ-გდვა მეუობაჲ. ამის-თჳს უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს უაინსა, რამეთუ ვერცა დავით მეუე-მან სწვართნა ერის-თავნი, შიშისა-თჳს უაინისა.

მასშინ ზემო-ხსენებული ადალარ და რაჭის ერის-თავი კახაბე-



რი შეიზრახნეს ურთიერთად, რათა განუდგეს მეფეს და ვით, რუსუდანი ძეს, და წარვიდეს უაინს აბაღას წინაშე, და ეზრახნეს ალიუანს-ბაღურს, რომელი იდგის მათა ჯავახუთისათა. და მან აცნობა უაინსა. ხოლო მან ნიჭნი დიდნი აღუთქმნა, და წარვიდა ალაღარ, და კახაბერის ძე კახაბერი, რომელი იყო თესლით ბორცოტი, ვითარ გვაუწყებს წიგნი მეფეთა, ბაღუშისთა და ნათესავთა მისთასა. რამეთუ მოიწივნეს უაინს წინაშე, შეიწყნარნა, და მოუწოდა სირმონონისა და ჭკჭკა: „მეფე და ვით ეს-ოდენტა განდგომილებათა იქმს, მისსა არა კმა იყოფს, და უოველთა განდგომილთა ჩვენთა თანა-შეეწევის, ვითარ თეგუთარს, და აწ იაღხურს. ხოლო მე ნიჭნი დიდნი და ზატეინი წინა უფვენ, თეგუთარის-თვს, და კვალად იაღხურ შეიწყნარნა, აწ მნებავს რათა შური-ვიგოთ მის-ზედა“. და ეს-მა კახაბერსა, წარსდგა და თქვა: „უკეთუ ჭნებავს უაინსა შურის-გებად და ვით მეფეს ზედა, მე მის-თვს მოვსუღ-ვარ, ვინც გზანი შესავალნი, და წარვასხამ ლაშქართა, და ვჭკონებ რომელ მეფე კელთ-ვაგდო. და ალაღარცა იცის გზა და ძალი ქვეყანისა მათისა“. მამინ უბრძანა უაინ-მან აბაღა სირმონონისს, ალიუას და თაიჩოს, და აბჩის, რათა ილაშქრონ მეფესა და ვითს ზედა. და შეკრბეს სიმრავლე ლაშქრისა საში ბევრი, და გამოვლეს თრიალეთი, და გარდავლეს მთა ლიხისა, და ზედა დაესხნეს ქუთათის, აბანოსა შინა მოფოსა მეფესა, და ძლით შეესწრა ცხენსა. ერთითა კაბითა მარტო ივლტოდეს, ხოლო თათართა მოაკრეს ეკვლესიანი, და მრავალი სული ქრისტიანე მოკლა, და ტყვე იქმნა, და უვნებელად მივიდეს უაინს წინაშე. ხოლო მეფე, საკვირველებით დაცული ღმერთისა მიერ, განერა, და ვერ ესწრა მეფე ომსა მათსა. რამეთუ მსწრაფლ უკუნ-იქცეს თათარნი.

წელსა მესამესა, კვალად წარმოვიდეს სირმონ და ალიუად (sic), ბრძანებათა აბაღასათა, შეზურბობად მეფისა. რამეთუ დაემსტურა კახაბერსა, და არღარა ჭკონებდა მისლვასა თათარსა. დაესხნეს კვალად, და მეფე-მან მიჭრიდნა, და მოაკრეს ქვეყანანი. და ვითარ ცნეს შეერა, და ზედა მოსლვა მეფისა, ივლტოდეს თათარნი მსწრაფლ, მასვე დღესა, ტყვეთა და ალაფითა.

ამათ ჟამთა სადუნი მანკაბერდელი განდიდებულ იყო, უმეტეს ყოველთა მთავართა მის ჟამისათა, რამეთუ შეიზურა ყაინ-მა აბაღა-მ, და იწყო ურვად საქმეთა საქართველელსათა. რამეთუ ასული ჰატრანისა მისისა, ავგ ათაბაგისა, შევედრა სადუნსა, და ხვაშაგ-მან ეჯობობაცა მისცა. მამინ შუკრბეს თავადნი ქართუშლნი დიდებულნი, და წარუყმანეს მეფის ძე დიმიტრი ურდელსა, და მივიდეს შანშეს ძის ივანეს თანა, და მინდატურთა-უხუცესსა თანა, და წარჰყვა იგიცა ურდელს. და მიიყვანეს ყაინს წინაშე და უურვეს მეფობაჲ. და ვითარ იხილა ყაინ-მან დიმიტრი, შეიწყალა და შეიყვარა, რამეთუ იყო ქმნილ-კეთილი და შვენური ხილვად, და მისცა ყოველი სამეფო, თხნიერ სარგის ჯაყელისა, და წარმოატანა თანა სადუნი, რამელსა უბოძა მეფე-მან დიმიტრი ათაბაგობაჲ. და მივიდეს ტფილისსა, და დასვეს ტახტსა ზედა მამათა მისთასა, და ადასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოს-მან და ეპისკოპოსთა, და ყოველთა მთავართა საქართველელსათა, ზერეთი უახეთით, სომხითით, ქართლით და ჯავახეთით, და ტაოთ, რამელნი შეკრებულ იყვნეს. და იყო მადლობაჲ ღვთისა და სიხარული დიდი, განცემა გლახაკთა და ობოლთა, და ვრდომილთა ზედა, რათა წარემართეს მეფობაჲ დიმიტრისი, და კეთილად განგება საქართველელსა.

---

დდ. შესამოცდამოთხე <sup>1)</sup> მეფე ქართლისა, მეორე დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიონი.

ამათ ჟამთა იწყო ყაინ-მა აბაღა-მ ბრძოლად მეგობრულთა მთავარსა და სულტანსა მისრისსა, თუნდუყადარს, და წარაფლინა სხაჲ ძლიერი, და მათ-თანა სხაჲ ქართველთა, და აჩინა შკედართ მთავრად თონდა ვინმე, ნათესავით სალდუხი-ბადურთა, მთავარი გართათ.

<sup>1)</sup> R, T, 63e; mon M-it, 67e.

და წარგზავნეს გზას საბერძნეთით მიმავალს შამად. მიუმცნო სულტანს საბერძნეთისას, სახელით ფარმანსა, რამეთუ უწინარეს ამის უამისა აღსრულებულ იყო სულტანი დიდი სალჩუქიანი უიასდინ, და მონასა მისსა ფარმანს მიეტაცა სულტნობად, და ცოლიცა მისი, ასული რუსუდანიისი, გურჯი-ხათუნ მიიყვანა ცოლად. და მას აქუნდა ჰონტოჲ, ასია და კაბადუკია, ამას მიუმცნო უიან-მან რათა თანა-შეეწიოს სხათა მისთა. წარვიდეს სხანი აბაღასნი, და მივიდეს ფარვანსთანა, და დაიბანაკეს ევასტის, რომელ არს ასურისტანი და ვითარცა ესმა სულტანსა ფუნდუყადარს მისულს თათართა, მოუკდა სხითა ეგვიპტისათა, და ჴედა დაესხა, უამსა განთიადისსა, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა-იგი მკნედ ბრძოლა უევეს ქართველთა, რომელ თათარნი განჭკვირდეს. მაშინ თათარი ვინმე არს ნახელფანი, სახელით მორღულ, მიეტევა მარტო რაზმსა არაბთასა, და განვლო შიგან, და მერმე გამოვლო რაზმი, და მიმავალსა ცხენსა მისსა უკანა ფერკი. მარჯვენა მოჭკვეთა ვინმე ქვემდებარე-მან კაც-მან, საოლავსა ქაჩასსა ზედა. იქმნა საქმე საკვირველი, იულტოდა სხა აბაღასი, და თანა მოკლულ იქმნა. წარმოვიდა ესე მორღული უფერკოთა ცხენითა, სამი დღე და სამი ღამე ვლო, ეგრეთ მოკუნდა ცხენი.

ხოლო ვითარ სცნა აბაღა-მ ამოწუვეტა ლაშქართა და უმეტეს ქართველთა, დაუმძიმდა დიდად, და შეასმინეს სულტანი საბერძნეთისა, ფარვანა, ვითარმედ განზრახვითა მისითა იქმნა მოსულსა სულტანისა ფუნდუყადარისა. ამის-თჳს შეიზურეს ფარვანა. დაღათუ არს ენება უიანსა აბაღას მოკლვა მისი, არამედ ნოინთა მოაკუნდინეს ფარვანა, და აღიღეს უოველი სიმდიდრე მისი, და აჩინეს საბერძნეთსა ნოინი დიდი, კეთილი, ნათესავით ზირველთა უიანთა, ონხანისა გუარისა, სახელითა ერინჯნი. ამას კელთა-უდვეს მთავრობა საბერძნეთისა, და წარუდეს აწუვეკი, სამცხეს, რომელ ჭქონდა ფარმანს ცოლეულთა-გან, და უბოძეს სარკის ჯაყელსა, და ძესა მისსა ბერქას<sup>1)</sup>.

ხოლო ვითარცა აღიზარდა მეფე დიმიტრი, და იწყო საურავთა საქმეთა კეთილ განგებად, რამეთუ იყო ესე დიმიტრი ტანითა

1) Lis. ბექას.



ახოვანი, ფერითა ჭკეროვანი, შესახედავად ტურთა, თმითა და წვე-  
რითა მწყანარ და შვენიერ, თვალითა გრემა, ბეჭ-ბრტყელ და შე-  
წეობილ სამკედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი  
რჩეული, უხვი, მწყალე და მდაბალი. გლახაკთა, ქერივთა და და-  
ვრდომილთა მწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა  
გინა სხვათა კაცთა. რამეთუ აქნდა ჩვეულება, ადიდის საფასე და  
ადღვის დამე, და მოვლის ქალაქი, და მოხილნის გლახაკნი და  
დავრდომილნი, და ობოლნი, და თჳსითა კელითა მისცემდის უფ-  
ელთა. უწყოდეს მწყალეება მეფისა, და გლახაკნი ღამით ფოლთ-  
ცთა შინა ვიდოდან, რათა შეემთხვივნენ მეფესა. ამას-თანა მოკე-  
მმარხველობდა, ღამით ლოცუა და მუკლთ ურს ფრიადი. ათ-ას ხუთ  
ასი მუკლი მოკდის მდაბლად მიწასა ზედა. ესრეთ უფილითურთ  
განშორებულ იყო.

გარნა ესრეთ კელთა შინა სადუნისათა იყო, რამეთუ ფრიად  
განადიდა სადუნი უაინ-მან. და იურვა მეფის დიმიტრისა-გან თელა-  
ვი და ბელაქანი, და მრავალი ქვეყანანი, და სადუნი კეთილად განა-  
გებდა საქმეთა საქართველსათა. რამეთუ დღეთა მისთა არა იქნე-  
ბოდა თათართა-გან ძალი და უსამართლო, არცა დიდთა ნიხითა-გან,  
არცა ელხითა გან. ესრეთ აღშენდა საქართველო, და მოიჩქუნა, მეფე-მან  
დაიწყო სიბას წარსულად, და აღაშენა ქვეყანანი მოკრებულნი.  
ამანვე აღაშენა ჰალატსა შინა მონასტერი, ისინთა, საყოფელად, მე-  
ტეხთა ღვთის-მშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შე-  
სწირნა სოფელნი და ზვარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი  
და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა. და წარვიდა ურ-  
დოსა, და მას შინა ყოფასა მეფისასა, სთხოვეს საფასე ურიცხვი  
მეფესა, განზრახვითა სადუნისათა. ჭრქუა მეფესა სადუნ-მან: „უკე-  
თუ მომცე დმანისი, მე მივცე საფასე უაინსა“. ისინთა მეფე-მან,  
და უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი. და უმეტეს გან-  
დიდნა სადუნი, ხოლო ჭქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლა-  
ხაკთა მიმართ, რომელ დღეთა ცხოვრებისა მისისათა, მანცა მისცა  
ყალანი, და მადი ათ-ორ-მეტთა უდაბნოთა გარესჯისათა, და განა-  
თავისუფლდა ქვეყანა გარესჯისა, და მსახურებდა მეფესა დიმიტრის.

განდიდნა დიდად ლაშქრითა და სიმდიდრითა. ოქროსა და ვერცხ-  
ლისა, და ჯვრისა და ხვასტაგისა, არა იყო რიცხვი. რამეთუ იყო  
კაცი ესე მშვეპელი, კეთილად გამგონე და ბრძენი, რამეთუ ყაინი  
აბაღა ისმენდა სიტყუათა მისთა, და დიდი სიბდივანი ავად ათაბაგი-  
სა ამას აქენდა, და ასული მისი ხვამაქ მოეყვანა ცოლად. ესე გან-  
დიდებულ იყო ყაინისა უფლისა-გან, და სადუნიცა მის-გან განდიდე-  
ბულ იყო, და უოველი საბრძანებელი ყაინისა მისთა კელთა შინა-  
იყო, და ბრძანებასა მისსა ჰმორჩილებდეს. და იყიდა მრავალნი ქვე-  
ყანანი, და უბოძეს მეფეთა კარი. და დაჯდა კარსა, და მისი მიმ-  
დგომი ქვეყანა მოიფერავა ახალციხელთა-გან, ასული ახალციხელისა  
ცოლად მოიყვანა, და საქართველოსა ლაშქართა საქმე და განგებად  
ყაინ-მან კელთ-უღვა, და დარბაისელნი ქართველნი, და სომხითარნი  
და ტურ-კახნი, მეფეს წინაშე იყენეს.

ამათვე ყამთა შინა განდიდნა სამცხის სხასალარი და მეჭურჭ-  
ლეთა-უხუცესი სარგის ჯაყელი, და ძე მისი ბექა, რომელნი მთავ-  
რობდეს სამცხესა. ხოლო საქმენი სარგისისნი ზემო-ადგივიწერიან,  
და აწ ვახსენებთ ძე მისი ბექა. ხოლო იყო ესე ბექა ტანითა ახ-  
ვან, ფერთა ჰეროვან, თმითა და თვალთა კრემს და შვენიერ,  
ბეჭ-მკერდითა სრულ და ძალითა ძლიერ, ამისა შინა მგნელ მბრძოლ,  
ცნენსა ზედა, მგნელ მოისარი ნადირთა კელოვანი გონებითა ფრთხილ,  
მაშენებელი ქვეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა, დგთის მოსაფ-  
თა კაცთა ჰატივის-მცემელ, მლოცავი, რომელ არა დააკლდის ცის-  
კრის ლოცუათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტიბიკონი მოსცემ-  
და წესსა ლოცვისასა. ამის-თჳს ჰატივ-სცა დმერთ-მან, და მეუღ-  
ლეცა შემსგავსებელი მონიჭა, ლოცვისა, მარხვისა და გლახაკთ  
მოწყალეებისა. მონასტერთა და ხატთა ჰატივის-მოყუარე, ობოლთა  
და უღონოთა აღმზრდელი, მაშინ ბექა-მან დაიხურა ქვეყანა ტანის-  
კარით-გან კარნუქაჯამდის. სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი  
და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის-კევი, არტანუჯი, ათ-ორ-  
მეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრ-  
ვალნი სოფელნი ჯავახეთს. ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და  
მსახურებდეს ყაინსა აბაღას, და მორჩილებდეს მეფეს დიმიტრის.

ხელთ მეფე დიმიტრი წარმართებდა ღვთის მსახურებითა და კაცთ-  
მოყუარებითა, და ყაინი უმეტეს უმატებდა ჰატივსა მისსა. დადათუ  
ჯერეთ ურმა იყო, არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი ჰონტოდ,  
მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა  
კონსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, მეფისა ტრა-  
პიზონელისა, დიდებითა და საჭურჭლითა დიდითა, და ქმნეს ქორ-  
წილი სამეფოსა წესისა-ებრ. და შემდგომად მცირედისა ყაინის მუც-  
ლად-იღო დედოფალ-მან, და ჰქმნა ძე, და უწოდეს სახელად დავით,  
რომელი უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლს.

ამ ყაითა კვალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხუ-  
ნეს უოფელნი საბრძანებელნი უოფელთა ყაინთანი, რათა აღთვალეს ქვე-  
ყანა და ჰსცნას ვითარძი ქვეყანა აღშენდა, გინა აოკრდა. ათვალა  
ახლად და ცნა რამეთუ უმრავლესი მოოკრებულ იყო, და უმეტეს  
ჭერეთი და კახეთი. რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოკრებულ იყო, კა-  
მოსლავასა-მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაინი დიდი ბერქა, მა-  
შინ ტფილისს უოფასა არღუნ-არდისსა, ეზრახა მეფესა და სთხო-  
ვა თამარ, დაჲ მისი, რომელი-იგი მხოლო ესვა, და ჰქმნა ვითარ-  
მედ კეთილად მოკსენებულ-მან მეფე-მან მამა-მან შენ-მან მომცა  
ასული მისი, დაჲ შენი, სძლად, და ცოლად შვილისა ჩემისა. გარ-  
ნა იგი ვერ ესწრა, აწ ვითხოვ რათა არა უღირს იჩინო ვედრებაჲ  
ჩემი, და მომცე დაჲ შენი შვილისა-თჳს ჩემისა. ვითარ ესმა მე-  
ფესა, დაუძიბდა და დიდსა ჴმუნვასა შთავარდა, და გულისთა ტკიფ-  
ნეულითა ეძიებდა ღონესა, და სძაგდა წარმართისა ქორწინებად დაჲ  
მისი, ქრისტეს აღმსარებელი. გარნა არა იყო ღონე. რამეთუ მამა-  
სა მისსა მიეცა, და მისცეს ცოლად შჯლსა არღუნისსა, და აღსრუ-  
ლეს წესი ქორწილისა. და წარვიდა არღუნ ურდოს, ხოლო შვილი  
მისი დაუტოვა წინაშე მეფისა. მათ ყაითა კვალად მიუღვა დედოფა-  
ლი, და ჰქმნა ურმა, და უწოდეს სახელი ვახტანგ. და კვალად ამათ  
ყაითა დამშვიდდა ქვეყანაჲ ღინთ-იბერი. და მოიწყო მეფე-მან და-  
ვით, რომელი იყო კაცი ზირველ კეთილი და გონიერი, უხვი, მდა-  
ბალი და ზურად უმჯობეს უწინარესთა მეფეთა. და იყო მრავალსა  
მშვიდობასა შინა, ხოლო რაჭის ერის-თავი კახაბერი იყო ქართლს,



და აქუნდა ქვეყანა ატენის, და არა ჰატივი ეზურა, არცა უაინის, და არცა დიმიტრი მეფის-გან, ორგულების თვს მეფეთასა. ამის-თვს შეიწრებული ევედრა მეფეს, რათა შეიწყალას და უბოძოს მამული მისი, ხოლო ტკბილ-მან და მოწყალე-მან მეფე-მან შეიწყალა და შეუნდა ფიცთა მტკიცეთა მიერ, რათა არა აბრალას ჰირველი შეტოდება, და ეგოს ერთგულობას ზედა მისსა. და მიუბოძა მამული მისი უოველი, და კვალად ეგო მამულსა მისსა, რაჭასა. ხოლო ვითარ დაჭყო მცირედი ჟამი, იწყო მათვე მამურ-ჰაზურთა კვალთა სღვად, და ვითარ ღარი ისწრაფდა მწვირეთა მიმართ და სკორეთა მიმართ, და ვითარ იქედნე გესლისა დათხევად. კვარის-გან მოაქუნდა ორგულობაჲ. დამვიწყებელ-მან ფიცთა სანინელთა-მან, იწყო დალატად მეფეთა. წარავლინა კაცი და წიგნი იალიყას (sic) თანა ათ-ასისა თავსა, რომელი დადგის მათთა ჯავახეთისა და და კოლისათა, რათა ჰირველის-ებრ დაესხას მეფესა, და ადვილად კელთ-უგდოს მეფე. კარნა უქმ ჭყო დმერთ-მან საკვირველებათა-მან ზრახვა მისი, ვითარ აქიტოფელისა დავითის მიმართ, და სანცნურ იქმნა წიგნი. ამის-თვს მიეგო მისგებელი ბორცტი, და სიცრულ მისი თხემსა მისსა ზედა დაუკდა. შეიზურა მეფე-მან და ჰირველ თვალნი დასწვნა. მერმე ერთი კელი და ერთი ფერკი მოჭკვეთა, და ორნი შჯლნი მისნი მისცნა ექსორიობად, კოსტანტინუზოლედ. ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა ცხოვრების-გან და მოკრედა, და მოისპო უოველი ნათესავი მისი, და აღიკოცა ნათესავი მისი.

ამას ჟამსა ინება უაინ-მან აღმკედრებაჲ ქვეყანასა ზედა გილანისსა. რამეთუ იგი დაშთომილ იყო კელთ-უგდებლად, და არა ჭმორჩილებდეს, და არცა ხარაჯასა მოსტემდეს, წარავლინა სხაჲ თათართა და ქართველთა, და მეფე არა წარგზავნა. და აჩინა სხათა უხუცესად სირმონ-ბადური, წარვიდეს და შევიდეს გილანსა, და შეკრბეს გილანელნი, და წინ დაუდგეს სიმაგრეთა შინა. ხოლო ქვეყანა მათი განმაგრებულ იყო, არს<sup>1)</sup> ერთ-კერძო კლდითა და ტუითა, და

<sup>1)</sup> Ce verbe ou le précédent sont superflus.

გზანი იწრნის, და ერთ-კერძო ზღვითა. ამათ სიმაგრეთა შინა წინა განეწეუნეს, და იქმნა ბრძოლა ძლიერი გილანელთა, დასსხეს ისარი ვითა წვიმა. გარდაჰკდა სირმონ ცხენისა-გან, და დაჯდა, და ზურგი შეაქცია მბრძოლთა მისთა, და ყოველნი სპანი დაქვეითდეს. და ვითარ შეუმცირდათ ისარი, ახლტა სირმონ და მიეტევა ვითა ვეფხვი, და მის-თანა ქართველნი მიეტევეს მკნედ, და აოტეს გილანელნი, და ორნი თითნი მარჯვენისა კელისანი დასჭრნეს სირმონს, და დარჩეს სპანი თათარნი და ქართველნი უგნებულად. და ვითარ იხილნეს სიმაგრენი ქვეყანისა, რომელ უბრძოლველ იყო, და არა ეგო დაზურბოდა, წარვიდეს უაინს აბაღს წინაშე, ესრეთ დამშვიდდა ქვეყანა და ყოველით კერძო იწყო მშვიდობაჲ.

მკვხედნა დმერთ-მან წყალობით მოსაგუთა მისთა, და იყო უხობაჲ ზურისა და ღვინისა, და მეფე დიმიტრი განაკებდა სამეფოთა საქმეთა. ვითარ მოიცალეს მცირედ ჭირთა-გან და განისვენებდეს, მადრკეს გზისა-გან საღმრთოსა, იწეეს განდგომად. რამეთუ მეფემან მოიფანნა სამნი ცოლნი, ეგრეთვე საღუნ-მან მოიფანნა სამნი ცოლნი, და მთავართა იწეეს კელის-შეხებად საუღართა და მონასტერთა, მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საუღარსა ზედა დიდებულსა აწევერისასა. დაღათუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მწევერელი, ჯუანშერის ძე, არა-ვინ ყურად-იღებდა სიტყუათა მათთა. და კვლად სხუანიცა აღმოსცენდებოდეს ბეროტნი. რამეთუ იწეეს ურთიერთარს მძლავრებად და მიხვეჭად, და არა-ვინ იხმვებოდა სამართლის მეფელი. რამეთუ იყო მღჳდელ-მთავარი და მღჳდელი ლალ-ამჳარტავანი, ანგარ, ბეროტის მეფელი, უწესო. ვითარ განვამრავლოთ სიტყუა. რამეთუ იუწენენ ყოველით კერძო ბეროტ, მასშინ მოიწია სამართალი სასჯელი ცოდუათა ჩვენთა-თჳს.

რამეთუ ზემო-ხსენებულნი-იგივე არღუნ წარმოემართა სამცხეს, ხილვად სარგის ჯაყელისა, რომელი დაბერებულ იყო, და სენთა-გან სიბერისათა დაკსნილ იყო, ყოველითა სიბერითა და ასოთა მოღებოთა მიწეუდელ იყო. შემოვლო სომხითი, ტფილისი და ქართლი, მკედრითა ორითა ბევრითა, და დიდად ავნებდა ქვეყანათა. დაღათუ

არა ბორცვის მყოფელი, არამედ საზრდელისა ძალითა უზომოთა  
დიდად დასჭირდა ქვეყანამ. და უგრძნეულად მივიდა სამცხეს, დად-  
გა აწუვერს. და ჭსცნა სარგის მოსლვა არღუნისი, და მოვიდა მის  
წინაშე, იგი და ძე მისი ბექა. განჭკვირდა ორთავე მოსლვასა, და  
სარგის წარიტანა ურდოს, და ბექა დაუტევა სამცხეს, რამეთუ იყო  
მეხუთე კვჩიაკე წმიდათა მარხუათა. და წარმოვიდეს სამცხით, მო-  
იწივნეს სომხითს, და მოიწია ვნებისა კვჩიაკე. და დიდსა ოთხ-  
შაბათსა, შეიძრა მძაფრად ქვეყანა, სამხილებულად უსჯულყობათა-  
თჳს. და კვალად ხუთ-შაბათს მცირედ შეიძრა, და არა-ვინ გულის-  
ხმა-ჭყო რათამცა წყალბოდ აღეძრათ ღმერთი მოწყალე და შემნდო-  
ბელი, და ვითარ მოიწია ჰარასკევი ვნებისა უფლისა, კვალადცა შე-  
იძრა ქვეყანა, დაუუდდა, და არდა-რა იქმნა. და ვითარცა მოიწია  
შაბათი, და იქმნა სამ უამად დღე, და ხვალისა დღე, ჯერ იყო სი-  
ხარული აღდგომისა-თჳს უფლისა, და ყოველნი მოელოდეს სიხა-  
რულსა, ეს-ოდენ რისხვით მოჭხედნა ღმერთ-მან ქვეყანასა, სიმრავ-  
ლისა-თჳს უსამართლოებათა ჩვენთა-თჳს. რამეთუ საფუძველითურთ  
შეარუია და შეიძრა ქვეყანამ, და შეადრწუნვა, რომელ დაიქცეს საუ-  
დარნი და მონასტერნი, და ეკკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენებ-  
ნი, მოკერეს. მთანი და ბორცუნი მადალნი დაზუღეს, და კლდენი  
სახედ მტვერისა დაიშალეს, და მიწა განიზო, და წყალი მსგავსი  
კუზრისა აღმოიჭრა. ხენი მადალნი დაეცნიან, და ირყეოდინ ძრვა-  
სა ქვეყანისასა. რომლისა-თჳს საუდარი აწუვერისა დაიქცა, რამეთუ  
ყოვლად-წმიდა აწუვერისა ღვთის-მშობელი, ლიტანიობით შესვენე-  
ბული საშუალ საუდრისა ესვენა. გუმბათი ჩამოიჭრა, და ვითარ ქუ-  
დი კაცისა, ესრეთ თავსა დაერქვა, და დარჩა უვნებულად, ძლიერე-  
ბითავე მისითა. ესე რისხვა ზეგარდამო სამცხესა ოდენ მოიწია,  
ვიდრე თავისა ერთისა უამთამდე. კარნა სხვა არა-სადა ევნო, მცხე-  
თას საუდარიც დაიქცა, სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა, და ყოვ-  
ლად საუდარი, ეკკლესია და ციხე, არ-სად დარჩა დაურღვეველი,  
იქმნა გლოვა და ტირილი უზომო.

ხოლო ზემო-ხსენებულა-იგი არღუნ-ადა იყო უანს წინაშე, და  
შეედგა სენი, რომლისა მიერ მოკუდა. და ვითარ ჭსცნა შვილ-მან



არდუნისა-მან, წარმოვიდა სახლად <sup>1)</sup> მეუისა, და ცოლი მისი დაუ-  
ტევა ტფილისს. ხოლო იკმია და-მან მეუისა-მან თამარ სივლტო-  
ლად მთიულეთს. რამეთუ ჭსდაგდა ვითარ უსჯულო და წარმართი,  
მასინ სადუნ-მან სცნა ვითარ არდა-რა ჭნებავს დასა მეუისასა ქმარი.  
შვილი არდუნისი, და ევაჭრა <sup>2)</sup> რათა მოჭყიდოს დაჲ მეუისა. და  
ევედრა უაინს აბადას, ხოლო იგი ერჩდა და მოჭყიდა. ხოლო მეუე-  
მან მისცა დაჲ იჯსი სადუნსა, ესე უწესო ქმნა, რომელ სამნი ცოლ-  
ნი მოიუვანა სადუნ-მან თვსად. ამის-თვს განწერა კათალიკოზი ნი-  
კოლოზ, კაცი მოხუცებული და მართლ-მკვეთელი. გარნა მძლავრე-  
ბისა-გან სადუნისა ვერ უძლო განუენებად, არამედ ფრიად შეაჩ-  
ვენებდა.

მათ ჟამთა შინა, საქმისა რასა-თვსმე განუდგეს თათართა სარ-  
გიზ და ძე მისი ბექა <sup>3)</sup>. რამეთუ სარგის დაბერებულ იყო სენითა  
ფერკის ტკივილისათა, და ბუღა-ნოინის მიერ თვალად წოდებული-  
სა, ძმა არუხა წარმოგზავნა მოკრებად სამცხისა. და მოვიდა არუ-  
ხა სპითა ოცი ათ-ასითა. ხოლო ბექა-მან მიჭრიდნა მათათა, რომელ  
არიან შუა გურიასა და აჭარასა. და მესხნი შევიდეს ციხეთა, ქვაბ-  
თა და ტყეთა, და მოვლო ლაშქარ-მან სამცხე, და ვერდა-რა ავნო.  
დაჭყეს ოცი დღე და წარვიდეს, და დარჩა ქვეყანა მშვიდობით.

და ვითარ გარდაჲდა წელიწადი, ინება უაინ-მა აბადა-მ წარსლ-  
ვა ეგვბტედ, ანუ დაიხურას, ანუ მოხარკე ჭყოს. მოუწოდა ყოველ-  
თა სპათა მისთა, და მეუესა დიმიტრის, და ყოველთა სპათა მის-  
თა, წარსლვად და ბრძოლად ეგვბტისა სულტანისა. რამეთუ მასინ  
ფუნდუეაღარ მიტყალებულ იყო, და სხუა დაეგენა, რომელსა ეწო-  
დებოდა ნასირ-მელიქ. და მიუწოდა ძმასა თვსსა უმრწემესსა, და  
აჩინა მკედართ მთავრად, და კელთ-უგდო ყოველი სპა მისი, და  
უბრძანა ბრძოლად სულტანისა: მასინ მანგუ-დემურ მოუწოდა მთავარ-  
სა სამცხისასა ბექასა, რათა წარჭყევს თანა. ხოლო მან ჭრქჳს: „მტერ-

<sup>1)</sup> T aj. დიდად.

<sup>2)</sup> Mon M-it ევედრა; l'autre leçon se trouve dans deux M-its.

<sup>3)</sup> Ici encore mon M it porte ბერქა; cf. p. 411, n. 2.

თა ჩემთა სიტუვითა განწეკა ჩემ-თჳს ძმა შენი უინი აბაღა, და არუ-  
ხა წარმავლანა და მოაკეკა ქვეყანა ჩემი. ხოლო მე მოვირდენ  
არას შეცოდებისა-თჳს, და აწ მეშინის უინისა-გან, და თუ შენ ფი-  
ციითა მიმინდობ, არა მამბოლს, და ქვეყანა ჩემი და მამული მშვი-  
დობით დაიცვას, მოვალ წინაშე შენსა, ლაშქრითა“. ვითარცა ესმა  
მანგუ-დემურს, განიხარა და ოქროსა წყლისა შესმითა შეჭფიცა, და  
ყოველი სიმტკიცე აღუთქვა, და მოსცა ბეჭედი, რომელი ეცვა რით-  
სა მისსა, რამეთუ ესე იყო მტკიცე საფიცარი. და აუწევს მოცი-  
ქულთა ყოველი ბექასა. მუის მოუწოდა ყოველთა მესხთა და წარ-  
მართა მანგუ-დემურს თანა, და მივიდა მის წინაშე, და განიხარა  
ფრიად, და ჰატვიზნი და ნიჭნი დიდნი უუწნა, და უჩვენა უინი  
აბაღა, რომელ-მან ფრიად ჰატვი-სცა, და შეიფარა სიკეთისა მისი-  
სა-თჳს. დე ესრეთ წარვიდეს მისრეთს, და ვლეს მრავალი დღე, და  
მიიწვიეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქვა დარბუზაკი. გამოვიდეს  
მოქალაქენი კართ, და იქმნა ომი სასტიკი. სადა იგი ბექა-მან და  
მისთა მეოლთა მესხთა ძლიერად იღვაწეს, უფროს სხვათა თათარ-  
თა, და ქართულებთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირა-  
ტეს მიუტევნეს, და დასცხრა ღვაწლი ბრძოლისა. მაშინ ჰატვი-  
დიდა უეც ბექასა, შესამოსელთა და ცხენთა საკვირველთა მინიჭე-  
ბითა. ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასთა.

აღუარნეს მიერ და წარვიდეს ეგვიპტის კერძო, და მივიდეს  
ქალაქსა რომელსა ეწოდების ამისია და ამო, და დაიბანაკეს მახლო-  
ბულად ქალაქთა. და ეცნა სულტანსა ნასირ-მელიქს მოსლვა თათარ-  
თა, წარმოსულ იყო ყოველითა ძალითა მისითა, და მოვიდა იგიცა.  
და ვითარ იხილა მანგუ-თემურ სულტანი და სხვა მისი, ამკედრდა  
და წინა განეწყო. ხოლო მეფე დიმიტრი, დადათუ ჯერეთ არა  
სრულ იყო დღითა ბრძოლათა-თჳს, ევედრა მანგუ-დემურს რათა წი-  
ნა მბრძოლად განაჩინოს იგი და სხვა მისი. რომლისა-თჳსცა ისმი-  
ნა, და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესვე ყოფილთა და  
გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი. ხოლო ვინათ-გან უწყოდა სულ-  
ტან-მან წუობათა შინა მკბედ წინა დაუდგრომელობა მეფისა და სხვა-  
თა მისთა, ამის-თჳს რჩეული მკედარი ათ-ოც-მეტი ათ-ასი წინაშე

დაიუენს, ერთს თანს მთავართა მკნეთს, რათს განძლიერებასს და შე-  
ნივთებასს ბრძოლისასს, უკანასკნელ მიმტვევებულთა სძოლ და აოტ-  
ნენ ქართველნი. განძლიერდა ომი და მოსწუდა ორგნითვე ურიცხვი.  
მასშინ მსწრაფელ ზედა მოეტევნეს მეფესა ყარა-სონღულ და იაუუბ,  
ათ-ორ-მეტი ათ-ასითა რჩეულითა. მკედრითა. და კვალად იქმნა სას-  
ტიკებაჲ ესე-გითარნი რამელ ორ ასი. მკედარი წინა მბრძოლად განე-  
წესნეს მეფესა, სულად მოისრნეს, თზნიერ მეფისა და საშთა კაც-  
თა, და საშთა ცხენთასს. ეგრეთვე ჭუნე მეფისა მოიკლა ყარა-სუნ-  
ღულისა მიერ, შუბითა. ხოლო მხილველთა ქართველთა იწუეს ბრძო-  
ლას ძლიერად, და უმრავლესნი მეგვიპტელებნი მოისრნეს და მეფეცა  
ცხენ-მოკლული ძლიერად იბრძოდა. ხოლო გითარ იხილა მეფე სი-  
ქანაღის ძე-მან, აბაშ-მან, მუის აღსვა მეფე ჭუნესა თვსსა. გითარ-  
ცა იხილეს მეფე ამკედრებული ქართველთა. მასშინ ყოველნი ამკედრ-  
დეს, და მეოტ იქმნეს ყარა-სუნღულ და იაუუბ, ათ-ორ-მეტი ათ-  
ასთა თვსთა თანს. ხოლო ლტოლვილ იქმნეს აქათ ზირველ ნოინნი  
და თათარნი, და თვთ მანგუ-ღემურ უკ-მოიქცა ლტოლვით, ყოველ-  
თა თანს სზათა მისთა, მასშინ უღონო ქმნილთა ქართველთა სივლ-  
ტოლსა იკუმბიეს, განგებითა ზეგარდმოთა მეფე დაცულ იქმნა, დადა-  
ცათუ უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს. მოვიდეს მანგუ-ღემურ  
და მეფე წინაშე აბაღასს. ხოლო ნადირობის და ლაშქართა ყოფისა  
ამბის მომლოდულობისა, აბაღა იხილა თათარი ვინმე ლტოლვილი.  
ხოლო-მან, კითხულ-მან, ყოველივე ლექსთა მიერ შეწუობით წარ-  
მოუთხრა, ენითა მათითა, თვითოეულისა მთავრისა ვედრებაჲ, აღი-  
ყანისა-თვს თქვა: „გითარცა მადლით მომავალი შავარდენი მოუკდა“.  
და მანგუ-ღემურ ვერძის მიაშსკავსა, სირმონის შჯლი ებაკან მხლტო-  
მელსა ვეფხსა, და იას-ბულა მოზვერსა, ბულა კამბეჩსა, სოლო ქა-  
რთველთა მეფისა-თვს ესრეთ თქვა: ენითა მათითა. „თენგარიმეთუ  
ქაურქურბაჲ, ბულარმეთუ ბუიარლახი“. ესე იგი არს, გითარმედ „ვი-  
თა ღმერთი გრგვინვიდეს, ვითა აქლემი ბულრობდეს“, ქართუწლებნი  
გითა მოვიდეს ყანის წინაშე, მეფესა ზატივ-სცა, და წარმოაფლინა  
სახიდ თვსად. და კვალად ეგულებოდა აბაღას წარსლვად და შურის-  
გებად სულტანსა ზედა, მოკუდა ძმა მისი მანგუ-ღემურ. და მცირე-



დისა შემდგომად მოკრება სადუნი ათაბაგი, და მიუბოძა ძეს მისსა ხუტლუ-შას მეფე-მან მამული მისი, და სხასხუტობისა ჰატისა ადიუფანა.

ხოლო შემდგომად მცირედისა უამისა მოკრება აბაღა, და დასეეს ნოინთა უაინად ძმა აბაღასი აჰამადა, არაჲ ნიჭთა საკელმწიფოთა მქონებელი. მაშინ წარვიდა მეფე ურდოსა, აჰამადას წინაშე ხოლო მან ჰატისი-სცა და შეიწინარა, მაშინ მუნ უოფასა მეფისისა მისცა ასული თჳსი რუსუდანის<sup>1)</sup> შეილსა დიდისა ბუღასა. რომლისა-თჳს დიდად განრისხებულნი ნიკოლოზ კათალიკოზი ფრიად აბრალებდა, და ღვთისა სსჯელთა თვალ-უხობასა აქადებდა. რამეთუ მუნ უოფასა დიმიტრისსა ქმნა ბოროტი აჰამად უაინ-მან. და მომეწინებულ-მან ძმისა მისისა უონდარდას-მან, საბერძნეთით, მოაკრდინა რინი ძმანი, აბუჯეთის ძენი, სადუნის-გან ლტოლვილნი, და უონდარდას თანა მოაკრდინნა ხუტლუ-შა, ძე-მან სადუნის-მან მოაკრდინა.<sup>2)</sup>

აქამომდე მეფე დიმიტრი კეთილად მმართველი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლობისა, მონაზონთა და ეკკლესიათა, უფველთა წესთა სადმართოთა და კაცობრივთა კეთილად ზედა-მიწევნით მმართველი, სისრულისა-გან მცირედ მიდრკა, და ადერია წარმართთა. და ისწავლას საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა, გულის-სიტუვისა უკანა შედგომილ-მან მოიუფანნა ცოლნი სამნი. ერთი ბექას ასული, და სხვა. რომელი დედათა შეაცთუნეს, სოლომონის-ებრ. ურიცხვთა კეთილთა მიერ ადვსებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისა-თჳსცა ნიკოლოზ კათალიკოზი განრისხებულნი უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ დაარწმუნა. დაუტევა კათალიკოზობაჲ, და კელითა თჳსითა აკურთხას ჯვარის მტვირთველი მეფისაჲ აბრაჰამ კათალიკოზად და თჳთ

<sup>1)</sup> Je lis რუსუდანი. Dans Wakhoucht: არამედ მეფე-მან მისცა ასული თჳსი რუსუდანის შკლის შკლის; შკლს დიდს ბუღასას; cf. p. 401. ბუღა მზახალი მეფისა.

<sup>2)</sup> Ce mot me paraît superflu.

წარვიდა მამულად თვსად, მონუცებული, და მუნ იუფოდა, მრავ-  
ლითა მოღვაწებითა, მარხებითა, მღვიძარებითა და გლახაკთ მოწყალე-  
ბითა, და საყსუ სათნოებითა ტვირთითა, უფლისა მიერ მიიცვალა.

მათ უამთა მოიწია მთა-წმიდით ვასილი მონაზონი, ბიძა ევ-  
ფემიოს კათალიკოზისა, საღმერთთა წესითა აღსავსე და წინასწარ-  
ცნობისა მადლითა განბრწყინებულნი. მოიწია წინაშე დიმიტრი მე-  
ფისა, გამოცხადებითა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისათა. ვითარ-  
ცა მოციქული. ძლიერად ამხილებდა და წინა-აღუდგებოდა მეფესა,  
უწესკისა-მის-თვს ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა, და მოახ-  
სენებდა ტაძარ-ღვთისა ყოფისა ჩვენსა და სხეულთა განუხრწნელ-  
ბისათა ტაძრისა ღვთისა დამკვიდრებასა კეთილთა-მათ, დამკვიდრე-  
ბასა ლოცვასა, მარხვასა და ცრემლთა, გლახაკთ მოწყალებასა, და  
ღმობიერებასა და უხვებასა, მდინარეთა თანა მწვირიანთა და უვიან-  
თა ლიამზალთა არა თანა-შერთვად. ამათ ესე-ვითართა სწავლათა ეტ-  
უოდა. „უკეთუ დაუტევნეს უწესობი ქორწინებანი, მე თავს-მდე  
გექმნა, რათა კეთილად წარგემართოს მეუობად შენი“. და მთავარ-  
თაცა ამხილებდა უწესობათა, და უმრავლესთა დაფარულნი გულის-  
ნი მიუთხრნის. ესე-ვითარითა სათნოებითა განშვენებულ იუფ სანატ-  
რელი-იგი მონაზონი. ვითარ ვერ არწმუნა მეფესა და შეურაცხ-ჰყო  
სიტყვა მისი, კვლად წარმოუდგა მეფესა და მთავართა მისთა. „უკე-  
თუ მე ჩემებით რასმე ვიტყვი, ვითარცა ცრუ წინასწარმეტყველი,  
შემაცთუნებელი კაცისა ღვთისა, რომელი მიივლინა რომლამისა, ძი-  
სა, ნაბოტოანისისსა, და არა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა  
მიერ წარმოვლინებულ ვარ, ვითარ ცრუდ სჯულისა გარდამავალი  
შემრაცხეთ. და უკეთუ-ყოვლად-მწიდისა ღვთის-მშობელისა მიერ მოვ-  
ლინებულ ვარ, სწავლად შენდა, არა ცრუდ იქმნენ პირველნი საქმენი  
შენნი, ლოცვა და ცრემლნი შენნი. და უკეთუ არა განეუენო უწე-  
სითა ქორწილ-შეუოფათა, და შეურაცხ-ყვნენ სიტყვანი ჩემნი, ბო-  
როტად და უხატოდ მოიკლა მძლავრთა მიერ. და თუკერ იქმნე სა-  
მეუფისა-გან შენისა, და შეიღწი შენნი მიმოდინებინენ, და სხვა-მან  
დაიხურას მეუობად შენი, და იავარ ჰყონ სიმდიდრე შენი. აჴა ესე-

რს შენ და მთავართა გეტყვი, და ვესავ უოგლად-წმიდა ღვთის-მშობელსა, რომელ სრულ იქმნეს და აღესრულეს სიტუვა ჩემი. უკეთუ ეგო უწესობასა მაგას-ზედა, მე აჭა ესე-რს წარვალ“. ხოლო მეფე-მან განკვირებულ-მან არა მიუგო სიტუვა. რამეთუ იყო წმიდათა კაცთა ზატივის-მცემელ.

ხოლო ამათვე უამთა ბრწყინვიდა ზატიოსანი ზიმენ სალასი, რომელი გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქვაბსა რასამე, რომელ-მან ნათესავი ლექთა წარმართობისა-გან მოაქცინა, რომელი ჰკიან სარწმუნობასა ზედა ქრისტესა. ამას-თანა ბრწყინვიდა დიდცა იგი მოღვაწე ანტონი ნაკრებელის-ძე, ნათესავით მესხი.

ხოლო ჩვენ ზემო-ხსენებულისა აჭმადის მიმართ აღვიდეთ. ვინათ-გან მოაქუდიანა აჭმადა-მ ძმა-თჳსი უნდადარ, იხილეს უწესობას აჭმადისი ნოინთა ზვარსანს მღვდომთა, განდგეს და დასვეს უაინად ძე აბადა-უაინისა, სახელით არდუნ. ვითარ ცნა ესე აჭმადა-უაინ-მან, შეკრიბა სჳა მისი, და მოუწოდა მეფესა და სჳასა მისსა, რათა წარუვეს ზვარსანს, ზრდოლად არდუნ-უაინისა. და წარვიდა მეფე, და თანა წარიტანა უოგელი ძალი მისი, და მადატურთა-უხუცესი, დიდისა შანშეს ძე, იოანე, და სადუნის ძე სუტლუ-შა ამირ-სჳას-სალარა. წარმართეს და განვლეს ერასი, და მივიდეს საზღვარსა არდუნისსა. ხოლო ვითარ იხილა არდუნ სიმრავლე ლაშქრისა, ვერ წინა-აღუდგა, არამედ იფლტოდა, და შევიდა ციხესა ქალასად წოდებულსა. რომელსა უკანა მიუდგა უაინი აჭმადა, და მოიცვა ციხე ქალასად. ხოლო ვითარ უდონო იქმნა არდუნ, ევედრა რათა არა აბრალეს და შეუნდოს, და მოსცეს ფიცი, და მივიდეს წინაშე მისსა. და ისმინა აჭმადა-მ, და მისცა აჭმადა-მ ფიცი უვნებლობისა. რამეთუ სჳარსთა ჰსჯული აელო აჭმადას, და გამოვიდა არდუნ ციხით, და მოვიდა ბიძასა მისსა წინაშე, და ესრეთ წარემართეს. ხოლო ვითარ ვიდოდეს ზვარსანს, შეკრბეს სჳანი ვინმე უწესონი და ცუდნი კაცნი, და მტერნი ქრისტეანეთანი, რომელთა ქრისტიანის კაცის საკუდილი დიდად ღვაწლად უზნდეს. რამეთუ უღმერთოსა-მის მოჭმედის მოძღვრებად ესრეთ იყო, რომელი დაეწერა ცუდი სიტუვა „კურანსა“ მისსა შინა. ვითარმედ, „უკეთუ მოჭკლათ ქრისტეანე,



სამოთხეს შემოსვლად ხართ. და უკეთუ მათ-გან მოიკლათ, მაშინ-  
ცა შესვლად ხართ. ამის-თჳს უღმერთთ-იგი კრებული შეკრბა, და  
სადაცა ჰქობედეს ქართველსა. ერთსა გინა ორსა, მოჰკლვიდიან. ცნა  
ესე სურამელის ბეკას შვილ-მან რატი-მ. რამეთუ ერმა იყო, წარ-  
ვიდა სამ-ოცითა კაცითა, და ჰქოვნა მთასა რასმე მაგარსა შინა მეოფ-  
ნი კაცი სამ ასი-ოდენ, ზედა მიეტევა, და იქმნა ომი ფიცხელი.  
და ზირველსავე შეკრბასა მეოც იქმნეს, და უმრავლესნი მათგანნი  
მოისრნეს, და სხვანი მოიყვანნა წინაშე მეფისა, რომლისა-თჳსცა  
დიდად ჰატივ-სცა მეფე მან, და მრავალი ნიჭი უბოძა. და მიერ  
წარმოვიდეს და მოიწინეს ჰერესა და უახმინსა. და უახ-მან დი-  
დად დაუმაღლა მეფესა თანა-ხლებად ხვარასანს, და ჰატივიცა უფ-  
დიდი, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა. და უახნი  
წარვიდა შინა, რათა მივიდეს ცოლთა თანა, გამარჯვებული. მეფე  
თანა წარმოიტანა, ხოლო ძმის-წული მისი არღუნ დაუტევა ჰერესა,  
და ნიინი ყოველი დაუტევა არღუნს თანა, და დაჳედრა ალიყანს და  
სხვათა ნიინთა, რათა მცირედნი დღენი დაუვნან და მერე მოაკუდი-  
ნონ არღუნ. და იუენეს ნიინნი არღუნს თანა, და ქმნეს განზრახ-  
ვა დიდ-მან ბუღა-მ და იას-ბუღა-მ, ნათესავად იორიღთა მთავარ-  
მან, რათა აბაღას შვილი არღუნ უახნად დასვან, და აჰმადა მოაკუ-  
დინონ, რომელ ჰევესცა. მსწრაფლ მივიდეს, ღამით, და გამოიყვან-  
ნეს ალიყან. კარაკსა შინა მწოლი, და მოაკუდინეს. და ვითარ გან-  
თენდა, არღუნ უახნად ქადაგეს, და წარმოვიდეს დევნად ჰამადისა,  
ხოლო იგი მოვიდა ურდოსა შინა მისთა, უყანს, და მოეწივნეს, და  
საბლითა მოაშთვეს აჰმადა-უახნი.

ხოლო მეფესა დიმიტრის ზირველვე მიუმცნეს, რათა განეყუ-  
ნოს აჰმადას, და უოცა მეფე-მან, და მობრუნდა, და მოვიდა უახნს  
არღუნს წინაშე. ხოლო მან კეთილად შეიწინარა, და მოსცა ყოვე-  
ლი სამეფო თჳსი და სახლი ავგ ათაბაგისა, რომელ აქუნდა ხიფ-  
დივანს. რამეთუ უახნი კელთა შინა ბუღასათა იყო, და ბუღა მო-  
უყარეცა იყო და მზახალი მეფისა. და წარვიდა შინა მშვიდობით,  
განმარჯვებული, და წარავლინა ძე მისი დავით მცირე, სახლსა ზე-  
და ათაბაგისსა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწუ-

ლოდ, და ესრეთ დღითი-დღე წარმართებოდას მეფობასა მისსა. და კათალიკოზი აბრაჰამ კეთილად ჰმართებდა საქმეთა <sup>1)</sup> კათალიკე ეკლესიისათა. რამეთუ იყო კაცი ესე მართლ-მოქმედი კეთილთა საქმეთა, და საურავთა სამეფოთა გამგე კეთილი.

ხოლო მეფეს დიმიტრის ესხნეს შვილნი, დედოფლისჲ ტრახინოზონელისა ასულსა თანა, პირ-მშობ. დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოელ, და ასული რუსუდანი. ხოლო თათრის ასულსა თანა ძენი ორნი, ბადურ და იადგარ, ასული ჯიგდა-ხათუნ. ხოლო ასულ-მან ბექასა-მან ნათელ <sup>2)</sup> უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა, და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა. რამეთუ მარტო იყო ძე დედისა. მარტო ჰქმნა დედა-მან, ვითარცა მარგალიტისა-თჳს თქმულ არს. მარტოება უმჯობესისა თჳს, ეგრეთვე გიორგი იხოვა უმჯობესი უოველთა კაცთა მის ყამისათჳს არა ოდენ კელმწიფეთა, არამედ უოველთა კაცთა. ხოლო მან დიმიტრი მეფე-მან მოიგო სიმდიდრე დიდად დიდი, სიმდიდრისავე ზედა რომელ დაშთომოდა მამისა მისისა-გან, და მსახურებდა უაინს არდუნს. რამეთუ თანა შეეწეოდა ნოინი დიდი ბუდა, რომელსა პატრივად ჩინგი-უაინობა მისცა უაინ-მან, რომელი უოველთა უმეტეს არს.

მამის განუდგეს უაინს დარუბანდელნი, და წარვიდა უაინი დარუბანდს, მოუწოდა მეფეს დიმიტრის, და წაჭრევა, და შევიდეს დარუბანდს და ვერ წინა-აღუდგეს დარუბანდელნი. და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისსა, რომელსა ანიუად უწოდეს, და გარე მოადგეს ვერა ავნეს-რა. მამის უაინ-მან არდუნ უბრძანა მეფესა რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო აურიად მაგარი. აღიჭურა მეფე და ხმანი მისნი, გარე-შეეხვივნეს და შეუკდეს ციხესა. რამეთუ ბეგა-შვილი რატი უპირველეს კავიდა, და წარუდეს ციხე, და თავადნი მათნი დაკოცეს, და წარმოიდეს ტყვე, და განძი, და დედა-წული ურიცხვი, და ციხე დაწვეს. უოველსა ჰხედვიდა უაინი. თჳთ მეფისა აქუნდა მტერობაჲ, სთხოვა

<sup>1)</sup> T საქეთა.

<sup>2)</sup> Lis. ნათელა.

ჯაჭვი სახელგანთი, და მსწრაფლ მიანიჭა მეფე-მან, და წარმოვი-  
დეს შინა.

და ვითარცა კარდაჭკადეს უამნი მრავალნი, და რა-უამს მოიწია  
წლის თავი, რომელსა ურდსინგად უწოდდეს, რომელ არს ენითა მათითა,  
რომელი იქმნების მარტსა მეთხუთმეტესა, მიავლინა უაინ-  
მან ნოინი, დაესხნეს ბუღას, და შეიპურეს, და აღიდეს ყოველი  
სიმდიდრე მისი, და მოიყვანეს წინაშე უაინისა, და მან მსწრაფლ  
ბრძანა განუკითხავად მოკლვა მისი ძისა მისისა, და მოაკუდინეს  
ბუღა, და ყოველნი ნათესავნი (sic) მისნი. წარავლინეს ყოველ-გან  
კაცი, საბერძნეთს, შამს და ხვარასს, და მრავალნი დიდნი ნოინ-  
ნი მოსწუვიდნეს, და ესრეთ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა. და  
წარმოავლინა ელჩი მეფისად, მკობებელ-მან უაინ-მან, და აწვია ურ-  
დოსა მეფე, ხოლო ვითარ სცნა სიკრდილი ბუღასი მეფე-მან, და-  
უძიძიდა დიდად. მოუწოდა მეფე-მან კათალიკოზსა აბრაჰამს და ეპის-  
კოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა კარესჯისა მღვდელ-მონაზონ-  
თა, და ყოველთა მთავართა სამეფოთა მისისათა. შემოკრბეს მის  
წინაშე, დაჯდა და ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი, და აღადგო ზი-  
რი თჳსი მეფე-მან, და ბრძანა: „ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალი-  
კოზთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა,  
ვითარმედ შეისვენა მამა-მან, დაუშა ურმა მცირე, მძლავრებასა შინა-  
თათართასა, და დმერთ-მან ყოვლისა მზერობელ-მან, და უფალ-მან  
ჩვენ-მან იესო ქრისტე მან, და ყოვლად წმიდა-მან დუთის-მშობელ-  
მან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯვარ-მან ჰატოისან-მან, რომ-  
ელი მოგვენიჭა მეფეთა მიერ; დამიცვა და მიმაწია ჭსაკად სო-  
სრულისა, და მომმადლა მეუობაჲ სკიპტრსა და ჰორთერი მეუობი-  
სა და თანადგომითა წარვმართე მეუობაჲ, და აქამოდე მშვიდო-  
ბით ჰკვიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს უაინი, და ყოველი  
მთავარი მისი მოუწუგედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისისა. ვჭკო-  
ნებ ბოროტის ყოფასსა თუ არ წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთი-  
ულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჭა ყოველი  
სამეფო წინაშე მათსა ძეს. იხილეთ რავდენი სული ქრისტეანე სი-  
კრდილსა მიეტემის და ტუგე იქმნების, და ეკვლესიანი შეიგინებინ



და მოკრძობიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე უაინს წინაშე. დასტუორობით უწეი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქვენითა განაკეთ, მე ესრეთ ვჭკონებ. მრავალ მდეღვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ. დღენი ჩვენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებულ და მსწრაფლ. თანა-გვადს წარსლავა სოფლისა ამის-გან. რა სარკებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემ-თვს მრავალი სული მოკრძეს, და მე ტვირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამის-გან. აწ მნებავს რათა წარვიდე უაინს წინაშე, და იეოს ნება ღვთისა, უკეთუ მე მომკლან, ვჭკონებ ქვეყანად უვნებელად დარჩეს“.

ხოლო ვითარ ესმათ კათალიკოზსა და ეპისკოპოსთა, და მოძღუართა და მთავართა, განჭკვირდეს, თუ ვითარ დადვა მეფე-მან სული ერისა მისისა-თვს, და ესრეთ ჰასუხი უკეს: „არა არს ნაცრფალი შენი, მეფეო. გაშოროს ღმერთ-მან მოკლვა თათართა-გან. მოკრძეს ქვეყანად, შვიტნი შენნი მიმოდანიბნევიან. თუ ქვეყანაცა დაშთების, რა არს ნაცვალაი შენი. აწ გეზრახებით, რათა წარხვიდეო. სიმაგრეთა მთიულეთისათა, ანუ აფხაზთასა, ვითარ ქმნა მეფე-მან შენ-მან, და არა საჭირო არს განწირვა სულისა შენისა, შენ-გან. ჩვენ უოველნი მტკიცედ ვჭკვიეთ ერთგულობასა“.

ვითარცა ესმა მეფესა, თქვა: „თქვენ ერთგულობისა და სიუჭარულისა ჩემისა-თვს იტუვით, გარნა მეწუალვის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან, და არა-სადა აქენ ნუგეშინის-ცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისა თვს ჩემისა, და არ დავიშლა ურდოს წასვლასა“. მაშინ განკვირვებულნი უოველნი ადდკეს, და ჭრჭრას აბრახამ კათალიკოზ-მან: „არა არს საქმე, მეფეო, განსწირავ სულსა შენსა. რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურინდია, და დაუცვას სული თვისი. აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისა-თვს, ჩვენ უოველნი ეპისკოპოსნი ვიტვირთავთ ცოდრფათა შენთა. არამედ წინაშე ღვთისა ვწამებთ, მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფლისა სახარებასა შინა ბრძანებს: უფროს ამისა სიუჭარული არა არს, რათა დადვას კაც-მან სული თვისი მოყუსისა-თვს. და უკეთუ

ერთისა მორუხისა (თჳს). სულისა დადება კეთილი არს, რავდენ ურიცხეთა სულთა ცხოვნებაჲ ეგ-ოდენ სარგებელ არს“.

ხოლო ვითარცა ესმნეს მეფესა კათალიკოზისა-გან, განისარა და დაასკუნა წარსლვა ურდოსა, დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა, და თანა წარჭყვა კათალიკოზი აბრაჳამ, და განუჩინა შვილთა საუოხუელი. ყოველთა მთავართა რომელები არა თანა წარჭყვნეს შევედრნა შჯლნი თჳსნი, და წარგზავნა რომელები მთიულეთს, და რომელები კახეას. ხოლო ერმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშნის ციხესა, ახპარაშენს, და თჳთ წარვიდა ურდოსა. და ვითარ მივიდა ქვეყნასა ავაგის ასულის ხვაშაქისასა, მუნ დახვდა ძე მისი დავით, რომელი იგიცა წარბიტანა, ამის-თჳს რომელ უეჭველ იქმნეს უაინი, და ჰკონოს ერთგულობაჲ მისი. ვითარ ვლეს მცირედ და მიეახლნეს ურდოსა, ჰკონა უაინ-მან მეფისა არ მისლვა. წარმოაგლინა ნოინი ერთი, სახელით სიუქლელ, ძე ზემო-ხსენებულისა იას-ბუღასი, რათა მოიუფანოს მეფე. მგზავრ მიმავალსა მეფესა წინა დაემთხვია, რომელ-მან მუის ადიდო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი, და მეფე ჰურობილ ჰყო, და მიიუჩნა უაინს არდუნს წინაშე. ხოლო მანცა ჰურობილ ჰყო, და განიზრახვიდა უაინი, უკეთუ ბოროტი უყოს მეფესა, არდა-რა-ვინ არს ღირჭი მეფობისა. და თუ არა ბოროტი შეამთხვიოს, ვითარ განუტეოს მიმდგომი და მზრახვი ბუღასი.

ხოლო ჰრქქა ხუტლუ-ბუღა უაინსა. „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიუფანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი, სახელით ვანტანგ, და მას მიუბოძე მეფობაჲ, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა ჰმორჩილებდეს“. სთნდა უაინსა სიტყვა ესე, და წარავლინა ხუტლუ-ბუღა იმერეთს, დავით მეფის წინაშე, უქადა ძესა მისსა მეფობაჲ, და დაჲ მისი ოლჯათ ცოლათ, და ვითარ წარვიდა ხუტლუ-ბუღა, ჰკითხეს მეფესა დიმიტრის, რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა, ცხოვარი, და ყოველი საქონელი მისი. რამეთუ ჰურობილ იყო თჳთ მეფე და მთავარი მანხი, თვინიერ აბრაჳამ კათალიკოზისა-გან კვდე. და არდა-რა იყო ღონე, აღწერა რაჲცა აქუნდა, სიმდიდრე ფრიადი, წარმოგზავნეს ვაცი, და

წარიდეს უოგელი. არა-რად დაშთა. რამეთუ მოქალაქეთაცა უწოდეს საგანძურნი მეფისანი, და შინა გამცემელ იქმნეს. ხოლო იტუვიან ამასცა, ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოკვლა მეფესა და-ვითს, ხუტლუ-ბუღა და იგი, ორნივე მტერობად შეითქვნეს მეფისა. და მივიდა საჭურჭლე მეფისა ვაინს წინაშე. განჭკვირდა სიმრავლისა-თჳს, და მცირედ დასცხრა გულის-წერომისა-გან, და არ-და ეგრე ჭკონებდა ბოროტის უოგად. და ვითარ იხილეს ვაზირ-თა მეფისათა ფლობილად, თქვეს: „აჲ თავი შენი კელთა შინა შენ-თა არს ღამით მოიდგინნენ ცხენნი მორბედნი და წარვიდ, და გა-ნერე კელთა-გან ამათთა. არა არს ნაცვალი სულისა შენისა“. ჭკვეს მეფე-მან: „ისმინეთ ჩემი. პირველვე უწოდა სიკუდილი ჩემი, გარ-ნა დავსდევ თავი და სული ჩემი ერისა-თჳს ჩემისა. ხოლო აწ თუ წარვიდე, უბრალო ერი მოიხრას. რა სარგებელ არს, უკეთუ უოგე-ლი სოფელი შევიძინო, და სული წარვიწმიდო“. არა ისმინა გან-ზრახვა მთავართა მისთა.

ხოლო მოიწია-რა ხუტლუ-ბუღა ღიხთ-იმერეთით, და მოახსენ-ნა ვაინსა, ვითარმედ დავით მეფე წარმოავლენს ძესა თჳსსა მსახუ-რებად შენდა, და სმათა აფხაზთასა რათა მსახურებდენ“. ხოლო ვი-თარ ცნა ვაინ-მან, კვლად დააპატიმრეს მეფე დიმიტრი. და ვი-თარ გარდაკდა ორი დღე, კვლად შეიპურეს მეფე და ძე მისი, მცირე ურმა დავით, ცალკე ცალკე და წარჭევა თანა მღჳდელ-მონაზო-ნი გაზდილი მისი, მოსე, და არგნითა ჭსცხეს მეფესა, და ეგონა უოგელთა არდა-რა მოკვლა მეფისა. რამეთუ წესად აქმნდათ, რა არგნითა სციან, არდა-რა მოაკუდინიან. გარნა არა დამშვიდნა გუ-ლის წერომა მისი. წარიუვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დი-ვან-ხანად უწოდდეს, და ჭკითხვიდეს უკეთუ თანა ეწამა განზრახვას ჩინქაშან-ბუღასსა, და ვერა პრაღი ჭბოვეს. და წარვიდა ტონდა ვინ-მე ნოინი ვაინს წინაშე, რათა არა მოაკუდინოს მეფე, და ვერ აღ-სრულა საწადელი.<sup>1)</sup> მისი. და მოიწივნეს ათ-ორ-მეტნი მკედარნი ვაინისნი, რათა წარიუვანონ და სიკუდილსა მისცენ. ხოლო ვითარ

<sup>1)</sup> T სათხოველი.



ცნა მეფე-მან სიკუდილი თავის თვისსა, მხიარულითა ჰირითა მო-  
იკითხვიდა მთავართა საქართველელსათა. რამეთუ უოგელები მუნ მო-  
სრულ იუვნეს, ნუგეშინის-ცემად მეუფისა, და ხუტლუ-ბუღაცა მდგო-  
მარე იყო მუნ. ჰრქვა მეფე-მან: „უკეთუ ძალ-გიძს, უაინს წინაშე  
შემეწიე სიკუდილსა ამას შინა. და თუ არა გნებავს, ძე ჩემი მცო-  
რე დავით იღვაწე, რათა არა მოიკლას გული-წერომითა აღსავსითა  
უაინის-გან“. ხალხი მან და უოგელთა მთავართა იწიეს ტირილად,  
და განვიდეს კარე. ილოცა და ეზიარა კარცსა და სისხლსა მეუფე-  
სა ჩვენისა ქრისტეს ღვთისასა. ეგრეთ აღსვეს ცხენსა და წარიუვა-  
ნეს ვითარ მილიონ ერთ. და ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს  
მცირედ. და ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქვეყნასა ზედა. მერ-  
მე წარუხერა ქედი. „აჲ დაე საშინელი, ზარის ასაკდელი, რომე-  
ლი იკადრეს ბილწთა ცხებულსა ზედა ღვთისასა“. და წარჰკვეთეს  
მეფეს დიმიტრის თავი.

ხალხი გამოხნდა მასვე უამის ჰატივი ღვთისა მიერ ცხებულსა  
მისსა. რამეთუ მზე-მან შარავანდედი თვისი უჩინო ჰყო სულიად სიბ-  
ნელე დიდი, და უოგელები წარმართნი განჰკვირდეს. იყო ჟამი მეს-  
თე, და მწუხრამდე შეიმოსა ბნელი, ვითარ-იგი უოგელისა სოფლისა  
ცხოვრებისა ვნებასა მეუფისასა, ეგრეთვე ამის ნეტარისა და საქართ-  
ველელსა-თვს წამებულისა მეუფისასა, რათა საცნაურ იქმნენ, რამეთუ  
ჰატიოსან არიან ცხებულნი ღვთისანი. ხალხი იყო მესამე შაბათი  
წმიდათა მარხვათა, და შეათორმეტე თვისა ებრაელთა მიერ ნისანად  
წოდებული, და ჩვენ მიერ მარტად. და აღსრულეს გულის-წერომი-  
მათი. რამეთუ შეიხერეს ერმაცა დავით და ნოინსა ტაჩარს მიჰკვავ-  
რეს, რომელსა მკედართ მთავრობაჲ აქუნდა. მას დამესა მწუხარება-  
სა გულისასა მოიცვეს ერმაცა დავით კარავსა შინა მოსიკუდიდ. და  
ვითარ განთენდა, განიზარა მოსე მღწეული, რომელი არა-ოდეს გა-  
ნუშორებოდა დავითს, და შევიდა ტაჩარს წინაშე, და აუწყა მოკლვა  
დავითისი. ხალხი იგი აღსდგა მსწრაფლთ, და წარვიდა უაინს წინა-  
შე და ჰრქვა ერმისა დავითის უბრალოებაჲ. „რად გვიკმის მომკუდ-  
რისა ერმისა მოკლვაჲ, მე მომადლე“. ისმინა, და მოსცა, და წა-

რეჟანა სხლსა თჳსსა, და შეგედრა ხოჯასა თჳსსა, რომელი უკანას-  
კნელ სიბღივან იქმნა.

ხოლო გჳამი-იგი ზატოისანი დიმიტრი მეფისა დაიცვეს მრავალ დღე, რათა არა წარიღონ ქართველთა. და ესრეთ სრულ იქმნა წინასწარ-თქმული ბასილი მთაწმინდელისა. ხოლო იუჳნეს მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი, და ვერა ვინ იკადრა გამთხოვად გვამი მეფისა. მაშინ კათალიკოზ-მან და მოსე იუიდეს კაცნი, და მოსეც თანა წარჳევა, და მოიზარეს გვამი დიმიტრი მეფისა. მაშინ, განგებითა ზეგარდმთა, გამჩნდეს ტფილისელნი, რომელთა აქუნდა თევზი წარსადებულად, და თევზთა თანა იტვირთეს, და მოიდეს მცხეთას, და დამარხეს სამარხისა მამათა მათთასა. ვითარცა იქმნას ესე უოველი, დავით ძე დიმიტრისი შეინახა კეთილად ტაქარ<sup>1)</sup> ნოინ-მანი. ხოლო დედოფალი და სხვანი ცოლნი მეფისანი დამალნეს. სოკლასა წარვიდა სხლსა მამისა მისისა, თათარ-ში, ხოლო ასული ბექასი წარვიდა მამისა მისისა თანა, სამცხეს, და ვახტანგ იურ მთიულეთს. ხოლო ერმა-მან მისცა დედოფალსა სარჩოდ სკორეთის-კევი, და ეახლნეს ორნი მცირედნი ძენი, მანოველ და ლაშა. და ხორდალს წარჳევეს ორნი შვილნი, ბადურ და იედგარ, სხლსა მამისა მისისა, და დარჩა ჭვეჟანა ესე უმეფოდ.

ხოლო მოუწოდა უან-მან ხუტლუ-ბულას და ჳრქვა: „აჳა მოვსრენ უოველნი მტერნი ჩემნი, და მტერიცა შენი მეფე დიმიტრი<sup>2)</sup>, და აწ მეფე არღარა. ამისრულე რომელი აღმთქვი, მოიუვანე ძე აფხაზთა მეფისა, და იუოს იგი მეფედ, მაშინ მოვითვალთ საქართველო უოველი, და განგებდი ვითარ გნებავს, და წარვედ აფხაზეთს“. და წარვიდა ხუტლუ-ბულა მეფისა დავითის წინაშე და ვითარ იხილა ხუტლუ-ბულა მეფე-მან დავით, მოუწოდა სპათა თჳსთა, წარმოემართა, და თანა წარმოიტანა ძე მისი ვახტანგ. კარდამოვიდეს და დადგეს ტასის-კარს, ქვიშხეთის მინდორსა. აქათ მოვიდეს სირმონ-ნოინის შვილი უორჩიბა, აღიყანი შვილი უურუმჩი,

<sup>1)</sup> T ტაჩარ.

<sup>2)</sup> T დემეტრე.

რომელი დგის მათა ჯავახეთისათა, რომელ არიან არტანსა და სამცხეს შუა, და ყოველი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს, და ჭევეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა. და მოსცა ძე მისი მეფე-მან, და მრავალნი თავადნი მისნი თანა წარმოატანნა, და წარმოვიდეს მსწრაფელ, და მეფე დავით შეიქცა ქუთათის. ხოლო მოიწინეს-რა უაინს არღუნს წინაშე, იხილა უაინ-მან ვახტანგ, შეიყვარა, სიკეთისა მისისა-თჳს. რამეთუ იყო ტანითა სრულ, ზირითა ჭეროვან, ტკბილი, მოწყალე, სიძარტლის მოქმედი, უხვი, მდაბალი, ენა ტკბილი, განმზრახნი <sup>1)</sup> კეთილი, ყოვლისა საქმისა მცოდნე. ამას ვახტანგს მოსცა მეფობა ყოვლისა საქართველოსა <sup>2)</sup>, და დაე თჳსი ოღჯათ ცოლად, და წარმოგზავნა, და მოვიდა ტფილისს.

---

დე. შესამოცდამეხუთე მეფე ქართლისა, ვახტანგ, ძე დავით იმერელ მეფისა, ბაგრატიონი. <sup>3)</sup>

ხოლო ვითარ მოვიდა მეფე ვახტანგ ქართლს, შემოკრბეს კათალიკოზი და ეფისკოპოზნი, დეკანოზნი, და მთავარნი, და დაადგეს გვირგვინი მეფობისა თავსა მისსა, და დასვეს ტახტსა სამეფოსა, და ადასრულეს წესი კურთხევისა, და დაიზურა ყოველი საქართველო, ნიკოფსით დარუბანდამდე, თვინიერ ჯაყელ-ციხისჯვარელისა ბექას. და განიხარეს ყოველთა მკვიდრთა საქართველოსათა. „რომელ მოეცა ნათესავი მეფეთა ჩვენთა, ზატოისანი, დვთის-მოუყარე, ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მკნე, და სამკედროთა ზნითა აღსავსე“. ამან აღიუვანა ზატოისსა ათაბაგობისსა და ამირსპასალარობისსა ხუტლუ-ბუდა, და მიუბოძა ორივე კელი და გან-

---

<sup>1)</sup> T განმზრახვი, peut-être pour განმზრახავი.

<sup>2)</sup> T და ყოველი საქართველო.

<sup>3)</sup> La rubrique manque, T; R, 64e; mon M-it 68e.



გებაჲ სსმეფოთა. ხელთ დაჳით დაშთა ტაჩარ-ნონის თანა თათარ-თა შინა, ჭირთა და იწროებასა შინა, და დედოფალი დედაჲ მათი დაშთა სკორეთს<sup>1)</sup>, და სხვანი ძმანი მისნი მიმოიბნივნეს. ხელთ უმრწემესი ძმა მისი გიორგი, რომელი უშვა ასულ-მან ბექასა-მან; წარიყვანა ზაზა-მან მის-მან ბექა-მან და აღზარდა იგი სახლსა შინა თქსსა. რამეთუ იყო იგი უმჯობესი ყოველთა კაცთა, ვითარ ქვემო-რე სიტყვა-მან ცხად უოს.

ხელთ ვითარ გარდაკდა ორი წელიწადი<sup>2)</sup>, შეედგა საღმობაჲ ბორცოტი უაინს არღუნს. რამეთუ განკემეს ყოველნი ახონი მისნი, და კორცნი და ძვალნი, და სცვიოდეს. და განიყარა ყოველი გვაში მისი, და იყო სანახავად უშვერ და საზარელ, და კინდა მიმსგავსებულ იყო მკჳდასსა. ვითარ სნეულობდა არღუნ, ენება ხუტლუბუღას რათა დაჳით მეფე უოს, და მოდგამი მის კერძო, და ეცადა ნონითა წინა, რათა წარუღონ მეუობაჲ ვახტანგს. ტაჩარ თანა შეეწეოდა დაჳითს, და ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან<sup>3)</sup>, იგი-ცა ძლიერად შეეწეოდა დაჳითს. ამის-თჳს საბრჭოდცა წარსდგეს, თუ რომელსა ჳმართებს მეუობაჲ. ხელთ სხვათა მთავართა ქართ-ველთა არა ჳსთნდათ მეუობაჲ დაჳითისი, რამეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისასა. ამის-თჳს არა მოსცეს მეუო-ბაჲ დაჳითს, და ადგილ-ადგილ სოფელნი, და ქვეყანა მოსცეს დაჳითს.

და ვითარ განგრძელდა ზეგარდამო რისხვა არღუნს ზედა, და სენი-იგი განგრძელდებოდა ოთხისა თვისა ჟამთა, განრღვეული თა-ვით ფერკადმდე. მოეწეინათ ნონითა. შეკრბეს და ზედა მიეტევნეს, და კარავსა შინა მოშობისა მიერ სიკჳდილსა მოსცეს, მასვე დღე-სა და ჟამსა, რიცხვსა თვისასა, მეათორმეტესა მარტსა, რომელსა შინა ჰატოასანი და სანატრელი ცხებული ღვთისა, მოწამე ბრწეინ-

1) T საკურეთსა.

2) Mon M-it, წელიწადი ერთი.

3) T ბარანჯ; Mon M-it, ბარეჯან; cf. p. 377. 408.

ვალე დიმიტრი მეფეთ მეფე მოკლას<sup>1)</sup>). საცნაურ იქმნა, ვითარმედ ამის-თვს მოიწია სენი ბოროტი არღუნს ზედა, რომელ დასთხია სისხლი უბრალო მრავალი.

მოკრულა არღუნ, და უოველნი განმზრახნი მისნი, რომელნი მეფისა სიკრძედილსა თანა შემწე უოფილ იუვნეს, უოველნი მოისრ-ნეს, და მიერთ-გან მიეცა ფლობაჲ დავითს, და ნოინნი დავითის-კენ იუვნეს. ეგრეთცა მტკიცედ ეზურა მეფობაჲ ვახტანგს.

წარავლინეს ნოინთა კაცი, და მოიუვანეს უაინად ქედთუქონ, ძმაჲ არღუნისე, დასვენს ტახტსა, და კელთ-უდგეს უოველი საუაი-ნო. ამან შეიუვარა კეთილად ვახტანგ, რამეთუ ამის-თვს, ჰგონა არ-ღუნს ზედა მიწევნად რისხვა იგი სასტიკი. და ვითარცა ესე ეს-რეთ იქმნებოდა, მაშინ შეედგა მცირე რაჲმე სენი ვახტანგ მეფე-სა, რომლისა მიერ შეისვენაცა, და მოკრულა მეფე ვახტანგ, სამ წელ მეფე უოფილი, საღმერთთა და საკაცობთა შინა სრული და შე-მკობილი. რამეთუ აღმზრდელიცა კეთილი და მეცნიერე ესვა, ფარს-მანის შჯლი.

ვითარცა ცნა დავით, დიმიტრი მეფის ძე-მან, სიკრძედილი ვახ-ტანგისი, განმწარდა, სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისა-თვს, და იგ-ლოფა წესისა-ებრ, და ფრად ზატოფ-სცა, და წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასა. ვითარცა ესა მამასა მისსა, მეფესა დავითს, სიკრძედილი სასურველისა და უოველთა მიერ შეუვარებულისა ძისა მისისა ვახტანგისა, უზომოთა ტკივილთა და მწუხარებთა მოიცვეს. რამეთუ შეუძლებელ არს მითხრობა თვითოეულისა. გარნა ეს-ოდენ მოიცვა მწუხარება-მან, რომელ ვერდა-რა ჰზოფა ღებინება. და შემ-დგომად მცირედთა წელთა მანცა შეისვენა, ზატოფსნითა სიბერითა აღსავსე, დაუტევა საშნი ძენი. ზირ-მშო ვიდრემე კოსტანტინე, და მეორე მიქაელ, და უმრწემესი ალექსანდრე, რომელი უშვა დედო-ფალ-მან, დიდისა ზაღეოლოდოსის ასულ-მან. კოსტანტინეზოლისაჲ მან და საბერძნეთისა მზურობელ-მან. ხოლო მიიღო მეფობაჲ კოს-ტანტინე-მ, ზირმშოებისა ძლით, რომლისა მეფობასა წინა-აღუდგა

1) T მოიკლა.

ძმა მისი მიქაელ, და დაიხურა ქვეყანა რაჭისა და არგვეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა ქვეყანა-იგი, რომელთა საქმენი არღა მოხსენებულ არიან. და არა უკეს მშვიდობა ვიდრე არა მიიცვალნეს. რამეთუ რომელსა უამსა დაიხაზნიახ, მუის შეიშალნიახ.

ხოლო ჩვენ ზირველივე გზა აღვლეთ, მცირედ კერძო გარდაშობილებელთა. დაჯდა-რა ქედთუქონ ტახტსა ზედა, განქრა ქალაქი საბერძნეთისა, ტუნდუზალო<sup>1)</sup>, რომელი საბერძნეთით მოსრულ იყო ქელათო, ჰგონეს უცალკობად უაენისა, და განდგეს. მაშინ მოუწოდა უფელთა სხათა მისთა, და მეფის დიმიტრის ძესა დავითს, და მთავართა ქართველთა. ხოლო შევედრა ტახტი და ცოლი მისი და ხათუნნი, ნოინსა ეჯგუზს. ხოლო ხუტლუ-ბუდა და სხვანი საქართველთა მთავარნი დაუტევნა მუდს, რამეთუ ეშინოდა გამოსვლისათჳს ბერქალნთსა. თვით წარვიდა, და დავით ძე დიმიტრისი თანა წარიტანა. და ვითარ მიიწივნეს ტუნდუზალო ქალაქსა, გარემოდადგეს ოთხ თვე, და ვერდა-რა ავნეს. და ვითარ მისჭირდათ, მხუთესა თვესა იწუგეს ძლიერად ბრძოლად. რამეთუ დავით და მცირედნი ქართველნი ჰბრძოდეს. წარუდეს ქალაქი და შევიდეს, სადა-იგი ქრისტიანენი ერთსა უურესა შეკრებულ იუვნეს. და ევედრნეს დავითს რათა შეიწყაღნეს, და უაინ-მან არა ბოროტი უეოს. უსმინნა, და მცველნი დაუდგინნა და დაიცვნა, და აღიღო ხარაჯა და საჭურჭლე ურიცხვი, და მიერ წარმოვიდეს. ხოლო მუნ უოფასა ფარეჯან ოფსთა მეფისა ძისსა, იწუეს ოფსთა ოკრებად, კოცად და რბევად, და ტუვენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტუვენეს, და თჳსად დაიჭირეს ოფსთა. მაშინ შეკრბეს ქართლისა ერის-თავისა ბეგას წინაშე, ძისა ამაღასი, უფელნი ქართველნი, და მოადგეს გორსა. და მრავალ-გზის შეეპნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოსიცა და ქართველნიცა. და დაწვეს გორი სულიად. და ვითარ მისჭირდა ოფსთა, ციხიდაზან გარდმოუშვეს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხნარს მდგომთ თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოდგეს შუა, შეველა ქმნეს და ზავი, და მიერთ-

1) T ტუნდუზო.



გან შეიქმნა მტერობა. შორის ქართველთა და ოფსთა, ვიდრემდის შეეუთა შორის პრწეინფაღე-მან დიდ-მან სახელ-განთქმულ-მან გიორგი-მ კანასხნა და აღფხურნა. ხოლო ვითარ მოიწია დავითს და ჭრქვა: „ვინათ-გან დაუდევ თავი შენი მსახურებად ჩემ-თვს, და ჭსდგახარ ერთგულობას ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენი უოველი“ და წარმოგზავნა ტფილისს, და დასვა ტახტსა მამისა მისისასა, და თანა წარმოატანნა სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუ-ბუღა, და უოველნი დიდებულნი, და მოუწოდეს სამცხით ბექასა, და მან არა ინება მოსდგა. რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თვთ არცა-რა წარვიდის, არცა უაინს წინაშე, და არცა მეფეს თანა. წარმოუვლინა ძე თვისი პირ-მშობ, სამცხის. სპასლარი სარგის, და უოველი ნამარხევი. რომელ აქუნდა მეფის დიმიტრისა-გან შევდრებული, და სარტუელიცა-იგი დიდ-ფასისა. მოვიდა სარგის და მოიღო უოველივე დაუკლებელად მეფის დავითის წინაშე, და დასვეს მეფე ტახტსა ზედა, და აკურთხეს კათალიკოზ-მან აბრაჰამ და ეპისკოპოსთა.

დვ. შესამოცდამეექვსე მეფე ქართლისა, დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატოანი. <sup>1)</sup>

ხოლო მოსცა უაინ-მან მეფეს დავითს ცოლად დამ. თვისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად ოლჯათ, რომელ ვახტანგ მეფეს ცოლად ესვა. და დაიბურა ამან დავით უოველი სამეფო მამისა დიმიტრისი, თვინიერ ბექას, სამცხის მზერობელისა. არამედ იგი ზატვი-სცემდა მეფესა დავითს, მრავალთა ნიჭთა და ძღვენთა წარმოუვლენდის. ხოლო დავით უმეტესთი ჟამთა იუვის წინაშე უაინისა. დაღათუ ფარეჯან ოფსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა, არამედ აქუნდა მტერობა ქართველთა, ეს-ოდენ გარდაეკიდნის ერთმანერთ-

<sup>1)</sup> La rubrique manque, T; R, 65e; mon M-itf 69e.

სა, რომელიცა მძლე ექმნის მოკლის. მაშინ წარვიდეს ქალაქსა ოვს-  
ნი, ვაჭრობად, და მოიქცეს და იხილეს გლახაკი, და მისცეს ქვე-  
ლის საქმე ოვსთა, რომელსა უზირველესსა ეწოდა სათხისა<sup>1)</sup>, და  
მეორესა უზურ-ბეგ, და ჰქვეეს. „გლახაკო, ევედრე ღმერთსა რათა  
დღეს ჩვენი და სურამელის ბეგას შვილის კრძალი ერთ-გან შეი-  
ყარნენ“. ვითარ წარვლეს მცირედ, დახვდა ნადრობასა შინა მუყ-  
ფი რატი მცირითა კაცითა, უსტურველო. მუის ზედა მოეტევენეს,  
ადიდო ფარი და დაუდგა სივიწრესა წულის გასვალსა, და პირველ  
სათხეს უხეთქნა მუზარადსა, განუზო და ჩამოაგდო, და მოკუდა.  
მერმე უზურ-ბეგ მოუკვდა, ჰკრა მასცა მკარსა ჯაჭვიანსა, გაუკვე-  
თა მკარი, და ჩამოაგდო, და უძათა რატისთა მოაკუდინეს. იხილეს  
სხვათა ოვსთა და ივლტოდეს, ამის-თჳს იტევის წინასტარმეტევე-  
ლი. „უფალი ამხარტავანთა შეჭმუსრავს“. კვალად სსჴა ჰკომბს.  
„ადკოცენინ უფალ-მან ბაკენი მზაკვარნი, და ენა დიდად მეტე-  
ველი“.

ხოლო მოვიდა მწოდებელი უან თუქალისი წინაშე დავით მე-  
ფისა. და წარვიდა დავით, რომელი იდგა მათათა არარატისათა. ვი-  
თარ იხილა თუქალ დავით მეფეჲ, ჰსტივითა შეიფარა. ინება რა-  
მელ ფიტთა მიერ ქმნან ერთობაჲ სიუწარულისა. დაამტკიცეს ერ-  
თობაჲ, და წარმოვიდა მეფე შინა. და მოსცა დმანისი, რომელ  
აქუნდა ხუტლუ-ბუღას, ძმასა მანკასარისსა. და ვითარ კარდაკდა  
მცირედი უამი, წარვიდეს ნოინნი რომელნი თუქალის ღტოღვილ  
იუტენეს, ვითარ ნავროზ დიდისა არდუნის შვილი, რომელი იყო  
მკნე, ძლიერი, ახოვანი, მანქანი, შემმართებელი უმეტესობისა.  
ადიფანის შვილი ეურუმში, რომლისა ძმა ბუღა მოეკლა თუქალს.  
ესენი მივიდეს ხვარასანს, არდუნის შვილს უაზანის<sup>2)</sup> თანა, რა-  
მელსა აქუნდა მამისა-გან საუფლისწულად ხვარასანი. შეიყარნეს  
და ინებეს რათა უაზან ჰყონ უფლად და უაინად. შეკრბეს ესე უო-  
ველი, და წარმოვიდეს ბრძოლად ჰაიდოსსა. და ვითარ ცნა მოსვ-

1) T სათხისად.

2) T უაზანს ქუნით.

და ყაზანისა, მოუწოდა მანცა ლაშქართა, და წარვიდა თუქალცა, სისწრაფითა. ველარ მიიტადეს მეფე, აქაცა დაიცვა ღმერთ-მან, რომე არა დახვდა. მიეგებნეს მცირესა ქალაქსა ზანგანს. შეკრბეს ურთიერთარს და სწორად ძლევაჲ იქმნა, უკუდგეს ორნივე და გაიყარნეს. რამეთუ ყაზან მუნ არა იყო. ნაგროზ და ხუტლუ-ბულა წარმოეგლინა. ნაგროზ კელთ-იგდეს, და ძლიერი ბრძოლა ჰყო ჯალირ-მან, და წარვიდა ყაზან ხვარასნითა. ხალხი ევედრა ნაგროზ თუქალის, რათა განუტეოს, და ფიცით დაუმტკიცებდა რათა ყაზან შეკრული მისცეს, ირწმუნა და განუტევა. და ვითარ მივიდა ყაზანსთანა, შეკრა ჭვადი სპილენძისა, და წარმოგზავნა თუქალს წინა. რამეთუ ენითა თურქულითა ჭვადისა ყაზან ეწოდებინა, მოვიდა ჭვადი შეკრული საბლითა, განუგვირდა და დაუმძიმდა თუქალს. რამეთუ მისრულ იყო არარატისა მათა.

მაშინ კვალად წარმოემართა ყაზან, უმრავლესითა სპითა, უგრძნეულად, და უყანს დაესხა ბაილს. შეიპყრეს და მოაშთვეს, და მას თანა მრავალნი ჩოიბნი. ხალხი აქაცა დაიცვა ღმერთ-მან მეფე. ხალხი ვითარ ცნა სიკუდილი ბაილ-ყაზანისა, თუქალ ივლტოდა და მივიდა სამცხეს, ბექასას, რომელი მთავრობდა ტასის-კარით-გან ვიდრე კარნუქალაქამდე. და შვილი წარგზავნა მეფე დავითს წინაშე, და მას შეჰვედრა. და ვითარ მოვიდა ყაზან ადარბადაგანს, რომელი არს თავრეუი, წარმოუგლინა მცირეული მეფესა და ბექასას, რათა მისცენ თუქალი და შვილი მისი, ერთ-გზის და ორ-გზის. და არა მისცეს, არამედ იურვეს რათა შეუნდოს. და მისცა პირი და ბეჭედი უნებელობისა, და მისცეს თუქალი. ვითარ ცნა ყურუმჩი-მ წარევანა თუქალისა ურდოსა, მოეგება ელჩისა ეაინ ყაზანისისა, ნაკიდურს, და წარგვარა თუქალი, და მოკლა, სიკუდილისა-თჳს ბაილსა, ძმისა მისისა. და მეფე-მან დავით მისცა შვილი მისი და უოველი საჭურჭლე, და სიმდიდრე ყოველი, რომელი შევედრა ოვსთა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იღვა ციხესა ატენისისა. რამეთუ ესე დაიმაღლა ყაზან. კარნა მეფე-მან ვერ გულს იდგინა წარსლვა ურდოსა, შიშისა-თჳს რომელი ჰქონდა სიყუარული თუქალისი. კვალად სხვაცა



იყო შიში ურდოს წარსულისა. რამეთუ ზემო-ხსენებული-იგი ნაფრთხი, არღუნ-აღას შვილი, მტერი იყო ყოველთა ქრისტიანეთა, ვისცა ჰგონებდა ჰსჯულის დატეობასა, დაჰპატიჟის და მუსულმანად მიაქცევდის, თვინიერ ცნობისა უაზან-ყაინისა. კვალად რამე აქუნდა ბოროტი, ამის-თჳს ბოროტად მოკუდა, ვითარ ქვემოთ სიტყვამან ცხად ჰყოს.

ხოლო ესე ნაფრთხი განდიდნა. თვინიერ ყაინისა კანაგებდა საქმეთა საურავთა, და აქუნდა მტერობაჲ ქრისტიანეთა, და განემზადა სულიად დაკოცად: დაქცევად ეკკლესიათა, თავრეუთა და ყოველთა ქალაქთა შინა. და მოიყვანა ეპისკოპოსი მღაღი ქალაქისა, ნათესავით და სარწმუნოებით ნასრანი, რომელი იყო კაცი მოწყალე და სახიერი, ფრიად სათნოებანი, შირველთა ყაინთა-გან ჰპატივ-ცემული, და მამად ყაინთა-გან სახელ-დებული. ესე ჰყრობილ ჰყო, და მრავალნი გვემანი და ბასრობანი შეამთავინა, დატეგების-თჳს ჰსჯულისა. ხოლო იგი ახოგნად წინა-აღუდგებოდა, და მოითმენდა, შეურაცხ ყოფდა ჰსჯულსა მახმედის მიერ ქადაგებულსა. ამის-თჳს ექსორობად დაისჯა: რამეთუ იყო ფრიად მოხუცებული. ამას ზედა ესეცა შესძინა ბოროტი ნაფრთხი. წარმოავლინა კაცი უკეთური, ნათესავი მისი, რათა მოაკრეს ეკკლესიანი ყოველსა საქართველსა. შირველად მოაკრეს საყოფელი ყოვლად უბიწოსა ვარძიისა ღვთის-მშობელისა საუდარი, და ყოველსა საქართველსა რაჲცა ჰოცს, და წარმოიდოს რაჲცა რა ჰოცს მას შინა სიბდიდრე. ჰგონებდა უზომოსა სიბდიდრესა, ჭქროსა და ვერცხლსა, თვალთა და მაგალიტთა ჰპატიოსნთა მრავალთა.

1) შირველად უკუტ წარმოვიდა და მოიწია ნახტევანს, იწყო რღვევად ეკკლესიათა, მოიწია რისხუა ყოვლად-წმიდისა ვარძიის ღვთის-მშობელისა მას ზედა, რომელი მოვიდოდა ასაკრებლად ვარძიისა ღვთის-მშობელისა, და ჰპატიოსნისა ჯუარისა დასამკობლად. ამის-თჳს მეხ-დატეხილ იქმნა, და განგალა მეხ მან სულიად, და დაიწვა ძვალითურთ. ესრეთ საკვარველებითა დაიცვა სამყოფი თჳსი

1) T aj ici ვარძიას წარმოვიდა და მოიწია ნახტევანს (sic).

ჯარძიისა ღვთის-მშობელ-მან, ნაგრძობ ზედაცა მოიწია რისხვა ღვთისა. რამეთუ განურისხდა ვაზანი-ყაინი უსამართლობისა-თჳს და ბოროტთა საქმეთა მისთა-თჳს. იყო ვაზან ფრიად-რამე კეთილი, და უბოროტო-განება, და სიმაართლის მოქმედ, უფროს ყოველთა უწინარეს ყაინთა, ეს-ოდენ, რომელ ჯაჭვი განება ორთა ხეთა ზედა, და ეჟვნები მოება მრავლად, რათა გლახაკნი უღონანი და უქონელნი, ყაინს და ნოინთა წინა მოსვლისა უღირსნი და მოჩივარნი, მოვიდოდენ და შეარეგდენ ხესა და ჯაჭვსა, და ესმოდეს ყაინსა კმა ეჟვანთა, და ცნას რომელ სასჯელი უძს გლახაკთა და შეურაცხთა კაცთა, რომელი თჳთ განიკითხის ზირის-ზირ. ეს-ოდენ უეგარდა სამართალი, რომელ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი და უსამართლობა, არა დიდთა და არცა მცირეთა-გან. ამის-თჳს რისხვეული ნაგრძობ ივლტოდა ხვარასანს, რომელ დევნა უფო ზემო-ხსენებულ-მან ხუტლუ-შა <sup>1)</sup> ნოინ-მან. მიეწია და მოაკრძინა იგი, და შვილი მისი, და ყოველი ნათესავი მისი, მოისპო ქვეყანით სახსენებელი მისი, ვითარცა წერილ არს. „მოისპენ უღმერთო, რათა არა იხილას დიდება ღვთისა“. და კვალად წარწემდა სახსენებელი მისი, და ესრეთ დამშვიდდეს თათარნი მისნი. იწყო ვაზან-ყაინ-მან განება ქვეყანისა სიმაართლითა და მსჯავრთა კეთილთა.

ამათ უამთა წარმოავლინა მოციქული ვაზან-ყაინ-მან, და იკომის წინაშე დავით მეფე. ხოლო იგი მსწრაფლ განემზადა, და მოიწია კახეთს და ჭერეთს. მივიდა ჭერ-კახნი დიდებულნი და აზნაურნი დავით მეფის წინაშე. ერის-თავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამკედროთა ზნითა შემკობილი, და მოისარი რჩეული, მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა. და იყო მცირედ უამი ჭერეთს, და განებრახა ვაზირთა. „უკეთუ წარვიდე ურდოსა, მეშინის ყაინის-გან“. არამედ დაუმტკიცებდეს ვაზირნი წარსვლასა, ხოლო მეფე-მან არა ისმინა მათი და შეიქცა კარე. რამეთუ აქუნდა შიში თათართა-გან და ყაინის ხილვისა. და მოვიდა შითიულეთს, უკუ-დგა ყინვანს, შეკრა

<sup>1)</sup> T écrit souvent ხუტლუ-ბუღა, ici et plus bas, ce qui revient au même.

სიბა, და მცველნი დაუდგინნა. ხოლო მეფე დავით მთიულეთს დგა, და წარავლინა ძმა თვისი ურწემესი ვახტანგ, ელჩად დიდისა ბათოს შვილის შვილისა ყაინისა. და უქადა გზა გამოსვლად ყაინს ზედა, და მან კეთილად შეიწინა, და უქადა ქვეყანად და საჭურჭლე მრავალი. ვითარ ცნა დავითის უკუ-დგომა ყაზან, წარმოგზავნა ხუტლუ-შა მკედართ მთავარი, რომელსა იგინი ბეკლარ-ბეკობით უკმობდეს, სპითა დიდითა. მოვიდეს და დადგეს ტფილისს, კავზავნეს მოციქული მეფისა დავითის თანა, და ითხოვეს კაცნი საწმუნონი, მისანდობელად. და აღუვდეს ზავსა, და სთხოვდეს ერთგულობასა ყაზნისასა, და არა მიქცევასა მტერთა კერძო. და მან წარმოგზავნა კათალიკოზი აბრაჰამ, ბურსელი იოანე და ტფილისისა ყადი, და ითხოვნა მძლეველნი და ფიცად მიჰპირდა. ხოლო მათ ჭფიტეს ჭსჯულისა-ებრ მათისა, და მისცეს მძლეველად ხუტლუ-შას შვილი სიბუჩი, ეურუმშის ძმა ართა, და სხვათა ნოინთა შვილნი და მისცეს ბეჭედი ყაინისი, და სიმტკიცე უვნებელობისა. და იგი მოვიდა ნახვად მათდა, და აღუთქვა წარსლვა ურდოსა. ხოლო ხუტლუ-შა-მან შეიწინა ჰატივითა და განუტევა. ხოლო დავით იქცა თვისდევ, და მძევალთა მისცა ნიჭი დიდი და განუტევნა.

ხოლო ვითარ მოიწია არე განათხულისა. აწვივეს კვალად მეფე დავით ურდოსა, და არა ინება წარსლვად, რამეთუ აქუნდა შიში. ამის-თვის წარავლინა ძმა თვისი ბაადურ დიდისა ყაინისა თათხას წინაშე. ვითარ ჭსცნა ყაზან, კვალად წარმოავლინა მკედართ მთავარი ხუტლუ-შა, სპითა ურიცხვითა. მოვიდეს სომხითს, და კვალადცა აწვიეს მეფე მისლვად, და აღუთქმიდეს ნიჭთა დიდთა. და კვალადცა წარავლინა კათალიკოზი აბრაჰამ, ყადი ტფილისისა და იოანე ბურსელი, და აღუთქა მისვლად. ჭსცნეს თათართა რამეთუ მიზეზობდა, შეიპურეს იოანე ბურსელი და მოკლეს. კათალიკოზი და ყადი განუტევეს უვნებელად, და მომართეს შესლვად მთიულეთს. მოაჯრეს სომხითი, ქართლი, თეანეთი, ერწო და დადგეს მუხნარს, ხეკს, ბახალეთს, ერწოს და თიანეთს, და ვერ ეტეოდეს სადგომად, და არბევდეს ქართლსა და ზემო-ხსენებულთა ქვეყანათა. ტყვე ჭყვეს, რომლისა არა იყო რიცხვი, და მოსრეს ჰირითა მანვილისათა რავ-



დენი ჭებოვეს, და მიეტა ქვეყანა განსარეგნელად, ცოდნათა ჩვენთა-თხს. რამეთუ ამას წელსა გამოჩნდა ვარსკუთლავი კვიმატი, ლახვრის სსხე, ჩრდილოთ კერძო, და დადგა ვიდრე ოთხ თვედმდე, და ეოველთა დამეთა იხილგებოდა ვარსკუთლავი-იგი ლახვრის სსხე, და იტყოდეს: „ლახვრითა მოწვევდასა მოასწავებს“.

კვალადცა იხებეს თათართა ზავის ეოფა მეფისა, და გუგზავ-ნეს მოციქული, რათა მეფე-მან შეჭვიტოს ერთგულობასა ზედა უა-ზანისსა, და არა მისცეს გზად ბათოს შვილის შვილსა, დიდსა უა-ინსა ოთახას, და ესრეთ უამთა შინა იუოს, მისცეს სამეფო მისი. და ჭევეს ფიცი და აღთქმა ურთიერთარს, და წარმოგზავნა დედა თხსი დედოფალი, და ძმა მისი უმრწემესი მანოველ, და კათალიკო-ზი აბრაჰამ და დედოფალი ცოლი მეფისა, ოლჯათ, წარმოავლინა, რათა წარვიდეს ურდოსა, და იურვოს საქმე მისი. და მოიწივნეს-რა ურდოს, იხილა ხუტლუ-შა-მან და ზატვითა შეიწინარნა. მსწრათელ უკუ-რიდნა, მოსცა ტფილისი და სამეფო მისი, და წარვიდა ურდო-სა, და წარიტანა დედოფალი ოლჯათ, და კვალად დამშვიდდა მო-ცურებული ქვეყანა.

და ვითარ გარდაჰკდა ზამთარი-იგი, მოეწურა არე ზათხული-სა, წარმოავლინეს მოციქული მეფისა დავითის წინაშე, რათა ცნას, უკეთუ არს ერთგულობასა ზედა უაინისსა, ანუ არა <sup>1)</sup>. და ცნა კაც-მან მან რამელ ბადურ <sup>2)</sup> წარვევლინა დავითს უაინ ოთახას თანა, და გზა ექადა გამოსლფოდ, აცნობა უაზანს. ხოლო იგი განწერა და წარმოავლინა ეურუმში, და აღინჯი <sup>3)</sup> ვინმე შინაური მისი, და შან-შე მკარგრძელი. და მოუწოდეს ძმასა დავითისსა მცირესა ვიკრ-გის, რამელი ეშვა ასულსა ბექასსა, და მას აღეზარდა, რამელი

1) Ici finit un cahier du M-it T, numéroté **ხს**, et commen-  
ce le cahier **ხსწ**; ces deux chiffres, 30+10, 30+11, i. e. 40,  
41, sont tout-à-fait insolites en géorgien. Il faudrait **ბ**, **ბწ**;  
mais ce faible détail prouve le peu de science du copiste.

2) T ბადურ.

3) T აღნაჯი.

მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტო-რქა. რამეთუ ვერ შეძლებულ იყო ბუნებაჲ დედათა სხვათასა ეგე-ვითარსა მრავალთა შობად, ვითარ ქვემოთ სიტყვა-მან ცხად ჰქუეს. ხოლო ესე გიორგი იქონიდა სხლსა ბექასსა. რამეთუ ესე ბექა განდიდებულ იყო, და აქუნდა ტარის-კარით-გან, ვიდრე სხერამდე და ვიდრე ზღვამდე. სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის-კევი. ხოლო ჭანეთი სულადა მოსცა ბერძენ-მან მეფე-მან კომნიანოს-მან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიუწანა. ამის-თჳს აქუნდა უმრავლესი ტარ, არტანო, კოლა, კარნიფოლა, კარი. ამათ შორის ქვეყანანი, ციხენი, არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი, და დიდებულნი და აზნაურნი, და მონასტერნი უფუენნი მას აქუნდეს, და ხარაჯს მისცემდა უზანსა, და ლაშქრითა შეეწეოდა. ამას ჰსთხოვეს ერმა გიორგი, რათა მისცეს და მეფე ჰქონ ქართლსა, და ვითის-წილ ძმისა მისისა. რომელი აღასრულა და მისცა, და თანა წარატანა ლაშქარი დიდი. ხოლო წარიუვანეს ესე გიორგი, და დასვეს ესე ტფილისს მეფედ, და დათუ მცირე იყო, არამედ წინა დაუსახვიდეს უძლეველობასა მეფობისასა, და წინა მოასწავებდეს.

დზ. მესამეოცდამეშვიდე მეფე ქართლისა, გიორგი, მე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატონი.<sup>1)</sup>

ხოლო იყო ერმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა. და ვითარ მდიწია გაზაფხული, კვალად წარმოავლინა უზან-უაინ-მან იგივე ხუტლუ-შა, სპითა ძლიერითა, და მრავალნი ნოინნი სხვანი, და დადგეს ზემო-ხსენებულთა ადგილთა, მოაკრეს ქართლი უბოროტე-

<sup>1)</sup> La rubrique manque, T; R, 66e; mon M-it, 70e. ამ გიორგის მეფეს ვახუშტი ვახტანგ-ზე უწინ დასწერს, დიმიტრი მეფის ძე-ზე. N. de mon M-it.

სად. ხოლო მეფე დავით დადგა კადან. მაშინ ქვენა-ფლაველი შაღვა გამოქცა მეფეს, აღსავსე ნიჭთა მიერ მისთა<sup>1)</sup>, რომელნი მას უამსა მიენიჭნეს. არა მოიხსენა წყალობა ეგ-ოდენი, და მივიდა ხუტლუ-შა ნოინთანა. ხოლო მან განიხარა და ჰატვიგითა შეინახა, და წინა-მძღვრად გზისა აჩინა. და შევიდეს გზასა ხვარაზმის კვეთისას, და განვიდეს მთასა შორის ცხავატსა, და ცხარაზმის კვეთა, რომელ არს ლომისა. და ვითარ ცნა დავით. ორგულობა შაღვა ქვენა-ფლაველისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე<sup>2)</sup> მტერთა-გან უბრძოლველ არს. ჩაკლო ხუტლუ-შა-მან, და განვიდეს კადან, და გარდვიდეს კვესა, და მიმართეს კველეთს<sup>3)</sup>. რამეთუ მუნ შინა ჰკონებდეს მეფესა დავითს. და კარე მოადგეს სტეფან-წმიდა სოფელსა, და განგებითა ღვთისათა განმაგრდეს, რამეთუ წინა-მავალნი თათართანი იუჟნეს ქვენა ფლაველი შაღვა, და ოვსთა მთავარი ბაყათარ, და მუხნარს მდგომი თათარი ბანთანადრეთ. ხოლო ვითარ ცნეს რამეთუ სტეფან<sup>4)</sup>-წმინდელთ ვერას ავნებდეს, და ვითარცა ცნეს რამეთუ მეფე მუნ არა იყო, ითხრავს საზრდელი მცირე სტეფან-წმიდელთა-გან. მოსცეს და აიყარნეს, და კარდამოდგეს კადანს. ხოლო მეფე ციკარეთს<sup>5)</sup> იყო, დაამტკიცეს და დადგეს ერთგულობასა მეფისასა, სურამელი აჭმადა და ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა, და აზნაურნი ქართველნი<sup>6)</sup> და სომხითარნი, და დიდი ერთგულობა აჩვენეს.

ხოლო ვითარ ცნა ხუტლუ-შა-მან მეფისა ციკარეს დგომა. განჰყო ლაშქარი, და რომელიმე წარავლინა ცხარტით გზასა, რათა ეგრეთ შევლონ ციკარსა, რომელი-ესე შეუძლებელ იყო. მაშინ ქვემო შესრულთა ლაშქართა შევლეს გზად ცხარტისა, და განვიდეს ცხა-

1) Mon M-it: ნიჭითა მიერ მისითა; T fait suivre ces trois mots de რომელ-მან, j'ai donc dû corriger, comme on le voit.

2) T écrit toujours ციკარე.

3) T, გელათს.

4) T სტეფანიანი; plus bas, სტეფანელთა.

5) Ici T, ციკარეს; R, ციკრეთს.

6) Mot aj. par T.



რტს. ვითარ ცნა მეფე-მან და წარავლინა მცირედნი ლაშქარნი, და იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა თათარი ურიცხვი. რამეთუ შემოსრულ იუჟნეს იწრისა გზასა, კაცი მეორე ვითარ ხუთ ასი, რომელი ვერლარა გამოესწრნეს, გზისა სივიწრისა-გან. შეიპურეს ხუთ ასივე, რომელიმე მოკლეს, და რომელიმე დარჩეს. მოჭკვარეს მეფესა, ხელთ სხვანი იფლტოდეს, და სხვანი მეფისანი გამოვიდეს კადან თავსა, გორასა რასამე, რომელ არს ციკარეს პირის-პირ, და იქმნა ომი ძლიერი. რამეთუ კეთილად ჰბრძოდეს შინაურნი მეფისანი, კადელინი, და ზოგნი კევით მოსრულნი რჩეულნი, და უმეტეს მოისრვოდეს თათარნი. რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი, იუჟნეს ფერკთა მალე, ცხენოსანი ვერ შევიდოდა საომრად, და ქვეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე, და ორნი რომელ სხდეს გორს მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოეფლინნეს სამცხისა მთავარსა ბექას. თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი. და განგრძელდა ომი ვიდრე მიმწუხრადმდე, გზათა სივიწრითა არა აღერიხნეს ურთიერთას. გაიყარნეს და უკუ-დგეს კადან თათარნი, და უშველა ღმერთ-მან მეფესა. რამეთუ ცხატით შესრული ლაშქარი იფლტოდა. და ვითარ ხუთ ასი ოდენ კაცი შეიყარა, და ხუტლუ-შაცა დიდი ივნებოდა. იხილა სიმკრე ქვეყანისა ხუტლუ-შა-მან, და ცნა რომელ არა ეკებინ შესვლა ციკარეს. აიყარა ღამით, გზასა ღომის თავისასა, დაესხა ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩომილ იყო, მოსრა და ტუვე ჰყო, და მოაკრეს ქართლი, და წარვიდა ყაიხს ყაზანს წინაშე.

ხელთ მოიწია-რა არე გაზაფხულისა, წარმოემართა იგივე ხუტლუ-შა, სიტუგითა ყაიხისათა, სპითა უძლიერესითა, და მოიწია ტფილისს, და ეკულებოდა შესვლად მთიულეთს, და ვითარ ცნეს დიდებულთა ამის სამეფოსათა, განჭკრთეს და ეძიებდეს დონესა რათაშაცა განერნენ პირისა-გან თათართასა, ქვეყანა თულა სადამე დაშთომილ იყო. შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე, და მოახსენებდეს რათა წარვიდეს ყაზანს წინაშე, და ფიცი და სიმტკიცე აღიღოს უნებელაობისა. ისმინა მეფე-მან, და დაამტკიცა წარსლვა ურდოსა. ჰსთხრვა ზავი და ფიცი, ხელთ მან დიდად განიხარა და აღუთქვა

უვნებელ ყოფა მეფისა და დაცვა ქვეყანისა. უკეთუ ოდენ იხილეს უაინი, მიერ წარმოგზავნონ დაცული მშვიდობით. ამას პირსა შინა იყო ბურსელი იოანე. აღიღო პირი მტკიცე, და მოვიდა მეფის წინაშე. იხილა-რა პირი სიმტკიცისა, განეხარნეს ქართველთა, სერკახთა, და აწვევდეს წარსლვად, და მძლევალთადა აძლეუდეს. „ხუტლუ-შა სარწმუნო კაცი არს და არა ეცრუვების აღთქმასა. ვჭკონებ კეთილად შეწყობასა. გარნა მეფე-მან არა იხმინა, რამეთუ შიში აქუნდა თათართა, და დადგეს გველეთს. ხოლო ვითარ, იხილეს დიდებულთა მოცკრება, უმრავლესნი წარვიდეს, კითხვითა მეფისათა, დაცვისა-თჳს ქვეყანისა. ხოლო ხუტლუ-შა კეთილად შეიწყენარებდა ვინცა მოვიდოდა. კვლად მოაოცრეს ქვეყანა ქართლისა ღემ-ხსენებული, თვინიერ მთიულეთისა, და წარვიდეს ურდოსა.

ხოლო ვითარ მოიწია სთველი, ჩამოდგა ცრაზმის კეგსა მეფე დაკით, და აოცრებდა მამულსა შალვა ქვენა-ფლაველისასა, ორგულაობისა-თჳს. მაშინ უღონო იქმნა ქვენა-ფლაველი, ევედრა სურამელსა მსახურთ-უხუცესს, ქართლისა ერის-თავს აჰმადს, რათა იურფოს მეფეს წინაშე. მოახსენა მეფესა და არა ინება ამის-თჳს დაჭირვა, არამედ მიუბოძა აჰმადს. გარდაიყარა თავსა ნაცარი შალვა-მან, და თქვა: „ესმცა არს მისაგებელი ორ-გულთა მეფეთასა“. და შეუხდო მეფე-მან შალვას.

ამათ უამთა წარმოვიდა ძმა მეფისა ვახტანგ, რამეთუ იკლო რამე სიყვარული და სიკეთე ძმისა თჳსისა დავითისა-გან. რამეთუ შეპყრობილცა ჭეუვა, და პატომრული ციხესა ყინვანისასა. გამოიპარა და მოვიდა იოანე ბურსელისასა, და ჰქრქუა: „არდა-რა ბოროტი მიქმნიეს და შეურაცხება წინაშე ძმისა ჩემისა. აწე არა წარვალ ურდოსა, მტერთა მისთა თანა. აწ წარავლინე კაცი წინაშე მეფისა ძმისა ჩემისა, და აუწეე ჩემი შენსა მოსლვა. თუ ჰნებავს, და ფიცით შემაჯერებს, რომელ არა ავი მიუოს და არდა-რა შემიპყრას, მის წინაშე მივალ მცირე სარჩომიცა მომცეს“. ხოლო მან წარავლინა კაცი მეფისა დავითის წინაშე, და მოახსენა ესე ყოველი. ხოლო მეფე-მან განიხარა და ფიცითა მოიმტკიცა, და წარიუვანა ძმაჲ თჳსი, და კეთილად ხედვიდა. არამედ კვლად ჭკონებდა განდგომასა, ამის

ძლით რამეთუ შაბურის ძმის ასული შეერთდა ვახტანგ ცოლად. და ვერდა-რა თავს-იდგა ვახტანგ უხატოდ ყოფნა, და წარვიდა ურდოს, ყაზანის წინაშე. ხოლო მან ზატივითა შეიწუნარა და მოსცა მეფობა. და წარმოატანა ხუტლუ-შა ნოინი სპითა უძლიერესითა, და მოვიდა ტფილისს. და მუნ შემოიპირნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი, სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგველნი და სომხითარნი, რამეთუ შინაშე პირველვე იყო მუნ.

დვ. მესამეოცდამეექვსე (dir) მეფე ქართლისა, ვახტანგ, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა და გიორგი მეფისა, ბაგრატიონი.<sup>1)</sup>

ხოლო ვითარ ჭცნა მეფე-მან დავით რომელ ვახტანგს მეფედ ჰყოფენ, წარმოაგლინა იგივე ბურსელი ზავისა-თჳს, და აღუთქვა ურდოს წარსლვა, რათა ფიცითა შეაჯერონ და მოსცეს მძევალი. ხოლო ხუტლუ-შა-მან შეჭვიცა, და ყოველი სათხოველი აღუსრულა. და წარვიდა ბურსელი, და მოვიდა მეფის წინაშე. ხოლო მან განიხარა, და წარმოაგლინა დედოფალი ოლჯათ და კათალიკოზი აბრაჰამ, და ბურსელი. მოვიდეს მეგნარს ხუტლუ-შა და სხვანი ნოინნი. ბაზალეთს წინა-მოკეებნეს დედოფალსა ოლჯათს, და ვითარ უაინსეგრეთ ზატივ-სცეს, და მოსცეს ფიცის სიმტკიცე, და ბეჭედი უაინისა, და კელის მანდილი. რამეთუ ესე აქუნდა სიმტკიცე ფიცის მინდობისა, და აძლივეს ხუტლუ-შას შვილი სიბუჩი მძევლად. გარნა ოლჯათ დაიშვირეს, და არდა-რცა წარავლინეს. არამედ კათალიკოზი და უადი, და ბურსელი წარგზავნა, რათა მოიყვანონ მეფე. ვითარ მოვიდეს მეფის წინაშე, ცნა ოლჯათის არდა-რცა მოსლვა, მი-

<sup>1)</sup> La rubrique manpue à T; R, 67e; mon M-it. 71e.



ზეზ ჭეო და არდა-რა ინება ნახვა თათართა, დიდი რაჟმეჲ რიდი და შიში აქენდა. წარავლინა იგივე კათალიკოზი, და უადი, და ბურსელი, ითხოვა ოჯჯათ და აღუთქმს ხილვა. და ვითარ მივიდეს ხუტლუ-შას თანა. სცნა არა მოსლვა მეფისა, ჭრქმს ბურსელსა: „კაცო, სატუჲარი <sup>1)</sup> რაჟ არს. მე მტკიცითა შემიფიცავს, და არა მოვიდა. აწ მიიდე ტუეილისა ნაცვალი ჰატიუი“. და განრისხებულ-მან მაკუდინა ბურსელი, რამელისა გვაში ადიდო შანშე-მ, და წარგზავნა სამარხისა მისისა. ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობაჲ, და ოჯჯათ წარავლინეს ურდოსა.

და თათარნი კვალად წარვიდეს მთიულეთს, და კარდავიდეს გველეთს <sup>2)</sup>. რამეთუ მეფე შედგომილ იყო, და დიდად ავნებდა სიმაგრეთა შესრულთა თათართა, გარნა სიდიდითა არა აკლდებოდა. ხოლო ვითარ იხილეს სიტკიცე და უბრძოლველობაჲ გველეთისა, აიყარნეს და წარმოვიდეს. რამეთუ ქართველნი მოჭებრეს, და იწყო თვითთველ მან მოსლვა. მოესწრნეს მთიულნი, და მრავალი მოკლეს. ეგრეთვე ზანდუკის-გეგს შესრულნი თათარნი მრავალნი მოიხრნეს, და შთამოვიდეს ქართლს, და წარვიდეს უზანს წინაშე, და მიჭგვარეს ოჯჯათ. და არდარა მოსცეს მეფესა დედოფალი ოჯჯათ: ხოლო ვითარ ცნა მეფე-მან არდა-რა მოცემს ცოლისა თხისისა ოჯჯათისი, იქორწინა ქართლისა ერის-თვის აჭმადან ასული, ფრიად ქმნულ-კეთილი. ამათ შოგთათა რა შუა იყო ქვეყანა ქართლისა, რამეთუ არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა, არცა შენობა უოფლადვე, ვითარ დღეთა აქაბ მეფისათა ელიას მიერ სამ წელ და ექმს თვე, გარნა აქა ხუთ წელთა იყო ოკრება. რამეთუ ეს-ოდენტა ბორცოთა-თხს და სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოსრულთათხს, განრისხდა ღმერთი, და ვიქმნენით მიცემულ ჰირველად მცირეს ტუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და კოცასა, და მესამედ იქმნა ჰურის მოკლებაჲ. რამეთუ უოფლად არა იზოგებოდა სასუილად, არცა დიდითა ფასითა. ეს-ოდენ განძვინდა სიმ-

<sup>1)</sup> R, სტუვარის.

<sup>2)</sup> T გელათს ici et plus bas.

შილი რომელ მძორსა არა-წმიდა <sup>1)</sup> ურიდად ჭამდეს. სავსე იუჟნეს უბანნი და ფოლორცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი, და სოფელნი, მკუდრებითა. ერმანი მკერდთა დედათა: ძუძუთა ლეშკთა წოვდიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდეს სამცხეს, ქვეყანად ბექასსა, სადა-იგი იზოვებოდა ზუჩი სსსუილლად. ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა შინა იყო მუდლვე ბექასი, ვახასი, რომელი იყო უოფლითურთ შემკობილი.

და ვითარცა დამტკიცდა მეფობაჲ ვახტანგისი, რამეთუ უახან-მან კელთ-უდგა სამეფო და დაიზურა ტფილისი და უოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე. ხოლო არა წინა-აღუდგებოდა ძმასა თვსსა დაფითს, რამეთუ იყო ვახტანგ უოველითურთ სრულ, სარწმუნოებითა მტკიცე, ეკკლესიათა ზატევის მცემელ; მშვიდ და მდაბალ, არა მოშურნე, მუდრო და უშოფოთველ.

ხოლო ამათ უამთა უმეტეს განდიდნა მთავარი სამცხისა ბექა. ამათ უამთა გამჩინდეს თურქნი საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დაემკვიდრნეს ზაფხულის მთათა ზარხლისათა, და ზამთრის მახლობელად ზონტოსა. და შეკრბეს ვითარ სამ-ოცი ათ-ასი, რომლისა თავად იყო აზატ მისე, კაცი მგნე და ძლიერი. ესე აზატ-მისე წარმოვიდა უოველითა ძალითა მისითა, მოაკრებად უოველისა საქართველოსა; და ვითარ მოიწია ბასიანს და ტაოს, იწყო მძვინვარედ მოკრებაჲ, კოცა და კლვაჲ, რომელ ესე-ოდენი სული მოისრა და ტყვე იქმნა, ვითარმედ შეუძლებელ არს მოთხრობაჲ, ვითარ ბერნი, ერმანი და ჭაბუკნი, უწყალოდ მოისრვოდეს, და ჩხვლთა ერმთა დედისა ძუძუთა შუა მოკვლვიდიან. რამეთუ არა ჰკონებდეს თურქთა გამჩინასა. ამის თვს უოველი სოფელი ტაოს შეუძრველად დახვდათ, და ვერა-სადა-ვინ ივლტოდა. ამის-თვს ურიცხვნი მოისრნეს, და ესე-ზომ მოაკრდა ტაო, რომელ ვაშლოვნით წარსრულნი თურქნი მთავიდეს მუძღულს <sup>2)</sup> და ნიგალის-კევთა, უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს კერკემელის ძეთა აზნაურთა-გან, მაშინ ერის-თავი ტაო-

<sup>1)</sup> Mon M-it, არა-წმინდისასა.

<sup>2)</sup> T. მურდულს.

სა თაჲს ფანასკერტელი უღონო იყო, სიმცროსს-თჲს ლაშქრისა, გარ-  
ნა ეგრეტა მტირე წუობა ჰყო, თორთომის ციხისა ძირსა, და დიდად  
აწნო. გარნა სიდიდისა-თჲს თურქთასა. ქვეყანით მისით ვერ განას-  
ნა. არამედ თურქნი უმეტეს განძვინდეს და მოაკრებდეს ტაოსს.  
ხელთ მოიწია ამბავი მთავარსა თანა ბექასა, რომლისა-თჲსცა დიდად  
ტვიფნეულ იქნა, ვითარ ხვდებოდა გონიერებასა და სიბრძნესა მის-  
სა. და მოუწოდა უფელთა მის ქვეშე დაწესებულთა, და წარემართა  
წუობად თურქთა. და ვითარ მიიწია ბასიანად, ესმა ვითარმედ თურქ-  
ნი წარვიდეს საზამთრისა სადგურსა მათსა და ვერ ესწრა. შეწუხდა  
ბექა, მოაკრებისა-თჲს ტაოსს, გარნა შეიქცა სახლად თჲსად.

ეძვინებოდა სულის მისსა მოსლჳა ტაოდ. ვითარ ანტაკრად <sup>1)</sup>  
ეტყინებოდა სული მისი წუობად თურქთა, მოუწოდა უფელთა წარ-  
ჩინებულთა სამცხისათა, შავშ-კლარჯთა, შემოჰკრიბნა უფელნი და  
ჰქრქვა: „ისმინეთ, მთავარნო საქართველსანო, ძმანო და თანა-მო-  
ნათესავნო ჩემნო, სიტყვა ჩემი. რამეთუ დიდ-მან და სახელგან-  
მან, სკიპტრისა და ზორფირისა მქონებულთა შორის უმეტეს გან-  
თქმულ მან მეფე-მან დავით დასცა და დაამკვა ძლიერებაჲ თურქთა  
ნათესავისა, და იოტნა სამეფოსა-გან მისისა. მიერ ჟამით-გან აქა-  
მომდე არღა-რა ჩენით არიან თურქნი, და აწ ცოდვათა ჩვენთა-თჲს  
კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და მოაკრეს ტაო, და ურიცხვი სუ-  
ლი ტუვე ჰუვეს და მოსწუვიდეს ზირითა მახვილისათა. ეკლესიანი  
დასცეს, და სიწმიდენი შეაგინნეს, და კვალად განმზადებულ არიან  
ბოროტის უფთად ქრისტეანეთა-თჲს, და მოაკრებად. ვინათ-გან მე-  
ფე შემტირებულ არს მძლავრებისა-გან თათართასა, და კვალად ჰძრ-  
ნი და თავნი საქართველსანი განდგომილად, და არა-ვინ არს წი-  
ნა-აღდგომ თურქთა. და აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანო.  
შეუკრბეთ უფლითა ძალითა ჩვენითა და მიემართათ თურქთა, და  
არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩვენნი, და არა განვწირნეს ღმერთ-  
მან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგვცეს ძლევა  
მათ-ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩვენთა ძლევა მათ-ზედა; დავსდგათ

1) T ენტიკონტრად.



თავი ჩვენი ჭსჯულისა შეუგინებლობისა-თჳს და ძმათა ჩვენთა-თჳს, უეჭველად ღმერთი მოგვანიჭებს ცხოვრებასა“.

ხალა ვითარ ესმათ მთავართა და სხათა ბექასთა, სინარულით მიემოწმნეს, და დახვირეს ლაშქრობაჲ თურქთა ზედა. მაშინ მცირედ-ჟამ განიყარნეს, და მოიწია არე ზათხულისა. კვალად იწიეს თურქთა აღმომართ სლვა, და შეკრბეს სიმრავლე ვითარ ექქესი ბევრი. რამეთუ ურველთა ქალაქთა-გან გამოჭევა კაცი ჭსჯულითა სარკინოზი, კოცად ქრისტეანეთა. და არა თურქნი ოდენ იუჴნეს, არამედ სხარსნიცა. და ვითარ ცნა ბექა-მან მოსლვა თურქთა, მოუწოდა ურველთა მის ქვეშე დაწესებულთა, ტასის-კარით-გან ვიდრე ბასიანადმდე. მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარნიფორელთა, და უმრავლესთა ტაოელთა. რამეთუ ამას აქჴნდა ქვეყანა ესე ამათ-თანა თმოგველთა და თორელთა, და შეკრბა სიმრავლე ერთი ბევრი, და ორ, ათ-ასი, და მიმართეს თურქთა ზედა. იგინი აღმოსრულ იუჴნეს მათა ზარხლისათა და დაებანაკათ, და წარველინა შეკედრობაჲ ტევენვად ვაშლოფნისა, და თჳთ ეგულებოდა მოსლვა ქვეყანად ბექასა, სამცხეს, ქართლსა და სომხითს. ხალა ვითარ მივიდეს თურქნი ვაშლოფანს, კაცი ვითარ ათი ათ-ასი, წინა-განეწუჴნეს სხანი ბექასნი, ხუთ ასი კაცი, რომელნი წარავლინეს მცველად, და დაუდგეს სიმაგრეთა შინა. იქმნა ომი ძლიერი, და იულტოდეს თურქნი, და მოსწუვიდეს სიმრავლე ფრიადი, ადგილთა სიმაგრითა, და ესრეთ წინა დაუსხვიდა ღმერთი ძლევისა ბექას თურქთა ზედა.

ხალა ვითარ ესმა ბექას ვაშლოფნით გაქცევა თურქთა, განიხარა ფრიად, და წარისწრაფა, და მიმართა სხერსა და ბაბერდს, სადა იუჴნეს თურქნი მდგომარე. ვითარცა იხილეს თურქთა მოწუვედა სხათა მათთა, მცირეთა ლაშქართა-გან, განძვინდეს ფრიად და იდრჭენდეს კბილთა მათთა, მოუწოდა მთავარ-მან მათ-მან აზატ-მოსუ-მ სხათა თურქთასა, და გამოიჩნია კაცი ოც და ათი ათ-ასი, და წარემართა ვაშლოფანს, ძებნად სისხლთა სხათა მისთასა. რამეთუ მისლვა და დაახლება ბექასი არა უწყოდა. ოც და ათი ათ-ასი სხვა წარმოავლინა ტაოს, და ჭრქჴა: „მე წარვალ ვაშლოფანს და მოვა-ოკრებ, და აღვიზღავ სისხლსა ჩემსა. და თქვენ მიდიით ტაოს, და

მოსწვიდეთ თულა სადმე დაჩხომილ იუოს, და დადექით ბანას. და მეცა განმარჯვებულნი შემოვიქცევი და მოვალ ბანას, და მუნ შევერბეთ, და მივმართთ უოველთა საქართველთა“. და ესრეთ წარმართა ვაშლოვანით კერძო.

მაშინ აღიჭურვა მანდატურთა-უხუცესი ბექა და უოველი სხა მისი, და მიმართეს თურქთაკენ, რამეთუ არა უწყოდა წარსლვა თურქთა ვაშლოვანს. ხოლო ვითარ წარულო მცირე ადგილი, ოთხნი თურქნი მიმავალნი დაიხურეს და მოუსხეს ბექასა. ხოლო მან ჰკითხა ამბავი თურქთა, თუ სადა არიან, და ოთხნივე ცალკე განუწხა, და ოთხნივე ერთსა იტყოდეს: „წარსლვასა თურქთასა ვაშლოვანს. კვალად აზატ-მოსე ოც და ათი ათ-ასითა მკედრითა წარვიდაც ვაშლოვანს, და ორმცდი ათ-ასი დაუტევა და წარმოავლინა ტაოს, ხვალე ანუ ზეგე მოვალს“. 1) ირწმუნა სიტუჟა მათი, და ორად განჰყო ღაშქარი თვისი, რხეული, და უმრავლესი ღაშქრის მისისა მისცა შვილსა მისსა ზირ-მშოსა სარგისს, რომელი ოდენ აღზრდილ იყო, აბჯრის მტვირთველად და წარავლინა ვაშლოვანს, აზატ-მოსეს ზედა. ხოლო წარისწრაფა სარგის, და მიეწია ვაშლოვანის მთათა ზედა მიმავალთა თურქთა. და ვითარ იხილეს უკანა კერძო ღაშქარი, განჰკვირდეს და მოაქცივნეს ჰუნენი სარგისის კერძე. იხილეს-რს სიმცრო ღაშქრისა, რამეთუ იუწხეს მესხნი ხუთ-ასი, ხოლო თურქნი ოც და ათი ათ ასი, განიხარეს და ჰკობეს მოწვევად უოველთა. მაშინ მკედარნი სარგისისნი ზედა მოეტევენ უშიშად. ხოლო თვთ სარგის წინა განეწყო, და სხანი მისნი მიეტევენ მკნელ და იქნა ომი სასტიკი. და ზირველსავე შეკრებასა მიდრეკეს თურქნი სიფლტოლად, და იოტეს ძლიერად, და ეს-ოდენ მოსრეს რომელ შექცეულთა აღრიცხეს რაზმთა შინა მკედარი მდებარე თურქთა, ზოვეს ხუთ ას და ცამეტი, თხნიერ მისსა, რომელი დევნასა შინა მოკუდა. და დევნეს მზისა დასვლისა უამადმდე. ხოლო მოჰხედნა ღმერთ-მან წყალობით მოსავთა ჯვარისათა, რამეთუ განსაკვირვებულ არს სმენად, რომელ ეგ-ოდენსა წყობასა შინა არა მო-

1) T, final manque, i<sup>5</sup>i et plus haut.

იკლას ბექას ლაშქრისა-გან ხუთთა კაცთა-გან კიდე, იგინიცა უსახე-  
ლო ვინმე. რამეთუ ესრეთ მოსცა ძლევა ღმერთ-მან ბექას ლაშქარ-  
თა თურქთა-მათ-ზედა. ხოლო სარგის, დაღათუ ერმა იყო, არამედ  
მკნედ იბრძოდა, რამეთუ გვარისა-გან მოაქუნდა სიმკნე მამეულ-მა-  
ზეულად.

ხოლო ბექა-მან მიმართა თურქთა დედა-წულთაკენ, და მომა-  
ვალნი წინა დაემთხვივნეს, და იხილეს რა თურქთა შორის<sup>1)</sup> მთით  
ბექა და სპანი მისნი, მსწრაფელ გარე-შეიტყეს და ივლტოდეს. ხო-  
ლო დედა-წულთა მათთა მიმართეს მათთა, რამეთუ არდა-რა ესვი-  
დეს საფასისა სიმდიდრეთა, არამედ უფუგელსავე დაჰყრიდეს. ხოლო  
ბექა-მან და სპათა მისთა მსწრაფელ დევნა უფუგეს, იზურობდეს და  
ჰკოცდეს, რომლისა არა იყო რიცხვი. და თურქნი მცირედნი რამე  
შეივლტოდეს ქალაქსა და ციხესა სპერისსა, და რომელნიმე ნორ-  
ქალაქს, და მიეწივნეს სპანი ბექასნი, შესჯარნეს. გზათა სივიწრი-  
თა და დედა-წულთა სიმრავლითა, არა-სადა აქუნდათ გზა სივლტო-  
ლისა. და იჯარნეს თურქნი ვითა ცხვარსა დაჯრილსა და ჯოგსა, და  
ეგრეთ იზურობდეს და ჰკოცდეს. გარნა იქმნა ესეცა, რამეთუ შვილ-  
სა მისისა სარგისისა გან ღტოლვილნი კაცნი თურქნი უკანა მოეწი-  
ვნეს მანდატურთა-უხუცესსა ბექასსა, სადა-იგი მიმართეს მესხთა, და  
გვალად მოსწუვიდეს, და გარე-მოადგეს ქალაქსა სპერსა. და პირ-  
ველსავე ომსა აღიდეს ქალაქი, თხნიერ ციხისა, და აღივსნეს სა-  
ქანლითა, ოქროთა, ვერცხლითა, ლარითა და ჯოგითა, ცხენითა და  
აქლეშით, ძროხითა და ცხვრითა, ანგარიში ვის-გან ითქმის. და  
თვთ მათთავე საკუდართა აჰკიდეს, და ძლით წარმოიდეს. ეზომი  
ძლევა მოსცა ღმერთ-მან ბექას, რომელ მისთა სპათა-გან ერთი კა-  
ცი არა დააკლდა.

მოიცვა ბექა-მან ქალაქი სპერი, და თურქნი გაქცეულნი ორ-  
ასნი ჩავიდეს ზონტოს-კერძ. და ვითარ განემარჯვა სარგისს, მომარ-  
თა მამისა კერძ, და მომავალ-მან აკურა ნორაქალაქი, და აღავსნა  
სპანი, რომელნი იუჟნეს, საქანლითა, აღაფითა და ტყუითა, და ეს-

1) T შაროთ.



რეთ ძლევა-შემოსილი მოვიდა მამის წინაშე. ხოლო ვითარ განძლი-  
ერდა სპერელთა გარე-დგომა ბექასი, მოუგზავნა მოციქული, ვი-  
თარმედ „ჩვენ უაენისა უაზანისანი ვართ და ძალით გარდაიხვეწნეს  
პონტოსა-კერძ, და აწ გვედრები მე, მოგვრიდო და უკუ-სდგე, და  
უზომო ოქრო და ვერცხლი, ჯოჯოხი და ცხენი მოგცეთ“. ისმინა ბე-  
ქა-მან, და აღიგო განძი ურიცხვი, სპურით და ბაბერდით, და ძლე-  
ვა-შემოსილი მობრუნდა. და მოეგებნეს კარნუქაღაქით თავადნი, და  
მოართვეს მათცა ძღვენი, ალაფი, და არცა-რც მათ ავნო, და ესრეთ  
ბრწუინვაჲე ძლევა მიანიჭა ღმერ-მან ბექასს, და მოვიდეს შინა,  
საქონლითა უძლეველითა<sup>1)</sup>. რამეთუ იყო ბექა მონასტერთა და ეკ-  
კლესიათა მამულებელი, და მონაზონთა და ხუცესთა, და მოწესეთა  
კაცთა პატრიარქ-მცემელი, და არა დააკლდის ეკკლესიასა მისსა წესი  
ლოცვისა, ცის-კრად, სამხრ და მიმწუხრი. და ლაშქარი მისი ვერ  
დააკლდებოდინა სამსა ამსა ლოცვასა. და ამის-თვის უმარჯვებდა ღმერ-  
თი, და მოსცა უაინ-მან უაზან კარი და მიმდგომი მისი ქვეყანა.

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტუვასა აღვიდეთ მას უამსა იწყო  
უაზან უაინ-მან ამკედრება მეგვიპტელთა ზედა, და მოუწოდა მეფე-  
სა ვახტანგს, და მისცა ბექა-მანცა ლაშქარი მისი რჩეული, რომე-  
ლი ხვინთა (?) ხვდებოდა. წარებართა უაზან, და შევიდეს ქვეყანა-  
სა ასურასტანისსა და შამისსა, და მოაგვრებდეს. რამეთუ იყო  
სიმრავლე ლაშქრისა მისისა ათ-სამე ბევრი, და ვითარ ესმა სულ-  
ტანსა მისრისსა, რომელსა სახელად უწოდდეს ნასარ მელიქსა, შე-  
ჭკობა სხა მისი ყოველი, და მივიდა და დევნად განეწყო. და იქმ-  
ნა ომი სასტიკი ეს-ოდენ, რომელ ხუტლუ-შა ნოინი ათ-ასითა მკედ-  
რითა წინა დაუდგა უაზანს, ამაღ რომელ დიდთა მიმართეს უაზანს  
ზედა; და ათ-ასისა კაცისა-გან ექუს ასი დაჭკოცეს, და ოთხ ასიდა  
დარჩა, რომელითა ქსიძლო და იოტნა, რომელსა თანა შემწე ექმნა

1) Fin du M-it. R; il ne reste plus que 3 feuillets du M-it  
T, encore sont-ils defectueux, et laissent-ils une lacune: Ce qui  
suit est la reproduction de mon seul M-it.

ხოფონ სულდური, ხუთ ასითა კაცითა. სადა ვახტანგ და სპანი მის-  
ნი მკნედ ჳბრძოდეს. და ვითარ სწუდებოდა ორგნითვე ურიცხვი,  
ივლტოდეს ეკვბტელნი, და სულტანი ნასარ-მელიქი. და უკ-მობრუნ-  
და ყაზან დევნისა-გან, და სამ დღე განისვენა, და მეოთხესა დღე-  
სა დევნა უუკეს, და მიეწივნეს მტირედნი, და ამოსწვიდნეს. და  
განიბნივნეს თათარნი, ტუგევენად, და ეწია ლაშქარ-მან ვიდრე წმი-  
დად ქალაქად იერუსალიმად, და იგი მრავალ სულ მოისრა. ქრისტუა-  
ნი, და უმეტეს სპარსნი. ხოლო ყაზან მიმართა დიამუშასა ზედა,  
რომელ არს დამასკო. ხოლო მათ ზენარისა მთხოველთა მოსტეს  
ქალაქი და საქონელი ურიცხვი, და დაამყარა ყაზან დამასკო და მი-  
მდგომნი მისნი ქალაქნი, დაუო ვითარ ოთხ თვე, და დაუტევნა  
მტველნი ქალაქისანი, და წარმოვიდეს სახლად თჳსად. თავრეზად.  
და ვითარ მოიწია ზაფხული, განდგეს დამასკელები, და გამოსხეს  
მტველნი ყაზანისანი. ცნა-რა ესე ყაზან, მოუწიდა სპანსეტსა მის-  
სა ხუტლუ-შასა და მეფესა ვახტანგს, და უოველთა მთავართა საქა-  
რთველესათა, და წარავლინა სულტანსა ზედა ლაშქრად. მივიდეს,  
შევიდეს შამად და დ-მასკოდ, და აოკრებდეს დამასკოს, და ველარ  
აიდეს. განვლეს დიდი ანტიოქია, და მივიდეს ვიდრე ლაზამდე. და  
ვერ შემართა სულტან მან ომი მათი, და მოაოკრეს ექჳს თვე, და  
მით უკ-მოიქცეს, და მოვიდეს ყაზანს წინაშე, განმარჯვებულნი.

და ვინათ-გან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულ  
მთიულეთს იუვის, და ზამთარ ქართლსა. ამის-თჳს იშლებოდა ქვე-  
ყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო, და აოკრებ-  
და ქართლსა, თრიალეთსა, და განასხმიდა მამულისა-გან აზნაურთა,  
და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა. და მეფე-მან დავით-  
შეკრიბა მთიულე, წარვიდა და მივიდა ტფილისს, კაცი ცხენოსანი  
და ქვეითი, ვითარ ათ-ხუთ-მეტე ათ-ასი, და მოუკდა უიფიანთა სა-  
ზაფხულად მომავალთა. ხოლო უიფიანნი რომელნიმე ქალაქსა ეწინ-  
ნეს, და ზოგნი მტკვრის ზირით ივლტოდეს. ესე ვახტანგ ტაბა-  
კელს მდგომსა, მივიდა მტირითა კაცითა, განვლო კიდი და სახიუ-  
დაბელი, განვიდა მახათას. რამეთუ დავით და ლაშქარი მისი მახა-  
თას დგეს, თავსა ქედისას. და ვახტანგ ქვემოთ მიუდგა, და დად-

გა და ვერ შემართა შებმა, სიდიდითა და ვითის ლაშქრისათა. მაშინ მცირედნი ვინმე ჩამოვიდეს და აქათ მცირენი ვახტანგისანი, მიეგებნეს, შეიბნეს, და დავითის კერძნი გაიქცივნეს, და ორნი ძმანი და შვილნი დაკოცნეს. და ვითარ შენივთდებოდა ომი, ათასი უიგჩაუი გაქცეული შეკრბა ვახტანგს თანა, ჯარად. მაშინ მოიწია რისხვა ღვთისა, და იფლტოდა, და სხვა მისი ძლიერი უომრად იყო. და ვით მოვიდა, და ომისა არა შემართი მიუდგეს უკანა უიგჩაუნი და ქართველნი, და სდევიდეს ვიდრე ჯაჭვადმდე, დაკოცეს კაცი ურიცხვი. არა-თუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება. ოტებული რა ცნა და ვით, უმსვინვარესად აკრებდა ბაჟათარ ქართლსა, და მეფე და ვით ვერ წინა აღუდგებოდა. მით სენიცა შეეღვა ბოროტი ('მიკრისი'), კელთა რა ფერკთა, და უკმარ იქმნა, და იყოცა კაცი ურწმუნო და უშიში ღვთისა. ამის-თხს ბოროტსა სენსა ჩავარდნილი უღონებდა, და ბაჟათარ აკრებდა ქვეყანათა, და ჰკოცდა კაცთა. დადაცათუ სურამელი აჭმად და რატი ძლიერად ებრძოდეს, მაშინ ბაჟათარ წარუღო გამრეკელსა, კახსა ძესა, ციხე რამისა. ცნა ესე ბექა-მა, მოუკდა დიდითა ლაშქრითა. ხელთ ბაჟათარ, ციხით გამოსრული, წინ დახვდა წინ-მავალთა ბექასთა. იქმნა ომი ფიცხელი, და ჰირველსავე შებმასა გაიქცა ბაჟათარ, და შევიდა ციხესა. და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოვსთა ზენაარი და აღუთქვეს არა წყენა, და ესრეთ მივიდა ბექასა წინაშე გაუშავებული, და უკანას მოკუდა ბაჟათარ.

აწ ვიწყოთ თათართა მოთხრობად: და ვითარ გამოსხნეს მეგვიპტელთა მცველნი დამასკოსანი, ამის-თხს გამწერალ-მან უაზან-კაგზაზანა იგივე ხუტლუ-შა, სპითა ძლიერითა, და ვახტანგ, სპითა სსქართველსათა. და ვითარ ჰსცნა სულტან-მან მისლვა მათი, მიეგება სულტანი ომად, და იქმნა ძლიერი ომი, და იკოცნეს ორგნითვე ურიცხვი. და მას დღეს სწორი ძლევა არა იქმნა, და ღამე-მან განუარნა. და ვითარ უკუ-დგეს, ჰხვეს ქედბ დიდი თათართა, და მას-ზედა შემოდგეს ხუტლუ-შა ერთურთ, უსეინ, სეფინჯი. გარნა

1) Lis. ნეკრესი.



სიხუბი, ხუტლუ-შას (შვილი) მივიდა მახლობელად სულტნისა, და დადგა ვაკედ, რომლისა ახლდეს ბექას ლაშქარნი, და ეგელასა ცხენი კელთა ჰყვა. მოიკელაგნა სულტან-მან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანა კერძო თათართა, და მას ღამეს ერთი ლამი შეიქმნა. ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ღამის შიგან და განთენა, იხილეს თათართა უკანა კერძო ღამი, და წინათ ლაშქრისა სიმრავლე, უღონო იქმნენ. ჰმრავეს მცირე უგანო ადგილი ღამისა, და მაშვიგანცა დაკოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა, და რა-ყამს ადივსო კაცი-თა და ცხენითა, მეტ-მან ლაშქარ-მან ზედა განსლვა დაიწყო. დაღათუ მოსწედა ურიცხვი თათარი და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშვიდობით დაჩხეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე, რომელი განწყურა, საზურობილესა მისცნა ყოველნი ნოინნი, და ეკაზმოდა კვალად სულტანსა ზედა. გარსა დასნეულდა სენითა მუცლისათა, და მოკუდა, რომელი იგლგვა ყოველ-მან კაც-მან, სიმატლისა-თჳს, რომელ ავის მოქმედნი და შეკობრე, და უსამრთლო კაცი, აღარ იზოგებოდა საყაენოსა მისსა, და ამის-თჳს დაუტევა მწუხარება ყოველთა.

ხოლო შემდგომად მისსა დასვეს ტახტსა ყაინთსა ძმა მისი, სახელად ხარბანდა, რომლისა უკანასკნელ ოლჯათ-სულტანსა მისცა, რომელ ერთითა თვალითა არა მხედველ იყო, და ეძლო, იზურობდა წესთა ძმისა მისისა ყაზ-ნისთა, თუ იყო ესეცა კაცი კეთილი ამან. მოიწყო ყოველი საბრძანებელი მისი, და ფრად კეთილსა უყოფდა ვახტანგსა ამან ხარბანდა-მან ინება გილანს წარსლვა, და მოუწოდა ყოველთა სპიას თათართა და თვთ მეფესა ვახტანგს, და ოთხად განჰყო სპა თჳსი. უკეთესი და უწარჩინებულესი სპა მან დაიჭირა, და მეფე ვახტანგ. და ერთი ნაწილი მისცა ხუტლუ-შასა და ბექასა, ლაშქარი თვთ ჰირველეუ მისი იყო. ერთი ნაწილი ლაშქარი ჯალაღარს მისცა, და ოსნი გოჩს მსხდომნი. ერთი ნაწილი სალდუსსა ჩოფანსა მისცა, და თვითო თავადი თვითოსა გზასა ჩაკზავნა, და ერთს გზას თვთ ყაინი ხარბანდა, სადა-იგი წინა-ბრძოლად მეფე ვახტანგ აჩინეს გილანს, ყოფილგნით. ხოლო გილანელნი დაღათუ მცირენი იუჴნეს, არა შეშინდეს. რამეთუ იუჴნეს გილანსაცა ოთხ-

ნი მთავარნი, რომელთა სსხელები იყო ერქაბაზნ და უბაში, რს-  
ტან და ასან. ესე თვთ დადგა სიმაგრეთა შინა, შეკრა ხარხალი და  
ერიქაბაზნ უაინს ხარბადს დაუდგა წინა და შემოება, იქმნა ძლიერი  
ომი. რამეთუ ვახტანგ წინა-მბრძოლობდა: ქვეითნი, გზისა სიფიწრი-  
სა-გან და ტუისა სიკშირისა-გან ვერა იარებოდეს, და სდაცა მცირე  
ვაკე იუვის იგიცა ლამი იუვის. ხოლო ვითარ განგრძელდა ომი,  
პირველ ისრითა და მერმე კრმლითა იბრძოდეს თათარნი და ქართ-  
ველნი, და ხარბად თვთ უჭვრეტდა. მცირედნი შეეწოდეს, და ხმი-  
თა განამკობდეს. ვითარ შენივთდა ომი და არა შეაქცევდა მეფე  
ვახტანგ ზურგსა, და არცა სხანი მისნი, არამედ სიფიწრითა მოისრ-  
ვოდეს ეს-ოდენ, რომელ ათისა-გან ძლით ორნი ცოცხალ იუწინან.  
სომხითარნი ახლდეს რა-ოდენიცა იბრძებოდეს ცხესსა ზედა მდგო-  
მი, და ესრეთ მოჭსწევიდეს. რამეთუ მრავალნი აზნაურნი უმკვიდ-  
რო განდეს, რამეთუ მამა, შვილი და ძმა, ყოველივე მუნ ახლდეს.  
გარნა რომელნიმე დარჩეს, თვთ ვახტანგ არა გარე-მოაქცევდა, არა-  
მედ მკნედ და ძლიერად იბრძოდეს. განჭკვირდეს თათარნი სიმკნესსა  
ზედა ქართველთასა. რამეთუ ვახტანგ მკნე იყო ომსა შინა. და  
მკნედ იბრძოდა, და მცირედ დაიკოდა ბარკაღსსა, და მიდრკა მზე,  
და მოკანლა ღამე, და განიყარეს.

ხოლო ვითარ იხილა უაინ-მან სიმაგრე ქვეუნიისა მისისა, ტუვი-  
თა და კლდითა, ღამე ყოველ წარმოვიდა. ცნეს გილანელთა, და  
დევნა უუგეს, და რომელთა ეწივნეს დიდად ავნეს. ხოლო ერთ-კერ-  
ძო ხუტლუ-ბუღას შვილი დაედგა წინა. ხოლო თავად-მან გილანელ-  
თა უშიშ-მან შეკრა მანცა ხარხალი, და შეაბა კარი ვიწროსა შესა-  
ვალსა, და დაუდგა ხუტლუ-ბუღას<sup>1)</sup>. ხოლო იგი კარდაკდა ცხენი-  
სა-გან და დაჯდა სკამითა, და უბრძანა ბექას ლაშქართა ქვეითად  
შესლვა, და ჭეუეს. შევიდეს ტაძარსა<sup>2)</sup> და განვიდეს, და შეიქმნა  
ომი ძლიერი აქაცა, ქართველთა და მესხთა ზედა. არცა ამით შე-  
აქციეს ზურგი, არამედ მკნედ ჭბრძოდეს, და უფროსნი გილანელნი

1) T ხუტლუშას.

2) T სარგასა; cf. p. 424, passage analogue.

მოისრუდეს. ოდეს მასშინ ჰსტუორცნა ვინმე ისარი, და ეცა შიშ-  
ველასა თავსა ხუტლუ-ბუღა-ნოინსა<sup>1)</sup>, და მუის მკუდარი შთაიჭრს  
სკამისა-გან. ხოლო ვითარ იხილა შვილ-მან მის-მან სიბუჩი-მ მამი-  
სა სიკუდილი, მსწრაფელ იფლტოდა, იგი და სწა მისი, ხოლო მესხ-  
ნი დარჩეს ხარძსა<sup>2)</sup> შინა. მცირედნი იფლტოდეს, და უმეტესნი  
მოისრნეს, და მოიწია უზომო რისხვა ღვთისა, თათართა და მესხ-  
თა ზედა. რამეთუ უკანით, სადა ბრინჯი დგომილ იყო ვაკესა ში-  
ნა, ღამით წყალი ჩაეგდოთ, და ესრეთ ღამი შექნილ იყო რამე  
ვერცა ცხენი და ვერცა ქვეითი ვერ გაიარდა, და იქმნა ამით მოსრ-  
ვა ძლიერი.

ხოლო ჩოფანსცა შემოება როსტან-მელიქი, ვაკესა ადგილსა.  
გარნა ჩოფან სძლო და იოტა, და სიმაგრესა შინა არდა-რა შეჭევსა,  
არამედ წენარად დაბრუნდა, და აჩინა მკუდარნი მისნი უკანა-მავლად.  
ჯავახის შვილი გაშკეკელი, მკენდ იბრძოდა ომსა-მას, და გარდა-  
მოვიდეს მშვიდობით. ეგრეთვე უსენს და ოვსთა შეება, და იკსნა,  
და სწორი ძლევა იქმნა, და იგინიცა გამოქცეულნი იფლტოდეს, და  
შეკრბეს უყანს, ხარბდან-ყაინს წინაშე. სულდუსი ჩოფან მკუდართ  
მთავრად განაჩინეს, მონაცვალედ ხუტლუ-ბუღა-ნოინისა. ხოლო მკ-  
ფე ვახტანგ ჰატოვ-ცემულ ჰევეს, და დიდებულნი მისნი ყოველნი,  
მკენდ ბრძოლისა-თვს, და ნიჭითა დიდითა წარმოავლინეს შინა.

და ვითარ წარვიდა ვახტანგ, მოუკდეს კაცნი ხოდრისელები,  
ჰსჯულთა სარკინისნი, და მტერნი ქრისტეს აღმსარებელთანი, და  
ყოველთა ქრისტეანეთა, და ჰკრქვეს ხარბდანს: „უკეთუ არა ყოველ-  
თა ქრისტეანეთა დაატეებინო ჰსჯული, და ეკკლესიანი არა დააქ-  
ციონნე, არა განგემარჯოს მტერთა ზედა, და არა წარგემართოს მე-  
ფობაჲ შენი და კელმწიფობაჲ“. ხოლო ესე სიბილწე წარმოსთხიეს  
ცუდ-ჰსჯულთა, და ამით ძლით ასმინა ყაინ-მან, და იწყო რღვევად  
ეკკლესიათა. წარმოავლინა ლაშქარი, და ერთი ნოინთა მთავარი, რა-  
თა მოვიდეს საქართველსა, მეფესა და ყოველთა ქართველთა დას-

1) T ხუტლუშა, ici et plus bas.

2) T ხარძსა ou ტარძსა.



ტეობინოს ჰსჯული და სარკინოზად შექმნას, და ყოველთა საქართ-  
ველთა შინა დაარღვევინოს ეკლესიანი. და ეწია ნახჭევანსა წარ-  
მოსლვასა ვახტანგს ესე წარმოვლინებული ნობინი. ხოლო მეფე ვახ-  
ტანგ არა შეშინდა, არამედ განმკნდა; და უმეტეს მოახსენებდა სი-  
მკნეთა და ღვაწლთა ქრისტეს ღვთისა-თჳს, და ჰკრქჳს სჳათა თჳსთა:  
„კაცნო, ძმანო და ერთ-ჰსულებო, და ქრისტეს ღვთისა ჭეშმარიტ-  
ნო აღმსარებელნო, უწეით სჯული მამათა მიერ, და გასმიესთ ქა-  
დაკება წმიდათა მოციქულთა, და უწეით ღვაწლნი და ახოვნებანი  
მოწამეთანი, და გინილავნ თვალითა თქვენითა ტადარსა შინა მათსა  
ურიცხუნი სასწაულნი, და გასმიესთ სახარებასა შინა წერილი უტ-  
ველითა ზირითა, ვითარმედ, რომელ-მან აღმიაროს მე წინაშე კაც-  
თა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზე-ცათსა. და კვა-  
ლად, მოვედით ჩემდა ყოველნი მაშკრალნი და ტვირთ-მძიმენი, და  
მე განგისვენო თქვენ და აწ ნუ შესძრწუნდებით, და წარვიდეთ ყა-  
ინს წინაშე, და დავსდვათ სული ჩვენი მის-თჳს, რომელ-მან დაღვა  
სული თჳსი ჩვენ-თჳს. ზირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სი-  
კუდილად, და მერმე იყავნ ნება ღვთისა, და მან დაიცვას სამწესო  
თჳსი“.

ხოლო ვითარ ესმათ სჳათა ვახტანგისათა, სიხარულით შეიწუ-  
ნარეს ბრძანებული მისი, და მუის წარემართნეს ურდოსა. და მივი-  
დეს ყაინს წინაშე. ხოლო ყაინი განჰკვირდა მისლვასა მეფისასა, და  
მივიდეს კარსა ყაინისასა, და მუკლნი დაიდგნეს, და ჰკრქვა მეფე-  
მან კმითა მადლითა. „ისმინე, მადლო და ძლიერო ყაინო, ბრძა-  
ნება თავთა ყოველთა ქრისტეანეთა დაუტეოთ სჯული ჩვენი. აწ ის-  
მინე: ბედნიერთა ჰაჳათა და მამათა თქვენთა ჰუმონა და მსახურა ჰაჳა-  
მან და მამა-მან ჩვენ-მან, ამით ჰსჯულითა, და არ-ოდეს გვასმიეს,  
თუ სჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ვეოფილ-  
ვართ ყოველთა-გან. და სჳარსთა ჰსჯული უფროს საძაკელად შეე-  
რაცხა ზირველთა ყაინთა. ამის-თჳსცა იგინი მოსწევიდნეს. რამეთუ  
იყუნეს მწამლველ და მამათ-მავალ და კაცის მკულელ. და აწ თუ  
სიტუჳასა სჳარსთასა ისმენ, ყაინო, მე ვარ მეფე ქართველთა, და  
ყოველნი მთავარნი საქართველთასანი შენს წინაშე არიან, და სიკუ-

დილად მე მზა ვარ, სიკუდილად ჰსჯულისა-თჳს ქრისტეანობისა, და მეკმე ესე უფელნი, შენს წინაშე მეფენი ქრისტეანენი, თავნი ჩვენნი წარგვეგეთენ“. წარუბერა ქედი, და ვითარ ესმა უაინსა სიტუ-ვა ესე, განჰკვირდა და ზატოვ-სცა მეფესა, და სიტუვითა ტკბილი-თა აღადგინა და შეინანა, და აბრალა რამელთა აქმნევენეს.

ხოლო იქმნა ესეცა, რამელ არღვევდეს თავრეჳს კეკლესიათა; ზირველად ოთხსა დღესა შინა ოთხნი შვილნი ხარბანდასნი დაიკოც-ნეს, სახელით ზარტამ (sic), და მას-ზედ და ესრეთ წარდგომილ-მან მეფე-მან დაკსნა შური და შოფთი მომავალი საქართველსა ზედა. ხოლო წარმოვიდა ვახტანგ ზატოვ-ცემული, და გარდმოვიდა. მუნვე ნახტევანს შეეღვა საღმობა მუცლისა, და მოკუდა, შემკული გვირ-გვინითა შეუობისათა, და წარმოიგანეს და დამარსეს დმანისს. და დარჩეს შვილნი ორნი. დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა, და გიორგის სამშვილდე. და ვითარ კელთა-უდვეს მკედართ-მთავრობა თჳთ ხუტლუ-შასი ჩოფანს, წარმოემართა ესე ჩოფან, ერთ-თა ურიცხვითა. ზირველად მოვიდა კელას და არტანს, ვიდრე არ-სიანამდე, და აწვევდა ბექას რათა უაინი ანუ ჩოფან ნახოს. რამელ არა თავს-იდვა ბექა-მან, არამედ შჯლი მისი უმრწემესი, სახელით შალვა, წარატანა თანა. წარვიდა და ჩავლო სამხითი, და დარჩა ქვე-ყანა ბექასი მშვიდობით.

აქა დაიწყო აღმოცინკრებად, ძე-მან მეფისა-მან გიორგი, რამელი აღეზარდა ზაზასა მისსა დიდსა ბექას. ხოლო ესე გიორგი იგო-არს, რამელსა ამა მეფის ვახტანგის უწინ მისცა უაინ-მა მეფობა. ესე არს ძე დიმიტრი თავ-დადებულისა, და ძმა დავით მეფისა და ვახტანგ მეფისა.



